


ოდისელი  
აზნაური ქუჯი  
ტფილისში...



გელა გამ-ქე

# ოდნელი აზნაური ქუჯი ტფილისში...

\*\*\*

სათავგადასავლო რომანი  
ლიტერატურული რიგეიკი



გამომცემლობა ინტელექტი  
თბილისი

ოდებელი აზნაური ქუჯი, ტფილისში...  
სათავგადასავლო რომანი, ლიტ. რიმეიკი.

**Nobleman Kuji in Tbilisi...** (adventure novel).  
by Gela Gam-dze.

© გ. გამყრელიძე, 2016. საქპატენტი (მონ. 6478).

საკონტაქტო ელ. ფოსტა: [gela.gamdze@yahoo.com](mailto:gela.gamdze@yahoo.com)

ISBN 978-9941-466-50-2

## - წინათქმა -

1999 წლის გაზაფხულზე, როცა ზუგდიდში დადიანების სასახლის ბიბლიოთეკაში პატენ ალეს (ბატონ ალექსე იხილე ბოლოთქმაში), ცნობილი მწერლის, კავკასიაში მოგზაურობის შესახებ მასალებს ვეძებდი, შემთხვევით წავაწყდი ევროპაში განსწავლული, 1863 წელს დაბადებული, უდავოდ ნიჭიერი ლიტერატორის ივანე მაჭავარიანის ნაწერებს.

ჩემი ყურადღება, ამ ტექსტებიდან, აზნაურ ქუჯი-გიორგის მონაყოლმა მიიქცია. ეს ქუჯი „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული პიროვნება არ გეგონოთ, მაგრამ შესაძლებელია, რომ მისი შორეული ნათესავი იყოს. იგი მოგვითხრობს, რომ როცა პირველად გამოცხადდა მეფის მონასპის მეთაურთან, ვაჩე ჩიქვანთან, იქ ახალგაზრდები ნახა, რომლებიც იმ სახელოვანი დანაყოფის წევრები გახლდნენ, სადაც ქუჯის თვითონაც სურდა ემსახურა. მათ ერქვათ ავთო, ამო და ტარო. ამ მოკლე მეტსახელების უკან, ცხადია, ცნობილი პიროვნებები იმალებოდნენ.

ამ მეტსახელების გამო, ჩემი ზუგდიდელი მეგობრის, სწავლული ისტორიკოსის, გონელი არდაშელიას რჩევით მოვიძიე ხელნაწერი, რომელიც დადიანების სასახლის ბიბლიოთეკაში ასეა დასათაურებული: „ერისთავ ავთანდილ ჩიქვანის მოგონებანი ზოგიერთ ამბებზე, რომელნიც ქვეყანას მოხდა დიდი დავითის მეფობის შემდგომ.“ დემეტრე I-ის ეპოქის ამ ხელნაწერის თვალყურების დროსაც იგივე ზედმეტსახელებს წავაწყდი.

ავტორიტეტული და ცნობილი ისტორიკოსი, ივანე ჯავახიშვილი დავით აღმაშენებლის მემკვიდრის, დემეტრე I-ის შესახებ მიგვანიშნებდა: „მისი ცხოვრება და თავგადასავალი საიდუმლოებით არის მოცული, ხოლო მოღვაწეობის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით...“

დემეტრეს უფროს ვაჟ დავითთან რთული და წინააღმდეგობრივი ურთიერთობა ჰქონდა. თავისი ვაჟებიდან გიორგის ანიჭებდა უპირატესობას სამეფო ტახტის მემკვიდრეობაზე. ამით კი უფროსი შვილი დავითი გაანაწყენა და უბიძგა, რომ მამის წინააღმდეგ ინტრიგა-შეთქმულებებში ჩაბმულიყო. დავითმა განაწყენებული დიდებულები შემოიკრიბა და მეფის წინააღმდეგ ფარული დაჯგუფება შექმნა, რომლის ერთ-ერთ-

თი მეთაურიც აბუღეთისძეების დიდებულთა გვარისშვილი გახლდათ. ურჩი დიდებულების წინააღმდეგ დემეტრეს დროსაც მიმდინარეობდა ბრძოლა. ისინი მეფის ერთმმართველობას ვერ ეგუებოდნენ. ამიტომ ზოგიერთებს სამემკვიდრეო მამულები ჩამოერთვათ და მკაცრად დაისაჯნენ. სხვა ქვეყნების სამეფო ოჯახების მსგავსად, დემეტრეს ურთიერთობა ოჯახისა და სამეფო კარის წევრებთან საბედისწერო და ფარული მზაკვრული ხრიკებით სავსე აღმოჩნდა.

1138 წელს მეფის ჯარმა ქალაქი განძა (განჯა) აიღო. განძიდან ძლევამოსილად დაბრუნებულებმა თან სიმბოლურად ამ ქალაქის ალაყაფის კარიბჭე ჩამოიტანეს, რომელიც შემდეგ გელათის მონასტერს შესწირეს. ეს კარი დღესაც იქ ინახება. 1156 წელს მცხეთასთან, ბელტის ციხესიმაგრეში გარდაცვლილი დემეტრე-1 გელათში დაკრძალეს.

გავთამამდები და კეთილგანწყობილი მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ დემეტრე-1-ის მეფობის პერიოდის ამბების უკვე ნახსენებ ხელნაწერზე, რაშიც გარკვეული ცვლილებები შევიტანე. პირუთვნელ მკითხველს კი ვთხოვ, მხოლოდ ჩემში ეძებოს საკუთარი უკმაყოფილების მიზეზი. აქვე გავკადნიერდები და დიდი რუსთაველის უკვდავი ნაწარმოებიდან მცირე პერიფრაზს შემოგთავაზებთ – ესე ამბავი ევროპული, ქართულად ნათარგმანები, ... ვპოვე და ჩვენთვის გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები ....



## – თაზი 1 –

მთა ქართლი, რომლის თავზეც ოქროსფერი მზე ამონვერილიყო, მცხეთის სანახებს დასცქეროდა. ცის კამარაზე ღრუბლის ჭაჭანება არ ჩანდა. ამიტომ ჭექა-ქუხილის მოახლოების ნიშანწყალიც კი არ იგრძნობოდა. არაგვის სწრაფი და ანკარა წყალი მდორე მტკვარს ერთვოდა. ხეხილის ბალებითა და ყანებით გარემოცული მცხეთა საამო სანახავი იყო. მისი ვინრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩა-შუკებიდან ადამიანთა მხიარული გადაძახილები გაისმოდა. მცხეთაში, სადაც სვეტიცხოველში უფლის კვართი ასვენია, ხალხი გიორგობის აღსანიშნავად ემზადებოდა.

უცბად არმაზისხევის კარიბჭესთან ხალხი აჩოჩქოლდა. ახლო-მახლოდან ცნობისმოყვარე ადამიანები მორბოდნენ. მალე იმგვარი ბობოქრობა შეიქნა, თითქოს ურჯულო მომთაბარეები უტევდნენ მცხეთას და ცდილობდნენ მის დაპყრობას. მტრის დასახვედრად ზოგიერთი მცხეთელი ჯაჭვის პერანგით, შუბით, მშვილდითა და ორლესული მახვილით აღიჭურვა. ხალხი გამალებით მიემართებოდა არმაზისხევის ჭიშკართან, მდინარე მტკვრის პირას მდებარე სასტუმრო „მეფის ხიდისკენ“, სადაც ცნობისმოყვარე და სეირის მაცქერალ ხალხს მოეყარა თავი. ამგვარი ორომტრიალი მაშინ ხშირი იყო. წარჩინებული მებატონეები ერთმანეთს ემტერებოდნენ, მეფე გავლენიან ერისთავებს ებრძოდა, გარეშე მტრები კი მეფეს. გარდა ამისა, ქვეყანა ყაჩაღებით, ქურდებითა და ენერგიული ლატაკ-უპოვრებით იყო სავსე, რომლებიც ებრძოდნენ ყველას და ყველაფერს. ნესრიგმორჩილი ხალხი მათ მოსაგერიებლად იარაღს არ იშორებდა. ამ მიზეზით იყო, რომ გიორგობას ატეხილი აურზაურის დროს, თუმცა არსად ჩანდა მომხდურთა თავზეხელაღებული რაზმები, მაინც უმეტესობა „მეფის ხიდის“ სასტუმროსაკენ გარბოდა.

იქ მივარდნილებმა ამ აურზაურის საბაბი შენიშნეს. ეს გაქუცულ ტყავის ჯუბიანი ახალგაზრდა კაცი იყო, რომელსაც მოგრძო პირისახე, ახალშეღინღლული მოშავო ნაბლისფერი წვერ-ულვაში, ოდნავ ამონეული ყვრიმალნი და გაყოფილი ვაჟკაცური ნიკაპი ჰქონდა. ჭაბუკს

მუქი თვალები და მცირე კეხიანი ცხვირი ამშვენებდა. მწყაზარი პირისახე მის გონიერებაზე მიგვანიშნებდა. ახალგაზრდა კაცი თავისი ასაკის კვალობაზე ბრგე და ზორბა გახლდათ. მას დაკვირვებელი ადამიანი გაღარიბებული აზნაურის უმცროს შვილად ჩათვლიდა.

ამ ახალგაზრდა კაცს იმდენად განსხვავებული ცხენი ჰყავდა, რომ მთელი ქვეყანა დაკვირვებული უცქეროდა. ეს ბეხრეკი ცხენი გარკვეული მანძილის გავლას მაინც ახერხებდა. ამ ჯაგლავს ფრიად უცნაური მოყვითალო-მომწვანო ფერი ჰქონდა. მთავარი კარიბჭით მცხეთაში შემოსული ამგვარი უცნაური ფერის ცხენის დანახვამ სავალალო-ალმგზნები შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე. ასეთი ცხენის გამო მხედარსაც ათვალწუნებით უყურებდნენ. ჭაბუკი გრძნობდა, ამ ჯაგლავზე ამხედრებული, თუ როგორი სასაცილო ჩანდა. იგი დაღონდა, როდესაც მამამ ეს ცხენი აჩუქა, მაგრამ ხათრის გამო არ შეიმჩნია. სამაგიეროდ, მამის, მეგრელი აზნაურის ნათქვამი კარგად დაამახსოვრდა:

ქუჯი! ჩვენი ოჯახის თავლაში იშვა ეს ცხენი და ერთგულად გვემსახურა. არ გაყიდო, მოკვდე სიბერიით!.. ბედმა თუ გაგიღიმა და მეფის კარზე დანიანურდი, რის უფლებასაც ჩვენი ძველი გვარიშვილობა გაძლევს, ღირსეულად ატარე სახელი აზნაურისა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში წინაპრები სახელოვნად და უმნიკვლოდ იცავდნენ. მეფისა და უშუალო მეთაურის გარდა, არავის არაფერი არ დაუთმო. დაიხსომე!.. მხოლოდ შეუდრეკელი ვაჟკაცობით და პატიოსნებით იკაფავს აზნაური გზას. შენ უნდა იყო მამაცი, რადგან, ჯერ ერთი, ოდიშიდან ხარ, მეორე ის, რომ შვილი ხარ ჩემი. არაფერს შეუშინდე! ხმლის ხმარება კარგად გასწავლე. მუშტი და მუხლი ფოლადისა გაქვს. შვილო! ცამეტ სოლიდს და იმ დარიგებას გატან მხოლოდ, ახლა რომ მოისმინე. მალამოს მომზადების ხერხს გასწავლის კიდო დედაშენი, რომელიც მას ერთმა კოლხი მედეას მიმდევარმა ბებიაქალმა ასწავლა. ეს მალამო ჭრილობებს კურნავს. ნუ მომბაძავ მე, ვინაიდან არასოდეს ვყოფილვარ სასახლეში და მხოლოდ მეფისა და ქვეყნისთვის ომების დროს მოხალისედ ყოფნა მომიხდა. მე მინდა გითხრა ბატონ ვაჩე ჩიქვანზე, რომელიც ოდესღაც ჩვენი მეზობელი იყო. მას ახალგაზრდობაში ბედნიერება ჰქონდა დაახლოებოდა მეფე დემეტრეს! მისდამი ჩვენს მეფეს ძველი მეგობრული გრძნობა აკავშირებს. ამიტომაც ვაჩე უფროსია გმირთა ლეგიონისა, საგანგებოდ განრთვნილი ხუთი ათასი მეომრისაგან შემდგარი დანაყოფისა, რომელსაც დიდად აფასებს მეფე-ბატონი. ამას გარდა, ვაჩე ჩიქვანი მეფის მიერ ბოძებულ

მიწებს ფლობს და კარგა დიდი შემოსავალიც აქვს. მანაც შენსავით დაინყო. მასთან მიდი ამ წერილით, მისგან ისწავლე და მიბაძე, რათა შენც ისეთივე წარჩინებული გახდე.

ამ მამობრივი დარიგების შემდეგ, შვილს საგვარეულო ხმალი შემოარტყა და გზა დაულოცა. მამის ოთახიდან გამოსულ ქუჯის დედა შეხვდა განთქმული კოლხური მალამოს დამზადების წესით ხელში. დედასთან გამოთხოვება, მამისგან განსხვავებით, უფრო ალერსიანი იყო. ეს იმიტომ კი არა, თითქოს მამას, აზნაურ შელიას თავისი უმცროსი ვაჟი არ უყვარდა. არა... ოჯახის თავს ვაჟკაცისათვის შეუფერებლად მიაჩნდა გრძნობას აყოლა. ქალბატონი შელია კი ქალი გახლდათ, მშობელი დედა.... აი, მან კი ცრემლები ღვარა.

ახალგაზრდა კაცი იმ დღესვე გაუდგა სატახტო ქალაქისკენ გზას. ამაყ ქუჯის, გზაში, ყოველი ღიმილი ან გამოხედვა შეურაცხყოფად მიაჩნდა. ამიტომ მშობლიური კარ-მიდამოდან მოკიდებული მცხეთამდე სულ დაბღვერილი და შემართული მიემართებოდა. მართალია, გამვლელი მისი ჯაგლაგი ცხენის დანახვაზე ღიმილს ვერ იკავებდნენ, მაგრამ იქვე ისეთ მოზრდილ ხმალს ხედავდნენ, რომ სიცილს მყისიერად წყვეტდნენ. ასე იმგზავრა ახალგაზრდამ მცხეთაში ჩასვლამდე. მაგრამ იქ კი, „მეფის ხილის“ სასტუმროს ჭიშკართან ცხენიდან ჩამოხტომისას, არავეინ გამოეგება, რაც ახალგაზრდამ უპატივცემულობად ჩათვალა და უფრო მოიღუშა. მან სასტუმროს კართან წარმოსადეგი გარეგნობის დიდებული შენიშნა, რომელიც ორ კაცს ესაუბრებოდა. ქუჯიმ გაიფიქრა, ჩემზე ლაპარაკობენო და მართლაც არ შემცდარა. ისინი მის ცხენზე საუბრობდნენ. ყოყორი ქუჯის გასაბრაზებლად კი არათუ სიცილი, არამედ ღიმილიც კმაროდა. იგი ჯიქურ მიაცქერდა უცნობ, გამჭრიახთვალეებიან, საკმაოდ დიდცხვირა, კოხტად შეკრეჭილ შავ წვერ-ულვაშიან კაცს, რომელსაც სახეზე ნაჭრილობები მოუჩანდა. მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც ქუჯი ასე გამომწვევად აკვირდებოდა უცნობ აზნაურს, ამ კაცმა მის ცხენზე ისეთი დამცინავი რამ თქვა, რომ მოსაუბრენი თავშეუკავებლად ახარხარდნენ. ამით გაავებული ქუჯი უცნობს წინ გადაუდგა და ხელი ხმლის ვადისაკენ წაიღო.

– ეი, თქვენ, ბატონო! ვის დასცინით!

– ყმანვილო! მე მგონია, თქვენთვის არაფერი მითქვამს... ისე, მართლაც, უცნაური და იშვიათი ფერი კი აქვს ამ ცხენს. – უცნობმა დამცინავი მზერა ცხენიდან მხედარზე გადაიტანა. ამან კიდევ უფრო გააორომაგა უცნობის თანამოსაუბრეთა ლაზღანდარობა.



– თქვენ ჩემს ცხენს დასცინით და მაშასადამე მხედარსაც!.. მე კი ეს არ მსიამოვნებს! – შეჰყვირა ქუჯიმ.

– შენ გგონია, ჩვენ გვინტერესებს, თუ შენ რა გსიამოვნებს!..

– მიუგო უცნობმა მბრძანებლური იერით და გაემართა ჭიშკრისაკენ. გაშმაგებულმა ქუჯიმ ხმალი იშიშვლა და აბურჩად ამგდებ უცნობს ხმალოღებული დაედევნა. უცნობმა დიდებულმა დაინახა, რომ საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო და მანაც იშიშვლა ხმალი. მაგრამ სასტუმროს მეპატრონის ჯოხებით შეიარაღებულმა მსახურებმა ქუჯის დაუნყეს ცემა. მდგომარეობა, ქუჯის სანინაალმდეგოდ, უცბად შეიცვალა. მისმა მოწინააღმდეგემ კი ხმალი ქარქაშში ჩააგო და ჩხუბს ჭმუნვით ადევნებდა თვალყურს.

– შე მხდალო! – იძახოდა ქუჯი და თან სასტუმროს დაუნდობელ მოსამსახურეებს იგერიებდა.

– ოჰ, ეს მეგრულ-იმერული ფახიფუხი და ყოყორობა... ალბათ, გამოუსწორებელია! – წაიბურტყუნა უცნობმა აზნაურმა.

ჯიუტი ქუჯი კი დანებებას არ აპირებდა. ბოლოს მას ხმალი გადაუტყდა, თავში კეტიც მოხვდა და მიწაზე გაიშხლართა. სასტუმროს მეპატრონის მსახურებმა გულწასული ქუჯი ოთახში შეიტანეს. ხალხი კი ახლომახლო ადგილებიდან სეირის საცქერლად მოისწრაფოდა.

– ეს ყოყორი ახალგაზრდა როგორ არის? – ჰკითხა სასტუმროს მეპატრონეს უცნობმა აზნაურმა.

– ვიდრე უგონოდ იყო, შევამონმე და ფრიად მსუბუქი ქისის მეტი არაფერი აღმოაჩნდა. სანამ გული მეორედ წაუვიდოდა, ამაყად წამოაბოდა: უჰ, ტფილისში რომ მომხდარიყო ეს ამბავი, მე ვიცი, როგორ ვანანებდიო!.. ვნახოთ, ერთი რას ბრძანებს ბატონი ვაჩე ჩიქვანი, როცა გაიგებს, რა შეურაცხყოფა მიაყენეს ადამიანს, რომელსაც ის მფარველობსო. – მიუგო მეპატრონემ.

– ვაჩე ჩიქვანი ახსენა?.. – თქვა უცნობმა და ჩაფიქრდა.

– დიახ, გულწასულს წერილი ჰქონდა ჯიბეში, მეფის მონასპის მეთაურის ვაჩე ჩიქვანის სახელზე.

– ეს გაავებული მუტრუკი ნუთუ ვაჩემ მომიგზავნა?! – კბილებში გამოსცრა უცნობმა და სახის გამომეტყველება შეეცვალა, – მასპინძელო! ეგ გიჟი ახლა სადაა?

– ჭრილობებს უხვევენ, ხოლო მისი ნივთები სამზარეულოშია.

– ჰო, დანახარჯის ანგარიში წარმომიდგინე და ჩემი მსახურიც გააფრთხილე, მოემზადოს. აბა, ჩქარა გააკეთე ის, რაც დაგავალე. – ბრძანა

უცნობმა და სამზარეულოსაკენ წავიდა. „საინტერესოა, რა წერია ვაჩე ჩიქვანისადმი მიწერილ წერილში?“ გაიფიქრა.

სასტუმროს მეპატრონე დანახარჯის დასათვლელად ოთახში შევიდა, სადაც ქუჯი უკვე მოსულიერებული დახვდა. ჯერ კიდევ დარეტიანებული ქუჯი ლოგინიდან წამოდგა და ოთახიდან ბარბაცით გავიდა. უცბად თავის შეურაცხმყოფელს მოჰკრა თვალი. უცნობი ქუჩაში ეტლთან იდგა და ერთ ლამაზ ბანოვანს ემუსაიფებოდა. ეტლში მოხდენილი პირისახის, შავ დალაღებიანი, მომწვანო მიბნედილ თვალებიანი და სწორი, ოდნავ აპრეხილ ცხვირიანი, მიმზიდველი ქალი იჯდა. იგი უცნობს გაცხარებით ებაასებოდა.

– მამ... დავით ბატონიშვილი მავალებს? – თქვა ქალმა.

– თქვენ ტრაპიზონს უნდა დაბრუნდეთ და იქიდან აცნობოთ ბატონიშვილს, გელასი კომინი სად ბრძანდება. კონსტანტინეპოლში ხომ არ წასულა. დანარჩენი დავალებები ამ ჩანთაშია, წერილობით, რომელსაც მაშინ გაცნობით, როდესაც შავ ზღვას გადაცურავთ და ტრაპიზონს მიუახლოვდებით. მე კი ტფილისში უნდა დავბრუნდე.

ამ დროს გახელებული ქუჯი სასტუმროს ეზოში გამოვარდა.

– ჰოჰ... ამჯერად ველარ გამექცევი, ლაჩარო!

უცნობი სწრაფად ცხენს მოახტა და აღმოსავლეთისკენ გააჭენა. ამავე დროს ეტლიც სწრაფად დაიძრა და გეზი დასავლეთისკენ აიღო.

– მართლაც ლაჩარი ყოფილა! – აღნიშნა სასტუმროს პატრონმა, რომელიც ასეთი საუბრით ქუჯის გულის მოღობობას და მის შემორიგებას ცდილობდა.

– მხდალზე უარესია ეგ!.. მაგრამ მართლაც მშვენიერი იყო ის ქალი.

ქუჯი მეორე დილით ადრე წამოდგა და ჩავიდა სამზარეულოში. სადაც ზეთი და კიდევ რამდენიმე სხვადასხვა დასახელების საკმაზი მოითხოვა... მან დედის მიერ მოცემული მალამოს დამზადების წესი გაიხსენა და ამის მიხედვით წამალი გაიკეთა. ალბათ მართლაც უებარი წამალი იყო დედიკოს მალამო, რომლის წყალობითაც მეორე დღეს თითქმის განიკურნა. ქუჯიმ გადაწყვიტა ტფილისისკენ გზის გაგრძელება. როდესაც დანახარჯის გადახდა დააპირა და ჯიბიდან ქისა ამოიღო, შენიშნა, რომ ვაჩე ჩიქვანისადმი მიწერილი მამის წერილი სადღაც გამქრალიყო.

– ბატონ ვაჩესთან წარსადგენი, მამაჩემის წერილი?!. მიპოვეთ წერილი, თორემ დაგხოცავთ ყველას! – ყვიროდა იგი.

– მართლაც და სად გაქრა ეს წერილი? – თქვა სასტუმროს მეპატრონემ, რომელიც მიხვდა, რომ ქუჯი სამართლიანად აღშფოთდა.

ქუჯის მუქარამ სასტუმროს მეპატრონე შეაშფოთა. მეფის, დავით დიდვეზირისა და უწმინდესი ჭყონდიდელის შემდეგ ბატონ ვაჩე ჩიქვანის სახელს ყველაზე ხშირად გაიძახოდნენ მხედრები და ამ ქვეყნის მცხოვრებლები. სასტუმროს შეშინებული მეპატრონე თავად შეუდგა დაკარგული წერილის ძებნას.

– ფუი ეშმაკს, ჯანდაბა! თქვენი წერილი მგონი გუშინდელმა დიდებულმა ამოგაცალათ, მოგპარათ! – აღნიშნა სასტუმროს მეპატრონემ უნაყოფო ძებნის შემდეგ.

მამის წერილის დაკარგვით აღშფოთებულმა ქუჯიმ მეორე დღეს დანახარჯი გადაიხადა, დაღონებული შეჯდა ცხენზე და ყოველგვარი ხიფათის გარეშე ტფილის-ქალაქის დიღმის კარამდე მივიდა. შესასვლელთან დიდი ბაზრობა იყო გაშლილი. აქვე მან თავისი ე. წ. ბედაური მცირე ფასად, მოხერხებულად გაყიდა.

ამგვარად, ხელმოკლე აზნაური ქუჯი ფეხით შევიდა ქალაქ ტფილისში. ქალაქში იქამდე იარა, სანამ თავისი ქისის შესაფერისი ოთახი არ დაიქირავა. ეს ოთახი ბანიანი სახლის მეორე სართულზე იყო მოწყობილი მტკვრის პირას, ანჩისხატის უბნიდან დასავლეთით მიმდებარე მხარეს, სატივეს ქუჩაზე.

ქუჯიმ მთელი მეორე დღე თავისი სამოსელის მოწესრიგებას მოაწოდო. შემდეგ იგი მჭედელთა და რკინეულობით მოვაჭრეთა რიგებს ჩაუყვავა, ხმლისათვის ახალი პირის გასაკეთებლად. აქედან კი მეტეხისაკენ გაემართა და პირველივე შემხვედრი მოქალაქისაგან გაიგო მისამართი ბატონ ვაჩე ჩიქვანის სასახლისა. ეს სასახლე თურმე მტკვრის ნაპირზე, ანჩისხატის უბანში ყოფილა განთავსებული.

ქალაქში ხეტიალით გადაღლილი ქუჯი ანჩისხატის ეკლესიის წინ, ბაღში, გრძელ მერხზე ჩამოჯდა. იგი სატახტო ქალაქის დათვალიერებით განცდილ შთაბეჭდილებებს, აღფრთოვანების გამო, თავს ვერ უყრიდა. მისი ნათელი გონება იხსენებდა გელათის აკადემიასთან არსებულ სემინარია-სასწავლებელში სწავლისას მოძღვარ, მამა ანანიას მონათხრობს ტფილისის შესახებ. რიტორიკის მასწავლებელ ანანიას მოყოლით:

ტფილისში პირველი მოსახლენი უხსოვარი დროიდან, ცხელ წყაროებთან დასახლებულან. ქალაქი შემდეგ მდინარე მტკვრის ორივე ნაპირის გასწვრივ და წავკისისწყლის მიმდებარე ადგილებში გადაიჭიმა. იქვე, ქედზე დედაციხე, კოშკებიანი გალავნით შემოფარგლული შურისციხე ანუ კალა-ტფილისი მდებარეობს. ქვემოთ წავკისისწყლის

ქვედა დინებასთან აბანოთუბანია განლაგებული. მეტეხის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე კი ისნის უბანია, სადაც კლდის ქარაფზე გალავნით შემოფარგლული სამეფო სასახლეა. მტკვრით გაყოფილი ქალაქი მეტეხის ეკლესიასთან, ვინრო ადგილზე, ერთმანეთს ხიდით უკავშირდება. ტფილისი მაღალი ქვითკირის კედლებითა და მიუვალი სასიმაგრო კოშკებით დაცული, მდიდრული ქალაქია. კოშკებში მუდამ მოდარაჯე მცველთა რაზმი დგას. ქალაქის მმართველ-მოურავის სამყოფელი შური-კალას ციხე-დარბაზში მდებარეობს. ტფილისში ვინრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები და შესახვევებია. ქალაქს ამშვენებს სასახლეები, ეკლესიები, ქარვასლები, ბაზრები, სასტუმროები, სასწავლებლები, ხიდები, მოედნები, ბალები და ბუნებრივი ცხელი წყლის აბანოები. ქალაქის ცენტრად კლდისუბანთან, მეფის მოედანი ითვლება. ქუჩებისა და მოედნების ქვეშ საკმაოდ მაღალი მიწისქვეშა არხებია მოწყობილი. მეტეხის ხიდის გადმოღმა სიონისა და ანჩისხატის მიმდებარე ტერიტორიაზე მტკვარზე გადაკიდებული სასახლეები მოჩანს. ბეთლემის უბნის გასწვრივ, ფერდობებზე ტერასებად შეფენილი მჭიდროდ განლაგებული ორ-სამ სართულიანი ბანიანი სახლები დგას. ქალაქს ხუთი კარიბჭე აქვს, რომლებიც შემომავალ ძირითად გზებს კეტავს.

627 წელს ტფილისს ალყა შემოარტყა ჰერაკლე კეისრის ბიზანტიელთა ლაშქარმა, მაგრამ ქალაქი ვერ აიღეს. 737 წელს სარდალმა მურვან ყრუმ არაბთა ჯარით დალაშქრა და ააოხრა ტფილისი. დიდმა დავით IV-მ 1122 წელს ტფილისი გაათავისუფლა და შთამომავალთ სატახტო ქალაქად დაუმკვიდრა. პირუთვნელი უცხოელი მემკვიდრეები გადმოგვცემენ, რომ ტფილისი კოხტა და ლამაზი ქალაქი ყოფილა. მას კეთილმოწყობილი ქუჩები, მეფე-დიდებულთა და დიდვაჭართა სასახლეები ამშვენებდა. აქ იმართებოდა სამეფოს სამხედრო ალღუმები, ზეიმ-მეჯლისები, უცხო ქვეყნის დესპანების მიღებები. აქვე ხელოსანთა თაბუნი, გაერთიანებებიც არსებობდა. კავკასიის ცენტრში მდებარე ტფილისზე მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები გადიოდა. აქ, ბაზარში არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, არამედ უცხოეთიდან შემოტანილი საქონელიც უხვად იყიდებოდა.

მამა ანანიას ამ მონაყოლის გახსენების შემდეგ ქუჯი მეტეხის მაცხოვრის ეკლესიაში შევიდა, წმინდა გიორგის ხატთან სანთელი ანთო და მუხლი მოიდრიკა. ამ დროს სწორედ მზემ გამოანათა. ეს მეტად კარგ ნიშნად ერგვნა და იმედი მიეცა, რომ ამაოდ არ ჩაუვლიდა ეს მოგ-

ზაურობა და ცხოვრებაში წარმატებას მიაღწევდა. ლამისპირს, როცა ქუჯიმ გული იჯერა ქალაქის თვალიერებით, თავის ნაქირავებ სახლში მიბრუნდა. ძილის წინ თვალი გადაავლო თავის საქციელს მცხეთაში. იგი კმაყოფილი დარჩა, რადგან წარსულში ავი არაფერი ჩაედინა, ანმყო კარგად მოეწყო და მომავლის იმედით აღსავსე დაწვა დასაძინებლად. ჯერ კიდევ მშობლიური მამულიდან გამოყოლილი მშვიდი ძილი, მეორე დღის სისხამ დილამდე გაჰყვა. დილით მარდად ადგა და ვაჩე ჩიქვანის, მამამისის სიტყვით რომ ვთქვათ, სამეფოს უმნიშვნელოვანესი პიროვნების სანახავად, ანჩისხატის უბნისკენ გასწავა.

ვაჩე ჩიქვანი ოდიშ-სამეგრელოში ცნობილი საგვარეულოს უმცროსი შთამომავალი იყო. იგი, როგორც ქუჯი, ტფილისში ცარიელი ჯიბით ჩამოვიდა. მაგრამ უსაზღვრო გულადობით, მოხერხებით და მიზანწრაფულობით მეფის კარზე დიდ წარმატებას მიაღწია. ვაჩეს მეფის ახლო მეგობრად თვლიდნენ. ვაჩე ჩიქვანის მამა ერთგულად ემსახურებოდა მეფე დავითს სელჩუკებთან ბრძოლისას. ამიტომ დიდმა მეფემ ვაჩეს მამას, ტფილისის განთავისუფლების შემდეგ, განსაკუთრებული დამსახურებისათვის, მცხეთასთან წინამურის შემოსავლიანი მამული უბოძა. როდესაც გარდაიცვალა მეფე დავითის თანამებრძოლი, სამნუხაროდ, მან თავის უმცროს ვაჟს მემკვიდრეობად მარტო ხმალი და გაჩანაგებული მამულის ნაწილი დაუტოვა.

1125 წელს დავით აღმაშენებელმა, რომელიც იწოდებოდა „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მყრობელი“, თავის მემკვიდრე დემეტრე I-ს ძლიერი და აყვავებული ქვეყანა დაუტოვა. საქართველო იმ დროს კავკასიის უმეტეს ნაწილს და მიმდებარე ძმადნაფიც ქვეყნებს მოიცავდა. მისი მეფობის პერიოდი აღინიშნა სამხედრო გამარჯვებებით. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ჯარის სათანადოდ შეიარაღებას, საგანგებოდ განვრთნასა და მკაცრი სამხედრო წესრიგის განმტკიცებას. ჯარი ახალი იარაღითა და საჭირო საალყო ტექნიკით იყო აღჭურვილი. დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ზურგის დამხმარე სამსახურს. მათ განკარგულებაში ცხენები, ჯორები, ხარები და ბორბლიანი ტრანსპორტი იყო, რითაც ლაშქრის საკვები, დაჭრილები და სხვადასხვა საჭურველი გადაიზიდებოდა. საქართველოს ჯარი ბიზანტიურ, ანუ რომის მოწინავე საბრძოლო წესზე იყო მოწყობილი.

სამეფო ხელისუფლებას ძლიერი სამეთვალყურო და მკაცრი სადამსჯელო უწყება გააჩნდა, რომელსაც სათავეში მანდატურთუხუცე-

სი ედგა. იგი სახელმწიფოს საშინაო საქმეებს განაგებდა. დემეტრეს მეფობის პირველ ნახევარში, მანდატურთუხუცესის თანამდებობა ბატონიშვილმა დავითმა შეითავსა. იმ დროს მანდატურთუხუცესი ყველაზე გავლენიანი ვეზირი გახდა. იგი ჭყონდიდელსა და ამირსპასალარზე მეტი გავლენით სარგებლობდა. მანდატურთუხუცესის თანამდებობის საგანგებო ნიშანი იყო მოოქროვილი არგანი ანუ კვერთხი, რომელიც მას ხელთ ეპყრა დარბაზობისა და სხვა სახელმწიფოებრივი საქმიანობის აღსრულების დროს.

დემეტრე პირველს უყვარდა და პატივს სცემდა ვაჩე ჩიქვანს. მაშინ ისეთი დრო იყო, რომ ყველა ცდილობდა, თავის გარშემო შემოეკრიბა ვაჩე ჩიქვანის მსგავსი მამაცი და ერთგული ადამიანები. ვაჩე ჩიქვანს, ვაჟკაცობით გამორჩეულს, შორსმჭვრეტელს, მახვილი თვალი მარტო იმისთვის ჰქონდა, რომ დაენახა, ვის ემდურებოდა მეფე, ხოლო მძიმე ხელი იმისათვის, რომ ანდერძი აეგო მათთვის. ამიტომ მეფემ ვაჩე თავისი მონასპის მეთაურად დანიშნა, რომელიც მეფისადმი უკიდევანო ერთგულებით გამოირჩეოდა. ამ მხრივ არც უფლისწული დავითი, ძე დემეტრესი პირველი ცოლიდან და მასთან დაახლოებული წარჩინებული და გავლენიანი იონა აბულეთისძე ჩამორჩებოდა მეფეს. მათ, დაინახეს რა მძლავრი ძალა შემოიკრიბა დემეტრემ და მათაც მოისურვეს, რომ ჰყოლოდათ საკუთარი მონასპისნაირი დამცველი რაზმი. ყველა ხედავდა, როგორ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მეფე და უფლისწული, რომელსაც პირველი ვეზირის თანამდებობაც ეჭირა. ისინი მთელ ქვეყანაში დაეძებდნენ ხმალობა-ფარიკაობის მცოდნე გამორჩეულ ვაჟკაცებს, რომ თავიანთ რაზმებში ჩაერიცხათ. ხშირად საღამოობით, მეფის კარზე, დარბაზებში, ჭადრაკის ან ნარდის თამაშისას, დემეტრე მეფე და მისი გავლენიანი დიდებულები ცხარე კამათს მართავდნენ თავიანთი მებრძოლ-რაზმელების ღირსებაზე. თითოეული მათგანი თავისი მებრძოლების გულადობასა და ვაჟკაცობას იკვებნიდა, სახალხოდ კი გაიძახოდნენ, უნდა აიკრძალოს ხმალში გამოწვევა და უსაგნო ჩხუბიო.

ვაჩე ჩიქვანმა მალევე მიაგნო თავისი მბრძანებლის სუსტ მხარეს და ამით მეფის ხანგრძლივი მფარველობა მოიპოვა. ვაჩე ჩიქვანი პირველი ვეზირის რაზმის მეთაურის იონა აბულეთისძის სადგომთან განგებ ავარჯიშებდა თავის მეომრებს. მათი მედიდური იერი კი აღიზიანებდათ ბატონიშვილ დავითის რაზმელებს. მეფის ერთგული მონასპელები ვაჩე ჩიქვანის მეტს არავის ემორჩილებოდნენ.

მონასპა ჯერ კიდევ დიდმა დავით IV დააფუძნა, რომელშიც ხუთი ათასი, მეფის პირად სამსახურში მყოფი საგანგებოდ განვრთნილი, რჩეული მეომარი შედიოდა. მონასპა უაღრესად გამოცდილი და სანდო მეომრებისაგან შედგებოდა და მათ ქვეყნის სამხედრო წარმატებებში დიდი წვლილი შეჰქონდათ. ხშირად ისინი საგარეო მტრების წინააღმდეგ საპასუხისმგებლო სამხედრო მოქმედებებს ატარებდნენ. მონასპაში შედიოდნენ უმამულოდ დარჩენილი ქვეყნის დიდებულები, მცირე აზნაურები და ზოგჯერ თავისუფალი მეთემეებიც. მონასპელები ქვეყანაში წარმოადგენდნენ სამეფო ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს. ეს მეომრები მუდამ მეფესთან ან სასახლეში იმყოფებოდნენ და მეფის წყალობით ცხოვრობდნენ. განუღი სასახურისთვის მონასპელები, ფულადი გასამრჯელოს გარდა, მამულებს იღებდნენ და შემდეგ დიდებულ-წარჩინებულთა რიგებს ავსებდნენ.

ზოგჯერ, ბატონი ვაჩეს ნასვამი მონასპელები დუქნებში და გასართობ ადგილებში დათარეშობდნენ. ისინი ხშირად იქვე, შუა ქუჩაში იმიშვლებდნენ ხმლებს და ერთმანეთს ეცემოდნენ. მეფის მონასპელები აღმერთებდნენ თავიანთ მეთაურს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად თავზეხელაღებული ყაჩაღებით იქცეოდნენ, მის წინაშე შიშით კრთოდნენ. ისინი ბატონი ვაჩეს ყოველ სიტყვას ხმამაღულბლივ ემორჩილებოდნენ. ვაჩე ჩიქვანს ადამიანებთან მომწუსხველი და მოხერხებული ურთიერთობების იშვიათი ნიჭი ჰქონდა. იგი გამოჩენილი მოლაპარაკე-მოსაუბრე და ბანოვანთა დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ. ამრიგად, მეფის მონასპის მეთაური ანგარიშგასაწევი და უმეტესობისათვის საყვარელი პიროვნება იყო.

ანჩისხატის უბანში, მდინარე მტკვრის პირას მდებარე ვაჩე ჩიქვანის სასახლის ეზო, რომელიც მონასპის მხედრობის, სათავო სადგომთან იყო განლაგებული, სამხედრო ბანაკს ჰგავდა. აქაურობა დილიდან დაღამებამდე მონასპის მეომრებით იყო სავსე, რომლებიც ეზოში იარაღასხმულნი დადიოდნენ.

სასახლის მთავარ კიბეზე ადიოდნენ შენევენის მთხოვნელი ტფილისელები და სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული სამხედრო სამსახურში შესვლაზე მეოცნებე აზნაურიშვილები. აქ დილიდან საღამომდე ყაყანი ისმოდა. კიბიდან მარჯვნივ მდებარე დარბაზში ბატონი ვაჩე მის სასახავად მოსულებს იღებდა, ისმენდა თხოვნა-საჩივრებს და სათანადო ბრძანებებს იძლეოდა.

იმ დღეს, როდესაც აზნაურიშვილი ქუჯი-გიორგი ბატონი ვაჩე ჩიქვანის სასახლეში მივიდა, ჩვეულებისამებრ უამრავი ხალხი ირეოდა.

ტფილისში პირველად ჩამოსულ კაცს, რასაკვირველია, ბევრად მოეჩვენებოდა. მაგრამ ქუჯი ოდიშიდან გახლდათ, იქაურები კი გამოირჩევიან ზედმეტი სითამამით. მართლაც, არ შემკრთალა, როდესაც გაილოლურსმნებით შეჭედილი მძიმე კარი და პირდაპირ შეიარაღებულ, დინჯად მოსიარულე და ხმამალა მოლაპარაკე ადამიანებში აღმოჩნდა. სწორედ ამ ღრიანცელ-ყაყანში მოუხდა გავლა ყმანვილკაცს. გულის ფანცქალით მიიწევდა წინ, თან სახეზე გაკვირვება უკრთოდა, რომლითაც ცდილობდა, ქალაქში ახლად ჩამოსულის აღტაცებული გაოცება დაემალა. იგი გრძნობდა, რომ მას თვალს არ აშორებდნენ.

ზოგიერთი მონასპელი ეზოში ხმლით კენწლაობით ირთობდა თავს. ქუჯის ეგონა, ბლაგვი ხმლით ფარიკაობენო, მაგრამ არა, სუყველანი გალესილი მახვილებით იყვნენ შეიარაღებულები. ამაყი ქუჯი ცდილობდა, არაფერი გაკვირვებოდა, მაგრამ ასეთმა ვარჯიშმა ძალიან გააოცა. მას ჯერ კიდევ გასავლელი ჰქონდა დერეფანი და მოსაცდელი ოთახი. დერეფანში უკვე აღარ იბრძოდნენ, აქ ქალებზე ლაპარაკობდნენ, მოსაცდელ ოთახში კი მეფის სასახლის ამბებს ჰყვებოდნენ. ქუჯი დერეფანში მხოლოდ წამონითლდა, მოსაცდელ ოთახში კი თავი უხერხულად იგრძნო. აქ მან გაიგონა კრიტიკა იმ პოლიტიკისა, რომელიც მთელ კავკასიას შიშისზარს ჰგვრიდა. აქ თვით მეფის კარის უმაღლესი ძალაუფლების პირთა პირად ცხოვრებას კიცხავდნენ. ეს ყველაფერი სოფლიდან ახალ ჩამოსულ ქუჯის წარმოუდგენლად მიაჩნდა და აშინებდა. იგი თვალებდაჭყეტილი შესცქეროდა იქაურობას და ყოველ სიტყვას ყურმახვილად ისმენდა.

ქუჯი სრულიად უცხო იყო ვაჩე ჩიქვანის ერთგულთა კრებულისათვის და რადგანაც მას პირველად ხედავდნენ თავიანთ შორის, მოსვლის მიზეზი ჰკითხეს. მან თავმდაბლად დაასახელა თავისი ვინაობა. მერე ხაზი გაუსვა, რომ ბატონი ვაჩეს მშობლიური კუთხიდან იყო. ქუჯიმ მსახურს, რომელიც წინასწარ გაესაუბრა, სთხოვა, მონასპის მეთაურისათვის მოეხსენებინა მისი მოსვლის შესახებ. მალე ქუჯის პირვანდელმა განცვიფრებამ გადაუარა, ოდნავ დამშვიდდა, გონება მოიკრიბა და ჩვეული დაკვირვებულობით იქ მყოფთა შესწავლას შეუდგა.

ერთ, მეტად გაცხარებულად მოლაპარაკეთა ჯგუფში მაღალი ტანის, ბრგე, მედიდური სახის მონასპელი იდგა. მას წამოსასხამის შიგნით მხედრის მშვენიერი, ბრჭყვიალა, ფართე აშურმა და ზედ ჩამოკიდებული ხმალი მოუჩანდა. იგი ამბობდა, ცოტა გაციებული ვარო და წამოსასხამი ამიტომ მოვისხიო. ყველანი აღტაცებით შესცქეროდნენ მის ოქრო-ვერცხლით განყობილ მბზინავ აშურმას.



- რას იტყვი, ეს აშურმა მიხდება?! – ამბობდა მონასპელი ამაყად.
- აჰ, ტარო! ახლა იმის მტკიცებას კი ნუ დაგვიწყებ, თითქოს ეგ აშურმა მართლა მამაშენისგან დაგრჩა მემკვიდრეობით. ალბათ, იმ ქალბატონმა გაჩუქა, ნუხელ რომ გნახეთ სიონის ტაძრისაკენ, წირვაზე ერთად მიმავალნი. – ჩაიქირქილა დამცინავად ერთმა მოსაუბრემ.
- გეფიცებით, ჩემი ნაყიდა. – უპასუხა მონასპელმა, რომელსაც ტარო უწოდეს.
- მართალს არ ვამბობ, ამო? – დაიმონმა სხვა მონასპელი.
- ამომ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია. ამ დამონმებამ ეჭვი საბოლოოდ გაფანტა და ბრჭყვიალა აშურმას ისევ აღტაცებით დაუწყეს თვალყურება და ბაასი სულ სხვა რამეზე გადაიტანეს.
- ერისთავ შამადავლეს მეჯინიბის ნათქვამზე რას იტყვით? – მიმართა ერთ-ერთმა.
- მერედა რას ამბობს იგი? – იკითხა ტარომ.
- ის ამბობს, რომ ახალციხეში მოძღვარი მამის კაბა-სამოსში გამონყობილი შადიმა ხუნანელი უნახავს, უფროსი ბატონიშვილის, ჩვენი ახალი დედოფლის გერის, დავითის უერთგულესი ადამიანი. წყეულმა შადიმა ხუნანელმა, გადაცმული ტანსაცმლის წყალობით, გაათამაშა ბატონი გუარამი, როგორც ნამდვილი სულელი.
- მაგრამ, მართალია? რასაც ამბობენ...
- ტარო, გუშინ აკი გაიმბეთ ყველაფერი. ამაზე აღარ ღირს ლაპარაკი! ბატონიშვილი დავითი კაცსა გზავნის დიდებულთან და ვილაც მოლაღატის საშუალებით იპარავს მის მიწერ-მონერას... ამ მოპარული ცილისმწამებლური წერილების გამო ადამიანს თავს კვეთენ... საბაბი?.. თითქოს მას მეფის მოკვლა სურდა. ამ ბნელით მოცული ისტორიის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.
- იმ შადიმა ხუნანელს მეც შავ დღეს დავაყრიდი! – შეჰყვირა ტარომ.
- სამაგიეროდ, შენ შავ დღეს დავაყრიდა დედოფლის გერი დავითი.
- ჰო... უფლისწული დავითი, წინა ცოლიდან, ახლა პირველი ვეზირია! – თქვა ტარომ თავის ქნევით.
- ოო... ჩემი აქ ყოფნა დროებითია, დღეს იქნება თუ ხვალ, მღვდელი გავხდები. აკი თქვენც იცით, რომ ჯერაც განვაგრძობ ღვთისმეტყველების შესწავლას. – თქვა ამომ და პირჯვარი გადაიწერა.
- ბერად აღიკვეცე, რაღას ელოდები? – წამოიძახა ერთ-ერთმა იქმდგომმა.
- ელოდება, რომ ბატონიშვილ დავითის ჯინაზე ახალმა დედოფალმა ანომ ახალი ტახტის მემკვიდრე მისცეს ქვეყანას.

– ამაზე ნუ ვიხუმრებთ, ბატონებო! მადლობა ღმერთს, დედოფალი იმ ასაკისა ბრძანდება, რომ მაგასაც აგვისრულებს. – შენიშნა ტარომ.

– ამბობენ, სევასტოსი გელასი, კომნინთა გვარიდან, კავკასიაში ბრძანდებაო... – თქვა ამომ მრავალმნიშვნელოვანი ცბიერი ღიმილით. ამ დროს დარბაზის კარი გაიღო და გაისმა მსახურის ხმა:

– ბატონი ვაჩე ჩიქვანი ელოდება აზნაურიშვილ ქუჯი-გიორგი შელიას!

ახალგაზრდა ოდიშელი აზნაური მოსაცდელი ოთახიდან მონასპელების მეთაურის ოთახში შევიდა. ვაჩე ჩიქვანი ცუდ გუნებაზე იყო, მაგრამ ყმანვილკაცს მაინც თავაზიანად მიესალმა. მისმა მეგრულმა კილომ მონასპელთა მეთაურს ღიმილი მოჰგვარა. ვაჩეს გაახსენდა თავისი ახალგაზრდობა და მშობლიური კუთხე. ეს მოგონება კი ყოველთვის ტკბილ ღიმილს ჰგვრის ადამიანს, რა ასაკისაც უნდა გახლდეს იგი. მაგრამ უცბად, ვაჩემ ქუჯის ხელით ანიშნა, საჩქარო საქმე მაქვსო. შემდეგ კარი გამოაღო და მბრძანებლური ხმით გასძახა: – ავთო! ამო! ტარო! ბატონებო, ჩემთან სწრაფად!

ამირანი და ტარიელი მოსაუბრეთა ჯგუფს მაშინვე გამოეყვნენ და ვაჩესთან დარბაზში შევიდნენ. ვაჩე ოთახში ბოლთას სცემდა და რამდენჯერმე განრისხებული სახით წინ ჩაუარა ამოსა და ტაროს, რომლებიც გაჯგიმულები იდგნენ. უცებ, აღელვებული ვაჩე, მათ წინ შეჩერდა.

– იცით, მეფე დემეტრემ ნუხელ რა მითხრა?!

– არა, ბატონო ვაჩე, ჩვენ არ ვიცით, იმედია თქვენ გვეტყვი. – მიმართეს ორივემ მოწინებით და თავი მოიკატუნეს.

– სამწუხაროდ, მეფის კარზე ჩვენს მონასპელებს სახელი ძალიან გაუტყდათ. ნუხელ, წარდის თამაშისას, უფროსი უფლისწული, ვეზირი დავითი დამწუხრებული სახით უამბობდა მეფეს, რომ ეს ჩხუბისთავი და აბეზარი მონასპელები რიყის უბნის დუქანში დიდხანს დარჩენილან საქეიფოდ და ბოლოს აყალმაცალი აუტეხიათ. მერე, ქალაქის მოურავის იონა აბულეთისძის გუშაგთა რაზმი თურმე ძულელებული გამხდარა, დაეკავებინა ის მყუდროების დამრღვევებიო... თქვენ უკეთ გეცოდინებათ ეს ამბავი! ჩემი მონასპელები დაიჭირეს! თქვენც იქ ბრძანდებით! შეკამათება არ გაბედოთ! ეგ ხმლები რისთვისა გაქეთ? სათამაშოდ?! ჰო, ავთოს ვერ ვხედავ! სად არის ავთანდილი?

– ბატონო... ავთო ცუდადაა...

– ცუდად? რა სჭირს? დაჭრილია? ვაჰ! რას წარმოვიდგენდი? გეყურებათ, ბატონებო, მე არ მინდა, რომ ჩემი მეომრები სადღაც ბინძურ დუქ-

ნებში დაიარებოდნენ, ქუჩაში ჩხუბობდნენ და ხმალობდნენ გზაჯვარედინებზე. არ მინდა, რომ ჩემი რაზმელები დაცინვის საბაბს იძლეოდნენ!

ამო და ტარო ბრანისაგან აღშფოთდნენ და წამონითლდნენ. მაგრამ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თუ ბატონი ვაჩე ემდურებოდა და უჯავრდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი მეომრები უყვარდა. მოსაცდელ ოთახში ყველამ გაიგო, რომ ბატონმა ვაჩემ ავთო, ტარო და ამო გამოიძახა. მათ შეამჩნიეს, რომ მეთაური უკიდურესად განრისხებული იყო. ეს ამბავი ცნობისმოყვარეებმა მთელ სასახლეს სწრაფად მოსდეს. ამის შემსწრე ქუჯიმ აღარ იცოდა, სად წასულიყო. მას ერჩია, მინა გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო. გაფითრებული ქუჯი თვალებს აცეცებდა და დასამალ ადგილს ეძებდა.

– ხომ ხედავთ! მანდატურთუხუცესის და ვეზირის, ბატონიშვილ დავითის მეგობარ, მოურავ იონა აბულეთისძის რაზმელები მეფის მონასპელებს აპატიმრებენ! – განაგრძო ვაჩემ, – ხომ ხედავთ! უფროსი უფლისწულისადმი დაქვემდებარებულმა, ქალაქის დაცვის ხუთმა რაზმელმა დააპატიმრა მეფის ხუთი მონასპელი! გადანყვეტილი მაქვს, ახლავე წავიდე ისნის სასახლეში, ვთხოვო, გამათავისუფლონ მეფის მონასპის მეთაურის თანამდებობიდან და ვისიმე თანაშემწედ დამნიშნონ უფლისწულის მეგობრის იონა აბულეთისძის წესრიგის დამცველთა რაზმში.

– თუ ასეა, ბატონო ვაჩე, მაშინ მომისმინეთ, – მიმართა ტარომ, – მართალია, თავიდან ხუთი ხუთზე ვიყავით, მაგრამ ჩვენ მუხანათურად დაგვესხნენ თავს და მერე კიდევ მოიშველიეს რაზმელები. მოულოდნელად, ვერაგულად მოგვიკლეს ორი ამხანაგი, ავთოც მძიმედ დაიჭრა და ვერაფერს გვშველოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ არ დავნებებივართ და ხელიდანაც დავეუსხლტით. აი, სინამდვილეში რა მოხდა.

– ჰო, ეგ არ ვიცოდი, ჩანს, გაუზვიადებიათ... – ამოთქვა ოდნავ დამშვიდებული ხმით ვაჩემ.

– ოლონდ, ბატონო! – განაგრძო ამომ, როდესაც ნახა, რომ ვაჩე მშვიდდებოდა და შეიძლებოდა მისი თხოვნაც შეენყნარებინა, – ნუ იტყვით, რომ ავთო დაჭრილი გახლავთ, თავს მოიკლავს, თუ გაიგო, რომ მეფის ყურამდე მიაღწია ამ ამბავმა. უნდა მოგახსენოთ, მისი ჭრილობები ძალიან საშიშია... – ამ დროს კარი გაიღო და შესამჩნევად ფერმკრთალი, წარმოსადეგი ვაჟკაცი შემოვიდა.

– ავთო! – ერთხმად შეჰყვირეს მონასპელებმა.

– ბატონო! როგორც გადმომცეს, თქვენ გამოგიძახებთ... აი, მეც გამოვცხადდი. – მიმართა დაჭრილმა ავთომ მეთაურს წყნარი ხმით და მტკიცე ნაბიჯით წავიდა ვაჩესაკენ.

– ახლახან, ამათ ვეუბნებოდი, რომ ჩემს ქვეშედომებს ვუკრძალავ უაზრო ჩხუბებში ჩაბმას და უმიზნოდ თავის განირვას. – ამ დროს ვაჩემ ავთოს ხელი ისე ღონივრად ჩამოართვა, რომ დაჭრილმა მხარში ტკივილს ველარ გაუძლო, ფერი დაკარგა, გული შეუღონდა და ძირს დაეცა. – ჩქარა! ჩემი დასტაქარი! ავთო ცუდადაა! – შეჰყვირა ვაჩემ. ამ ყვირილის გაგონებაზე მოსაცდელიდან ვაჩეს ოთახში ცნობისმოყვარე ხალხი შეცვივდა. ეს ყველაფერი ისე უცბად მოხდა, რომ კარის მიკეტვა არავის აზრდაც არ მოსვლია. ამ დროს დასტაქარიც მოვიდა და ითხოვა, რომ დაჭრილი მეზობელ ოთახში გაეყვანათ. ამომ და ტარომ თავიანთი ამხანაგი ხელში აიყვანეს და მეორე ოთახში, სადაც ხალხი არ იყო, იქ გადაიყვანეს. დაჭრილთან მხოლოდ დასტაქარი და ვაჩე დარჩნენ. ავთო გონზე მოვიდა. დასტაქარმა განაცხადა, რომ მის მეგობრებს შეეძლოთ გულდამშვიდებით ყოფილიყვნენ, რადგან დაჭრილის მდგომარეობა საშიში აღარ იყო.

ბატონი ვაჩეს ოთახი, რომელშიც ადრე ერთობ დიდი მონინებით შედიოდნენ, ახლა მოსაცდელ დარბაზს დამსგავსებოდა, სადაც ხმამაღლა ლანძღავდნენ დავით ვეზირის რაზმელებს. შემდეგ ვაჩემ ხელით ანიშნა და ოთახიდან ყველანი გავიდნენ. აქ მარტო ქუჯი დარჩა, რომელსაც არ დავინყებოდა, რომ შეხვედრა ჰქონდა დანიშნული და ჯიუტად იცდიდა. ვაჩე მალევე მობრუნდა და შენიშნა ყმანვილი კაცი, რომელიც იქვე მორიდებით იდგა. ამ დავიდარაბაში ეს ახალგაზრდა სრულიად დავინყებოდა. ქუჯიმ ხელმეორედ მოახსენა თავისი ვინაობა და მოსვლის მიზეზი.

– უკაცრავად, ჩემო თანამემამულევ, სრულიად გადამავინყდი. რას იზამ, მონასპელთა მეთაური იგივე ოჯახის მამაა. მას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. სულ იმას ვცდილობ, რომ ჩვენი მეფის ყველა ბრძანება ზედმინევნით ასრულდეს... ჰო, მე, ძალიან მიყვარს მამათქვენი, რა შემიძლია გავაკეთო მისი ვაჟისთვის?

– მოგახსენებთ, ბატონო, სულ იმას ვფიქრობდი ოდიშიდან აქ მოსვლამდე, მეფის მონასპაში ჩარიცხვა მეთხოვა თქვენთვის, მაგრამ რაც აქ ვნახე... არაფრით არ დამიმსახურებია, ვხედავ ამას ცხადად მე.

– ამ წარჩინებულ რაზმში შესვლა მართლაც ბედნიერებაა, მაგრამ ეს შეიძლება არც ისე მიუწვდომელია, როგორც შორიდან ჩანს. სამწუხა-

როდ, უნდა გითხრა, რომ მეფის მონასპაში მხოლოდ მას იღებენ, ვისაც რამდენიმე ლაშქრობაში მიუღია მონაწილეობა და თავიც გამოუჩენია. ან კიდევ ერთი წლის განმავლობაში სხვა რომელიმე რაზმში უმსახურია. მაგრამ... მამათქვენის, ძველი მეგობრის პატივისცემით, მზად ვარ, დაგეხმარო... სამწუხაროდ, ჩვენი მხარის აზნაურები არც ძალიან მდიდრები არიან, არა მგონია ამ მხრივ რამე შეცვლილიყო. ყმანვილო, კარგად ვიცნობ ჩემი კუთხის ხალხს. მე რომ სატახტო ქალაქ ტფილისში ჩამოვედი, ოცი სოლიდი მედო ჯიბეში, მაგრამ ვინმეს რომ ეთქვა, შენ მთელი აბანოთუბნის ყიდვა არ შეგიძლიაო, მაშინვე ხმაღს ვიძრობდი.

ქუჯი სწრაფად გაიჯგამა, მას ხომ, ბედის საძიებლად წამოსულს, გაყიდული ცხენის წყალობით უფრო მეტი ფული ჰქონდა ქისაში, ვიდრე ვაჩე ჩიქვანს თავისი წარმატებული აღმასვლა-კარიერის დაწყებისას.

– მაშ, ასე, უნდა შეინარჩუნო, რაც გაქვს და იცი, მაგრამ, ამასთანავე, აუცილებელია გაიწვრთნა ყოველივე იმაში, რაც ყმანვილი კაცის აზნაურიშვილობას ამტკიცებს. დღესვე მივწერ სამეფო სამხედრო სასწავლებლის გამგეს, რომ მიგიღოს... იქ შენ ტაქტიკას, ცხენოსნობას, ფარიკაობას, ნადირობას და სხვა რამეებს შეისწავლი. იქვე კარგ ნაცნობებს შეიძენ. ხანდახან ჩემს სანახავადაც გამოივლი და მეტყვი, როგორ მიდის საქმეები, ან რით შემოიძლია დაგეხმარო.

– ეჰ, ბატონო! ახლა ვხედავ, როგორი დანაკლისია მამაჩემის მიერ გამოტანებული, თქვენთვის წარსადგენი წერილის უქონლობა.

– მართლა, ჰო... გამიკვირდა, რომ მამის წერილი არ წარმომიდგინე!

– წერილი წამოვიღე, ბატონო, მაგრამ ვერაგულად მომპარეს. – ქუჯიმ მცხეთაში მომხდარი ამბავი ვაჩეს გამოწვევლივით მოუყვა. მან უცნობი დიდებულის დამახასიათებელი ნიშნებიც კი დანვრილებით აღუწერა.

– უცნაურია... მაშ, თქვენ ხმამაღლა მახსენეთ?... – წარმოთქვა ჩაფიქრებულმა ვაჩემ.

– დიახ, შეეცდი, მაგრამ თქვენი სახელი გზაში მფარველობდა მე...

პირფერობა მაცდური რამ არის. ვაჩე ჩიქვანსაც სიამოვნებდა, როცა მას გადამეტებულად, უძლეველ და გავლენიან რაინდად წარმოაჩენდნენ. მასაც ისევე უყვარდა ეს, როგორც სხვა დიდებულებს და მათ ხელისუფლებას. ვაჩემ თავი ვერ შეიკავა და სახეზე კმაყოფილება მოეფინა.

– ერთი მითხარი, იმ აზნაურიშვილს სახეზე ჭრილობა ეტყობოდა?

– დიახ, თითქოს ისრის განაკანრიო.

– წარმოსადეგი კაცი, ფერმკრთალი სახისა, შავთმიანი?

– დიახ, სწორედ ეგ გახლავთ. ჰოჰ, თუ როდესმე ვიპოვე, გეფიცებით, თუნდაც ეშმაკებმა გადამალონ...

– ქალს ელოდებოდა? – განაგრძო ვაჩემ.

– ყოველ შემთხვევაში, მცირე ხნით საუბრის შემდეგ მასთან, საჩქაროდ ცხენს მოახტა და გაქუსლა.

– ხომ არ იცით, რაზე ლაპარაკობდნენ?

– ქალს მან საჭირო დარიგებები გადასცა და უთხრა, რომ ტრაპიზონში მისვლამდე არ გასცნობოდა მათ.

– იმ ქალს ბორენას ეძახდა? ის არის! მე კი ისევ ანისში მეგონა. – ნაიჩურჩულა ვაჩემ.

– ბატონო! თუკი იცით, ვინ არის ის კაცი, მიბრძანეთ მისი ვინაობა და მერე თქვენ აღარაფრით შეგანუხებთ. ოღონდ მისი ჯავრი ამოვიყარო და ყველაფერზეც უარს ვიტყვი მე.

– უფალმა დაგიფაროს! პირიქით, გირჩევ, ამ კაცს ერიდე, ნუ დაუპირისპირდები.

– ჰოჰ, ვერ შემაჩერებს ეგ! შევხვდე ოღონდ კი სადმე!.. – თქვა ქუჯგიმ.

ვაჩეს უცბად თავში ეჭვმა გაუელვა. რა იყო ეს უკიდევანო სიძულვილი, რომელსაც ასე მძაფრად გამოხატავდა მის წინ მდგომი ყმანვილი იმ უცნობისადმი, რომელმაც ვითომ მამის წერილი მოჰპარა? ეს კაცი, რომელიც თავის თავს აზნაურ ქუჯგი-გიორგის უწოდებს, მტრების მოგზავნილი ჯაშუში ხომ არ არის? ვნახოთ, გამოვცდი... ვაჩე ახალგაზრდას, რომელსაც მეტყველი სახე და მოჩვენებითი თავმდაბლობა ჰქონდა, უფრო მეტად დააცქერდა.

– ჩემო ქუჯგი! მჯერა წერილის დაკარგვის ამბავი, მინდა ჩემი ძველი მეგობრის შვილს გაეანდო ჩვენი პოლიტიკის საიდუმლოება. მომისმინე! მეფეს და უფროს ბატონიშვილს, პირველ ვეზირს საუკეთესო ურთიერთობა აქვთ ერთმანეთში, მათი გარეგნული უთანხმოება მხოლოდ სულელებს უხვევს თვალს. ამიტომ არ მინდა, ჩემი თანამემამულე, წარმატებისკენ გზის მაძებარი, მოუშაადებლად გაეხვიოს ამ თვალთმაქცობაში, გულწრფელად სჯეროდეს, რასაც დაინახავს და თვალდახუჭული გაებას მახეში ისე, როგორც მრავალი სხვა. ჩემს მდგომარეობას კარგად დაუფიქრდი, მიიღე მხედველობაში, რომ მე ერთგულად ვემსახურები ამ ორ ყოვლისშემძლე დიდ ბატონს. ჩემს მოქმედებას არასოდეს არა აქვს სხვა მიზანი, თუ არა სამსახური მეფისა და ქვეყნისა. ჩვენი მემკვიდრე უფლისწული უბრწყინვალესია იმ

დიდებულთა შორის, რომლებიც კი ოდესმე ამ ქვეყანას ჰყოლია. მაშ ასე, გაითვალისწინეთ ყოველივე ეს. – ვაჩემ გაიფიქრა: „თუ მტრებმა გამომიგზავნეს ეს კაცი, მაშინ ახლავე მიპასუხებს, რომ იგი ვერ იტანს ჩემ მტრებს“. მაგრამ ვაჩეს იმედი გაუცრუვდა, მისი მოლოდინის საპირისპიროდ ქუჯიმ ბუნებრივი უბრალოებით უპასუხა.

– სწორედ მასეთივე განზრახვით გეახელით ტფილისს მეც! მამაჩემმა მიბრძანა, არავისთვის დამეთმო, გარდა მეფისა, ბატონიშვილებისა და თქვენი, რომლებიც მას ქვეყნის პირველ პირებად მიაჩნია, – ქუჯიმ იემ-მაკა და მეფე-უფლისწულებს ვაჩე ჩიქვანიც მიუმატა, რადგან ფიქრობდა, რომ ასეთი პირფერობით არაფერი წახდებოდა, – მე დიდი პატივისმცემელი გახლავართ ჩვენი ბატონისშვილი დავითისა. თქვენ ბრძანეთ, რომ გულახდილად მელაპარაკებით, საბედნიეროდ, მეც თქვენი შეხედულებისა გახლავართ. მაგრამ თუ ეჭვი გაქვთ რაიმე...

მეტად გაკვირვებული დარჩა ვაჩე ჩიქვანი. ასეთი გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა მისასაღმებელი იყო, თუმცა ეჭვი კი საბოლოოდ მაინც ვერ გაეფანტა.

– პატიოსანი ბიჭი ჩანხარ, მაგრამ ამჟამად იმის მეტს ვერას დაგეხმარები, რაც წელან დაგპირდი. ჩემი სახლის კარი ყოველთვის ღია იქნება შენთვის. შენ, ალბათ, დასახულ მიზანს ადვილად მიაღწევ.

– ბატონო, გასაგებია, თქვენ გნებავთ მტკიცებულება, რომ მე ღირსი გახლავართ მონასპელობისა. თქვენ დიდხანს ლოდინი არ მოგიწევთ!

– თქვა ქუჯიმ ოდიშური მოურიდებლობით და თავი მდაბლად დაუკრა.

– მოითმინე! – შეაყენა ვაჩემ, – მე ხომ წერილს დაგპირდი მხედართა სასწავლებლის გამგესთან...

– არა, ბატონო, მერწმუნეთ, რომ ამ ბარათს ის ბედი არ ეწევა, რაც მამაჩემის წერილს ეწია.

ვაჩემ ქუჯი ფანჯარასთან დატოვა, სადაც ამ ხნის განმავლობაში ლაპარაკობდნენ. თვითონ კი მაგიდასთან მივიდა და დანაპირები წერილის წერას შეუდგა. ქუჯი, რომელსაც არაფერი საქმე აღარა ჰქონდა, ფანჯარაში ეზოდან გამოსულ მონასპელებს აყოლებდა თვალს. ვაჩე ჩიქვანი წამოდგა, მივიდა ქუჯისთან, რომ წერილი მისთვის მიეცა, მაგრამ უცბად, მან შეამჩნია, რომ ქუჯი სიბრაზისაგან წამოწოლდა და ოთახიდან ყვირილით გავარდა.

– ჰოჰ, ახლა კი ველარ წამიხვალ მე!

– ყმანვილო ვინ არის? – იკითხა ვაჩე ჩიქვანმა.

– ის, ჩემი მცხეთელი ქურდი, არამზადა! – უპასუხა ქუჯიმ და გაიქცა.

– რა ეშმაკმა გააგიჟა?! იქნებ ესეც ხერხი იყო, რომ მარჯვედ გამქცეო-  
და, რაკი ჩემი მტრების დავალება ვერ აასრულა?... – ჩაიბურტყუნა ვა-  
ჩემ.



## – თაჰი 2 –

გახელებული ქუჯი სწრაფად გავარდა ვაჩე ჩიქვანის ოთახიდან და  
კიბეზე დაეშვა. მაგრამ აქ ამომავალ მონასპელს ისე მაგრად დაეჯახა,  
რომ ამ უკანასკნელმა ტკივილისაგან შეჰყვირა.

– ბოდიში, პატივცემულო, მაგრამ ძალიან მეჩქარება მე.

– ძალიან გეჩქარება? ბოდიში საკმარისია? – შეუტია ტკივილისაგან  
ფერნასულმა მამაკაცმა.

ქუჯიმ ეხლალა იცნო ავთო, რომლისთვისაც დასტაქარს ჭრილობა  
უკვე გადაეხვია.

– განზრახ არ დაგჯახებოვართ. უკვე მოგიხადეთ ბოდიში და ვფიქრობ,  
საკმარისია. გეფიცებით, ძალიან მეჩქარება...

– ბატონო ჩემო, თქვენ გეტყობათ, ქალაქში ახალი ჩამოსული ბრძან-  
დებით. – ქუჯი ავთოს ამ ნათქვამმა უცბად შეაჩერა.

– ჰოჰ, თქვენ ვერ მასწავლით მე ზრდილობას, რაგინდ შორიდანაც არ  
უნდა ვიყო ჩამოსული! – მიუგო ქუჯიმ და მოკურცხლა იმ იმედით, რომ  
იქნება კიდევ დასწეოდა უცნობს. მაგრამ ქუჩის ჭიშკართან ტარო იდგა  
და ვილაც მონასპელს ესაუბრებოდა. ქუჯი ჭიშკრისკენ გაექანა, ის იყო,  
უნდა გასულიყო, რომ ქარმა ტარიელის წამოსასხამი ააფრიალა და  
ქუჯი უხერხულად შიგ გაიბლანდა. მას უნდოდა, როგორმე წამოსასხა-  
მიდან ისე გამომძვრალიყო, რომ არ შეხებოდა ტაროს საამაყო აშურმას.  
სამწუხაროდ, ამ აშურმას მხოლოდ წინა ნაწილი ჰქონდა ოქრო-ვერ-  
ცხლით მოჭედილი, ხოლო უკან ჩვეულებრივი, გაულამაზებელი ტყავი  
იყო. ტარიელს საშუალება არა ჰქონდა ძვირფასი აშურმის შექენისა და  
იძულებული იყო, მოსაჩვენებლად მხოლოდ წინიდან მოელამაზებინა,  
ხოლო უკანა მხარეს კი წამოსასხამით ფარავდა.

– ვაჰ, გაგინყრა უფალი! ფეთიანი ხომ არაა? – შეჰყვირა ტარომ და თან  
ცდილობდა, როგორმე მოეშორებინა ქუჯი.

– მაპატიეთ! ძლიერ მეჩქარება... ერთ კაცს მივდევი... – უთხრა ქუჯიმ.



– როცა ჩქარობთ, თვალები გიბნელებათ?  
– არა... იმასაც კი ვხედავ, რასაც სხვები ვერა... – უპასუხა ქუჯიმ და იგულისხმა აშურმას მეორე მხარე.

– ახალგაზრდავ, გაფრთხილებთ, ასე არ ჩაეხუტოთ მეომრებს, თორემ უთავოდ დარჩებით. კარგით, ქალაქის გარეუბანში, ლურჯ მონასტერთან, შუადღისას მობრძანდით და იქ დავამთავროთ ჩვენი საუბარი! – გახელდა ტარო.

– უთავოდო? რასაა, რომ ამბობთ! კარგით, შუადღეს, მზე რომ შუბის ტარზე იდგება... ლურჯი მონასტრის უკან! – აღელდა ქუჯი და ჭიშკრიდან ქუჩაში ისარივით გამოფრინდა.

მცხეთელი უცნობი არსად ჩანდა, არც იმ ქუჩაზე, რომელიც ქუჯიმ ჩაირბინა და არც იმაზე, რომელსაც გასცქეროდა. იგი მდინარე მტკვარზე მოძრავ ბორნამდე ჩავიდა. შემდეგ სხვა, მიმდებარე ქუჩებიც მოიარა, მაგრამ მამამისის წერილის ქურდის კვალიც კი ველარსად ნახა.

იმ დღეს ქუჯის მრავალი რამ გადახდა თავს. დღე ავბედითად დაიწყო. ჯერ ისევ დილა იყო და უკვე ბატონი ვაჩე ჩიქვანიც მომდურებული ჰყავდა, რომელიც, რალა თქმა უნდა, უზრდელობად და უმადურობად ჩაუთვლიდა ქუჯის ასე უცნაურად გამოქცევას. გარდა ამისა, მონასპელთან ორთაბრძოლა მოელოდა. ამ მდგომარეობამ დაამნუხრა. ქუჯი დარწმუნებული იყო, რომ ტაროს ხელით მოკვდებოდა, მაგრამ მოგეხსენებათ, იმედი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არა ტოვებს ადამიანს. ისიც ამ იმედს ემყარებოდა და ფიქრობდა, შეიძლება მძიმედ დავიჭრა, მაგრამ ცოცხალი მაინც გადავრჩეო. თავის თავს ფიქრებში აკრიტიკებდა. „მე თავქარიანი ვარ. რას ვერჩოდი ტაროს? ჰო... მასთან სასაცილო შეტაკება მქონდა. შლეგია კაცი, რომელიც ასე მოულოდნელად ეცემა ადამიანს და წამოსასხამის ქვეშ შეუძვრება. ბოდიშს მოვიხდინდი და მშვიდობიანად ჩამივლიდა ყველაფერი, გადაკვრით ის ოხერი აშურმა რომ არ მეხსენებინა. რა მეხუმრებოდა?.. ეჰ, ამ ხიფათს თუ გადავურჩი მე... მომავლისათვის უმწიკვლო ზრდილობა უნდა ვისწავლო. თავაზიანი კაცი განა ლაჩარია?“

ამ ფიქრით გართული ქუჯი მიუახლოვდა დუქანს სახელწოდებით – „შემოი გენაცვალე“, რომლის წინაც ამო მეფის სამ მონასპელს ელაპარაკებოდა. თავის მხრივ, ამირანმაც დაინახა ქუჯი. მაგრამ მას არ დავინწყებოდა, რომ სწორედ ამ ყმანვილი კაცის თანდასწრებით გაუბრაზდა ბატონი ვაჩე და ამიტომ სრულებითაც არ ესამოვნა. ამომ ისეთი სახე მიიღო, თითქოს იგი ვერ შეამჩნია. ქუჯი კი, აღტაცებული თავისი

გადაწყვეტილებით, რომ ყველას მიმართ თავაზიანი ყოფილიყო, მოსაუბრეებს მიუახლოვდა და მორიდებული ღიმილით თავმდაბალი სალაში მისცა. ამომ თავი ოდნავ დაუკრა. არც ისეთი სულელი იყო ქუჯი, რომ არ შეემჩნია, ის იქ რამდენად ზედმეტი იყო. ამიტომ მალევე ჩამოსცილდა მათ და თავისი ნაქირავები სახლისაკენ წავიდა. გზაში შეამჩნია, რომ ორთაბრძოლისთვის დანიშნული დრო ახლოვდებოდა და ამიტომ კითხვა-კითხვით გეზი ლურჯი მონასტრისაკენ აიღო. ტფილის ქალაქში არავის იცნობდა, ამის გამო მარტოდმარტო წავიდა ლურჯი მონასტრისკენ.

ქუჯი ჩაუფიქრდა და ღირსეული ბოდიშის მოხდას აპირებდა ტაროსთვის, რომელზედაც გულში ეცინებოდა. მას თან მაგრად ჩაბეჭდოდა გონებაში მამის დარიგება: არავის არასოდეს არაფერი დაუთმო, გარდა მეფისა, მისი ძეების და უშუალო უფროსისაო.

ლურჯ მონასტერს მალალი გალავანი შემოუყვებოდა. თვით ტაძარი მოლურჯო ჭიქურიანი კრამიტით იყო გადახურული. გარეუბანში მდგომი ამ მონასტრის უკან მცირე ხევი იყო, რომელიც მდინარე მტკვრამდე რიყეზე ჩადიოდა. ხშირად სწორედ აქ, რიყეზე, დაუნდობელი ორთაბრძოლები იმართებოდა.

უკვე შუადღე იყო, როდესაც ქუჯიმ ამ ხრიოკ და მოფარებულ ხევს მიაღწია. ტარო უკვე იქ დახვდა. იგი, ქვაზე ჩამომჯდარი, დამშვიდებული, ამაყი იერით მოელოდა თავის მონინაალმდეგეს. ქუჯის დანახვაზე წამოდგა და მის შესახვედრად წინ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. მას აშურმა გამოეცვალა და წამოსასხამიც შინ დაეტოვებინა.

– ბატონო ჩემო, ჩემს ორ მეგობარს ვაცნობე, რომ დამჭირდებოდა მათი მონქეობა, მაგრამ ჯერ არ ჩანან.

– არ მყავს მონქე მე! მხოლოდ გუშინ ჩამოვედი ტფილისს, მამაჩემმა გამომგზავნა თავისი ახალგაზრდობის მეგობარ ბატონ ვაჩესთან და მის გარდა, არავის ვიცნობ.

– მაშ, ბატონ ვაჩეს მეტს არავის იცნობთ? უსიამოვნოა ეს ამბავი... ჰო, აგერ, ჩემი ძმადნაფიცი განუყრელი მეგობრებიც გამოჩნდნენ. – ქუჯი იქით მიბრუნდა, საითაც ტარომ მიუთითა და ავთო და ამო იცნო.

– როგორ... თქვენი მონქეები ბატონი ამირანი და ავთანდილი გახლავთ?

– გაიკვირვა ქუჯი.

– ცხადია, განა არ იცით? ჩვენ უერთმანეთოდ ვერსადა გვნახავთ, მეფის ჯარში, სასახლეში, ციხე-ქალაქში, ქალაქში ყველა გვიცნობს ამ სახელით: ტარო, ავთო და ამო, ანუ სამნი განუყრელნი, შეფიცულნი!

მაგრამ თქვენ, მგონი, ლიხთიმერეთიდან მოდიხართ... – გეპატივბათ, არ იცოდეთ ეს წვრილმანი.

– ძალიან სახელები გქონიათ, ბატონო ჩემო... – ამასობაში ავთოც მოვიდა.

– ბატონო ავთო, ჭრილობა ძალიან უნდა განუხებდეთ! – მიმართა ქუჯიმ.

– ჰო, ძალიან მანუხებს... – მას ისევ ანუხებდა ჭრილობა, თუმცა ხელმეორედ შეეხვია ვაჩე ჩიქვანის დოსტაქარს.

– ნებას რომ მომცემდეთ... გასწავლიდით დედაჩემისეულ, ჭრილობის განსაკურნავი, უებარი მალამოს დამზადებას. ეს მალამო ხუთ დღეში გაგიმთელებთ მხარს. – ქუჯის მიერ ბუნებრივად წარმოთქმული ეს სიტყვები თვალსაჩინოს ხდიდა მის ადამიანობას.

– ეს წინადადება ძალიან მომწონს... იმიტომ, რომ თქვენში პატიოსან აზნაურიშვილს ვხედავ. ასე იქცეოდნენ დიდი ბაგრატი მეფის, გამაერთიანებლის დროის რაინდები. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, იმ ეპოქაში აღარა ვართ. ჩვენ ბატონიშვილ დავითის, დიდი ვეზირის დროს მოგვიხდა ცხოვრება... ჰო... ვაჰ, ეს რა ამბავია? – თქვა ავთომ.

– რა ამბავი უნდა იყოს? ბრძოლას ვაპირებთ მე და ეს ახალგაზრდა. – უპასუხა ტარომ და ქუჯიზე ანიშნა.

– ტარო, რა მიზეზით იბრძვი, რა მოხდა? – იკითხა ამირანმა.

– აბა, რა ვიცი? ვიბრძვი იმიტომ, რომ ვიბრძვი! – უპასუხა ტარომ და წამოწითლდა. ავთომ ქუჯის ეშმაკური ლიმილი შეამჩნია.

– პატარა კინკლაობა მოგვიხდა ტანისამოსის შესახებ... ახლა, ბატონო ტარიელ, რაკი თქვენ და თქვენი მოწმეებიც ერთად ბრძანდებით, ნება მიბოძეთ, ბოდიში მოგიხადოთ! – თქვა ქუჯიმ. ამ წინადადების გაგონებაზე ტაროს ტუჩებზე ცბიერმა ლიმილმა გადაირბინა, ავთო მოიღუშა, ხოლო ამოს სახეზე უკმაყოფილება აღიბეჭდა.

– ბატონებო, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრძოლას არ ვაპირებ! – თქვა თუ არა ეს, ქუჯიმ მოხდენილად იშოშვლა ხმალი. ამ წუთში მზად იყო ებრძოლა არა მარტო ამ სამეულთან, არამედ ყველა მონასპელის წინააღმდეგ. მზის სხივებმა შუქი მოჰფინეს ქუჯის მამაცურ სახეს. უკვე შუაღლე იყო და მზე ორთაბრძოლებისათვის ამორჩეულ ადგილს ყოველი მხრიდან აცხუნებდა. ქუჯიმ ტაროს ხმალი გადაუჯვარედინა. ის იყო გაისმა ფოლადის ჭლარუნი, რომ მონასტრის მხრიდან ბატონიშვილ დავითის მეგობარ, მოურავ იონა აბულეთისძის ქალაქის წესრიგის დამცველი რაზმელები გამოჩნდნენ. მათ წინ ათის-თავი სეხნია ძამელი მოუძლოდათ.

- იონა აბულეთისძის რაზმელები! – შეჰყვირეს მონასპელებმა.
- ჩააგეთ ხმლები, ბატონებო, ჩააგეთ! – მაგრამ უკვე გვიან იყო. იონას რაზმელებმა ისეთ მდგომარეობაში დაინახეს ორი მებრძოლი, რომ ეჭვს გარეშე იყო მათი განზრახვა.
- თქვენ, ეი! – შეჰყვირა სეხნიამ და ჩქარი ნაბიჯით მონასპელებისაკენ წამოვიდა, თან თავისიანებს ანიშნა, უკან მიჰყოლოდნენ. – მაშ, აქ ებრძვით ერთმანეთს? ბრძანება აღარ გახსოვთ? მეფის ბრძანებას არღვევთ?
- ძალიან დიდსულოვანი ბრძანდებით, ბატონებო, ჩვენ რომ გვენახეთ სადმე საბრძოლველად გასულნი, მერწმუნეთ, არავითარ შემთხვევაში არ დაგიშლიდით განზრახულის ასრულებას. ჰოდა, თქვენც ნუ გვიშლით ბრძოლას. – უთხრა ბოლმამორევით ავთომ.
- ძალიან ვწუხვარ, ბატონებო, მაგრამ იძულებული ვარ, უარი მოგახსენოთ! ჩვენი მოვალეობაა! ჩააგეთ ხმალი და მოგყევით, თქვენ დაკავებულები ხართ! – უპასუხა სეხნიამ.
- სიამოვნებით დავემორჩილებოდით თქვენს თავაზიან მიპატიჟებას, ჩვენზე რომ იყოს დამოკიდებული მაგ ბრძანების ასრულება. მაგრამ რა გაენყოფა, საუბედუროდ, შეუძლებელსა გვთხოვთ. რა ვქნათ, რომ ჩვენმა მეთაურმა ვაჩე ჩიქვანმა აგვიკრძალა ასეთი ქცევა? ამიტომ ჯობს თქვენი გზა განაგრძოთ, ბატონებო, ამაზე უკეთესს ვერას იზამთ.
- არ გვემორჩილებით? ძალას ვიხმართ!
- ისინი ხუთნი არიან, ჩვენ კი მარტო სამნი, დღესაც გვაჯობებენ და ჯობს, აქვე დავიხოცოთ, იცოდეთ, დამარცხებული მე ჩემს მეთაურ ვაჩეს ვეღარ ვეჩვენები, – თქვა ჩუმი ხმით ავთომ.
- ავთო, ტარო და ამო ერთმანეთს მიუახლოვდნენ. ამასობაში სეხნია თავის რაზმელებს ალაგებდა საიერიშოდ. ერთი წამი საკმარისი აღმოჩნდა ქუჯისათვის გადანყვეტილების მისაღებად. ისეთი შემთხვევა მიეცა, რომლითაც საბოლოოდ უნდა გადანყვეტილიყო მისი ცხოვრების გზა, სწრაფად და საბოლოოდ უნდა გადაეჭრა არჩევანი მეფესა და პირველი ვეზირის მომხრეებს შორის. მაგრამ ბრძოლა კანონის დარღვევას ნიშნავდა. მტრად გაუხდებოდა მეფეზე ზოგჯერ მძლავრ დავით ვეზირის დაჯგუფებას. ყველაფერი ეს სწრაფად აწონ-დანონა ქუჯიმ და მონასპელებს მიმართა:
- ბატონებო, თუ ნებას მომცემთ, ოდნავ შევასწორებ თქვენს ნათქვამს. თქვენა ბრძანეთ, რომ სამნი ხართ, მე მეოთხე ვიქნები.
- თქვენ ხომ მონასპელი არა ხართ? – უთხრა ტარომ.

– მართალია, ახლა არა, მაგრამ გული კი მონასპელისა მაქვს. ამას კარგად ვგრძნობ და ამიტომ გიერთდებით.

– განზე გადაეკით, ყმანვილო! მიბრძანდით, ნებას გაძლევთ გაგვეცალოთ! – დაუყვირა ქუჯის სეხნიამ, რომელმაც სახის გამომეტყველებით შეიცნო მისი განზრახვა. ქუჯიმ ადგილიდან ფეხი არ მოიკვალა.

– მამაცი და შეუპოვარი ყოფილა ეს ყმანვილი, თქვენი სახელი, ჩემო გულადო! – თქვა ავთომ, მაგრამ გულში სამივეს აფიქრებდა ქუჯის გამოუცდელობა.

– ქუჯი-გიორგი!

– მაშ, ავთო, ტარო, ამო, ქუჯი, ყოჩაღად წინ!

– მაშ, არ გვემორჩილებით? მეფის ბრძანებას არ ასრულებთ? – შეუტია სეხნიამ.

მეფისა და დავით ვეზირის მომხრენი გაშმაგებით მისცვივდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბრძოლის წესები არ ავიწყდებოდათ. ავთო მამისას ეცა, ტაროს ოტია ერგო, ამო ორი მონინაალმდეგის წინაშე აღმოჩნდა. რაც შეეხება ქუჯის, მას თვითონ ათისთავი სეხნია ძამელი ხვდა წილად. ქუჯი ლომივით იბრძოდა. იგი მტერს სწრაფი ნახტომებით გარს უვლიდა, იცვლიდა ადგილს და მოხერხებულად იგერიებდა მონინაალმდეგეს. სეხნია მეტად გამოცდილი იყო ამგვარ ბრძოლაში და სახელიც დიდი ჰქონდა მოხვეჭილი, მაგრამ გაჭირვებით იცავდა თავს მარჯვე და სწრაფი მონინაალმდეგისაგან. ის ძლივს იგერიებდა ქუჯის მიერ ზედიზედ მიტანილ იერიშს. ბოლოს ამგვარმა ბრძოლამ მოთმინება დააკარგვინა სეხნიას, შეცდომები დაუშვა და წონასწორობა დაკარგა. ქუჯიმ გააორკეცა სისწრაფე. სეხნიამ გადაწყვიტა, მაგარი დარტყმით ბოლო მოეღო მონინაალმდეგისათვის და ისეთი ძალით მოუქნია ხმალი, რომ უცაბედად ჩაიჩოქა. ქუჯიმ მოქნეული მოხერხებულად აიცდინა და ისეთი ძალით ჰკრა ხმალი, რომ ზურგამდე გაატანა. სეხნია მიწაზე გაიშხლართა.

ქუჯიმ ბრძოლის ველს თვალი სწრაფად მოავლო. ამოს ერთი მონინაალმდეგე უკვე მოეკლა, მაგრამ მეორე ავიწროებდა, თუმც ამოსაც კარგი მდგომარეობა ჰქონდა. ტარო და ოტია ერთმანეთს არ ჩამოუვარდებოდნენ, ტარო მკლავში დაჭრილიყო, ხოლო ოტია ბარძაყში. მაგრამ არც ერთის ჭრილობა საშიში არ იყო. ხელმეორედ დაჭრილ ავთოს ფერი მისდიოდა, მაგრამ ფეხს მაინც არ იცვლიდა ადგილიდან, ხმალი ახლა მარცხენა ხელში ეჭირა და ისე განაგრძობდა ბრძოლას. ქუჯიმ გადაწყვიტა, რომ ერთ-ერთ მონასპელს მიშველებოდა. ყმანვილი კაცი

შეჰყურებდა მათ და ცდილობდა გამოერკვია, ვის უფრო ესაჭიროებოდა მისი დახმარება. ამ დროს ავთოს გამოხედვა დაიჭირა. იგი სიკვდილს არჩევდა და საშველად არვის იხმობდა, მაგრამ მისი თვალები დახმარებას ითხოვდნენ. ქუჯიმ მას გაუგო და ერთი ნახტომით გადაუდგა მამისას.

– ჩემკენ, ბატონო რაზმელო! მე თქვენ მოგკლავთ! – მამისა მიბრუნდა, ამან სწორედ დროზე უშველა ავთოს, რომელიც აქამდე მხოლოდ თავისი მამაცობის ნყალობით იჭერდა თავს და დასუსტებული ცალ მუხლზე დაეშვა.

– ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი! არ მოკლათ, გეხვეწებით! ერთი ძველი საქმე მაქვს მაგასთან დასამთავრებელი, კარგად რომ გავხედები, უნდა გავუსწორდე... მხოლოდ იარაღი აჰყარეთ! – შეჰყვირა ავთომ.

იმნამს ქუჯიმ მამისგან ნასწავლი, საფარიკაო ილეთი გამოიყენა და მამისას ხმალი ხუთი ნაბიჯის მოცილებით გადაფრინდა. ქუჯი და მამისა ხმლისკენ გაიქცნენ მის დასაუფლებლად. მაგრამ ქუჯი უფრო ცქვიტი აღმოჩნდა, პირველი ის მივიდა და ფეხი დაადგა ხმალს. მამისამ ამოს მიერ მოკლულის ხმალი აიღო და ქუჯისაკენ გამოემართა. ამ დროს მას გზა ავთომ გადაუჭრა. იმ შესვენებამ, რომელიც ქუჯის დახმარებით მიიღო, მას ღონე შემატა და კვლავ წინ დაუდგა მამისას. ქუჯი მიხვდა, რომ ბრძოლაში კვლავ ჩაბმით ავთოს აწყენინებდა. რამდენიმე წუთში განგმირული მამისა მიწაზე დაეცა. იმავე დროს ამომაც ყელზე მიაბჯინა ხმალი წაქცეულ მოპირდაპირეს და აიძულა, ეთხოვა შეწყალება. მარტო ტარო და ოტია განაგრძობდნენ შერკინებას. საქმე კი მეტად საჩქარო იყო. შეიძლებოდა ქალაქის წესრიგის სხვა გუშაგეებიც მოსულიყვნენ და ყველანი დაეპატიმრებინათ. ბარძაყში დაჭრილი ოტია დანებებას არ აპირებდა. მაგრამ ამ დროს აგრეთვე დაჭრილმა სეხნიამ უბრძანა დანებებოდა.

– უფროსო! რაკი მიბრძანებ, უნდა დაგემორჩილო! – იგი უცბად უკან გადახტა და ხმალი მონინაალმდეგისთვის რომ არ მიეცა, შორს მოისროლა. გულადობა ყოველთვის თვით მტრისგანაც კი პატივდებულია. მონასპელებმა, ოტიას დახმარებით, სეხნია, მამისა და ამოს მიერ დაჭრილი მებრძოლი მონასტრის კართან მიიყვანეს. ამის შემდეგ გამარჯვებული მონასპელები და ქუჯი ვაჩე ჩიქვანის სასახლისაკენ გაეშურნენ. ქუჩაში ხელიხელგაყრილნი მიდიოდნენ, გზაზე შემხვედრი ყველა მონასპელი მათ უერთდებოდა. ქუჯი ნეტარებისაგან მეშვიდე ცაზე იყო.

– თუ დღეს მონასპელი არა ვარ, – მიმართა თავის ახალ მეგობრებს ბატონი ვაჩე ჩიქვანის სასახლის კარის შეღებისას, – მონასპელების შეგირდი ხომ მაინც ვარ?..



### – თაპი 3 –

ლურჯ მონასტერთან შერკინება-შეჯახების ამბავმა დიდი ხმაური გამოიწვია. ვაჩე ჩიქვანი სხვების დასანახად გაუჯავრდა თავის მონასპელებს, ხოლო ფარულად კი შეაქო. ახლა საჭირო იყო, ეს ამბავი საჩქაროდ მეფისთვის მოეხსენებინა. ამიტომ ვაჩემ დაუყოვნებლივ ისნის სამეფო სასახლისაკენ გასწავა. მაგრამ, უკვე გვიანი იყო, მეფესთან ვეზირი დავითი ბრძანდებოდა. ვაჩეს კარისკაცმა მოახსენა, მეფეს საქმე აქვს, თათბირობს და ვერ მივიღებთო. სადამოს, როდესაც ვაჩე მეორედ მივიდა, მეფე ჭადრაკს თამაშობდა და იგებდა. ამიტომ კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა. მან მოჰკრა თუ არა თვალი დარბაზში შესულ ვაჩეს, მაშინვე თავისკენ მოიხმო.

– აქეთ, ბატონო ვაჩე, კარგად უნდა შეგამკოთ! იცით, რა საჩივრით მომმართა ბატონიშვილმა დავითმა და ქალაქის მოურავმა თქვენი მონასპელების შესახებ? ეს თქვენი მონასპელები ადამიანები არიან თუ ქაჯები?

– არა, ბრწყინვალე მეფეო! ქაჯები კი არა, პირიქით, ანგელოზები არიან თქვენი მონასპელები, ამისი თავდები მე, ვაჩე გახლავართ. სულ იმას ნატრობენ, რომ ხმალი ქარქაშიდან მხოლოდ მაშინ ამოიღონ, როდესაც ამას თქვენი კეთილდღეობა მოითხოვს, მეფეო! მაგრამ, სანყლებმა რა ქნან? ქალაქის რაზმელები გაავებულები დასდევენ და ცდილობენ, რამე შარი მოსდონ და ღირსება შეუღაზონ. ამიტომ იძულებულები არიან, მამაცურად დაუხვდნენ შეურაცხყოფელს.

– მოუსმინეთ ბატონ ვაჩეს!.. თავის რაზმზე კი არა, თითქოს ქალწულთა მონასტერზე ლაპარაკობს. არ იფიქროთ, რომ მარტო თქვენ დაგიჯეროთ! ტყუილად არ მეძახიან დემეტრე სამართლიანს. ცოტა მომიტონეთ და ახლავე განვიხილავთ თქვენს საქმეს!

– სწორედ თქვენი სამართლიანობის გამო გახლავართ დამშვიდებული, მეფეო. თქვენს ბრძანებას მოთმინებით ველოდები.

– მაშ, ცოტა მოითმინეთ, ბატონო ვაჩე! დიდხანს არ გალოდინებთ. – სწორედ ამ დროს თამაშში მეფეს ბედმა უმტყუნა, მოგებულს აგებდა. ამიტომ თამაშს თავი მიაწება და წამოდგა. ხელები უკან დაიწყო და ერთ-ერთ დიდებულს უბრძანა: – ჩემს სკამზე დაბრძანდით, ჩემო, მე საჩქარო საქმე მაქვს ბატონ ვაჩესთან. საქმე უწინარეს ყოვლისა. – შემდეგ ვაჩესკენ მიბრუნდა და გვერდზე გაიყვანა.

– მაშ, თქვენ ამბობთ, რომ ქალაქის წესრიგის დამცველებმა უმიზეზოდ აუტყუეს ჩვენებს ჩხუბი?

– დიახ, როგორც ყოველთვის, სამართლიანო მეფეო.

– მერე როგორ მოხდა ეს შეტაკება? თქვენ გეცოდინებათ კარგად, ჩემო ვაჩე, და უნდა მიაბოთ, მსაჯულმა კარგად უნდა მოუსმინოს ორივე მხარეს და ისე გამოიტანოს თავისი მსჯავრი.

– მერწმუნეთ, მეფეო, სულ უბრალოდ მოხდა ყველაფერი. ჩემი რაზმის სამი საუკეთესო მხედარი, რომელთა სახელები თქვენთვის ცნობილია და რომელთა შესახებ ხშირად გამოგიტყვამთ თქვენი კმაყოფილება დავალების ერთგული შესრულებისათვის, ტარო, ამო და ავთო, სასეირნოდ ლურჯი მონასტრისკენ წასულიყვნენ ყმანვილ ოდიშელთან ერთად, რომელიც მათ სწორედ დღეს დილით გავაცანი. ისინი თურმე შეთანხმდნენ, რომ ლურჯ მონასტერთან შეკრებილიყვნენ. ის იყო, თავი მოიყარეს, რომ ამ დროს თავზე სეხნია ძამელი და მისი რაზმელები: მამისა, ოტია და კიდევ ორი, წამოადგნენ.

– აჰა! მივხვდი, უეჭველია, რომ ორთაბრძოლა ჰქონდათ დანიშნული და სწორედ თვითონ მიდიოდნენ საბრძოლველად.

– მე მათ არ ვამტყუნებ, მეფეო, მაგრამ თქვენ უკეთ განსაჯეთ, რისთვის უნდა წასულიყო ხუთი საგანგებოდ შეიარაღებული მხედარი ქალაქგარეთ, მონასტრის მიმდებარე ხევისაკენ, თუ არა ავი განზრახვით?

– ჰო, მართალი ხართ, ვაჩე!

– დიახ, და როგორც კი დაინახეს თქვენი მონასპელები, უცბად შეიცვალეს განზრახვა, დაივიწყეს ერთმანეთისადმი მიყენებული შეურაცხყოფა და თქვენი მონასპელებისადმი მტრულად განწყვენენ მოგეხსენებათ, რომ ეს ვითომ წესრიგის დამცველები დაუძინებელი მტრები გახლავან თქვენი მონასპელებისა, რომელნიც მეფეს და მხოლოდ მეფეს ემსახურებიან.

– მართალია, ვაჩე, მერწმუნეთ, სამწუხაროა, რომ მთელი ქვეყანა ორ ბანაკად არის გაყოფილი. მაგრამ მე ბოლოს მოვუღებ ამას... მაშ, თქვენ



ამბობთ, რომ ვეზირ დავითის რაზმელებმა ჩხუბი აუტეხეს ჩემს მონასპელებს? – თქვა დაღონებულმა მეფემ.

– მე იმას ვამბობ, ჩემო მეფეო, რაც მოხდა, მაგრამ ჩემზე უკეთ თქვენ მოგეხსენებათ, რა ძნელია ჭეშმარიტების დადგენა, მეტადრე, როდესაც კაცს არ გააჩნია ის საკვირველი ალლო, რომელმაც სამართლიანობის სახელი მოუხვეჭა ჩვენ მეფე დემეტრეს, დიდი დავითის სწორუპოვარ ძეს.

– მართალი ხართ, ვაჩე!.. ახლა ეს მითხარით, მგონი, მარტონი არ იყვნენ თქვენი მონასპელები, ვილაც ყმანვილი კაცი ახლდათ თან, არა?!

– დიახ, მეფეო, სამი მონასპელი გახლდათ, რომელთაგან ერთი დაჭრილი იყო, მათ ახლდა ერთი ყმანვილი. ისინი ხუთ საუკეთესო ფალავანს მამაცურად დახვდნენ. ოთხი მათგანი ძირს დასცეს.

– გამორჩეული სიმამაცეა! – შეჰყვირა გაბრწყინებულმა მეფემ, – ოთხი კაცი, მათგან კი ერთი დაჭრილი და ერთი ახალბედა! ასეა, არა?

– ყმანვილი კაცი თვითონვე ჩარეულა ბრძოლაში და ისე გაბედულად იქცეოდა თურმე, რომ, თუ არ შემრისხავთ, გავბედავ და დახმარებას გთხოვთ იმ ყმანვილისთვის.

– რა ჰქვია? ვინ არის?

– ოდიშელი აზნაურის შვილი ქუჯი-გიორგი გახლავთ, მეფეო, ჩემი ძველი მეგობრის ვაჟი. შვილი იმ კაცისა, რომელიც ნეტარხსენებულ მამათქვენთან ერთად მონაწილეობდა დიდგორის ომში.

– თქვენ ამბობთ, გაბედულად იქცეოდაო ის ყმანვილი კაცი? ვაჩე, მიაბე დაწვრილებით, ხომ იცი, როგორ მიყვარს ომისა და ბრძოლის ამბები, – მეფე დემეტრემ აინკიპა ულვაში და მამაცი მხედრის იერი მიიღო.

– დიახ, მეფეო, სრულიად ყმანვილი გახლავთ ქუჯი-გიორგი. ქალაქის, უფრო სწორად, იონა აბულეთისძეს რაზმელებმა თურმე მეტად ყმანვილად სცნეს და სთხოვეს, იქიდან წასულიყო, ვიდრე ისინი მონასპელებს იარაღით შეუტევენ.

– ჰოდა, ცხადია, რომ მათ დაუნყიათ შეტევა! – შეანყვეტინა მეფემ.

– მართალი ბრძანებაა, მეფეო, ძალა დაატანეს... მოშორდი მონასპელებსო. მას უპასუხია: გულით მეც მონასპელი ვარ, ერთგული ჩვენი მეფისა და ამიტომ მეც მათთან ვრჩებიო.

– ყოჩალი ბიჭი ყოფილა! – ჩაიჩურჩულა მეფემ.

– ჰო, და ისიც მათთან დარჩა... მალე საკმაოდ მძლავრი ფალავანი გეყოლებათ, მეფეო... როგორც გამოირკვა, მან ისე მაგრად დაჰკრა სეხნია ძამელს ხმალი, რომ სულ ცეცხლს აფრქვევს თურმე ამ რაზმის გაბრაზებული მეთაური, ერისთავი იონა აბულეთისძე.

- იმ ცმანვილმა სეხნია დაჭრა? შეუძლებელია! – შეჰყვირა მეფემ.
- სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ, ჩემო მეფეო.
- სეხნია დაჭრა? მთელ სამეფოში განთქმული მოფარიკავე?
- დიახ, სახელგანთქმულსაც მასზე ძლიერი მონინაალმდევე მოევლინა.
- მე მინდა მაგ ჭაბუკის ნახვა და სიამოვნებით დავეხმარები კიდეც!
- როდის ინებებს დიდებული მეფე მის მიღებას?
- ხვალ შუადღისას, ვაჩე!
- მარტო ის მოვიყვანო?
- არა, ერთად მომიყვანე ოთხივე, ერთად მინდა შევაქო. ასეთი ერთგული ადამიანები იშვიათია და დაჯილდოებულნი უნდა იყვნენ.
- ხვალ შუადღისას ისნის სასახლეში გეახლებით, ჩემო მეფეო!
- ჰო, ვაჩე, მცირე კარით! რა საჭიროა, ბატონიშვილ დავითის და მოურავ იონა აბულეთისძის მომხრეების გალიზიანება?
- ბატონი ბრძანდებით, მეფეო.
- ხომ იცით, ვაჩე, ბრძანება ბრძანებაა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ბრძანებითაა აკრძალული დაუნდობელი ორთაბრძოლები ჩვენს წარჩინებულებში.
- მართალსა ბრძანებთ, მეფეო, მაგრამ ეს ბრძოლა სრულიადაც არა ჰგავს ჩვეულებრივ ორთაბრძოლას. უბრალო შურით გამოწვეული ჩხუბი გახლავთ, რის დამამტკიცებელ საბუთად ისიც კმარა, რომ რაზმელები ხუთნი იყვნენ, ოთხის წინააღმდეგ.
- მართალია! მაგრამ რა გენაღვლებათ, ვაჩე, მაინც მცირე კარით ამოდით.

ღიმილი მოერია ვაჩეს, მაგრამ მისთვის ისიც საკმარისი იყო, რომ მეფეს აღშფოთება აგრძნობინა და აამხედრა თავისი გავლენიანი უფლისწულ დავითისა და იონა აბულეთისძის წინააღმდეგ.

ვაჩე მონინებით გამოეთხოვა მეფეს და შინისაკენ გაეშურა. იმ საღამოსვე აცნობა მონასპელებს და ქუჯის, რომ ხვალ ისნის სასახლეში, მეფესთან იყვნენ მიწვეულები. მაგრამ მონასპელები კაი ხანია, რაც მეფეს იცნობდნენ და ამიტომ მათში დიდი მღელვარება არ გამოუწვევია ამ მიწვევას. ქუჯი კი, თავისი გაზვიადებულ-მიამიტური წარმოდგენით, ამაში თავისი სიცოცხლის უდიდეს ბედნიერებას ხედავდა.

მეორე დღეს, სისხამ დილით ქუჯი ავთოსთან მივარდა. ავთო ჩაცმული და სახლიდან გასასვლელად გამზადებული დახვდა. მეფესთან შუადღისას უნდა მისულიყვნენ, მანამდე სამივე მონასპელმა გადაწყვიტა, აბანოთუბანში მდებარე, ბუნებრივად ცხელ აბანოში მისულიყ-

ვნენ და შემდეგ იქვე დუქანში ესადილათ. სამწუხაროდ, კარგი კახური ღვინის გარეშე, რადგან შუადღისას მეფესთან უნდა გამოცხადებულ იყვნენ. ქუჯიმაც მათ მიბაძა.

ტარო და ამო ადრე მისულიყვნენ და უკვე ნეტარებდნენ თბილი წყლით საცხე აუზში. გამოუცდელ ქუჯის სველ იატაკზე ფეხი დაუცდა და კინალამ შუბლი დაჰკრა მარმარილოს მოაჯირს. მას მაშინვე მეფესთან მისვლა მოაგონდა და გაიფიქრა, კიდეც კარგი, ავთომ შემაშველა ხელი და ცხვირ-პირი არ წავიმტვრიე, თორემ მეფესთან დასისხლიანებული ვერ მივიდოდიო. ქუჯი სწორედ დღევანდელ მისვლა-შეხვედრაზე ამყარებდა თავისი მომავალი ცხოვრების კეთილდღეობას. ქუჯის საუბედუროდ, იქვე, აბანოში ქალაქის მოურავის ერთი რაზმელიც იმყოფებოდა. მას ჯერაც ვერ მოენელებინა თავისი ამხანაგების გუშინდელი სამარცხვინო დამარცხება და დაბოლმილიყო. ფიქრობდა, ჯავრის ამოსაყრელად პირველივე შემთხვევა გამოეყენებინა. მისი აზრით, სწორედ ახლა ეძლეოდა ხელსაყრელი შემთხვევა.

– გიკვირთ, რომ ასე ბორძიკობს და ეშინია ამ ყმანვილკაცს?! ის ხომ მონასპელების შეგირდია! – მიმართა მან ხმამაღლა თავის ამფსონს. ქუჯი გველნაკბენივით მობრუნდა და შეურაცხმყოფელს თვალი თვალში გაუყარა.

– რას მაშტერდები? მიყურე, რამდენიც გაგიხარდება, ჩემო პატარა ბატონო, მე ისა ვთქვი, რაც მინდოდა მეთქვა! – შეუტია თავხედმა და დამცინავად გადაიგრიხა უღვაში.

– ჰოჰ! განმარტება არ უნდა თქვენ მიერ თქმულს, ახლავე გამომყევით გარეთ! გავსწორდეთ... – მიუგო ქუჯიმ.

– საქმე ვისთან გაქვს, იცი?!

– არ ვიცი და არც მაინტერესებს. მაინც ამისთანა ვინ ბრძანდები?

– მე კირქიტა კეხველი, მოურავის წარჩინებული რაზმელი ვარ. – უპასუხა კირქიტამ, რომელიც გაცოცხლებული შეჰყურებდა ქუჯის, რომელზედაც არავითარი გავლენა არ იქონია მისი სახელის ხსენებამ. კირქიტა მათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც ყველაზე ხშირად ყოველდღიურ ჩხუბში და აყალმაყალში ერეოდა. ტარო და ამო აუზში ჭყუმპალაობამ ისე გაიტაცა, ხოლო ავთო კი მათ შეჰყურებდა, რომ ვერ შეამჩნიეს თავიანთი მეგობრის ქუჩაში გასვლა, რომელსაც კირქიტა კეხველიც მიჰყვა. ქუჯი ჩქარობდა, შუადღისას მეფეს უნდა ხლებოდა. ამიტომ თვალი გადაავლო იქაურობას და როცა ნახა, რომ ქუჩაში არავინ იყო, თავის შეურაცხმყოფელს მიმართა:

– აბა, ბატონო კირქიტ, ხმალი!

– კარგი, მაგრამ მგონი, ცუდი ადგილია, ქალაქგარეთ, კუმისის ტბისკენ უფრო მყუდროდ ვიქნებოდით.

– ჭეშმარიტებას ლაღადებთ! მაგრამ რა ვქნა, საუბედუროდ, არა მაქვს მაგდენი დრო, სწორედ შუადღისას მაქვს მნიშვნელოვანი შეხვედრა, მაშ, აბა, ხმალი, ბატონო!... – მიუგო ქუჯიმ.

კირქიტაიმ ბუნების კაცია რიყო, რომ გაემეორებინებინა ამგვარი მიპატიჟება. მანაც იმიშვლა ხმალი და ეცა თავის მეტოქეს, რომელიც გამოუცდელად მიაჩნდა და იმედი ჰქონდა შეაშინებდა. მაგრამ ქუჯის შეგირდობა უკვე დაესრულებინა და მომავლის იმედით აღტაცებულს გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოსულიყო. მაგრად შეეჯახნენ ერთმანეთს მეტოქეობა ხმლები. კირქიტამ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. ამით ისარგებლა ქუჯიმ და მხარში მარჯვედ ატაკა მახვილი.

– ეს არაფერი! – შესძახა კირქიტამ. იგი ბრმასავით ეტაკა ქუჯის და ხელმეორედ დაიჭრა, მაგრამ თავისას არ იშლიდა, დამარცხებულად არ აღიარებდა თავს, ოღონდ ნელა იონა აბუღეთისძის ციხე-დარბაზისაკენ იხევდა, სადაც მისი ნათესავი მუშაობდა. ქუჯიმ არ იცოდა, იგი რამდენად მძიმედ ჰყავდა დაჭრილი და ბრძოლას განაგრძობდა. ქუჩაში გამვლელთა ყვირილი ატყდა. ამ ხმაურმა აბანოში მყოფთა ყურამდეც მიაღწია. კირქიტას ორი მეგობარი, რომლებმაც გაიგონეს მისი ქუჯისთან საუბარი და შეამჩნიეს მათი გარეთ ერთად გასვლა, ამ ყვირილზე წამოხტნენ, იძრეს ხმლები და გარეთ გაცვივდნენ. ავთო, ტარო და ამოც მალე გამოჩნდნენ. მონასპელებმაც იმიშვლეს ხმლები და შეუტიეს. მოურავის რაზმელებმა ყვირილი გააბეს და თავისიანებს უხმეს. მათ ყვირილზე გვერდით დუქანში მყოფნი წამოიშალნენ და მონასპელებს დაეძგერნენ, რომლებმაც, თავის მხრივ, თავისიანებს უხმეს.

მონასპელების და პირველი ვეზირის მომხრეების შეფარული მტრობა ცნობილი იყო. სხვა ყველა რაზმის მეომარი ხშირად მოდიოდა მონასპელების მისაშველებლად. სწორედ ამ დროს მახლობლად ჩაიარეს მხარგრძელთა სახელოვანი გვარის სამმა რაზმელმა. ამათგან ორი მონასპელებს მიეშველა, მესამე ვაჩე ჩიქვანის სასახლისაკენ გაიქცა ყვირილით – აქეთ, მონასპელებო! – ჩვეულებისამებრ, ვაჩე ჩიქვანის ეზო სავსე იყო მონასპელებით და ისინიც თავისიანების საშველად გაიქცნენ. დიდი სისხლისღვრა იყო მოსალოდნელი, მონასპელები უფრო მეტნი იყვნენ, ამიტომ მოურავის რაზმელები და მათი მშველელები მოურავის ციხე-დარბაზის ეზოში შეცვივდნენ. მათ საჩქაროდ მოკეტეს კარი,

შიშობდნენ, ეზოში არ შეჰყოლოდნენ მღვერები. დაჭრილი კირქიტა უკვე მოეთავსებინათ მოსაცდელ ოთახში. იგი მეტად ცუდად იყო.

აღშფოთებულ მონასპელებს მოუნდათ, დაესაჯათ მოურავის რაზმელები და ცეცხლი წაეკიდებინათ მათი მეთაურის სასახლისათვის. სწორედ ამ დროს ქუჯის და მის მეგობრებს მოაგონდათ მეფესთან დანიშნული საპატიო შეხვედრა. გული სწყდებოდათ, რომ მათ გარეშე ჩატარდებოდა ეს ე.წ. არეულობა-თამაში. მალე მონასპელთა მომხრეები ცოტათი დაშოშმინდნენ, ხოლო ქუჯი, ავთო, ამო და ტარო ვაჩე ჩიქვანის სასახლისკენ წავიდნენ. ბატონ ვაჩეს უკვე გაეგო ეს ამბავი და თავის ქვეშევრდომებს მოუთმენლად ელოდა.

– აბა, ჩქარა ისნის სასახლისაკენ! ჩქარა!.. ვეცადოთ, დავასწროთ ბატონიშვილ დავითს მეფის ნახვა. დღევანდელი ამბავი ისე ვუამბოთ და გავასალოთ, როგორც გუშინდელის გაგრძელება.

ვაჩე ჩიქვანი და ოთხი ყმანვილი კაცი მაშინვე ისნის სასახლისაკენ გაეშურნენ, მაგრამ წარმოიდგინეთ მონასპელების მეთაურის განცვიფრება, როდესაც სასახლეში მოახსენეს, რომ მეფე ირმებზე სანადიროდ წაბრძანებულიყო ცხვარიჭამიას ტყეში. მეგობრებმა შენიშნეს, რომ მათი მეთაური თანდათან მოიღუშა.

– მეფემ გუშინვე გადაწყვიტა სანადიროდ წაბრძანება? – იკითხა ვაჩემ.

– არა, ვაჩე დიდბატონო, – მიუგო მსახურმა, – მონადირეთუხუცესი გახლდათ ამ დილას და მოახსენა, რომ ნუხელ ირემი მოემწყვდიათ. მეფემ პირველად არ ინდომა სანადიროდ წაბრძანება, მაგრამ მაინც ვერ შეძლო უარი ეთქვა ამ სიამოვნებაზე და საუზმის შემდეგ წაბრძანდა.

– დღეს ბატონიშვილი დავითი ხომ არ უნახავს ჩვენს მეფეს?

– მე მგონია, რომ ნახავდა, ამ დილას ცხენები შეაბეს ბატონიშვილის ეტლში და როდესაც ვიკითხე, სად მიბრძანდებამეთქი, მიპასუხეს, ცხვარიჭამიას ტყეშიო.

– დაგვასწრო... – თქვა ვაჩემ, – ბატონებო, მე ამ საღამოს ვნახავ მეფეს, რაც შეეხება თქვენს მოსვლას, არ გირჩევთ, ეჩვენოთ. – სრულიად საფუძვლიანი იყო ეს რჩევა, წარმოთქმული იმ კაცის მიერ, რომელიც კარგად იცნობდა მეფეს. რასაკვირველია, ახალგაზრდებს აზრადაც არ მოსვლიათ მისი ურჩობა. ბატონმა ვაჩემ უბრძანა, შინ ყოფილიყვნენ და არსად წასულიყვნენ მის ბრძანებამდე.

თავის სასახლეში დაბრუნებულმა ვაჩემ გადაწყვიტა, თვითონ აღედრა საჩივარი. ქალაქის მოურავთან, იონა აბულეთისძესთან მსახური გაგზავნა და წერილი გაატანა, რომლითაც სთხოვდა, ციხე-დარბა-

ზიდან გაეყვანა და დაესაჯა თავისი რაზმელები, რომლებმაც თავხედობა გამოიჩინეს და მეფის მონასპელების წინააღმდეგ იარაღით გამოვიდნენ. მაგრამ იონა აბუღეთისძესთვის უკვე მოეხსენებინა მომხდარი ამბავი მის მეჯინიბეს, რომელიც ჩხუბის მოთავე კირქიტა კეხველის ნათესავი იყო. იონა აბუღეთისძემ უპასუხა, რომ საჩივრელი, პირიქით, მას ჰქონდა ბატონი ვაჩეს წინააღმდეგ, ვინაიდან მონასპელები იარაღით დაეცნენ მის მსახურებს და ციხე-დარბაზის გადაწვასაც აპირებდნენ. დაუმთავრებელი იქნებოდა ორი დიდებულის კამათი დამნაშავეების აღმოსაჩენად, რადგან თითოეული ეცდებოდა თავი გაემართლებინა. ამიტომ ვაჩემ საქმის საჩქაროდ დაბოლოებისათვის სხვა საშუალებას მიმართა. მაშინვე იონა აბუღეთისძის სასახლეში მივიდა და ბრძანა, მოეხსენებინათ მისი იქ ყოფნა. ზრდილობიანად მიესალმნენ ერთმანეთს დიდებულნი, მართალია, მეგობრები არ იყვნენ ერთმანეთის, მაგრამ პატივისცემა კი ჰქონდათ. ქალაქის მოურავი იონა აბუღეთისძე დავით ვეზირის უახლოესი მეგობარი და ნდობით აღჭურვილი დიდებული იყო. იგი მეფეს იშვიათად ხედავდა. ამიტომ მეფესთან დაახლოებული ვაჩე ზრდილობიანად, მაგრამ ცივად მიიღო.

– ერთმანეთს ვუჩივით, ბატონო, ერთმანეთს ვამტყუნებთ და, აი, გვახელით, რომ ერთმანეთის დახმარებით გავარკვიოთ ეს საქმე, – თქვა ვაჩე ჩიქვანმა.

– სიამოვნებით, ოღონდ უნდა მოგახსენოთ, რომ დანვრილებით ვიცი საქმის ვითარება და ამ ალიაქოთ-არეულობაში თქვენი მონასპელები არიან დამნაშავენი, – უპასუხა იონა აბუღეთისძემ.

– ძალიან სამართლიანი და ჭკვიანი კაცი ბრძანდებით, ბატონო, და არა მგონია, უარი თქვათ ჩემს წინადადებაზე, – უთხრა ვაჩემ.

– ბრძანეთ, გისმენთ, ბატონო!

– როგორაა თქვენი მეჯინიბის ნათესავი კირქიტა კეხველი?

– ძალიან ცუდად, გარდა იმ ჭრილობისა, რომელიც მხარში აქვს და არც ძალიან საშიშია, ფილტვიც დაშავებული აქვს.

– დაჭრილს ცნობიერება ხომ აქვს? ლაპარაკი შეუძლია?

– ძალიან ძნელად, მაგრამ ლაპარაკობს.

– კარგით, ჩავიდეთ იმ უბედურთან, დავაფიცოთ და ვთხოვოთ, სიკვდილის წინ სრული სიმართლე გვითხრას. მე იმას დავიჯერებ, რასაც ის იტყვის.

იონა ერთ წამს ჩაფიქრდა და რადგან შეუძლებელი იყო უფრო უკეთესი რამის მოფიქრება, დათანხმდა. ერთად ჩავიდნენ ქვემო სარ-

თულის იმ ოთახში, სადაც დაჭრილი იწვა. კირქიტა მის სანახავად მოსული ორი დიდებულის დანახვაზე შეეცადა ლოგინიდან წამოწეულიყო, მაგრამ სისუსტემ დასძლია. დაჭრილი საპკურით მოასულიერეს. მონასპელთა მეთაურმა ითხოვა დაკითხვა ენარმოებინათ. შედეგად, სწორედ ის მოხდა, რისი იმედიც ჰქონდა ვაჩეს: სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა ჩავარდნილ კირქიტას აზრადაც არ მოსვლია, ერთი წამით მაინც დაემალა ჭეშმარიტება. ორ დიდებულს უამბო ყველაფერი ისე, როგორც მოხდა. ვაჩესაც ეს უნდოდა. მან განკურნება უსურვა კირქიტას, გამოეთხოვა იონა აბულეთისძეს და შინ მისვლისთანავე ახალგაზრდები თავისთან დაიბარა.

დიდებული საზოგადოების წევრები დაიარებოდნენ ბატონ ვაჩესთან, სხვათა შორის, სულ უფროსი ბატონიშვილის მოწინააღმდეგენი. ამჯერად, ისინი სადილის სუფრაზე იმაზე საუბრობდნენ, თუ როგორ დამარცხდნენ ორჯერ დავით ბატონიშვილის მომხრე ქალაქის მოურავის რაზმელები.

შუადღე სრულდებოდა, როდესაც ბატონმა ვაჩემ გამოაცხადა, რომ ისინი სასახლეში უნდა წასულიყვნენ, მეფის არ ყოფნის გამო ჩაშლილი შეხვედრა-მიღების ნაცვლად. საღამოს ვაჩე და ოთხი ყმანვილი კაცი მეფის დარბაზის მოსაცდელ ოთახში შევიდნენ. მეფე ჯერ არ დაბრუნებულიყო ცხვარიჭამიას ტყეში ნადირობიდან. ვაჩე და მისი მონასპელები, სხვა კარისკაცებთან ერთად, მოთმინებით იცდიდნენ. უცებ გაიღო ყველა კარი. მსახურებმა დაიძახეს „მეფე მობრძანდება!“ ამ სიტყვების გაგონებაზე ქუჯი აღელდა. ამ მოახლოებულ წამზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული მთელი მისი ცხოვრება, ამიტომ იდგა და თვალი ვეღარ მოეშორებინა იმ კარისაგან, რომლიდანაც მეფე უნდა შემობრძანებულიყო. გამოჩნდა დემეტრე მეფე, დიდი დავითის ძე. მას ჯერ კიდევ სანადირო სამოსი და მაღალყელიანი წალები ეცვა. ხელში მათრახი ეჭირა. ქუჯიმ პირველი შეხედვითვე იგრძნო, რომ იგი განრისხებული უნდა ყოფილიყო. მეფის ამ განწყობას ყველა ხედავდა, მაგრამ დიდებულები მაინც, ჩვეულებისამებრ, დასახვედრად გამწკრივდნენ. სამი მონასპელი წინ გამოვიდა, ხოლო ქუჯი მორიდებით უკან ამოეფარა თავის ამხანაგებს. მათ ამითაც ვერ მიიქციეს მეფის ყურადღება. თუმცა მეფე პირადად იცნობდა ავთოსაც, ტაროსაც და ამოსაც, მაინც სამივეს ისე გაუარა წინ, რომ არც კი შეხედა. ბატონ ვაჩეს კი თვალი თვალში გაუყარა. მონასპელების მეთაური მაგრად დაუდგა, წარბიც კი არ შეიხარა. ისევ მეფემ აარიდა თვალი და თავის ოთახში შევიდა ბუზღუნით.

– ცუდადაა ჩვენი საქმე, ეტყობა, დღეს ჯილდო ვერ გვეღირსება, – თქვა ლიმილით ავთომ.

– ცოტა ხანს აქ დამიცადეთ! თუ მალევე არ გამოგხედეთ, ჩემს სასახლეში დაბრუნდით, – თქვა ბატონმა ვაჩემ.

კარგა დრომ გაიარა ამ ლოდინში, მაგრამ მათი მეთაური არსად ჩანდა. ბოლოს ლოდინით შეღონებულმა მეგობრებმა ვაჩეს სასახლისაკენ გასწიეს. მათ არ იცოდნენ, რა მოელოდათ.

ვაჩე გაბედულად შევიდა მეფის დარბაზში. მართლაც, ძალიან განრისხებული იხილა მეფე, რომელიც სავარძელში ჩამჯდარი, მათრახსა სცემდა თავის ყელიან წალებს. ვაჩე მაინც იმედიანად იყო და ჩვეულებისამებრ მოიკითხა მეფე.

– ძალიან ცუდადა ვარ, მეტად მონყენილი გახლავარ! – უპასუხა უკმეხად მეფემ. მართლაც, ეს იყო მეფე დემეტრეს ავადმყოფობა: ნალველი, ცუდი ხასიათი, უკმაყოფილების შეგრძნება, ნერვიული აშლილობა, უძილობა, უღირსობისა და დანაშაულის გრძობა.

– როგორ? ნუთუ მონყენილი ბრძანდებით, ჩემო მეფეო? განა დღეს სანადიროდ არ ბრძანდებოდით? – გაიკვირვა ვაჩემ.

– დიდი სიამოვნებაა?! გადაგვარებას განიცდის ყველაფერი და გარწმუნებთ, აღარც კი ვიცი, ნადირი არ ტოვებს თავის კვალს თუ ძალღებმა დაკარგეს ყნოსვა. ბუკით დავდევედით ირემს, კარგა ხანი ვდიეთ, სანამ მივიმწყვედედით და როდესაც იმედი მოგვეცა, ვერსად წავგივაო, უცბად, ძაღლებმა პირი იბრუნეს და შვლის ნუკრს გამოუდგნენ. აი, ნახავთ, იმდენს იზამენ, რომ მაიძულებენ, გარეულ ნადირზე ნადირობაც მოვიშალო, ისევე, როგორც ფრინველზე მომაშლევინეს. აჰ, ძალიან უბედური ვარ, ჩემო ვაჩე! ერთადერთი შევარდენი მყავდა და ისიც გუშინნინ მომიკვდა.

– მართლაც, მეფეო! სამნუხარო ამბავი გახლავთ, მესმის თქვენი სასონარკვეთილებისა. მაგრამ, ვგონებ, კიდევ მრავლად უნდა გყავდეთ შევარდენი და ქორი.

– მაგრამ კაცი ვერ მიშოვია, რომ გამინვრთნას ისინი, ნელ-ნელა ქრებიან ბაზიერები. ვფიქრობ, მარტო მეღა დავრჩი ნადირობის ხელოვნების მცოდნე. ჩემ შემდეგ ალბათ მთლად მოისპობა ნადირობა. ნეტავი დრო მაინც მქონდა, რომ მონაფეები ამომერჩია და მესწავლებინა! მაგრამ ვინ მალირსებს მოცალეობას! სულ თავს დამტრიალებენ ნაზირვეზირები და უფლისწულები, რომლებიც ერთი წამით მოსვენებასაც არ მაძლევენ. გამიბამენ ბაასს, ეს კონსტანტინეპოლი, ეს კონია, ეს განძის



ციხესიმაგრე... ჰო, მართლა! უფლისწულ დავითის ხსენებამ მომაგონა: ბატონო ვაჩე, სამდურავს გიცხადებთ მე, თქვენი მეფე!

კარგა ხანია, რაც ამ ბიძგს ელოდა ვაჩე. იგი ძალიან კარგად იცნობდა მეფის ხასიათს. როგორც კი დაიწყო მეფემ მოთქმა, მაშინვე მიხვდა, რომ ეს წუნუნი და მწუხარება ამ თემაზე სასაუბროდ საკუთარი თავის ერთგვარი ნაქეზება იყო.

– ნეტავი რა ისეთი უბედურება დამემართა, რომ დიდებული მეფის სამდურავი დავიმსახურე? – მიმართა ვაჩემ განცვიფრებული იერით.

– განა ასე ასრულებთ თქვენს ვალდებულებას? – განაგრძო მეფემ ისე, რომ პირდაპირ არ ეპასუხა კითხვაზე, – განა იმისათვის დაგნიშნეთ ჩემი მონასპელების მეთაურად, რომ ჩემი მცველები ადამიანებს ხოცავდნენ, ორომტრიალ-აყალმაყალს აყენებდნენ მთელ უბანში და ცეცხლის ნაკიდებას უქადდნენ ჩემს სატახტო ქალაქ ტფილისს? თქვენ ამაზე არაფერს მაცნობებთ? თუმცა ეჭვი არაა, მეტად ავჩქარდი საყვედურის გამოცხადებაში. დარწმუნებული ვარ, უკვე დაპატიმრებულნი არიან მშვიდობიანობის დამრღვევნი და თქვენც იმიტომ შეწუხებულხართ, რომ დამნაშავეების სამართალში მიცემა მაცნობოთ!

– ჩემო მეფეო! მეც სწორედ იმის სათხოვნელად გეახელით, რომ მიინდა, სასტიკად დაასჯევინოთ დამნაშავენი, – მიუგო მშვიდად ვაჩემ.

– სახელდობრ?! – შეჰყვირა მეფემ.

– სახელდობრ, ცილისმნამებელნი...

– აი, ესეც ახალი ამბავი! იქნებ ისიც მითხრათ, რომ თქვენი სამი ჩამოსახრჩობი მონასპელი, ავთო, ტარო, ამო, და მათი ოდიშელი ამხანაგი გაავებული მგლებივით არ დაეცნენ სანყალ კირქიტა კეხველს, რომელიც დღეს-ხვალ შეიძლება წუთისოფელს გამოესალმოს? იქნებ ისიც მითხრათ, რომ კირქიტას დაჭრის შემდეგ გარს არ შემოეხვივნენ მოურავ იონა აბულეთისძის ციხე-დარბაზს და ცეცხლის ნაკიდებაც არ დაუპირეს? ომიანობის დროს იქნებ დიდი არაფერი უბედურება ყოფილიყო იმ სახლის დანვა, რადგან ჩვენი მოძულეების ბუნაგია თურმე... მაგრამ დღეს, მშვიდობიანობის დროს, ხალხისათვის ცუდი მაგალითი იქნებოდა. აბა, ბრძანეთ, ყოველივე ამის უარყოფა ხომ არ გნებავთ?

– ვინ მოგახსენათ, მეფეო, ეგ მშვენიერი ზღაპარი?

– ვინ მომახსენა, ბატონო, ეს მშვენიერი ზღაპარი? ვინ მომახსენებდა, როგორ გგონიათ, თუ არა ის, ვინც ფხიზლად არის, როდესაც მე მძინავს; თუ არა ის, ვინც მუშაობს, როდესაც მე დროსტარებას ვცდილობ;

თუ არა ის, ვინც აწარმოებს ყველაფერს ჩვენს სამეფოში და მის გარეთაც მთელ კავკასიაში.

– მაშ, უფალს უცნობებია თქვენთვის, უეჭველია, მეფეო, ღმერთის მეტი მე არავინ ვიცი, რომ ასე სჯობდეს ძლევამოსილებით ჩემს მეფეს.

– მიუგო ვაჩემ.

– არა, ბატონო, მე სამეფოს დედაბოძზე, ერთადერთ ჩემს ერთგულ მოღვაწეზე, პირველ ვეზირზე, შეთავსებით მანდატურთუხუცესზე, ბატონიშვილ დავითზე, ჩემი პირველი ცოლის პირმშოზე ვლაპარაკობ.

– ბატონიშვილი დავითი, უფლისწული, ჯერ მეფე არ ბრძანდება...

– ამით რისი თქმა გსურთ, ბატონო?

– მინდა მოგახსენოთ, რომ მხოლოდ უფალი, თქვენ და მისი უწმინდესობა კათოლიკოს-პატრიარქი, ჭყონდიდელი, საბა-II გახლავთ შეუცდომელი და ეს თვისება უფლისწულებზე ჯერ არა ვრცელდება.

– თქვენ გნებავთ მითხრათ, რომ ბატონიშვილი დავითი მატყუებს? თქვენ გნებავთ მითხრათ, რომ იგი მლალატობს? თქვენ იმის გამტყუვნებას ცდილობთ? ჰოდა, თქვით, აღიარეთ გულწრფელად, რა ბრალსა სდებთ!

– არა, მეფეო, ბრალს არასა ვდებ, მაგრამ იმას კი მოგახსენებთ, რომ იგი ხშირად ცდება. იმასაც მოგაგონებთ, რომ ტყუილი მოახსენეს და მან კი დაიჯერა. მოგახსენებთ, აგრეთვე, რომ აჩქარებით დასდო ბრალი თქვენს მონასპელებს, რომლებიც მოძულებული ჰყავს და უსამართლოდ ექცევა. დღესაც საქმის გამოსარკვევად არასწორ წყაროს დასჯერდა.

– ბრალდება თვითონ ქალაქის დიდმოურავ იონა აბულეთისძისგან მოდის, ის ჩივის... აბა, რაღას იტყვი?

– მე შემეძლო მომეხსენებინა, მეფეო, რომ ბატონი იონა პირადად დაინტერესებული გახლავთ ამ საქმით, მაშასადამე, მიუდგომელ მონმედ ვერ გამოდგება, მაგრამ, ღმერთმა დამიფაროს, ქალაქის მოურავს ვიცნობ, როგორც პატიოსან კეთილშობილს და სრული ნდობით მივიღებ მის ნათქვამს, მხოლოდ ერთი პირობით.

– რა პირობით?!

– იმ პირობით, ჩემო მეფეო, რომ თქვენთან დაიბაროთ ბატონი იონა აბულეთისძე, თქვენვე დაჰკითხოთ, ისე, რომ თქვენ მეტმა არავინ გაიგონოს მისი ნათქვამი... მერე მე გეახლებით.

– ოჰო, მაშ, ენდობით იონა აბულეთისძის მოხსენებას?

– დიახ, მეფეო!

- ზაქრო! – დაუძახა მეფემ მსახურს. დემეტრეს ერთგული მსახური ყოველთვის მეფის კარებთან იდგა. ახლაც დაძახებისთანავე ეახლა.
  - ზაქრო! საჩქაროდ წავიდეს ვინმე ბატონ იონა აბულეთისძესთან და მოახსენოს, რომ ახლავე მსურს მას დაველაპარაკო!
  - ჩემო მეფეო... მაშ, ბატონ იონას შემდეგ ჩემამდე არავის ნახავთ?
  - არავის, მეფის პატიოსან სიტყვას გაძლევთ!
  - მაშ, ხვალ, რა დროს გეახლოთ, მეფეო? ეჰ, ვაითუ ადრე გეახლოთ და გაგაღვიძოთ?
  - მე გამაღვიძოთ? მე ხომ აღარ მძინავს ხოლმე! ჩვენი ქვეყნის საქმეები... ხანდახან წავთვლემ ცოტას, განა ეგ ძილია? მობრძანდით დილაადრიანად, როცა გნებავთ. მაგრამ ვაი თქვენი ბრალი, თუ თქვენი მონასპელები აღმოჩნდებიან დამნაშავეები.
  - თუ დამნაშავენი აღმოჩნდებიან ჩემი მონასპელები, თქვენ ხელთ იქნებიან, მეფეო, და თქვენ გადაუნყვეტთ დამსახურებულ სასჯელს... კიდევ მიბრძანებთ რასმე, მეფეო?
  - არა, ბატონო, არა, უსაფუძვლოდ კი არ დამარქვეს დემეტრე სამართლიანი. მაშ, ხვალამდე, ბატონო, ხვალამდე...
  - ხვალამდე, მეფეო, უფალი იყოს თქვენი შემწე!
- იქნება მართლაც ცოტა ეძინა მეფეს, მაგრამ ბატონ ვაჩეს კიდევ უფრო ცუდად ეძინა იმ ღამეს. მან იმ საღამოსვე შეატყობინა თავის სამ მონასპელს და მათ ამხანაგს, რომ ხვალ, სისხამ დილით, მასთან მისულიყვნენ. მეორე დღეს ვაჩე ჩიქვანმა ისინი ისნის სამეფო სასახლისაკენ წაიყვანა ისე, რომ არაფერი უთქვამს, არაფერს დაჰპირებია, მხოლოდ არ დაუმალა, მათი კეთილდღეობა და თვითონ მისიც დღეს ერთი ადამიანის სიტყვაზე იყო ჩამოკიდებული. სასახლეში ვაჩემ ისინი პატარა კიბესთან გააჩერა იმ პირობით, რომ თუ კვლავ განრისხებული დახვდებოდა მეფე, შეუმჩნეველად უკან გააბრუნებდა, ხოლო თუკი მეფე ინებებდა მათ მიღებას, ზევით აიყვანდა.
- მეფის საგამგებლო-მისაღები ოთახის წინა ოთახში ვაჩეს მეფის პირადი მსახური ზაქრო შეხვდა და მოახსენა, რომ გუშინ ბატონი იონა აბულეთისძე არ დახვედრიათ სახლში, ხოლო შინ იმდენად გვიან დაბრუნებულა, რომ უკვე შეუძლებლად მიუჩნევია მეფის შეწუხება. ამიტომ ეს-ეს არის ახლა მოვიდა და ამჟამად მეფესთან ბრძანდება. ეს ძალიან გაუხარდა ვაჩეს. დარწმუნდა, რომ იონა აბულეთისძეს ჩვენების შემდეგ სხვა ვერავინ შეძლებდა ზეგავლენა მოეხდინა მეფეზე. ვაჩე ჩიქვანის მოსვლის შემდეგ, სულ მცირე დროში, გაიღო მეფის დარბაზის კარი და დიდმოურავი იონა აბულეთისძე გამოვიდა.

– ბატონო ვაჩე ჩიქვან, ჩვენმა მეფემ დამიბარა, მომეხსენებინა გუშინ ჩემ ციხე-დარბაზთან მომხდარი შეტაკების ვითარება. სრული ჭეშმარიტება მოვახსენე მეფეს. ვუთხარი, რომ ჩემები იყვნენ დამნაშავენი.

– დიახ, ბატონო, იმდენად ღრმად მწამს თქვენი პატიოსნება, რომ ამ საქმეში ჩემს დამცველად მეფის წინაშე, თქვენ გარდა, მე არავინ ვისურვე. ვხედავ, რომ არ შევმცდარვარ.

– კარგი, კარგი! – გამოსძახა მეფემ, რომელმაც კარგად გაიგონა გარეთ თქმული, – ოღონდ კარგად ჩააგონეთ, ვაჩე, ბატონ იონას, თუმც იგი გამირბის, მოაგონეთ, კარგა ხანია, რაც არსად მინახავს და თუ ნახვა მინდა, მსახური უნდა ვაახლო და დავიბარო? ჩემ მაგივრად ეს ყველაფერი უთხარით, რადგან ამგვარს არაფერს უნდა ბრძანებდეს თვითონ მეფე.

– გმადლობთ, მეფეო, – მოახსენა იონამ, – ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენი გულითადი, ერთგული მოსამსახურენი ისინი კი არ არიან, ვისაც ყოველთვის თქვენთანა ხედავთ მთელი დღის განმავლობაში, რასაკვირველია, მე ამას ბატონი ვაჩეს შესახებ არ ვლაპარაკობ.

– აჰ, მაშ, თქვენც გაიგონეთ ჩემი ნათქვამი? მით უკეთესი, ბატონო, მით უკეთესი, – უთხრა მეფემ და კარებთან მივიდა, – აჰ, თქვენა ხართ, ვაჩე? სად არიან თქვენი მონასპელები? გუშინწინ გთხოვეთ, მოგეყვანათ და გეჩვენებინათ, რატომ არ მომიყვანეთ?

– ქვევით გახლავან, მეფეო. თქვენ თუ ნებას მომცემთ, ზაქრო ჩავა და ამოიყვანს.

– დიახ, ახლავე ამოვიდნენ, მალე ახალ სტუმარს მოველი. მაშ, მიბრძანდით, ბატონო იონა, და იცოდეთ, კვლავ გვინახულეთ. შემოდით, ვაჩე! – იონა აბულეთისძემ თავი დაუკრა და გამოეთხოვა. კიბეზე სამი მონასპელი და ქუჯი შეხვდა, რომლებსაც მსახური ზაქრო მოუძლოდა.

– მობრძანდით, ჩემო გამირებო! მობრძანდით, მინდა კარგად დაგტუქსოთ! – შესძახა მეფემ.

მონასპელები მეფეს მიუახლოვდნენ და მონინებით მიესალმნენ.

– რა ეშმაკი გეხმარებათ, რომ ოთხმა კაცმა ამ ორ დღეში მწყობრს გამოაკელით ჩემი ქალაქის დიდმოურავის შვიდი რაზმელი? ყმანვილებო მეტისმეტი მოგდით! ასე რომ მიჰყვეთ, დიდმოურავი იონა იძულებული იქნება, სამ კვირაში განაახლოს თავისი რაზმი, და მეც იძულებული ვიქნები, მკაცრად ავასრულებინო ჩემი ბრძანებანი, ერთი რომ იყოს, ისიც შემთხვევით, არაფერს ვიტყვი, მაგრამ შვიდი კაცი ორ დღეში?! მეტისმეტია!

– სწორედ ამიტომ გეახლნენ, დიდო მეფეო, რომ ბოდიში მოიხადონ. თქვენც ხომ ხედავთ, მეფეო, როგორ შეწუხებულნი გახლავან.

– შენუხებულნი არიან? ჰოო? რა ვქნა, რომ ვერ მივინდობივარ მათ პირ-  
მოთნე სახეს, მეტადრე იმას, აგერ უკან რომ ატუზულა, აქეთ მობრ-  
დანდით, ბატონო! – მიხვდა ქუჯი, რომ მას ეხებოდა მეფის სიტყვა და  
მორიდებით წინ წაიწია.

– აკი ყმანვილი კაციიო? ყმანვილი კი არა, ვაჩე, ბავშვია! ამ პატარამ  
სეხნია ძამელს ასე მაგრად ჩაჰკრა ხმალი?

– კირქიტა კეხველს კი კიდევ უფრო მარჯვედ ორჯერ ჩაჰკრა.

– მართლა?

– დიახ, მეფეო, გარდა ამისა, ეს ყმანვილი რომ არ წამხმარებოდა მე,  
წინა დღეს დაჭრილს, არა მგონია, დღეს აქ გხლებოდით და ერთგულე-  
ბით მივსალმებოდი ჩემს მეფეს, – მიუგო ავთომ.

– მაშ, ხორცუმესხმული ქაჯი ყოფილა ეს თქვენი ოდიშელი, ჰა, ვაჩე? ამ  
საქმეში მრავალი სამოსი გაეხვრიტება და ხმალიც ბევრი გადაუტყდე-  
ბა... ხელმოკლე აზნაურებიდანაა?

– უნდა მოგახსენოთ, მეფეო, რომ მთიან სამეგრელოში ჯერ კიდევ არ  
უპოვიათ ოქროს საბადოები, თუმც, საცა სამართალია, ამ სასწაულით  
უნდა დაეჯილდოებინა ღმერთს ისინი იმ სამსახურისათვის, რაც მათ  
ნეტარხსენებულ მამათქვენს, დიდ დავითს გაუწიეს.

– სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ოდიშელებს მოუნიჭებიათ ჩემთვის მე-  
ფობა, არა, ვაჩე, ვინაიდან მე ვარ შვილი მამაჩემისა?! ძალიან კარგი,  
აგრე იყოს, მე უარს არ ვამბობ. ზაქრო, წადი, სულ გადმოაბრუნეთ ჩემი  
ჯიბეები, იქნება როგორმე მოაგროვო ორმოცი ოქროს დრაჰკანი და აქ  
მომიტანე, ახლა კი, ყმანვილო, გულზე დაიდეთ ხელი და მიაძებ საქმის  
ვითარება!

ქუჯიმ დანვრილებით მოახსენა თავისი გუშინდელი თავგადასავა-  
ლი. მას როგორ გაუკრთა ძილი იმის გამო, რომ შუადღისას მეფეს უნდა  
ხლებოდა და დროზე ადრე მივიდა თავის ამხანაგებთან სასახლეში წა-  
სასვლელად, როგორ წავიდნენ აბანოებში დროის მოსაკლავად; როგორ  
შეშინდა, სახე არ დავარტყაო, როცა სველ იატაკზე ფეხი დაუცდა, რის  
გამოც მასხრად აიგდო კირქიტა კეხველმა... შემდეგ როგორ ჩაერივნენ  
ბრძოლაში დიდმოურავის მსახურები და კინალამ ცეცხლით დაანვე-  
ვინეს მისი სასახლე, როდესაც თვითონ ბატონმა იონა აბულეთისძემ  
სრულიად არა იცოდა რა ამ საქმისა.

– ასე, ასე, – ჩურჩულებდა მეფე, – სწორედ ასე მიაძებო იონამ თქვენი  
ბრძოლის ამბავი. მდა, სამნუხაროა! შვიდი კაცი ორ დღეში! მერე სულ  
საუკეთესონი! კმარა, ბატონებო, გეყურებათ? კმარა!

– თქვენი მორჩილნი გახლავართ, მეფეო! – მიუგო ვაჩემ.

– ჰო, ცუდი ყმანვილები არ არიან! ყოჩაღები არიან, ვაჩე! – მიუგო მეფემ კმაყოფილი სახით. შემდეგ მან ზაქრო მსახურს ერთი მუჭა ოქრო გამოართვა და ქუჯის ხელში ჩაუჩხრიალა, – აი, ყმანვილებო, იმის დასამტკიცებლად, რომ მე ერთგულებას ძალიან ვაფასებ. – იმხანად მეფის წყალობა დიდი პატივი იყო პატიოსანი ქვეშევრდომისათვის. ქუჯი-მაც უარის უთქმელად ჯიბეში ჩაიჩხრიალა ოქროს ფული და თან მეფეს გულითადი მადლობა მოახსენა.

– მაშ, ასე, ახლა კი შეგიძლიათ მიბრძანდეთ, როგორც გითხარით, ერთ კაცს ველი. თქვენი ერთგულებისათვის მადლობა, ბატონებო! მაშ, მომავალშიც მქონდეს თქვენი იმედი? ჰო, მართლა, ეკლესიაში ხომ დადიხართ... აღსარებაზე? ალბათ, ჩემ შეთხზულ საგალობელს, „შენ ხარ ვენახი“, მოისმენდით...

– ოჰ, მეფეო, დიდებული და ჭეშმარიტად ღვთიური საგალობელია – შეჰყვირა ერთხმად ოთხმა ამხანაგმა მოკრძალებით, – მზად ვართ, თქვენს კეთილდღეობას შევეწიროთ.

მეფე დემეტრეს სახეზე მომღიმარი თვითკმაყოფილება გამოესახა.

– ძალიან კარგი! მაგრამ, უვნებელნი დარჩით, თქვენთვისაც ემჯობინება და ჩემთვისაც სასარგებლონი იქნებით. ვაჩე, – მიმართა მეფემ, როდესაც ახალგაზრდები გავიდნენ, – ვინაიდან მონასპელების ლეგიონში ადგილი არა გაქვთ, გარდა ამისა, ჩვენვე დავადგინეთ, რომ მის რიგებში შესვლისათვის საჭიროა ორი წლის სამსახური სხვა რომელიმე რაზმში, ეს ყმანვილი ჯერ თქვენი ქვისლის, ავავ არტანუჯელის რაზმში მიაღებინეთ. აჰ, ღმერთო ჩემო, ვაჩე, რომ იცოდე, როგორ მიხარია, ბატონიშვილ დავითის დაღრეჯილი სახე რომ წარმომიდგება. გაცოფდება, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია, მე მართალი ვარ, სამართლიანი...

მეფე ხელის აწევით დაემშვიდობა ვაჩეს, რომელმაც თავი მდაბლად დაუკრა და გავიდა. გარეთ ვაჩეს თავისი ახალგაზრდები შეხვდნენ, რომლებიც მეფის საჩუქარს იყოფდნენ. ისინი სამეფო სასახლიდან გამოსვლის შემდეგ ქუჯიმ მეგობრებს რჩევა ჰკითხა, თუ რაში დაეხარჯა თავისი წილი ფული. ავთომ ურჩია, კარგი საქეიფო სადილი დუქან „შემოდი გენაცვალეში“ შეეკვეთა. ტარომ კი მსახურის აყვანა ურჩია. სადილი იმ დღესვე შეუკვეთეს და ქეიფსაც ახალი მსახური ემსახურებოდა. საქეიფო სადილი ავთომ შეუკვეთა, ხოლო მსახური კი ტარომ მოუყვანა. სახელოვანმა მონასპელმა მეტეხის ხიდთან, რიყეზე შეამჩნია ეს ქართლელი ბიჭი, სახელად ბუჭუკა, რომელიც უდარდელად, ნიძ-

ლაზე კოჭაობით ერთობოდა. ტარომ გაიფიქრა, ამნაირი საქმიანობა ადამიანის ნათელ გონებაზე მიანიშნებსო. ამიტომ ამ მოკოჭავეს ტარო იქვე გაურიგდა და ქუჯის მიჰგვარა.

ტაროს დიდებული იერი ბუჭუკას მომხიბვლელი ეჩვენა. იგი ცოტათი ნანყენიც კი დარჩა, როდესაც გაიგო, ტაროსთან არ იმსახურებდა. ტარომ აუხსნა, რომ მას ერთი მსახური, ბოჩიაც ჰყოფნიდა და ორი მსახური არაფერში არ სჭირდებოდა. ამიტომ იგი ქუჯისთან უნდა შესულიყო სამსახურში. მაგრამ როცა ბუჭუკამ ნახა, თუ როგორი დიდებული ქეიფი გაუმართა ქუჯიმ თავის მეგობრებს, იფიქრა, ბედი მენიაო და ამისთანა შეძლებული აზნაურის სამსახურში შევედიო. ასე აღტაცებული განაგრძობდა ბუჭუკა სუფრის ალაგებას და სადილის ნარჩენებით იკლავდა კაი ხნის შიმშილს.

ავთოსაც ჰყავდა მსახური, სახელად ნასყიდა, რომელიც პატრონით მეტისმეტად ჩუმ იყო. ავთო-ავთანდილთან ტაროსა და ამოს კაი ხნის გულითადი მეგობრობა აკავშირებდათ. მეგობრებს ხშირად შეუძინევიათ ავთოს სახეზე ღიმილი, მაგრამ მისი სიცილი კი არასდროს უნახავთ. იგი ზედმეტს არაფერს იტყოდა და საუბრისას სიტყვას მოკლედ ჭრიდა. ნასყიდას ბატონი, ავთო, მეტად წარმოსადეგი, ჭკვიანი და ზრდილი ვაჟკაცი გახლდათ. იგი ქალებზე თვითონ არასოდეს ლაპარაკობდა, თუმცა სხვებს არ უშლიდა მისი თანდასწრებით ქალებზე გაებათ მკვეხარა საუბარი, რომელშიც ზოგჯერ დამცინავი შენიშვნებით ერეოდა. თავდაჭერილი და სიტყვაძუნნი ავთო ათას ჭირ-ვარამ გამოვლილ დარბაისელს მოგაგონებდათ. მას ნასყიდაც თავისი ხასიათისამებრ ჰყავდა განვრთნილი, რომელსაც პატრონის ბრძანება უსიტყვოდ ესმოდა.

სულ სხვა, ავთოსაგან განსხვავებული ხასიათი ჰქონდა ტარიელს ანუ ტაროს. იგი ხმამაღლა, როხროხით ბევრს ლაპარაკობდა. მისთვის სულ ერთი იყო, ყურს უგდებდნენ თუ არა, თვითონ ტკებოდა თავისი ნათქვამით. საგანგებოდ მორთული დადიოდა, რათა ტანისამოსით გამორჩეული ყოფილიყო. ვაჩე ჩიქვანის მოსაცდელში, მეფის მონასპელებში, სულ თავის საყვარლებთან ახალ-ახალ გამარჯვებებზე ლაპარაკობდა. თავის ბატონს კახელი მსახური, ბოჩიაც ჰგავდა. იგი იმ პირობით დადგა ტაროსთან მსახურად, რომ მხოლოდ ტანისამოსი და ბინა ჰქონოდა. ბოჩია მუდამ გამონკეპილი დადიოდა.

ამირანს ანუ ამოსაც ჰყავდა მსახური, სახელად ღვთისო. ამო სამომავლოდ ფიქრობდა, რომ სასულიერო პირი გახდებოდა და ამის გამო

ღვთისოს მუდამ შავები ემოსა. იგი ღვთისმოსავი, გულმონყალე და თავშეკავებული მსახური გახლდათ. თავისუფალ დროს, ხშირად ეკლესიაში სალოცავად დადიოდა.

ამ მონასპელი, ერთგული მეგობრების საცხოვრებლები ფრიად მოკრძალებული გახლდათ. ავთო კალოუბანში ნიაღვრის ქუჩაზე ცხოვრობდა. ეჭირა ორი გემოვნებიანად მოწყობილი ოთახი. ამ ბინის კედლებზე წარსული დიდების ნაშთი მოჩანდა. კერძოდ, ბაგრატ მეფის დროინდელი დამასკური ხმალი, რომლის ძვირფასი თვლებით დამშვენებული ტარი ფრიად ძვირი ეღირებოდა. ავთო ხშირად ხელმოკლეობას განიცდიდა, მაგრამ მაშინაც კი აზრად არ მოსდიოდა ამ ძვირფასი ხმლის გაყიდვა. ტაროს ეს ხმალი ძლიერ მოსწონდა და სათავისოდ თვალიც დაადგა. ის ერთხელ დიდებულ ქალბატონს უნდა შეხვედროდა და ავთოს სთხოვა ეს ხმალი. ავთომ, რაც კი სხვა ძვირფასეულობა გააჩნდა, მოაგროვა და ტაროს შესთავაზა. ამ ხმლის თხოვებაზე კი უარი სტკიცა. ბინაში, ხმლის გარდა, საგვარეულო, სხვადასხვა ძველი ნივთებიც იყო. მათ შორის ერთი ვერცხლის პროტომიანი ყანწი გამოირჩეოდა, რომელზედაც ვინმე დიდებულისადმი მიძღვნილი წარწერა იყო აღბეჭდილი. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ ავთოს წინაპარი წარჩინებული დიდებული უნდა ყოფილიყო. აქვე ოთახში ერთი, საგანგებოდ გაკეთებული, გამორჩეულნიშნისანი ზარდახმა იდო. იგივე ნიშანი ხმალსაც ჰქონდა. ავთომ ტაროს თანდასწრებით მხოლოდ ერთხელ გახსნა ყუთი და მეგობარი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ მამაპაპისეული საგვარეულო ეტრატ-საბუთების გარდა შიგ სხვა არა იყო რა.

ტაროს მეტეხის უბანთან ღვინის აღმართის ქუჩაზე საკმაოდ ფართო და თვალშისაცემად მოწყობილი ოთახები ეკავა. როდესაც ნაცნობებთან ერთად თავისი ბინის წინ ჩაივლიდა, ამაყად თავის ბინას დანახვებდა, მაგრამ იქ არასოდეს არავის პატიჟებდა. ამირანს ანუ ამოს რაც შეეხება, მას სიონის ეკლესიასთან, მოპირდაპირე ქუჩაზე, ერთსართულიან სახლში სამი პატარა ოთახი ეჭირა. მისი საწოლი ოთახის მეორე კარი ამწვანებულ ბაღში გადიოდა, რომელსაც ქუჩაში გამვლელების თვალი ვერ სწვდებოდა.

ქუჯის ბინა მტკვრის პირას, ანჩისხატის უბნიდან დასავლეთით, სატივეს ქუჩაზე მდებარეობდა. ქუჯი ბუნებით ძალიან ცნობისმოყვარე იყო, როგორც ყველა ისინი, ვინც მოქნილი გონებით არიან დაჯილდოებულინი. მან ყოველი ღონე იხმარა, რათა შეეცნო, ვინ იყვნენ სინამდვილეში ავთო, ამო და ტარო, რადგან თავიანთ წარმომავლობას ამ მოგონილი



მოკლე ზედმეტსახელებით ფარავდნენ. მეტადრე ავთო, რომელიც შორი-დანვე მოჩანდა დიდებული გვარიშვილის შთამომავლად. ქუჯიმ ტაროს მიმართა და ავთოს და ამოს წარსულის მოყოლა სთხოვა. შემდეგ კი ამოს ტაროს ვინაობა ჰკითხა. სამწუხაროდ, ტარომ თავისი გულჩათხრობილი მეგობრის ცხოვრებიდან არა იცოდა რა იმაზე მეტი, რაც ყველასთვის ცნობილი იყო. ამბობდნენ, რომ ავთოს სიყვარულში არ გაუმართლა და დალატმა ცხოვრება გაუმწარა. რაც შეეხება ტაროს, მისი ნამდვილი გვარი და სახელი, მსგავსად მისი ორი მეგობრისა, მხოლოდ ვაჩე ჩიქვანმა იცოდა, ხოლო მისი ცხოვრების გაცნობა სულაც არ იყო ძნელი. იგი პატივმოყვარე იყო და მხოლოდ მაშინ შეცდებოდით მის შეფასებაში, თუ დაიჯერებდით ყველაფერ იმას, რასაც ტარო იკვებნიდა. ამოს რომ შეხედავდით, იტყოდით, ამას არავითარი საიდუმლოება არ გააჩნიაო. მაგრამ სინამდვილეში მთლიანად საიდუმლოებით იყო მოცული. სხვის ამბავს რომ ჰკითხავდნენ, თითქმის არაფერს იტყოდა, ხოლო როდესაც თავის შესახებ შეეკითხებოდნენ, საუბარს სხვა საგანზე გადაიტანდა. ერთხელ ქუჯიმ ბაასი გაუბა ტაროზე და გაიგო, რომ მას ვილაც მდიდარი დიდებულის მეუღლის გული მოენადირებინა...

– ჩემო ძვირფასო ამო! სხვების ამბები რომ კარგა იცით, საკუთარზე რას იტყვით?

– ჰოო... უკაცრავად... მე ამას ვამბობ იმიტომ, რომ თავად ტარო არ მალავს. მაგრამ, ჩემო ქუჯი, მე რომ სხვა წყაროდან ვიცოდე, ან მისგანვე მქონდეს მონდობილი ეს ამბავი, ტარო ჩემზე უკეთეს კაცს ვერსად იპოვიდა ამ ცნობების დასაფარად. ხომ იცი მე მონასპელი შემთხვევით ვარ, გული კი ეკლესიისაკენ მიმიწევს. ჰო, ახლაც ლოცვანი მაქვს წასაკითხი. ამის გარდა, ქალბატონმა მირანდუხტმა რამდენიმე სტროფის გალექსვა მთხოვა. შემდეგ აბანოთუბანში მღებავთა ქუჩაზე ვარ გასასვლელი, წითელი საღებავი უნდა ვუყიდო ქალბატონ ნათელას. ხომ ხედავთ, ჩემო კეთილო, რომ თქვენ თუ არ გეჩქარებათ, მე ბევრი საქმე მაქვს მოსაგვარებელი.

საერთოდ, ეს ოთხი მეგობარი ფრიად მხიარულად და ხალისიანად ცხოვრობდა. ავთო სამორინეში თამაშობდა და მუდამ აგებდა, მაგრამ არასდროს ფულს არ ისესხებდა თავისი მეგობრებისაგან. როცა ფული არა ჰქონდა და ნდობით თამაშობდა, მეორე დღეს, დილითვე, გამარჯვებულის კართან იყო, რომ წინა დღით წაგებული მიეცა. ტარო ხშირად არ თამაშობდა, მაგრამ თუ ითამაშებდა და მოიგებდა, მაშინ გაბრწყინებული იყო; წაგებისას კი რამდენიმე დღით იკარგებოდა და მერე ისევ

გამოჩნდებოდა დაღვრემილი სახით, მაგრამ სავსე ჯიბით. რაც შეეხება ამოს, ის არასოდეს თამაშობდა. ხშირად, როდესაც სუფრას უსხდნენ საქეიფოდ, ღვინით შექეიფიანებულები და გაცხარებული ბაასით გართულები, დარწმუნებულნი, რომ კიდევ კარგა ხანს გასტანდა ეს ლხინი, ამო წამოდგებოდა, ღიმილით ბოდისშ მოიხდიდა იმის გამო, რომ შეხვედრა ჰქონდა დანიშნული ვიღაც ღვთისმეტყველთან და გამოეთხოვებოდა მოქეიფებს. ამაზე ავთო მომხიბლავი ღიმილით უპასუხებდა, რომელიც მეტად ამშვენებდა მის დიდებულ იერს. ტარო ღვინოს მოინაფებდა და თანაც იფიცებოდა, რომ ამო თავის დღეში ვერას ეღირსებოდა და მიყრუებული სოფლის მღვდლად მოკვდებოდა.

ბუჭუკამ, ქუჯის მსახურმა, ღირსეულად შეიფერა ბედის წყალობა. ორ ვერცხლის მილიარესს აძლევდა ყოველდღე ბატონი და ისიც უსაზღვროდ მადლიერი იყო თავისი ბედისა. ასე გაიარა ერთმა თვემ, მაგრამ, როდესაც გაჭირვების ქარმა დაუქროლა სატივეს ქუჩის მდგმურს, ესე იგი, როდესაც თითქმის უკვე შეჭმული აღმოჩნდა მეფე დემეტრეს ნაწყალობევი ფული, ბუჭუკამ წუნუნი დაინყო. მეგობრებმა ქუჯი დაარიგეს, – მსახურს, სახლში შემოყვანისთანავე ის ადგილი უნდა მიუჩინო, რომელზედაც გინდა, რომ ის საბოლოოდ დარჩესო. ქუჯიც ამ დებულებას დაუფიქრდა და გადაწყვიტა, განვრთნა-დამორჩილების მიზნით ბუჭუკა გაელახა. მან ბუჭუკა კარგად გატყიპა და უბრძანა, უნებართვოდ ფეხი არ მოეცვალა.

ქალაქში ახლად ჩამოსულ ქუჯის ცხოვრება მისთვის უცხო საზოგადოებაში უწევდა. იგი თანდათან შეეგუა ახალ ჩვეულებებს და მოთხოვნილებებს. მეგობრები ყოველ დილით ვაჩე ჩიქვანის სასახლისაკენ მიემურებოდნენ ბრძანების მისაღებად. ქუჯი ჯერ მონასპელებში არ იყო ჩარიცხული, მაგრამ მაინც ბეჯითად ასრულებდა მონასპელის მოვალეობას. არ შორდებოდა თავის მეგობრებს და სადაც ისინი იყვნენ, ისიც იქ მიდიოდა. ყველა მონასპელი იცნობდა მას და ამხანაგად მიაჩნდათ. ვაჩე ჩიქვანმაც ქალაქში ახლად ჩამოსული ქუჯი მაშინვე შეიყვარა და ხშირად მფარველობდა. თავის მხრივ, სამ მონასპელსაც ძალიან მოსწონდათ ახალი ძმაკაცი. ამ ოთხ ვაჟკაცს ახლო მეგობრობა აერთიანებდათ. სულ ერთად იყვნენ; ხან საქმის, ხანაც ორთაბრძოლების გამო, ხან კი საქეიფოდ და დროის გასატარებლად. ამ განუშორებელ მეგობრებს ქალაქში ყოველთვის ერთად ხედავდნენ ან ერთმანეთის მძებნელებს ორთაჭალიდან კალოუბნამდე, ან ნავკისის ხევიდან – ისან-სამგორამდე.

ამასობაში ვაჩე ჩიქვანის დაპირებებიც თანდათან სრულდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს მეფემ უბრძანა ერისთავ ავაგ არტანუჯელს, რომ ქუჯი მის რაზმში ჩაერიცხა. ბატონი ვაჩე ორი წლის შემდეგ ჰპირდებოდა მას მონასპაში გადმოყვანას. თან იმედს აძლევდა, თუ შემთხვევა მოგეცათ და თვალსაჩინო რამ სამსახური გაუწიეთ მეფეს ან თავი ისახელეთ ვაჟკაცობით, ამ ვადის შემცირებაც შეიძლებაო. ქუჯი ამ დანაპირებს დასჯერდა და თავის ახალ რაზმში შეუდგა სამსახურს.



#### – თავი 4 –

გამოხდა ხანი და მეფე დემეტრეს ნაწყალობეც ფულს ბოლო მოელო. აქედან მოყოლებული, ოთხი მეგობარი დიდ სიღუბნეშიც განიცდიდა. ჯერ ავთომ შეინახა კარგა ხანს ამხანაგები, შემდეგ ტაროს დაანვა ეს მოვალეობა და მანაც თავისებურად მოაგვარა საქმე. ამომაც ეს მოვალეობა პირნათლად შეასრულა. მერე, როდესაც უფრო გაჭირდა საქმე, დახმარებისათვის ბატონ ვაჩე ჩიქვანს მიმართეს, რომელმაც ხელი გაუმართა და წინასწარ მისცა მათ ჯამაგირი. მაგრამ მიღებული თანხით ფონს ვერ გავიდოდნენ. ბოლოს, როდესაც სულ დაუცარიელდათ ქისები, როგორც იყო, მოაგროვეს ცოტაოდენი ფული და ტაროს მისცეს კამათელის სათამაშოდ. საუბედუროდ, ბედი არ სწყალობდა იმ დროს ტაროს და ეს ფულიც წააგო. ამ გაჭირვებას შიმშილი მოჰყვა. დამშეულები სასადილოდ ნაცნობებთან გარბოდნენ. ოთხჯერ დაჰატიყეს ნაცნობებმა ავთომ და ოთხჯერვე თან ნაიყვანა მეგობრები მათი მსახურებითურთ. ამგვარივე შვიდი შემთხვევა ჰქონდა ტაროს და მასაც თან დაჰყავდა მეგობრები. ამო ნაცნობებმა სადილზე ცხრაჯერ მიიწვიეს. რაც შეეხება ქუჯის, ის ჯერ არავის იცნობდა ტფილის-ქალაქში და მხოლოდ ერთხელ მიიწვიეს საუზმეზე თავისი კუთხის, ოდიშელ მღვდელთან. ისიც თავისი ამალით მიადგა მღვდელს, რომელსაც საუზმეზე ორი თვის მარაგი შეუჭამეს. მაგრამ ბუჭუკასი არ იყოს, რამდენიც უნდა ჭამო, მხოლოდ ერთხელ გაძღები. ნუხდა ქუჯი და სულ იმის ფიქრში იყო, როგორ დაეღწია თავი ამ გაჭირვებიდან. ბოლოს იმ ბრძნულ დასკვნამდე მივიდა, რომ ამ ოთხ ახალგაზრდა კაცს, ძალ-ლონით აღსავსეს, ქეიფის, ხმალაობის და ოხუნჯობის გარდა, სხვა რამ მიზანიც უნდა ჰქონოდა.

ოთხივენი ყოჩალი ბიჭები იყვნენ, ერთმანეთისათვის როგორც ქისით, ისე სიცოცხლით თავდადებულნი, ერთმანეთის ქომავნი და დამხმარენი. რაც უნდა სახიფათო რამ შემთხვევოდათ, უკან დახევა არ იცოდნენ. ცალ-ცალკე იყვნენ თუ ერთად, გულმოდგინედ ასრულებდნენ ერთად მიღებულ განზრახვას. ქუჯის ერთი გარემოება მეტად აკვირვებდა. მის მეგობრებს აზრადაც არ მოსდიოდათ გაჭირვებიდან თავის დასაღწევი საშუალების ძებნა. ამ ფიქრით იყო შეპყრობილი, როდესაც კარზე დაუკაკუნეს. ბუჭუკას გაღებული კარიდან უბრალო იერის, ხან-შიშესული კაცი შემოჰყვა. შემოსულმა სტუმარმა მისალმებისთანავე გამოუცხადა ქუჯის, რომ მეტად მნიშვნელოვანი და საიდუმლო საქმე ჰქონდა. ქუჯიმ ბუჭუკა გაუშვა და სტუმარს სკამი შესთავაზა. შემდეგ თავი დაუკრა იმის ნიშნად, რომ უსმენდა.

– ბატონი ქუჯი-გიორგის ქება ყველგან გამიგონია, როგორც გულადი ყმანვილი კაცისა, სწორედ ამ დამსახურებულმა ქებამ გამაბედვინა თქვენი შენუხება და ჩემი საიდუმლოს განდობა, – უთხრა სტუმარმა.

– ბრძანეთ, ბატონო! – ნააქეზა ქუჯიმ, რომელმაც ალლოთი იგრძნო რაღაც სასარგებლო.

– ჩემი ახალგაზრდა მეუღლე თეთრეულის საქმეს განაგებს ანო დედოფალთან. იგი ერთი წლის წინ შემრთეს. მას მზითვი ძალიან ცოტა ჰქონდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ბატონი ოტია ოდილაური, დედოფლის მსახურთუფროსი, ნათლია გახლავთ მისი და ძალიანაც ეხმარება.

– მერე, ბატონო? გისმენთ, – უთხრა ქუჯიმ.

– შემდეგ ის, რომ ჩემი მეუღლე გუშინ მოიტაცეს...

– მერედა, ვინ მოიტაცა?

– დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ ერთ კაცზე მაქვს ეჭვი.

– ვისზე ეჭვობთ?...

– კაცი, რომელიც კარგა ხანია, სულ უკან დასდევს. მაგრამ, მომისმინეთ, ბატონო, დარწმუნებული ვარ, რომ მოტაცების მიზეზი უფრო პოლიტიკაა, ვიდრე სიყვარული.

– უფრო პოლიტიკა, ვიდრე სიყვარული?.. ამით რისი თქმა გასურთ? – მიუგო ქუჯიმ.

– არ ვიცი, ღმერთმანი, შეიძლება თუ არა გითხრათ, ვისზე მაქვს ეჭვი?

– უკაცრავად! უნდა მოგახსენოთ, რომ მე თქვენ არაფერს გეკითხებით, თავად მოზრძანდით ჩემთან რაღაც საიდუმლოს გასანდობად. მოიქეცით ისე, როგორც გიჯობდეთ.

– არა, ბატონო! პატიოსან კაცად მიმაჩნისართ და გენდობით... დიახ, მე მგონია, ჩემი ცოლი იმისთვის კი არ მოიტაცეს, რომ ის მოსწონთ, არამედ სხვა ქალის სიყვარულის გამო, რომელიც უმაღლესი წოდების წარმომადგენელია.

– ჰოჰ... ნეტავ ვისი?.. ვის სიყვარულს სწამებენ?

– ვის სიყვარულს დასწამებენ, თუ არა სევასტოსი, პრინცი...

– პრინცისას, ტრაპიზონიდან...

– დიახ, ბატონო, – უპასუხა მოსულმა ახლა უფრო ჩუმი ხმით.

– მერე, თქვენ საიდან იცით ეს ყველაფერი?

– ეჰ, ჩემი ცოლისაგან ვიცი, ბატონო, ჩემი ცოლისაგან.

– თქვენმა ცოლმა საიდანღა იცის?

– ბატონ ოტია ოდილაურისაგან, აკი მოგახსენეთ, რომ ჩემი მეუღლე ოტია ოდილაურის ნათლულია, რომელიც დედოფლის ნდობით სარგებლობს. დიახ, ოტია ოდილაურმაც იმ განზრახვით შეიყვანა ჩემი ცოლი დედოფლის სამსახურში, რომ დედოფალს ერთგული ვინმე ჰყოლოდა. მეფეს გული აქვს აცრუებული თავის მეორე მეუღლეზე, უფროსი ბატონიშვილი დავითი და მისი ახლობელი ქალაქის დიდმოურავი იონა აბულეთისძეც დედოფალს ჯაშუშებს ახვევენ. მოგეხსენებათ, რომ დავით უფლისწული მეფე დემეტრეს პირველი ცოლისაგან ჰყავს. ასე რომ, დედოფალს გარს მხოლოდ მტრები ახვევია.

– ჰოჰ, აი, ახლა ცხადია, – თქვა ქუჯიმ.

– დიახ, ამ ოთხი დღის წინათ მოვიდა ჩემი ცოლი ჩემ სანახავად და საიდუმლოდ მითხრა, რომ ამჟამად დედოფალი დიდ შიშს განიცდის.

– მართლა?

– დიახ, როგორც ეტყობა, მოსვენებას აღარ აძლევს მისი გერი უფლისწული დავითი. სიცოცხლეს უმწარებს.

– ვიცი და ასე! – იტყვიდა ქუჯიმ. არა იცოდა რა, მაგრამ უნდა ისე სჩვენებოდა სტუმარს, თითქოს იცოდა დიდებული საზოგადოების საიდუმლოებანი.

– ისე რომ, ამჟამად ანო დედოფალსა ჰგონია, რომ მისი სახელით წერილი მისწერეს პრინცი გელასი კომნინს.

– დედოფლის სახელით?

– დიახ, მისი სახელით, სურთ, ტფილის ქალაქში შემოიტყუონ და ხაფანგში გააბან.

– აი, დასწყევლოს ემშაკმა!.. მერე, თქვენი მეუღლე რა შუაშია?

- იციან, ბატონო, რომ დედოფლის ერთგული მოსამსახურე გახლავთ და ცდილობენ დააშინონ იმდენად, რომ დედოფლის საიდუმლოებანი ათქმევინონ, ან აცთუნონ და დედოფალთან იყოლიონ თავიანთ ჯაშუშად.
- შესაძლებელია, ასეც იყოს, მაგრამ მითხარით, იცნობთ იმ კაცს, თქვენი მეუღლე რომ მოიტაცა? – თქვა ქუჯი.
- აკი მოგახსენეთ, მგონი, უნდა ვიცნობდე.
- ვინ არის? რა ჰქვია?
- სახელი არ ვიცი, ბატონო, მე მარტო ის ვიცი, რომ ბატონიშვილის და დიდმოურავის კაცია.
- კარგი, მაგრამ ის კაცი ხომ გინახავთ?
- დიახ, ჩემმა ცოლმა დამანახვა ერთხელ.
- ისეთი ნიშანი არა აქვს, რომ შეიძლებოდეს მისი ამოცნობა?
- როგორ არა! დიდებული კაცის შესახედაობა აქვს, შავი წვერ-ულვაში, გამგმირავი თვალები, თანაც პატარა ჭრილობა ეტყობა საფეთქელთან...
- პატარა ჭრილობა საფეთქელთან? – შეჰყვირა ქუჯი, – შავგვრემანი და დიდებული კაცის შესახედაობა აქვს! ეს ხომ ის მცხეთელი კაცია... თუ ეს კაცი, იმავე დროს, ჩემი მტერიც აღმოჩნდა, ორივეს ჯავრს ერთად ამოვიყრი, ჩემსასაც და თქვენსასაც, მაგრამ სად ვიპოვო? არავითარი ცნობა არა გაქვთ, სადა ცხოვრობს?
- არავითარი. ერთხელ ჩემი მეუღლე მივაცილე ისნის სასახლემდე და სწორედ მაშინ შეგვხვდა ის კაცი, სასახლიდან გამოდიოდა. ჩემმა ცოლმა შენიშნა.
- დასწყევლოს ღმერთმა! მეტად ბუნდოვანი საქმეა! მეუღლის მოტაცება ვინ შეგატყობინათ? – ბურტყუნებდა ქუჯი.
- არა ვფრთხილობ, ბატონო! – შეჰყვირა სტუმარმა, მამ, ბოზარჯიანი არა ვყოფილვარ...
- ბოზარჯიანი ბრძანდებით თქვენ? – შეაწყვეტინა ქუჯი.
- დიახ, ბოზარჯიანი გახლავართ.
- ჰოჰ! მამ, ჩემი სახლის პატრონი ბრძანდებით? – წამოიძახა ქუჯი და თავი დაუკრა.
- დიახ, ბატონო, ხუთი თვეა ჩემ სახლში დგახართ. უეჭველია, გართული ბრძანდებით სამსახურით და დავიწყებული გაქვთ ქირის გადახდა. ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ შემინუხებიახართ ამ წვრილმანით. ამიტომ ვიფიქრე, თქვენც ღირსეულად დამიფასებდით ამ პატივისცემას.

– დაგიფასებთ, ჩემო კეთილო ბატონო ბოზარჯიან. მერწმუნეთ, დიდი მადლობელი ვარ ასეთი თავაზიანი მოქცევისათვის და კიდევ გიმეორებთ, თუკი შევიძელ რითიმე თქვენი დახმარება... – მიუგო ქუჯიმი.

ბოზარჯიანმა ჯიბიდან წერილი ამოიღო და ქუჯის მიანოდა.

– დღეს დილით მომივიდა.

ქუჯი წერილის წასაკითხად ფანჯარასთან მივიდა. „თქვენ ცოლს ნუ ეძებთ. დაგიბრუნდებათ. ცოცხალი ვერ გადაგივრჩები, თუ გაბედე მისი ძებნა“, – წაიკითხა ქუჯიმი.

– გასაგებია! მაგრამ აქ მუქარის მეტი არაფერია.

– დიახ, მაშინებს ეს მუქარა. მე, ბატონო, ხმალ-ხანჯლისა არა ვიცი რა და ორთაჭალის ციხისაც ძალიან მეშინია.

– თქვენზე მეტად არც მე მიყვარს ორთაჭალის ციხე. მარტო ხმალზე რომ იყოს საქმე, ღვთის წყალობა გაქვთ, მე...

– დიდი იმედი მქონდა თქვენი დახმარებისა, ბატონო...

– მართლა?

– მე ყოველთვის ყოჩად მონასპელებთან გხედავთ. ისინი ხომ ბატონი ვაჩე ჩიქვანის რაზმელები არიან და, მაშასადამე, დიდმოურავის მტრებიც იქნებიან. ამიტომ ვიფიქრე, თქვენ და თქვენი მეგობრები თანაუგრძნობდით ჩვენ დედოფალს და მისი ჯავრის ამოსაყრელად რაიმე ოინს უზამდით დიდვეზირ ბატონიშვილ დავითს.

– მართალია!

– გარდა ამისა, სამი თვის ქირაზე სიტყვაც არ მითქვამს თქვენთვის...

– დიახ, თქვენ უკვე გამოიყენეთ ეს საბუთი და მე ვცნობ მას სამართლიანად.

– გადაწყვეტილი მაქვს, ბატონო, რაც უნდა დიდხანს დარჩეთ ჩემს სახლში, არ შევანუხოთ ქირის გადახდაზე.

– ძალიან კარგი.

– ახლა ესეც მიიღეთ მხედველობაში, რომ, თუ საქმე მოითხოვს, შემიძლია ცოტაოდენი ფულის მორთმევა, თუ ამჯერად, დროებით, ცარიელი გაქვთ ქისა.

– საუცხოო აზრი მოგსვლიათ!.. მაშ, თქვენ მდიდარი კაცი ყოფილხართ, ჩემო კეთილო ბატონო ბოზარჯიან!

– არა მიჭირს რა, ღვთის მადლით, ბატონო, ფართლუულით ვვაჭრობდი და დავაგროვე ფული. სახელოვან მოგზაურ-ვაჭარ რაფიელ დანიბეგას ინდოეთისკენ უკანასკნელი მგზავრობის მოსაწყობად მეც შევიტანე ცოტაოდენი ფული და კარგი მოგებაც ვნახე, დღეს ერთი, შემოსა-

ვლიანი მცირე სავაჭრო ქარვასლა მაქვს. ისე რომ, თქვენ თვითონაც ხედავთ... აჰა! აგერ! – შეჰყვირა უცბად ბოზარჯიანმა.

– აი, ის! წამოსასხამში გახვეული, ნაიარევი კაცი! – ერთად შეჰყვირეს ქუჯიმ და ბოზარჯიანმა. ორივემ იცნო საერთო მტერი.

– ახლა კი ველარსად წამივა! – შეჰყვირა ქუჯიმ და ხმაღს ეცა. ხმალი ქარქაშიდან ამოიღო და გარეთ გაიჭრა. კიბეზე მის სანახავად მოსული ავთო და ტარო შეხვდნენ. მეგობრებმა გზა მისცეს და ქუჯიც ისარივით გავარდა.

– რა მოგეჩვენა? სად მირბიხარ? – შეჰყვირეს ერთხმად ავთომ და ტარომ.

– მცხეთელი უცნობი! – მიაძახა მან და ერთ წამში ქუჩაში გაჩნდა.

ქუჯის რამდენჯერმე ეამბნა თავისი მეგობრებისათვის მცხეთაში ვილაც უცნობთან შეტაკების ამბავი და ლამაზ ქალთან შეხვედრა, რომელსაც იმ უცნობმა კოლოფი ჩააბარა და დავალება მისცა. ავთოს აზრით, ქუჯის ალბათ ჩხუბის დროს დაეკარგა მამის წერილი. მისი შეხედულებით, ქუჯის მიერ აღწერილი კაცი არ შეიძლება პატიოსანი არ ყოფილიყო და, რასაკვირველია, წერილის მოპარვას არ იკადრებდა. ტარო ამ ამბავში უბრალო შეხვედრას ხედავდა, მიჯნურის მიერ ლამაზი ქალისთვის დანიშნულს. ამოს შეხედულებით, საიდუმლოებით იყო სავსე ეს საქმე.

ქუჯის მიერ წამოსროლილმა სიტყვებმა მაშინვე მიახვედრა ავთო და ტარო, სად მირბოდა მათი მეგობარი. ცხადი იყო, ქუჯი, ბოლოს და ბოლოს, მაინც თავის ბინაში მობრუნდებოდა. ამიტომ მათ გზა განაგრძეს და ოთახში შევიდნენ. იქ არავინ დახვდათ. სახლის პატრონს ქუჯისა და უცნობის შეხვედრისა შეშინებოდა. ბოზარჯიანს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ აქ სისხლი დაიღვრებოდა და ფიქრობდა, გონება იმიტომ აქვს ადამიანს, რომ განსაცდელს მოერიდოსო.

ქუჯი, მართლაც, მალევე დაბრუნდა. ახლაც, როგორც წინათ, უცნობი სადღაც მიმალულიყო. ისე გაქრა, თითქოს ცას ან დედამიწას ჩაეყლაპოს. ხმაღშემართულმა ქუჯიმ სწრაფად მოიბრინა ყველა ახლომახლო ქუჩა, მაგრამ იმ უცნობის მსგავსიც კი არავინ შეხვდა. სანამ ქუჯი ქუჩებში დარბოდა, ამოც თავის ორ ამხანაგს შემოუერთდა.

– ჰა, რა გაარბიე? – ჰკითხეს მეგობრებმა ქუჯის, რომელსაც აღშფოთებულ სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა.

– ოჰ... უსხეულო ქაჯი უნდა იყოს ის მხდალი, ისე გაქრა, როგორც ლანდი! – შეჰყვირა ქუჯიმ და ხმალი ლოგინზე დააგდო.



- გნამთ რამე მოჩვენებისა? – იკითხა ირონიულად ავთომ.
- მე მარტო ის მწამს, რასაც ვხედავ და რადგან მოჩვენება არასოდეს არ მინახავს, მაშ, არცა მწამს.
- მოჩვენებაა თუ სინამდვილე, ცხადია, რომ ჩემ სანამებლადაა გაჩენილი. მისმა გაქცევამ ერთი საგანგებო საქმე ჩაგვიშალა, რომელშიც ნაღდი ფული გვრჩებოდა.
- ვაჰ, მართლა? – ჰკითხეს ერთად ტარომ და ამომ. რაც შეეხება ავთოს, მან არც აქ დაარღვია თავისი ჩვეული დუმილი და იმით დაკმაყოფილდა, რომ თვალებით შეეკითხა ქუჯის. ამ დროს ბუჭუკამ კარი ოდნავ შემოაღო და ცნობისმოყვარე თავი შემოყო. – ბუჭუკა! ჩვენს სახლის პატრონთან ჩადი და უთხარი, მოზრდილი დოქით ატენურის ღვინო გამოგვიგზავნოს, – უბრძანა ქუჯიმ მსახურს.
- აჰ... ვა! მაშ, მაგდენი ნდობით სარგებლობთ თქვენს სახლის პატრონთან? – იკითხა ტარომ.
- დიახ, დღეიდან, ბატონებო, არხეინად ბრძანდებოდეთ, თუ ეს ღვინო არ მოგვეწონა, სხვა, უკეთესის მოსატანადაც გავგზავნი, – უპასუხა ქუჯიმ.
- ტყუილად კი არ ვამბობდი, რომ ჩვენში ყველაზე ჭკვიანი ქუჯია მეთქი, – თქვა ავთომ.
- კმაყოფილმა ქუჯიმ კი მადლობის ნიშნად თავი დაუქრა.
- ბოლოს და ბოლოს, რაშია საქმე, არ უნდა გვეთხრა? – ჰკითხა ტარომ.
- აი, მომისმინეთ... მან სიტყვასიტყვით უამბო თავის მეგობრებს ყველაფერი, რაც მისმა სახლის პატრონმა უთხრა, ამას ისიც დაუმატა, რომ უცნობი, რომელმაც ბოზარჯიანის ცოლი მოიტაცა, სწორედ ის კაცი აღმოჩნდა, რომელთანაც მას ჩხუბი მოუვიდა მცხეთის სასტუმროში.
- არ უნდა იყოს ურიგო საქმე... შეიძლება ერთი ორმოცდაათი-სამოცი სოლიდიც დავაძროთ თქვენს ბოზარჯიანს, მაგრამ ჯერ უნდა მოვიფიქროთ, ღირს კი თავის განირვად?
- ნუთუ გავინყდებათ, რომ ქალი ურევია ამ საქმეში! – შეჰყვირა ქუჯიმ,
- მოიტაცეს ქალი და ემუქრებიან. იქნება კიდევ ანამებენ, მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი ქალბატონის ერთგულია.
- ფრთხილად, ქუჯი, ფრთხილად, – უთხრა ამომ.
- მე რომ მიკითხო, ძალიან ცხარობ ქალბატონ ბოზარჯიანის მდგომარეობაზე. ქალი ჩვენ წასანყმედად გააჩინა ღმერთმა, ქალისაგანაა, რომ ამოდენა უბედურება ახვევია კაცს.
- ქალბატონ ბოზარჯიანზე არ ვწუხვარ მე, – მიუგო ქუჯიმ, – ანო-დე-დოფლის მდგომარეობა მაფიქრებს უფრო. მეფემ მიივინყა იგი, ბატო-

ნიშვილი დავითი, რომელიც მეფის გარდაცვლილი, პირველი მეუღლის შვილია, სდევნის დედოფალს და დღე არ გავა, რომ დიდმოურავის ხელით თავი არ გააგდებინონ მის რომელიმე ერთგულს.

– ჰო და, რად უყვარს მას ტრაპიზონ-კონსტანტინეპოლელები? სწორედ ისინი, ვინც ჩვენ გულზე სულაც არ გვეხატებიან!

– ეგ ქალაქები და ქვეყანა მისი სამშობლოა, – უპასუხა ქუჯიმი, – და სრულიად ბუნებრივია, რომ თავისი თანამემამულენი, სამშობლო ქვეყნის შვილები უყვარდეს. რაც შეეხება მეორე ბრალდებას, გამიგონია, რომ გელასი კომნინს ბავშვობიდან იცნობს, როგორც მის შორეულ ნათესავს და გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მოსწონდეს.

– ეჰ, ჯობს, მართალი ვაღიარო, ნამდვილად სიყვარულის ღირსია ის გელასი კომნინი. არასოდეს არავინ მინახავს ისეთი დიდებული და მომხიბლავი, – თქვა ავთომ.

– ახლა მისი ტანისამოსი! – დაიძახა ტარომ, – ისე კოხტად ჩაცმული სხვა არავინ მეგულება, ამო, შენც ხომ იცნობ, არა?

– ისევე, როგორც თქვენ...

– და მაინც, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ჯინაზე, კარგად გამებრაზებინა დავით ბატონიშვილი. მერწმუნეთ, ბატონებო, ერთადერთი ჩვენი მტრები მანდატურთუხუცეს, ბატონიშვილი დავითის მომხრეები არიან, – თქვა ქუჯიმი.

– მაშ, იმ კაცმა გითხრა, თითქოს დედოფალი შიშობდეს, ვაითუ ჩემი სახელით შემოიტყუესო გელასი კომნინი ტფილისში? – იკითხა ავთომ.

– მოითმინეთ, მომისმინეთ, ბატონებო! – თქვა ამომ, – გუშინ ღვთისმეტყველების მოძღვართან ვიყავი, რომელსაც ხანდახან ვესაუბრები ჩემი თეოლოგიური ნაშრომის შესახებ... მიყრუებულ უბანში ცხოვრობს, – განაგრძო ამომ, – და სწორედ იმ დროს, როდესაც იქიდან გამოვდიოდი... – აქ ამო გაჩუმდა.

– მერე, მერე? – მისცვივდნენ ამხანაგები, – სწორედ იმ დროს, როდესაც გამოდიოდით...

ამომ თავს ძალა დაატანა ისე, როგორც ამას აკეთებს სიცრუის მთქმელი ადამიანი, რომელსაც წინ გადაეღობება მოულოდნელობა, მაგრამ ისეთი დაშტერებით შესცქეროდნენ სმენად გადაქცეული ამხანაგები, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო უკან დახევა.

– ჩემ მეგობარ ღვთისმეტყველს დისწული ჰყავს, ახალგაზრდა ქალი, – განაგრძო ამომ.

– ოჰო, ახალგაზრდა ქალი? – შეაწყვეტინა ტარომ.

– ძალიან პატიოსანი, – ამოს ამ ნათქვამზე სიცილი წასკდა სამთავეს.

– ბატონებო! – შეჰყვირა ქუჯიმ, რომელიც კარგად ჭვრეტდა ამ საქმის არსს, – მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა მოსასმენი და თუ შესაძლებელია, ნულარ ვიხუმრებთ, მერე, ამო, მერე?

– უცბად ერთი კაცი მომიახლოვდა, ტანად ახოვანი, შავგვრემანი, კეთილშობილი სახისა... აი, იმგვარი, ქუჯი, როგორც თქვენი უცნობი მცხეთიდან.

– ან იქნებ, სწორედ იგივე, – მიუგო ქუჯიმ.

– იქნება ასეც იყოს, – განაგრძო ამომ, – მომიახლოვდა თავისი მხლებლებით და დიდი მონინებით მომმართა: „ბატონო გელასი... კეთილი ინებეთ, ჩაბრძანდით ამ ეტლში და გთხოვთ, არავითარი წინააღმდეგობა არ გამიწიოთ...“

– პრინცი გელასი კომინი ეგონეთ! – შეჰყვირა ქუჯიმ.

– ნამდვილად, – დაემონმა ამო.

– საქმე ისაა, რომ სიმაღლით და ტანადობით ამო გელასი კომინს ჰგავს... თქვა ტარომ.

– ბატონებო! ნუ დაეკარგავთ დროს. მოდით, დავიშალოთ და შევეუდგეთ ჩემი სახლის პატრონის ცოლის ძებნას, – სთხოვა ქუჯიმ.

– კარგი, – დაეთანხმა ტარო, – მაგრამ კარგ გასამრჯელოზეც მოურიგდით თქვენს სახლის პატრონს.

– ეს არც არის საჭირო, – უპასუხა ქუჯიმ, – რადგან, დარწმუნებული ვარ, სულაც რომ არაფერი მოგვცეს ბოზარჯიანმა, მაინც საკმარისად დაგვაჯილდოებენ მეორე მხრიდან.

ამ დროს კიბიდან აჩქარებული ფეხის ხმა მოისმა. გიჟივით შეაღეს კარი და ქუჯის ოთახში, სადაც ჩვენი მეგობრები ბჭობდნენ, უბედური ბოზარჯიანი შემოვარდა.

– აჰ, ბატონებო, მიშველეთ! – ყვიროდა ბოზარჯიანი, – ოთხი კაცია მოსული, დაჭერას მიპირებენ! მიშველეთ! ტარო და ამო წამოცვივდნენ.

– ერთ წამს, ბატონებო! – შესძახა ქუჯიმ და ანიშნა, ქარქაშში ჩაეგოთ ხმლები, – აქ ვაჟკაცობა კი არა, კეთილგონიერებაა საჭირო!

– მაშ, დავაჭერინოთ ეს საწყალი კაცი? – დაიძახა ტარომ.

– ისე მოვიქცეთ, როგორც ქუჯი იტყვის, – უთხრა ავთომ, – კიდევ ვიმეორებ, ჩვენში ყველაზე მახვილი ჭკუა ქუჯისა აქვს, ქუჯი, ახლა შენ იცი, იმოქმედე ისე, როგორც გინდოდეს.

ამ დროს კართან მოურავის ოთხი რაზმელი გამოჩნდა. შეიარაღებული მონასპელების დანახვაზე ისინი შეჩერდნენ, ოთახში შესვლას ველარ ბედავდნენ.

– მობრძანდით, ბატონებო! – შესძახა ქუჯიმ, – აქ ჩვენთანა ხართ, ჩვენ კი ყველანი მეფისა და უფლისწულის ერთგული მსახურნი ვართ.

– მაშ, წინააღმდეგობას არ გაგვიწევთ, მიღებული ბრძანების ასასრულებლად? – ჰკითხა ერთმა, რომელიც უფროსი უნდა ყოფილიყო.

– პირიქით, ბატონებო, თუ საჭიროება მოითხოვს, ჩვენც დაგეხმარებით.

– თქვენ აკი დამპირდით?.. – მიმართა ჩუმი ხმით სახლის პატრონმა.

– თქვენი დახმარება მაშინ შეგვეძლება, თუ თავისუფალნი ვიქნებით,

– აუხსნა სწრაფად და დაბალი ხმით ქუჯიმ. – თუ შეგვამჩნიეს, რომ თქვენს დაცვას ვაპირებთ, ჩვენც დაგვაპატიმრებენ.

– მობრძანდით, ბატონებო, – გასძახა ქუჯიმ, – წინააღმდეგობის განცემის არავითარი საფუძველი არა მაქვს. დღეს ვნახე ეს კაცი პირველად, ისიც იმ საბაბით, რომ სახლის ქირა ეთხოვა. ამას თვითონაც გეტყვით. ხომ მართალს ვამბობ, ბატონო ბოზარჯიან?

– სრული სიმართლეა, ბატონებო, – შეჰყვირა ბოზარჯიანმა, – მაგრამ იმას კი აღარ ამბობს, ბატონებო...

– ჰა, კრინტი არ დასძრათ ჩემზე, ჩემს ამხანაგებზე და მეტადრე დედოფალზე, თორემ ყველას დაღუპავთ და თქვენს თავსაც ვერას უშველით, – წასჩურჩულა ქუჯიმ, – შემოდით, ბატონებო, ნაიყვანეთ ეს კაცი! დააპატიმრეთ!

აღმასრულებლებმა მადლობა გადაუხადეს ქუჯის და მისი სახლის პატრონი ნაიყვანეს.

– რა მოგივიდა, როგორ ჩაიღინე ეს საძაგლობა? – მიმართა აღშფოთებულმა ტარომ ქუჯის, როდესაც რაზმის უფროსი გავიდა და მეგობრები მარტონი დარჩნენ.

– თავს ლაფი დავისხით! ოთხ მონასპელთან შევარდეს უბედური, დახმარება სთხოვოს და ხელი არ გაანძრიონ?!

– ტარო, – უთხრა ამომ, – უკვე გითხრა ავთომ, რომ მიაშიტი ხარ და ახლა მეც ამასვე გიმეორებ.

– მაშ, შენც იწონებ ქუჯის საქციელს? – შეჰყვირა ტარომ.

– მეც ვიწონებ! – უპასუხა ავთომ.

– ჰო... კიდევ რა გითხრათ, იცით, – თქვა ქუჯიმ ისე, რომ არ უცდია ტაროსათვის აეხსნა თავისი საქციელი, – გახსოვდეთ, ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის! ეს უნდა იყოს ჩვენი მრწამსი, მეგობრებო.

– დიახ, მაგრამ... – დაიწყო ისევ ტარომ.

– მოგვეცი ხელი და დაიფიცე! – შეუტიეს ერთად ავთომ და ამომ.

ამხანაგების მაგალითით დამარცხებული ტარიელი რაღაცას ბუზლუნებდა, მაგრამ მაინც გაშალა ხელი. ოთხმა ამხანაგმა ერთად გაიმეორა ქუჯი-გიორგის მიერ წარმოთქმული ფიცი, „ყველა ერთისათვის და ერთი ყველასათვის!“

– ძალიან კარგი, ახლა ყველანი შინისაკენ! – თქვა ქუჯიმ, – იცოდეთ, ფრთხილად უნდა ვიყოთ, დღეიდან მოსისხლე მტრად გავიხადეთ დიდ-ვეზირი, ბატონიშვილი დავითი და მისი გავლენიანი მომხრეები.



### – თაჰი 5 –

რაც რომ ბოზარჯიანის ცოლი, შუშანა, დააპატიმრეს, ოთხმა მს-ტოვარ-მიმყურადებელმა დაჭერილის ბინაში საფარი მოაწყო. ისინი კარს უღებდნენ ყველას, ვინც კი დააკაკუნებდა და მათაც აკავებდნენ. ამგვარად, რამდენიმე დღეში ხელთა ჰყავდათ დაკავებულის ყველა მახლობელი. ვინც კი ბოზარჯიანის ბინაში მივიდა, ყველა დაიჭირეს და დაჰკითხეს.

ქუჯის ბინას ცალკე კიბე და კარი ჰქონდა. ამიტომ, მასთან მომავალი დაკავება-დაკითხვას ასცდებოდა, თუმცა სამი მონასპელის მეტი არავინ დადიოდა ქუჯისთან. მეგობრები მოტაცებულის ძებნას მაშინვე შეუდგნენ, მაგრამ კვალს ვერ მიაგნეს. ვაჩე ჩიქვანმაც არა იცოდა რა. მხოლოდ უკანასკნელად სასახლეში ყოფნისას შეამჩნია, რომ პირველი ვეზირი, ბატონიშვილი დავითი მეტად ჩაფიქრებული იყო, მეფე შენუხე-ბული, ხოლო დედოფლის დანითლებული თვალები იმას ამტკიცებდა, რომ მას ძილი გაკრთომოდა და ნამტირალევი იყო.

ქუჯი ფეხს არ იცვლიდა სახლიდან და სამეთვალყურეო ჰუნქტად გადააქცია თავისი ბინა. ფანჯრიდან კარგად ხედავდა, ვინ მოდიოდა ბოზარჯიანთან და როგორ ვარდებოდა მახეში. გარდა ამისა, მან თავის ოთახში იატაკის საფარი აშალა, ისე, რომ მხოლოდ ერთი თხელი ფიცარი ეფარა ქვემო სართულის იმ ოთახს, სადაც დაჭერილების დაკითხვა წარმოებდა, კარგად ესმოდა დამკითხველების და მახეში გაბმულთა საუბარი. ჯერ გულდაგულ ჩხრეკდნენ დაჭერილს, შემდეგ კი დაკითხვას დაუწყებდნენ. ყველას ერთსა და იმავეს ეკითხებოდნენ.

„რაიმე რომ იცოდნენ თვითონ, ასე არ გამოკითხავდნენ, რას არკვევენ ნეტა, ტფილისში ხომ არაა გელასი კომინი?..“ ფიქრობდა ქუჯი.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც მან გაიგონა, არ იყო საფუძველმოკლებული ასეთი მოსაზრება. სანყალი ბოზარჯიანის დაჭერის მეორე დღეს, ის იყო, ქალაქს ბინდი დაედო, ბუჭუკამ ლოგინის გაშლა დაიწყო, რომ ამ დროს ბოზარჯიანის ბინის ქუჩიდან შემომავალ კარზე დააკაკუნეს, იმწამსვე გააღეს და მიხურეს. ქუჯი მივარდა იატაკს, სადაც სათვალთვალო ხვრელი ეგულებოდა და ყური მიუგდო. უცბად ქალის კივილი გაისმა.

– ფუ, ღმერთმა შეგარცხვინოთ! ქალი დაუჭერიათ, არამზადები ძალას ხმარობენ ქალზე! – გაბრაზდა ქუჯი.

– ხომ გეუბნებით, რომ ამ სახლის პატრონის ბოზარჯიანის ცოლი ვარ, დედოფლის მოსამსახურე, ჩემგან რა გინდათ? – კიოდა უბედური.

– ბოზარჯიანის ცოლი? ნუთუ ბედი მენია და მე ვიპოვი მას, ვისაც მთელი ქვეყანა დაეძებს? – ჩაიჩურჩულა ქუჯიმ.

– სწორედ თქვენ გელოდით ამდენ ხანს, – გაისმა დამკითხველის პასუხი.

– შემობრალეთ, შემ... – გაისმა უცბად ჩანყვეტილი ხმა.

– წაყვანას უპირებენ! ჩემი ხმალი! ბუჭუკ, სირბილით გაიქეცი, ავთო, ტარო და ამო ნახე. თუ შინ არიან, ჩემკენ შეიარაღებულები წამოვიდნენ.

– თქვენ სად მიდიხართ, ბატონო?

– ფანჯრიდან ჩავხტები, რომ უფრო მალე ვუშველო, შენ კი სირბილით, საითაც გიბრძანე! – თქვა ეს ქუჯიმ და ფანჯრიდან გადაძვრა და ჩახტა ზედა სართულიდან. მერე კართან მიიჭრა და დააკაკუნა.

ის იყო, დააკაკუნა, რომ უცბად ხმაური შეწყდა, გაისმა კარის გასაღებად მომავალის ფეხის ხმა. კარი გააღეს და ხმალამოლებული ქუჯი ბოზარჯიანის სახლში შევარდა. იმწამს, ბოზარჯიანის მეზობლებს საშინელი ყვირილი, ბრაგუნი, ხმლის ჟღარუნი და ავეჯის მტვრევის ხმა მოესმათ. ცოტა ხნის შემდეგ დაინახეს, რომ გაიღო კარი და შავსამოსიანი ოთხი კაცი გამოცვივდა. საგანგებო სიმხნევე არ დასჭირვებია ქუჯის ამ გამარჯვების მოსაპოვებლად, რადგან მანდატურის მოსამსახურეთაგან მარტო ერთი იყო შეიარაღებული, და ისიც მარტოდენ დასანახავად იცავდა თავს. ხუთი წუთი საკმარისი აღმოჩნდა მათი დამარცხებისათვის და ქუჯის დარჩა ბრძოლის ველი. სეირის მაყურებელმა მეზობლებმა ბოზარჯიანის სახლიდან გამოვარდნილი ოთხი კაცის დანახვაზე ფანჯრები მიიხურეს. აქ, ამ ქუჩაზე ისე ხშირი იყო ჩხუბი და ორომტრიალი, რომ ანჩისხატის უბნელი ტფილისელები გულგრილად ხვდებოდნენ ამ ამბავს.

ქუჯი მარტო დარჩა ქალბატონ შუშანა ბოზარჯიანთან, რომელიც გულწასული ესვენა სავარძელზე. მან სწრაფად გადაავლო თვალი

ახალგაზრდა ქალს. ეს იყო მომხიბლავი ახალგაზრდა ქალი, შავგვრემანი, კობტა, ოდნავ აპრეხილი ცხვირით. მაგრამ აქ თავდებოდა ის ნიშნები, რომლებიც მიხედვითაც შეიძლებოდა მისი დიდებულ ქალბატონად ცნობა. ხელები სინაზეს მოკლებული ჰქონდა, რაც ამტკიცებდა მის არადიდებულ წარმომავლობას. ქალბატონი შუშანას თვალიერებისას ქუჯიმ მშვენიერ ხელსახოცს მოჰკრა თვალი. მან ის გულწასულ ქალს ჯიბეში ჩაუდო. ამასობაში ქალბატონი შუშანაც მოსულიერდა, მომხიბლავი, მომწვანო თვალები გაახილა და თავზარდაცემულმა გადახედა იქაურობას. იგი თავის განმათავისუფლებელთან ერთად ოთახში მარტო დარჩენილიყო.

– მადლობა... ჩემი ხსნისათვის! – თქვა მან მორიდებით.

– ჰოჰ, რის მადლობა, ქალბატონო! ჩემი მოვალეობა იყო ეს, ასე მოიქცეოდა ამის შემხედვარე ყველა პატიოსანი კაცი, – მიუგო ქუჯიმ.

– არა, ბატონო, თქვენ ხართ ჩემი მხსნელი. თუ იცით, რა უნდოდათ ჩემგან იმ კაცებს?

– ქალბატონო, ქალაქის დიდმოურავის მანდატურ-მოხელენი გახლდნენ. რაც შეეხება თქვენს მეუღლეს, გუშინ მოვიდნენ მის დასაჭერად და ორთაჭალის ციხისკენ გაამგზავრეს.

– ჩემი ქმარი ციხეშია? – შეჰყვირა ქალბატონმა შუშანამ, – ის ხომ უდანაშაულოა!

– მე რომ მკითხოთ, ერთადერთი მისი დანაშაული ის არის, რომ თქვენი ქმარია, თავის საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, – მიუგო ქუჯიმ.

– მაშ, თქვენ იცით, ბატონო? მითხარით, ვინ არის ჩემი მტერი? შუახნის კაცია, ორმოცი წლისა, შავგვრემანი, პატარა ჭრილობა აქვს მარცხენა საფეთქელთან.

– სახელი იცით? – იკითხა ქუჯიმ, – მე მგონი, თქვენი მოტაცების მიზეზად თქვენს ქმარს პოლიტიკური გარემოება მიაჩნია.

– აქამდე მეც ეჭვი მეპარებოდა, ახლა კი ჩემი ქმრის აზრს ვიზიარებ.

– გამოქცევა როგორ მოახერხეთ? – იკითხა გაკვირვებულმა ქუჯიმ.

– ცოტა ხნით მარტო დამტოვეს ჩემმა გამტაცებლებმა, მეც ამით ვისარგებლე და გამოვიქეცი.

– მისი მფარველობის იმედი გქონდათ?

– ოჰ, არა, ვიცი, რომ ის მე ვერავითარ მფარველობას ვერ გამიწევდა. სხვა საქმეში მინდოდა გამომეყენებინა...

– რა საქმეში?

– ეს ჩემი საიდუმლოება არაა!

– ქალბატონო, გირჩევთ სიფრთხილეს. აქ ადგილი არ არის საიდუმლოების გასაზიარებლად. არამზადები, რომლებიც გავაქციე, უკან დაბრუნდებიან სამაგიეროს გადასახდელად. თუ აქ დავხვდით, ორივეს დაგვიჭერენ, – მიმართა ქუჯიმი.

– მართალია! – შეჰყვირა შიშით ათრთოლებულმა შუშანამ, – ამ სახლს მოვშორდეთ, აქ არის განსაცდელი! მერე მოვიფიქროთ რაიმე. ორივე გარეთ გავარდა. ჩქარი ნაბიჯით ჩაიარეს სატივეს ქუჩა და მცირე მოედანზე გაჩერდნენ.

– ახლა რა ვქნათ? მიბრძანეთ, საით გნებავთ, სად წაგიყვანოთ! – ჰკითხა ქუჯიმი.

– არ ვიცი, რა გიპასუხოთ, – მიუგო ქალმა, – განზრახული მქონდა, ჩემი ქმარი ნათლია ოტია ოდილაურთან გამეგზავნა, რომლისგანაც მინდოდა გამეგო, სასახლეში მისვლით საშიშროება ხომ არ მომეღიწის.

– განა მე კი ვერ მივალ ბატონ ოტია ოდილაურთან!

– მიხვიდოდით, მაგრამ საუბედუროდ, ბატონ ბოზარჯიანს იცნობენ სასახლეში და შეუშვებდნენ, თქვენ კი არ გიცნობენ და კარს მოგიჯახუნებენ.

– ერთგული მეკარე როგორ არავინ გეყოლებათ სასახლის შესასვლელ კართან, რომ საგანგებო სიტყვის გაგონებაზე...

ქალბატონი შუშანა ყმანვილკაცს დააცქერდა.

– ეს სიტყვა რომ გაგანდოთ, პირობას მომცემთ, რომ მხოლოდ ერთხელ გამოიყენებთ?

– მხედრის პატიოსან სიტყვას გაძლევთ! ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ თავგანწირვით ვემსახურო ჩემს მეფეს და ვასიამოვნო ჩემს დედოფალს, – უპასუხა ქუჯიმი ისეთი ხმით, რომ საბოლოოდ მოიპოვა ქალის ნდობა.

– მერე მე სად დაგელოდოთ, მანამ თქვენ დაბრუნდებით? დღეს მე ალარავის ვენდობი.

– მოითმინეთ... ჩემი მეგობარი ავთოს სახლთან ვართ, – უთხრა ქუჯიმი.

– ვინ არის ავთო?

– ავთოს ოთახში ჩაგკეტავთ!

– რომ დაბრუნდეს?

– კიდეც რომ დაბრუნდეს, ეტყვიან, რომ ჩემი მიყვანილი ქალია.

– საუკუნოდ შევრცხვები!

– ნეტავი თქვენ! ვინ გიცნობთ? ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ ეს მორიდება არც კი უნდა გვაგონდებოდეს.



– მაშ, თქვენი მეგობრის სახლისაკენ წავიდეთ! სად ცხოვრობს?

– კალოუბანში ნიაღვრის ქუჩაზე.

გამართლდა ქუჯის სიტყვა, ავთო შინ არ დახვდათ. გასაღები მე-კარეს გამოართვა, რომელიც მას, ჩვეულებისამებრ, ყოველთვის ენდობოდა, როგორც ავთოს მეგობარს. კიბე აიარეს და ქუჯიმ ქალბატონი შუშანა თავისი მეგობრის პატარა ბინაში შეიყვანა.

– იგრძენით თავი ისე, როგორც საკუთარ სახლში, – უთხრა ქუჯიმ, – შიგნიდან გადაკეტეთ კარი და არავის გაულოთ, სანამ სამჯერ არ დაგიკაკუნებენ.

– ძალიან კარგი, ბატონო. თქვენ კი ისნის სასახლის მცირე კართან, ლილოს ქუჩის მხრიდან თაყა იკითხეთ. მის შეკითხვაზე, რა გნებავთ, უპასუხეთ „ბაგა“. კარს გაგიღებენ და თქვენს ბრძანებებს შეასრულებენ.

– რა უნდა ვუბრძანო?

– უბრძანეთ, ოტია ოდილაური მოძებნონ და მოგიყვანონ. ის კი ჩემთან გამოგზავნეთ.

– კარგი, მაგრამ კვლავ სადღა გნახოთ მე?

– ძალიან გნებავთ ჩემი ნახვა?

– ოჰ, რომ იცოდეთ...

– მე მომანდეთ მაგის მოხერხება!

ქუჯიმ სიყვარულით აგზნებული თვალებით შეხედა ქალბატონ შუშანას და გამოეთხოვა. კიბეზე ჩასვლისას გაიგონა, როგორ გადაკეტა შუშანამ ურდულით კარი. ისნის სასახლესთან ქუჯი ლილოს ქუჩიდან მივიდა. იგი პირდაპირ სასახლის მცირე ჭიშკარს მიადგა. ისე ასრულდა ყველაფერი, როგორც შუშანამ თქვა. კარისკაცმა თაყამ დათქმული სიტყვის გაგონებაზე თავი დაუკრა და მაშინვე ბრძანების ასასრულებლად გაიქცა. მალევე ოტია ოდილაურიც გამოჩნდა. ქუჯიმ მოკლედ უამბო ყველაფერი და აცნობა, სად შეიძებოდა შუშანას ნახვა. ოტია ოდილაურმა გაამეორებინა ავთოს სახლის მისამართი და მაშინვე იქითკენ გაემართა. თუმცა უცბად უკან მობრუნდა.

– უკაცრავად, ერთი რჩევა მინდა გაგიბედოთ. შეიძლება ამით არ დამთავრდეს ეს ამბავი და თქვენც უსიამოვნება შეგხვდეთ. ამიტომ, ამხანაგი არავინა გყავთ, რომელიც სამომავლოდ დაადასტურებს, რომ თქვენ მასთან იყავით და აქ არ მოსულხართ?!

ეს რჩევა ქუჯის მართებულად ეჩვენა და უკანმოუხედავად გაიქცა ბატონი ვაჩეს სასახლისაკენ. მაგრამ დარბაზში, სადაც ხალხი ირეოდა,

არ შესულა. მსახურს, რომელსაც იგი ვაჩეს მახლობელ კაცად მიაჩნდა, სთხოვა, პირდაპირ ბატონის პირად ოთახში შემიშვიო. მსახურმა ვაჩე ჩიქვანს მოახსენა, რომ მის თანამემამულეს რაღაც საჩქარო საიდუმლო საქმე ჰქონდა და ელოდებოდა. მალე ვაჩე თავის ოთახში შემოვიდა და ქუჯის ჰკითხა, რით იყო გამონვეული მისი ასეთი ნაგვიანევი სტუმრობა, ან რით შეეძლო დახმარებოდა.

– უკაცრავად, ბატონო, – მიუგო ქუჯიმ, რომელმაც ისარგებლა იმით, რომ ვაჩეს მოსვლამდე მარტო იყო ოთახში და ვითომ უკვე კარგა ხანს ელოდა აქ, მოსაცდელში, – მე მეგონა, რომ ჯერ კიდევ მიღების დრო გქონდათ და დაგვიანებული არ იქნებოდა...

– უჰ კაი დრო გასულა, რაც მელოდებით? – თქვა ვაჩემ! – აბა, რა გნებავთ?

ქუჯიმ თავის მფარველს დანვრილებით უამბო დედოფლის ამბავი. უამბო, რომ უფლისწულ დავითს განზრახული ჰქონდა გელასი კომინის ტფილისში შემოტყუება, დედოფლისა და გელასის მახეში გაბმა. ისეთი სიმშვიდით და დაბეჯითებით უამბობდა ყოველივე ამას, რომ ვაჩეც დააჯერა, მით უფრო, რომ მონასპელთა მეთაურს, თურმე, ადრევე შეემჩნია მეფის, დედოფლისა და ბატონიშვილის რაღაც უცნაური, აღვზნებული განწყობილება.

როცა სიონის ეკლესიის გუმბათი ბინდმა მოიცვა, ქუჯი გამოეთხოვა ვაჩე ჩიქვანს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამ ცნობების მონოდებისათვის და ურჩია, ყოველთვის ერთგული სამსახური გაენია მეფისა და დედოფლისათვის. ქუჯი კი დარწმუნდა, რომ კარგი მოწმე ჰყავდა, თუკი დასჭირდებოდა.

ქუჯი ქუჩაში ჩაფიქრებული გამოვიდა და შინ წასასვლელად შორი გზა აირჩია. გზაში ცაზე ახალ აკაშკაშებულ მწუხრის ვარსკვლავს მეოცნებე-შეყვარებულის თვალებით შესცქეროდა. მისი ამ ფიქრის საგანს ქალბატონი შუშანა წარმოადგენდა. გამოუცდელი ჭაბუკისათვის, ჯერ ისევ შეგირდ-მონასპელისათვის, ეს ახალგაზრდა ქალი სიყვარულის საოცნებო იდეალს წარმოადგენდა. ამ ოცნებაში გართულ ქუჯის ელანდებოდა, რომ შუშანა შეხვედრას უნიშნავდა და ის უკვე მისი სატრფო გახლდათ. აგრეთვე ოცნებობდა, როგორი თავმონონებით გაასეირნებდა მშვენიერ ქალბატონ შუშანას აბანოთუბნის ბაზარში; როგორი სიამაყით გააცნობდა ავთოს, ტაროსა და ამოს თავის გულის ვარდს.

ასეთი ტკბილი ფიქრებით გატაცებული ქუჯი ღამეს ებაასებოდა, ვარსკვლავებს შესციცინებდა და ფიჭვის ქუჩას მიუყვებოდა. სწორედ ამ უბანში, სიონის ეკლესიის წინ, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ცხო-

ვრობდა ამო. უცბად აზრმა გაურბინა, თავისი მეგობარი ენახა, ეცნობებინა მისთვის ეს ახალი გარემოებანი. ქუჯი აღტაცებული ფიქრობდა, რომ შემთხვევა ეძლეოდა, ლაპარაკი ჩამოეგდო მოხდენილ ქალბატონ შუშანაზე, რომელსაც დაემონებინა მისი გული.

ქუჯიმ იმდენ ხანს იარა ქუჩებში, ახალა შეამჩნია, რომ ტფილის-ქალაქს უკვე ღრმა ძილით ეძინა და ქუჩაში არავინ ჩანდა. საამო და წყნარი დარი იდგა. ქუჯი იმ პატარა გვერდითა ქუჩას მოსდევდა, რომელიც ამოს სახლამდე მიიყვანდა ფიჭვის ქუჩაზე. იგი ღამის სიგრილით და ნიავის მოტანილ ბალების სურნელით ტკბებოდა. შორიდან, მოხურული დარაბების იქით და შიდა ეზოებიდან მოქეიფეების მხიარული სიმღერები მოისმოდა. ქუჩის ბოლოს ქუჯიმ მარცხნივ შეუხვია და თავისი მეგობრის სახლის კართან ჩამონოლილ ნეკერჩხლის და სუროს ფოთლებში უცბად წამოსასხამში გახვეულ ვილაცას მოჰკრა თვალი. პირველად კაცი ეგონა, მაგრამ მომცრო ტანმა და მსუბუქმა მიმოხვრამ იგი დაარწმუნა, რომ ქალი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანდა, ეს ქალი ვერ ცნობდა დანიშნულების სახლს, რადგან ხან მოსცილდებოდა, ხან მიუახლოვდებოდა. ამ ამბავმა ქუჯი მეტად დააინტერესა. ახალგაზრდა ქალი ნელ-ნელა მოინევდა წინ და თან სახლებს ითვლიდა. ქუჩის ამ ნაწილში სულ სამი სახლი იყო. ერთი ამოსი და ორიც მის გასწვრივ. „თვალი ხომ არ მატყუებს? – იფიქრა ქუჯიმ, – კარგი იქნება, რომ ჩემი მეგობრის სახლს ეძებდეს ეს დაგვიანებული მტრედი! მაგრამ... აჰ, ჩემო წმინდა ამო, ახლა კი წაგასწარი!“ ქუჯი ქუჩის ჩაბნელებულ მხარეს, ხის სკამის გვერდით მიიმალა. ახალგაზრდა ქალი მსუბუქად, ჰაეროვანი მოძრაობით ისევ წინ მოინევდა. მალე გაბედულად მივიდა ამოს ფანჯრის დარაბასთან და დააკაკუნა.

– ჰოჰ, ამოსთან არის, – ჩაიბუტბუტა ქუჯიმ.

ქალმა სამჯერ დააკაკუნა თუ არა, ფანჯარა მაშინვე გააღეს. ქუჯი ფანჯარას მოუთმენლად შესცქეროდა და ყურები დაცქვეტილი ჰქონდა. მან ღამის სიბნელეშიც კარგად გაარჩია, რომ ახალგაზრდა ქალმა თეთრი მანდილი გაშალა და თავის იდუმალ მობაასეს მისი ამოქარგული კუთხე აჩვენა. ქუჯის მაშინვე მოაგონდა შუშანას ფეხთან ნაპოვნი ხელსახოცი, რომელიც გულწასულს ჯიბეში ჩაუდო. ამ ამბავმა მოაგონა აგრეთვე ის ხელსახოცი, რომელიც ამოს გამოაძრო ფეხქვეშიდან. იგი ისეთ ადგილზე იდგა, რომ ამოს სახის დანახვა არ შეეძლო. მას იოტისოდენა ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ ქუჩაში მდგომ ქალთან მოლაპარაკე მისი მეგობარი ამირანი იყო.

ქუჯის სიფხიზლე ცნობისმოყვარეობამ შეცვალა. იგი საფარიდან ელვის სისწრაფით გამოვიდა და კედლის კუთხეს აეკრა, საიდანაც უკეთ შეეძლო ოთახში მომხდარი ამბავი დაენახა. განცვიფრებულმა ქუჯიმ ძლივს შეიმაგრა თავი ყვირილისაგან; ამოს ნაცვლად, ღამის სტუმარს ქალი ესაუბრებოდა. შემდეგ ერთმანეთს რამდენიმე სიტყვა უთხრეს და დარაბა მოიხურა. ქუჩაში დარჩენილი ქალი თავის წამოსასხამში იფუთნებოდა. ქუჯიმ ქალბატონი შუშანა იცნო. მეტად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო საქმე, რომელმაც ის აქ, შუალამისას მოიყვანა. მაგრამ შუშანა ვისი გულისათვის იგდებდა თავს ასეთ საფრთხეში? თვითონ იყო შეყვარებული თუ სხვას ემსახურებოდა ასე თავდადებულად? აი, კითხვა, რომელიც უტრიალებდა თავში ქუჯის და გულს უღრღნიდა.

იმის გასაგებად, თუ სად მიდიოდა შუშანა, ყველაზე უკეთესი მის კვალზე გაყოლა იქნებოდა. ქუჯი ასეც მოიქცა. შუშანამ მოჰკრა თუ არა თვალი მისკენ მომავალ კაცს, შეშინებულმა შეჰყვირა და მოკურცხლა. ქუჯი მყისვე გამოუდგა და მალე დაენია კიდეც შიშით ძალმიხდილ შუშანას. მან ქალს წელზე ხელი მოხვია; საბრალო ქალი დაბნეული გაისუსა. ყმანვილი კაცი შეეცადა ჩაეგონებინა, რომ საშიში არა იყო რა. მალე ქალმა იცნო თავისი მხსნელი და სიხარულით შეჰყვირა.

– ოჰ, მადლობა ღმერთს! ეს თქვენ ბრძანდებით?

– დიახ, მე გახლავართ და მფარველად მოგვევლინეთ, – მიუგო ქუჯიმ, – გამოგიტყდებით, აქ სრულიად შემთხვევით მოვხვდი. ქალი დავინახე, რომელიც ჩემი მეგობრის ფანჯარაზე აკაკუნებდა.

– თქვენი მეგობრის ფანჯარაზე? – შეანყვეტინა ქალმა.

– დიახ, ამო ჩემი ახლო მეგობარია.

– ვინ არი ამო?

– იქნება ისიც მითხრათ, რომ არ იცნობთ მონასპულ ამოს?

– პირველად მესმის მისი სახელი. მე ქალთან მქონდა საქმე.

– ვინ არი ის ქალი?

– ოჰ, ეს ხომ ჩემს საიდუმლოს არ შეადგენს! ახლა კი წამიყვანეთ.

– სად წაგიყვანოთ?

– იქ, სადაც მე მივდივარ.

– სად მიბრძანდებით?

– ნახავთ. ოღონდ კართან უნდა დამტოვოთ.

– გარეთ დაგიცადოთ?

– არა, არა!

– გპირდებით, აგისრულებთ, რასაც კი დამავალებთ, ოღონდ ნება მიბოძეთ, სადაც მიბრძანდებით, მიგაცილოთ. პატიოსანი აზნაურის სიტყვა!

ქალბატონი შუშანა დაეყრდნო ქუჯის ღონიერ მკლავს. ორივენი ქუჩის აღმართს აპყვნენ. აქ ქალმა ისევ ყოყმანი დაიწყო, კვლავ დანიშნული სახლის ძებნას შეუდგა, მაგრამ რალაც ნიშნებით აქ უფრო ადვილად მიაგნო და ერთ კარს მიადგა.

- ახლა კი, ბატონო, აი, აქ მაქვს საქმე და უნდა გამოგეთხოვოთ.
- თქვენ რომ შეგეძლოთ ჩემს გულში ჩახედვა, შემობრალებდით, ისეთ გულწრფელ სიყვარულს იგრძნობდით, – უთხრა ქუჯიმ.
- გაჩუმდით, ბატონო! თქვენ ციხე მოგელით ჩემთან ნაცნობობისათვის, – მალვით გადახედა ქალმა თავის თაყვანისმცემელს.
- ოჰ, მეტისმეტად მომხიბლავი ხართ, – უთხრა სევდიანი ხმით ქუჯიმ. გრძნობდა, რომ ვერაფრით ვერ შეძლებდა ქალის ხელის გაშვებას, თუ მძაფრად არ დათრგუნავდა თავის გრძნობას, და უცბად სირბილით მოკურცხლა.

შუშანამ აქაც, როგორც ამოს სახლთან, სამჯერ დააკაკუნა კარზე. ქუჩის კუთხეს რომ მიაღწია ქუჯიმ, უკან მოიხედა. ქალი უკვე გამქრალიყო. ქუჯიმ გზა განაგრძო. პატიოსანი სიტყვა მისცა შუშანას, რომ ზვერვას აღარ დაუნყებდა, და კიდევ აასრულა. ვერ უმტყუნებდა თავის სიტყვას, თუნდ მასზე ყოფილიყო დამოკიდებული მთელი მისი სიცოცხლე. ქუჯი მალევე სატივეს ქუჩაზე იყო.

- სანყალი ავთო, – ჩურჩულებდა ქუჯი, – ჯერაც არ ეცოდინება, რისთვის დავიბარე, ალბათ ზის და მელის. იქნებ აღარც მომიცადა და შინ წავიდა, იქ კი გაიგო, რომ ქალი იყო მის სახლში.
- ძალიან ცუდი ამბავი, ბატონო... – შემოესმა ბუჭუკას ხმა. ქუჯი, გართული თავის ფიქრებში, ხმამაღლა მსჯელობდა და შეუმჩნევლად შევიდა ხეივანში, რომლის ბოლოს იწყებოდა მის ბინაში ამავალი კიბე.
- ცუდი?.. რა გინდა მაგით თქვა, მატრაბახო? რა მოხდა?– შეუტია ქუჯიმ.
- პირველი ის, რომ ბატონი ავთო დაიჭირეს.
- ავთო დაიჭირეს? მერე რისთვის?
- იმიტომ, რომ თქვენთან ბინაში ნახეს და თქვენ ეგონეთ.
- მერე და ვინ დაიჭირა?
- იმ გუშაგებმა, თქვენ რომ გააქციეთ. სხვაც მოიშველიეს...
- ავთომ თავისი გვარი რატომ არ უთხრა, რომ ის არ ურევია ამ საქმეში?
- კიდევ კარგი, რომ არ თქვა, ბატონო, პირიქით, ჩემთან მოვიდა და ჩუმად მითხრა: „ამჟამად თავისუფლება შენს ბატონს ესაჭიროება და არა მე. მან ყველაფერი იცის ამ საქმისა. დაპატიმრებულად იგულისხმებენ,

ის კი თავისუფლად იქნება და მიხედავს თავის საქმეს. სამი დღის შემდეგ გამოვაცხადებ ჩემს ვინაობას და იძულებულები იქნებიან გამომიშვანო“.

– ყოჩაღ, ავთო! დიდებული კაცია სწორედ, – ნაიჩურჩულა ქუჯიმი.

– ავთო ოთხმა კაცმა წაიყვანა, ოღონდ არ ვიცი, ორთაჭალის საპყრობილისაკენ თუ სხვაგან. აქ დარჩა ორი, რომლებმაც გაჩხრიკეს აქაურობა და წაიღეს, რაც კი რამ წერილი იპოვეს.

– ტარო და ამო?

– შინ არ დამხვდნენ და არც აქ მოსულან.

– კარგი, მაშ, აქედან ფეხი არ მოიცვალო. თუ მოვიდნენ, აცნობე, რაც მოხდა, და სთხოვე დუქან – «შემოი გენაცვალეში» დამიცადონ. შინ ნუ შეიყვან, იქნებ შორიდან გვითვალთვალებენ ჯაშუშები. მე ბატონ ვაჩესთან წავალ, ვუამბობ ჩემს თავგადასავალს და შემდეგ მათ შეეხვები.

– კარგით, არხეინად ბრძანდებოდეთ, ბატონო, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი ერთგულება დაგიმტკიცოთ, – დაამშვიდა ბუჭუკამ.

დალილობის მიუხედავად, ქუჯი სირბილით წავიდა ვაჩე ჩიქვანის სახლისაკენ. ბატონი ვაჩე შინ არ დაუხვდა, ისნის სასახლეში წასულიყო. განბილებულმა ქუჯიმ სატივეს ქუჩა ჩაიარა, სანაპიროთი მეტეხის ხიდზე აპირებდა გასვლას. მან ბინდში სიონის ეკლესიის მოპირდაპირე ქუჩიდან მომავალი კაცი და ქალი შენიშნა. ქალი ტანად შუშანას ჰგავდა, ხოლო კაცი კი... ამოს. კაცს პირზე მანდილისნაირი მოსახვევი აეფარებინა, ქალს კი თავსახვევი სახეზე ჩამოეშვა. ცდილობდნენ, არავის შეძლებოდა მათი ცნობა. ქუჯი მათ უკან მიჰყვა და თითქმის დარწმუნდა, რომ ქალი შუშანა, ხოლო კაცი კი ამო იყო. საშინელმა ეჭვმა მოიცვა ქუჯი. უღალატეს! უღალატა მეგობარმა! უღალატა იმანაც, ვინც უკვე თავის სატრფოდ მიაჩნდა. შუშანა ხომ ეფიცებოდა, ამოს არ ვიცნობო, მაგრამ ამ ფიციდან არ გასულა დიდი ხანი და მას მიჰყვებოდა მკლავგაყრილი.

ქუჯის გადაავიწყდა, რომ ეს ქალი სულ ერთი დღის გაცნობილი ჰყავდა, და არც არაფერს დაჰპირებია. იგი შუშანას თავის მიჯნურად თვლიდა და ამიტომ მისი საქციელი შეურაცხყოფელად მიაჩნდა. მას თავში აუვარდა სისხლი და გადანყვიტა, დაუყოვნებლივ გაერკვია ყველაფერი. წინ მიმავალმა ქალმა და კაცმა შეამჩნიეს, რომ უკან ვიღაც მოსდევდათ და აჩქარდნენ. ქუჯი მათ დაენია და როდესაც ქუჩის გამაშუქებელ ჩირაღდანთან მივიდნენ, წინ გადაუდგა.

– რა გინდა? – იკითხა კაცმა, რომელსაც უცხოელის გამოთქმა ჰქონდა.  
 – თქვენ ამო არა ხართ? – შესძახა გაკვირვებულმა ქუჯიმ.  
 – არა, მე ამო არ გახლავართ! თქვენი წამოძახილის მიხედვით ვილაცა სხვას მიმამსგავსეთ და მიპატიებია.  
 – გიპატიებია? – შეუტია ქუჯიმ.  
 – დიახ, ახლა კი გზა მომეცით, – უპასუხა უცნობმა.  
 – მე თქვენთან არა, ქალბატონთან მაქვს საქმე, – მიუგო ქუჯიმ.  
 – ქალბატონთან? მერე იცნობთ? – გაუკვირდა უცნობს.  
 – ვიცნობ!  
 – ოჰ! – ჩაერია ლაპარაკში შუშანა საყვედურით სავსე ხმით, – თქვენ მე კეთილშობილი აზნაურის სიტყვა მომეცით, იმედი მქონდა, რომ შემეძლო ვნდობოდი პატიოსან კაცს...  
 – თქვენ კი, – მიუგო დაბნეულად ქუჯიმ, – შემპირდით, რომ...  
 – მომეცით ხელი, ქალბატონო, და განვაგრძოთ ჩვენი გზა, – თქვა უცნობმა.

გაშეშებული ქუჯი, შეურაცხყოფილი, დამცირებული ამდენი შეუსაბამობით, წინ ედგა უცნობს და შუშანას. მამაკაცმა ხელით განია ქუჯი, რომელიც უკან გადახტა და ხმალი იშიშვლა. უცნობმაც სწრაფად ამოიღო ხმალი.

– პრინც! ღვთის გულისათვის, – შეჰყვირა შუშანამ და მანდილით შუაში ჩადგა.

– პრინცი?! – წამოიძახა ქუჯიმ, გონს უცბად მოეგო და მიხვდა, – ბოდიშს ვიხდი, ბატონო! ნუთუ თქვენ ბრძანდებით?..

– პრინცი გელასი კომნინი, – უთხრა ჩუმი ხმით შუშანამ, – ახლა თქვენ ყველაფერი იცით, თუ განიზრახავთ, დაგვლუპავთ!

– მაპატიეთ, რა ვქნა, მიყვარს ეს ქალი და ვეჭვიანობ, თქვენც იცით, ბატონო, რა არის სიყვარული! გთხოვთ, მაპატიოთ და მიმითითოთ, რით გემსახუროთ?

– კეთილი... ძალიან კარგი, – უპასუხა გელასი კომნინმმა და ხელი გაუწოდა ქუჯის, რომელმაც მოწინებით ჩამოართვა, – დახმარებას მპირდებით და მეც სიამოვნებით ვსარგებლობ შემთხვევით. ისნის სასახლემდე უკან მოგვდიეთ და თუ ვინმე ნახოთ ჩვენს საჯაშუშოდ გამოგზავნილი, იქვე მოკალით!

ქუჯიმ შუშანა და გელასი კომნინი წინ გაუშვა, თვითონ გაშიშვლებული ხმლით უკან გაჰყვა. ახალგაზრდა ქალი და მოხდენილი მამაკაცი მშვიდობიანად შევიდნენ სასახლეში, ლილოს ქუჩის მხარის კარით.

ქუჯი კი მაშინვე დუქან «შემოი გენაცვალესაკენ» წავიდა, სადაც ტარო და ამო ელოდებოდნენ.



## – თაჰი 6 –

შუშანა და სევასტოსი, პრინცი გელასი კომნინი ისნის სასახლეში უვნებლად შევიდნენ. სასახლეში შუშანას კარგად იცნობდნენ, როგორც დედოფლის მოახლეს და ოტია ოდილაურის ნათლულს. შიდა ეზოში შესვლის შემდეგ გელასიმ და მისმა გზის მაჩვენებელმა ოცი ნაბიჯი კედელ-კედელ იარეს. მერე შუშანამ პატარა კარი შეაღო და ნელ-ნელა აუყვა კიბეს. მან ზედმიწევნით კარგად იცოდა ყოველი მისახვევ-მოსახვევი ისნის სასახლის იმ ნაწილისა, რომელიც განკუთვნილი იყო სასახლის მსახურთათვის. მათ აიარეს ერთი სართული და მარჯვნივ შეუხვიეს, დერეფანი გადასერეს, შემდეგ კვლავ ერთი სართულით ძირს დაეშვნენ. აქ შუშანამ გასაღებით გააღო კარი და გელასი მცირე სანათით განათებულ დარბაზში შეიყვანა.

– აქ მოიცადეთ, ბატონო, – უთხრა გელასის. თვითონ კი იმავე კარით გავიდა. დარბაზში განმარტოებულ გელასი კომნინს წამიერი შიშიც კი არ უგრძნია. მისთვის დამახასიათებელი იყო ფათერაკების ძიება. გულადი და თავაზიანი პრინცი თავის სიცოცხლეს საფრთხეში პირველად არ იგდებდა. გელასის უკვე გაეგო, რომ ანა ანუ ქართულად ანო კომნინის, დემეტრე მეფის მეორე ცოლის სახელით გამოგზავნილი წერილი ყალბი იყო. ამ წერილის ნდობამ იგი ტფილისს ჩამოიყვანა. გელასიმ გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა და ტრაპიზონში დაბრუნების ნაცვლად, თავის შორეულ ნათესავს, ბავშვობის მეგობარს, დედოფალს აცნობა, რომ მის უნახავად ტფილისიდან ფეხს არ მოიცვლიდა. დედოფალმა ჯერ უარი შეუთვალა, მაგრამ შემდეგ შეშინდა, პრინცს უბედურება არ აეტეხა თავისი თავისათვის და ამიტომ გადანყვიტა, მიეღო გელასი და ეთხოვა მისთვის, რომ საჩქაროდ გამგზავრებულიყო კონსტანტინეპოლში. მაგრამ სწორედ იმ საღამოს, როდესაც მისი ნახვა დააპირა დედოფალმა, მოიტაცეს ქალბატონი შუშანა, მას კი დავალებული ჰქონდა გამიჯნურებული გელასის სასახლეში შეყვანა. ისე გავიდა ორი დღე, ქალბატონ შუშანას გზა-კვალსაც ვერ მიაგნეს, ჰაერში



ჩამოკიდებული დარჩა ყველაფერი. მაგრამ განთავისუფლებულმა შუშანამ მაშინვე ოტია ოდილაური ნახა და აასრულა ის პასუხსაგები დავალებმა, რომელიც მისმა მოტაცებამ გადადო.

გელასი ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა და სამართლიანად ითვლებოდა ულამაზეს პრინცად შავიზღვისპირეთისა და კავკასიის დიდებულთა შორის. იგი ქალების საოცნებო მამაკაცს წარმოადგენდა. პრინცს ყოვლისშემძლედ მიაჩნდა თავი, რასაც კი მოინადინებდა, დაურიდებლად აისრულებდა. ამიტომ იყო, რომ მოახერხა და რამდენჯერმე ნახა ტურფა ანო, რომელსაც ბავშვობიდან იცნობდა, მაგრამ მაშინ დიდი ყურადღება არ მიუქცევია. ახლა კი ანოს თავი მოაწონა თავისი გაჟუკაცური შესახედაობით.

გელასიმ თმა გაისწორა და ულვაში ამაყად გადაიგრისა. ამ დროს გაიღო კარი და დარბაზში ქალი შემოვიდა. გელასიმ აღტაცებულმა შეჰყვირა. ეს დედოფალი ანა კომნენი ბრძანდებოდა. იგი იმ ასაკში იყო, როდესაც ქალი თავისი მშვენიერების მწვერვალს აღწევს. მშვენიერი ნაბლისფერი თვალები სხივებს აფრქვევდნენ. ხავერდოვანი კანი და კულულებად დაყრილი მუქი თმა მას საოცრად უხდებოდა. გაღიმების დროს დედოფალი მეტად მომხიბვლელი იყო, გაბრაზების დროს კი მკაცრ გამომეტყველებას იღებდა. დედოფალს თან ბაბილინა ახლდა, ერთადერთი მისი მახლობელი ბიზანტიელ ქალთაგან. გელასი მოწინებით მიესალმა დედოფალს.

– სევასტოსო! უკვე გეცოდინებათ, რომ მე არ მიბრძანებია თქვენთვის წერილის მოწერა.

– ოჰ, დიახ, ბრწყინვალე ქალბატონო, დიახ... ვიცი, მაგრამ რას იზამთ? ვისაც გულით უყვარს, სიყვარულის სიტყვაცა სწამს, გარდა ამისა, მე ამ მგზავრობით ერთხელ კიდევ მელირსა თქვენი ნახვა.

– დიახ... მაგრამ იმასაც ხვდებით ალბათ, რატომ გავბედე მე თქვენი ნახვა... იმიტომ, რომ ტფილისში დარჩენა დაგიჟინებიათ. ამით კი განსაცდელს უმზადებთ თქვენს სიცოცხლეს და, მასთან ერთად, ჩემს პატიოსნებას... ოჰ, ჩვენ ერთმანეთს ყველაფერი გვაშორებს... ზღვა, ჩვენი სახელმწიფოების მდგომარეობა, დადებული ფიცი! გნახეთ მხოლოდ იმიტომ, რომ საბოლოოდ მივიღოთ გადანყვეტილება და ნულარ ვეცდებით ერთმანეთის ნახვას.

– ბრძანეთ, დედოფალო! – მიუგო გელასიმ, – თქვენი ხმის კეთილხმოვანება ფარავს თქვენივე სიტყვების სიმწარეს.

– ბატონო! – შეჰყვირა დედოფალმა, – თქვენ გავინყდებით! მე არასოდეს მითქვამს, რომ მიყვარხართ.

– მაგრამ ისიც არასოდეს გიბრძანებიათ, დედოფალო, რომ თქვენი გული არ თანაუგრძნობს ჩემსას. ანა... სად შეგიძლიათ ჩემი სიყვარულისოდენა გრძნობა იპოვოთ, რომელიც ვერ ჩაუქრია ვერც დროს და ვერც დაცილებას. ჯერ კიდევ ჩვენი ბავშვობიდან, მას შემდეგ, რაც პირველად გნახეთ... განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში, მხოლოდ თქვენი სიყვარულით მიდგას სული.

– განა სიშმაგე არაა ამგვარი მოგონებით ვნების გახელება? – ნაიჩურჩულა დედოფალმა.

– მამ, რით უნდა მედგას სული? დიახ, ქალბატონო, ჩვენი ბავშვობა, კონსტანტინეპოლში კეისარის სასახლის ბაღი...

– გთხოვთ, არაფერი თქვათ მეტი...

– ოჰ, ქალბატონო, თუნდაც ის ბოლო შეხვედრა უნდა გავიხსენო მტკვრისპირა სასახლეში. გახსოვთ, რა მშვენიერი და საამო საღამო იყო. ჩემს ხელზე იყავით დაყრდნობილი. მაშინ ძლივს მელირსა ერთი წამით მაინც მარტო დავრჩენილიყავი თქვენთან. თქვენს თმასა ვგრძნობდი ჩემს სახეზე... მთელ ჩემს ქონებას, სიცოცხლეს გავწირავდი, ოღონდ ერთხელ კიდევ ვიგემო ის წამი! რადგან იმ ღამეს თქვენც გულით გიყვარდით...

– დიახ, შესაძლებელია, მომაჯადოებელი ადგილი, თქვენი მომხიბლავი მზერა და ათასი რამ, რომელიც ერთად იკრიბება ხანდახან საბრალო ქალის დასალუპად. მაგრამ ხომ ნახეთ, პატივცემულო, რომ მაშინვე მოგუხმე ჩემ მხლებლებს. ცილისწამება... მე ბრალი არ მიმიძღვის, ეს თქვენც კარგად იცით, გახსოვთ, საშინელება დაგვანია ბატონიშვილ დავითის მიერ გახელებულმა მეფე დემეტრემ.

– დედოფალო! ძვირად დაუფდებათ ქართველებს თავიანთი მეფის ეს წინააღმდეგობა... ომით გადავახდევინებთ სამაგიეროს. მე მინდა, რომ ყოველდღე გესმოდეთ ჩემი სახელი. იმედი არა მაქვს შეიარაღებულმა მოვალნიო ტფილისამდე. ეს კარგად ვიცი, მაგრამ ამ ომს შეიძლება შედეგად დაზავება მოჰყვეს, ზავს ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი დასჭირდება და წარმომადგენელი მე ვიქნები. მაშინ კი ველარ გაბედავენ ჩემ წინააღმდეგ ხმის ამოლებას, დავებრუნდები ტფილისს, თქვენ გნახავთ. იქნებ მართლა სიშმაგეა ჩემი წადილი, მაგრამ ერთი მიბრძანეთ, განა შეიძლება სხვაც იყოს სადმე ქალი, რომ ასეთი გაგიჟებული მიჯნური ჰყავდეს?

– პრინცი! ისეთი საბუთები მოგყავთ თქვენს გასამართლებლად, რომ პირიქით, თქვენვე გამტყუნებენ და დანაშაულებრივია.

– ოჰ! შემობრალეთ, წელან თქვენ თვითონვე ბრძანეთ, რომ მახე დამიგეს და შიგ შემიტყუეს, იქნება ამ მახეში დავტოვო ჩემი სიცოცხლე, რადგან უნდა მოგახსენოთ, რალაც წინათგრძნობა ჩამძახის, რომ მალე გამოვესალმები წუთისოფელს...

– ოჰ, ღმერთო! – შეჰკვივლა შეშინებულმა დედოფალმა და უსიტყვოდ გამოამყლავნა, თუ რაოდენ ძლიერი იყო მისი გრძნობა მოსაუბრისადმი, – მეცა მაქვს ავი წინათგრძნობა. ამას წინათ მესიზმრა, თითქოს დასისხლიანებულს გხედავდით...

– დანით დაჭრილს მხედავდით?

– დიახ, სწორედ.

– მეტი არა მინდა რა! ესე იგი გიყვარვართ, მეც ეს მინდოდა გამეგო.

– მიყვარხართ?!

– დიახ, თქვენ, განა რომ არ გიყვარდეთ, ერთნაირი წინათგრძნობა გვენებოდა ორივეს?

– ოჰ, ღმერთო! – ამოიკვნესა დედოფალმა, – რა ვქნა, ამდენის ატანა რომ აღარ შემიძლია? წადით, მოშორდით აქაურობას, მე არ ვიცი, მიყვარხართ თუ არა, ის კი კარგად ვიცი, რომ ვერასოდეს გავზედავ ფიცის გატეხას. ოჰ, თქვენ რომ აქ მოკვდეთ და წარმოვიდგინო, რომ თქვენი სიკვდილის მიზეზი იყო თქვენი ჩემდამი სიყვარული, ვერასოდეს ველარ დავმშვიდდები! გეხვეწებით, წადით, წადით აქედან! მერე დაბრუნდით, როგორც დესპანი კეისარისა. მაშინ დამიმშვიდდება გული, განსაცდელში აღარ იქნება თქვენი სიცოცხლე და მეც მელირსება თქვენი ნახვის ბედნიერება.

– ოჰ, წუთუ მართალია?! მაშ, რაიმე სახსოვარი მიბოძეთ, ნიშნად თქვენი შეწყალებისა, რომელიც დამარწმუნებს, რომ სიზმარი არ იყო ყოველივე ეს. ბეჭედი ან სხვა რამ სამკაული... რომლის ტარებაც შემეძლება.

– წახვალთ კი, რომ მოგართვათ სახსოვარი?

– დიახ!

– გახვალთ საქართველოდან? ტრაპიზონის მამულებში დაბრუნდებით?

– დიახ, გეფიცებით...

– მაშ, მომითმინეთ ორიოდ წუთი.

დედოფალი თავის საწოლ ოთახში შევიდა და მაშინვე გამობრუნდა, ხელში ხის პატარა, ვერცხლით მოჭედილი კოლოფი ეჭირა.

– ინებეთ, გქონდეთ ჩემს სახსოვრად! – უთხრა გელასის.

გელასიმ ჩამოართვა ზარდახშა და ჩაიმუხლა.

– თქვენ დამპირდით, რომ წახვიდოდით, – მოაგონა დედოფალმა.

– დაგპირდით და წავალ!..

ანო დედოფალმა ხელი გაუწოდა და თვალი დახუჭა, რადგან გრძნობდა, რომ ცოტა კიდევ და გულწასული ძირს დაეშვებოდა. გელასი ალგზნებით დაენაფა მის ხელს.

– თუ მკვდარი არ ვიქენი, უსათუოდ გნახავთ, თუნდ ორივე ქვეყნის აფორიაქება დამჭირდეს ამისათვის! – თქვა ეს გელასიმ და სწრაფი ნაბიჯით კარისაკენ წავიდა. მას დერეფანში შეხვდა შუშანა, რომელმაც იმავე სიფრთხილით, მშვიდობიანად გაიყვანა გელასი კომნინი სასახლიდან.

მთელ ამ ამბავში შუშანას ქმარი, ბატონი ბოზარჯიანიც მონაწილეობდა, რომელზედაც არავინ წუხდა. იგი გახლდათ მსხვერპლი პოლიტიკისა და სიყვარულისა, რომლებიც ასე ჩანწულიყო ერთმანეთში. დატყვევებული და შიშით აკანკალებული ბოზარჯიანი პირდაპირ ორთაჭალის ციხეში მიიყვანეს. ერთ დერეფანში გაატარეს და ნახევრად მინისქვეშა დილეგში შეაგდეს. კარგა ხნის შემდეგ მანდატური მოვიდა და ბრძანება გასცა, ბოზარჯიანი დასაკითხად წაეყვანათ. ორმა მცველმა წაიყვანა ტუსალი. მათ დერეფანი გაიარეს და დაბალჭერიან ოთახში შევიდნენ, სადაც მხოლოდ ერთი მაგიდა და ორი სკამი იდგა. აქ მანდატურ-გამომძიებელი სკამზე დაბრძანებულიყო და მაგიდაზე რალაცას წერდა. მანდატური პირქუში კაცი ჩანდა და შეუვალი სახის გამომეტყველება ჰქონდა.

მანდატურმა დაშინების მიზნით ვრცელი სიტყვა წამოიწყო იმის დასასაბუთებლად, თუ რა საშინელი სასჯელი მოელის იმ ქვეშევრდომს, რომელიც გაკადნიერდება და პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაერევა. შემდეგ მან შესავალ სიტყვას განმარტებაც მიაყოლა, რომლითაც თვალსაჩინოდ დაუხატა ძლიერება და მოღვაწეობა მანდატურთუხუცეს ბატონიშვილ დავითისი, ამ ქვეყნის შეუდარებელი ვეზირისა, რომელიც ქვეყნისთვის დამაშვრალთა მისაბად მაგალითს წარმოადგენდა. დაუხატა მისი ძლიერება და მოღვაწეობა, რომლის მონინააღმდეგენი დაუსჯელად ვერ გადარჩებიან. თავისი სიტყვის დამთავრების შემდეგ მკაცრად დააცქერდა საწყალ ვარდან ბოზარჯიანს და ურჩია, დაფიქრებულიყო, გაეთვალისწინებინა მის გარშემო შექმნილი სერიოზული მდგომარეობა.

ვარდანი წყევლიდა იმ დღეს, როდესაც ოტია ოდილაურმა ურჩია, მისი ნათლული შეერთო, და მეტადრე იმ დღეს, როდესაც დედოფლის მოახლედ წაიყვანეს მისი ახალგაზრდა ცოლი. ვარდან ბოზარჯიანის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას, მეტისმეტ ძუნწობასა და სა-

მარცხვინო ლაჩრობასთან შეერთებულს, უკიდევანო ეგოიზმიც წარმოადგენდა. მართალია, ვარდანს უყვარდა თავისი ახალგაზრდა ცოლი, მაგრამ მეორეხარისხოვანი იყო მისთვის ეს გრძნობა და შეუთავსებელი მისი ხასიათისათვის.

– ბატონო მანდატურო, გარნმუნებთ, კარგა ვიცი და ვაფასებ მანდატურთუხუცესის, ბატონი დავითის შეუდარებელ მოღვაწეობას, რომელიც, ჩვენდა საბედნიეროდ, ქვეყნის გამგედ მოგვევლინა.

– მაგრამ თუ ეს ასეა, როგორღა მოხდა, რომ ციხეში ამოჰყავი თავი? – იკითხა ეჭვიანად გამომძიებელმა.

– როგორ?.. რისთვის, რა დავაშავე, რომ ციხეში ჩამაგდეს? ვფიქრობ, მაინცდამაინც იმიტომ არ უნდა ვიჯდე ციხეში, რომ შეგნებულად დამეშავებინოს რამე.

– ჩანს, დიდი დანაშაული ჩაგიდენია, თორემ ქვეყნის და მეფის ღალატს არ დაგნამებდნენ.

– სამეფოს და მეფის ღალატს? – შეჰყვირა გულგახეთქილმა ვარდანმა, – მერე როგორ... ერთ სანყალ მენვრილმანე-ვაჭარს, ღალატს აბრალებდნენ? ასეთი ბრალდება შეუძლებელია.

– ბატონო ვარდან, თქვენ ცოლი გყავთ? – უთხრა გამომძიებელმა და დააცქერდა თავისი გამგმირავი თვალებით.

– დიახ, ცოლი მყავდა ბატონო, – მიუგო ათრთოლებულმა ბოზარჯიანმა.

– გყავდათ? რა უყავით, რომ აღარ გყავთ?

– მომტაცეს, ბატონო.

– მაშ, მოიტაცეს თქვენი ცოლი? – განაგრძო გამომძიებელმა.

– გთხოვთ, გაითვალისწინოთ, ბატონო, რომ მე არაფერს ვამტკიცებ, მე მართო ჩემს ეჭვს მოგახსენებთ.

– გაიყვანეთ ტუსალი და დილეგში ჩააგდეთ! – უბრძანა გამომძიებელმა ორ მცველს.

სანყალი ვარდან ბოზარჯიანი შიშმა აიტანა. „ვაიმე, ვაიმე, ალბათ საშინელი რამ დააშავა ჩემმა ტუტუცმა ცოლმა. უნდა გავეყარო! მეც მისი თანამოზიარე ვგონივარ და მასთან ერთად დამსჯიან. წასულია ჩემი საქმე. ხვალ... თავს მომკვეთენ, სახრჩობელაზე ჩამომკიდებენ! ოჰ, ღმერთო, შემიბრალე, მე ცოდვილი!“ კვნესოდა შეშინებული ვარდანი.

ვარდანს იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავს, თავისი უბედურება უკრთობდა ძილს. მთელი ღამე მცირედი ხმაურის გაგონებაზეც კი შიშისაგან კანკალებდა. განთიადისას, უცბად ურდულის ხმა შემოესმა, კარი გაიღო და მანდატური შემოვიდა.

- წუხანდელს აქეთ თქვენი საქმე ძალიან გართულდა, ჩემო კარგო, – უთხრა მან, – გირჩევ, სრული სიმართლე მითხრა და აღიარო. იცოდე, დიდვეზირი დავითის რისხვას ვერ გადაურჩები.
- ბატონო, მზადა ვარ, ყველაფერი მოგახსენოთ, – შეჰყვირა ვარდანმა.
- სადაა თქვენი ცოლი? იგი თქვენი დახმარებით სადღაც გაიპარა!
- გაპარულა? გეფიცებით, ბატონო, ეს ჩემი ბრალი არ არის.
- რა საქმე გქონდათ თქვენს მდგმურ ქუჯი-გიორგისთან, რომელსაც გუშინ დიდხანს ესაუბრეთ?
- დიახ, ბატონო, ვაღიარებ, ბატონ ქუჯისთან მართლაც გახლდით.
- რა იყო თქვენი იქ მისვლის მიზანი?
- მინდოდა, დახმარება მეთხოვა ჩემი ცოლის ძებნაში.
- მერე, ბატონმა ქუჯიმ რა გიპასუხათ?
- ქუჯი დამპირდა დახმარებას, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ მატყუებდა.
- თქვენ გინდათ, მართლმსაჯულება შეიყვანოთ შეცდომაში? ბატონი ქუჯი დაგპირდათ და აასრულა – გააქცია სადამსჯელო მანდატურები, რომლებმაც დაიჭირეს თქვენი ცოლი და გადააჩრინა იგი დატუსაღებას.
- ბატონმა ქუჯიმ დამალა ჩემი ცოლი?
- ბატონ ქუჯის ახლავე დაგაპირისპირებთ და მაშინ ნახავთ... შემოიყვანეთ ბატონი ქუჯი, – უბრძანა გამომძიებელმა მცველებს. მათ ავთო შემოიყვანეს.
- ეს ქუჯი არ გახლავთ, – შეჰყვირა ვარდანმა.
- ქუჯი არ არისო? თქვენი გვარი? – მიმართა გამომძიებელმა ავთოს.
- ავთო! – უპასუხა მონასპელმა.
- ამ დროს კარი შემოაღეს და ციხის კარისკაცმა შემოიყვანა შიკრიკი, რომელმაც წერილი მიართვა მანდატურ-გამომძიებელს.
- ოჰ, არამზადა! – შეჰყვირა გამომძიებელმა.
- გეფიცებით, ბატონო გამომძიებელო, რომ არა ვიცოდი რა, და არც ახლა ვიცი იმისა, რასაც ჩემი ცოლი აკეთებდა. თუ მართლა რაიმე სისულელეს სჩადის, პირველი მე დავგმობ...
- ნაიყვანეთ ტუსაღები და უფრო მკაცრად უგდეთ ყური, ვიდრე აქამდე!
- შუალამე იქნებოდა, როდესაც ვარდანს დერეფნიდან ფეხის ხმა შემოესმა. ვილაც მოვიდა მის საკანთან და კარი გააღო.
- აბა, წამოდი! – უთხრა დარაჯმა.
- სად უნდა წამოვიდე ამ შუალამისას? – შეეშინდა ბოზარჯიანს.

- იქ უნდა წაგიყვანო, სადაც გვიბრძანეს თქვენი მიყვანა.
- ოჰ, ღმერთო! ნამდვილად მოსაკლავად მიყვავართ! – კვნესოდა ვარდანი.

ბოზარჯიანი მცველებს მორჩილებით, ხმის ამოუღებლივ გაჰყვა. მათ გაიარეს მისთვის უკვე ნაცნობი დერეფანი, გადაჭრეს ეზო და ბოლოს შემოსასვლელ ჭიშკართან მივიდნენ. აქ მათ ეტლი ელოდებოდათ, რომელსაც გარს შემორტყმოდა ოთხი ცხენოსანი მცველი. გულგახეთქილი ვარდან ბოზარჯიანი ეტლში ჩასვეს. ერთი მცველი გვერდზე მიუჯდა. ეტლი დაიძრა, მაგრამ ისე ნელა მიდიოდა, თითქოს მიცვალებულის გასვენება ყოფილიყო. მეტეხის ხიდან, მოედანზე, სადაც პატიმრებს საჯაროდ სჯიდნენ ხოლმე, ვარდანს კინალამ გული წაუვიდა. იგი გულსაკლავმა შიშმა შეიპყრო. მაგრამ როდესაც წაკვისისაკენ გაუხვია ეტლმა და დაინახა კალა-ტფილისის ანუ შურის ციხის კოშკები და ბატონიშვილ დავითის და ქალაქის დიდმოურავის სამფლობელო-რეზიდენცია, გადაწყვიტა, ახლა კი ნამდვილად მოსაკლავად მიყვავარო. ეტლმა გაუჩერებლივ აიარა აღმართი და კალა-ტფილისის ციხე-დარბაზის ეზოში შეგრიალდა. აქ, ეტლი გაჩერდა. მეტისმეტი მღელვარებისაგან მისუსტებულ ვარდანს შიშისაგან გული შეუღონდა.

შურის ციხის ანუ კალა-ტფილისის ციხე-დარბაზის ეზოში მდგარ შენობასთან ეტლის კარი გააღეს. ორმა მცველმა ხელი მიაშველა გონს მოსულ ვარდანს. იგი ჩამოსვეს და ხეივანში გაატარეს, შემდეგ კიბეზე აიყვანეს და მოსაცდელ ოთახში დასვეს. ვარდანი მოძრაობდა, მაგრამ მკვდარვით არაფერს არ გრძნობდა და ბუნდოვნად ხედავდა. იგი ისეთივე დარჩა მერხზე, როგორც მცველებმა დასვეს. მოსაცდელი ოთახის კედლები ისპაჰანური ნოხებით იყო დამშვენებული. მალე ვილაც პირმა შემოაღო კარი, ვარდანისკენ მობრუნდა და ჰკითხა:

- თქვენ ვარდან ბოზარჯიანი ხართ?
- დიახ, ბატონო, – ნაილუღლულა ცოცხალ-მკვდარმა ვარდანმა.
- შედიოთ!! – უთხრა მან და მაღალ კარზე მიუთითა.

ვარდანი მაშინვე დაემორჩილა და შევიდა იმ ოთახში, სადაც, როგორც ეტყობოდა, ვილაც ელოდა. ეს იყო მოზრდილი დარბაზი, რომლის კედლებზეც ყოველგვარი სახის საბრძოლო იარაღი ეკიდა. ბუხარში ცეცხლი ენთო. ოთახის შუაში წიგნებით სავსე მუხის მაგიდა იდგა, რომელზედაც რომელიღაც ქალაქის რუკა იყო გაშლილი. ბუხართან საშუალო ტანის, მედიდური, წვერ-ულვაშიანი, გამგმირავ თვალებიანი, ზვიადი სახის კაცი იდგა. იგი ახალგაზრდა იყო, მაგრამ უკვე გამობრძ-

მედილი შესახედაობა ჰქონდა. მას წელზე ხმალი არ ერტყა, მაგრამ მაინც მეომარს ჰგავდა და მისი ჯერ ისევე მტვრიანი ნალები მოწმობდნენ, რომ იმ დღეს ცხენი ეჭენებინა. ეს კაცი გახლდათ უპირველესი მეფის შემდეგ, გავლენიანი ვეზირი და მანდატურთუხუცესი, პირველი მემკვიდრე, ბატონიშვილი დავითი. იგი იმ დროს მოხდენილი, სულით ძლიერი, კობტა რაინდი გახლდათ.



### – თაზი 7 –

დავითი, ერთი შეხედვით, სულაც არ ჰგავდა გავლენიან პიროვნებას და ვერავინაც ვერ იცნობდა მას, თუ ადრე სადმე არ ენახა. სანყალი ვარდანი იქვე კართან აიტუზა. ბუხართან მდგომი კაცი კი უბედურს დაკვირვებით ათვალიერებდა.

– ეს ბოზარჯიანია?

– დიახ, დიდო ბატონო!

– კარგი, დაგვტოვე!

მხლებელმა თავი დაუკრა და გავიდა. დავითმა უკვე იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. „ეს მლიქვნელი და გამოპრუტუნებული თავის დღეში არ ჩაერეოდა შეთქმულებაში“, გაიფიქრა მან.

– სამეფოს და ქვეყნის ღალატს გნამებენ! – უთხრა დინჯად დავითმა.

– დიახ, დიდო ბატონო! ღალატს მნამებენ, მაგრამ გეფიცებით, რომ მე უდანაშაულო ვარ, – მონინებით მიმართა ვარდანმა.

– თქვენ შეთქმულებაში მონაწილეობდით თქვენს ცოლთან, ქ-ნ ნათელასთან და გელასი კომნინთან ერთად.

– დიდბატონო, მართლაც, მე რამდენჯერმე გავიგონე ეგ სახელები. ჩემი ცოლი ამბობდა, უფლისწულმა დავითმა ტფილისში შემოიტყუა პრინცი გელასი, რომ იგი დაღუპოს და მასთან ერთად თავისი დედინაცვალი, დედოფალი ანოცო.

– თქვენი ცოლი მაგას ამბობდა?! – შეჰყვირა გაბრაზებით დავითმა.

– დიახ, მე კი ვუთხარი, რომ სისულელე იყო ამის თქმა...

– გაჩუმდი, ბრიყვო! იცი თუ არა, ვინ მოიტაცა შენი ცოლი? – შეუტია დავითმა.

– არა, ბატონო.



– ის კი აღარ იცი, სად არის შენი ცოლი გაპარვის შემდეგ? საჭიროა აღიარო ყველაფერი, რაც კი იცი. სასახლეში რომ მიდიოდი ხოლმე ცოლის წამოსაყვანად, პირდაპირ შინ მოგდევდა?

– არა, მას საქმე ჰქონდა ტილოს ვაჭრებთან და მეც იქით მიმყავდა, სამღებროს და ფართლეულის ქუჩაზე.

– იმ ვაჭრების სახლებს იცნობთ?!

– დიახ, ბატონო.

– ძალიან კარგი! – ბრძანა დავითმა და ვერცხლის ზარი დაანკარუნა. იგივე მოსამსახურე შემოვიდა.

– შადიმა ხუნანელი ჩქარა მიპოვეთ! – უთხრა დავითმა, – ამწამსვე მოვიდეს, თუ დაბრუნდა.

– იგი აქ გახლავთ.

– მაშ, მობრძანდეს! – წარმოთქვა სწრაფად დავითმა.

მორიგე მოხელე ისარივით გავარდა ბრძანების შესასრულებლად. ასე იყო განვრთნილი ყველა მოსამსახურე-მოხელე ამ ციხე-დარბაზში. ჯერ ხუთი წამიც არ გასულიყო მას შემდეგ, რაც მოხელე გავიდა, რომ კარი გაიღო და ოთახში ვილაც შემოვიდა. ამ დროს დავითმა ღია კარში გასძახა და იმწამს ოთახში შემოვარდა მორიგე მოხელე.

– ჩააბარეთ ეს კაცი მცველებს და დამელოდოს! – ბრძანა დავითმა.

მოსამსახურემ ხელი ჩასჭიდა ვარდანს, მოსაცდელ ოთახში გაიყვანა და ორ მცველს ჩააბარა. ახლად შემოსული კაცი კი მოუთმენლად ელოდა ვარდანის გასვლას.

– უნახავთ ერთმანეთი დიდ ქალბატონს და მას, – თქვა ახლად მოსულმა.

– დედოფალ ანოს და გელასის? – შეჰყვირა დავითმა.

– დიახ.

– სად?

– ისნის სასახლეში. ლიამ, ჩვენმა მსტოვარმა და დედოფლის ერთ-ერთმა მხევალმა შემატყობინა.

– მაშ, ასე... დავმარცხდით. ვეცადოთ სამაგიეროს გადახდას.

– ლიას აზრით, დედოფალმა პრინც გელასის უბოძა კოლოფი, რომელშიც ძვირფასი ქვებით შემკული ყელსაბამი, მეფის, საჩუქარი იყო.

– ეს როგორ?

– მსტოვარი ღია დედოფლის სამკაულების გამგებელი გახლავთ და ამ თანამდებობის უფლებით მთელი დღე უძებნია ის კოლოფი, შენუხებულა, რომ ველარ უპოვია, თვითონ დედოფლისათვის უკითხავს. დე-

დოფალს უბრძანებია: „წუხელ ზურმუხტის ერთი თვალი ამოვარდა და ოქრომჭედელთან გავგზავნე გასაკეთებლად“.

– ძალიან კარგი, შადიმა! ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის, ვინ იცის... იქნებ ჩვენკენ მოტრიალდეს საქმე. ახლა ეს მითხარი, იცით თუ არა, სად იმალებოდა გელასი კომინი?

– არა, ჩემმა მსტოვარ-მოხელეებმა ვერა გაიგეს რა.

– მე კი გავიგე, დანამდვილებით თუ არა, კვალს მაინც მივაგენი – სამღებროს და ფართლეულის ქუჩაზე. ჩემი რაზმელები ნაიყვანე და კარგად გაჩხრიკე ორივე ადგილი.

– ახლავე გეახლებით, დიდბატონო, – შადიმა ხუნანელი სირბილით გავარდა დარბაზიდან.

მარტო დარჩენილი დავით ბატონიშვილი ცოტა ხნით ჩაფიქრდა. მერე ერთხელ კიდევ გასძახა და იმნამს შემოვიდა იგივე მოხელე.

– უბრძანე, ტუსალი შემოიყვანონ!

ხელმეორედ შეიყვანეს ვარდან ბოზარჯიანი.

– შენ იცრუე! – მიმართა მკაცრი კილოთი დავითმა, – შენი ცოლი სამღებროს და ფართლეულის ქუჩაზე ფართლის ვაჭართან კი არ დადიოდა... არამედ ქალბატონ ნათელასთან და პრინც გელასი კომინთან.

– მართლსა ბრძანებთ, ბატონო! – წამოიძახა ვარდანმა.

– ჩემო მეგობარო... – მიუგო დავითმა იმ მოტკბო ხმით, რომლითაც სარგებლობდა ხოლმე მაშინ, როცა ცრუობდა, – რადგან უსაფუძვლოდ გაგამტყუნეს, სამაგიერო გერგებათ. ჰოდა, აი, მიიღეთ ჩემგან ეს ქისა, ასი ოქროს ნომიზმით. ჩემო ვარდან! მაშ, ნახვამდის!

– აღტაცებული მივდივარ, ბრწყინვალე ბატონო. მუდამ თქვენი მონა-მორჩილი გახლავართ!

დავითმა გამოთხოვება ხელით ანიშნა. ვარდანი მოიხარა და თავი მიწამდე დაუკრა, მერე უკუსვლით კარამდე მივიდა და წინა ოთახში გავიდა, ახლა იქიდან მოესმა დავითს ვარდანის ხმა, რომელიც გაჰყვიროდა აღტაცებული, „გაუმარჯოს პირველ ვეზირს, მანდატურთუხუცესს! გაუმარჯოს ჩვენს უფლისწულს! გაუმარჯოს დიდებულ დავითს!“ დავითი ღიმილით ისმენდა ვარდან ბოზარჯიანის მლიქვნელური გრძობით გამონვეულ შეძახილებს.

კმაყოფილმა დავითმა კვლავ განძის ციხე-ქალაქის რუკას დაუნყო სინჯვა, რომელიც სამუშაო მაგიდაზე ედო. იგი ღრმად ჩაფიქრებული და სტრატეგიული მოსაზრებებით გატაცებული დასცქეროდა რუკას, როდესაც კარი გაიღო და კაბინეტში შადიმა ხუნანელი შევიდა.

– ჰა, რა ქენი? – წამოიძახა დავითმა. ცხადი იყო, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შადიმასადმი მინდობილ დავალებას.

– მართლაც, იმ ქუჩაზე, რომელიც თქვენ დაასახელეთ, იყვნენ ქალი და უცხო კაცი, მაგრამ უკვე წასულან, – უპასუხა შადიმამ.

– ისინი ყოფილან! – შეჰყვირა დავითმა, – რაც მოხდა, იმაზე კრინტი არ დაძრა! დამშვიდებული და უშიშრად ბრძანდებოდეს დედოფალი, არ გავაგებინოთ, რომ ჩვენ ვიცით მისი საიდუმლო. დაე, ფიქრობდეს, რომ რაღაც შეთქმულების გამოძიებას ვანარმოებთ. ჰო... დამიძახე მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალს მოსე სურამელს.

– იმ კაცს რა უყავით, დიდბატონო?

– ვარდანს? როგორც მინდოდა, ისე იქნება სწორედ. ჯაშუშად გვეყოლება, თავისივე ცოლს უთვალთვალებს.

შადიმა ხუნანელმა თავი დაუკრა და მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალის მოსე სურამელის დასაძახებლად გავიდა. მარტო დარჩენილმა დავითმა მცირე წერილი დანერა „ბორენა, დაესწარით მეჯლისს, სადაც გელასი კომნინი იქნება და ყელსაბამის ძვირფასი ჯვარი როგორმე ჩამომიტანეთ ან დააზიანეთ. შესრულება მაცნობეთ“. შემდეგ უსტარი დაბეჭდა თავისი პირადი ბეჭდით და გასძახა მოხელე-მოსამსახურეს.

– დამიძახე ოტიას და უთხარი, წასასვლელად მოემზადოს, – ბრძანა დავითმა.

მალევე დავითის წინ გამოიჭიმა გასამგზავრებლად გამზადებული დაბარებული კაცი.

– ოტია! ახლავე, სასწრაფოდ ტრაპიზონში უნდა წახვიდე! ამ წერილს ბორენას მიართმევ. აი, ესეც ფული...

ხმის ამოუღებლად ჩამოართვა წერილი და ფული ოტია-შიკრიკმა. და სწრაფად გავიდა.

ამ ამბების შემდეგ ავთო კვლავ არსად ჩანდა. ქუჯიმ და ტარომ ეს ამბავი ბატონ ვაჩე ჩიქვანს მოახსენეს. რაც შეეხება ამოს, იგი უჯარამში წასულიყო, ოჯახური საქმეების მოსაგვარებლად. ვაჩე ჩიქვანი თავისი რაზმელების მამა-პატრონი იყო. ვინც უნდა ყოფილიყო, ყველაზე უკანასკნელი ან ნაკლებად ცნობილიც კი, რაკი მონასპელი იყო, ვაჩე ჩიქვანის დახმარებისა და შველის ისეთივე იმედი ჰქონდა, როგორც თავისი ღვიძლი ძმისა. ვაჩე ჩიქვანი მაშინვე წავიდა მეფის მთავარი მსაჯულის სანახავად და მისი დახმარებით მიაგნო ავთოს საპყრობილეს – ორთაჭალის უბანში.

საპყრობილეში ავთოს არ ჰქონდა გამომჟღავნებული თავისი ვინაობა, რადგან ემინოდა, ქუჯი არ დაიჭირონ და საქმეც დაუმთავრებ-

ლი არ დარჩესო. ბოლოს კი გამოაცხადა, რომ ის არ იყო ქუჯი-გიორგი. ამას ისიც დაუმატა, რომ არც ბოზარჯიანს იცნობდა, არც შუშანას, რომ არც ერთი არასოდეს არ უნახავს. ღამე იწყებოდა, როდესაც იგი თავისი მეგობრის ქუჯის სანახავად მისულიყო და მანამდე კი ბატონ ვაჩე ჩიქვანთან სადილად ყოფილიყო, რისთვისაც ოცი მონმის დასახელება შეეძლო. გამომძიებელს იმედი ჰქონდა, რომ ავთოზე მაინც ამოიყრდა მედიდური მონასპელების ჯავრს, რომლებიც სამეფო მართლმსაჯულების მოხელებს სიცოცხლეს უმწარებდნენ.

ავთოც, ვარდან ბოზარჯიანივით, ბატონიშვილ დავითთან გაგზავნეს, მაგრამ იგი მეფესთან ბრძანდებოდა მტკვრისპირა სასახლეში. ეს სწორედ იმ დროს მოხდა, როდესაც ბატონ ვაჩეს სამეფო სამართლის მსაჯული ენახა, მაგრამ ავთო ვერსად ეპოვა და ისიც მეფესთან წასულიყო. ბატონ ვაჩეს, როგორც მონასპელების მეთაურს, ყოველთვის შეეძლო მეფის სანახავად შესვლა, რა დროც უნდა ყოფილიყო. ცნობილია ის, თუ როგორ ემდუროდა მეფე დედოფალს, მით უფრო, რომ მეტად ცბიერად აგულიანებდა მეფეს ბატონიშვილი დავითი. მეფის უკმაყოფილების ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო დედოფლის მეგობრობა ქალბატონ ნათელა უჯარმელთან. დარწმუნებული იყო, რომ ქალბატონი ნათელა უჯარმელი ეხმარებოდა დედოფალ ანოს სასიყვარულო მიჯნურობის საქმეებში.

ბატონიშვილ დავითის პირველივე სიტყვამ იმის შესახებ, რომ ქალბატონი ნათელა, რომელიც უჯარმასთან, თავის მამულში გადასახლებული ეგულებოდათ, ტფილისში ბრძანებულა მთელი ხუთი დღე და ამ ხნის განმავლობაში თვალი აუხვევია საიდუმლო სამძებრო სამსახურისათვის, მეფეს საშინელი ბრაზი მოჰგვარა. ბატონიშვილმა დავითმა ისიც დაუმატა, რომ ტფილისში ჩამოსვლის გარდა, ქალბატონ ნათელას მიწერ-მოწერა მოეწყო დედოფალთან. მოახსენა, რომ შეთქმულების კვანძს მიაგნო და მალე ამ შეთქმულების მონაწილეებს აღმოაჩენდა. მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც დედოფლის მიერ ქალბატონ ნათელასთან გაგზავნილი მოციქული უნდა ჩაეგდო ხელში... ერთმა მონასპელმა გაბედა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგობა და ხმალამოლებული დაერია მართლმსაჯულების ბრძანების პატიოსნად აღმასრულებელ მოხელე-მანდატურებს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ გამოეძიათ ეს საქმე და შემდეგ მეფისათვის მოეხსენებინათ...

აქ კი უკვე თავი ველარ შეიკავა ხანში შესულმა მეფე დემეტრემ, წამოვარდა და დედოფლის ოთახისაკენ დააპირა წასვლა იმ აღშფოთე-

ბით, რომელიც ხანდახან ისე დაიმორჩილებდა ხოლმე მას, რომ საშინელ ავკაცობასაც კი ჩაადენინებდა.

მეფე უკვე განრისხებული იყო, ხოლო დავითს ჯერ არ ეხსენებინა პრინცი გელასი კომნინი. ამ დროს ვაჩე ჩიქვანმა კარი შეაღო და მეფესთან შევიდა. მეფის დაღვრემილი სახის დანახვამ და უფროსი ბატონიშვილი დავითის იქ ყოფნამ დაარწმუნა ვაჩე ჩიქვანი, რომ აქ რალაც უნდა მომხდარიყო. მეფეს უკვე ხელი დაედო კარის სახელურისათვის, გაღებას აპირებდა, მაგრამ ვაჩეს ფეხის ნაბიჯების გაგონებაზე უკან მობრუნდა.

– სნორედ დროზე მოხვედით, ბატონო! – უთხრა წყრომით მეფემ ვაჩეს, – ძალიან ამბები მესმის ჩემი მონასპელების „რაინდობაზე“...

– მეც ძალიან ამბები მინდა მოვახსენო სამართლიან, ბრწყინვალე მეფეს მისი მართლმსაჯულების მოხელეების „რაინდობაზე“.

– ვერა გამიგია რა! – თქვა მედიდურად მეფემ.

– მოგახსენებთ, ბრწყინვალე მეფეო, – განაგრძო ვაჩემ იმავე კილოთი, – რომ ზოგიერთი მოხელე-გამომძიებელი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატივსაცემი ხალხია, როგორც ეტყობა, ვერ იტანს სამხედრო პირებს. იმდენად გათავხედდნენ, რომ გაბედეს ერთ ოჯახში ჩემი მონასპელის დაპატიმრება. ხალხით სავსე ქუჩაში გაატარეს, როგორც ტუსალი და ორთაჭალის ციხეში ჩააგდეს რალაც ბრძანებით, რომელიც ვთხოვე და არ მაჩვენეს. დიახ, ციხეში ჩააგდეს ერთი ჩემი რაზმელი, უკეთ რომ ვთქვათ, ერთი თქვენი მონასპელი, უმნიკვლო ყოფაქცევის კაცი, ავთო, რომელსაც პატიოსან კაცად იცნობთ თქვენ.

– ავთო... – გაიმეორა მეფემ უნებურად, – დიახ, მე ვიცნობ ავთოს.

– დიახ... ავთო, თავისი მეგობრის სანახავად მისულა, მაგრამ ის შინ არ დახვედრია, – განაგრძო ვაჩემ, – ოდიშიდან გახლავთ, ყმანვილი ბიჭი, ბატონ ავაგ არტანუჯელის რაზმელია. ის იყო, შევიდა თურმე თავისი მეგობრის ოთახში, რომ უცებ მანდატურებმა ალყა შემოარტყეს სახლს და კარი შეამტვრიეს...

დავითმა მეფეს ანიშნა, ეს იმ საქმის გამო, რომელსაც მე მოგახსენებდითო.

– ვიცით, ბატონო! ეგ ყველაფერი ჩვენ სასიკეთოდ წარმოებდა. – უპასუხა მეფემ.

– მაშ, უდანაშაულო მონასპელის დაჭერაც თქვენს საკეთილდღეოდ იქნებოდა? – უპასუხა ვაჩემ – იგი მკვლელივით გაატარეს თავხედ ბრბოში, ადამიანი, რომელსაც ათჯერ მაინც დაუნთხევია თავისი სისხლი ჩვენი მეფის საკეთილდღეოდ.

- როგორ? – წამოიძახა დაბნეულად მეფემ, – ნუთუ საქმე ასე იყო?
- ბატონ ვაჩეს ის არ მოუხსენებია, მეფეო, – დაიწყო დავითმა გულგრილი ხმით, – რომ ის უდანაშაულო რაზმელი, ის პატიოსნებით აღსავსე ვაჟბატონი, შეპყრობამდე ხმლით დაერია ოთხ ჩემ მიერ გაგზავნილ მოხელეს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ, გამოეძიათ ერთი მეტად დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმე.
- მაგას დამტკიცება სჭირდება, – მიმართა ვაჩემ მხედრული დაურიდებლობით, – რადგანაც ადრე, სანამ თავის მეგობართან მივიდოდა, ბატონი ავთო ჩემთან გახლდათ სადილად. სადილის შემდეგაც ჩემთან დარჩა ნარდის სათამაშოდ.
- მეფემ დავით ბატონიშვილს გადახედა.
- თუ თქვენ ეჭვი გაქვთ ჩემს რომელიმე რაზმელზე, – არ დაიშალა ვაჩემ, – მე პირუთვნელ გამოძიებას ვითხოვ.
- იმ სახლში, რომელშიც გამოსაძიებლად მივიდნენ მანდატურ-მოხელეები, – განაგრძო ისევ დავითმა, – ერთი კაცი ცხოვრობს, მგონი, მონასპელების მეგობარი უნდა იყოს.
- ქუჯი-გიორგის ბრძანებთ, ბატონო დავით? მანაც ჩემთან გაატარა ის სალამო.
- მანაც თქვენთან? – იუცხოვა დავითმა, – მაშ, სულ თქვენთან ყოფილა იმ სალამოს მთელი ქვეყანა!
- ნუთუ ჩემი სიტყვა საეჭვოდ მიგაჩნიათ? – აღელდა ვაჩე.
- ოჰ ღმერთმა დამიფაროს! – მიუგო დავით ვეზირმა, – კარგი, მაგრამ... ავთო ხომ იქ დაიჭირეს, სწორედ სატივეს ქუჩაზე, ქუჯისთან.
- განა აკრძალული გახლავთ მეგობართან მისვლა? განა აკრძალულია მონასპელების ძმური განწყობილება ავთო არტანუჯელის რაზმელთან? მეფეო, არ ვიცოდი, თუ ის სახლი საეჭვო იყო, მაგრამ შეიძლება საეჭვო არ იყოს ის ბინა, რომელიც ქუჯის უჭირავს, რადგან უნდა მოგახსენოთ, რომ ქვეყნად არ უნდა მოიპოვებოდეს მისებრ ერთგული, თავგანწირული მსახური ჩვენი მეფისა და ღრმად თაყვანისმცემელი ბატონიშვილ დავითისა.
- ეს ის ქუჯია, სეხნია ძამელი რომ დაჭრა ამას წინათ იმ უაზრო შეტაკებაში, ლურჯი მონასტრის კედლებთან? მეორე დღეს კი კირქიტა კეხველი?! – იკითხა მეფემ და თან დავითს გადახედა, რომელსაც სახეზე სიბრაზის ალი მოედო.
- დიახ, მეფეო, სწორედ ის გახლავთ. ბრწყინვალე მესხიერება გაქვთ!
- ახლა რა გადანყვეტილებას ვიღებთ? – იკითხა გაბეზრებულმა მეფემ.

– ეს თქვენი საქმე გახლავთ, მეფეო, მე კი ვამტკიცებ დანაშაულს, – მიუგო დავითმა.

– მე უარყოფ! – მიუგო ვაჩემ.

– ძალიან კარგი, მსაჯულებს გადავცეთ ეს საქმე, მათ გამოიძიონ და განსაჯონ ჩემი სახელით! – ბრძანა მეფემ.

– გამოიძიონ?! – თქვა ვაჩემ, – სამნუხაროა... უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან დაგვემდურება ჩვენი მხედრობა, თუ მანდატურთა საქმის გამო, თქვენი რისხვისა და სასჯელის საგნად გახდით დიდო მეფეო.

– მანდატურთა საქმის გამო? – შეჰყვირა მეფემ, რომელსაც გულში მოხვდა ვაჩეს სიტყვა, – მერე, თქვენ იცით რაიმე მავ საქმისა? თქვენ თქვენს მონასპელებს მოუარეთ და გულს ნუ მინუხებთ. თქვენ რომ ყური გიგდოთ კაცმა, ერთი მონასპელის დაჭერა-დაკავებით მთელი ქვეყანა საფრთხეში ჩავარდება. მე კიდევ ათს დავაჭერინებ ან ასს! და ხმის ამოღებაც არავინ გაბედოს!

– რაკი თქვენ, ჩემო მეფეო, ეჭვის თვალთ უყურებთ მონასპელებს, მაშ, დამნაშავენი ყოფილან ჩემი რაზმელები და ამიტომ, ნება მიბოძეთ, თქვენ ჩაგაბაროთ ჩემი ხმალი. ეჭვი არ არის, ჯერ ჩემს რაზმელებს დასდო ბრალი ბატონმა დავითმა, ხოლო შემდეგ მე დამდებს ბრალს. მირჩევნია, ჩავჯდე ციხეში ავთოსა და ქუჯისთან ერთად... – მოახსენა ვაჩემ.

– ვაჰ... გაათავებთ თუ არა, ოდიშელო კერპო? – მიმართა მეფემ.

– ჩემო მბრძანებელო, – უპასუხა იმავე გაბედულებით ვაჩემ, – უბრძანეთ, დამიბრუნონ ჩემი რაზმელი, თუ არა, გაასამართლონ მაინც.

– სამართალს გადაეცემა, – უთხრა დავით ბატონიშვილმა.

– მაშ, ასე? რაკი ასე დატრიალდა საქმე, მე გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ მე თვითონ ვიცავდე ჩემს მონასპელს.

მეფე საუბრის გამწვავებას მოერიდა.

– დავითს რომ არ ჰქონდეს საწინააღმდეგო... – თქვა მეფემ.

ბატონიშვილი მიხვდა, რისი თქმა სურდა მეფეს და ამიტომ თვითონ მოახსენა:

– უკაცრავად, მამა-უფალო, მაგრამ თუ თქვენ ეჭვი გეპარებათ, რომ შეიძლება მე პირადი ინტერესი მქონდეს რაიმე, მაშინ მონაწილეობას არ მივიღებ მავ საქმეში.

– ერთი, მითხარით, – მიმართა მეფემ ვაჩეს, – შემომფიცავთ მამაჩემის, დიადი დავითის სახელს, რომ ავთო თქვენთან იყო იმ დროს, როდესაც ეს ამბავი მოხდა და არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ საქმეში?

– ვფიცავ განსვენებული მამათქვენის, დიდი დავითის დიდებულ სახელს! ვფიცავ თქვენს სახელს, რადგან თქვენ ბრძანდებით ამქვეყ-

ნად ერთადერთი ჩემი მბრძანებელი, რომ ავთო იმ დროს ჩემთან გახლდათ.

– დაუფიქრდით, მეფეო, – მიმართა მანდატურთუხუცესმა, – ასე რომ გავათავისუფლოთ პატიმარი, ვერასოდეს ვერ მივაგნებთ ჭეშმარიტებას.

– დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ავთო არსად გაიპარება და ყოველთვის შეძლებს გამოცხადდეს მსაჯულებთან. მე მიგულეთ ამის თავდებად, – მიუგო ვაჩემ.

– მართლაც, სად ეშმაკებში გაიპარება? – დაეთანხმა მეფე, – ვიპოვით! ახლა კი დავამშვიდოთ სანყლები; ეს უფრო შესაფერი იქნება ჩვენი პოლიტიკისათვის. – ამ სიტყვებზე დავით ბატონიშვილს გაელიმა.

– ბრძანეთ, მეფეო, თქვენ გაქვთ უფლება პატიებისა, – თქვა დავითმა.

– პატიება სჭირდება მხოლოდ დამნაშავეს, – მოახსენა ვაჩემ, – ჩემი რაზმელი კი უდანაშაულო გახლავთ. ეს პატიება კი არა, სამართლიანობის აღდგენა იქნება.

– დაპატიმრებული ორთაჭალის ციხეშია? – იკითხა მეფემ.

– დიახ, მეფეო, და ისიც – საიღუმლო საკანში, თითქოს საშინელი რამ ჩაედინოს.

– ბრძანება განთავისუფლებისა და გათავდება ეს საქმე, – გაუადვილა ვეზირმა, – მეც ისევე, როგორც თქვენ, ვფიქრობ, რომ საკმარისზე მეტია ბატონი ვაჩეს თავდებობა.

პატივისცემით დაუკრა თავი ვაჩემ, იგი სიხარულმა შეიპყრო, თუმცა მაინც ღელავდა, რადგან გრძნობდა, რომ დავით ვეზირის მხრივ ჯიუტი წინააღმდეგობა ემჯობინებოდა ამ მოულოდნელ დათმობას. მეფემ ხელი მოანერა ავთოს განთავისუფლების ბრძანებას და ვაჩეც გამოეთხოვა. იმ წამს, როდესაც კარის გაღებას აპირებდა, მეგობრულად გაუღიმა დავითმა და მეფეს უთხრა:

– სრული თანხმობა სუფევს თქვენი მონასპელების უფროსსა და რაზმელებს შორის, მეფეო. ქვეყნისათვის სასარგებლო გახლავთ ეს თანხმობა.

„ძალიან მალე საშინლად გადამიხდის ამ გამარჯვებას. ბოლო სიტყვას თავის დღეში არავის დაანებებს ჩვენი უფლისწული. უნდა ვიჩქარო, რადგან მეფემ შეიძლება შეიცვალოს აზრი. ამ ციხეში ხელახლა ჩასმა გამოშვებული კაცისა უფრო ძნელი იქნება, ვიდრე იქ დამწყვედულის იქვე დატოვება“, ფიქრობდა ვაჩე. მალე ციხე-საპატიმროში მივიდა და გაათავისუფლა თავისი მონასპელი. შემდეგ მან ავთო და ქუჯი დამოდგრა და გააფრთხილა:



– ამჯერად ამ საქმეს გადარჩით. ხომ ხედავთ, რა სამაგიერო გაგიმზადეს სეხნია ძამელის დაჭრისათვის! ახლა კირქიტა კეხველის დაჭრისთვის ელოდეთ სამაგიეროს. ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ. – მართალი იყო ვაჩე, გავლენიან მანდატურთუხუცეს დავითს რომ არ ენდობოდა. იგი ფიქრობდა, რომ საქმე ჯერ გათავებული არ იყო.

წავიდა თუ არა ვაჩე, დავით ბატონიშვილმა დაიმარტოვა მეფე და მოახსენა:

– ახლა, როდესაც მარტონი დავრჩით, თუ თქვენი ნებაც იქნება, მამავ-მეფეო, პრინცი გელასი კომნინი ტფილისში გახლდათ!

მეფე დემეტრეს სახე შეეცვალა და განრისხდა. ამ ნათქვამმა მასზე საშინლად იმოქმედა. ბატონიშვილმა დავითმა მაშინვე იგრძნო, რომ ერთი ხელისმოსმით დაიბრუნა, რაც დაკარგულად მიაჩნდა.

– გელასი ტფილისში?! მერე, რისთვის მობრძანდა?

– არ იცით?... თქვენს მტერთან ქალაქ განძის ათაბაგ ყარა-სუნღურთან უნდოდა შეთანხმება.

– არა, ღმერთსა ვფიცავ! ჩემი შერცხვენა უნდათ და ამისათვის შეთქმულებას მიწყობენ, ნათელა უჯარმელთან, იონა აბულეთისძესთან და ჯაყელებთან ერთად!

– ოჰ, მეფეო, რას არ წარმოიდგენთ! მეტისმეტად კეთილგონიერია დედოფალი ანო და ძალიანაც უყვარხართ თქვენ.

– სუსტი ქმნილებაა ქალი, ჩემო შვილო დავით, – მიუგო მეფემ, – რაც შეეხება სიყვარულს, მე ჩემი აზრი მაქვს ამის შესახებ.

– მიუხედავად მაგისა, მე მაინც ვამტკიცებ, რომ გელასი კომნინი მხოლოდ პოლიტიკური განზრახვით იყო ტფილისში, – თქვა დავითმა.

– მე კი დარწმუნებული ვარ, რომ სულ სხვა განზრახვა ჰქონდა... მაგრამ, თუ დააშავა რამე ანო-დედოფალმა, ვაი მისი ბრალი!

– ჰო... მართლა, – დაიწყო დავით მანდატურთუხუცესმა, – თუმცა ჭირივით მეზიზღება მაგგვარ ლალატზე ფიქრი, მაგრამ თქვენმა ნათქვამმა მომაგონა ერთი გარემოება: ჩვენ ანოს პირისფარეში ღია დავკითხეთ. მან მოგვახსენა, რომ დედოფალმა გუშინწინ ღამე გვიან დაიძინა, ხოლო დღეს დილით ბევრი იტირა და მთელი დღე რალაცას წერდაო.

– რალა თქმა უნდა, გელასის სწერდა! მანდატურთუხუცესო დავით! სასწრაფოდ, დედოფლის წერილი მიწადა! – ბრძანა მეფემ.

– მერე, როგორ გამოვართვათ, უხერხულია, მეფეო...

– როცა გინდათ, მაშინ ხომ აღწევთ მიზანს? გაჩხრიკეთ!! – შეჰყვირა განრისხებულმა მეფემ.

– თქვენი მეუღლე ქვეყნის დედოფალია და ბიზანტიის კეისრის უმცროსი ასული.

– მით უფრო არ ეპატიება დანაშაული! მან, ალბათ, თავისი მაღალი მდგომარეობა, რომელიც ბედმა არგუნა, დაივიწყა. ჰო... კარგა ხანია გადაწყვეტილი მაქვს, საბოლოოდ მოვსპო პოლიტიკისა და სიყვარულის ყველა ეს ხრიკები... ვიღაც ოტია ოდილაური ჰყავს დედოფალს...

– რამდენადაც ვიცი, სწორედ ის ხლართავს ამ ხრიკებს, – მოახსენა დავითმა.

– მაშ, ფიქრობ... დედოფალი, თქვენი ახალგაზრდა დედინაცვალი მლატობს? – ჩაიჩურჩულა მეფემ.

მეფის ამ გამონათქვამზე დავით ბატონიშვილი შეცბა. იგი მამისაგან სულ მთლად ამგვარ გაღიზიანებას არ მოელოდა.

– მე კვლავაც მოგახსენებთ, მამავ ბატონო, რომ დედოფალი რაღაც შეთქმულებას ამზადებს ქვეყნის... მაგრამ ის კი არ მითქვამს, თითქოს თავისი სახელის შერცხვენას აპირებდეს.

– მე კი გეუბნები! რომ დედოფალს არ ვუყვარვარ, მას ის უყვარს, გელასი... რატომ არ დააჭერინე, სანამ ტფილისში ბრძანდებოდა?!

– როგორ დავაჭერინებდი პრინც გელასი კომნინს? კეისრის ერთ-ერთ მთავარ ვეზირ-მინისტრს? რას ბრძანებთ მაგას? ხომ შევრცხვით მთელ ქვეყანაზე! ერთიც ვნახოთ, მართლა საფუძვლიანი გამოდგეს თქვენი ეჭვები, რაც მე დღესაც შეუძლებლად მიმაჩნია.

– თუკი ისე იქცევა, როგორც ქურდი და ჯაშუში? უნდა...

მის პირველ ვეზირს და მანდატურთუხუცესს კი წაეგრძელებინა კისერი და მოუთმენლად ელოდა მეფის ბაგეებზე შემშრალ სიტყვას, მაგრამ ამაოდ.

– რა უნდა გვექნა?

– არაფერი, – უპასუხა მეფემ, – ეს მიბრძანე, თვალყური გეჭირა, რაც ხანი ქალაქში იყო?

– დიახ, მეფეო.

– დარწმუნებული ხარ, რომ მას და ანოს ერთმანეთი არ უნახავთ?

– დარწმუნებული ვახლავართ, მეფეო.

– ჰო, მაგრამ მიმონერა კი ჰქონიათ! შვილო ჩემო, ის წერილი უნდა მოიპოვო და მაჩვენო! რადაც უნდა დაგვიჯდეს, წერილი მინდა!

– უნდა მოგახსენოთ, რომ...

– მაშ, შენც მლატობ, ყოველთვის ასე რომ ეწინააღმდეგები ჩემს სურვილს? მეფის სურვილს? იქნება შენც მიგიმხრეს ჩემმა მტრებმა, ქალბატონ ნათელა უჯარმელთან ერთად?

- მამავ-მეფეო, მე კი მეგონა, რომ დაცული გახლდით მაგდაგვარი ეჭვიანობისაგან, – უპასუხა ოხვრით დავითმა.
- დავით! ხომ მოისმინეთ ჩემი ნათქვამი?! მე მსურს ის წერილი ვნახო!
- ერთადერთი საშუალება გახლავთ, მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალ, ბატონ მოსე სურამელს დავავალოთ მაგის ასრულება. ეს საქმე სწორედ მისი მოვალეობის ფარგლებშია.
- უბრძანე, ახლავე დაიბარონ!
- ჩემთან უნდა გახლდეს, მეფეო, ვთხოვე, ჩემკენ გამოევიღო და თქვენთან მოსვლის გამო, ვბრძანე, დამიცადოს. თქვენი ბრძანება ახლავე ასრულებული იქნება, მაგრამ...
- მაგრამ რა?
- მაგრამ შეიძლება, დედოფალმა არ ინებოს დამორჩილება.
- არ ინებოს ჩემი ბრძანების დამორჩილება?!
- დიახ, არ დაიჯერებს, რომ მეფის ბრძანებაა.
- მაშ, ეჭვი რომ არ შეეპაროს, ახლავე, მე თვითონ შევატყობინებ!
- იმედი მაქვს, არ დაივინყებთ, რომ მე ყველაფერი გავაკეთე განხეთქილების თავიდან ასაცილებლად, – მიუგო დავითმა ცბიერი გამომეტყველებით.
- დიახ, ვიცი, მეტად შემწყნარებელი ბრძანდები დედოფლისა. მაგრამ ამაზე ჩვენ შემდეგში გვექნება ბაასი.
- როდესაც კეთილინებებთ, მამა-ბატონო. ბედნიერი ვიქნები, თუ მოვახერხებ და შევწვდები თქვენს და დედოფლის ჩემდამი კეთილგანწყობილებას.
- კარგი, დავით, კარგი! მანამდე კი გაგზავნეთ ვინმე მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალის მოსე სურამელის მოსაყვანად, მე კი ანო-დედოფალთან შევალ.

დემეტრე მეფე ოთახიდან გავიდა და დედოფლის ოთახისკენ მიმავალი დერეფნის კარი შეაღო. დედოფალს გარს ეხვია თავისი ამაღა, ოთხი მისთვის უახლოესი ქალბატონი. იქვე, კუთხეში მიკუნჭულიყო ბერძენი ბაბილინა, რომელიც დედოფალს იმპერიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლიდან გამოჰყვა. ერთი ბანოვანი წიგნს კითხულობდა და ყველანი უსმენდნენ; დედოფალი ანო კი მძიმე ფიქრებს მისცემოდა. დედოფლის ხნოვანმა ქმარმა მისდამი ნდობა დაკარგა; მის გერს, სამეფოში ყველაზე გავლენიან ვეზირს, ბატონიშვილ დავითს მოძულებული ჰყავდა. იგი თავის დედნაცვალ დედოფალს ყველგან უთვალთვალებდა, ვერ მოენელებინა, რომ ახალმა დედოფალმა ძველი დედოფლის, დავითის

დედის, სახელი დაწრდილა. სწორედ ახალი დედოფლის, ანოს მცდელობით, ძველი დედოფალი, დავითის დედა აღკვეცეს მონაზვნად და გაამწესეს სამთავროს დედათა მონასტერში. ახლა კი დევნილობის ზღვარზე იყო თვითონ ანო-დედოფალი. იგი ხედავდა, თუ როგორ უსწორდებოდნენ მის ერთგულ მსახურებს. დედოფალი კარგი თვალთი თუ შეხედავდა ვინმეს, ის უსათუოდ დავით ვეზირის მსხვერპლი გახდებოდა. ნათელა უჯარმელი განდევნილი იყო ტფილისიდან, ოტია ოდილაურიც არ უმაღავდა თავის მფარველს, რომ დღე-დღეზე მოელოდა დაპატიმრებას.

სწორედ ამ სევდიან ფიქრებს მისცემოდა დედოფალი, როდესაც მეფემ მისი დარბაზის კარი შეაღო და შევიდა. მაშინვე შეწყდა ნიგნის კითხვა, ფეხზე წამოდგნენ ქალები და დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მეფე არავის მისალმებია, ისე შევიდა დარბაზში, პირდაპირ დედოფალთან მივიდა და შეცვლილი ხმით უთხრა:

– ქალბატონო, თქვენ გეახლებათ მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალის მოსე სურამელი და ის გაგაცნობთ ჩემს დავალებას!

უბედური დედოფალი, რომელსაც ხშირად გაყრით, განდევნითაც კი ემუქრებოდნენ, გაფითრდა.

– რა საჭიროა ვინმეს გამოგზავნა? რა უნდა მითხრას მან ისეთი, რომ თქვენ თვითონ არ შეგიძლიათ თქმა?

მეფემ პასუხი არ აღირსა, ქუსლებზე შეტრიალდა და კარისკენ გაბრუნდა. თითქმის მაშინვე შევიდა დამცველი რაზმის ათისთავი ჭოლა და დედოფალს მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალის მოსე სურამელის მოსვლა მოახსენა. მოსე დარბაზში შევიდა ანითლებული და სახეზე მლიქვნელური, ნაძალადევი ღიმილით. ტფილისის ღვთისმშობლის ტაძრის წინამძღვარმა მამა აბელმა, ბატონიშვილ დავითის მოძღვარმა, ურჩია პირველ ვეზირს მოსე სურამელის სამსახურში მიღება, როგორც სანდო, მოქნილი და მოხერხებული პიროვნებისა. დავითმა გაითვალისწინა მოძღვრის რჩევა და იგი მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალად დანიშნეს, სადაც მოსე გულმოდგინედ ემსახურებოდა თავის მფარველს – ბატონიშვილ დავითს. უფლისწულის ნდობით აღჭურვილი ბატონი მოსე ახლა ამ უცნაური დავალების ასასრულებლად შევიდა დედოფალთან.

– რა გნებავთ, რისთვის მოხვედით?! – დედოფალმა მიმართა მოსეს მედიდური ხმით.

– გეახელით, რათა თანახმად მეფის ბრძანებისა და დიდი პატივისცემის მიუხედავად, რომელიც ყველა ქვეშევრდომს უნდა ჰქონდეს ჩვენი

მეფის მეუღლისადმი, მთლიანად უნდა გაეჩხრიკო თქვენი წერილ-სა-ბუთები.

– თქვენ ჩემი წერილების ჩხრეკა გნებავთ?! ჩემი მიმონერისა? მაგ სა-ზიზღრობისათვის მოხვედით?

– მაპატიეთ, ქალბატონო, დამეთანხმებით, ამ შემთხვევაში მე მხოლოდ საშუალება გახლავართ, მეფის იარაღი. განა ახლახან, აქ არ ბრძან-დებოდა თქვენი მირონცხებული მეუღლე? განა მან არა გთხოვათ, რომ ჩემ მისაღებად მომზადებულიყავით?

– მაშ, გაჩხრიკეთ, ჩანს, საშინელი დამნაშავე ვყოფილვარ. ჩემო ბაბი-ლინა, მოართვით ჩემი მაგიდების გასაღებები.

მოსემ ზერელედ გასინჯა დედოფლის მაგიდა და ყუთები, რადგან კარგად იცოდა, იქ არ შეინახავდა დედოფალი იმ მნიშვნელოვან წე-რილს. ბოლოს საჭირო იყო თვით დედოფლის გაჩხრეკა. ამიტომ მოსე ანო-დედოფალთან მივიდა და შეცბუნებულმა მოახსენა:

– მხოლოდ მთავარი დამრჩა... მირონცხებული დარწმუნებულია, რომ თქვენ წერილი დაგინერიათ და იცის, რომ ის წერილი ჯერ არ გაგიგზა-ვნიათ...

– იქნება გაბედოთ და ხელი შეახოთ თქვენ დედოფალს?! – შეუტია ანომ და მუქარის თვალთ დააცქერდა თავხედს.

– მე ჩემი მეფის ერთგული ქვეშევრდომი გახლავართ და გულმოდგი-ნედ ვასრულებ მის ბრძანებებს.

– მართალია! მეფეს ერთგულად ემსახურებიან ვეზირის და დიდმოუ-რავის ჯაშუშები. მე წერილი დავწერე, რომელიც ჯერ არ გამიგზავნია, აი, აქ მაქვს, – თქვა დედოფალმა და გულზე დაიდო ხელი.

– მაშ, მიბოძეთ ეგ წერილი, ქალბატონო.

– თვითონ მეფეს მივართმევ, სხვას არავის!

– მეფეს რომ ნდომებოდა მაგ წერილის თქვენგან მიღება, ქალბატონო, თვითონვე გამოგართმევდათ. მე გიმეორებთ, რომ დავალებული მაქვს მაგ წერილის ამოღება, და თუ არ მომცემთ, მაშინ...

– მაშინ რა?

– მეფემ დამავალა, ნაგართვათ.

– რაო? რა გსურთ მაგით თქვათ?

– ბრძანება მაქვს, ყოველი საშუალება ვიხმარო და უფლება მაქვს, თვი-თონ დედოფალიც კი გაეჩხრიკო.

– საშინელებაა! – შეჰყვირა დედოფალმა.

– ნუ მაიძულებთ, ქალბატონო, კეთილად დამამთავრებინეთ საქმე.

- თქვენი საქციელი საზიზღარი ძალადობაა!
- მაპატიეთ, ქალბატონო, მე მეფის ბრძანებას ვასრულებ.
- მე ამას ვერ გადავიტან! სიკვდილი მიჯობს მაგ შეურაცხყოფას! – შეჰყვირა დედოფალმა.

მოსემ მდაბლად დახარა თავი, მერე დედოფლისაკენ წავიდა იმ განზრახვით, რომ იოტისოდენადაც კი არა დაეკლო რა ბრძანების ასრულებისათვის. შეურაცხყოფილ ანო-დედოფალს სიბრაზის ცრემლი წასკდა, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და გაფითრდა. მან მარჯვენა ხელით გულისპირიდან წერილი ამოიღო და მოსეს გადაუგდო.

– აჰა, წაიღეთ ჩემი წერილი და მომშორდით! – შეუტია ათრთოლებული ხმით.

თავის მხრივ, მოსესაც მორეოდა მღელვარება და კანკალებდა. მან წერილი აიღო, თავი დაუკრა და წავიდა. დაიხურა კარი თუ არა, დედოფალი დაბარბაცდა, მაგრამ მხეველები მიეშველნენ.

მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი მოსე სურამელი მაშინვე მეფესთან მივიდა და წერილი მიართვა. მეფემ აკანკალებული ხელით ჩამოართვა ეს ბარათი, ეძება მისამართი, რომელიც ჯერ დაწერილი არ იყო. მან ნელა გახსნა წერილი. წერილში პირველი სიტყვა ბიზანტიონის კეისრისადმი იყო მიმართული. აქ მოცემული იყო დავით ვეზირის დამხობის გეგმა. დედოფალი თავის ნათესავ კომნენებს სწერდა, რომლებიც შეურაცხყოფილნი იყვნენ პირველი ვეზირის საგარეო პოლიტიკით, რადგან მის მუდმივ საზრუნავად გამხდარიყო ქალაქ ტრაპიზონზე კეისრის გავლენის შესუსტება. იგი სთხოვდა, მოსაჩვენებლად ომი გამოეცხადებინათ საქართველოსათვის და ზავის პირობად მოეთხოვათ პირველი ვეზირის, დავითის გადაყენება და დიდმოურავ იონა აბულეთისძის დასჯა... წერილში ერთი სიტყვაც არ იყო სიყვარულის შესახებ. აღტაცებულმა მეფემ იკითხა, დავითი ხომ არსად წასულაო. მაშინვე მოახსენეს, რომ ისევ აქ ბრძანდებოდა და მეფის ბრძანებას ელოდა.

– კი, შენ მართალი აღმოჩნდი. პოლიტიკაზე აგებული ინტრიგაა და არც ერთი სიტყვა არ წერია სიყვარულზე. აი, ნახე... სამაგიეროდ, შენზე ბლომად წერია.

დავით ვეზირმა ჩამოართვა წერილი და ყურადღებით გადაიკითხა. – ხომ ხედავთ, მეფეო, რას მიქადიან ჩვენი მტრები, ორ მხრივ შემოგვისევენ ჯარებს, თუ მე არ დამითხოვეთ. მე რომ თქვენს ადგილას ვიყო, დავყვებოდი ამ მოთხოვნას. მე, ჩემი მხრივ, ბედნიერი ვიქნები, თუ გამათავისუფლებთ ამდენი საქმისგან.

- რას ამბობ მაგას, შვილო ჩემო და პირველო ვეზირო?!
- იმას მოგახსენებთ, რომ კაცი ჩამოვდნი ამდენ ბრძოლაში და გაუთავებელ საქმიანობაში. იმას მოგახსენებთ, რომ არა მგონია, ავიტანო ის ჯაფა, რომელსაც ქალაქ განძის გარემოცვა მიქადის. ალბათ საქმისათვის ის ჯობია, რომ ჯარის უფროსად ერისთავი ვარდან მხარგრძელი ან ვაჩე ჩიქვანი, ან კიდევ სხვა ვინმე სახელოვანი დანიშნოთ. რადგან მე ისეთ საქმეებს მანდობთ მოსაგვარებლად, რომლისთვისაც ნიჭი არა მაქვს. თქვენც უფრო ბედნიერი იქნებით თქვენს ახალ მეუღლე ანასთან. დარწმუნებული გახლავართ, უცხოეთშიც უფრო მეტი დიდება და სახელი გექნებათ.
- მესმის, შვილო დავით, – უპასუხა მეფემ, – კარგად მესმის, დამშვიდებული ბრძანდებოდე, რადგან დასჯილი იქნებიან ყველანი, ვინც დასახელებულია ამ წერილში... თვით ანო-დედოფალიც.
- რასა ბრძანებთ, მეფევ-მამაო? ისე არ გამწირავს ღმერთი, რომ ჩემ გამო რაიმე, თუნდაც სულ უმცირესი უსიამოვნება მიაყენოთ დედოფალს. მართალია, ყოველთვის თავის მტრად მივანჩნდი, თუმც თქვენც შეგიძლიათ დამემონმოთ, რომ ყოველთვის ვცდილობდი მის დახმარებას და ქომაგობას. ოჰ, მაგრამ, რომ ელაღატა თქვენთვის, ეს სულ სხვა იქნებოდა, და პირველი მე დავგმობდი მას! არავითარი შეწყალება მოლაღატეს! ჩვენდა საბედნიეროდ, ამ წერილში სამაგისო არაფერია.
- მართალი ხარ, როგორც ყოველთვის, მაგრამ დედოფალი მაინც მაჯავრებს და კიდევაც განვურისხდები! – დაეთანხმა მეფე.
- მეფეო, თქვენ თვითონვე ხართ დამნაშავე მის მიმართ, რადგან მეტად მკაცრად ექცევით თქვენს დედოფალს... იგი, პირიქით, მორჩილი და ერთგული მეუღლე გახლავთ. ნება მიბოძეთ გთხოვოთ ლმობიერება... მეფეო, თქვენ უჩვენეთ მაგალითი. პირველად ხომ თქვენ აწყენინეთ, თქვენ აღგეძრათ ეჭვი და ამით შეურაცხყავით დედოფალი.
- როგორ, პირველად მე მივიდე? თავი დავიმცირო? არა და არა!
- გევედრებით, მამავ-მეფეო.
- მაგრამ როგორ უნდა მივმართო, რა მოვიმიზეზო?
- მოანყვეთ რაიმე ისეთი, რომ დედოფალს ასიამოვნოთ.
- მაგალითად?
- ერთი კარგი მეჯლის-ქეიფი, ცეკვა-თამაშით, ევროპიდან მოწვეული ჯამბაზებით... ხომ იცით, როგორ უყვარს დედოფალს ცეკვა. გარწმუნებთ, როგორც კი გაიგებს, მის საამებლადაა დანიშნული მეჯლისი, მაშინვე დაავინყდება თავისი წყრომაც და სამღურავიც.

– დავით, ხომ იცი, რომ მე არ მიყვარს ეგ საჯარო დროსტარება?  
– მით უფრო ასიამოვნებთ დედოფალს და გულს მოუგებთ. მანაც კარგად იცის, რომ არ გეხალისებათ ასეთი მეჯლისები. გარდა ამისა, საშუალებას მისცემთ, გაიკეთოს თქვენ მიერ ამასწინათ დღეობაზე მირთმეული ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ყელსაბამი ჯვრით. მას უხმარად უდევს თქვენი საჩუქარი და ამ მეჯლისზე მაინც გაიკეთებს.  
– ვნახოთ, დავით, ვნახოთ, – თქვა მეფემ, რომელიც აღტაცებული იყო სიხარულით. დედოფალი დამნაშავე გამოდგა მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებში, ხოლო უმნიკვლო – სიყვარულში, რომელიც ტანჯავდა ჭარმაგ მეფეს.  
– მამავ-ბატონო, სიმკაცრე ვეზირებს მიანდეთ. ლმობიერება და შემწყნარებლობა კი სწორედაც რომ მეფის სათნოებაა.

ამ სიტყვების შემდეგ დავითი წამოდგა და მდაბლად დაუკრა თავი მეფეს. მან დამშვიდობებისას მოწინებით კვლავ გაიმეორა თხოვნა, რომ მეფე დედოფალს შერიგებოდა.

დედოფალი წერილის წართმევის შემდეგ შერისხვას ელოდა და განცვიფრდა, როცა მეორე დღეს მეფე შერიგებას ცდილობდა. ანო-დედოფალს მეფის ნადილი ეჩოთირა, რადგან შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს. იგი თავისი სეფექალების რჩევას აპყვა და ცდილობდა ისე მოქცეულიყო, ვითომ გაუარა წყენამ. მეფემ ისარგებლა ამით და განუცხადა, რომ მომავალში დიდი ზეიმ-მეჯლისის მოწყობას აპირებდა. ისეთი იშვიათი რამ იყო ანო-დედოფლისათვის მხიარულად დროსტარება, რომ ამ ცნობამ რამდენადმე გაუქარწყლა თავისი სამდურავი. ანომ იკითხა, თუ სახელდობრ როდის აპირებდა მეფე მეჯლისის გამართვას. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს თვითონ მეფემაც არ იცოდა, რადგან სავეზიროსათვის უნდა შეეთანხმებინა.

– ჰა, დავით, რას იტყვი! ვერ მოიფიქრე როდის დავნიშნოთ მეჯლისი?  
– ვნახოთ, მეფეო! ჯერ გარკვეული ფინანსების თავმოყრა დაგვჭირდება ამ ზეიმისათვის, – მცირე ხნის შემდეგ ანაზდად დაუმატა, – არ დაგავიწყდეთ, მეფეო, მოაგონოთ დედოფალს თქვენი სურვილი, რომ მეჯლისზე იგი თქვენ მიერ ნაჩუქარი უძვირფასესი ჯვრიანი ყელსაბამით გინდათ ნახოთ.

ეს მეორედ ახსენა მეფესთან დავითმა დედოფლისადმი მიძღვნილი უძვირფასესი ჯვრიანი ყელსაბამი. გაუკვირდა დემეტრეს ასეთი ახირება და უნებლიეთ გაიფიქრა, რომ აქ რაღაც საიდუმლოება იფარებოდა. მეფე ხშირად შეურაცხყოფილი რჩებოდა, რადგან მანდატურ-



თუხუცესმა დავითმა თავისი სპეციალური რაზმელების და ქალაქის დიდმოურავის მსტოვრების დახმარებით მასზე უკეთ იცოდა ყოველი წვრილმანი მისი და სამეფო კარის ცხოვრებისა.

მეფე იმედოვნებდა, რომ დედოფალთან საუბარში ნათელს მოჰყენდა ამ საიდუმლოს. იგი დედოფლის სანახავად გაემართა. ანო-დედოფალი დარწმუნებული იყო, რომ პირველი ვეზირი, ჩვეულებისამებრ, რალაც მოულოდნელ ხრიკს უმზადებდა.

– გისმენთ, მეფეო, – მიმართა მოთმინებით დედოფალმა, – თქვენ მაინც არ მეუბნებით, რაში მამტყუნებთ? ვერ წარმომიდგენია, რომ კონსტანტინეპოლში ნათესავებისადმი მიწერილი ერთი წერილის გამო თქვენგან ამდენი საყვედური დავიმსახურე.

დედოფლის ასეთი იერიშის შემდეგ მეფე დაიბნა. მან გადაწყვიტა, რომ შესაფერისი შემთხვევა ეძლეოდა შეემსუბუქებინა მდგომარეობა და ეთქვა ის, რაც დავითის რჩევით მეჯლისის წინააღმდეგ უნდა მოეთხოვა.

– ქალბატონო! მალე მეჯლისი იქნება, იმედი მაქვს, რომ პატივსა სცემთ სამეფოს ერთგულ მოღვაწეთ და საზეიმოდ მორთული მობრძანდებით მეჯლისზე, მოკაზმული ჩემ მიერ ნაჩუქარი ძვირფასი ყელსაბამით, რომელიც მე თქვენს დღეობაზე მოგართვით.

ფერი ეცვალა საბრალო ანოს, მაგიდას დააბჯინა ხელი და გულგახეთილი შეჰყურებდა მეფეს. მეფის ამ ნათქვამმა დედოფალი დაარწმუნა, რომ მისთვის ყველაფერი ნათელი იყო, და მხოლოდ ვეზირის გავლენით ისე უნდოდა მოეჩვენებინა თავი, თითქოს არაფერი იცოდა. ასეთი საქციელი დამახასიათებელი იყო დემეტრე მეფისათვის.

– ქალბატონო, გეყურებათ?! – მიმართა მეფემ, რომელიც ხარობდა დედოფლის დაბნეულობით, მაგრამ მიზეზი კი ვერ გაეგო.

– დიახ, ჩემო მეუფეო, გავიგონე.

– მაშ, მეჯლისზე ყელსაბამით იქნებით?

– დიახ...

უფრო მეტად წაუვიდოდა ფერი ანო-დედოფალს.

– მაშ, კარგი, შევთანხმდით! მე სწორედ ამის სათქმელად გეახელით.

– ეს ზეიმი როდისთვის გახლავთ დანიშნული? – იკითხა ანომ.

– ჯერ დანამდვილებით დრო არ ვიცით, მაგრამ დავითს ვკითხავ, – უპასუხა მან.

– მაშ, დავით ვეზირი დაგპირდათ მაგ მეჯლისის გამართვას? – შეჰყვირა აღშფოთებულმა დედოფალმა.

- დიას! მერე, რა?.. – უპასუხა გაკვირვებულმა მეფემ.
- დავითმა, ჩემმა გერმა, გირჩიათ მეჯლისზე მომინვიოთ თქვენი ნაჩუქარი ყელსაბამით?
- მერე რა? განა სულ ერთი არ არის, მე მომაგონდებოდა ეს ზეიმი თუ მას? რა დანაშაულს ხედავთ ამაში?
- არავითარს, მეფეო.
- კარგი, მაშ თქვენი იმედი მექნება! – უთხრა მეფემ და გამოეთხოვა.
- ანოს მუხლი ეკეცებოდა და ძლივს იმაგრებდა თავს. მეფე კი ალტაცებული წავიდა.
- დავილუპე! – მოსთქვამდა ჩუმად დედოფალი, – დავითმა ყველაფერი იცის და მეფეს აქეზებს. თვითონ მეფემ ჯერ არ იცის, მაგრამ ყველაფერს გააგებინებენ. ოჰ, ღმერთო!
- ანომ ბალიშზე მუხლი მოიყარა, ათრთოლებულ ხელებში ჩამალა თავი და ლოცვა დაიწყო. მართლაც რომ მძიმე იყო ანო-დედოფლის მდგომარეობა. გელასი კომინი კონსტანტინეპოლში წავიდა კეისრის კარზე, ხოლო შემდეგ ქალაქ ტრაპიზონში, თავის ციხე-დარბაზში უნდა დაბრუნებულიყო. ანოს ახლო მეგობარი, ქალბატონი ნათელა, უჯარმის ციხე-ქალაქში იყო გამნესებული. იგი გრძნობდა, რომ დღეს უფრო მეტი ჯაშუში ეხვია, ვიდრე ოდესმე. მისი სეფექალებიდან ვიღაც ლალატობდა, მაგრამ დანამდვილებით არ იცოდა, რომელი. ერთგულ ოტია ოდილაურს არ შეეძლო სასახლის დატოვება... სხვა კი არავინ ჰყავდა ისეთი, რომ მინდობოდა.
- ნუთუ ჩემს დედოფალს ვერაფრით დავეხმარები? – მოესმა ანოს თანაგრძნობით სავსე ხმა. დედოფლის ოთახის ერთ-ერთ კართან შუშანა ბოზარჯიანი იდგა. მეფე როდესაც შევიდა დედოფალთან, იგი გვერდით ოთახში დედოფლის კაბებს ალაგებდა, ამიტომ გამოსვლა ველარ გაბედა და იქვე დარჩა. ანო-დედოფალმა უნებლიეთ შეჰკივლა. მან შენუხებულმა ველარც კი იცნო ოტიას მიერ მოყვანილი თავისი მოახლე.
- ნუ გეშინიათ, ქალბატონო, – უთხრა ახალგაზრდა ქალმა, – თქვენი ერთგული ვარ, ჩემო დედოფალო, და ვფიქრობ, მივაგნო გამოსავალს, რომ ეს განსაცდელი აგარიდოთ.
- თქვენა? ოჰ, ღმერთო, მე უბედურს, გარს მხოლოდ მოლაღატეები მახვევია, – მოთქვამდა გაკვირვებული ანო.
- ქალბატონო! – შეჰყვირა ახალგაზრდა ქალმა და პირჯვარი გადაიწერა, – ვფიცავ, მზადა ვარ, თქვენთვის თუნდაც ახლავე მოკვდე, ოღონდ ეგ ვაება შეგიმსუბუქოთ. – შუშანას ეს სიტყვები გულწრფელ

თანაგრძნობად ეჩვენა ანოს. – ქალბატონო, მართალი ბრძანეთ, მოლა-  
ლატეებით სავსეა აქაურობა, მაგრამ ღვთისმშობლის სახელს ვფიცავ,  
რომ ვერავინ ჰპოვოთ ჩემზე ერთგული და თავგანწირული. ის ძვირ-  
ფასი ყელსაბამი, რომელსაც მეფე გთხოვთ, თქვენ ხომ პრინც გელასი  
კომნის მიეცით? ხომ არაფერში ვცდები?

– ოჰ, ღმერთო! – კვნესოდა თავზარდაცემული დედოფალი.

– ის ყელსაბამი როგორმე უნდა დავიბრუნოთ, – განაგრძო შუშანამ.

– უნდა დავიბრუნო! მაგრამ როგორ? – შეჰყვირა ანომ.

– პრინცთან უნდა ვინმე გავგზავნოთ.

– მერე, ვინ გავგზავნო, ვის ვენდო?..

– მე მომანიჭეთ ეს წყალობა, ჩემო დედოფალო, და მე მოვძებნი იქ გა-  
საგზავნ კაცს.

– მერე, წერილიც ხომ უნდა მივწერო?

– უნდა მისწეროთ, ორი სიტყვა თქვენი ხელით დაწერილი და თქვენი  
ბეჭდით შემაგრებული.

– ჰო, ეგ ორი სიტყვა იქნება ჩემი განაჩენი, გაყრა და განდევნა!

– დიახ, თუ თქვენი წერილი ვინმე უნამუსოს ჩაუვარდა ხელში, მაგრამ  
მე გარწმუნებთ, რომ თქვენი ორი სიტყვა პირდაპირ მას მიუვა, ვისაც  
თქვენ უგზავნით.

– ღმერთო! მაშ, შენ უნდა მოგანდო ჩემი ღირსება?

– დიახ, მე გეფიცებით, ყველაფერს გავაკეთებ.

– როგორ? გამაგებინეთ!

– ჩემი ქმარი მოხერხებული კაცია. რასაც კი მოვისურვებ, ყველაფერს  
გავაკეთებინებ. იგი ისე წავა, რომ არც კი ეცოდინება, რა მიაქვს. ამ  
წერილს მისამართზე მიიტანს. ანო-დედოფალმა აღფრთოვანებით ჩა-  
მოართვა ახალგაზრდა ქალს ხელი, თან დააცქერდა და რაკი მის თვა-  
ლებში გულწრფელი ერთგულების მეტი ვერა ამოიკითხა რა, გულში  
ჩაიკრა.

– სირცხვილს გადამარჩენ, თუ მაგ სიკეთეს მიზამ!

– ოჰ, ნურც ასე გააზვიადებთ იმ დახმარებას, რომელსაც, ჩემდა საბე-  
დნიეროდ, მე მავალეხთ. თქვენ გადასარჩენი არა გაქვთ რა. მხოლოდ  
ვერაგული შურისძიების მსხვერპლი ხართ.

– მართალია, ჩემო გოგო, მართალს ამბობ! – უთხრა დედოფალმა.

– მაშ, მიბოძეთ, ქალბატონო, ის წერილი, დაყოვნება არ ივარგებს.

ანო მაგიდასთან მივიდა, რომელზედაც სანერი მოწყობილობა იდო.  
დანერა ორი სტრიქონი, წერილი თავისი ბეჭდით დაბეჭდა და შუშანას  
მისცა. შემდეგ იგი თავის განჯინა-სალაროსთან მივიდა.

- აი, ესეც წაილე, ძვირფასი ბეჭედია, მამაჩემის, კეისრის ნაჩუქარია. ეს ბეჭედი ფულად გადააქციე და შენს ქმარს გზაში სახარჯოდ ეყოფა.
- თქვენი ბრძანება ასრულებული იქნება.
- მისამართს ხომ ხედავ, - დაუმატა დედოფალმა ჩუმი ხმით, - გელასი კომნისს, ტრაპიზონში ციხე-დარბაზის მფლობელს.
- მის გარდა, ამ წერილს სხვა ვერავინ წაიკითხავს!

შუშანამ დედოფალს ხელზე აკოცა, წერილი გულისპირის ქვეშ ჩა-  
მალა და ოთახიდან სწრაფად გავიდა. მალე უკვე შინ იყო. მას, ცხადია,  
არ ეცოდინებოდა ის ცვლილება, რომელიც მისმა ქმარმა განიცადა.  
კერძოდ, ვარდანი ხომ ბატონიშვილ დავითის ყურმოჭრილ მონად გარ-  
დაიქმნა.



## - თავი 8 -

შუშანას ქმარი შინ მარტო დახვდა. ვარდანი დიდი გაჭირვებით ცდი-  
ლობდა არეული ბინა მიელაგებინა. ავეჯეულობა თითქმის სულ დამტ-  
ვრეული იყო. ბოზარჯიანს შადიმა ხუნანელი ძვირფას ვარდანს ეძახდა  
და სულ იმას უმტკიცებდა, რომ ვეზირი დავითიც ძალიან აფასებდა მას.  
აღლაცებული იყო ვარდანი, წინ სიმდიდრე და კეთილდღეობა ელანდე-  
ბოდა.

თავის მხრივ, ქალბატონი ბოზარჯიანიც ბევრს ფიქრობდა, მხო-  
ლოდ არა სიმდიდრეზე. შუშანას ფიქრი იმ მამაც ყმანვილს, ქუჯის დას-  
ტრიალებდა, რომელიც მისი სიყვარულით გატაცებულს ჰგავდა. ქუჯის  
ყველაფერი გააჩნდა იმისათვის, რომ მოეხიბლა ახალგაზრდა ქალი. გა-  
რიგებით, თექვსმეტი წლის ასაკში, ბატონ ბოზარჯიანზე გათხოვილი  
შუშანა ქმრის მეგობარ ვაჭრებში ტრიალებდა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს  
ფიქრით მოცულნი შეხვდნენ.

- მეტად საჩქარო, სერიოზული საქმე მაქვს, მომისმინე... - უთხრა შუ-  
შანამ.
- მეც მაქვს რამდენიმე შეკითხვა, ამიხსენი, თუ გიყვარვარ, შენი მოტა-  
ცების მიზეზი.
- ეს საქმე ჩემ მოტაცებას არ ეხება, - უპასუხა ცოლმა.
- იცი თუ არა, რომ მთელი დღე-ღამის განმავლობაში ციხის ნესტიან  
საკანში ვეგდე? - ჰკითხა გულნატკენმა ვარდანმა.

– მეტად დიდმნიშვნელოვანი საქმეა, მის შესრულებაზე ჩვენი კეთილდღეობა დამოკიდებული. ბევრ ფულსაც მოიპოვებთ. – შუშანამ კარგად იცოდა, რომ ფულის ხსენება და მისი ქმრის დაყოლიება ერთი იქნებოდა. ფული ვარდანის ხასიათის სუსტი მხარე იყო.

– ბევრ ფულს? რა უნდა გავაკეთო? – ნამოიძახა ვარდანმა და კისერი წაიგრძელა.

– ახლავე გაემგზავრები და წერილს გაგატან.

– საით უნდა გავემგზავრო?

– ტრაპიზონისაკენ...

– გაფრთხილებ, ხელს აღარ გავანძრევ თვალდახუჭული! უნდა ვიცოდე, რა საშიშროება მომელის და ვისთვის ვიგდებ თავს ამ განსაცდელში.

– თქვენი გამგზავნი დიდი პიროვნებაა.

– კიდე ვერაგობა! რით არ მოგბეზრდა? მე მაგ საქმისა არა მნამს რა და ბატონმა დავითმაც გამაგებინა, რომ...

– დავითმა? – შეჰყვირა შუშანამ, – მაშ, დიდვეზირი ნახე?

– თვითონ ვეზირმა დავითმა დამიბარა. პირველ ვეზირზე უფრო დიდი ძალის მქონეს მე არავის ვიცნობ, ამიტომ მას ვემსახურები, – უპასუხა ამაყად ქმარმა.

– პირველ ვეზირს ემსახურები?..

– დიახ, და ამიტომ არ მოგცემთ უფლებას, სამეფოს მშვიდობიანობის დამრღვევთა შეთქმულებაში ჩაერიოთ. ჩვენდა საბედნიეროდ, დიდებულები დავითი თავის ფხიზელ თვალს ადევნებს ქვეყნის ცხოვრებას.

საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა სანყალი შუშანა. დარწმუნებულმა, რომ ქმარი შეუსრულებდა ამ დავალებას, სიტყვა მისცა დედოფალს.

– ვიცოდი, რომ ლაჩარი და ძუნწი იყავი, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, რომ ფლიდიც ყოფილხარ! – ბრაზმორევით წარმოთქვა შუშანამ.

მხდალი და ძუნწი იყო ვარდანი, მაგრამ ხანში შესული მამაკაცი დიდხანს ვერ გაუძლებს ახალგაზრდა ცოლის გაჯავრებას. შუშანამ ქმარს ყოყმანი შეატყო.

– ძვირფასო, დაუფიქრდი და განსაჯე, რას მავალე. ეს ოხერი ტრაპიზონი შორს არის ტფილისიდან და ის საქმე, რომლისთვისაც მე მგზავნი, საფრთხეს არ უნდა იყოს მოკლებული. არა, გადაჭრით გეუბნები, მე მაგას ვერ ვიკისრებ, ძალიან მეშინია, ისიც მეყოფა, რაც ორთაჭალის ციხეში ვიგემე! ეტყობა ვცდებოდი შენში!..

შუშანამ იგრძნო, რომ ძალიან შორს შეტოპა და შეშინდა, შეატყო, რომ მეტი თქვა, ვიდრე შეიძლებოდა, გულგახეთქილი შეჰყურებდა თა-

ვის ქმარს. რამდენადაც მეტად ცდილობდა ცოლი შეცდომის გაქარწყლებას, იმდენად მეტად რწმუნდებოდა ქმარი, რომ საიდუმლოება, რომელსაც მას არ ანდობდა შუშანა, მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ვარდანმა გადაწყვიტა, საჩქაროდ შადიმა ხუნანელის სანახავად გაქცეულიყო და ეცნობებინა, რომ სანდო კაცს დაეძებენ ტრაპიზონში გასაგზავნად. ვარდანი მალევე სახლიდან გავიდა.

– სულელი! – ნამოიძახა შუშანამ, როდესაც ქმარმა ქუჩის კარი მიიხურა და მარტო დარჩა, – ესლა აკლდა, რომ დავითის კაცი გამხდარიყო! ოჰ, ღმერთო ჩემო! რა პასუხი გავცე დედოფალს, რომელსაც დავალების ასრულება აღუთქვე. მეც მოლაღატე ვეგონები... ოჰ, ვარდან, არასოდეს არ მყვარებხარ და ახლა მით უმეტეს მიუღებარ. ქალი არ ვიყო, თუ ძვირად არ დაგისვა ეგ ამბავი.

სწორედ იმ წუთში, როდესაც ამ სიტყვებს ჩურჩულებდა შუშანა, დაუკაკუნეს, მან აიხედა და ნაცნობი ხმა გაიგონა.

– ჩემო ძვირფასო, ქალბატონო შუშანა, გამიღეთ ეზოს კარი, რომ თქვენთან შემოვფრინდე...

– ჰოჰ, ქალბატონო, ნება მიბოძეთ, მოგისამძიმროთ მე. უხეირო ქმარი გყოლიათ! – უთხრა ქუჯიმ, რომელსაც შუშანამ კარი გაუღო.

– ჩვენი ლაპარაკი გაიგონეთ? – იკითხა შემკურთაღმა ქალმა და შეშინებული ქუჯის დააცქერდა.

– თავიდან ბოლომდე.

– ოჰ, ღმერთო ჩემო! ეს როგორ?

– იმავე ხერხით, რომლითაც ადრე თქვენი და დიდმოურავის მანდატურების უფრო გაცხარებული საუბარი გავიგონე.

– გთხოვ, მითხრა, თუ რა გაიგე ჩემი და ვარდანის ლაპარაკიდან.

– მრავალი რამ: ჯერ ერთი, თქვენი ქმარი მეტად არარაობაა; მეორე ის, რომ შენუხებული ბრძანდებით ძალიან. თქვენი ეს მწუხარება საშუალებას მაძლევს, საქმით დაგიმტკიცოთ, რომ სიცოცხლეს გავწირავ თქვენი გულის მოსაგებად. გავიგე, აგრეთვე, რომ დედოფალს სანდო და გულადი კაცი სჭირდება საქმეზე გასაგზავნად. ამიტომ მზადა ვარ გამსახუროთ მე.

შუშანამ პასუხი არ გასცა, მაგრამ გული სიხარულით უცემდა.

– ვინ იქნება თავდები, რომ გაგანდოთ ეს საიდუმლო? – ჰკითხა მან.

– ჩემი თქვენდმი სიყვარული!

– ღმერთო! – ოხრავდა ახალგაზრდა ქალი, – როგორ მოგანდოთ ამისთანა საიდუმლოება?

– მაშ, საქმე ასეა? ვინმე გინდათ თავდებად? ჰო, ბატონ ვაჩე ჩიქვანს იცნობთ, მონასპელების მეთაურს?

– დიახ, ვიცნობ! ხშირად გამიგონია ანო-დედოფლის მიერ მისი ქება.

– ძალიან კარგი. მაშ, მიანდეთ მას ეს საიდუმლო და ჰკითხეთ, შევძლებ თუ არა მის შესრულებას მე? მაგრამ, ვერა ხედავთ განა, როგორ მიყვარხართ?

შუშანა ყმანვილ კაცს დააცქერდა, ისევე ყოყმანობდა, მაგრამ ისეთი გამარჯვების რწმენა ისმოდა მის ხმაში, რომ არ შეიძლებოდა არ ნდობოდა. ამის გარდა, ისეთ უმწეო მდგომარეობაში იყო, როდესაც ადამიანი ყველაფერს გაბედავს მიზნის მისაღწევად. ახალგაზრდა მფარველისადმი უნებლიეთ აღძრულმა გრძნობამ შუშანას ხმა ამოაღებინა.

– მე ვენდობი თქვენ პატიოსნებას, მაგრამ გეფიცებით, თუ მიმტყუნეთ, თავს მოვიკლავ, – უთხრა მან ქუჯის.

– გეფიცებით, მიღებული დავალების ასრულების დროს რომ შემიპყრონ, საიდუმლოს მაინც არ გავცემ, – მიუგო ქუჯიმ.

მაშინ ახალგაზრდა ქალმა უამბო ის საიდუმლო დავალება, რომლის ნაწილიც ქუჯის უკვე გაგონილი ჰქონდა. ქუჯიმ შუშანას გული მოიგო.

– მივიღვარ, ახლავე... ვფიცავ, თქვენ დამავინწყეთ ყველაფერი მე, ჩემო საყვარელო შუშანა!

ამ დროს შუშანამ უჯრა გამოსწია და ის ქისა ამოიღო, რომელსაც ასეთი სიყვარულით უაღერსებდა მისი მეუღლე.

– ფული არა გაქვთ? აი, ეს წაიღეთ.

– დავით ვეზირის ქისა? – შეჰყვირა ქუჯიმ და სიცილი წასკდა, მას აშლილი ფილაქნის წყალობით ერთი სიტყვა არ გამოპარვია შუშანასა და ვარდანის საუბრიდან, – ეს ფული სწორედ ღვთის წყალობაა! ჰოჰ, დედოფლის გადარჩენა მისი გერის, დავითის ფულით! – იცინოდა ქუჯი.

– დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მადლობას გადაგიხდით დედოფალი, – უთხრა ალერსით შუშანამ.

– უკვე დაჯილდოებული ვარ თქვენი სიყვარულით მე! – მიუგო ქუჯიმ.

– ჩუმად! – ნასჩურჩულა უცბად ქალმა, – კართან ვილაცაა...

– წავიდეთ! ჩემთან ავიდეთ. იქ უშიშრად იქნებით, სიტყვას გაძლევთ კეთილშობილი აზნაურისას!

ისინი უკანა კარით ხეივანში ჩავიდნენ, ჩუმად ავიდნენ კიბეზე და ქუჯის ოთახს მიაშურეს. მათ ფანჯარის დარაბის დირეში დაინახეს ქუჩაში მდგომი ვარდანი, რომელიც წამოსასხამიან კაცს ელაპარაკებოდა. წამოსასხამიანი კაცის დანახვაზე ქუჯიმ ხმალი იმიშველა და კარს მივარდა. ის მისი უცნობი მცხეთელი იყო.

– რას შვრები? – შესძახა შუშანამ.

– ფიცი მაქვს, უნდა მოვკლა ის!

– თქვენ ხომ აღმითქვით დედოფლის დავალების ასრულება!

ამ დროს ვარდანი შევიდა თავის სახლში. შემდეგ კიბეზე ავიდა და ქუჯის კარზე დააკაკუნა. პასუხი არავინ გასცა; გიჟი უნდა ყოფილიყო ქუჯი, რომ ხმა ამოელო. კაკუნზე ორივეს გული აუფანცქალდა... და ერთმანეთს ჩაეხვივნენ. ქალმა სიამოვნებით მიანება თავი...

ქუჯი გარკვეული დროის შემდეგ გამოეთხოვა ქალბატონ შუშანას, წამოსასახამში გაეხვია და გარეთ გავიდა. შუშანამ მას სიყვარულით ანთებული მზერა გაადევნა, რომელსაც ქალი მაშინ იმეტებს, როდესაც მისთვის გაგიჟებულ მიჯნურს აცილებს.

ქუჯი მაშინვე ბატონ ვაჩე ჩიქვანთან წავიდა. დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა. ნეტარებას ველარ იტევდა ყმანვილი კაცის გული, შემთხვევა მიეცა, ერთსა და იმავე დროს სიყვარულიც დაემსახურებინა, დიდებაც მოეხვეჭა და ფულიც ეშოვა.

ვაჩე ჩიქვანი საზეიმო დარბაზში ბრძანდებოდა თავისი მახლობელი დიდებულებით. ქუჯის ყველა იცნობდა და პირდაპირ მის მისაღებ ოთახში შეიყვანეს. მალე ვაჩე ჩიქვანიც შემოვიდა. სანამ ბატონ ვაჩესთან მივიდოდა, ქუჯი გზაში სულ იმას ეკითხებოდა თავის თავს, მიენდო თუ არა დედოფლის საიდუმლო მისთვის. მაგრამ მეთაური ვაჩე ისეთი თავგანწირვით ემსახურებოდა მეფე-დედოფალს და ისე სძულდა ვეზირი დავითი, რომ ქუჯიმ გადანყვიტა, ყველაფერი მოეხსენებინა მისთვის.

– ჩემი ნახვა გინდოდა, ჩემო?.. – მიმართა ვაჩემ.

– დიახ, ბატონო, – მიუგო ქუჯიმ, – და იმედი მაქვს, მაპატიებთ ასე უდროოდ შეწუხებას, როდესაც მოგახსენებთ, თუ რა გარემოებამ მაიძულა თქვენი დახმარების თხოვნა.

– აბა, გისმენ!

– საქმე ისაა, ბატონო, რომ განსაცდელს უნდა გადავარჩინოთ დედოფალი, – მიუგო ჩუმი ხმით ქუჯიმ.

– რას ამბობთ?! – იკითხა ვაჩემ და თვალი გადაავლო იქაურობას, რათა დარწმუნებულიყო, რომ, მათ გარდა, სხვა არავინ იყო ოთახში.

– დიახ, ბატონო! მარტო თქვენ შეგიძლიათ დამეხმაროთ იმ ბრძანების შესრულებაში, რომელიც ანო-დედოფლისაგან მივიღე მე...

– საიდუმლო შენთვის შეინახე, ჩემო კარგო, მე კი მითხარი, რა გსურს?

– უნდა სთხოვოთ ბატონ ავაგ არტანუჯელს, რომ დროებით გამანთავისუფლოს რაზმში სამსახურიდან.



- შეგიძლიათ მითხრათ, სად მიდიხართ?
- ქალაქ ტრაპიზონში.
- ხელის შეშლაში ვინმე დაინტერესებულია?
- პირველი ვეზირის მომხრეები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ გზა შემიკრან!
- მარტო ტფილისის გარეუბანსაც კი ვერ გასცდები, მოგკლავენ, გაფრთხილებ, – უთხრა ვაჩე ჩიქვანმა, – მერწმუნე, ამგვარ საქმეში ოთხნი მაინც უნდა იყოთ, რომ ერთმა მაინც შიდალნიოს მიზანს.
- მართალსა ბრძანებთ, – დაეთანხმა ქუჯი, – თქვენც კარგად იცნობთ ავთოს, ტაროს და ამოს, შემიძლია თუ არა მათაც ვთხოვო დახმარება?
- იმ პირობით, რომ არ ანდობთ საიდუმლოს, რომლის ცოდნაც მე არ ვინდომე.
- მე და ჩემი მეგობრები ბრმად ვენდობით ერთმანეთს.
- სამივეს დროებით ვუშვებ სამსახურიდან, ავთოს ახტალის სამკურნალო ტალახზე გასამგზავრებლად, მისი ჭრილობის გამო, რომელიც კიდევ აწუხებს. ცხადია, ტარო და ამო თან გაჰყვებიან თავიანთ მეგობარს. ჰო, ახლავე წადი, იპოვე სამივე და ამაღამვე გაუდექით გზას.
- ქუჯიმ თავი დაუკრა ვაჩე ჩიქვანს და დაემშვიდობა. აქედან ქუჯი პირველად ამოს სანახავად წავიდა. იმ სახსოვარ ღამის შემდეგ, შუშანა რომ მიაცილა, ჯერ არ ენახა თავისი მეგობარი. ამო დაღვრემილი დახვდა. ქუჯიმ მწუხარების მიზეზი ჰკითხა, ამომ პასუხის ნაცვლად უთხრა.
- წმინდა შიოს მეორე თავის განმარტება უნდა ვთარგმნო ბერძნულად და სხვა აღარა მახსოვს რა. ამგვარ ბაასში იყვნენ გართულნი მეგობრები, როდესაც ჩიქვანის მსახური ოთახში შევიდა და ამოს წერილი მიართვა.
- ნეტავ რა არის? – წამოიძახა ამომ.
- მიიღე და გაჩუმდი, – უთხრა ქუჯიმ ამოს, – შენ კი, ბატონ ვაჩეს მოახსენე, რომ ამირანი მადლობას უხდის ამისათვის. – მსახურმა თავი დაუკრა და გავიდა.
- რას ნიშნავს ეს?.. – ჰკითხა ამომ.
- გამომყევი და თან წამოიღე, რაც კი დაგჭირდება ფათერაკიანი მგზავრობისათვის.
- მერე... რომ არ შემიძლია ამჟამად ტფილისის მიტოვება... თუ არ გავიგე... – ამო გაჩუმდა.
- თუ არ გავიგებ, რა დაემართა ამოქარგული მანდილის პატრონს? – განაგრძო ქუჯიმ.

- ვინ გითხრა, რომ აქ ქალი იყო? – მიუგო ამომ.
  - ჩემმა თვალებმა.
  - ისიც იცით, ვინ არის ის ქალი?
  - ეჭვი მაქვს.
  - ყური დამიგდე, – სთხოვა ამომ, – რაკი მაგდენი იცი, ისიც გეცოდინება, რა მოუვიდა იმ ქალს?
  - მგონია მე, რომ უჯარმის ციხე-ქალაქს უნდა დაბრუნებულიყო.
  - მართალია, უჯარმაში უნდა დაბრუნებულიყო. მაგრამ ისე როგორ ნავიდა, რომ მე არ შემაცოცხინა?! ჩემო ქუჯი, გამომაცოცხლე! – შეჰყვირა ამომ, – ოჰ, მე მეგონა, რომ აღარ ვუყვარდი... მაგრამ რა მიზეზმა ჩამოიყვანა ტფილისში?
  - ის მიზეზი, რომელიც ამაღამვე ტრაპიზონში გვგზავნის მე და თქვენ.
  - რა არის ეგ მიზეზი?
  - თავის დროზე გაიგებ ამ საიდუმლოს, ამო.
  - მაშ, რაკი ასეა, და შენ დარწმუნებული ხარ, რომ ტფილისი დატოვა, მე აქ აღარაფერი დამიჭერს. ჩემო ქუჯი, მზად ვარ გამოგყვე!
  - ახლა ავთოსთან ნავიდეთ, და თუ მართლა ნამოსვლა გსურს, ავჩქარდეთ, ჰო, მართლა, შენი ღვთისოც თან ჩამოიყვანე.
- ამომ მსახურს ავთოსთან წასვლა უბრძანა. თვითონაც წასასვლელად მოემზადა, ნელზე ხმალი და ხანჯალი შემოირტყა, წამოსასხამი აიღო, შემდეგ ფულის საპოვნელად უჯრები გადააქოთა, მაგრამ უნაყოფოდ ჩაუარა ცდამ. სახლიდან გამოსვლისას ამომ მორიდებით ქუჯის ჰკითხა.
- იმ ქალზე ხომ არავისთან გითქვამს რაიმე? არც ავთოსთან და ტაროსთან?
  - ხმა არავისთან არ ამომიღია.
  - ყოჩაღ, ბიჭო! – სრულიად დამშვიდებული ამო მხიარულად მიჰყვა ქუჯის და ცოტა ხნის შემდეგ მეგობრები ერთად შევიდნენ ავთოსთან. ავთოს კი ხელში ვაჩე ჩიქვანის წერილი ეჭირა.
  - იქნება თქვენ ამიხსნათ, რას ნიშნავს ეს წერილი, რომელიც ეს არის მივიღე? – მიმართა განცვიფრებულმა ავთომ, – ბატონი ვაჩე მწერს, რომ თითქოს ჩემი ჯანმრთელობისათვის აუცილებელია დასვენება, ამიტომ სამკურნალოდ ახტალაში მიშვებს.
  - ჩემო ავთო, ეს წერილი იმას ნიშნავს, რომ შენც ჩემთან ერთად უნდა წამოხვიდე, – უთხრა ქუჯიმ.
  - მეფის კეთილდღეობისთვის?
  - მეფის და დედოფლის კეთილდღეობისთვის!

ამ დროს ტარომაც შემოალო კარი.

- უცნაურია სწორედ! – შესძახა შეფიცულ მეგობრებს, – არა, როდის აქეთაა, რომ მონასპელებს უთხოვნელად უშვებდნენ დასასვენებლად?
- ეს მას აქეთ, რაც მონასპელებს გაუჩნდათ მეგობარი, რომელიც მათ მაგივრად აგვარებს ამ საქმეებს, – მიუგო ქუჯიმი.
- ოჰო! სრულიად ახალი ამბავია! – დაიძახა ტარომ.
- დიახ, მივდივართ! – უთხრა ამომ.
- საითკენ? – იკითხა ტარომ.
- ჯერ მეც არ ვიცი, ქუჯის ჰკითხე, – მიუგო ავთომ.
- ქალაქ ტრაპიზონისაკენ, – უთხრა ქუჯიმი.
- ტრაპიზონისაკენ? – შეჰყვირა ტარომ, – რა დაგრჩენიათ იქ?
- მაგას კი ვერ გეტყვით, ბატონებო, უნდა მენდოთ.
- კარგი, მაგრამ ტრაპიზონში წამსვლელს ფული უნდა ჰქონდეს, ხოლო მე არა გამაჩნია, – თქვა ტარომ.
- არც მე მაქვს, – თქვა ამომ.
- არც მე, – თქვა ავთომ.
- ფული მაქვს მე, – თქვა ქუჯიმი. ჯიბიდან მოზრდილი ქისა ამოიღო და მაგიდაზე დადო. – ეს ფული ოთხად გავიყოთ, მაგრამ ეს იცოდეთ, ალბათ ყველანი ვერ ჩავალთ ტრაპიზონში.
- ვითომ რატომ?
- იმიტომ, რომ თუ ვიგულისხმებთ ყოველ მოსალოდნელ შემთხვევას, შესაძლებელია, ვინმე ჩვენგანი გზაში დარჩეს.
- ეს რატომ? საომრად ხომ არ მივდივართ?
- საომრად არა, მაგრამ გაფრთხილებთ, საშიშროებით სავსე საქმის გასარიგებლად კი.
- ისე რომ, შეიძლება ველარც დავბრუნდეთ? მაშ, თუ სასიკვდილოდ გავწირავ თავს, ის მაინც უნდა ვიცოდე, რისთვის ვკვდები? – თქვა ტარომ.
- ნეტავ ამის ცოდნა რას მარგებს? – უთხრა ავთომ.
- არას მარგებს, – თქვა ამომ, – მაგრამ მე მაინც ტაროს აზრისა ვარ.
- განა მეფე უცხადებს თავის ჯარს, რა მიზნით გზავნის საომრად? იგი მხოლოდ ბრძანებს: „ბატონებო, ბრძოლაა ტაოში ან განძასთან, აბა, თქვენ იცით, როგორ იბრძოლებთ!“ თქვენ მიდიხართ და იბრძვით.
- ქუჯი მართალს ამბობს, – თქვა ავთომ, – ბატონ ვაჩე ჩიქვანის მიერ მოცემული თავისუფლება და გამოგზავნილი ფული სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ წავიდეთ იქ, სადაც გვგზავნიან. ხიფათს ვაჟკაცუ-

რად დავუხვდებით. რას წარმოადგენს ნეტავ სიცოცხლე, რომ ასე ზრუნავთ მის შესანარჩუნებლად?!

– მე მზადა ვარ, აბა, ნავიდეთ!

– მეც მზადა ვარ! – დაიძახა ტარომ.

– მეც! – დაიძახა ამომ, – სწორედ დროზე მომისწრო ტფილისიდან გასვლამ, გავერთობი მაინც!

– როდის მივდივართ? – იკითხა ავთომ.

– ახლავე! ჩვენი დავალება საჩქაროა, – უპასუხა ქუჯიმ.

– ბიჭებო! ბუჭუკა, ბოჩია, ნასყიდა, ღვთისო, – დაუყვირეს შეფიცულმა მეგობრებმა თავიანთ მსახურებს, – აბა, ცხენები მოგვევარეთ!

ბუჭუკა, ბოჩია, ნასყიდა და ღვთისო სირბილით ნავიდნენ ბრძანების ასასრულებლად.

– საჭიროა ჩვენი მგზავრობის გეგმა, სად მივდივართ აქედან? – შემოიტანა წინადადება ტარომ.

– მივდივართ მტკერის აყოლებით, ლიხის ქედის გადავლით, მდინარე რიონის გაყოლებით ტბა პალიასტომამდე და ზღვამდე. შემდეგ ზღვით ტრაპიზონამდე, – უპასუხა ქუჯიმ, – ეს მოკლე გზაა ქალაქ ტრაპიზონში მისასვლელად.

– ძალიან კარგი, ასეთ შემთხვევაში ჩემი აზრი ასეთი იქნება, – განაგრძო ტარომ.

– გისმენთ.

– ოთხი კაცის ერთად მგზავრობა საეჭვოდ მოეჩვენებათ. ამ ეჭვის ასაცილებლად ქუჯიმ ყველა ჩვენგანს მისცეს თავისი დავალება. მე წინ ნავალ მცხეთა-გორის მიმართულებით, რომ კარგად დავათვალიერო გზა. ორი საათის შემდეგ ავთო ნავიდეს მცხეთა-ძალისის გზით, შემდეგ მას ამო მიჰყვება. რაც შეეხება ქუჯის, იგი ისე წამოვიდეს, როგორც თვითონ მიაჩნია მარჯვედ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ქუჯიმ ბუჭუკას ტანსაცმელი ჩაიცვას, ხოლო ბუჭუკა ქუჯის სამოსით მოგვეყვეს, თითქოს ქუჯი იყოს.

– მოუხერხებლად მიმაჩნია ტაროს გეგმა, – დაიწყო ქუჯიმ, – ვერ წარმომიდგენია, რა დავალება უნდა მოგცეთ. ნაბრძანები მაქვს ერთი წერილის მისამართზე მიტანა, ეს არის და ეს, ამის მეტი არა ვიცი რა. მე არ შემიძლია სამი ასლი გადავიღო ამ წერილისა. ვფიქრობ, თვით საქმე მოითხოვს ჩვენს ერთად მგზავრობას. იცოდეთ, ჯიბეში მიდევს ის წერილი, – თქვა მან, – თუ მომკლეს, ერთი თქვენგანი ამოიღებს მას და უჩემოდ განაგრძობთ გზას. თუ ისიც მოკლეს, წერილს ის ჩაიდებს

ჯიბეში, ვინც გადარჩება, და ასე, ერთ-ერთმა მაინც უნდა მიაღწიოს ტრაპიზონს და დანიშნულებისამებრ ჩააბაროს წერილი.

– ყოჩაღ, ქუჯი! მეც შენი აზრისა ვარ! – მოინონა ავთომ, – მაგრამ მაინც დიდი სიფრთხილე გვმართებს. შევეთანხმდეთ, რომ ვითომ ქუთაისში მივდივართ დასასვენებლად. ჩემი მეგობრებიც თან მომდევნენ, ოღონდ ქუთაისში კი არა, ან წყალტუბოში, არამედ ზღვის სანაპიროზე. ამ მხრივ სრულიად თავისუფალი ვარ, არჩევანი მე მეკუთვნის. თუ ჩვენი დაჭერა განიზრახა ვინმემ, ვაჩე ჩიქვანის წერილს წარვუდგენ. ძალის ხმარებას მოისურვებენ? ჩვენც ისე დავხვდეთ, რომ თავბედი ვაწყველინოთ. ცალ-ცალკე მტერი ადვილად დაგვამარცხებს, მაგრამ თუ ერთად ვიქნებით, ეს უკვე პატარა რაზმია. მსახურებიც კონდახიანი მშვილდ-ისრებით, ხანჯლებით და შუბებით შევადარალოთ. მთელი ჯარიც რომ შემოგვესიოს, ბრძოლას მივიღებთ ჩვენებურად, მამაცურად. ქუჯიმ როგორც თქვა, ის მიიტანს წერილს, ვინც გადარჩება.

– კარგი აზრია, კარგად თქმული, – დაიძახა ამომ, – არ გიყვარს ლაპარაკი, ჩემო ავთო, მაგრამ როდესაც იშვიათად იტყვი რაიმეს, ისე იტყვი ხოლმე, თითქოს წმინდა იოანე ოქროპირი იყო. მე ავთოს გეგმას ვემხრობი.

– მეც! – მიუგო ტარომ, – წერილის მიტანა ქუჯის აქვს დავალებული და ამიტომ მას ეკუთვნის ჩვენი მოგზაურობის ხელმძღვანელობა. მან თქვას და ჩვენ ავასრულებთ!

– ძალიან კარგი, – თქვა ქუჯიმ, – გადაწყვეტილია, ავთოს გეგმა მივიღეთ. ახლა მალევე მოვახტეთ ცხენებს.

– დამტკიცებულა!! – ერთხმად შეჰყვირეს შეფიცულებმა.

ამის შემდეგ თითოეულმა მათგანმა თავისი წილი ფული ჯიბეში ჩაიჩხრიალა და სამგზავრო სამზადისს შეუდგა.



## – თავი 9 –

შუალამე იქნებოდა, როდესაც ფათერაკების მაძიებელი შეფიცულები ტფილისიდან დიღმის კარის სადარაჯოთი გავიდნენ და მტკვრის გასწვრივ გზას გაუდგნენ. სანამ ბნელოდა, უხმოდ მიდიოდნენ. ირი-ჟრაჟა თუ არა, მგზავრებმა მაშინვე ენა ამოიდგეს. მზის ამოსვლამ მათ სიმხიარულე დაუბრუნა.

ცხენებზე ამხედრებული შეფიცულები, მათი სამხედრო აღკაზმულობა და თავით ფეხებამდე შეიარაღებული მსახურების რაზმი სანახავად შემაშინებელი იყო. მათ მცხეთამდე მშვიდობიანად გაიარეს გზა. უკვე საუზმის დრო იყო, როდესაც მოგზაურები სასტუმროს დუქანს მიადგნენ. მონასპელებმა მსახურებს დაავალეს, რომ უნაგირი არ მოეხადათ ცხენებისათვის და მზად ყოფილიყვნენ ისევ გზის გასაგრძელებლად. თავად კი დუქნის საერთო დარბაზში შევიდნენ და მაგიდას მიუსხდნენ. გვერდითა მაგიდას მისჯდომოდა კარსნის გზით მოსული ვილაც პიროვნება და ისიც საუზმეს შეექცეოდა. უცნობმა ამინდზე ჩამოაგდო ლაპარაკი და მონასპელებიც აიყოლია ამ საუბარში. შემდეგ ყმანვილების სადღეგრძელო დალია. მათაც მადლობა გადაუხადეს და ადღეგრძელეს. მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც დარბაზში შემოსულმა ბოჩიამ ცხენების მზადყოფნა ამცნო და მეგობრებმა ადგომა დააპირეს, უცნობმა ტაროს წინადადებით მიმართა, დავით ვეზირის სადღეგრძელოც შეესვათ. ტარომ იუარა.

– მე, ბრწყინვალე ბატონიშვილი დავითის გარდა, უფროსად არავინ მიმაჩნია! – შეუტია უცნობმა. ამის პასუხად ტარომ ხმალი იშიშვლა. მას არც უცნობი ჩამორჩა.

– უჰ, სისულელე მოგივიდა, – უთხრა ავთომ მეგობარს, – მაგრამ რა გაეწყობა? უკან ხომ არ დაიხევ? შეებრძოლე მას და ეცადე მალე დაგვეწიო!

ავთო, ამო და ქუჯი ცხენებს სწრაფად მოახტნენ და გააჭენეს. ტარო კი ამ დროს თავის მოპირდაპირეს ჰპირდებოდა, რომ ორთაბრძოლის მრავალფეროვანი ხელოვნების ჩვენებით ნუთისოფელს გამოასალმებდა.

– ეს უცნობი მოგზავნილი იყო! – დაიძახა ავთომ ორასიოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ.

– ერთი მითხარით, – რალა სწორედ ტაროს შესთავაზა იმ უცნობმა ვეზირი დავითის სადღეგრძელო? – მიმართა ამომ მეგობრებს.

– ალბათ იმიტომ, რომ ტარო ყველაზე ხმამაღლა ლაპარაკობდა და უფროსად ის მიიჩნია, – უპასუხა ქუჯიმ.

– მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ბრძენკაცია-მეთქი ჩვენი ქუჯი, – ჩაილაპარაკა ავთომ და კვლავ ჭენებით განაგრძეს გზა.

მტკვრისა და მდინარე ქსნის შესართავთან, დაბა ნასტაკისში მცირე ხნით შეჩერდნენ, ტაროსათვის უნდოდან მოეცადათ. მაგრამ რადგან ტარო არსად ჩანდა, გზა კვლავ განაგრძეს. გორამდე, შუა გზაზე, მტკვარსა და მთის ქედს შუა შევიწროებულ გზას მიადგნენ. აქ ათამდე კაცი

მუშაობდა და ისე იქცეოდნენ, თითქოს მდინარე მტკვარზე დაზიანებულ ხიდს აკეთებდნენ. მოულოდნელად ამ მუშებმა უკან დაიხიეს, ბორცვს ამოეფარნენ, ამოიღეს კონდახიანი მშვილდები და სროლა ატყეხეს. ამოს მოკლე ისარი მხარში მოხვდა, ხოლო ბოჩია ბარძაყში დაიჭრა.

– ეს არამზადები ჩასაფრებული გველოდნენ, არ შეეჭირდეთ! – დაიძახა ქუჯიმი, – აბა, ცხენებს მათრახი!

დაჭრილმა ამომ ძალა მოიკრიბა და არ ჩამორჩა ამხანაგებს. კარგა ხნის განმავლობაში შეუსვენებელივ მიაჭენებდნენ ცხენებს, რომლებიც ფრიად დაიქანცნენ. ქალაქ გორში მისვლისას ამომ გამოაცხადა, რომ უკვე აღარ შეეძლო გზის გაგრძელება. მას დიდი ძალისხმევა დასჭირდა აქამდე მოსალწევად. ბოლოს გორის ციხის მახლობლად ერთ სასტუმრო-დუქანთან ჩამოსვეს და ღვთისოც მასთან დატოვეს. ავთომ და ქუჯიმი კი მაშინვე განაგრძეს გზა იმ იმედით, რომ ღამე სურამის ციხესთან მდებარე სასტუმროში გაეტარებინათ.

– ვფიცავ, უნამუსო ვიყო, თუ კიდევ ავყვე ამ ამოსანყვეტ მოგზავნილებს. ჰო... მართლა... პალიასტომის ტბასთან ფოთში მისვლამდე ხმაღს ველარ ამომალეზინებენ, – თქვა ავთომ, როდესაც შარაზე გავიდნენ.

– ფიცი არ გვინდა! გავაჭენოთ! – უთხრა ქუჯიმი.

მგზავრებმა გააჭენეს დაქანცული ცხენები, რომლებმაც შუალამემდე დაბა სურამს მიიყვანეს თავისი მხედრები. ისინი „სახაჭაპურეს“ სახელით ცნობილ სასტუმროსთან ჩამოხტნენ. ამ დანესებულების მასპინძელი წინ მიეგება მგზავრებს. ავთო და ქუჯი ერთ ოთახში მოთავსდნენ. ის იყო ჩაკეტეს კარი და დასასვენებლად მოეწყვენ, რომ ეზოდან ვილაცამ ფანჯრის დარაბას დაუკაკუნა. ქუჯიმი და ავთომ თავიანთი მსახურების ხმა იცნეს და კარი გაუღეს. ოთახში ბუჭუკა და ნასყიდა შემოვიდნენ.

– ცხენების მოსავლელად ნასყიდაც საკმარისია, – მოახსენა ბუჭუკამ, – მე კი თუ ნებას მომცემთ, აქ, ამ კართან მეტი უსაფრთხოების გამო, კონა ჩალაზე დავწვები.

– კარგი, ბუჭუკ, – უთხრა ქუჯიმი, – მართალი გითხრა, არ მომეწონა ჩვენი მასპინძელი, მეტად მლიქვნელი ვინმე გახლავთ.

– მეც არ მომეწონა, – თქვა ავთომ.

ბუჭუკა ფანჯრიდან გადმოძვრა და კართან დანვა. ნასყიდა კი თავლისკენ წავიდა იმიტომ, რომ სისხამ დილით ცხენები მზად ჰყოლოდათ. ღამემ თითქმის მშვიდობიანად ჩაიარა. მხოლოდ, შუალამისას თავლიდან ყვირილი მოისმა. ავთომ და ქუჯიმი ფანჯარა გამოალეს და დაინახეს სხვა მეჯინიბეების მიერ თავგატყეხილი და გულწასული ნასყიდა. ეს გარემოება

ავის მეტს არას მოასწავებდა და შესაძლებელია, ბოროტი განზრახვის ნაყოფი ყოფილიყო. ავთო და ქუჯი ოთახიდან გამოვიდნენ და ნასყიდასკენ გაემართნენ. ბუჭუკა კი ცხენების სანახავად გაიქცა. შემდეგ ავთო მედუქნისაკენ წავიდა დანახარჯის გადასახდელად. ქუჯი მოსულიერებულ ნასყიდასთან ერთად ქუჩის ჭიშკართან იდგა. ავთო ისე შევიდა მედუქნის ოთახში, რომ არავითარი ეჭვი არ აღძვრია. მან საზღაური ამოიღო და მედუქნეს გაუწოდა. მედუქნე მარტო იჯდა თავის მაგიდასთან. მედუქნემ ავთოსაგან მიღებული ფული ხელში შეატრიალა და უცბად შეჰყვირა.

– ეს ფული ყალბია! თქვენ ყალბი ფულის მჭრელები ხართ!!

– რას მიჰქარავ სულელო! ხომ არ გაგიყებულხარ? – შეუტია ავთომ და მედუქნისაკენ გაინია.

ამ დროს ოთახის მეორე კარიდან თავით ფეხებამდე შეიარაღებული კაცები შემოცვივდნენ და ავთოს ეცნენ.

– მოგზავნილებმა მე აქ გამაბეს! – გასძახა ავთომ ხმამაღლა ქუჯის და ხმალი იმიშვლა.

ქუჯისათვის საჭირო აღარ იყო ამ სიტყვების განმეორება, უმალ ისა და ბუჭუკა კარებთან მიბმულ სხვის შეკაზმულ ცხენებს მოახტნენ და გააჭენეს.

– ხომ არ დაინახე, ავთოს რა მოუვიდა? – ჰკითხა ქუჯიმ ბუჭუკას და თან ცხენს მიაჭენებდა.

– უჰ, ორი კაცი მუშტით წააქცია, ხოლო დანარჩენებს ხმლით დაერია, ესაა, რაც დავინახე... – ამოიოხრა ბუჭუკამ.

– ყოჩაღ, ავთო! უბედურებაა, რომ იძულებული ვარ, მეგობარი მივატოვო ამ გაჭირვებაში, თუმცა, შეიძლება ჩვენ წინ უარესი მოგველოდეს, ჩემო ბუჭუკა, – იძახდა ქუჯი.

დიდი სიჩქარით მიაჭენებდნენ ცხენებს. ვარდციხეში ჩასვლამდე არსად შეჩერებულან. მალე რიონისა და ხანისწყლის შესართავთან, ციხე-ქალაქ ვარდციხესთან მოვიდნენ. აქ კი ცოტა ხნით დაასვენეს ცხენები, თვითონაც იქვე იდგნენ, აღვირი ხელში ეჭირათ, ეშინოდათ, კიდევ რაიმე მოულოდნელი ხიფათი არ დასტყდომოდათ თავს. დანაყრდნენ და ისევ გზას გაუდგნენ. ასი ნაბიჯი ექნებოდათ მდინარე რიონამდე დარჩენილი, სადაც ტივი უნდა დაექირავებინათ მდინარეზე გზის გასაგრძელებლად, რომ ზღვამდე ჩასულიყვნენ. მაგრამ უეცრად დადლილობისაგან ქუჯის ცხენი წაიქცა. ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვეღარ წამოაყენეს. კიდევ კარგი, რომ სულ ასიოდე ნაბიჯი თუ იქნებოდა მდინარემდე სადაც ტივებს აქირავებდნენ. მათ ცხენები შარავზაზე



დატოვეს და სატივესაკენ სირბილით წავიდნენ. ქუჯიმ ტივის პატრონს ჰკითხა, როგორ შეიძლებოდა სწრაფად პალიასტომის ტბასთან, ზღვამდე მისულიყო.

– მაგაზე ადვილი რა იქნება, – უპასუხა ძელებიანი ტივის მესაჭემ, – რიონზე ტივის დაცურების და სატივეს მეპატრონის თანხმობის მეტი არაფერი აკლია.

– სად არის მეპატრონის სახლი?

– აქვე ახლოს, აგერ, აქედანაც ჩანს, პატარა ქედის ძირში, ყავრისსახურავიანი სახლი.

ქუჯი თავისი მსახურით სატივეს მეპატრონის სახლისკენ წავიდა, ტივზე მოგზაურობის საფასურის გადასახდელად. გადაიხადეს რა საფასური, მადლობა გადაუხადეს სატივეს მეპატრონეს და მდინარისაკენ გაემუერნენ. ტივი კვლავ წასასვლელ-დასაცურებლად გამზადებული იდგა, ნაპირზე ელოდა ტივის მესაჭე.

– როგორ არის საქმე? – ჰკითხა ქუჯის.

– ჰო, ჩვენ, ფული უკვე გადავიხადეთ, – უთხრა ქუჯიმ.

– მაშ, თუ ასეა, დაცურდეთ.

უკვე შებინდებული იყო, როცა ქუჯი და ბუჭუკა ტივზე ავიდნენ. ძალზე დაიქანცა ქუჯი, ბუჭუკას მიერ ტივზე გაშლილ ნამჯაზე წამოწვა და მკვდარვით ჩაეძინა. მას მხოლოდ მეორე დღეს სისხამ დილით, გათენებისას გაეღვიძა. ტივი, რომელიც მდინარიდან პალიასტომის ტბის გავლით ზღვაში შეცურდა, იქვე მდგარ კანჯოს მიადგა. ეს მომცრო გემი მალევე დაიძრა და ღია ზღვაში შეცურა. ერთი დღე-ღამის შემდეგ ჰორიზონტზე ტრაპიზონის სანაპირო გამოჩნდა. მთელი ღამის განმავლობაში ქარი ქროდა და მძლავრად მიაქანებდა აფრიან გემს. დილით, როდესაც გემი ქალაქ ტრაპიზონის ნავსაყუდელს მიადგა, ქუჯიმ ფეხი ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოში შედგა.

– ძლივს! მოვედით! – შეჰყვირა მან.

ახლა საჭირო იყო გელასი კომნინის ციხე-დარბაზში მისვლა. ქუჯი ტრაპიზონში არასოდეს ყოფილა, მაგრამ ახსენა თუ არა სევესტოსი გელასის სახელი, მაშინვე მიასწავლეს ციხე-დარბაზისაკენ გზა. ქუჯიმ და ბუჭუკამ ცხენები იქირავეს და ციხე-დარბაზისაკენ გასწიეს. მალე ციხე-დარბაზის კარს მიადგნენ. გელასი კომნინი სანადიროდ წასულიყო. მაშინ ქუჯიმ გელასის პირადი მსახური იკითხა. ეს მსახური მშვენივრად ლაპარაკობდა ქართულს.

– ტფილისიდან მოვდივარ, ფრიად საჭირო საქმის გამო, რომელზედაც დამოკიდებულია ადამიანთა ბედი და ამიტომ საჩქაროდ მინდა ვნახო პრინცი გელასი, – უთხრა ქუჯიმ.

ისეთი გულწრფელობით ლაპარაკობდა ქუჯი, რომ მაშინვე დაიჯერა პრინცის მსახურმა ტარასიუსმა. მან შეაკაზმინა ორი ცხენი და თვითონვე წაუძღვა გელასის საძებნელად. ქუჯიმ გაიგო, რომ გელასი შევარდნებით ნადირობდა იქვე ახლოს ხეობაში. იქ მისვლისას, ტარასიუსმა ყური მოჰკრა თავისი ბატონის ხმას, რომელიც შევარდენს უხმობდა.

– პრინცს თქვენი ვინაობა როგორ მოვახსენო?! – უთხრა ტარასიუსმა.

– უთხარით, რომ მისი ნახვა სურს იმ კაცს, რომელმაც მას ტფილისში, მეტეხის ხიდთან ჩხუბი აუტეხა.

ტარასიუსმა გელასისაკენ გააჭენა თავისი ცხენი და როდესაც მასთან მიაღწია, ქუჯის დანაბარები მოახსენა. გელასი მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც მეტად მნიშვნელოვანი ამბავი უნდა მომხდარიყო ტფილისში. დრო რომ არ დაჰკარგოდა, შემოჰკრა ცხენს მათრახი და ქუჯისთან მიიჭრა.

– ანა-დედოფალი ხომ მშვიდობით ბრძანდება? – ჰკითხა გელასიმ.

– დიახ, მაგრამ უბედურება მოელის და მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ამ განსაცდელს გადაარჩინოთ.

– მხოლოდ მე? – წამოიძახა გელასიმ, – ნუთუ იმდენად ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია განსაცდელს გადავარჩინო?

– ინებეთ ეს წერილი! – მიართვა ქუჯიმ.

– წერილი რატომ არის გახვრეტილი?! – ჰკითხა ქუჯის.

– ვაჰ... ეს კი ველარ შევამჩნიე. გზაში რამდენიმე შეტაკება მოგვიხდა და მე ხმლით გამკანრეს... ეგეც გაუხვრეტიათ, – უპასუხა ქუჯიმ.

გელასიმ ცხენი შეაყენა და წერილი გაშალა.

– ჰოი, უფალო, ეს რა წავიკითხე! – შეჰყვირა გელასიმ, – ტარასიუს, აქ დარჩი და დანარჩენ მონადირე დიდებულებს გადაეცი, რომ იძულებული ვარ, დაუყოვნებლივ ტრაპიზონს, ციხე-დარბაზში დავბრუნდე. აბა, წავედით! – მათ მაშინვე ტრაპიზონისაკენ გაჰქუსლეს.

გელასი კომინმა გზაში ქუჯის აამბობინა ყველაფერი, რაც კი მან იცოდა. პრინცმა შეადარა ყმანვილი კაცის ნათქვამი იმას, რაც აღიდგინა მეხსიერებაში და საკმაოდ ზუსტი წარმოდგენა შეექმნა იმ მძიმე მდგომარეობაზე, რომელსაც ანო-დედოფლის მოწერილიდანაც კარგად გრძნობდა. გელასის უკვირდა და თან აფასებდა ქუჯის სიყოჩაღეს. მან კარგად იცოდა, რომ ვეზირი დავითი ყოველ ღონეს იხმარდა, რათა ქალაქ ტრაპიზონის მიწაზე არავითარ შემთხვევაში ფეხი არ დაედგა

დედოფლის წარმომადგენელს. ქუჯიმ დაწვრილებით უამბო, როგორი სიფრთხილით იყო მოწყობილი მისი წამოსვლა, რა თავდადებით დაეხმარა ამ გაჭირვებაში სამი მეგობარი, რომლებიც დაჭრილები მიატოვა გზაზე, რომ მოვალეობა შეესრულებინა. მან უბრალოდ აუწერა ტფილისიდან ტრაპიზონში ხიფათიანი მოგზაურობის სურათები. გელასი ყურადღებით უსმენდა, თან ანცვიფრებდა ამ ახალგაზრდის სიფრთხილედ და მამაცობა.

მალე პრინცი და მისი სტუმარი ტრაპიზონის ჭიშკარს მიადგნენ. თავისი ციხე-დარბაზის ეზოში შესვლისთანავე გელასი ჩამოხტა ცხენიდან და კიბისაკენ გაიქცა. ქუჯიმაც მას მიბაძა. გელასი ისეთი სიჩქარით მიდიოდა, რომ ქუჯი ძლივს მისდევდა. მათ გაიარეს რამდენიმე მორთული და მდიდრულად მოწყობილი დარბაზი და ბოლოს საწოლ ოთახში შევიდნენ, რომელიც გემოვნებიანი გაფორმებით გამოირჩეოდა. პრინცი ამ საწოლი ოთახის მარჯვენა კედელში ფარდებით დაფარულ კართან მივიდა და გამოაღო. გელასი მოტრიალდა და კარებთან მორიდებით გაჩერებული ქუჯი ოთახში მიიპატიჟა.

ქუჯი შევიდა და სპარსული ნოხებით მოფენილ მცირე სამლოცველოს მაგვარ ოთახში აღმოჩნდა. დანთებული სანთლები საკმაოდ ანათებდა იქაურობას. იქვე აღმართული იყო საქართველოს დედოფლის, ანას სურათი და პატარა ზარდახმაც იდო. გელასი სურათთან მივიდა და კოლოფი აიღო.

– აი, ხედავ?.. – მიმართა ქუჯის და ზარდახმიდან ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ყელსაკიდი ამოიღო, – აი, ეს, ანა-დედოფლის ნაჩუქარი ყელსაბამი. ეჰ... მხოლოდ ერთხელ გავიკეთე ეს ყელსაბამი. ქალაქის მოურავის სასახლეში მეჯლისზე. ჰო, ქალბატონი ბორენა გაიგუპულოსიც იქ იყო. დანამდვილებით ვიცი, რომ ეს ქალი დავით ვეზირის ჯაშუშია. ალბათ გადაამონმეს, რომ დედოფალმა ანომ მართლა მაჩუქა, შეიძლება მოჰარგაც უნდოდათ. ეჰ, საჯაროდ არ უნდა გამომეჩინა. მე დარწმუნებული ვარ, ეს დავით ვეზირის ოინია.

– მაშ, დავით ვეზირს მსტოვრები ყველაგანა ჰყავს? – გაიკვირვა ქუჯიმ.  
– ყველგან! დიახ, დაუნდობელია მისი მტრობა! მაგრამ თქვენ ეს მითხარით, როდისთვის აპირებენ ამ მეჯლისის მოწყობას? – მიუგო განრისხებულმა გელასიმ.

– ათ ან ხუთმეტ დღეში...

– ესე მალე? ტარასიუსს! – კარი გააღო და გასძახა მან თავის ერთგულ მსახურს. იგი მაშინვე წინ გამოეჭიმა.

– ჩქარა, ჩემი მდივანი! – მსახური უხმოდ, სწრაფად გავიდა, რათა პირნათლად აესრულებინა თავისი ბატონის ბრძანება. გელასი ამ დროს მაგიდას მისჯდომოდა და რაღაც ბრძანებებს წერდა. მალე მდივანიც მოვიდა.

– ახლავე გასწიე ქალაქის მოურავთან და მოახსენე, რომ მე მას ვავალებ ამ ბრძანების შესრულებას, – მიმართა მდივანს.

– მაგრამ, ბრწყინვალე სევასტოსო, მოურავმა რომ მკითხოვს ასეთი მკაცრი ღონისძიების მიზეზი, რა პასუხი გავცე?

– მოახსენე, რომ მე ასე მსურს და არავის ვაძლევ განმარტებებს. მე, არც ერთ გემს არ ვაძლევ უფლებას, რომ ტრაპიზონის ნავსადგურიდან გავიდეს. ამ მხრივ დამშვიდებულნი უნდა ვიყოთ, – მიუბრუნდა გელასი ქუჯის, – თუ ჯერ ტრაპიზონიდან არ წასულა დავითის ჯაშუში, ბორენა გიაგუპულოსი, მაშინ მის მიერ მოპოვებული ინფორმაცია მხოლოდ თქვენ შემდეგ მივა ტფილისამდე.

– როგორ, ბატონო?

– აი, ახლა მდივანმა წაიღო ბრძანება, რომლის ძალითაც აკრძალული აქვს ყველა გემს, რომელიც კი ამჟამად ტრაპიზონის ნავსადგურში იმყოფება, ნავსაყუდელიდან გავიდეს!

ქუჯი განცვიფრებული შეჰყურებდა ამ კაცს, კეისრის მიერ უსაზღვრო ნდობითა და უფლებებით აღჭურვილს, რომელიც ამ უფლებას თავისი სიყვარულის სამსახურს ახმარდა. ყმანვილი კაცის სახის გამომეტყველებამ გელასი მიახვედრა, რას ფიქრობდა ქუჯი, და გაეცინა.

– დიახ, ბატონო! უნდა იცოდეთ, ჩემი ნამდვილი მბრძანებელი საქართველოს დედოფალი ანაა, ჩემი შორეული ნათესავი. მისი ერთი სიტყვა კმარა იმისათვის, რომ...

დაღლილი ქუჯი ფიქრებში გაერთო, უცბად გელასის ხმამ გამოაფხიზლა.

– ახლა, ჩემო მეგობარო, თქვენია მთელი ქალაქი ტრაპიზონი, აბა, რას ინებებთ? რა გსურთ? მითხარით!

– ერთი ლოგინი, უნდა გამოგიტყდეთ, ამ წამს ძილი ყველაფერს მირჩევნია, – მიუგო გადაღლილმა ქუჯიმ.

გელასიმ ქუჯი მოსასვენებლად თავისი ოთახის გვერდით მოათავსა. მეორე დღეს, სისხამ დილით, სევასტოსმა ყმანვილი კაცი დაიბარა.

– ნახეთ, აი, ყელსაკიდი, რომლის წასაღებად ტრაპიზონში მოხვედით, და იყავით ჩემი მოწმე, რომ რაც დედოფალმა მიბრძანა, ვასრულებ, – უთხრა ქუჯის.

– დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, დიდბატონო, რაც კი ვნახე, ყველაფერს მოვახსენებ, მაგრამ ამ ყელსაბამს უკოლოფოდ მატანთ?

– ეს ზარდახმა მგზავრობაში ხელს შეგიშლით. გარდა ამისა, სხვა არაფერი მრჩება სახსოვრად...

– ზედმინვნით შევასრულებ თქვენს ბრძანებას.

– ახლა ესეც მითხარით, – განაგრძო პრინცმა და ყმანვილ კაცს დააცქერდა, – რით გადაგიხადოთ სამაგიერო?

ქუჯის სისხლი აუვარდა თავში, გრძნობდა, რომ მას, მადლობის ნიშნად, რაიმე ნივთით დასაჩუქრებას უპირებდა. იმის ფიქრმა, რომ ბიზანტიური ოქროთი ცდილობდნენ მისი და მისი მეგობრების დაღვრილი სისხლის ანაზღაურებას, მასში საშინელი აგრესია გამოიწვია.

– შევთანხმდეთ, ბატონო, ახლავე კარგად გავითვალისწინოთ, რომ არავითარი შეცდომა არ დავუშვათ. მე საქართველოს მეფის და დედოფლის სამსახურში გახლავართ. მეფის რაზმელი ვარ და ერთგული ვარ ჩემი მეფის. მე, როგორც მათმა მსახურმა, ვეცადე, რამდენადაც კი შემეძლო, ყველაფერი გამეკეთებინა ჩემი ანო-დედოფლისათვის, უფრო მეტიც, შეიძლება ასე არ დამედო თავი, რომ ეს არ ყოფილიყო სურვილი იმ ქალისა, რომელიც ჩემთვის ისეთივე სალოცავი ხატია, როგორც თქვენთვის – დედოფალი ანო.

– დიახ, – თქვა გელასიმ და გაიღიმა, – მგონი, უნდა ვიცნობდე კიდეც იმ თქვენს სალოცავს... მაშ, იმ ქალის მადლობელი უნდა ვიყო, რომ ასეთი გამირობა გამოიჩინეთ?

– სწორედ ასეა. უნდა ვაღიარო, რომ თქვენში მე მარტო ბიზანტიელს ვხედავ, რომელსაც უფრო დიდი აღტაცებით შევხვდები ბრძოლის ველზე, ვიდრე ორთაჭალის ბაღში ან ისნის სასახლის დერეფნებში. მაგრამ მე მაინც გულწმინდად ავასრულებ დავალებას და სიცოცხლესაც არ დავიშურებ, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

– ჩვენში ხშირად ამბობენ: რომელივით ამაყიყო, – წარმოთქვა ჩუმი ხმით გელასიმ.

– ჩვენში კი ხშირად იტყვიან, ოდიშელივით ამაყიყო.

ქუჯიმ თავი დაუკრა და წასასვლელად გაემზადა.

– ჰო, კარგი, მიდით ნავსადგურში, იკითხეთ გემი „ლაზი“ და ეს წერილი გადაეცით მის უფროსს. ის თქვენ პატარა ნავსადგურში მიგიყვანთ, სადაც, ცხადია, თქვენ არავინ გელოდებათ, იმ ნავსადგურში მხოლოდ მეთევზეთა გემები ჩერდება.

– რა ჰქვია მაგ ნავსაყუდელს?

– ყულევი... მაგრამ მოითმინეთ, მე არ დამიმთავრებია. იქ შეხვალთ ერთ უბრალო დუქანში, რომელსაც არც სახელწოდება აქვს და არც რაიმე ნიშანი, მეზღვაურთა ბუნაგია. იმის გარდა, იქ სხვა დუქანი არსადაა.

– შემდეგ?

– დუქნის პატრონს იკითხავთ და ეტყვი „სწრაფი სვლა“.

– რას ნიშნავს ეს?

– ეს საიდუმლო, ფარული ნიშანია. ისინი მაშინვე გამოვიყვანენ შეკაზმულ ცხენს და გზასაც გასწავლიან. გზაზე კიდევ ოთხ შეკაზმულ რაშს დაგახვედრებენ, თუ გნებავთ, ოთხგანვე თქვენი მისამართი დაუტოვებთ და ტფილისში მოგგვრიან იმ ცხენებს... სალაშქროდ არის მოკაზმული ოთხივე. მე იმედი მაქვს, თქვენად მიიღებთ ერთს, ხოლო დანარჩენი თქვენმა მეგობრებმა გაინანილონ.

– გამაღობთ!! კარგად გამოვიყენებთ თქვენს საჩუქარს.

– ახლა კი თქვენი ხელი, ჩემო მეგობარო! იქნება კიდევ შეგხვდეთ, იმედი მაქვს, ახლა გულითად მეგობრებად გამოვეთხოვებით ერთმანეთს.

– დიახ, ბრწყინვალე პრინცო გელასი!

ქუჯიმი თავი დაუკრა და სწრაფი ნაბიჯით ციხე-დარბაზიდან გავიდა. შუქურა-კოშკის პირდაპირ ნავსადგურში, მან მინიშნებული გემი იპოვა. წერილი გემის მეთაურს გადასცა, რომელმაც მაშინვე იალქნები აუშვა და ღია ზღვაში გავიდა. ათამდე გემი იდგა წასასვლელად გამზადებული და ბრძანებას ელოდა. ქუჯის გემმა გვერდით გაუარა ერთ-ერთ იმ გემს, რომლის გემბანზე მდგომი ქალი ქუჯიმ მცხეთაში ნანახ ბანოვანს მიაჩნდა. ზურგის ქარი ისეთი სისწრაფით მიაქანებდა ხომალდს, რომ მან ერთ წუთში დაკარგა მხედველობიდან გემიც და ქალიც.

მეორე დღეს, დილით გემი „ლაზიკა“ ყულევის ნაპირს მიადგა. ქუჯიმ მაშინვე მითითებულ დუქანს მიაშურა, ადვილად იცნო საშინელი ღრიანცელის მეოხებით, რომელიც იქიდან გამოდიოდა. აქ მეზღვაურები და ვაჭრები ქეიფობდნენ. ქუჯი მასპინძელთან მივიდა და ჩუმად უთხრა საიდუმლო სიტყვა – „სწრაფი სვლა“. მასპინძელმა ანიშნა, გამომყევით. ისინი, ეზოს გავლით, თავლაში შევიდნენ, სადაც შეკაზმული ცხენი ელოდებოდათ.

– ვერ მიმასწავლით გზას?! – სთხოვა ქუჯიმ.

– აქედან ხონში მიბრძანდით. იქიდან შორაპანში. იქ „ოქროს ჩარდახის“ სასტუმროში შედით და სასტუმროს პატრონს ის სიტყვა უთხარით, რომელიც აქ უკვე გამოიყენეთ. იქაც საგანგებოდ შეკაზმული ცხენები დაგხვდებათ.

– რამდენი მოგართვათ? – იკითხა ქუჯიმი.  
– ფული მიღებული მაქვს, ბატონო, და საკმაოდ უხვადაც, – უპასუხა მედუქნემ, – მიბრძანდით და ღმერთი გფარავდეთ.

– ამინ! – მიუგო ქუჯიმი და გაქუსლა.

ღამით იგი უკვე შორაპანთან იყო. ზუსტად იცავდა მიღებულ დარიგებას. აქაც, როგორც ყულევეში, შეკაზმული ცხენი მოჰგვარეს.

– თქვენი მისამართი?

– ტფილისი, სატივეს ქუჩა, ქუჯი-გიორგი, ავაგ არტანუჯელის რაზმელი. რა გზით ვიარო? – ჰკითხა ქუჯიმი.

– ხარაგოულის გზით მიბრძანდით, ოღონდ მხარმარცხნივ დატოვეთ უბისის მონასტერი. ხარაგოულთან პატარა სოფელში გაჩერდით. ამ სოფელში მხოლოდ ერთადერთი სასტუმროა. იქაც, თავლაში ბედაურებს დაგახვედრებენ.

– ნიშანი იგივეა?

– უსათუოდ! მშვიდობით იმგზავრეთ, ბატონო.

ქუჯიმი თავი დაუქნია და ცხენს მათრახი გადაჰკრა. სურამში იგივე განმეორდა, იქაც დახვდა თავაზიანი მასპინძელი, რომელმაც შეკაზმული და დასვენებული ცხენი მიჰგვარა და ახლა გორისაკენ გასწია. როგორცა ჩანს, ბიზანტიელებს, სხვის ტერიტორიაზე, თავიანთი საიდუმლო სამსახური კარგად ჰქონდათ აწყობილი.

ქუჯიმი კავთისხევთან უკანასკნელად შეიცვალა ცხენი და ღამისპირას ვაჩე ჩიქვანის სასახლის ეზოში შეაჭენა თავისი რაში. ვაჩე ჩიქვანმა უსიტყვოდ, ისე მიიღო ქუჯი, თითქოს იმ დილას გამოსთხოვებოდა. ბატონმა ვაჩემ უთხრა:

– ავაგ არტანუჯელის, შენი რაზმი, ისინი სასახლეში არის საყარაულოდ, ახლავე იქ მიდი და შენი ადგილი დაიკავე!



## – თაჰი 10 –

დედოფლისა და მეფის პატივსაცემად გასამართ მეჯლისზე მსჯელობდა მეორე დღეს მთელი სატახტო ქალაქი ტფილისი. ამ მეჯლისის მოწყობის საქმეებს დიდმოურავი და მსახურთუხუცესი განაგებდნენ. მთელი კვირა ემზადებოდნენ ამ საზეიმო საღამოსათვის. მეჯლისზე შესრულდე-

ბოდა ცნობილი კავკასიური ცეკვები. ქალაქის დურგლებმა ტახტრევანე-ბი აღმართეს მიწვეული სტუმრების მოსასვენებლად. ჭიანჭურის და სხვა საკრავების ოცდაათამდე დამკვრელი იყო დაქორავებული.

სისხამ დილით ქალაქის მოურავის სასახლეში გამოცხადდნენ ბატონები ვარდან მხარგრძელი და ავაგ არტანუჯელი, მეფის გვარდიის რაზმების მეთაურები. ისინი დიდმოურავს ეახლნენ და სთხოვეს ისინი სასახლის და ქალაქის ყველა კარის გასაღები, რათა სადარაჯოდ განლაგებულიყვნენ. გასაღებების ჩაბარებისთანავე ვარდან მხარგრძელს და ავაგ არტანუჯელს ევალებოდათ ამ გასასვლელების დარაჯობა, ყოველ კართან და ხეივანთან გუშაგების დაყენება. მალე ორმოცდაათი შუბოსანი გამოცხადდა, რომლებიც მაშინვე გაიფანტნენ და მიჩნეული ადგილები დაიკავეს.

საღამოს, როცა მზე მთებს იქით ჩაესვენა, მოწვეული სტუმრები უკვე მოგროვდნენ. ისინი დიდ დარბაზში, მათთვის მომზადებულ მოხერხებულ მოსაცდელეებში შეჰყავდათ. მალევე გამოჩნდნენ ერისთავ-აზნაურობა და სამეფოს მოხელეები. მეტეხის ეკლესიის მხარეს მდებარე დარბაზში, რომლის აივანიც კლდიდან მდინარე მტკვარს და აბანოთუბანს გადაჰყურებდა, სუფრის გაშლა დაიწყეს. გრძელ სუფრაზე ხილი და ტკბილეული დაალაგეს. უეცრად ქუჩებში ხმამაღალი შეძახილები გაისმა. ნადირობიდან მეფე მობრძანდებოდა სასახლისაკენ მიმავალ ქუჩაზე.

– მეფე მობრძანდება! – მაშინვე წამოცვივდნენ მოხელეები და აზნაურობა. მეფის ამაღას საზეიმო ტანისამოსში გამოწყობილი მონასკელები მოუძლოდნენ. მეფეს მიეგებნენ. ვეზირებმა და ქალაქის თავმა, დიდმოურავმა მადლობა მოახსენა მეფეს, რომ მან კეთილ ინება და პატივი სცა მათ მობრძანებით. ამ ქათინაურის პასუხად მეფე დემეტრემ შეგვიანებისათვის ბრალი პირველ ვეზირ დავითს დასდო, რომელმაც გვიანობამდე ვერ გაათავა მასთან, ნადირობის შემდეგ, სახელმწიფო საქმეებზე ბაასი.

საზეიმოდ მორთულ მეფე დემეტრეს თან ახლდნენ დიდებულები. ყველამ შეამჩნია, რომ მეფე დაღონებული იყო, ეტყობოდა, რაღაც ანუხებდა. მალე ქუჩაში კვლავ გაისმა ხმაური და მისალმების შეძახილები. ამ ხმაურმა ქალაქს კოფრის საზაფხულო აგარაკ-რეზიდენციიდან დედოფალი ანოს მოსვლა ახარა. ისევე მიეგებნენ ნაზირ-ვეზირები და ქალაქის დიდმოურავი დედოფალს, როგორც ცოტა ხნის წინ მეფეს. დედოფალი დარბაზში შებრძანდა. ყველამ შეამჩნია, რომ მას, ისევე,



როგორც მეფეს, დაღონებული და დაღლილი სახე ჰქონდა. სწორედ იმ წამს, როდესაც დედოფალი დარბაზში შევიდა, გადაიწია აქამდე დახურული მცირე ოთახის ფარდა და ყველამ იცნო უფლისწულ დავითის ფერმიხდილი სახე. მან თვალი თვალში გაუყარა დედოფალ-დედინაცვალს და სიხარულის ღიმილმა შეუთამაშა ტუჩები. დედოფალს მეფის მიერ ნაჩუქარი, ძვირფასი, ჯვრიანი ყელსაკიდი არ ეკეთა.

მცირე ხანს საზეიმოდ მორთულ დარბაზში დარჩა დედოფალი ანო, რომ მოესმინა აზნაურ-დიდებულთა ქათინაურები და მისაღმებოდა მათ მეუღლეებს და ქალიშვილებს. უცბად დარბაზის ერთ-ერთ კარში გამოჩნდა მეფე, მას მანდატურთუხუცესი, ვეზირი დავითი ახლდა. იგი რალაცას ეჩურჩულებოდა მეფეს. მეფეს ჯერ სანადირო სამოსის გამოცვლაც კი სრულად ვერ მოესწრო. მან გააპო ხალხის ჯგუფი, დედოფალთან მივიდა და ათრთოლებული ხმით უთხრა:

– ერთი მიბრძანეთ, თუ შეიძლება, ქალბატონო, რატომ არ გაიკეთეთ ჯვრიანი ყელსაბამი? ხომ იცით, რა ძალიან მასიამოვნებდით, იმით დამშვენებული რომ დამენახეთ.

დედოფალმა თვალი მოავლო ირგვლივ საზოგადოებას და მეფის უკან დაინახა დავითი, რომელიც ვერაგულად იღიმებოდა.

– იმიტომ, მეფეო, რომ ვშიშობდი, ამოდენა ხალხში რაიმე არ მოსვლოდა თქვენს საჩუქარს, – მთრთოლვარე ხმით უპასუხა დედოფალმა.

– ცდებით, ქალბატონო! მე იმისათვის მოგართვით ეს საჩუქარი, რომ ატაროთ! – გამმაგებულ მეფეს ხმა უკანკალებდა, ყველა იქ მყოფი განცვიფრებული შეჰყურებდა მათ და ვერ გაეგოთ ამ უსიამოვნების მიზეზი.

– ახლავე ვავგზავნი ვინმეს ჩემს ოთახებში, მეფეო, და მოვატანინებ... ავასრულებ თქვენს სურვილს!

– აბა, ჩქარა, ქალბატონო! რადგან მალე ქეიფ-გართობა უნდა დაიწყოს.

დედოფალმა მორჩილების ნიშნად თავი დაუკრა და ქალებს გაჰყვა, რომლებმაც საპირფარეო ოთახამდე მიაცილეს. მეფეც თავისი ოთახებისაკენ წავიდა. ყველა ხედავდა და გრძნობდა, რომ რალაც მოხდა მეფე-დედოფალს შორის. ბუკ-ნალარა მთელი ძალით აჟღერდა, მაგრამ მუსიკასაც აღარავინ უსმენდა. პირველად მეფე გამოვიდა სასახლის თავისი მხარის ოთახებიდან საუცხოო ტანისამოსში გამოწყობილი. ეს ჩაცმულობა მას, ჭარმაგ, უკვე ხანში შესულ მეფეს ფრიად უხდებოდა. ამ საზეიმო სამოსში გამოწყობილი დემეტრე მართლაც თავისი სამეფოს პირველ დიდებულს წარმოადგენდა. სხვა დიდებულები შედარე-

ბით მოკრძალებულად მორთულიყვნენ. დავით მანდატურთუხუცესი მიუახლოვდა მეფეს და ჩუმად შეახსენა ანოს ყელსაბამის ამბავი.

– რას მოასწავებს ეს შეხსენება? – იკითხა მან.

– არაფერს, – მიუგო ბოროტად დავითმა, – ოღონდ, თუ დედოფალს არა აქვს ყელსაბამი, მაშინ ჰკითხეთ მას, თუ სად არის თქვენი ნაჩუქარი...

მეფე დააცქერდა დავითს, თითქოს დაკითხვას უპირებდა, მაგრამ აღარ დააცალეს, რომ ერთი კითხვა მაინც მიეცა. აღტაცების ძახილი გაისმა ყოველი მხრიდან. თუ მეფე იყო პირველი დიდებული თავის სამეფოში, ანო-დედოფალიც უმშვენიერესი ქალი იყო მთელ სამეფოში. მართლაც, დედოფალს საზეიმო სამოსი საოცრად უხდებოდა. მას ნაბდის ქუდი ფაზისური ხოხბის ქრელი ფრთებით დაემშვენებინა; ნაცრისფერი აბრეშუმის ზედატანი სიასამურის ბენვით იყო განწყობილი, ხოლო ატლასის ქვედაკაბა, რომელიც ოქროს და ვერცხლის ძაფებით იყო ამოქარგული, მეტად შვენოდა. ანოს მკერდზე, მეფის ნაჩუქარი ყელსაკიდი უბრწყინავდა. გულსაკიდის დანახვაზე მეფე სიხარულით ათრთოლდა, ხოლო დავითი სიბრაზით, მაგრამ ისინი შორს იყვნენ დედოფლისაგან და მათი ეს ვნება შეუმჩნეველი დარჩა.

ამ დროს გაისმა საყვირების ხმა. ეს იყო საზეიმო ცერემონიალის დაწყების ნიშანი. მეფე დედოფალთან მივიდა. კუთვნილი ადგილები დაიკავეს დიდებულებმაც და ორმხრივ ჩამწკრივდნენ. მეფე-დედოფალმა მომიღმარი სახით ჩაუარეს ქვეშერდომებს და უცხო ქვეყნების დესპანებს. შემდეგ დაიწყო ცეკვა-თამაში და სხვადასხვა თეატრალური წარმოდგენები, რასაც ბოლოს დიდებულ პურმარილიანი მამაპაპური ქეიფი მოჰყვა. შეისვა მრავალი სადღეგრძელო...

თეატრალური წარმოდგენებისას ხშირად აღტაცების ტაში გაისმოდა მთელ დარბაზში. განსაკუთრებული ყურადღება პოეტმა-აშულებმა მიიქციეს. გამომსვლელების ერთ-ერთი შესვენების დროს მეფე დედოფლისაკენ დაიხარა.

– გმადლობთ, ქალბატონო, რომ ყურადღებით მოეპყარით ჩემს სურვილს და ჯვრიანი ყელსაკიდით დამშვენდით, – უთხრა მეფემ.

– როგორ, მეფეო? – წარმოთქვა დედოფალმა განცვიფრებით, – თქვენი სიტყვა ჩემთვის კანონია. განა თქვენ ამას ვერ გრძნობთ?

მეფემ დავით ვეზირი იხმო.

– რა გინდოდათ ჩემგან, რას მერჩით, შვილო ჩემო?

– ეს იმას ნიშნავს, მეფეო, რომ მე მსურდა, როგორმე მეფე-დედოფალი გამემხიარულებინა ამ მეჯლისით, – მიუგო დავითმა.

– მეც მადლობას მოგახსენებთ! – მიმართა თავის გერს ანო-დედოფალ-მა ცბიერი და თავაზიანი ღიმილით.

ანო-დედოფალმა თავი დაუკრა მეფეს და მის უფროს შვილს, შემდეგ თავისი ტანისამოსის გამოსაცვლელი ოთახისაკენ წავიდა. ის კი, ვინც დედოფალს საშუალება მისცა ასეთი გამარჯვებისა და ვეზირის დამარცხებისა, კართან იდგა.

დედოფალი თავის ოთახში შევიდა და კართან მდგარმა ქუჯიმაც დააპირა წასვლა, მაგრამ იგრძნო, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი დაჰკრა. მიბრუნდა და ახალგაზრდა ქალი დაინახა, რომელმაც ანიშნა გაჰყოლოდა. ახალგაზრდა ქალს სახე დაბურული ჰქონდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქუჯიმ მაშინვე იცნო კეკლუცი ქალბატონი შუშანა. წინა საღამოს მათ მხოლოდ თვალი მოჰკრეს ერთმანეთს კარისკაცთან. ისე ეჩქარებოდა ახალგაზრდა ქალს დედოფლისათვის ეხარებინა მისი შიკრიკის მშვიდობით დაბრუნების ამბავი, რომ ერთმანეთის მოკითხვაც ვერ მოასწრეს შეყვარებულებმა...

ქუჯი გაჰყვა შუშანას, რომელმაც რამდენიმე დერეფნის გავლის შემდეგ შეალო კარი და ბნელ ოთახში შეიყვანა. ერთხელ კიდევ ანიშნა, ჩუმიად ყოფილიყო, მერე კვლავ გაალო მეორე, ფარდებით დაფარული კარი, საიდანაც სინათლემ შემოანათა. თვითონ შუშანა კი უმაღლ გაქრა. ერთ წამს უძრავად იდგა ქუჯი და თავის თავს ეკითხებოდა, სად ვარო. მაგრამ ოთახში მეორე ოთახიდან შემოსულმა სინათლის შუქმა იმავე ოთახიდან თბილი და სურნელოვანი ჰაერი შემოიტანა, იქიდან ქალების საუბარი გამოდიოდა, რამდენჯერმე იქნა ხსენებული მეფის სახელი, ამან დაარწმუნა ქუჯი, რომ დედოფლის ოთახის გვერდით იმყოფებოდა.

ქუჯი სიბნელებაში იდგა და ელოდა. მხიარული და ბედნიერი ჩანდა ანო-დედოფალი, რაც მეტად აოცებდა მის მახლობლებს, რომლებიც მას, ჩვეულებრივად, თითქმის ყოველთვის დალონებულსა ხედავდნენ. თავის სიმხიარულეს დედოფალი მეფლისის მშვენიერებით ხსნიდა. თან იმ სიამოვნებითაც, რომელიც თეატრალურმა წარმოდგენებმა აღუძრა. მოგეხსენებათ, რომ მიუღებელია დედოფალთან შეკამათება, ამიტომ ყველანი გაზვიადებულად აქებდნენ მეფლისს. თუმცა ქუჯი არ იცნობდა დედოფალს, მაგრამ მალე შეძლო მისი ხმის გარჩევა, ქართულში ოდნავ შესამჩნევი ბერძნული გამოთქმის საშუალებით. ქუჯი გრძნობდა, როგორ უახლოვდებოდა და შორდებოდა დედოფალი გაღებულ კარს. უცებ გადაინია ფარდა და მომხიბლავი თეთრი ხელი გამოჩნდა. ქუჯი მივარდა და მონინებით ეამბოროა ხელს, რომელმაც მას ძვირფასი ბეჭედი შეატოვა. მიხვდა ქუჯი, რომ ეს

მისი ჯილდო იყო. შემდეგ, კარი, საიდანაც სინათლე შემოდის, მიიხურა. ქუჯიმ ბეჭედი თითზე გაიკეთა და ლოღინი განაგრძო. მისი აზრით, ამით არ უნდა გათავებულყო ეს მოლოდინი. იგი თავდადებისათვის დააჯილდოეს და ახლა სიყვარულისათვის ელოდა ჯილდოს.

მართალია, ცეკვა-თამაში დამთავრდა, მაგრამ ნადიმ-ქეიფი ახალი დაწყებული იყო. თანდათან მიდუმდა ხმაური კარს იქითა ოთახში. უცბად კარი გაიღო და მშვენიერი შუშანა შემოგოგმანდა.

– ძლივს! – შეჰყვირა ქუჯიმ.

– ჩემად, ხმა არ ამოიღო! – ნასჩურჩულა ახალგაზრდა ქალმა და პირზე ხელი ააფარა.

– მერე, როდის და სად განახავთ მე?

– შინ ბარათი დაგხვდებათ და იქიდან გაიგებთ! აბა, წადით!

ეს თქვა თუ არა შუშანამ, კარი საჩქაროდ გააღო და ქუჯი ოთახიდან დერეფანში გამოაგდო. იგი უნებლიეთ დაემორჩილა და წინააღმდეგობა არ გაუწევია. უკვე შუალამეს გადაცილებული იყო, როცა ქუჯი სირბილით წავიდა შინისაკენ. მას ტფილისის არცთუ უსაფრთხო ქუჩებში უნდა გაეგლო, საბედნიეროდ, არავითარ ხიფათს არ გადაჰყრია. სახლთან ხეივნის კარი ოდნავ მოხურული დახვდა. ქუჯიმ სწრაფად აირბინა თავისი ბინის კიბე და კარზე დააკაკუნა, სწორედ ისე, როგორც შეთანხმებულნი იყვნენ ისა და მისი მსახური. ბუჭუკას, რომელიც ადრე გამოგზავნა, მისი ბრძანების თანახმად, ჯერ არ ეძინა, და მაშინვე გაუღო კარი.

– წერილი ხომ არ გინახავს? – იკითხა მოუთმენლად ქუჯიმ.

– მინდა მოგახსენოთ, რომ შინ დაბრუნებულმა თქვენს საწოლ ოთახში მაგიდაზე წერილი ვიპოვე.

ქუჯიმ ყურადღება აღარ მიაქცია ბუჭუკას, სწრაფად შევიდა საწოლ ოთახში და წერილი გახსნა. ეს შუშანას გამოგზავნილი ბარათი იყო, რომლითაც შეხვედრის ადგილს უნიშნავდა გამიჯნურებულ ქუჯის, – „ხვალ საღამოს მარტყოფის მონასტრის გვერდით, განაპირა სახლში...“ კითხულობდა ამ წერილს ქუჯი და გრძნობდა, როგორ აუძგერდა გული სიყვარულით. ეს მისი პირველი სასიყვარულო შეხვედრა იყო.

– ჩემო ბუჭუკ, აი, შენ ერთი დავითური, ვერცხლის მილიარესი და ჩემი სადღეგრძელო შესვი, როცა მოიცლი!

– ამის ბოძებისათვის მადლობელი გახლავართ, ბატონო!

– ჩემო ბუჭუკა, დღეს ჩემისთანა ბედნიერი სხვა არავინ მეგულება.

– შემძლია ვისარგებლო თქვენი ბედნიერებით, ბატონო, და დასაძინებლად წავიდე?

– ნადი, ჩემო ბუჭუკუ!

მარტო დარჩენილმა ქუჯიმ რამდენჯერმე გადაიკითხა საყვარლის წერილი. ბოლოს დანვა, დაიძინა და საამური სიზმარი ნახა. მან დილით გაიღვიძა თუ არა, ბუჭუკას გასძახა.

– ბუჭუკ! მივდივარ და სალამომდე არ დავბრუნდები მე. შენ ამ დრომდე თავისუფალი ხარ. ოღონდ სალამოს შეკაზმე ორი ცხენი და მზად იყავი, უნდა ქალაქგარეთ წავიდეთ! თან წამოილე კონდახიანი მშვილდ-ისარი, – უბრძანა ქუჯიმ.

– დიახ, სალამოს მზად ვიქნები. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ავაგ არტანუჯელის რაზმის თავლაში მგონი მარტო ერთი ცხენი ჰყავთ.

– აი, ნახავ, ამ სალამოს ოთხი იქნება, – თქვა მან და ოთახიდან სწრაფად გავიდა.

ვარდან ბოზარჯიანი თავისი ბინის კართან იდგა. ქუჯიმ გადაწყვიტა, შეუმჩნეველად გვერდი აეველო მისთვის, მაგრამ ისე თავაზიანად მიესალმა სახლის პატრონი მდგმურს, რომ მან გადაწყვიტა გამოლაპარაკებოდა. ბაასი, თავდაპირველად, ვარდანის დაპატიმრებას შეეხო. ვარდანმა არ იცოდა, რომ ქუჯის მოსმენილი ჰქონდა მისი და მცხეთელი უცნობის საუბარი. ამ ლაპარაკის დროს ლანძღვით იხსენიებდა დავით ვეზირის მსახურებს და იხსენებდა თავის პატიმრობას და წამებას. ქუჯი უსმენდა, ხოლო როცა ვარდანმა გაათავა, მან ჰკითხა.

– ბოლოს გაიგეთ მანძი, ქალბატონი შუშანა ვინ მოიტაცა?

– ეჰ... – ამოიოხრა ვარდანმა მიამიტურად, – ისინი, რა თქმა უნდა, ამას არ მეტყოდნენ. ჩემი ცოლიც იფიცებოდა, მათ არ ვიცნობო. თქვენ სად იყავით? არც თქვენ და აღარც თქვენი მეგობრები ჩანდნენ.

– მართალი ხარ, ჩემო ვარდან, ცოტა ხნით გავისეირნეთ მე და ჩემმა მეგობრებმა.

– შორს ბრძანდებოდით? – იკითხა ვარდანმა და ცბიერად დააშტერდა.

– ოჰ, არა, ავთო შეუძლოდ იყო და ტფილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ახტალას, სამკურნალოდ მივიყვანეთ, ჩემი მეგობრები იქ დარჩნენ.

– თქვენ მარტო დაბრუნდით?

უკვე ქუჩაში იყო გასული ქუჯი და ვერ გაიგონა ვარდანის სიტყვები. იგი ვაჩე ჩიქვანის სახლისკენ წავიდა. მონასპელთა მეთაური მხიარულად დახვდა. მეფეს და დედოფალს თავისი ყურადღებით მოეხიბლათ წუხანდელ მეჯლისზე ვაჩე, თუმცა დავითი სულ დაღვრემილი შეჰყურებდა. დავით ვეზირს მეჯლისი მალევე მიუტოვებია, შეუძლოდ ვარო. მეფე-დედოფალი კი დილამდე დარჩენილიყვნენ.

– ახლა მოყევი! – დაინყო ჩუმი ხმით ვაჩემ და თან თვალი გადაავლო დარბაზს, უცხო ხომ არავინ არისო, – ჩემო, უეჭველად თქვენი კეთილად დაბრუნების შედეგი უნდა იყოს მეფე-დედოფლის მზიარულად ყოფნა და დავით ვეზირის უკმაყოფილო განწყობა. ვფიქრობ, დიდი სიფრთხილე გმართებს, რომ გადარჩე...

– უნდა გადავრჩე? – იუცხოვა ქუჯიმ, – რისი უნდა მეშინოდეს, სანამ წყალობის თვალით მიყურებენ მეფე-დედოფალი?

– მერწმუნე, ყველაფრისა... ისეთი კაცი არ არის დავით ბატონიშვილი, რომ დაივინყოს ეს მარცხი. იგი და მისი მომხრეებიც არ მოისვენებენ, ვიდრე არ გაუსწორდებიან თავიანთ დამმარცხებლებს.

– თქვენ გგონიათ, ბატონო, რომ ეს ამბავი დავითმაც ისევე იცის, როგორც თქვენ? და ისიც იცის, რომ ტრაპიზონში გახლდით მე?

– მაშ, ტრაპიზონიდან გამოგყვით ეგ ბეჭედი, რომელიც ხელს გიმშვენებს? გეუბნები, ფრთხილად იყავი, ჩემო...

– ეს ბეჭედი დედოფალმა მიბოძა, – აუხსნა ქუჯიმ.

– დედოფალმაო? – წამოიძახა ვაჩემ, – ვისი ხელით გადმოგცა დედოფალმა ეს საჩუქარი?

– თავისი ხელით.

– დედოფალს ხელზე ემთხვია?

– ანო-დედოფალმა თვითონ მომანიჭა ეს ბედნიერება, – მოახსენა ქუჯიმ და ბატონ ვაჩეს უამბო, როგორ მიიღო საკოცნელად დედოფლის ხელი და ბეჭედი საჩუქრად.

– უნდა გირჩიო! ახლავე გაყიდე ეს ბეჭედი. ვინც ამით დაიმშვენებს ხელს, შეიძლება ავი დღე დაუდგეს.

– ჩემი დედოფლის ნაჩუქარი ბეჭედი გავყიდო? თქვენ გგონიათ, რომ საფრთხე მომელის? – ჰკითხა ქუჯიმ, – რა ვქნა, როგორ მოვიქცე?

– უწინარეს ყოვლისა, ფრთხილად იყავი! გამორჩეული მეხსიერება და გრძელი ხელი აქვს პირველ ვეზირს, შენი ბედი, თუ მხოლოდ დაგაპატიმრეს და ამით გადარჩი.

– ვაჰ! ნუთუ გაბედავენ და მეფის ერთგულ მსახურს დაიჭერენ?

– ეჰ, განა ვერ გაბედეს და ავთო ვერ დაიჭირეს? ჩემო... დაუჯერე შენზე გამოცდილს, რომელიც კარგა ხანია სამეფო კართან ტრიალებს. ერთ წამს არ დაივინყო, რომ საფრთხეს გიმზადებენ, თორემ მაშინვე დაილუპები. მტერი გეგულეობდეს ყველგან. ჩხუბი რომ აგიტეხონ, გაეცალე. თუ მშენებარე სახლის წინ გაივლი, თვალი გეჭიროს, რომ თავზე ქვა არ დაგეცეს. თუ გვიან ღამით აპირებ სადმე წასვლას, შეიარაღე-

ბული მსახურიც თან იყოლიე. იცოდე, უმეტესად, საყვარელს იყენებენ მონინალმდეგეები ვისიმე ჯავრის ამოსაყრელად.

ამ დროს ქუჯის მოაგონდა შუშანას მიერ სალამოს დანიშნული სასიყვარულო შეხვედრა. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბატონი ვაჩეს მიერ წარმოთქმულმა ასეთმა უარყოფითმა აზრმა ქალების შესახებ იოტი-სოდენა ეჭვიც კი არ აღუძრა და ისეთივე რწმენა შერჩა თავისი სატროფოსი, როგორც აქამდე ჰქონდა.

– ერთი მითხარი, რა დაემართა შენს სამ მეგობარს? – იკითხა ვაჩემ.

– ეჰ... მეგობრები გზაში დავტოვე. ტარო მცხეთაში უნდა შებრძოლებოდა ვილაცას; მხარში ისრით დაჭრილი ამო გორთან დარჩა; სურამში კი ავთოს ცილი დასწამეს, ყალბი ფულის მჭრელი ხარო.

– მე რომ შენს ადგილას ვიყო, ავდგებოდი და... დღესვე ტფილისიდან ნავიდოდი. ალბათ ჯერ აქ დაგინყებენ ძებნას. შენ კი იმერეთისაკენ ნადი ჩუმად, არ გინდა ბუკი და ნალარა. ნადი და ნახე, სად არიან შენი მეგობრები!

– მართალსა ბრძანებთ, ხვალვე წავალ.

– ხვალვე? რატომ ამ სალამოსვე არა?

– ამ სალამოს ტფილისში აუცილებელი საქმე მაქვს.

– ოჰ, ეს ყმანვილკაცობა! გიყვართ ვინმე? ფრთხილად იყავით. ქაღმა დალუპა ყველა კაცი, მომავალშიც მათ ცბიერებას არავინ გადაურჩება. ამ სალამოსვე ნადი აქედან! ფული ხომ არ გინდა?

– არა, მაქვს.

– მაშ, გზა მშვიდობისა.

ქუჯი გამოეთხოვა ვაჩე ჩიქვანს. მან დღეს უფრო მეტად, ვიდრე აქამდე, იგრძნო ამ კაცის გულითადი, მამობრივი თანადგომა თავისი მონასპელებისადმი. ქუჯიმ თავისი მეგობრების სახლებს ჩამოუარა. იგი ჯერ ავთოს სახლში მივიდა, შემდეგ ტაროსთან, ბოლოს ამოსთან. სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი ჯერ არ დაბრუნებულყო. მათი მსახურებიც არ ჩანდნენ. ქუჯიმ ავაგ არტანუჯელის რაზმელების სადგომთან გავლისას თავლაში შეიხედა, სადაც ცხენები უკვე მოეყვანათ. ბუჭყუა მათ გასუფთავება-მოვლას გულმოდგინედ ცდილობდა.

– ბატონო! მაშ, არ აპირებთ ამლამინდელი გასეირნების გადადებას?

– პირიქით, ბუჭყუე. ჯავრი მჭირს ვარდანის და მით უფრო სიამოვნებით წავალ იმ წერილით დანიშნულ ადგილზე.

– რაკი გადაგინყვეტიათ, ბატონო...

– აუცილებლად, ჩემო მეგობარო, და მზად იყავი, აქვე დარჩი, ამ თავლასთან გამოგივლი მე.



– თაზი 11 –

შებინდებისას ქუჯი ავგა არტანუჯელის რაზმელების თავლასთან მივიდა. მას იქ დახვდა წასასვლელად გამზადებული ბუჭუკა, რომელსაც თავისი კონდახიანი მშვილდი მხარზე ეკიდა, ხოლო მოკლე სატყევი ნელზე შემოერთდა. ბატონმა და მსახურმა ცხენები გამოიყვანეს, შესხდნენ და გზას გაუდგნენ. ბუჭუკა ათი ნაბიჯის დაშორებით მისდევდა თავის ბატონს. მათ სანაპიროს ქუჩა გადაჭრეს, კახეთის ჭიშკრიდან გავიდნენ და მარტყოფისაკენ მიმავალ გზას გაჰყვნენ. ვიდრე ქალაქში იყვნენ, ბუჭუკა მორიდებით იცავდა მსახურსა და ბატონს შორის მანძილს, მაგრამ რაკი ნახა, რომ აღარავინ ჩანდა და კარგადაც ჩამობნელდა, თავის ბატონს მიუახლოვდა. მარტყოფის ტყეში მათი ცხენები უკვე ერთად მიემართებოდნენ. ხეების იდუმალი რხევა-შრიალი და მთვარის შუქის ანარეკლი აფრთხობდა ბუჭუკას. ქუჯიმ მსახურის ეს შიში შენიშნა.

– ჰა, ბუჭუკ, რა დაგემართა? გეშინია? – იკითხა ლიმილით ქუჯიმ.

– მეშინია, რომ შეიძლება ვინმე ყურს გვიგდებდეს...

– ბუჭუკ, მხდალი ხარ?

– არა, ბატონო, ერთმანეთში ნუ ავურევთ სიფრთხილეს და სიმხდალეს!

– თუ შემაშინებს რამე, ისევე ამ რეგვენის შიში, – ნაიდუდუნა ქუჯიმ, რომელსაც მოაგონდა ვაჩეს გაფრთხილება და ცხენს მათრახი გადაჰკრა. ბუჭუკამაც თავისი ბატონის მოძრაობა გაიმეორა და უკან არ ჩამორჩა.

– ასე უნდა ვიაროთ მთელი ღამე? – იკითხა ბუჭუკამ.

– არა, ბუჭუკ, შენ უკვე მოხვედი. მე კი კიდევ პატარა გზა დამრჩა ფეხით გასავლელი.

– მარტო მტოვებთ, ბატონო?

– გეშინია, ბუჭუკ?

– არ მეშინია, მაგრამ ღამე ცივი იქნება და გარეთ დგომით გავცივდები.



– თუ შეგცეცია, ჩემო ბუჭუკ, აგერ, დუქანია, შედი და ხვალ დილაზე იქ მომიცადე. აი, აილე ციტაოდენი ფული. მაშ, ხვალამდის.

ქუჯი ჩამოხტა ცხენიდან, ალვრი ბუჭუკას გადასცა, წამოსასხამში გაეხვია და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

– უჰ, როგორ ცეცია! – წამოიძახა ბუჭუკამ, როგორც კი ქუჯი თვალს მოეფარა. მალევე მან დუქანში, ბუხრის პირას ამოყო თავი.

ქუჯი საცალფეხო ბილიკით სოფელ მარტყოფის გარეუბნამდე მივიდა. აქ უკან მოუარა მონასტრის გალავანს და ერთ პატარა ქუჩაზე აღმოჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ წერილში აღნიშნული განცალკევებული სახლის პირდაპირ გაჩერდა. სახლს გარშემო დაბურული ბალი ერტყა. ბალის სიღრმეში მცირე ქოხი მოჩანდა.

ქუჯი დანიშნულ ადგილამდე მივიდა და ლოდინი დაიწყო. არავითარი ხმაური არ არღვევდა მყუდროებას. იქაურობა იდუმალად მდუმარე იყო. ყმანვილი კაცის გულს სიხარულით ავსებდა ნეტარების ჟამის მოახლოების ყოველი წამი. იგი თვალს არ ამორებდა ხის სახლს, რომლის ფანჯრებიც, ერთის გარდა, ჩაბნელებული იყო. ამ ერთი ფანჯრიდან საამო სინათლე გამოსჭვიოდა, რომელიც მოვერცხლისფრო ელფერს აძლევდა ბაღში მდგარ კაკლის ხის ფოთლებს. ალბათ ამ ფანჯრის მიღმა, განათებულ ოთახში იჯდა მისი შუშანა და მას ელოდა.

უეცრად ქუჯის ჟრუანტელმა დაუარა და გაიფიქრა, იქნებ კარგად ვერ წავიკითხე წერილი და რამე შემეშალაო. ამიტომ ფანჯარას მიუახლოვდა და იქიდან გამოსული სინათლის შუქზე ბარათი კიდევ ერთხელ გადაიკითხა. ქუჯის გარშემო გამეფებულმა სიჩუმემ და მარტობამ სულიერი სიმშვიდე დააკარგვინა. იგი შიშმა შეიპყრო, შუშანას ავიხომ არაფერი დაემართაო? კაკლის ხესთან მივიდა და იფიქრა, რომ თუკი ამ ხეზე აძვრებოდა, იქიდან მთელ ოთახს დაინახავდა. ქუჯი თვალის დახამხამებაში კაკლის ხეზე აძვრა. აქედან მან შეძლო ოთახის ყველა კუნჭულის დანახვა. ოთახში საშინელი არეულობა სუფევდა. ფანჯრის მინა ჩამსხვრეული, ოთახის კარი ჩამოვარდნილი, მაგიდა გადაბრუნებული იყო. სავახშმოდ მომზადებული საჭმელ-სასმელი იატაკზე ეყარა. ყველაფერი ამტკიცებდა, რომ ეს ოთახი წინააღმდეგობრივი დაპირისპირების ადგილი უნდა ყოფილიყო. ქუჯი დაბლა საჩქაროდ ჩამოხტა და კედელს გაუყვა. მან ახლა შეამჩნია, რომ ფანჯარასთან, აჩიქნილ მინაზე, ადამიანისა და ცხენის ნაფეხურები ერთმანეთში იყო აზელილი. აქვე, რბილ მინაში, ეტლის თვლების კვალიც შეამჩნია. რაც უფრო განაგრძობდა კვლევას, მით უფრო გულს ტკენდა საზიზღარი უბედურების მოლოდინი.

ექვე აღარ იყო, უბედურება დაატყდა ქალბატონ შუშანას. ქუჯი ისევ სახლისაკენ წავიდა სირბილით, მაგრამ ამოდ. გარემო კვლავ მიყრუებული იყო. მას უცბად მოაგონდა ის მიყრუებული ქოხი, საიდანაც შესაძლოა დაენახათ ყოველივე ის, რაც აქ მოხდა. ლობეზე გადახტა და მიუხედავად იქვე, ხის ქვეშ დაბმული ნაგაზის ყველისა, ქოხთან მიიჭრა და კარზე დააბრაზუნა. სამარისებური დუმილი გამეფებულიყო ქოხში და ხმა არავინ გასცა. ეს ქოხი მისი უკანასკნელი იმედი იყო. უეცრად შიშნარევი ჩუმი ხმა მოესმა შიგნიდან. მაშინ ქუჯიმ ხვეწნა დაიწყო, კარი გამოიღეთო. ბოლოს დარაბა ოდნავ შეაღეს, მაგრამ იმნამსვე მოხურეს. მაგრამ ქუჯიმ მაინც მოასწრო და თვალი მოჰკრა მოხუცებულს.

– მითხარით, ღვთის გულისათვის! აქ რაიმე უბედურება ხომ არ მომხდარა?

შეცბუნებულმა მოხუცმა დარაბა ნელა გააღო და თავი გამოყო. ქუჯიმ მას გულწრფელად უამბო თავისი ამბავი. არ დაუმალა, რომ ამ სახლში ახალგაზრდა ქალს უნდა შეხვედროდა. მოხუცებულმა მოუსმინა, ხოლო როდესაც ქუჯი დადუმდა, უნუგეშო სახით დალუნა თავი.

– მიაბზეთ, რა მოხდა იმ სახლში? პატიოსანი კაცის სიტყვას გაძღვეთ, რომ თქვენი ნათქვამი არსად წამომცდება, – ხვეწნობდა ქუჯი.

– ღამით ქუჩიდან ხმაური შემომესმა. გასახედად კარი გამოვალე. ბნელში ეტლი მოჩანდა. იქით შეიარაღებული, მხედრულად გამონყობილი კაცები იდგნენ. მათ კიბე მთხოვეს და თან დამემუქრნენ: თუ სიტყვა წამოგცდება იმაზე, რასაც ნახავ, ცოცხალს არ დაგტოვებთო. მერე ეტლიდან ტანდაბალი, სქელი, ხანშიშესული კაცი გამმოიყვანეს. იგი ფრთხილად აძვრა კიბეზე და ფანჯარაში შეიხედა. მან ჩუმი ხმით თქვა – ის არის! შემდეგ შეიარაღებული მხედრები სახლში შეცვივდნენ... უცბად იმ ოთახიდან ქალის კივილი გაისმა, რომელიც შველას ითხოვდა. ქალი, ეტლში ძალად ჩასვეს, მასთანვე ჩაჯდა დაბალი ტანის ბებერი. ეტლი დაიძრა და მთელი სისწრაფით წავიდა.

ქუჯიზე ამ მონაცემმა საშინლად იმოქმედა. იგი ეჭვმა შეიპყრო.

– ნუ ნუხხართ, ბატონო, ის ქალი ცოცხალი წაიყვანეს, – განაგრძო მოხუცმა.

– ვინ უფროსობდა ამ ძალმომრეობას? – იკითხა ქუჯიმ.

– იგი ტანადი, შავგვრემანი, შავ წვერ-ულვაშა და სახეზე მცირე ნაიარევიანი იყო; დიდებულს ჩამოჰგავდა.

– ის არის! – შეჰყვირა გულმოკლულმა ქუჯიმ და წავიდა. იგი თან ფიქრობდა, შეიძლება ის ქალი შუშანა არც კი იყოო; იმედოვნებდა, რომ

თავის სატრფოს ხვალ უვნებელს ნახავდა. ეჰ, ნეტავი მეგობრები აქ მყოლოდნენ, ინატრა.

შუალამე იდგა. ქუჯის ბუჭუკასთვის ნაბრძანები ჰქონდა, დილას დუქნის კართან დახვედროდა, მანამდე კი სრული უფლება ჰქონდა მის მსახურს იქ ყოფილიყო, სადაც მოისურვებდა. ქუჯი დუქანში შევიდა, ერთი დოქი ქინძმარაულის ღვინო მოითხოვა და ბნელ კუთხეში მიჯდა. მას არ უნდოდა, რომ ეჭვის თვალით შემოეხედა ვინმეს, ამიტომ იძულებული გახდა, თავის კუთხეში მოსასვენებლად მოწყობილიყო და დილამდე გამოეძინა.

მამლის ყვივლზე ქუჯის გამოეღვიძა იმ უქეიფობით, რომელიც ცუდად გატარებული ღამის შემდეგ თან მოაქვს გათენებას. მან ხმალ-ხანჯალი და ტანისამოსი გაისწორა, შესმული ღვინის ფასი გადაიხადა და ქუჩაში გავიდა. ნესტიანი დილის მოლურჯო ბურუსში ბუჭუკა დაინახა, რომელსაც ხელში შეკაზმული ცხენების აღვირი ეჭირა.

იმის მაგივრად, რომ პირდაპირ შინ მისულიყო, ქუჯი ვაჩე ჩიქვანის სასახლის კართან ჩამოხტა ცხენიდან და აირბინა კიბე. მას გადანყვეტილი ჰქონდა, რაც მოხდა, ყველაფერი ეამბნა. ეჭვი არა ჰქონდა, კარგ რჩევას მიიღებდა ბატონი ვაჩესაგან ამ საქმის გასარკვევად. ვაჩემ ყურადღებით მოისმინა ყმანვილი კაცის ნაამბობი და როდესაც ქუჯიმ მოყოლა დაამთავრა, უთხრა:

- ეჰ, დავით ვეზირის სუნი უდის მაგ საქმეს.
- რა ვქნა, რა ვიღონო?
- არაფერი... ამჟამად, როგორც გითხარი, ნადი ტფილისიდან რაც შეიძლება მალე. მე კი ვეცდები, რომ რაიმე გავარკვიო ამ საქმის... ჩემი იმედი გქონდეს.

ქუჯი გულითადი მადლობით გამოეთხოვა ვაჩე ჩიქვანს. მეტად დავალებული იყო მისგან წარსულში და გრძნობდა, რომ დავალებული იქნებოდა მომავალშიც. თავის მხრივ, სახელოვან მეთაურსაც ძალიან მოსწონდა ეს ყმანვილი კაცი, ასე ყოჩალი და გამბედავი. ქუჯის გადანყვეტილი ჰქონდა, დაუყოვნებლივ აესრულებინა ბატონი ვაჩეს რჩევა, და თავისი სახლისკენ გაეშურა სამგზავრო ბარგის ჩასალაგებლად.

ქუჯიმ სახლის კართან ვარდანი დაინახა, რომელსაც რალაც ფარული ვერაგობა ემჩნეოდა სახეზე. ზიზლი მოერიო, უნდოდა ისე გაეგლო, რომ ხმა არ გაეცა, მაგრამ ვარდანი გამოელაპარაკა.

- ეროჰა! კაცო..., ღამე სად ბრძანდებოდით? დილით მოდიხართ?

– თუ კაცს ცოლი ლამაზი და თანაც ახალგაზრდა ჰყავს, სხვაგან არ დაინწყებს ბედნიერების ძებნას. ასე არაა, ბატონო ვარდან?

ამ სიტყვებზე ვარდანს ფერი ეცვალა და გესლიანად გაიღიმა.

– უჰ... როგორ ოხუნჯობთ! კარგია..., მაგრამ მაინც ნუხელ რა ტალახიან ადგილას იყავით ?

ქუჯიმი ტალახ მოცხებულ ჩექმებზე დაიხედა. მაგრამ, უმალ ვარდანის ნაღებსაც მოჰკრა თვალი. ორივე ფეხსაცმელი ერთნაირი ტალახით იყო მოსვრილი. ქუჯიმი ანაზდად გაიფიქრა, რომ ბოზარჯიანი უნდა ყოფილიყო ის ხანშიშესული, სქელი კაცუნა, რომელსაც შუშანას მოსატაცებლად მისული მხედრები იყენებდნენ. ქმრის მინიშნებით მოხდა ცოლის მოტაცება. ქუჯის ბრაზი მოერია, მაგრამ გონივრულად თავი შეიკავა.

– კარგად კი ენამახვილობთ, – უპასუხა ქუჯიმი, – მაგრამ ჩემს ფეხსაცმელს რომ ხედავთ, თქვენსას ველარ ამჩნევთ? თქვენც ჩემსავით დაყიადლობდით სადღაც ტალახში? ჰოჰ, იცოდეთ, არ ეპატიება ეგ ყიადლი თქვენი ხნის კაცს, მეტადრე ისეთი მშვენიერი ცოლის პატრონს, როგორიც ქალბატონი შუშანაა.

– ეჰ, კარგით ერთი! – შეჰყვირა ვარდანმა, – საგარეჯოში ვიყავი გუშინ, მინდოდა ცნობები შემეგებოდა ერთი გოგოს შესახებ, მოახლე უნდა შემოვიყვანო სახლში, თორემ მე ველარ ავუდივარ საქმეს.

საგარეჯოს დასახელებით ვარდანმა ახალი საბუთი გაუჩინა ქუჯის მისი ეჭვის გამართლებისათვის. საგარეჯო იმიტომ დაასახელა, რომ იგი მარტყოფის იქით იყო. „მაშ, თვითონ ვარდანიც ნუხელ იქ ყოფილა“, გაიფიქრა ქუჯიმი.

კიბის ბოლოში ქუჯის გაშტერებული ბუჭუკა დახვდა.

– უჰ, ბატონო, ვერ გამოიცნობთ, ვინ იყო აქ თქვენს სანახავად, მანამ თქვენ შინ არ ბრძანდებოდით!

– ვინ იყო?!

– ბატონი ბოცო არჯევანი. დავით ვეზირის სპეციალური რაზმის ასისტავი. დიდვეზირის გამოეგზავნა თქვენ წასაყვანად. როგორც თქვა: მოახსენე შენს ბატონს, რომ ძალიან კარგი თვალით უყურებს მას დიდვეზირი და შეიძლება, ამ შეხვედრაზე იყოს დამოკიდებული ქუჯიგორგის ბედნიერებაო. სად არისო? ვუპასუხე, ნუხელ სალამოს რაჭაში, უწერაში წავიდა-თქო, ბატონო.

– ყოჩაღ, ბუჭუკ! – შეანწყვტინა ქუჯიმი, – ახლავე მივდივართ.

– მეც სწორედ ეგ მინდოდა თქვენთვის მერჩია.

– შენ ხომ რაჭაში გამგზავნენ, უწერაში წავიდაო, ჰო და წავიდეთ. მი-  
თხარი, შენ არ გეჩქარება გაიგო, როგორ არიან ნასყიდა, ბოჩია და  
ლეთისო? მე კი ძალიან მომენატრა ჩემი მეგობრები, ავთო, ტარო და ამო!  
– მზად გახლავარ! თუნდაც ამწუთს, ვგონებ, მინდორ-ველების ჰაერი  
უფრო მოგვიხდება, ვიდრე ტფილისისა... – გაუხარდა ბუჭუკას.  
– ისე რომ, ბუჭუკ, ბარგი ჩაალაგე და წავიდეთ. მე წინ წავალ ფეხით.  
ხელებს ჯიბეში ჩავინყოფ და გავისეირნებ, რომ ეჭვი არავინ აილოს. შენ  
ავაგ არტანუჯელის რაზმის სადგომთან მნახავ.

შეთანხმების თანახმად, პირველად ქუჯი გავიდა სახლიდან და შე-  
ფიცული მეგობრების სახლები ჩამოიარა. არავითარი ახალი ამბავი არ  
მოსვლოდათ მეზობლებს, მხოლოდ ერთი, სურნელებით გაჟღენთილი  
წერილი მოსულიყო ამოს მისამართზე. ეს ბარათი ქუჯიმ ჯიბეში ჩაი-  
დო. მალე ბუჭუკაც რაზმელთა თავლაში მივიდა, სადაც თავისი ბატონი  
დახვდა. მათ ცხენები შეკაზმეს და მარდად მოახტნენ; თან კიდევ სამი  
ცხენი გაიყოლეს.

ორივე გავიდა რაზმელების სადგომიდან, ქუჩის ერთ მხარეს ერთი  
წავიდა, მეორე მხარეს – მეორე. ერთი მტკვრის გაღმა სადარაჯო კა-  
რით უნდა გასულიყო ტფილისიდან, მეორე – დიღმის სადარაჯო კარით.  
დიღომში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ეს ერთგვარი ხერხი იყო,  
რომელიც ზუსტად შეასრულეს. ქუჯი და ბუჭუკა ერთმანეთს შეხვდნენ  
დიღომში და გზა მცხეთისაკენ განაგრძეს. ეს ორი მხედარი მშვიდო-  
ბიანად მივიდა მცხეთაში. ისინი იმ სასტუმროში ჩამოხტნენ, რომელ-  
შიც თავიანთი პირველი მგზავრობის დროს შეისვენეს ქუჯიმ და მისმა  
მეგობრებმა. სასტუმროს პატრონმა დაინახა თუ არა ძვირფასად შეკა-  
ზმულ ცხენზე მჯდომი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც უკან მსახური  
მოსდევდა, წინ მიეგება. ქუჯიმ ცხენები მსახურს მიანდო და თვითონ  
განცალკევებულ ოთახში შევიდა. მან ერთი დოქი ატენური მოითხოვა  
და ამ ღვინის შესაფერი საუზმე. ღვინო და საუზმე სწრაფად მიართვეს.  
სასტუმროს მეპატრონე სტუმარს თვითონ ემსახურებოდა. ქუჯიმ ერ-  
თის მაგივრად ორი სასმისი მოატანინა და ბაასი გააბა მასპინძელთან.  
– ჩემო მასპინძელო, რა გითხრათ, იცით?! – მიმართა ქუჯიმ და ორივე  
სასმისი ღვინით შეავსო, – მარტო როცა ვარ, ღვინო ყელში არ გადამ-  
დის, ამიტომ თქვენც ჩემთან ერთად უნდა გადაკრათ. აბა, აიღეთ ეს  
ჭიქა და შევსვათ. ეს ამ ადგილს და თქვენს სასტუმროს გაუმარჯოს!  
– დიდად გმადლობთ მაგ სადღეგრძელოსათვის. მე მგონია, რომ პირვე-  
ლად არ გხედავთ ჩემს სასტუმროში.

- ჰოჰ, სულ ცოტა, ოცჯერ მაინც გამივილია აქ და გამისინჯავს თქვენი ღვინის გემო. ამას წინათაც ვიყავი აქ, ჩემს მეგობრებს ვაცილებდი, მონასპელებს, გეხსომებათ, რალა თქმა უნდა, ერთ ჩემს ამხანაგს ჩხუბი მოუვიდა ვილაც უცნობთან...
- დიახ, მართალსა ბრძანებთ, მახსოვს, ბატონი ტარიელი, არა? – უთხრა მასპინძელმა.
- ჰო, სწორედ ეგ არის, მითხარით, თუ იცით რაიმე, ჩემო ძვირფასო მასპინძელო, უბედურება ხომ არ მოუვიდა? აქ დარჩა, დაგვპირდა, დაგენვეითო და აღარ გამოჩენილა.
- პატივი დაგვდო და ჩვენთან დარჩა, ბატონო, ჩემს სასტუმროში... და ძალიან გვეშინია...
- რისა გეშინიათ?
- მისი ბლომად დანახარჯისა.
- მერე რა? როგორც ხარჯავს, ისე გაგისწორდებათ.
- აჰ, ძალიან ბევრი ვალი ადევს. მისი დასტაქარი დაგვემუქრა, რომ თუ დაჭრილმა არ გადამიხადა გასამრჯელო, თქვენ გადაგახდევინებთო.
- ტარო დაჭრილია?
- მაგას ვერ მოგახსენებთ, რადგან ბატონი ტარო დაგვემუქრა, არაფერი წამოაყრანტალოთ ჩემი ჭრილობის შესახებო.
- ტარო სად ვნახო? შეუტია ქუჯიმ.
- ბატონო! მეორე სართულზე აბრძანდით და პირველივე კარზე დააკაკუნეთ. ეჰ, მე და ბატონი ტარო ვერ შევთანხმებულვართ დანახარჯის გადახდაზე. ამიტომ ვთხოვე, იქნება კეთილი ინებოთ და სხვა სასტუმროში გადაბრძანდეთ-მეთქი. მაგრამ ბატონმა ტარიელმა ბრძანა, მე აქ მსურს დარჩენაო. ვიფიქრე, ოთახს მაინც გამოვუცვლი-მეთქი, მაგრამ აქაც ვერას გავხდი. მიპასუხა, მალე ჩემს საყვარელს ველი, დიდებულ გვარიშვილს და ახალი პატარა ოთახი ამ ქალბატონისთვის შეუფერებელი იქნებაო.
- ტარო გადაგიხდით, რაც დახარჯა. ერთი დიდებული ქალბატონი ჰყავს მფარველად და ის დაეხმარება. ან რა უნდა ემართოს იმდენი, რომ...
- ვნახოთ! – თქვა ეჭვით სასტუმროს პატრონმა, – ვერ გამიბედავს, მოგახსენოთ, რასაც ვფიქრობ იმ დიდებული მფარველის შესახებ. ბატონმა ტარომ... ერთი წერილი გადმოგვცა იმ დიდებული ქალბატონის სახელზე და გვთხოვა, გაგვეგზავნა. ჯერ მისი მსახური არ მოსულიყო, თვითონ კი ვერ გამოდიოდა ოთახიდან და, თავისდაუნებურად, იძუ-

ლებული იყო, ჩვენთვის გადმოეცა. ვისარგებლე შემთხვევით, ერთი ჩემი მოსამსახურე ბიჭი მიდიოდა ტფილისში და მას გავატანე პირადად გადასაცემად. ის დიდებული ქალბატონი ერთი ბებერი დედაკაცი გახლავთ, მომრიგებელ-მოსამართლის ცოლი, მინადორა. წერილი რომ მიუტანა ჩემმა მოსამსახურემ, მას წაუკითხავს და ყვირილი დაუწყია: ტარო ქარაფშუტაა, ალბათ ქალს გადაეკიდა სადმე და იმის გამო გდია ხმლით დაჭრილი! იმ დიდებულ ქალბატონს დაბეჯითებით უთქვამს, დავიღალე ფულის ძლევით და ტაროს ამდენი ლალატიით... მე იმას აღარაფერს გავუგზავნიო. ბატონი ტარო მეტად ამაყი კაცი ბრძანდება... იგი ცდილობს, რომ არავინ არ გაიგოს მისი დაჭრის ამბავი.

– მამ, ხმლით არის დაჭრილი და ამიტომ წევს ლოგინში? თქვენ ხომ იქ იყავით ბრძოლის დროს? მომიყევით, შეტაკება როგორ მოხდა?

– ოჰ, მათ ხმლები იშიშვლეს და ეტაკენ ერთმანეთს. უცხომ ხმალი აიქნია და ცრუ მოძრაობა გააკეთა, მოსაგერიებლად ტარომ ხმალი დაახვედრა, ამასობაში უცნობმა მარცხენა მხარეს, გულთან, ხმალი მოხერხებულად ჩასცა. თქვენი მეგობარი გულალმა დაემხო. მოპირდაპირემ კი ყელზე დააბჯინა ხმალი. ტარომ დამარცხება აღიარა. მაშინ უცნობმა სახელი ჰკითხა და რაკი გაიგო, რომ ქუჯი-გიორგი არ იყო, ხელი გაუნოდა და დაეხმარა.

– ჰოჰ, იმ უცნობ მოგზავნილს ქუჯის მოკვლა უნდოდა? მერე იგი სად გაქრა?

– არ ვიცი, ბატონო, იმ დღეს ეს უცნობი პირველად ვნახე.

– კარგი, გავიგე, რისი გაგებაც მინდოდა, ჰო, როგორა თქვით? ტარო მეორე სართულზეაო?

ამ სიტყვით გამოეთხოვა ქუჯი სასტუმროს პატრონს. მან კიბე აიარა, შევიდა დერეფანში და პირველივე კარზე დააკაკუნა. შიგნიდან გამოსცახეს, მობრძანდითო, შეალო კარი და შევიდა. ტარო ლოგინში იწვა და ბოჩიას ნარდს ეთამაშებოდა. ბუხარში ცეცხლი ენთო და ზედადგარზე ორი ქვაბი თუხთუხებდა, რომლებიც საკმაზის სურნელებით ავსებდა იქაურობას. ტარომ მეგობრის დანახვაზე სიხარულით შეჰყვირა. ბოჩია მაშინვე წამოდგა და მოწინებით დაუთმო თავისი სკამი ქუჯის, ხოლო თვითონ ქვაბებისაკენ გაემურა. მას ეტყობოდა, რომ გაფაციცებული ყურადღებით ცდილობდა მზარეულობას.

– ოჰ, მადლობა უფალს! გამიხარდა თქვენი მოსვლა. იცი, რა დამემართა? – ერთგვარი შენუხებით მიმართა ტარომ ქუჯის.

– არ ვიცი! ვიკითხე, სად არის ბატონი ტარო-მეთქი და პირდაპირ აქ ამოვედი. რა დაგემართა? არ უნდა მითხრა, ჩემო ძვირფასო ტარო?

– ის დამემართა, რომ სამჯერ დავჭერი ჩემი მოპირდაპირე, მაგრამ ბოლოს უეცრად ფეხი გადამიტრიალდა და ვიღრძე. იმ ლაჩრის ბედი, თორემ ცოცხალი ვერ დამისხლტებოდა! მერე გაიქცა... ოჰ, კიდევ რამდენიმე დღე და წამოვდგები. ჰო, ახლა შენი ამბავი მითხარი, ძამიკო.

– ნაღძობი ფეხით ლოგინში წევხარ, რატომ ტფილისში არ გადახვედი? ალბათ ეს მარტოობაც მოგწყინდა... – თქვა ქუჯიმი.

– მართლაც, ძალიან მონყენილი ვიყავი. გასართობად ერთი მგზავრი მოვიწვიე და კამათლის თამაში დავინყეთ. ეჰ, ბედი, წარმოიდგინე, მთელი ფული ჩემიდან სულ მის ჯიბეში გადავიდა.

– რას იზამ, ჩემო კეთილო ტარო, ხომ არ შეიძლება ყველაფერში გაუმართლოს ბედმა ადამიანს? გეცოდინებათ ანდაზა „კამათელში უბედურრო, ქალებში კი ბედნიერო“. ეჰ, შენსავით მწყალობდეს დიდებული ქალბატონი და ნაგებულ ფულს ვჩიოდე?

– ჩემო ქუჯი! ბედმა მიმტყუნა, ფეხი გადამიბრუნდა, – უპასუხა ტარომ ისეთი იერით, თითქოს თავის დღეში არ ეთქვას ტყუილი, – კი, მივწერე იმ ქალბატონს, რომ ჩემთვის ცოტა ფული მოეშველებინა, რადგან გაჭირვებულად ვიყავი, მაგრამ... არ მიპასუხა. ჩემო ქუჯი, ახლა შენზე ვილაპარაკოთ. მართალი გითხრა, ძალიან მანუხებდა შენი ამბის უცოდინარობა...

– გაჭირვებას იძახი და მე მგონი კარგად კი გამარაგებენ, ჩემო ტარო, – უთხრა ქუჯიმი და მწოლიარეს მოთუხთუხე ქვაბებზე და სხვა სანოვაგეზე მიუთითა.

– კარგი ერთი! – უპასუხა ტარომ, – სულ დანახარჯის ანაზღაურებას მთხოვენ... ამ ნაღძობმა ფეხმა ლოგინს მიმაჯაჭვა. ბოჩია დაყიანობს და საქმელ-სასმელი შემოაქვს. ბოჩია! – მიმართა ტარომ თავის მსახურს, – ხომ ხედავ, რომ მაშველი გველირსა!

– ბოჩი, – მიმართა სიცილით ქუჯიმი, – პატარა მსახურება უნდა გამიწიო!

– მიბრძანეთ, ბატონო.

– გთხოვ, ბუჭუკასაც ასწავლე შენნაირი ქცევა, შეიძლება მეც ჩავვარდე ასეთ გაჭირვებაში და მემამება, თუ ისიც ისე მოიქცევა, როგორც შენ უვლი შენს ბატონს.

– ოჰ, უფალო...! მაგაზე ადვილი რა არის. კაცი მოხერხებული უნდა იყოს. მე, ბატონო, კახეთის სოფელში გავიზარდე და ეს ყოველივე კარგმა მონადირე მამაჩემმა მასწავლა. მას ისეთი ხელობა ჰქონდა, რომ მე შემოსავლიანად მიმარჩნდა.



– ვაჰ, რა ხელობა?

– ეს ის დრო იყო, როდესაც გაცხარებული ომები იყო ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის პალესტინაში და აქაც. მამაჩემი ხედავდა, რომ ღმერთის სადიდებლად ქრისტიანები მუსლიმებს, ხოლო მუსლიმები ქრისტიანებს უღვტდნენ... მაშინ მამამ ორივე სარწმუნოება აღიარა და ხან ქრისტიანი იყო და ხანაც მუსლიმი. იგი მშვილდ-ისარს აიღებდა და გზისპირას დასკუპდებოდა; თუ მარტოდ მიმავალ ქრისტიანს დაინახავდა, მასში მუსლიმური სული იღვიძებდა. იგი მშვილდს მოზიდავდა და უმიზნებდა მომავალ ქრისტიანს, შემდეგ შეელაპარაკებოდა და ეს ლაპარაკი ყოველთვის იმით თავდებოდა, რომ ქრისტიანი მგზავრი სიცოცხლის შესანარჩუნებლად მამას თავის ქისას უტოვებდა. ჰო... თუკი მუსლიმი იყო მგზავრი, მაშინ მამას ქრისტიანული რწმენა მოეძალებოდა და ახლა მუსლიმს ძარცვავდა. მამაჩემმა შვილებიც ასე გაგვზარდა: მე ქრისტიანი ვახლავართ, ხოლო ჩემი ძმა მუსლიმია.

– მერე, რა მოხდა ამ ბრძენკაცის ცხოვრებაში? – იკითხა ქუჯიმ.

– ოჰ, უბედურება, ბატონო! სანყალი მამა ერთხელ გზაზე ქრისტიანმა და მუსლიმმაც იცნეს, რადგან ორივე ადრე გაეძარცვა. ისინი გაერთიანდნენ სამაგიეროს გადასახდელად და სანყალი მამაჩემი ხეზე ჩამოკიდეს. შემდეგ დუქანში შემოვიდნენ და თავის ქება დაიწყეს ამ ამბის გამო. მე და ჩემი ძმაც იმ დროს იქ აღმოვჩნდით.

– მერე რა ჰქენით?

– იქ ხმა არ ამოგვიღია, ხოლო დუქნიდან გზაზე რომ გავიდნენ, ჩემი ძმა გაიქცა და ქრისტიანს ჩაუსაფრდა, მე კი მუსლიმს. შემდეგ ორთავე დავხოცეთ და თან ვადიდებდით შორსმჭვრეტელ სანყალ მამაჩვენს, რომელმაც სხვადასხვა სარწმუნოების თაყვანისმცემლებლად აღგვზარდა შვილები, – მიუგო ბოჩიამ.

– მართლაც გონიერი კაცი ყოფილა მამათქვენი. ჰო, როგორა თქვი? მამას როცა საქმე შემოაკლდებოდა, სანადიროდ სხვის ტყეში შეიპარებოდა ხოლმეო?

– დიახ, ცხონებულმა მეც მასწავლა ტყეში მახის დაგება და მდინარეზე თევზაობა. ჰოდა, მეც გამოვიყენე ეს გამოცდილება და როცა დავრწმუნდი, რომ სასტუმროს პატრონი უგემური ხორცის მეტს აღარას გვაჭმევდა, ავდექი და ნაცნობ ხელობას მივმართე. სამეფო ტყეში დავდივარ სასეირნოდ და ხან მახეს ვაგებ, ხან კი ტბაზე ვთევზაობ. ასე რომ, ახლა სანოვაგე თავზე საყრელი გვაქვს.

– მაგრამ, ეს ამდენი ღვინო?.. – გაიკვირვა ქუჯიმი, – ატენურ ღვინოს სადღა შოულობთ?

– ღვინოს სასტუმროდან ვიღებთ, მაგრამ მათ ეს არ იციან.

– ბოჩია, ჭკუის სასწავლებლად შენთან საუბარი სასარგებლოა. ერთი ამიხსენი...

– ერთხელ ერთ თათარს შევხვდი, რომელსაც მთელი ქვეყნიერება მოე-  
ვლო. მე და ის დავძმობილდით, რადგან ორივეს გაგიჟებით გვიყვარდა  
ნადირობა. იგი მიაშობდა, თუ როგორ ნადირობენ მონღოლეთის მინ-  
დორ-უდაბნოებში, გარეულ ცხენებზე. ისინი გრძელ ჭოკს ბოლოში  
ბანრის მარყუჟს უკეთებენ. შემდეგ ამ ქამანდს პირუტყვს კისერზე  
აცვამენ და მარყუჟიან ჯოხს ექაჩებიან. მისი ნაამბობი მე გამოვიყენე  
და ვარჯიში დავინყე ამ საქმიანობაში. მალე კარგად დავხელოვნდი. ამ  
სასტუმროში ქვემოთ მარანია. მივალ ხოლმე ამ მარნის სარკმელთან;  
შევყოფ ჯოხს და გადავადებ ქამანდს, გამომაქვს მგზავრებისათვის  
გამზადებული ღვინიანი დოქები. ახლა, ბატონო, იქნებ ინებოთ და ქა-  
მანდით მოპოვებული ღვინო დააჭაშნიკოთ?

– ჩემო ბოჩია, ახლა ამდენი ყბედობის შემდეგ გაგვიშალე სუფრა, ქუჯი  
კი თავის თავგადასავალს გვიამბობს, მას შემდეგ, რაც ჩვენ დაგვშორ-  
და.

– სიამოვნებით... – გაიღიმა ქუჯიმი.

სუფრა გაიშალა. ტარო, ქუჯი და ბოჩია ჭამას შეუდგნენ. ტარო ისე  
მადიანად შეექცეოდა, როგორც გამოჯანმრთელებაში შესულ ავად-  
მყოფებს შეჰფერის. ქუჯიმი მოუთხრო, რომ დაჭრილი ამო იძულებული  
იყო გორთან დარჩენილიყო, ხოლო სურამთან ოთხ კაცთან შებრძო-  
ლებული ავთო მიატოვა. უთხრა, რომ ხელცარიელი არ დაბრუნებულა  
ტრაპიზონიდან. მას ოთხი საგანგებოდ შეკაზმული ცხენი უფეშქაშეს,  
რომელთაგან ერთი თავისთვის, ხოლო სამი კი თავისი მეგობრებისა-  
თვის უნდოდა. ტაროსათვის განკუთვნილი ცხენი უკვე სასტუმროს  
თავლაში ება. მალე ბუჭუკაც გამოჩნდა, რომელმაც თავის ბატონს  
მოახსენა, რომ ცხენებმა დაისვენეს და შეიძლებოდა გზის გაგრძელება.

ქუჯის ტაროს დარდი აღარ აწუხებდა. მას ახლა თავისი დანარჩენი  
მეგობრების ამბის გაგება ერქარებოდა. ამიტომ წამოდგა და თავისი  
აჩქარება იმით ახსნა, რომ ავთოს და ამოს საძებნელად მიეშურებოდა.  
ამასთან ისიც უთხრა, დაბრუნებას ამავე გზით ვაპირებ და აქედან ერ-  
თად გავემგზავროთ ტფილისისაკენო. ტარომ უპასუხა, ნაღძობი ფეხი  
საშუალებას არ მომცემს თქვენს დაბრუნებამდე წამოვდგეო. გარდა

ამისა, ჯერჯერობით აქ უნდა დავრჩე და დიდებული ქალბატონის წერილს ველოდო. ქუჯიმ სასურველი პასუხის მალე მიღება უსურვა და ბუჭუკასთან ერთად გზას გაუდგა.

ქუჯიმ ტაროს არაფერი უთხრა მისი ჭრილობისა და ქალბატონი მინადორას შესახებ. იგი ისე იქცეოდა ტაროსთან, თითქოს სრულად სჯეროდა ამაყი და თავმოყვარე მონასპელისა. ფიქრობდა, რომ მეგობრისათვის არ უნდა ეგრძნობინებინა მისი საიდუმლოების ცოდნა.



## – თაზი 12 –

ქუჯი მთელი გზა დაღონებული მოდიოდა. მას თვალწინ ედგა მშვენიერი შუშანა, რომელსაც უნდა შეხვედროდა, მაგრამ... აღონებდა ფიქრი იმაზე, რომ ქალს ალბათ უბედურება შეემთხვა. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საწყალი ქალი დავით ვეზირის მსხვერპლი იყო.

ფიქრებში გართულმა ქუჯიმ ვერც კი შეამჩნია, როგორ გაიარა დარჩენილი მანძილი გორის ციხე-ქალაქამდე. როდესაც ქალაქში შევიდნენ, მალე დაინახეს ის დუქან-სასტუმრო, რომელშიც დაჭრილი ამო დატოვეს. ამჯერად მგზავრები სასტუმროს მეპატრონეს ცოლმა მიიღო. ქუჯიმ თვალი სწრაფად გადაავლო მხიარული სახის, ჩასუქებულ დედაკაცს და მიხვდა, რომ სისულელე იქნებოდა აქ რაიმე სიფრთხილის გამოჩენა. ამიტომ ზრდილობიანად პირდაპირ მიმართა.

– იქნება მითხრათ, რა დაემართა ერთ ჩემს ამხანაგს, რომელიც უნებურად აქ დავტოვეთ?

– ზრდილი და ტანადი, ლამაზი ვაჟკაცი?

– დიახ, სწორედ ის, მხარში დაჭრილი!

– ჰო, მხარში დაჭრილი ჯერაც აქ გახლავთ.

– მაცხოვარს ვფიცავარ! კეთილო ქალბატონო, გამომაცოცხლეთ კაცი! სად არის ჩემი ძვირფასი ამო? ძალიან მეჩქარება ჩემი მეგობრის ნახვა, – უთხრა ქუჯიმ.

– უკაცრავად, არა მგონია, მან ამჟამად თქვენი მიღება მოახერხოს.

– რატომ, ქალი ჰყავს?

– არა, ქალი არავინა ჰყავს, რას ბრძანებთ, საწყალი ყმანვილი...

– მაშ, ვინ ჰყავს?

- ურბნისის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელი.
- ვაიმე, გამიწყრა მაცხოვარი! ცუდადაა, აზიარებენ? – შეჰყვირა ქუჯიმ.
- არა, ბატონო! პირიქით, მაგრამ თავისი ავად ყოფნის გამო ღვთის მადლი მოეფინა და გადანყვიტა, ბერად აღიკვეცოს, მონასტერში შევიდეს.
- ჰოჰ, მართლა, სულ დამავინყდა, რომ იგი მხოლოდ დროებით იყო მონასპელების რაზმში, – თქვა ქუჯიმ.
- ბატონო, მისი ნახვა მაინც გნებავთ?
- უსათუოდ, ახლავე!
- მაშ, მეორე სართულზე, მესამე ოთახში მიბრძანდით.

ქუჯი ამ მიმართულებით წავიდა, მაგრამ ისე ადვილი არ იყო მომავალ ღვთისმსახურთან შესვლა. ამოს ოთახთან ღვთისო ატუზულიყო. ამ სანყალის ოცნებას ყოველთვის ის შეადგენდა, რომ სარწმუნოების მსახური გამხდარიყო. იგი მოუთმენლად ელოდა იმ სანატრელ დროს, როდესაც ამირანი მონასპაში სამსახურს თავს დაანებებდა და ანაფორას მოირგებდა. ღვთისოს სიხარული უსაზღვრო იყო, რადგან ახლა ახლო გახლდათ მიზანთან – მალე მისი ბატონი ბერად აღიკვეცებოდა.

ამო ხორციელად და სულიერადაც იტანჯებოდა. ბოლოს მან სარწმუნოებაზე დაამყარა თავისი იმედები. მაცხოვრის გაფრთხილებად მოეჩვენა თავსდატეხილი ორი უბედურება – ჭრილობა მხარზე და თავისი სატრფოს უეცარი გაუჩინარება.

ღვთისო ეცადა ქუჯი დაერწმუნებინა, რომ კადნიერება იქნებოდა მისი ბატონის შეწუხება, რომელიც დილიდანვე სარწმუნოებრივ საკითხებზე კამათით ბრძანდებოდა გართული. მაგრამ ქუჯიმ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ღვთისოს მჭევრმეტყველებას და ხელის უხეში მოძრაობით თავხედი გვერდზე განია. მან კარი შეაღო და ოთახში შევიდა. შავად შემოსილი ამო მისჯდომოდა მაგიდას, რომელზედაც წიგნები და ხელნაწერები ეწყო. მარჯვნივ ურბნისის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელი, მოძღვარი იაკობი ეჯდა, მარცხნივ კი რუისელი მღვდელი. ფარდები დაშვებული გახლდათ და ოთახს მცირე იდუმალი შუქი ანათებდა. ერისკაცის, მონასპელის იარალი ოთახში აღარ ჩანდა. წინდახედულ ღვთისოს საბრძოლო საჭურველი გადაემალა. მის ბატონს მათ დანახვაზე რომ არ დავიწყებოდა საღვთო წერილი...

კარის გაღების ხმაურზე ამომ წიგნიდან თავი ასწია და ქუჯი დაინახა, მაგრამ ოდიშელი განცვიფრდა, როდესაც მისმა გამოჩენამ მონასპელზე არავითარი აღტაცებული შთაბეჭდილება არ იქონია.

– მაცხოვრის მადლით, ჩემო ქუჯი, გამიხარდა შენი დანახვა, – მიესალმა ამო.

– მეც... თუმცა ჯერ დარწმუნებული არა ვარ, რომ ჩემს ამოს ვხედავ, ალბათ ოთახი ამერია და შემთხვევით ეკლესიის წმინდა მოღვაწესთან მოვხვდი, – მიუგო ქუჯიმ.

– მეგობარო, ერთი მითხარი, რამ აღგიძრა ეგ ეჭვი? – ჰკითხა ამომ.

– იქნებ ხელს გიშლი, ჩემო ძვირფასო ამო, – განაგრძო ქუჯიმ, – იმის მიხედვით, რასაც მე აქ ვხედავ, უნდა ვიგულისხმო, რომ შენს აღსარებას ისმენენ ეს მღვდლები.

– შენ ხელს მიშლი? პირიქით, ჩემო მეგობარო, გეფიცები, რომ არა! ძალიან მიხარია, რომ კვლავ სალსალამათს გხედავ. ჩემმა მეგობარმა ცოტა ხნის წინ დიდ განსაცდელს დააღწია თავი, – განაგრძო ამომ და ღვთის მსახურთ ქუჯიზე ხელით ანიშნა.

– მადლობა მაცხოვარს! – უპასუხა ერთად ორივემ და პირჯვარი გადაიწერეს.

„ჰოჰ, ამო მგონი ჭკუაზე მოდის, კიდევ კარგი, თორემ...“ გაიფიქრა ქუჯიმ.

– სწორედაც დროზე მოხვედი, ჩემო ქუჯი, – მიმართა ამომ, – მონანილეობა მიიღეთ ჩვენს მსჯელობასა და კამათში. გაიცანით, ურბნისის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი, რუისელი ბერმონაზონი და მე ვმსჯელობთ ღვთისმეტყველების ზოგიერთ საკითხზე. ძალიან დაგვავალებ, თუ შენს აზრსაც მოგვაშველებ.

– მხედარი კაცის აზრს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სარწმუნოებისათვის, – უპასუხა ქუჯიმ, რომელიც გრძნობდა, რომ მისთვის არასასიამოვნო მიმართულებას იღებდა ეს საუბარი, – მე მგონია, რომ მავ საკითხების გადასაწყვეტად ამ ღვთისმოსავი მამების აზრიც საკმარისია.

შავით მოსილმა მღვდელმა და რუისელმა ბერმა, ქუჯის თავი თავაზიანად, მდაბლად დაუკრეს.

– პირიქით, – ამო არ დაეთანხმა, – შენი აზრიც დაგვეხმარება. აი, ურბნისის ეკლესიის წინამძღვარი მამა იაკობი იმ შეხედულებისა ბრძანდება, რომ ჩემი ტრაქტატი უნდა იყოს უაღრესად დოგმატური და დიდაქტიკური.

– ტრაქტატი? მაშ, შენ ტრაქტატსა წერ?..

– რა თქმა უნდა! – უპასუხა წინამძღვარმა, – კურთხევის წინ აუცილებელია გამოცდა და საჭიროა გარკვეული თეოლოგიური ტრაქტატის წარმოდგენაც.

– კურთხევა?! – შეჰყვირა ქუჯიმ, რადგან ჯერკიდეც არა სჯეროდა... და გაკვირვებული დააშტერდა ამოს. ამო კი სავარძელში ჩაჯდა, მორჩილი, ღვთისმოსავი სახე მიიღო და უპასუხა.

– ქუჯი! დიახ, როგორც მოისმინე, წინამძღვარს ნებავეს, რომ ჩემი ტრაქტატი იყოს უფრო დოგმატური, მე კი მინდა, ის უფრო იდეალისტური იყოს. ჩემი ნაშრომის ძირითადი დებულებები ჯერ არსად დამუშავებულა. მაგალითად: ორივე ხელით ჯვრის გადაწერა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მღვდლებისათვის, როდესაც მრევლს კურთხევას აძლევენ...

– მშვენიერი დებულებაა! – წამოიძახა აღტაცებულმა მამა იაკობმა.

– მშვენიერი და დოგმატურიც! – კვერი დაუკრა რუისელმა ბერმაც.

ქუჯი კი მათ აღტაცებას სრულიად გულგრილად უდგებოდა.

– კარგია, მშვენიერია! – განაგრძო ამომ, – მაგრამ ეს წმინდა მამათა ცხოვრებისა და საღვთო წერილის ღრმად შესწავლას მოითხოვს. მე კი თავმდაბლად გამოგიტყდებით, რომ მეფის რაზმში სამსახურმა ცოტა დამავინყა ღვთისმეტყველების საფუძვლები. ამიტომ ჩემი არჩეული გზა უფრო შესაფერისად მეჩვენება. ხომ იცით – *სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების*.

ქუჯიმ მეტისმეტად მოინყინა და მთქნარება დაიწყო. ამომ უცბად თვალი გადაავლო თავის მეგობარს და მიმართა რუისელ ბერს:

– მოდით, მხედრისათვის უფრო გასაგები ენით ვილაპარაკოთ და ბატონი ქუჯიც უფრო მეტად დატკბება ჩვენი ბაასით.

– ჰო, გზამ ცოტა დამალა და ვერ მაფხიზლებს ეგ საღვთისმეტყველი საუბრები, – თქვა ქუჯიმ.

– თანახმა გახლავართ, – თქვა რუისელმა ბერმა, – ნულარ გამოვიყენებ ბერძნულ საღვთისმეტყველო რიტორიკას.

– იოვანე ოქროპირი, მონა ღვთისა! გეყურებოდეთ! ორივე ხელით აკურთხებს და მოყვასთ შესთხოვს მკლავები დამოჭირეთო... მაშასადამე, იგი ორივე ხელით აკურთხებს... ორივე ხელებით! – გაიმეორა მღვდელმა და ხელები კურთხევისათვის აღაპყრო.

– ანდრია მოციქული კი, რომლის სულიერი მონაგარიც ჩვენ ვბრძანდებით, პირიქით ბრძანებს: ხელის თითები გამოიშვირეთო! ერთი ხელისო! ახლა ხომ მიხვდით?

– რაღა თქმა უნდა! – მიუგო სიამოვნებით ამომ.

– თითებით! – განაგრძო ურბნისელმა მღვდელმა, – დიახ, წმინდა ანდრია აკურთხებს თითებით. კარგით, მაგრამ რამდენი თითით? სამით? ერთი მამისა, ერთი ძისა და ერთიც სულიწმინდისა.

ყველამ სწრაფად პირჯვარი გადაინერა. ქუჯიმაც მათ მიბაძა.

– მართალი უნდა მოგახსენოთ, – დაიწყო ამომ, – მოხიბლული გახლავართ ჩემი ტრაქტატით. ჩემო ქუჯი, ჩემი მთავარი თეზა ასეთია: „სინანული არ წარყვინის უფლისადმი მიმართვას“.

– შესდექე! – შეჰყვირა რუისელმა ბერმა, – ეგ დათქმა-თეზისი ერესთან გვაახლოებს, თითქმის ასეთივე მოსაზრება აქვს გაბრიელ მიძინებულს, სალოსს, თავის წიგნში, რომელსაც, ადრე იქნება თუ გვიან, დაწვა მოელის. ფრთხილად, თქვენ ურწმუნოებასთან ახლოს დგახართ და თუ გააგრძელებთ, დაიღუპებით უდავოდ!

– სულით ხორცამდე დაიღუპებით! – მიმართა ამოს მეორე სულიერმა მამამაც, რომელმაც სიბრალულით გააქნია თავი და სივრცეში ხელით ჯვარი გამოსახა.

– მომისმინეთ, მამაო, – შეჰბედა ამომ, შეცბუნებულმა.

– ან როგორ დაამტკიცებთ, – განაგრძო რუისელმა, თითქოს არც კი გაეგონა ამოს სიტყვები, – რომ ქვეყანა უნდა ენანებოდეს ადამიანს, როდესაც თავს სწირავს უფალს? ვინც დაინანებს ქვეყნიერებას, ეშმაკს დაინანებს. აი, ჩემი დასკვნა!

– აგრეთვე ჩემიც! – თქვა ურბნელმა მამამ.

– მაგრამ მომისმინეთ... ღვთის გულისათვის, – სთხოვა ამომ.

– ეშმა ენანება! აჰ! – დაიწყო კვნესით რუისელმა ბერმა, – ნუ დაინანებთ ეშმაკს! დაიჯერეთ ღვთისა და ჩემი სიტყვა!

ქუჯი გამომტერებული შეჰყურებდა მათ და შიშობდა თვითონაც არ გაგიჟებულიყო და გადარეულიყო ისე, როგორც ამოს ბრძნულად მოკამათე სტუმრები.

– კარგით, მაგრამ, მომისმინეთ, – დაიწყო ისევ ამომ თავაზიანად, – მე არ ვამბობ, რომ მენანება. არა, მე არასოდეს არ გამოვთქვამ მართლმორწმუნეობის სანინაალმდეგო აზრს... – რუისელმა ხელი ზეცისკენ ალაპყრო, ურბნისელმაც მას მიბაძა.

– კარგით, მაგრამ იმაში მაინც დამეთანხმეთ, რომ უმართებულო იქნება ის შევწროთ ღმერთს, რაც არ გვენანება. განა მართალს არ ვამბობ, ქუჯი?..

– სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებ! – შეჰყვირა უცბად გამორკვეულმა ქუჯიმ. ქუჯის მკვეთრი შეძახილისაგან სულიერი მამები უნებურად თავიანთ სკამებზე შეხტნენ.

– გარდა ამისა, ამ საკითხების შესახებ მცირე ლექსი დაწერე, ბატონ გალაკტიონს გავუგზავნე ჯერ კიდევ შარშან და დიდი ქებაც დავიმსახურე ამ სახელოვანი მგოსნისაგან, – განაგრძო ამომ.

- ლექსი დაწერეთ? - წამოიძახა ზიზლით რუისელმა.
  - ჰო, დაწერეთ? - მექანიკურად გაიმეორა ურბნელმა მამა იაკობმა.
  - წაგვიკითხე ეგ ლექსი! - შესძახა ქუჯიმ, ბაასის თემის შესაცვლელად.
  - არა, ლექსი სარწმუნოებრივია, ეს გახლავთ ღვთისმეტყველება ლექსად, - მიუგო ამომ.
  - აი, დასწყევლოს!.. - უსწრო ენამ ქუჯის.
  - აი, მისმინეთ, - თქვა ამომ თავმდაბლად, - ასე რომ ნანობთ წარსულის ნეტარებას, თვალცრემლიანნი, გულის წამებას; თუ ღმერთს შესწირეთ თქვენი სევდის ცრემლები, ოჰ, უბედურნო!
  - ფრთხილად, ღმერთმა დაგიფაროთ! არა შეიტანოთ რა მდაბიური ღვთისმეტყველურ მაღალ სინმინდემში! ნუთუ არ გახსოვთ, რასა ბრძანებს ნეტარი ავგუსტინე.
  - დიახ, ცხადია! - წამოიძახა ურბნელმა იაკობ მღვდელმა.
  - თქვენი ტრაქტატი თუ ვინმეს მოენონება, ალბათ მხოლოდ ლამაზ ქალბატონებს, - შეაწყვეტინა ურბნელს რუისელმა ბერმა.
  - ინებოს უფალმა! - შეჰყვირა სიამოვნებით ამომ.
  - აი, ხედავთ! - აღშფოთდა რუისელი ბერი, - თქვენ ამქვეყნიურ ცთუვნებას მისდევთ და მეშინია, ვაითუ, უმტყუნოთ თქვენს წადილს.
  - ფიქრი ნუ გაქვთ, კეთილო მამაო, ჩემი თავისა მე ვიცი!
  - ეგეც ამქვეყნიური თვითდაჯერებაა!
  - ვგრძნობ, რომ მოწოდებული ვარ, ეს მსჯელობა ავირჩიო ჩემი შრომის საფუძვლად. კიდევ განვაგრძობ, და მალე სრულიად კმაყოფილი დამრჩებით იმ ცვლილებებით, რომლებსაც თქვენი რჩევისამებრ შევიტან ჩემს ნაშრომში, - თქვა ამომ.
  - ნუ აჩქარდებით, თქვენს ყოფას ყოვლადძლიერი უფალი წარმართავს, - უთხრა ურბნისელმა მღვდელმა.
  - დიახ, ხნული უკვე გავლებულია! - თქვა რუისელმა ბერმა.
  - მაშ, ნახვამდის, შვილო ჩემო, - უთხრა ურბნისელმა იაკობ მღვდელმა.
  - უფლის შეწევნით, ხვალამდე! ცხადად გეტყობათ, ჩვენი ეკლესიის დიდი მადიდებელ-მამუშეებელი იქნებით, - უთხრა რუისელმა ბერმა.
- მოდინებადაკარგული ქუჯი ფრჩხილებს იკვნეტდა. შავით მოსილი რუისელი ბერი და ურბნისელი მღვდელი წამოდგნენ, ამოსა და ქუჯის თავი დაუკრეს და კარისკენ გაემართნენ. ღვთისოც იქვე იდგა და აღტაცებული ისმენდა ამ ღვთისმეტყველთა თეოლოგიურ პაექრობას. იგი მოძღვრებს დიდი პატივისცემით გაუძღვა წინ და თან მოზრდილი ხურჯინით შესაწირიც გაატანა. ამომაც კიბის ბოლომდე მიაცილა სულიერი



მამები და საჩქაროდ ქუჯისთან ამობრუნდა, რომელიც ჯერაც გონზე ვერ მოსულიყო. მარტო დარჩენილი ორი მეგობარი კარგა ხანს დუმდა. ისევ მასპინძელმა ამოიღო პირველად ხმა.

– ჩემო ქუჯი, ხომ ნახე, ისევ ჩემს მრწამსს და გზას ვუბრუნდები.

– დიახ, გღირსებია ღვთის წყალობა, წელანდელი შენი სტუმრების სიტყვით რომ ვთქვა.

– ოჰ, რამდენჯერ გამინდვია შენთვის ჩემი განზრახვა დედა ეკლესიის წიაღში დაბრუნების შესახებ, განა მართალს არ ვამბობ, მეგობარო?

– მართალს ამბობ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მეგონა მეხუმრებოდი.

– ასეთ რამეზე არ ხუმრობენ, ქუჯი!

– რატომაც არა? სიკვდილთან ხუმრობენ და ეს რა გახდა!

– ძალიანაც ცდებიან, სიკვდილი არის კარი, რომელსაც სამოთხისკენ ან ჯოჯოხეთისკენ მიჰყავს ადამიანი.

– თანახმა ვარ, მაგრამ გთხოვ, ნულარ ვიღვთისმეტყველებთ, ჩემო ამო! მე მგონი, დღეისათვის რაც ითქვა, ეგეც საკმარისია და მე კი მთლად გამოვთავყვანდი... გარდა ამისა, გამოგიტყდები, რომ დილის შემდეგ ლუკმა არ ჩამიღია პირში და ისე მშობი, რომ ლამის შევეუკუროთო თქვენს ღვთისმეტყველებას.

– ახლავე სუფრას გავშლით, მაგრამ იმედი მაქვს, გეხსომება, რომ დღეს მარხვას და ხორცის ჭამა კი არა, მისი დანახვაც არ მსურს, თუ ინებებ და დაკმაყოფილებები ჩემი სამარხვო სადილით...

– ჰოჰ... ვაი! – ამოიძახა იმედმიხდილმა ქუჯიმ.

– ჭინჭრის ფხალი ინებე, მაგრამ შენთვის კვერცხსაც შევანვევინებ, თუმცა ამით საშინელ ცოდვას ჩავიდენ, რადგან კვერცხი იგივე ხორცია, წინილის ჩანასახი.

– მდაა... სუფრა, ეტყობა, ბარაქიანი არ იქნება, მაგრამ რა გაეწყობა, ოღონდ ერთად ვიყოთ და მაგასაც გადავიტან.

– მადლობა, რომ ჩვენს მეგობრობას მაგ მსხვერპლს სწირავ, – უთხრა ამომ.

– ამო, მამ, საბოლოოდ გადანწყვიტე ანაფორა ჩაიცვა?! რას იტყვიან შენი მეგობრები? რას იტყვის ბატონი ვაჩე? მონასპის მოღალატედ ჩათვლიან ისინი.

– თუ მართალი გინდა, მე სარწმუნოებაში ახლა კი არ შევედივარ, არამედ ვუბრუნდები მას. ადრე დიდი ძალა დავატანე ჩემს თავს, რომ მონასპელების რაზმში შევსულიყავი.

– მე ეს არ ვიცოდი!

- მაშ, არ იცი, სასულიერო სასწავლებლიდან რატომ გამოვედი?
- არაფერი ვიცი!
- აი, ჩემი თავგადასავალი, საღვთო წერილი მიგვითითებს, რომ ვალია-როთ ცოდვები მოყვასთა წინაშეო და მეც ვალიარებ, ჩემო ქუჯი.
- წინმსწრებად შემინდვია და მიპატიებია თქვენი ცოდვანი, ჩემო ამირან. ხედავ, რა გულკეთილი ადამიანი ვარ!
- სინმინდეებზე ლაზლანდარობა არ ეგების, მეგობარო!
- კარგი! თქვი, გისმენ.
- ბავშვობიდან სასულიერო სასწავლებელში ვიზრდებოდი. ბოლოს მღვდლად მაკურთხებდნენ და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი. მაგრამ ერთ საღამოს ერთ ოჯახში გახლდით. ამავე ოჯახში დადიოდა ერთი აზნაური. იმ საღამოს, როდესაც საღვთო წერილს ვუკითხავდი სახლის ქალბატონებს, უცბად ჯიქურ შემოვარდა ეს აზნაური. ქალბატონები მაქებდნენ და ქათინაურებით მამკობდნენ. ამ აზნაურს, ეტყობა, არ მოეწონა ქალბატონების ყურადღების ცენტრში ჩემი ყოფნა, მაგრამ იქ არაფერი უთქვამს. შემდეგ კი, შინ წასასვლელად რომ გამოვედი, ისიც უკან გამომყვა და მომადახა – ბატონო მღვდლების შეგივრდო, ჯოხი მოგინდათო? თუ კიდევ მისულხარ იმ სახლში, სადაც ამ საღამოს გნახე, მე შენ გაჩვენებ ჯოხის გემოსო. მან ხელი მკრა და მე დავეცი, შემეშინდა. აზნაურმა ზურგი შემაქცია და წავიდა. შეურაცხყოფა საშინელი იყო და მე სულში ვგრძნობდი მის სიმწვავეს. სასულიერო სასწავლებლიდან წამოვედი. ტფილისში ფარიკაობის საუკეთესო მასწავლებელი მოვძებნე და ყოველდღე დავინყე ვარჯიში. მართლაც, ერთ წელიწადში დავხელოვნდი ფარიკაობაში. შემდეგ, ერთ დღეს ჩემი შეურაცხმყოფელი მოვძებნე, მიყრუებულ ადგილას გავიყვანე, მთვარე კაშკაშებდა. მერე ვიძრეთ ხმლები და პირველ შეტაკებაზევე თავხედი აზნაური ძირს მკვდარი გაიშხლართა. იძულებული გავხდი, რამდენიმე ხნით დავმალულიყავი. სწორედ იმ დროს გავიცანი ავთო და ტარო, რომლებმაც ფარიკაობა-ხმალობის რამდენიმე მეტად კარგი ფანდი მასწავლეს. მათვე მიჩიეს მონასპელების რაზმში შესვლა. მეფეს ძალიან უყვარდა მამაჩემი, რომელიც არტანუჯის ალყის დროს დაიღუპა. ამიტომ, მისი პატივისცემის ნიშნად, მალევე ჩამრიცხეს მონასპელებში. ახლა კი დრო დადგა წმინდა ეკლესიას დავუბრუნდე.
- რალა სწორედ დღეს? გუშინ რატომ არ მოგინდა ეკლესია? რა დაგემაართა დღეს ისეთი, რომ მაგ აზრს დამონებოხარ?
- ეს ჭრილობა, ჩემო ქუჯი, ზეციდან გაფრთხილებად მომეველინა.

- ჭრილობა თითქმის მოგირჩა. დავიფიცებ, რომ შენ სხვა რამ განუხებს...
- რა უნდა მანუხებდეს? – წამოიძახა ამომ და წამონითლდა.
- გულის სიღრმის ჭრილობა უფრო გულსაკლავია, ჩემო ამირან.
- ოჰ... – წამოიძახა ამომ იმ კილოთი, რომ ეტყობოდა, ცდილობდა თვალთმაქცურად დაემალა თავისი განწყობა, – მაგას ნულარ გამაგონებ, ვითომ სიყვარულის დარდი მწვავედეს. ხომ არ გგონია, რომ ვიღაც ქალისთვის ტვინი გადამიბრუნდა?
- ეჰ, ჩემო ამო, – სევდიანად ამოიოხრა ქუჯიმ და კინალამ გულიც თან ამოაყოლა, – ერთი ქალი მიყვარს და მომტაცეს... არც კი ვიცი, ამჟამად სად არის.
- ჰო, მაგრამ შენ ის მაინც იცი, რომ მას თავისი სურვილით არ მიუტოვებია. მე კი ეგეც კი არ ვიცი...
- ჩემო ამო, სამუდამოდ უარყოფ ამ ქვეყნიურ ცხოვრებას, საბოლოოდ გადანყვიტე?
- სამუდამოდ... რაც შეეხება ქვეყნიერებას, ის მხოლოდ აკლდამაა და სხვა არაფერი.
- რომ იცოდე, რა სამნუხაროა ეს შენი სიტყვები.
- რას იზამ, ჩემო ქუჯი, უფლის განგებას ვემორჩილები! მიუხედავად ამისა, სანამ ამქვეყნად ვარ, დედამინას ვებლაუჭები, ძალიან მინდა შენი და ჩემი მეგობრების ამბის გაგება.
- მე კი ის მინდა, ძალიანაც, რომ შენი გავიგო რაიმე, – მიუგო ქუჯიმ, – მაგრამ როგორც ვხედავ, ისე ჩამოშორებიხარ ყველაფერს...
- ეჰ... – მწარედ ამოიოხრა ამომ.
- მაშ, ცეცხლში დავწვავ ამ წერილს, რომელიც უეჭველად ახალ ამბავს გაცნობებს საყვარელი ქალისას, – უთხრა ქუჯიმ და ბარათი ხელში შეათამაშა.
- რა წერილი... ვისგან არის? – უცბად გამოცოცხლდა ამო.
- ერთი წერილია... შენთან მიეტანათ, როდესაც შენ იქ არ იყავი. მე წამოვიღე გადმოსაცემად. ვისგან იქნება, თუ არა უნუგემოდ მიტოვებული ქალისაგან? ქალბატონ ნათელა უჯარმელის!
- რას ამბობ, ქუჯი? აჰ, რატომ მკლავ, რა დავიშავე, ბიჭო? – შეჰყვირა ამომ.
- ძლივს არ გამოვაცოცხლე! – წამოიძახა სიხარულით ქუჯიმ და წერილი გაუნოდა. ამომ უმალ ხელიდან ბარათი გამოგლიჯა და სწრაფად გადაიკითხა. კაცი ერთბაშად გამოცოცხლდა და სახე გაუბრწყინდა!

– გმადლობ, ჩემო ქუჯი! ნათელა იძულებული შეიქნა ისევ უჯარმის ციხე-ქალაქში გადასულიყო. ჰო, ისევ ვუყვარვარ! მოდი, მეგობარო, უნდა გადაგეხვიო!

მეგობრებმა ცეკვა დაიწყეს და იატაკზე ჩამოცვენილი ტრაქტატის ფურცლებს გამეტებით, ვაჟაკურად თელავდნენ. ამ დროს კი ღვთისო შემოვიდა და ერბოკვერცხიანი ჭინჭრის ფხალი შემოიტანა.

– აბა, უბედურო, მომწყდი! წადი და წაიღე ეს საზიზლარი საჭმელი, – შეჰყვირა ამომ, – ქვემოთ, სასადილოში უთხარი, სადილად ღორის მწვადი, ჩახოხბილი, ნივრით შეკმაზული ცხვრის ბარკალი და ორი დოქი ატენური ღვინო ამომიგზავნონ.

ღვთისო თავის ბატონს გაშტერებული შესცქეროდა და საწყალს ველარა გაეგო რა ამ უეცარი ცვლილებისა.

– დავლიოთ... ჩემო ქუჯი, დავლიოთ ისე, რომ წვეთი არ დაგვრჩეს, გადავკრათ ჩვენებურად და ერთი ჩვენების ამბავიც მიაბე.

– ავთანდილის, ჩვენი ავთოს ამბავი გვრჩება ახლა მხოლოდ გასაგები,

– უთხრა ქუჯიმ ამოს, რომელსაც დაწვრილებით უამბო ყოველივე, რაც მოხდა მათი წამოსვლის შემდეგ სატახტო ქალაქში. გემრიელმა სადილმა ერთს საღვთისმეტყველო ტრაქტატი, ხოლო მეორეს დაღლა დაავინყა.

– როგორ გგონია, ავთოს რამე უბედურება ხომ არ შეემთხვა? იგი მეტად გულადია და ხმაღს კარგად ხმარობს.

– ეგ მართალია. აი, ამიტომაც მიინდა, რაც შეიძლება მალე წავიდე მის სანახავად.

– ვეცდები, მეც წამოვიდე, თუმცა, არა მგონია, ცხენით სიარული შევძლო, გუშინ უკვე ვცადე, კედელზე რომ კიდი, ამ მათრახის გამოყენება, მაგრამ ჭრილობის ტკივილმა შემალონა. ჰო, როდის მიდიხარ?

– ხვალ გათენებისას, ამაღამ გამოიძინე და თუ ხვალ შეიძელი, გზას გავუდგეთ.

– მაშ, ხვალამდე, ჩემო ქუჯი.

დილით ქუჯი ამოსთან შევიდა, მისი მეგობარი ფანჯარასთან იდგა.

– მოხიბლული ვარ ამ მშვენიერი რაშებით. ნეტარება უნდა იყოს ასეთი ცხენით მგზავრობა.

– სწორედაც ინეტარებ, ჩემო ამო, რადგანაც ერთი ცხენი შენ გეკუთვნის.

– ეჰ, კარგი ერთი! მერე, რომელი?

– რომელსაც შენ აირჩევ მაგ სამში!

- ცხენის აღკაზმულობაც ჩემია?
- რა თქმა უნდა.
- ხუმრობის გუნებაზე ყოფილხარ, ჩემო ქუჯი!
- ჰოჰ, მაგ გუნებაზე ნუხელ ვიყავი მე, როცა თქვენ საღვთისმეტყველო ბაასს ვესწრებოდი.
- ოჰ, მაცხოვარო ძლიერო! – შეჰყვირა ამომ, – თურმე სიამოვნება-საც შესძლება ტკივილის განკურნება! ასი ისარი რომ მერჭოს გულში, მაშინაც მოვახტებოდი მაგ მერანს. ეი, ღვთისო! ჰა, სადა ხარ? ჩქარა-მეთქი! – კარში დაღვრემილი და სასომიხილი ღვთისო გამოჩნდა.
- ხმალ-ხანჯალი გამინმინდე, მომიზადე წამოსასხამი და ქული! – ბრძანა ამომ. ღვთისომ მწარედ ამოიგმინა.
- ღვთისო, შეეგუე! ხელობისა და თანამდებობის მიუხედავად, ადამიანი მაინც მივა სასუფეველსა ღვთისასა! – დაარიგა ქუჯიმ.
- ეჰ, უკვე ღვთისმსახური ბრძანდებოდა ჩემი ბატონი, – წარმოთქვა შენუხებულმა ღვთისომ, – წინამძღვარ-მღვდლად აკურთხებდნენ ამ ცოტა ხანში და იქნება მერე მეუფეობაც მიელ.
- ჰოჰ, ჩემო საწყალო ღვთისო! აბა, დაუფიქრდი ჩვენს ცხოვრებას, მითხარ, რას შესძენს ადამიანს ბერად აღკვეცა? შენა გგონია, რაკი ბერი გახდება, ბრძოლაში აღარავინ ჩარევს? მწარედ ცდები!
- ეჰ, ვიცი, ბატონო, დღეს მთელი ქვეყანა თავდაყირა დგას, – ამოიხრა ღვთისომ. ამ ბაას-ბაასით სუყველანი ეზოში ჩავიდნენ.
- ღვთისო, უზანგი დამიჭირე! – უბრძანა ამომ და ჩვეული სიმარდით მოახტა ცხენს, მაგრამ ცქვიტი რაში არ ჩერდებოდა და ხტუნავდა. ამოს აუტანელი ტკივილი დაეწყო და თავს უნაგირზე ძლივს იმაგრებდა. ქუჯი მეგობარს თვალს არ აშორებდა და დაინახა თუ არა ღონემიხილი ამო, მივარდა, ხელი შეაშველა და ცხენიდან ჩამოსვა.
- არა, ჩემო ამო, აქ დარჩი და ჭრილობა მოიშუშე. ავთოს საძებნელად მარტო წავალ მე. ერთი ეს მითხარი, მარტო რომ დარჩები, ისევ დაიწყებ საღვთო საქმიანობას?
- ამომ გაიცინა და მიუგო:
- დავჯდები და ლექსებს დავწერ.
- დიახ, ლექსებს დანერ იმ საპკურით გასურნელებულს, რომელიც ქალბატონ ნათელას ბარათს ჰქონდა. თან ყოველდღე მცირე ხნით ივარჯიშე, რომ ჯანი აღიდგინო.
- მაგას ნუ დარდობ, გამოჯანმრთელებული დაგხვდები.

მეგობრები ერთმანეთს გამოეთხოვნენ. ქუჯი მოახტა ცხენს და სურამის ციხისაკენ გააჭენა. გზაში სულ იმას ფიქრობდა, როგორ დახვდებოდა ავთო. ქუჯის მეგობრებში ხნით ყველაზე უფროსი ავთო იყო. ავთოს დიდებული და ღირსეული იერი ჰქონდა, რომელიც დროდადრო გამობრწყინდებოდა ხოლმე ბნელეთიდან. ამ მონასპელს კარჩაკეტილობა უყვარდა, თითქოს ქვეყნიერებას ერიდებოდა. ავთო საშუალო ტანის და ათლექური აგებულებისა იყო. თვალები გამგმირავი ჰქონდა, სწორი ცხვირი, გამოკვეთილი ნიკაპი. ამ სახეს რაღაც შეუცნობელი დიდებულების და პატიოსნების იერი ედო. სულ იმას ცდილობდა, შეუმჩნეველი ყოფილიყო და თავმდაბლად მოქცეულიყო. ავთო საუცხოოდ იჯდა ცხენზე და იშვიათი ხელოვნებით ხმარობდა იარაღს. მას შესაშური განათლება მიეღო თვით რიტორიკულ-სქოლასტიკური მეცნიერების დარგში. მორიდებით ჩაეცინებოდა ხოლმე, როდესაც ამოს მიერ დამახინჯებულ ბერძნულს გაიგონებდა.

ავთო ისე კარგად იცნობდა დიდებულთა საზოგადოების ყოფა-ჩვეულებას, რომ სულ უბრალო საქციელშიც კი ეტყობოდა – წარჩინებულთა გვარიდან უნდა ყოფილიყო. კარგად იცოდა მთელი სამეფოს დიდებული გვარიშვილების ნათესაობა. აგრეთვე კარგად ერკვეოდა, რა უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი დიდრონი მებატონეები.

ეს ამდენი ღირსებით შემკული კაცი თავისდამეუმჩნევლად, ეკონომიკური ხელმოკლეობის გამო, ნელა გაჭირვებული ცხოვრებისაკენ ეშვებოდა. როცა ფინანსურად გაუჭირდებოდა ხოლმე, ასეთ დროს მთვრალი იჯდა მიმქრალი თვალებით და შესცქეროდა ღვინის სასმისს. შემდეგ უფრო ეჭმუხნებოდა წარბი და უფრო ღონდებოდა.

ქუჯი რამდენს არ ეცადა, ვერ შეძლო გაეგო მიზეზი ავთოს ხშირი უხალისობისა. იგი ამ ჭმუნვის დროს ბლომად ღვინოს სვამდა, რომ შიგ თავისი სევდა ჩაეხრჩო. ავთოს წარსულში უნდა ყოფილიყო ჩამალული მისი საიდუმლო, როგორც ეს ქუჯის გაკვრით და გაურკვეველად უთხრეს.

„ეჰ, იქნება ჩემი ავთო ცოცხალი აღარც დამხვდეს. განა ჩემი ბრალი არ იქნება მისი სიკვდილი? ჩემი ბრალია, რომ ისეთ საქმეში ჩავითრიე, რომლის არც თავი იცოდა და ვერც ბოლოს გაიგებს“, ფიქრობდა ქუჯი.

ბინდი შემოპარულიყო, როდესაც ქედზე გამავალი გზიდან სურამი დაინახეს. მალე კი იმ დაწყევლილი სასტუმროს კარს მიადგნენ, სადაც ავთო მახეში გააბეს. ქუჯი გაჯავრებული შევიდა სასტუმროს დუქანში,

მარცხენა ხელი ხმლის ტარზე ედო, მარჯვენა ხელით კი მათრახს ათამაშებდა.

– ჰა, მიცანი თუ ვერა?! – მიმართა სასტუმროს პატრონს, რომელიც წინ მიეგება.

– არა, ბატონო, ჯერ არა მაქვს ეგ ბედნიერება, – უპასუხა მასპინძელმა, რომელიც ქუჯის გაკვირვებული შესცქეროდა.

– ჰოჰ, ვერა მცნობ, მაშ?!  
– ვერა, ბატონო.

– ორი სიტყვით შეგახსენებ მე. რა უყავი იმ დიდებულს, რომელსაც, იმდენად გათავხედდი, რომ ყალბი ფულის გავრცელება დასწამე?

მასპინძელი შეცბა, რადგან ქუჯი მრისხანედ უყურებდა. ბუჭუკაც არანაკლები მუქარით დააშტერდა, რომელიც ხშირად თავის ბატონს ბაძავდა.

– აჰ, ნულარ მომაგონებთ, ბატონო... რომ იცოდეთ, მე ის შეცდომა რა ძვირად დამიჯდა, რა უბედურებაში ჩავვარდი, – შესტირა მასპინძელმა.

– გეყურება? ჩემი მეგობარი სად არის?

– კეთილი, ბატონო, მოისმინეთ, შემიბრალეთ მე უბედური! აი, საქმე როგორ იყო, – დაიწყო შეშინებულმა მასპინძელმა, – უკაცრავად, ახლა გიცანით, ბატონო. თქვენ სწორედ იმ დროს წახვედით, როდესაც მე უბედურმა თქვენს მეგობარს ცილი დავწამე. მომისმინეთ და სრულ სიმართლეს მოგახსენებთ. ხელისუფლების მოხელეებმა მაცნობეს, რომ ჩემს სასტუმროში ყალბი ფულის მჭრელი უნდა მოსულიყო. მეც, თანახმად ხელისუფლების ბრძანებისა, რომელმაც მანდატურები გამომიგზავნა დასახმარებლად, ყველაფერი მოვამზადე, რომ ხელიდან არ წამსვლოდა ის ყალბი ფულის მჭრელი. ხელისუფლებამ მიბრძანა, შემამინა და თქვენც კარგად იცით, რომ ჩემისთანა ხალხი მათ უნდა ემსახურებოდეს. მერე მოხდა ის, რაც თქვენთვის უკვე ცნობილია. ის თქვენი მეგობარი ლომივით იბრძოდა. ხუთი კაცი დაასახიჩრა, მე კი ისე დამკრა ხმლის ყუა, რომ დამარტყიანა. ჰო და თქვენი მეგობარი ნელა უკან იწვედა. მალე ზურგით სარდაფში ჩამავალ კარს მიადგა და რაკი ღია დახვდა, გასაღები გამოაძრო, შევიდა, კარი მოიკეტა და შიგნიდან გაამაგრა. გეფიცებით, ბატონო, თვითონვე დაიპატიმრა თავი, ძალიან მარჯვედ მოიქცა თავიდანვე, ერთი კაცი მოკლა, ხოლო ხუთი დაჭრა. მკვდარი და ის დაჭრილები მათმა ამხანაგებმა მოგვამოხრეს თავიდან და მას შემდეგ დღევანდლამდე არა გამიგია რა მათ შესახებ. მე რომ მოვსულიერდი, ავდექი და სურამის ციხისთავთან მივედი. დანვრილებით მოვახსენე, რაც მოხდა და ვკითხე,

რას მიბრძანებთ, რა ვუყო ჩემს პატიმარს-მეთქი? მან ამის შესახებ არა იცოდა რა. ისე გამოვიდა, რომ შეცდომა დავუშვი, მე დავიჭირე უდანაშაულო კაცი. ვეცადე, ბატონო, საჩქაროდ გამომესწორებინა შეცდომა და სარდაფისაკენ წავედი მის გამოსაყვანად. მაგრამ რომ უთხარი, თავისუფალი ბრძანდებით-მეთქი, შემომიტირა და მიპასუხა, მახეს მიგებთო; სარდაფიდან მარტო მაშინ ამოვალ, თუ ჩემს პირობებს ამისრულებთო. მე მზად ვიყავი, მისი ყოველი ბრძანება შემესრულებინა. მან მოითხოვა თავისი მსახური და რაკი თავისი ნასყიდაც გვერდით დაიგულა, ისევ სარდაფში ჩაიკეტა და კარი გაამაგრა.

– ბოლოს და ბოლოს, სად არის ავთო?! – შეჰყვირა ქუჯიმი.

– სარდაფში, ბატონო! გაჯიუტებულია, არ გამოვალო. დილაობით ახალ პურს და მოხარშულ ხორცს ვაწვდით. სასტუმროს მთელი მარაგი ამ სარდაფშია შენახული. იქ გახლავთ ჩვენი ღვინის ქვევრები და კასრები. იქვეა ლუდის კასრიც, ზეთი, სანელებელი და ლორი. თქვენი მეგობარი სარდაფში კიდევ რომ დარჩეს, სულ გალატაკდება ჩემი ოჯახი და სასტუმრო.

– ახია შენზე! განა ვერ ხედავდი, რომ პატიოსანი ხალხი გენვიათ და არა ყალბი ფულის მჭრელები?

– მართალს ბრძანებთ, ბატონო! – შეჰყვირა მასპინძელმა, – ორი ბიზანტიელი დიდებული გვენვია... როგორც თქვენც მოგეხსენებათ, მათაც ღვინო უყვართ. ჩემი მეუღლე თქვენს მეგობართან მივიდა, ბევრი ევედრა ბატონ ავთოს, რომ ნება მიეცა, ჩასულიყო და ღვინო ამოეტანა უცხოელებისათვის, მაგრამ მან ცივი უარი სტკიცა.

მართლაც, სარდაფის მხრიდან ქუჯის გარკვეული ხმაური მოესმა. იგი წამოდგა, მასპინძელი გაიძლოლა და სარდაფის ჩასასვლელთან მივიდა. უცხოელები სასონარკვეთილები იყვნენ. მათ მეტად გრძელი გზა გამოეწლოთ და შიმშილ-წყურვილი კლავდათ.

– ნამდვილი შეშლილია ვილაცაა! – თქვა უცხოელმა მშვენიერი ქართულით, თუმცა ოდნავ უცხოელის კილოთი, – გოჟია? რატომ არ აძლევს საშუალებას მეპატრონეებს გამოიყენონ თავიანთი სარდაფი? თუ აგრეა, კარს შევამტვრევთ და ძალით გამოვიყვანთ ამ ურჩხულს.

– ნუ იმუქრებით, ბატონებო! – შესძახა ქუჯიმი და ხმალი მოიმარჯვა.

– კარგი, გაუშვით, შემოვიდნენ ეგ ბაქიები და აქ ვაჩვენებ სეირს, – გაისმა სარდაფიდან ავთოს მშვიდი ხმა.

უცხოელებმა ყოყმანი დაიწყეს. მაგრამ ერთმა უფრო გამბედავმა მაინც გაინია და სარდაფის კარს ფეხი ძლიერად ჰკრა.



– ბუჭუკ! აქ, ზემოთ მდგომს მე მოვუვლი, შენ ქვემოთ მყოფს მიხედე. ბატონებო, მაშ ბრძოლა გნადიათ?! – დაიძახა ქუჯიმ და ხმალი აიქნია.

– ღმერთო ჩემო! – ავთოს განცვიფრებული ხმა გაისმა სარდაფიდან, – მელანდება თუ ქუჯის ხმა მესმის?

– აქ ვარ, მეგობარო, ჩემი ხმა გესმის! – დაუძახა ქუჯიმ ხმამალა.

– მაშ, ძალიან კარგი! ერთად გავუმასპინძლდებით მაგ მოძალადეებს, – ამოსძახა ავთომ.

– ბატონებო! – საზრიანად მიმართა ქუჯიმ უცხოელებს, – მოდით, მე მომანდეთ ამ საქმის მოგვარება. კეთილშობილის სიტყვას გაძლევთ, ცოტა ხნის შემდეგ ღვინოსა და საკვებსაც მოგართმევენ.

– თუ კიდევ სადმე დარჩა! – გაისმა ავთოს დამცინავი ხმა.

– როგორ თუ დარჩა? – ბუტბუტებდა სასტუმროს მეპატრონე.

– კარგი ერთი, დარჩებოდა, მაშ არა?! – მიმართა ქუჯიმ, – მთელ სარდაფს ხომ ვერ გადასანსლავდა ორი კაცი?

უცხოელებმა ქარქაშში ხმლები ჩააგეს. ქუჯიმ კი მათ ავთოს დაპატიმრების ამბავი უამბო. კეთილშობილი გვარიშვილები იყვნენ უცხოელები და მათაც სასტუმროს პატრონი გაამტყუნეს.

– ახლა, ბატონებო, დარბაზში აბრძანდით! – სთხოვა ქუჯიმ, – მალე, ღვინოსაც მოგართმევენ და საჭმელსაც.

უცხოელებმა თავი დაუკრეს და დუქნის დარბაზისაკენ წავიდნენ.

– ჩემო ავთო, ძალიან გთხოვ, მარტო ვარ და კარი გამიღე, – უთხრა ქუჯიმ.

– ახლავე! – გამოსძახა ავთომ.

ძელების და კასრების გადაგორების ხმა გაისმა. ცოტა ხნის შემდეგ კარი გააღეს და ფერმკრთალი ავთო გამოჩნდა. ქუჯი იმნამს მივარდა და გადაეხვია, მაგრამ შენიშნა, რომ მისი მეგობარი ბარბაცებდა.

– დაჭრილი ხარ? – იკითხა შიშნაკრავმა ქუჯიმ.

– მე? საიდან? მთვრალი ვარ, მორჩა და გათავდა... იფ... თავის დღეში არავის უსარგებელია გარემოებით ისე კარგა, როგორც მე! მაღლობა უფალს! მე მგონი, ჩემს წილად ბლომად ღვინო დავლიე.

– ვაი! ღმერთო მიშველე! – შეჰყვირა მეპატრონემ, – დავილუბე, ოჯახი დამექცა!

– ნასყიდა პატიოსანი ოჯახის მსახურად ნამყოფი კაცია და ნებას არ მისცემს თავის თავს, იმდენი დალიოს, რამდენსაც მე ვსვამ. ის თუ სვამდა, მარტო კასრის ღვინოს სვამდა. ეჰ, მგონი, კასრის საცობის დაცობა დაავინწყდა.

ქუჯის სიცილი აუვარდა. ამ დროს, თავისი ბატონის უკან, მობარბაცე ნასყიდაც გამოჩნდა. შემდეგ ავთო და ქუჯი ერთ ბუხრიან ოთახში

განმარტოვდნენ. ამასობაში სასტუმროს მეპატრონე და მისი ცოლი ჩაცვივდნენ სარდაფში, სადაც ადრე ვერ შედიოდნენ, თქვენს მტერს, რაც იქ დახვდათ. სარდაფის პატიმრების მიერ ფიცრებითა და ცარიელი კასრებით აგებული გამაგრება; აქა-იქ ზეთისა და ღვინის მორევი იდგა, რომელშიც გამოხრული ძვლები ეყარა. სარდაფის იატაკი დამსხვრეული თიხის დოქებით იყო მოფენილი. აქ აფორიაქებული იდუმალემა და სიცარიელე სუფევდა. გაბოროტებულ ცოლ-ქმარს სიმწრის ღმუილი აღმოხდათ. სასტუმროს მეპატრონის ამ მწუხარებას გაშმაგება მოჰყვა. იგი სასონარკვეთილი შევარდა იმ ოთახში, სადაც მეგობრები მარტოდ-მარტო ისხდნენ.

– ღვინო! – დაუძახა ავთომ, როგორც კი მასპინძელი დაიანახა.

– ღვინო? რით ვერ გაძებით ამდენი სმით! რატომ დამიქციეთ ოჯახი? – შეჰკვივლა რეტდასხმულმა სასტუმროს პატრონმა.

– უჰ, კარგი ერთი! რიგიანად წყურვილიც კი ვერ მოვიკალით, – უპასუხა ავთომ.

– ღვინის სმა არ გეყოთ? ჭურჭელს რაღად მიმტვრევდით?

– თქვენგან შეღონებული თაროზე ავძვერი, ჩამოიშალა და დაიმტვრა, თქვენი ბრალია!

– ზეითუნის ზეთი სულ დაგიღვრიათ!

– ზეთი უებარი მალამოა ჭრილობისათვის და თქვენ მიერ დაჭრილ, საწყალ ნასყიდას ვმკურნალობდი.

– იმდენი ლორი შეგიჭამიათ!

– თქვენი სარდაფი ვირთხებით არის სავსე!

– ზარალი უნდა გადამიხადოთ! – ნაილულულა მასპინძელმა.

– ამ სულელს ხედავ? – ნამოიძახა ავთომ და ხელი მათრახს ნამოავლო. შეშინებულმა მეპატრონემ უკან დაიხია.

– არა გიშავს, ჭკუას ისწავლი, ან გეცოდინება, როგორ უნდა დახვდე სტუმრებს. იცი, რას გეტყვი? თუ კიდევ ასე გაგვიწყალებ გულს, ოთხივენი თქვენს სარდაფში ჩავალთ და ვნახავთ, თუ მართლა ასეთი დიდია თქვენი ზარალი... – უთხრა ქუჯიმ.

– რა ვქნა, ბატონო, შევცდი, დავაშავე და ცოდვას ვაღიარებ. მე ერთი საწყალი კაცი ვარ და შემიწყალებ, – ამოღერდა მასპინძელმა.

– რაკი ასე ლაპარაკობ, გული მომიღბა... მოდი, მოვრიგდეთ. მოდი, კაცო! ნუ გეშინია! – ამშვიდებდა ავთომ, – დანახარჯის გადასახდელად რომ ჩამოვედი შენთან, მაგიდაზე დავდე ჩემი ქისა...

– დიახ, ბატონო.

– სად არის ჩემი ქისა?

- როგორც ყალბი ფული, თან წაიდეს მოხელებმა.
  - მაშ, დამიბრუნე ჩემი ფული და იქიდან შენი ზარალი აინაზღაურე.
  - არა, ბატონო, თქვენც კარგად იცით, ისინი არავის დაუბრუნებენ, რასაც კი ხელთ იგდებენ. ეჰ, მართლა რომ ყალბი ყოფილიყო, იქნება კიდევ დაგვებრუნებინა.
  - ეგ შენ და ეგეც შენი მოხელები, ჩემო კეთილო! ისე მოურიგდი, როგორც გიჯობდეს.
  - ერთი მითხარი, ავთოს ცხენი რა ეღირება? ჰოდა, შენი იყოს ეგ ცხენი. ამით გავათავოთ ჩვენი ანგარიში. – თქვა ქუჯიმ.
  - ჩემს ცხენს აძლევ? ჩემს ლურჯას? მერე მე რითი წავიდე? ნასყიდას შევაჯდე? – წაიბუზღუნა ავთომ.
  - სხვა, უფრო უკეთესი რაში მოგგვარე, – უთხრა ქუჯიმ.
  - ჰოო?! მაშ, თუ მეორე უფრო მარდი ცხენი მყავს, შენი იყოს ჩემი ქეციანი ლურჯა. აბა, ღვინო!
  - რომელი მოგართვათ? – ჰკითხა ცოტა დამშვიდებულმა მასპინძელმა.
  - სულ უკანა კასრში რომაა, კიდევ უნდა იყოს დარჩენილი!
  - უძირო ქვევრი ყოფილა ეს დალოცვილი! – წაიჩურჩულა მასპინძელმა.
  - არ დაგავინყდეს, ოთხი დოქი იმავე ღვინოსა უცხოელებსაც მიართვი,
  - დაუმატა ქუჯიმ.
  - ახლა კი, ჩემო ქუჯი, სანამ იმ ღვინოს ამოგვიტანდნენ, მიაბზე, როგორ არიან ჩვენი მეგობრები, – სთხოვა ავთომ.
- ქუჯიმ მოუთხრო ტაროს ნაღრძობი ფეხის ამბავი. მას ორ ღვთისმეტყველთან პაექრობაში გართული ამოს ამბავიც არ დავეინყებია. ის იყო, დაამთავრა ლაპარაკი, რომ მასპინძელმა ღვინო და რაჭული ლორი მოართვათ.
- ეს ძალიან კარგი, – თქვა ავთომ და სასმისები ღვინით შეავსო, – ტაროსა და ამოს ამბავი უკვე მოვისმინე, მაგრამ შენსას კი არაფერს მეუბნები. როგორა ხარ? სანყენი ხომ არაფერი მოგსვლია? რალაც, ვერა ხარ გუნებაზე.
  - ვაჰ, რა ვქნა, ყველაზე უბედური მე ვარ, – ამოიკვნესა ქუჯიმ.
  - შენ ხარ უბედური? გამაგებინე, რითა ხარ უბედური?
  - მერე, გამბობ, – უპასუხა ქუჯიმ.
  - ვითომ ახლა რატომ არა? მთვრალი გგონივარ? იცოდე, ჩემო ქუჯი, ნათელი გონება მე მარტო ნასვამსა მაქვს. გამომხილე შენი გულის ტკივილი.
- შეგულიანებულმა ქუჯიმ თავისი სიყვარულისა და შუშანას მოტაცების ამბავი დაწვრილებით უამბო. ავთო გულდასმით უსმენდა მეგობარს.

– ეგ ყველაფერი სისულელეა! სისულელე! – ავთო ხშირად ამბობდა ხოლმე ამ სიტყვას.

– სულ გაიძახი, სისულელეაო, ჩემო ავთო. იმიტომ ალბათ, რომ არასოდეს არ გყვარებია!

– მართალი ხარ! – თქვა მშვიდად ავთომ, – არასოდეს მყვარებია!!

– ჰოდა, ხომ ხედავ, გულქვავ, რომ არავითარი საფუძველი არ გაქვს, ასე გულცივად გვისმენდე გულმგრძნობიარე ადამიანებს!

– მგრძნობიარე გული გაბზარული გულია, – თქვა ავთომ.

– ამით რა გინდა თქვა?

– მე იმას ვამბობ, რომ სიყვარული გამართლებაზე და ვისაც გაუმართლებს, სიკვდილს გაეთამაშება! მერწმუნე, ჩემო ქუჯი. კაცს ვერ იპოვი, რომ ასე შენსავით არ სწამდეს, მართლა ვუყვარვარ ჩემს სატრფოსო. მაგრამ კაცს ვერ იპოვი, რომ მოტყუებული არ იყოს თავისი სატრფოსაგან.

– შენ გარდა, ავთო, რადგან არასოდეს გყვარებია.

– მართალია! – თქვა ავთომ მცირე დუმილის შემდეგ, – არასოდეს მყვარებია, არასოდეს... დავლიოთ!..

– მიიჩიე რამე, რომ იცოდე, როგორ მჭირდება დახმარება და ნუგეში.

– რა ნუგეში? ღიმილს იწვევს ეგ თქვენი განწყობა, – უთხრა ავთომ მხრების აჩეჩვით, – მაინტერესებს, რა შთაბეჭდილებას მოახდენს შენზე ერთი სიყვარულის ამბავი, რომელიც ერთ ჩემს ახლობელს გადახდა. მოდი, დავლიოთ, ეს ემჯობინება.

– ავთო, მიაბზე, გთხოვ! ეს ღვინო ხომ აქ არის, სვი და მიაბზე. – ავთო ჩაფიქრდა და მწარედ გაელიმა. ქუჯი ხედავდა, რომ მის მეგობარს ღვინო ნელა მოეკიდა.

– ერთ ჩემს ნაცნობს, მე კი არა, ერთ დიდებულს, ახალგაზრდა კაცს, ერთი ტურფა და ლამაზი ქალი გაგიჟებით შეუყვარდა. იგი მოიხიბლა ამ ახალგაზრდა ქალის უმანკო გარეგნობით და ნატიფი აზროვნებით. ეს მშვენიერი ასული თავის მღვდელ ძმასთან ცხოვრობდა. არავინ იცოდა მათი ვინაობა, ორივენი ახალი ჩამოსახლებულები იყვნენ. მაგრამ ისეთი გონიერი იყო ეს ქალი და ისეთი ღვთისმოსავი მისი ძმა, რომ აზრადაც არავის მოსდიოდა ეკითხა, სადაურები ბრძანდებოდნენ. ჩემს ნაცნობს, ადგილობრივ მებატონეს, ეს ქალი შეეძლო ძალით ხელთ ეგდო, რადგან იქაურობის ბატონ-პატრონი ის იყო. მაგრამ პატიოსანი კაცი იყო ეს დიდებული და იმიტომ ამ ქალის ცოლად მოყვანა გადანყვიტა. სულელი, ბრიყვი!

- ავთო, რატომ! აკი თქვი, უყვარდა გაგიჟებითო?
- მოითმინე, ჩემო. დიდებულმა ნიშნობა თავის ციხე-დარბაზში გადაიხადა. სიმართლე უნდა ითქვას, ქალმა ღირსეულად შეიფერა თავისი ახალი მდგომარეობა. მერე, ნიშნობიდან ცოტა ხანში დანიშნულები სანადიროდ წავიდნენ. ის ქალი შემთხვევით ცხენიდან ჩამოვარდა და გული წაუვიდა. მომავალმა ქმარმა, რადგან გულწასულ ქალს სუნთქვა ეკვროდა, შეუხსნა ზედატანის გულისპირი და უნებურად შიშველი მხარი გამოუჩნდა... აბა, ქუჯი, თუ გამოიცნობ, რა ჰქონდა მხარზე?
- რა ვიცი, როგორ გამოვიცნო?
- სიძვის სვირინგი, ნიჟარა ჰქონდა ქალს გამოსახული! აი, ისეთი, როგორც მეც მინახავს, კონსტანტინეპოლის სამეძაო სახლების მრუშ ქალებსა აქვთ! – წარმოთქვა ავთომ და შეუსვენებლივ გამოსცალა სახე სასმისი.
- შეუძლებელია! საშინელებაა! – შეჰყვირა ქუჯიმ.
- სრული ჭეშმარიტებაა, ჩემო კარგო, თურმე ყოფილი სიძვის ქაჯი იყო ის ვითომ უმანკო ანგელოზი...
- მერე, საქმრომ რა ქნა?
- დიდი მებატონე იყო საქმრო, თავის სამფლობელოში მის საგვარეულოს ეკუთვნოდა მართლმსაჯულება, დამნაშავის სიკვდილით დასჯაც... საქმრო იმდენად აღელდა და შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, რომ განრისხებულმა ტანისამოსი შემოახია ქალს, ხელები შეუკრა და ხეზე ჩამოკიდა.
- ოჰ, ავთო, რას ამბობ, ასე ადვილად ადამიანის კვლა?
- დიახ, კვლა, მეტი რა... – წარმოთქვა მთვრალმა ავთომ და ფერი ეცვალა, – ერიჰა, როგორც ეტყობა, ღვინო აღარ მოაქვთ. მან დოქს ხელი სტაცა, პირზე მიიდო და შეუსვენებლივ გამოცალა. ქუჯი თავზარდაცემული შეჰყურებდა ავთოს.
- ამ ამბავმა შემაძულა ლამაზი, მომხიბლავი და ვითომ სიყვარულით აღსავსე ქალები, – თქვა ავთომ, – ეს ამბავი შენც გაითვალისწინე.
- მოკვდა ის უბედური ქალი? – იკითხა ქუჯიმ.
- რა? არ ვიცი! ეი, მასპინძელო! ლორი, თორემ ღვინო აღარ გადადის ყელში! – გასძახა მედუქენს.
- მისი ძმა, ის მღვდელი? – იკითხა მოკრძალებით ქუჯიმ.
- ჰო, ძმაც ვეძებე, მინდოდა ისიც დამესაჯა, მაგრამ სადღაც გადაიკარგა. მერე გავიგე, რომ ეს ცრუ მღვდელი მისი საყვარელი ყოფილა. თან თურმე, ერთად ქურდობდნენ და თვალთმაქცობდნენ; საჰყრო-

ბილეშიც მჯდარან. თურმე ამ თაღლითებმა მრავალი წესიერი კაცი გააუბედურეს. ამ გაიძვერებმა გადაწყვიტეს ხელში ჩაეგდოთ შეძლებული მეტატონის ქონება, რათა მომავალში უზრუნველად ეცხოვრათ.

– ჰოჰ, ღმერთო ჩემო! – ნამოიძახა ქუჯიმ, რომელიც გაშტერებული იყო ამ ამბის გაგებით.

– ქუჯი, ეს საუცხოო ლორი მიირთვი, – მიმართა ავთომ, – ეს ლორი ბევრი რომ მქონოდა იმ სარდაფში, მეტ ღვინოს დავლევდი.

ქუჯიმ ამ საუბრის გაძლება, რომელმაც ეგზომ შეაძრწუნა, ვეღარ შეძლო და მალე თავი მოიმძინარა.



### – თაჰი 13 –

ქუჯი ავთოს აღსარების შემდეგ თავზარდაცემული დარჩა. დილით მას, მიუხედავად იმისა, რომ ატენური ღვინით თავი ჰქონდა გაბრუებული, მაინც კარგად ახსოვდა ავთოს ნაამბობი. დილითვე გადაწყვიტა წუხანდელი ბაასის ავთოსთან განახლება. მეგობარი სრულიად დადინჯებული და გონებანათელი დახვდა. მისალმების შემდეგ ავთომ წუხანდელი საუბარი თვითონვე გაიხსენა.

– ჩემო ქუჯი, გუშინ მაგრად მთვრალი ვიყავი. დღეს კი თავი მტკივა და უგუნებოდ ვარ. დავნაძღვედები, რომ გუშინ ალბათ ათასი აბდაუბდა წამოვროშე.

– არა, როგორც მახსოვს, ისეთი არაფერი გითქვამს, – უპასუხა ქუჯიმ.

– უჰ, მაკვირვებ, ჩემო... მე კი მეგონა, რომ ერთი მეტად სავალალო ამბავი გიამბე, – ეუბნებოდა და ისე უცქერდა ქუჯის, თითქოს ცდილობდა, სულის სიღრმეში ჩასძვრომოდა და იქ ამოეკითხა პასუხი.

– ჰოჰ, მაშ, მე მთვრალი ვყოფილვარ უფრო, ვიდრე შენ, რადგან მე არაფერი მახსოვს, – დაამშვიდა ქუჯიმ. მაგრამ ავთო ამ ნათქვამმა ვერ დაამშვიდა. – ჰო, რაღაც მაგონდება ბუნდოვნად, თითქოს სიზმარი მენახოს. დიახ, ლამაზი ქალი, ნადირობა... – უპასუხა ქუჯიმ.

– ხომ ხედავ, დარწმუნებული ვიყავ... ეგ არის ჩემი სულთამხუთავი, ლამაზი მეძავი... – ნამოიძახა ავთომ, თუმცა ცდილობდა, მღელვარება ხუმრობით დაემალა.

– მართლა..., ჰო, მაგონდება... რას მიაბობდი? ვილაც ლამაზმანზე იყო ბაასი... – დაიძახა ქუჯიმ.

– ხედავ? – უთხრა ფერმიხდილმა ავთომ, – ეგა მაქვს სათხრობად ამოჩემებული, ლამაზი ქალის ამბავი, და როგორც კი მოვეყვები მაგ ამბავს, იცოდე, რომ უზომოდ მთვრალი ვარ.

– ჰო, ეგაა, ერთი ხეზე ჩამოკიდებული ლამაზმანის ამბავი, – ამბობდა ქუჯი და თვალელებში ჩასცქეროდა ავთოს.

– ხედავ, როგორ ადვილად შეიძლება ნასვამი ადამიანის შერცხვენა, – დაიწყო ავთომ, – არა, აღარ დავლევ, არ დავთვრები, საძაგელი ჩვეულებათა! – მერე ავთომ უცბად სხვა რამეზე გადაიტანა საუბრი, – ჰო... დიდად მადლობელი ვარ, რომ ახალი ცხენი მომიყვანე.

– მოგნონს? – ჰკითხა ქუჯიმ.

– კარგია, მაგრამ არა მგონია, გრძელი მანძილის გავლა შეძლოს.

– ცდები, ჩემო ავთო, სწრაფია და გამძლე.

– ერიჰა! ახლა სანანებლად გამიხდი ამ ცხენს.

– რატო სანანებლად?

– მისმინე ჩემო... დილით ადრე გამეღვიძა. არ ვიცოდი, როგორ მომეკლადრო, ნუხანდელი ჩვენი ქეიფით ჯერ ისევ გაბრუებული ვიყავი. საერთო დარბაზში ჩავედი, იქ ერთი ბიზანტიელი დამხვდა, რომელიც ვიდაც კაცს ცხენს ევაჭრებოდა. მივედი და ნამთვრალეზე, უაზროდ, მეც ამ ვაჭრობაში ჩავერიე და ჩემი ახალი ცხენი შევთავაზე... უფრო სწორად კამათელში ცხენის გათამაშება შევთავაზე... ვთქვით და დავინწყეთ თამაში... წავაგე ჩემი ცხენი, მაგრამ ჩემი ცხენის უნაგირი მოვეუგე.

ქუჯის სახე მოელუშა.

– რა, გეწყინა? – იკითხა ავთომ.

– არ დაგიმალავ, არ მეამა, – უპასუხა ქუჯიმ.

– ეჰ, აბა, ჩემს ადგილას ყოფილიყავი, უარესს იზამდი! – უპასუხა მონასპელმა – ძალიან მოწყენილი ავდექი, თავი მტკიოდა, არ ვიცოდი, სად ჯანდაბაში გადავვარდნილიყავი. იცი, რა გითხრა, რა არის აქ სამნუხარო? ცხენიც მოკვდავია! წარმოვიდგინოთ, რომ ჩემს ცხენს ჩლიქი მოძვრა ან დაავადდა. ჰო, ვწუხვარ, რომ ასე გენანება ეს ცხენი, მაგრამ საქმე ის არის, რომ მე ჯერ არ დამიმთავრებია ჩემი ამბავი. ჩემი ცხენი რომ წავაგე უიღბლოდ, ვიფიქრე, მოდი, ქუჯის ცხენსაც გავათამაშებმეთქი.

– იფიქრე, მაგრამ იმედი მაქვს, არ აჰყვებოდი მაგ...

– არა, იმწამსვე ავასრულე.

– მერე? – შეჰყვირა შიშით ქუჯიმ.

– გავათამაშე და... წავაგე...

- ჩემი ცხენი?
- შენი ცხენი. მხოლოდ ერთით მომიგო... გეცოდინება ანდაზა...
- ვფიცავ ილორის ხატს, ავთო! შენ დღეს ჭკუაზე არა ხარ.
- ჩემო კარგო, ეგ გუშინ უნდა გეთქვა, როდესაც ჩემს სულელურ ამბავს გაიბზობდი. ისე რომ, ცხენებიც წავაგე, უნაგირიც და მათი აღკაზმულობაც.
- საშინელებაა!!
- მოითმინე, ჯერ არ გამითავებია! დიდებული მოთამაშე ვიქნებოდი, ასეთი ახირებული რომ არ ვიყო. მაგრამ, რა ვქნა, რომ დამთავრება არ მაგონდება? როგორც სმაში დავინწყებ და მივწყობ... დღესაც ახირებამ გამიტაცა...
- რაღას გაათამაშებდი, რომ აღარაფერი გქონდა?
- ჰმ... მქონდა, მეგობარო! ეგ ძვირფასთვლიანი ბეჭედი გვქონდა, აგრე რომ ბზინავს შენს ხელზე. აუ, ჯერ კიდევ გუშინ მიიქცია ჩემი ყურადღება.
- ეს ბეჭედი...? – შეჰყვირა ქუჯიმ და ბეჭდიანი ხელი ზურგს უკან მიმალა.
- იმედია, ხმაც არ ამოგიღია ჩემი ბეჭდის შესახებ, – მიმართა ქუჯიმ შიშნარევი ხმით.
- პირიქით, ძვირფასო, თვითონაც ხედავ, რომ ეგ სილამაზე ჩვენი მხსნელი უნდა ყოფილიყო. მაგის გათამაშებით შეიძლებოდა ჩვენი ცხენებიც მომეგო, მათი აღკაზმულობა და ზედ კიდევ ფული.
- ავთო, შენ ჩემი გაგიჟება გინდა! – შეჰყვირა ქუჯიმ.
- თქვენი ბეჭედი დავუსახელე ჩემს მოქიშპეს. იმასაც შეემჩნია გუშინ შენს თითზე მოკაშკაშე ბეჭედი...
- ავთო, გაათავე, გამაგებინე! ლამის მომკლა კაცი! – შეჰყვირა ქუჯიმ.
- ავდექით და ათ ნაწილად გავყავით შენი ბეჭედის ნაღდი ფასი...
- ჰოჰ, მაშ, გამოცდას მიპირებ, რომ მერე დამცინო? – გაშმაგდა ქუჯი.
- რას ამბობ? რა დროს სიცილია, აბა, შენ ყოფილიყვი იქ ჩემ მაგივრად, ვნახავდი, რას იზამდი, ორი კვირის განმავლობაში ადამიანის სახე აღარ დამენახა, ვეგდე სარდაფში გამოშტერებული, ხმის გამცემი არავინ მყავდა, იმ ღვინის გარდა. ჰო, ცამეტჯერ ვყარეთ კამათელი და სულ წავაგე, ცამეტმა დამღუპა!
- რა უბედურებაა! – ამოიკვნესა ქუჯიმ. მას დღევანდელი საშინელება მთლად ავიწყებდა წუხანდელ ამბავს.
- მოთმინება იქონიე! – უთხრა ავთომ, – მე ჩემი გეგმა მქონდა. ჩემი მოქიშპე კი თავისებური კაცი აღმოჩნდა. ამ დილით ნასყიდსათვის



შეუთავაზებია მსახურად მასთან გადასვლა. ჰოდა, ავდექი და მეც ჩემი მუნჯი ნასყიდა გავათამაშე.

– კიდევ კარგი, თუ ცოცხალი გადაგირჩათ! – შესძახა ქუჯიმ და თავის-დაუნებურად სიცილი წასკდა.

– დიახ, ნასყიდა გავათამაშე, გეყურება? ისიც ათად გავანანილეთ. მე მოვიგე, კიდევ მოვიგე...

– კიდევ კარგი, რომ ეგრე გადავრჩით, – უთხრა დაიმედებულმა ქუჯიმ ხარხართ.

– რაკი ვნახე, რომ კვლავ ბედმა გამილიმა, მაშინვე თამაში გავაგრძელე...

– ჰოჰ, ვაი! – ისევ მოერია შიში ქუჯის.

– მოვუგე და მოვუგე. მოვუგე შენი ცხენის აკაზმულობა, მერე შენი მერანი, მერე ჩემი ცხენი თავისი აღკაზმულობით, მერე ისევ წავაგე. მოკლედ რომ ვთქვა, ჩვენი ცხენების მოსართავი გადავარჩინე, და ამით გავათავე.

ქუჯიმ გულისფიცრამდე ამოიოხრა:

– ბოლოს და ბოლოს, შემრჩა ჩემი ბეჭედი თუ ისიც ცხენებს გააყოლე?

– ხელშეუხებლად, ჩემო მეგობარო! გარდა მაგისა – უნაგირებიც.

– რა თავში ვიხლით უნაგირებს, თუკი ცხენები არ გვეყოლება?

– ერთი აზრი მაქვს მაგ მოსართავის შესახებ.

– გულს მიხეთქავ, ავთანდილ!

– ყური დამიგდე, კარგა ხანია არ გითამაშია, არა, ქუჯი?

– არც ვითამაშებ, არავითარი სურვილი...

– ნუ დაიფიცებ! ჰო, იმას ვამბობდი, დიდი ხანია არ გითამაშია და მაშ, კარგი, მომგებიანი ხელი უნდა გქონდეს.

– კარგი, მერე?

– მერე ის, რომ ჯერ აქ არიან ის უცხოელები. ნელან რომ ვითამაშობდით, შევატყვე, ძალიან დაენანა უნაგირის წაგება. შენ, როგორც გეტყობა, მეტისმეტად გწყინს ცხენის წაგება, მე რომ შენი ვიყო, წავეთამაშებოდი. იმისი ცხენი იყოს და შენი – მოსართავი.

– აბა, ცხენში უნაგირს რატომ ინდომებს?

– მაშ, ჩემიც თან მიაყოლე, შენსავით კი არ დავინანებ!

– მაშ, ორივეს გაიმეტებდი?! – ჰკითხა ყოყმანით ქუჯიმ. ეტყობოდა, მასაც გადაედო ავთოს თვითდაჯერება.

– პათიოსნებას გეფიცები.

- კარგი... თუმცა დავეკარგეთ ცხენები, მაგრამ მე მაინც ძალიან მინდა, ეს ალკაზმულობა შევინარჩუნოთ.
  - მაშ, შენს ბექედზე ითამაშე.
  - ოჰ, ეგ სხვა ამბავია, არა, არასოდეს! ნეტავი შენ, ჩემო ავთო, მე მგონი, ის ემჯობინება, რომ საფრთხეს მოვერიდოთ. – უთხრა ქუჯიმ.
  - რა გაეწყობა, – თქვა ცივად ავთომ, – გატენილი აქვს ბიზანტიელს ჯიბეები ოქროს მონეტებით. ეჰ, ერთხელ ეთამაშე, მარტო ერთხელ, რა დაგაკლდება?
  - რომ წავაგო?
  - მოიგებ!
  - მაგრამ, რომ წავაგო?
  - რომ წავაგო, ცხენის ალკაზმულობას მისცემ.
  - კარგი, ერთხელ ვითამაშებ, მხოლოდ ერთხელ, – დაეთანხმა ქუჯი. ავთო მაშინვე გაექანა უცხოელის საძებნელად. უცხოელი ქუჯის ცხენის ალკაზმულობას შურის თვალთ შესცქეროდა. მას ძალიან კარგი შემთხვევა მიეცა. რადგან მოილაპარაკეს, ორი ალკაზმულობა ერთი ცხენის წინააღმდეგ. მათ ხელი ხელს დაჰკრეს. კამათლების აყრისას ქუჯის ხელი უკანკალებდა, სე-იაქე მისცეს კამათლებმა.
  - ბედმა გვიმტყუნა, მეგობარო!.. შეკაზმულ ცხენებს წაიყვანთ, ბატონებო, – აღტაცებული იყო ბიზანტიელი, აღარც კი შეინუხა თავი და არ შეარხია კამათლები, აიღო და დაყარა დარწმუნებულმა, რომ მოიგებდა. არც კი დახედა. ცუდ გუნებაზე დამდგარმა ქუჯიმ სახე იბრუნა.
  - ერთი ამას შეხედეთ! – წამოიძახა აღფრთოვანებულმა ავთომ, – უცნაური რამაა კამათელი, დუ-იაქე დაჯდა. ყველანი განცვიფრებულები დარჩნენ. ქუჯის სიამოვნების ყრუანტიელმა დაუარა.
  - მდა... გასაკვირია პირდაპირ! – განაგრძო ავთომ.
  - მაშ, ბატონო, თქვენს ცხენს ინებებთ? – იკითხა ბიზანტიელმა.
  - უეჭველად! – მიუგო ქუჯიმ.
  - სამაგიეროს არ მეთამაშებით?
  - რასაკვირველია, გეხსომებათ, რომ ჩვენს შეთანხმებაში სამაგიეროზე არ ყოფილა ლაპარაკი.
  - მართლსა ბრძანებთ, კარგით, თქვენს მსახურს გადავაბარებ ცხენს.
  - ერთ წამს, – მიმართა ავთომ, – თუ ნებას მიბოძებთ, ერთ სიტყვას ვეტყვი ჩემს მეგობარს.
  - რამდენიც გნებავდეთ.
- ავთომ თავისი მეგობარი გვერდზე გაიყვანა.

- ჰოჰ, მაცდურო, რა გინდა ჩემგან? გინდა, რომ კიდე ვეთამაშო?
  - არა, მინდა, რომ დაფიქრდე... არ შეცდე! მე შენს ადგილას ფულს გამოვართმევდი.
  - მე კი ცხენი მინდა!
  - ცდები, მეგობარო, ერთი მითხარი, როგორ უნდა გამოვიყენოთ ორმა კაცმა ის ერთი ცხენი? უკან ხომ ვერ შემომისვამ? არა მგონია, ისე დამამცირო, რომ მე ფეხით მოვყიალებდე და შენ ჩემთან ერთად ცხენით მოპარპაშებდე! მე რომ ვიყო, ფულს გამოვართმევდი. ტფილისში დასაბრუნებლად ფული დაგვჭირდება.
  - რა ვქნა, ძალიან მომწონს ეს ცხენი.
  - ისევ ცდები, ჩემო ქუჯი. ცხენი ან დაკოჭლდება, ანაც დასნეულდება. მას პატრონმა უნდა უაროს, ხოლო ფული იქეთ ასმევს და აჭმევს თავის მფლობელს.
  - მერე, უკან რითი დავბრუნდეთ?
  - ჩვენი მსახური ბიჭების ცხენებით.
  - ძალიან შესახედავი არ ვიქნებით, ჯაგლაგი ცხენებით რომ დაგვიწახავენ... ამოს და ტაროს კი თავიანთი რაშებით.
  - ამოს და ტაროს?! – გაიმეორა ავთომ და ჩაეცინა.
  - რას იცინი? – იკითხა ქუჯიმ დაბნეულად.
  - ეგ არაფერი, არაფერი...
  - ისე რომ, შენი აზრით...
  - ახლა ფული უფრო გვიჭირს, ჩემო ქუჯი, ამ თანხით კარგა ხანი სულ ლხინით ვიცხოვრებთ. მცირე ხნით მაინც თავისუფლად ამოვისუნთქებთ.
  - ავთო! როგორც კი მივალ ტფილისში, მე მაშინვე სანყალი შუშანას ძებნას შევეუდგები.
  - მერე, შენ გგონია, რომ ცხენი ისეთივე სასარგებლო იქნება იმ ქალის ძებნაში, როგორც ფული? ფული გამოართვი, მეგობარო, ფული...
- ქუჯის სამართლიანად ეჩვენა ეს მოსაზრება და დათანხმდა ავთოს წინადადებას ფულის აღების შესახებ. უცხოელმა ფული იქვე მიუთვალა. ამის შემდეგ ქუჯი და ავთო თავიანთი მსახურების ცხენებზე შესხდნენ, ხოლო მსახურები ფეხით გაუდგნენ გზას. ძალიან ცუდ ცხენებზე ისხდნენ მეგობრები, მაგრამ მაინც მალე გაასწრეს მსახურებს და ციხე-ქალაქ გორში მივიდნენ. მათ შორიდანვე შენიშნეს ამო, რომელიც ფანჯარასთან იდგა და სევდიანად გასცქეროდა ამტკერებულ გზას.
- ამო! რას გასცქერი ასეთი სინანულით? – შესძახეს მეგობრებმა.

– აჰა, თქვენა ხართ, ქუჯი, ავთო? ვფიქრობდი, თუ რა მსწრაფლწარ-  
მავალია ნეტარება წუთისოფლისა. ჩემი ცხენი, რომელიც ამ მტვერში  
მიიმალა, წუთისოფლის ნეტარების ხანმოკლეობის ცოცხალი ასახვაა.  
– რა მოხდა? – იკითხა ქუჯიმ, როცა დაღონებული ამო დაინახა.  
– საქმე იმაშია, რომ ვაჭრობაში სულელურად მოვცყუვდი, იაფად და-  
ვუთმე ცხენი.

ავთოს და ქუჯის სიცილი წასკდათ.

– გთხოვ, ჩემო ქუჯი, ნუ დამემდურები, გაჭირვებამ გამაყიდინა შენი  
მოყვანილი ცხენი. ეჰ, თქვენ უფრო იცით გაფრთხილება, აი, მსახურე-  
ბის ცხენებით მოდიხართ და საზეიმო რაშები ალბათ ბიჭებს ნელა,  
დაუღლელად მოჰყავთ.

ამ ბაასში რომ იყვნენ მეგობრები, უცბად შარაგზაზე მომავალი  
ურმიდან მხრებზე უნაგირ მოკიდებული ბუჭუკა და წასყიდა გადმოვი-  
დნენ. მათ გზაში ტფილისისკენ მიმავალი ცარიელი ურემი შეხვედრო-  
დათ და ჩვენი მეგობრების ორი მსახური მეურმეს მორიგებოდა ტფი-  
ლისში ჩაეყვანა ისინი, სამაგიეროდ, მათ გზაში მეურმისათვის პურმა-  
რილი უნდა ეკისრათ.

– რა დაგემართათ? უნაგირების მეტი აღარაფერი შეგრჩათ? – აღმოხდა  
ამოს მსახურების დანახვაზე.

– ახლა ხომ მიხვდი, ძვირფასო! – მიუგო ქუჯის ავთომ.

– მეგობრებო, თქვენც სწორედ ისე მოქცეულხართ, როგორც მე!  
აღლოთი ვიგრძენი, რომ საჭირო იყო აკაზმულობის გადარჩენა. შენ ეი,  
ღვთისო! გამოიტანე ჩემი ახალი უნაგირი.

– თქვენს მღვდლებს რაღა უყავით? – ჰკითხა ქუჯიმ.

– მეორე დღეს სადილად მოვიწვიე, ჩემო ქუჯი, სხვათა შორის, საგან-  
გებო ღვინო არის აქ, კარგა ბლომად გადაკრეს და დათვრნენ. ერთმა  
მღვდელმა მითხრა, ღმერთი არ გაგინყრეს, მონასპელთა რაზმიდან არ  
გამოხვიდეთ, ხოლო მეორემ კი მთხოვა, დამეხმარე, იქნება მონასპე-  
ლად მიმიღონო. მას აქეთ სიამოვნებით ვცხოვრობ, – თქვა ამომ – პოე-  
მის წერა დავიწყე. შინაარსი მეტად წარმტაცია, პირველ მონაკვეთს  
წაგიკითხავთ...

– ჰოჰ, მოვითხოვ მე თეოლოგიური ტრაქტატების სრულ მოსპობას.  
პატარა რჩევას მოგცემ, ჩემო ამო, – უთხრა ქუჯიმ, რომელსაც ისევე  
ეჯავრებოდა ლექსები, როგორც ბერძნული თეოლოგია, – სიძნელის  
ღირსებას სიმოკლისაც მიუმატე და შენი პოემა ორი ღირსებით იქნება  
შემკული.

– აი, ნახავთ, ჩემო მეგობრებო, უსათუოდ მოგეწონებათ. მაშ, ასე, ტფილისისაკენ მივეჩქარებით! მაშ, ჩვენს მეგობარს ტაროსაც ვნახავთ? ვერ წარმოიდგენთ, ის კეთილი ადამიანი როგორ მაკლდა. აბა, ის კი არ გაიმეტებდა და გაჰყიდდა თავის ცხენს! ნეტავი დამანახა, როგორ გამოიჭიმება ქუჯის მიერ მოყვანილ რაშზე.

მეგობრები ღამე დარჩნენ დასასვენებლად. დილით კი ტაროსკენ გაუდგნენ გზას. ტარო ფეხზე დაუხვდათ და ისეთი ფერნასულიც აღარ იყო, როგორც ადრე ქუჯიმ ნახა. ტარო თუმცა მარტო უჯდა სუფრას, მაგრამ მაინც ოთხი კაცის პურმარილი და სასმელი ელაგა წინ. მას საუცხოოდ შემწვარი ღორის მწვადი, მოხარშული ხბოს ბეჭი ჰქონდა სადილად. ამას ძვირფასი ღვინო და საგანგებო ხილი ემატებოდა.

– აჰ, თქვენა ხართ? რა კარგ ფეხზე მოხვედით! ეს არის, მწვადს შევუდექი და თქვენც ჩემთან მიერთმევთ სადილს, – წამოვარდა ტარო.

– ოჰო, – წამოიძახა ქუჯიმ, – აგერ კიდევ შემწვარი ღორის სუკი!

– ძვირფასებო, ავადმყოფობის შემდეგ მინდა ცოტა მოვიკეთო. ავთო, ვერ წარმოიდგენ, როგორ ასუსტებს ადამიანს ნაღძობი ფეხი.

– ჰო, არ ვიცი, მაგრამ მახსოვს, ბეთლემის ქუჩაზე რომ შეტაკება მოგვიხდა, ხმლით დამჭრეს, ჭრილობა რომ მომიჩნა და ავდექი, ისე ვიყავი, თითქოს ფეხი მქონოდა ნაღძობი... – ჩაიცინა ავთომ. ტარომ ხუმრობა არ შეიმჩნია.

– ერთი მითხარი, ჩემო ტარო, ეს პურმარილი მარტო შენთვის იყო შეკვეთილი? – იკითხა ამომ.

– არა, სტუმრებს ველოდი, მეზობელი სოფლების მებატონეებს, მაგრამ მაცნობეს, რომ ვერ მოვლენ. ჰა, ბოჩია! აბა, ჩქარა ამდენივე მოუმატე ჩვენს სუფრას.

– პატივცემულებო, იცით, რას მივირთმევთ ასე გემრიელად? – იკითხა ავთომ.

– მაგას რა ცოდნა უნდა? – მიუგო ქუჯიმ, – მე ხბოს ხორცს გეახლებით.

– მე ღორის მწვადს, – თქვა ტარომ.

– მე კი ხოხბის ხორცს მივირთმევ, – თქვა ამომ.

– ცდებით, ყველანი ცხენის ხორცს მივირთმევთ! – უპასუხა ავთომ.

– კარგი ერთი, ცხენის ხორცს? – წამოიძახა ამომ და დაიღრჩია.

– ჰო, ცხენის ხორცს ვჭამთ. ხომ მართალს ვამბობ, ტარო, ხომ ცხენის ხორცს შევექცევით თავისი ალკაზმულობით?

– არა, ალკაზმულობა გადავარჩინე! – უპასუხა ტარომ.

– ასეა! ერთმანეთს არაფერში ტოლს არ ვუდებთ. ვინმემ რომ გაიგოს ჩვენი ამბავი, იფიქრებს, პირობა შეკრესო, – წამოიძახა ამომ.

- რა მექნა? – დაინყო ტარომ, – ჩემი ცხენის დანახვაზე უხერხულობას გრძნობდნენ აქ მოსული სტუმრები და არ მინდოდა მათი დამცირება!
- ცხადია, ჯერაც საირმის წყლებზე იქნება თქვენი დიდებული ქალბატონი დასასვენებლად, არა? – გადაჰკრა ქუჯიმ.
- დიახ, იქ ბრძანდება, – უპასუხა მშვიდად ტარომ.
- რა მექნა? ერთ აზნაურს ჩემი ცხენი ისე მოეწონა... იგი ჩამაცივდა, უნდა დამითმოო, უარი ვეღარ ვუთხარი.
- დაუთმე? – შეჰყვირა ქუჯიმ.
- დიახ, სწორედაც დავეუთმე იმ ძუნს, – განაგრძო ტარომ, – რადგან, ჩემი გადასახედიდან, ცხენი უფრო ძვირი ღირდა...
- როგორც ვხედავ, ბატონებო, ტაროს ყველაზე ხელსაყრელად მოუგვარებია თავისი ცხენის საქმე, – თქვა ავთომ. შეზარხოშებულ მეგობრებს ხარხარი აუტყდათ.
- როგორც ჩანს, ამ ცხენების წყალობით, ჯიბეში ცოტა ფული ყველას გვიჩხრიალებს! – აღნიშნა ქუჯიმ.
- ჩემ გარდა, – გაუსწორა ავთომ, – ამოსთან ყოფნისას ისე მომეწონა იქაური ატენური ღვინო, რომ ერთი მომცრო ტიკი შევიძინე და მსახურების ურემში ჩავადებინე. აი, ეს გახლავთ ჩემი უფულობის მიზეზი.
- მე უარესი მჭირს, – ნამოიძახა ამომ, – რაც კი მომეპოვებოდა, ურბნისის მონასტერს შევწირე, გარდა ამისა, თქვენი დღეგრძელობისათვის წირვა-ლოცვა შევუკვეთე.
- მე უარეს დღეში ვიყავი, – დაინყო ტარომ, – იქნება გგონიათ, რომ არაფერი დამახარჯვინა ჩემმა ნალრძობმა ფეხმა? ამას ბოჩიას ქრილობაც დაუმატეთ. მოკლედ, სასტუმროს დანახარჯის გადახდის შემდეგ, ფული სულ ცოტაოდენი დამრჩა.
- კარგი! მოდით, ახლა დავთვალოთ, სულ რამდენი გვაქვს და მერე თანაბრად გავიყოთ, – მოუწონა ყველას ქუჯიმ. ამით მეგობრებმა გული ცოტათი დაიმშვიდეს და კვლავ დაუბრუნდნენ სუფრას.
- ტფილისში ჩასვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ მეგობრებმა ბატონი ვაჩე ჩიქვანისაგან შეიტყვეს, რომ მეფეს ურჯულოებთან ომი განუზრახავს. ამიტომ მონასპელებს დროზე უნდა მოემზადებინათ თავიანთი სამხედრო აღჭურვილობა. როცა ქუჯი თავის მეგობრებთან მივიდა, რომლებიც ავთოსთან შეკრებილიყვნენ, შეფიცული მონასპელები მეტად დაღვრემილები დახვდნენ.
- ნეტა რამდენი დაჯდება ეს საომარი აღკაზმულობა?

– ეჰ, საქმე ცუდადაა! მომჭირნული სიზუსტით ვიანგარიშე და გამოვიდა, რომ კარგა მოზრდილი თანხა დასჭირდება თითოეულ ჩვენგანს, – თქვა ამომ.

– მე კი მგონია, – დაიწყო ქუჯიმი, – ათასი სოლიდი რომ გვექონდეს კაცზე... მაგრამ მსაჯულივით რომ გამოვივთვლო...

სიტყვა „მსაჯულმა“ ტარო გამოაფხიზლა.

– ოჰო, რალაც აზრი მომივიდა...

– კიდევ კარგი, აზრი მაინცა გაქვს, – თქვა ცივად ავთომ, – მე აზრის ნასახიც არ გამაჩნია. ქუჯიმი, ათასი კმარაო?! კაი ფულია საჭირო ღირსეული აღჭურვილობის შესაძენად, თუმცა ნაწილი, ცხენების აღკაზმულობა, უკვე გვაქვს. გარდა ამისა, გვაქვს აგრეთვე ის ძვირად ღირებული ბეჭედი, რომელიც ჩვენი მეგობრის თითზე ბრწყინავს. ქუჯი ისეთი კარგი მეგობარია, რომ გაჭირვებაში არ დატოვებს თავის ძმებს.



#### – თაზი 14 –

აღჭურვილობის ძებნამ ამხანაგებში ყველაზე მეტად ხელმომჭირნე ქუჯი ჩააფიქრა, თუმცა, როგორც ავად არტანუჯელის რაზმელს, მას ამ საქმისათვის გაცილებით უფრო ნაკლები დაეხარჯებოდა, ვიდრე მეფის მონასპელებს.

ქუჯიმი დიდი ძიების მიუხედავად, დანამდვილებით ვერაფერი გაიგო შუშანას შესახებ. ვაჩე ჩიქვანმა კი მოახსენა დედოფალს მისი მოახლის მოტაცების ამბავი, მაგრამ დედოფალმაც არ იცოდა, სად იყო მისი მოახლე. ავთო სახლიდან ფეხს არ იცვლიდა. მას გადანყვეტილი ჰქონდა, თითიც არ გაენძრია აღჭურვილობის შესაძენად.

– დრო კიდევ მაქვს, იცოდეთ! თუ ვერაფერი მოვახერხე და საჭურველი ვერ ვიშოვნე, – ეუბნებოდა მეგობრებს ავთო, – როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, თავს არ მოვიკლავ. გავალ, დიდმოურავის რაზმელებს ჩხუბს ავუტეხ და იმდენს ვიბრძოლებ, სანამ ვინმე არ მომკლავს. ამრიგად, მე აღჭურვილობა აღარ დამჭირდება.

ავთოს გამოკლებით, სამი მეგობარი საშოვარზე დილაადრიანად გადიოდა სახლიდან და ძალიან გვიან ბრუნდებოდა დასაძინებლად. აქედანაც კარგად ჩანდა, რა მჭმუნვარება გამეფებულყო მეგობრების წრეში.

პირველს ტაროს მოუვიდა რალაც აზრი, ამიტომ მიზნისაკენ სვლა პირველად მან დაიწყო. ერთ დღესაც ქუჯიმ დაინახა, რომ სიონის ეკლესიისაკენ მიდიოდა მისი მეგობარი და თვითონაც უნებლიეთ უკან ფრთხილად აეკიდა. ტარო ეკლესიის კარებთან მივიდა, წვერ-ულვაშზე ხელი ჩამოისვა და გულმშვიდად ეკლესიაში შევიდა, ქუჯიც უკან მიჰყვა. ტარო ერთ სვეტთან დადგა, ქუჯიც მის შეუმჩნეველად მეორესთან მიიმალა.

მღვდელი ქადაგებდა და ამიტომ სიონის ეკლესიაში ტევა არ იყო. ტარომ ამ გარემოებით ისარგებლა, ქალებს ფარულად თვალი შეავლო. იგი ეკლესიის სუსტ სინათლეში ფრიად მომხიბლავად გამოიყურებოდა. ქუჯიმ შეამჩნია, რომ იქვე ახლოს უკვე ხანში შესული, მაგრამ კოხტა ქალი იდგა. ამ ლამაზმანს თავზე ლურჯი თავშალი ებურა. ტარო ეშმაკურად და მალულად გააპარებდა ხოლმე იქ ქალისაკენ მზერას. თავის მხრივ, ის ქალბატონიც დროდადრო წითლდებოდა, სასოწარკვეთილი აცეცებდა თვალებს და ელვის სისწრაფით გადახედავდა დაუდგარ ტაროს. ტარომ ეს რომ შეამჩნია, წვერ-ულვაშზე ხელი ჩამოისვა და რალაც ანიშნა მეორე მშვენიერ ქალბატონს, რომელიც მუხლმოყრილი იყო მგალობელთა გუნდთან. ამ ლამაზ ქალბატონს, მშვენიერებასთან ერთად, ცხადად ემჩნეოდა კდემამოსილებაც. მას ზურგს უკან ლოცვანით ხელში მოახლე ედგა. ლურჯ თავსაფრიანი ქალბატონი მხედველობიდან არ უშვებდა ტაროს ყოველ მახვილ მზერას. იგი ხედავდა, როგორ არ აცილებდა დაჩოქილ ქალბატონს მონასპელი თვალს. ტარო კვლავ აგრძელებდა მოსახიბლ თამაშს, რაც ლახვარივით ხვდებოდა ლურჯ თავშლიან ქალბატონს. საწყალმა ამ ნამებას ვერ გაუძლო და ისე გულგამგმირავად ამოიოხრა, რომ იქ მდგომებმა მისკენ მიიხედეს. ტარომ არ შეიმჩნია.

ბალიშზე მუხლმოყრილმა ქალმა თავისი სიმშვენიერით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლურჯ თავსაბურიან ქალბატონზე, რომელიც მასში საშიშ მეტოქეს ხედავდა. მან ტაროზედაც შთაბეჭდილება მოახდინა, რომელიც დარწმუნდა, რომ ის გაცილებით ლამაზი იყო, ვიდრე ლურჯ თავშლიანი ქალბატონი. იგი ძალიან მოეწონა აგრეთვე ქუჯის. მან მაშინვე იცნო მცხეთაში ნანახი ქალი, რომელსაც მისმა უცნობმა მტერმა ბორენა უწოდა. ქუჯი თვალს არ აშორებდა შინდისფერ ბალიშზე დაჩოქილ ქალბატონს, მაგრამ ტაროს ოინებსაც კარგად ხედავდა. ლურჯ თავსაბურიანი ქალბატონი, მისი აზრით, ქალაქის მსაჯულის მეუღლე უნდა ყოფილიყო. ქუჯიმ ალლოთი იგრძნო, რომ ტარო ცდილობდა, ჯავრი ამოეყარა მცხეთის სასტუმროში ამაო ლოდინისა-



თვის, როდესაც მომრიგებელ-მსაჯულის მეუღლემ სიძუნწე გამოიჩინა და ფული არ გაუგზავნა.

ეკლესიაში წირვა დამთავრდა. მომრიგებელ-მსაჯულის მეუღლე მღვდლისაკენ წავიდა. ტარომ წინ გაუსწრო და დაჩოქილ ქალბატონს წამოსადგომად ხელი შეაშველა. ღვთისმოსავემა ტურფამ თავისი მშვენიერი ხელი შეახო ტაროს ხელს და მომხიბვლელი ღიმილით დაეყრდნო. შემდეგ ქალმა პირჯვარი გადაინერა და ეკლესიიდან გავიდა. ეს კი მეტისმეტი იყო მომრიგებელ-მსაჯულის ცოლისთვის. მას უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ისინი ერთმანეთს ჰყვარობდნენ. მან თავშეკავებულად მიმართა თავის შეურაცხმყოფელს.

– ასე, ბატონო ტარიელ? მეც ვერ გამოიმინვდით ხელს? – ამ ხმაზე ტარო ფარისევლურად შეცბა.

– ქალბატონო, ნუთუ თქვენა ბრძანდებით? – შეჰყვირა განცვიფრებით, – როგორ ბრძანდება თქვენი მეუღლე, პატივცემული ანანია? ისევ ისეთი ძუნწია? არა, სად მქონდა თვალები, რომ ამდენი ხანი წირვაზე ვარ და თქვენ ვერ დაგინახეთ.

– თქვენ ახლოს ვიდექი, ბატონო, – უპასუხა ანანიას მეუღლემ, – მაგრამ ვერ შემამჩნიეთ, რადგან აღარვის ხედავდა თქვენი თვალები, გარდა იმ მშვენიერი ქალისა, რომელსაც ეს არის ახლა წამოდგომაში მიეხმარეთ.

ტარომ დაირცხვინა.

– ოჰ, ნუთუ შეამჩნიეთ? ეგ ქალი ჩემი მეგობარია. ერთმანეთის ნახვა მეტისმეტად გვიძნელდება, რადგან ეჭვიანი ქმარი ჰყავს. გუშინ მაცნობა, ხვალ წირვაზე ვიქნებო და იქ გნახავთო, – თქვა ტარომ დაუდევრად.

– ბატონო ტარიელ, იქნებ ინებოთ და ერთად გავისეირნოთ, თქვენს ამბავს სიამოვნებით მოვისმენ, – მიმართა ანანიას ცოლმა მინადორამ.

– კარგით, ქალბატონო! – დაეთანხმა ტარო.

ამ დროს მათ ქუჯიმ ჩაუარა, რომელიც მშვენიერ ბორენას მისდევდა უკან. ქუჯიმ ტაროს სწრაფად გადახედა და თვალი მოჰკრა მეგობრის გახარებულ სახეს.

– ჰოჰ! – წამოიძახა თავისთვის ქუჯიმ, – ტარო კარგად აღჭურვას ნამდვილად მოასწრებს.

ტარო და მომრიგებელ-მსაჯულის ცოლი მინადორა ხელიხელგაყრილი მიდიოდნენ. ისინი სიონსა და მტკვარს შორის მდებარე დაბურულ ბაღში შევიდნენ. დღისით ამ ბაღში უპოვარნი იკრიბებოდნენ, საქველ-

მოქმედო პურის საჭმელად, ხოლო სალამოობით თითქმის უკაცრიელ-  
დებოდა აქაურობა.

– ოჰ, ბატონო ტარიელ! – უთხრა მინადორამ, როდესაც დარწმუნდა,  
რომ მათ აქ ვერავინ დაინახავდა, – მაშ, როგორც ჩანს, დიდი მექალ-  
თანე ყოფილხართ?

– ქალბატონო, მე?.. – იუცხოვა ტარომ, – რამ მიგიყვანათ მაგგვარ დას-  
კვნამდე?

– თქვენმა წელანდელმა თვალების ცეცებამ და არშიყმა. მე მგონია,  
რომ დიდებული ბანოვანი უნდა ყოფილიყო ის ქალბატონი, რომელსაც  
თან მოახლე ახლდა.

– საიდან სადაო? ცდებით, ქალბატონო! – ქალბატონ მინადორას კი  
ექვით აღგზნებული ქალის თვალთ ყველაფერი შეემჩნია.

– რას იზამთ? ისეთი აგებულებისა გავუჩენივარ ღმერთს, რომ არ  
მაკლია ლამაზი ქალების წყალობა.

– აჰ, როგორი დაუნდობლები ხართ კაცები! – შეჰყვირა მინადორამ და  
თვალები ზეცას აღაპყრო.

– მე მგონია, რომ არც ისე, როგორც ქალები, – მიუგო ტარომ, – რადგან,  
ბოლოს და ბოლოს, ქალბატონო, იძულებული ვარ მოგახსენოთ, რომ  
მე მსხვერპლი ვარ თქვენი. სასიკვდილოდ დაჭრილი იმდენად ცუდად  
ვიყავი, რომ ექიმებმა ხელი აიღეს ჩემზე და თავი მიმანებეს. რა მექნა,  
ფული არ მქონდა. მეც თქვენ მოგმართეთ, მივინდე თქვენს მეგობრო-  
ბას. ჯერ კინალამ ჭრილობამ გადამიყოლა და მერე შიმშილი მკლავდა  
ერთ საზიზღარ სასტუმროში, მცხეთაში. თქვენ მოგმართეთ, ერთხელ  
კი არა, რამდენჯერმე. თქვენ პასუხიც კი არ მაღირსეთ.

– რა ვქნა, ბატონო, – ბუტბუტებდა მინადორა, რომელიც გრძნობდა,  
რომ თავის მართლება გაუჭირდებოდა.

– მე კი... თქვენ შემოგწირეთ ჩემი თქვენდამი სიყვარულით დაკოდილი  
გული, ქალბატონო...

– ვიცო, ტარიელ... ჩემი ქმარი... შიშით ხმა ველარ ამომიღია... მე ფულს  
არავის ვასესხებო!

– მოითმინეთ, ქალბატონო, აბა, გაიხსენეთ თქვენი პირველი წერილი,  
რომელიც მტკიცედ მაქვს ჩაბეჭდილი მესხიერებაში.

მინადორამ მწარედ ამოიკვნესა.

– რა მექნა? დიდ ფულს თხოულობდით სესხად, – თავი იმართლა მინა-  
დორამ.

– ქალბატონო მინადორა, მე თქვენ გარგუნეთ უპირატესობა, თორემ ერისთავის ცოლისათვის რომ მიმეწერა ერთი-ორი სიტყვა, მერწმუნეთ, დაუყოვნებლივ მივიღებდი გარკვეულ თანხას. ჰო, მის სახელს არ მოგახსენებთ, რადგან მე არასოდეს არ შემიღახავს პატიოსანი ქალის სახელი...

– ბატონო ტარიელ, გეფიცებით, რომ ძალიანაც დავისაჯე. თუ მომავალში კიდევ გაგიჭირდეთ, მაშინვე მომმართეთ, – მიმართა ცრემლმორეულმა მინადორამ.

– სირცხვილია, ეგ როგორა ბრძანეთ, ქალბატონო? – აღშფოთდა ტარო, – ფულს ნუ ვახსენებთ! ის ადამიანების დამამცირებელია.

– მაშ, აღარ გიყვარვართ? – წარმოთქვა გულმოკლულმა მინადორამ. ამას ამაყი დუმილი შეაგება ტარომ.

– ქალბატონო, წარმოიდგინეთ, რა შეურაცხყოფა მომაცენეთ ჩემს წერილზე თქვენი დუმილით!

– მაგ შეურაცხყოფას გამოვასწორებ, საყვარელო ტარო!

– განა ისეთს რასა გთხოვდით შეუძლებელს? – განაგრძო ტარომ მხრების აჩეჩვით, – პატარა სესხს! ვფიქრობ, კარგად მიცნობთ! ოჰ, თქვენ რომ ერისთავის ან დიდებული აზნაურის მეუღლე ყოფილიყავით, მაშინ სულ სხვაა და შეუძლებელი იქნებოდა თქვენთვის ასეთი საქციელის პატიება.

ეს კი ეწყინა მოხელე-მსაჯულის ცოლს:

– გაითვალისწინეთ, ტარიელ! რომ ჩემი ფულის უჯრა, თუმცა ერთი უბრალო მოხელე-მსაჯულის უჯრაა, მაგრამ იქნება უფრო უკეთ იყოს გატენილი, ვიდრე თქვენი პრანჭია, დიდებული ქალბატონებისა. მდიდარი არა ვარ, მაგრამ მაინც საკმაო შეძლება მაქვს.

– ქალბატონო, გთხოვთ, დავანებოთ თავი ამაზე საუბარს. თქვენ ნახვედით ჩემგან, ჩვენ შორის ყოველგვარი მეგობრობა გაქრა.

– ერისთავის მშვენიერ ცოლთან წადით, მე თქვენ არ გიჭერთ! ერთი მითხარით, კიდევ თუ გიყვარვართ?

– ეჰ, ქალბატონო! – დაინყო დაღონებულმა ტარომ, – საომრად მივდივართ ამ დღეებში და წინათგრძნობა მაქვს, რომ იქ მომკლავენ...

– ოჰ, მაგ საშინელ სიტყვას ნუ გამაგონებთ! – აქვითინდა მინადორა.

– ქალბატონო, გულწრფელად ვამბობ. აღარაფერი ახალისებს ამ გულს, და თუ მართალი გნებავთ, ამ გულის სიღრმეში დარჩენილი გრძნობა ისევ თქვენკენ მიზიდავს. მაგრამ, როგორც იცით, მალე საომრად უნდა წავიდე. ამიტომ ძალიან მოუცლელი ვარ. ჰო, ჯერ ჩემი აღჭურვილო-

ბის მომზადება ბევრ დროს წამართმევს. ქუთაისში, დედულეთში უნდა წავიდე და იქიდან საჭურვლის შესაძენი ფული წამოვიღო. იმ ქალბატონსაც, წელან რომ ნახეთ ეკლესიაში, იქვე, გვერდით აქვს მამული. ჰოდა, ერთად ვაპირებთ გამგზავრებას.

– მაშ, ტფილისში მეგობარი არავინა გყავთ? – ჰკითხა მინადორამ.

– მეგონა, მყავდა, მაგრამ მივხვდი, რომ ვცდებოდი, – უპასუხა ტარომ.

– გყავთ, ბატონო, გყავთ მეგობარი! – წამოიძახა აღტაცებულმა მინადორამ, – როგორც დედაჩემის დისწული, ხვალ ჩვენთან სადილად მობრძანდით. დაიხსომეთ, ვითომ იმერეთიდან მოდიხართ და რამდენიმე სადავო საქმე გაქვთ მოსაგვარებელი ტფილისში.

– ძალიან კარგი, ქალბატონო!

– ჩემს ქმარს მაგრად დაუდექით. იგი მეტად ცბიერია, მიუხედავად იმისა, რომ სამოცდათექვსმეტი წლისაა. ჰო, დიდი ხნისაა, იმ ხნის არის სანყალი კაცი, რომ შეიძლება დღეს-ხვალ ქვრივად დამტოვოს, – თქვა მინადორამ და დიდმნიშვნელოვნად გადახედა თავის შეყვარებულს, – მოგეხსენებათ, ქორწინების წეს-ადათით, ოჯახის ქონების მემკვიდრე, მეუღლეა.

– როგორცა ვხედავ, ძალიან შორსმჭვრეტელი ბრძანდებით, ჩემო კეთილო ქალბატონო მინადორა, – უთხრა ტარომ და სიყვარულით თავისკენ მიიზიდა ქალი.

– მაშ, შევრიგდით, ჩემო საყვარელო... მოღალატევი?! ნახვამდის, – უთხრა ქალმა კეკლუცი ღიმილით.

– ხვალამდე, ჩემო ანგელოზო!



## – თაზი 15 –

ქუჯი ბორენას შეუმჩნევლად მისდევდა. მან დაინახა, როგორ ჩაჯდა ქალი ეტლში და გაიგონა, როგორ უბრძანა მეეტლეს, მეტეხის უბნისაკენ წასულიყო. ქუჯი ვერცხლის ქუჩისაკენ დიდი სისწრაფით მიმავალ ეტლს ფეხით ვერ დაედევნებოდა. ამიტომ უკან, სატივეს ქუჩაზე მიბრუნდა. აქ მას ბუჭუკა შეხვდა, რომელიც პურის საცხობის სავაჭროსთან იდგა და აღტაცებით შესცქეროდა მადისალმძვრელ ნაზუქებს. ქუჯიმ ბუჭუკას უბრძანა, ვაჩე ჩიქვანის თავლაში წასულიყო, ორი ცხენი

შეეკაზმა და ავთოსთან მოეყვანა. ბუჭუკა სატივეს ქუჩისკენ წავიდა, ხოლო ქუჯი ნიაღვრის ქუჩისკენ.

ავთო დაღონებული იჯდა და განთქმულ ქინძმარაულის ღვინოს მიირთმევდა. მან ნასყიდას ანიშნა, ჭიქა ქუჯისთვისაც მოეტანა. ქუჯიმ ავთოს დანვრილებით უამბო, რაც ეკლესიაში ნახა, მთელი სცენა ტაროს და მომრიგებელ-მსაჯულის ცოლის შესახებ. ამ ნაამბობის პასუხად ავთომ უთხრა:

– ჩემი აღჭურვილობის შეძენაში ქალები არ მიიღებენ მონაწილეობას...

– თქვა მხრების აწევით და ნასყიდას ანიშნა, ღვინო მოეშველებინა. ამ დროს ოდნავ გაღებულ კარში ბუჭუკამ თავი შემოყო და თავის ბატონს მოახსენა, რომ ცხენები მზად ჰყავდა.

– რა ცხენები?! – იკითხა ავთომ.

– მინდა, მეტეხის უბნისაკენ ცხენით გავისეირნო.

– რა გინდა მაგ უბანში? – ჰკითხა ავთომ.

ამის პასუხად ქუჯიმ უამბო ეკლესიაში იმ მომხიბლავ ქალბატონთან შეხვედრა, რომელიც მცხეთაში უცნობ მტერთან ნახა და რომელთანაც კვლავ შეხვედრა მისი დაუოკებელი სურვილი იყო.

– ეს იმას ნიშნავს, რომ ის ქალიც შუშანასავით შეგყვარებია?! – უთხრა მხრების აჩეჩვით ავთომ.

– შემყვარებია? არა! – შეჰყვირა ქუჯიმ, – მე მოსვენებას არ მაძლევს ცნობისმოყვარეობა, მინდა გამოვარკვიო საიდუმლოება, რომელშიც ჩაბმულია ის მშვენიერი უცნობი ქალი.

– შენ მართალი ხარ, არ არის ქვეყანაზე ისეთი ქალი, რომ ძებნის ღირსი იყოს.

– არა, ავთო, ცდები, – მიუგო ქუჯიმ. – მე მიყვარს ჩემი შუშანა!

– გაემართე შენს ბორენასთან, ჩემო ქუჯი, გულით გისურვებ გამარჯვებას.

– რა გითხრა, ავთო იცი, ოთახში ზიხარ, თითქოს დამწყვედელი იყო... ასე მარტო შინ ჯდომას ის არ ჯობია, ცხენზე შეჯდე და ჩემთან ერთად მეტეხის უბნისკენ გამოისეირნო?

– ჩემო ქუჯი, მე ცხენით დავდივარ, როცა საკუთარი ცხენი მყავს, ხოლო თუ ცხენი არა მყავს, მაშინ ფეხით დავიარები, – უპასუხა ავთომ და ნასყიდას ანიშნა ახლად მოტანილ ღვინოს დოქე.

ქუჯი და ბუჭუკა ცხენებზე შესხდნენ და მეტეხის უბნისკენ დაადგნენ გზას. ქუჯის მთელი გზის მანძილზე ყურებში ავთოს მიერ შუშანას შესახებ ნათქვამი სიტყვები უტრიალებდა. ფიქრებში გართული დრო-

დადრო მათრახს გადაჰკრავდა ხოლმე თავის ცხენს. მალე ზემომეტეხის უბნამდე მივიდნენ. აქ კი, ერთ მიყრუებულ ქუჩაზე, გემოვნებით ნაგებ სახლთან, ნაცნობი კაცი შენიშნეს. იგი ბუჭუკამ მაშინვე იცნო.

– ნუთუ ვერ ცნობთ, ბატონო, ამ კაცს? – იკითხა ბუჭუკამ.

– ვერ ვცნობ, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ დღეს პირველად არა ვხედავ.

– მართლსა ბრძანებთ, – ნამოიძახა თავისი კარგი მეხსიერებით გახარებულმა ბუჭუკამ, – გახსოვთ ტრაპიზონისკენ მიმავალი გზა... სურამი, ბატონი აეთოს სარდაფში სიმთვრალე...

– ჰოჰ, მართლა, ვიცანი, ერთ-ერთი ბიზანტიელია ეს... მიდი ერთი, მის მსახურს დაელაპარაკე, ეცადე გაიგო იმ ქალბატონის შესახებ რაიმე.

ბუჭუკა ცხენიდან ჩამოხტა, პირდაპირ იმ უცხოელის მსახურთან მივიდა, რომელმაც იგი ვერ იცნო. მათ მეგობრული ბაასი გააბეს. ამ დროს ქუჯი ლობეს ამოეფარა. ცოტა ხნის შემდეგ მას ქვაფენილზე მომავალი ეტლის ხმა შემოესმა. უცბად იქვე მის მიერ ძებნილი ქალბატონის ეტლი გაჩერდა. ეტლში ბორენას მშვენიერი თავი მოჩანდა. ეტლიდან ცქვიტი მოახლე ჩამოხტა და იმ ტერასისკენ გაეშურა, სადაც ბუჭუკა იდგა. ბორენას მოახლე ბუჭუკასთან მივიდა და წერილი გაუწოდა.

– თქვენს ბატონს მიაღწევით!

– ჩემს ბატონს?.. – გაიკვირვა ბუჭუკამ.

მოახლემ წერილი გადასცა თუ არა, უკან დაბრუნდა და ეტლმა გზა განაგრძო. ბუჭუკამ წერილი შეათვალიერა და ქუჯისკენ წავიდა.

– თქვენთვისაა!

– ჩემთან, ნამდვილად? – გაუკვირდა ქუჯის.

– დარწმუნებული გახლავართ! შენს ბატონს მიაღწეო, – მითხრა იმ კაი გოგომ.

ქუჯიმ წერილი გახსნა. ამ ბარათით ბორენა ორთაჭალის ბაღში ვიდაც მამაკაცს სასიყვარულო შეხვედრას უნიშნავდა.

– ბუჭუკ! რა გაიგე იმ უცხოელზე?

– ჰო, ბატონო, მისმა მსახურმა ვერ მიცნო.

ბუჭუკა და ქუჯი მოახტნენ ცხენებს და ეტლის დასაწევად გააჭენეს. მის დაწევას დიდი ხანი არ მონდომებია. მალევე გზის პირას გაჩერებული ბორენას ეტლი დაინახეს, რომელთანაც მდიდრულად მორთული მხედარი იდგა. ბორენასა და ამ მხედარს შორის იმდენად გაცხარებული ბაასი იყო, რომ იქვე ცხენით მისული ქუჯი ვერც კი შეამჩნიეს. ბორენა და მისი თანამოსაუბრე ბერძნულად ლაპარაკობდნენ. გაცხა-

რებულმა ბაასმა ქუჯი მიახვედრა, რომ ძალიან განრისხებული უნდა ყოფილიყო მშვენიერი ბორენა. რალაცა თქვა მოთმინება დაკარგულმა ქალმა და სახეზე აღშფოთება აესახა. მხედარი კი ამ დროს იცინოდა. დროა სწორედ, ჩავერიოო, გაიფიქრა ქუჯიმ, ეტლთან მივიდა და ქალს მიმართა:

– ნება მიბოძეთ, ქალბატონო, შემოგთავაზოთ ჩემი დახმარება. მე მგონია, რომ ამ მხედარმა გაგაჯავრათ. თქვენი ერთი სიტყვა საკმარისია, რომ მას ვანანო ქალისადმი ასეთი უპატივცემულობა.

ქუჯის ნათქვამით გაკვირვებული ქალბატონი მობრუნდა და ქართულად უპასუხა:

– სიამოვნებით მივიღებდი, ბატონო, თქვენს მფარველობას, ჩემი ახლობელი რომ არ იყოს ეს ადამიანი, რომელიც ასე მაჯავრებს.

– ჰოჰ, ეგ მე არ ვიცოდი, მაპატიეთ, ქალბატონო, – მიმართა ზრდილობიანად ქუჯიმ.

– სხვის საქმეში რას ეჩრება ეგ ვაჟბატონი? – შეჰყვირა მხედარმა, რომელიც თავის ახლობლად დაასახელა ქალმა.

უცნობმა ქალს რამდენიმე სიტყვა ბერძნულად უთხრა.

– მე ქართულად გელაპარაკებით, კეთილ ინებეთ და ამავე ენაზე გამეცით პასუხი! – შეუტია ქუჯიმ.

ბორენას შეეძლო, რომ მეტად აღარ გაემწვავებინა კაცებს შორის მომხდარი ეს შელაპარაკება. მაგრამ პირიქით, იგი აღარ ჩაერია და მეეტლეს უბრძანა შინისაკენ წასულიყო.

ეტლი წავიდა. პირისპირ დარჩნენ ქუჯი და უცხო მხედარი. ამ მხედარსაც უნდოდა ეტლს გაჰყოლოდა, მაგრამ გაბრაზებული ქუჯი მივარდა, აღვირში სწვდა მის ცხენს და შეაყენა. ქუჯიმ ახლა გაიხსენა და იცნო სურამის სასტუმროში ნანახი უცხოელი, რომელმაც ავთოს ცხენი მოუგო.

– ეი, ბატონო, თქვენ და მე ანგარიში გვაქვს ხმლით გასასწორებელი.

– ოჰ, ეს თქვენა ხართ? მაშ, სულ უნდა თამაშობდეთ, ხან კამათლით, ხან იარაღით?

– დიახ, კარგია, რომ მომაგონეთ სურამის ის ამბავი... უნდა გადაგიხადოთ. ეხლა გამოჩნდება, თუ ისევე კარგად ხმარობთ ხმალს, როგორც კამათელს. კარგით, ჩემო ღირსეულო მოქიშპევე, ხვალ მობრძანდით. ლურჯი მონასტრის უკან, ხევში, საუცხოო უბანი გახლავთ ისეთი საქმის გარჩევისათვის, რომელსაც ჩვენ ვაპირებთ.

– ძალიან კარგი, მაშ, იქ გნახავთ. მზის ჩრდილი რომ შუბისტარზე იქნება.

- მართლა, თქვენც ხომ გეყოლებათ ერთი-ორი კარგი მეგობარი?
- სამი მეგობარი მყავს და დიდ პატივად ჩათვლიან, თან მეახლონ.
- სამიო? დიდებულა! რა კარგად დაემთხვა! – წამოიძახა ქუჯიმ, – მეც სწორედ სამი მეგობარი მყავს.
- ახლა ეს მითხარით, ვინა ბრძანდებით, ბატონო? – ჰკითხა ბიზანტიელმა.
- მე გახლავართ აზნაური ქუჯი-გიორგი შელიების გვარიდან, ოდიშელი კეთილშობილი, ბატონი ავაგ არტანუჯელის სამეფო რაზმელი.
- მე გახლავართ იასონ გიაგუშულოსი, ბიზანტიის კეისრის დიდებული, ტრაპიზონში ციხე-დარბაზის მფლობელი.
- თქვენი უმორჩილესი მონა გახლავართ, ბატონო იასონ, – გამოეთხოვა ქუჯი, – თუმცა ისეთი გვარი გქონიათ, რომ ვერც კი გამოთქვამს ქართულად ადამიანი.

ქუჯიმ ცხენს მათრახი გადაუჭირა და კალოუზნის ნიაღვრის ქუჩისაკენ გააჭენა. ამგვარ შემთხვევაში ჩვეულებად ჰქონდა, ავთო უნდა ენახა, ამიტომ პირდაპირ თავისი მეგობრისკენ წავიდა. ავთო ტახტზე წამოგორებულიყო. იგი, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, მასთან თავისით მისულ საჭირო აღჭურვილობას ელოდა. ქუჯიმ დანვრილებით უამბო ავთოს თავისი ახალი თავგადასავალი. ავთო აღტაცებული დარჩა, როდესაც გაიგო, რომ უცხოელს უნდა შებრძოლებოდა. მაშინვე აფრინეს მსახურები ტაროს და ამოს მოსაყვანად, რომლებიც დაუყოვნებლივ იქ გაჩნდნენ. საქმის ვითარება მათაც გააგებინეს. ტარომ მაშინვე ქარქაშიდან ამოიღო ხმალი და ფარიკაობაში გავარჯიშება დაიწყო კედელთან. იგი მოცეკვავესავით ხტოდა. ამოს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა თავისი პოემა, მეორე ოთახში ჩაიკეტა და ითხოვა, სადილამდე არ შეეწუხებინათ. ავთომ ნასყიდას ანიშნა, დოქით ღვინო მოეტანა. ქუჯი კი იჯდა და ერთგვარ გეგმაზე ფიქრობდა, რომლის განხორციელებასაც მალე აპირებდა.

მეორე დღეს, დანიშნულ დროს მეგობრები, ოთხივე მსახურის თანხლებით, ლურჯი მონასტრის უკან, ხევში გამოცხადდნენ. ავთომ მსახურებს უბრძანა, ყურადღებით ედარაჯათ. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მდუმარედ მომავალი უცხოელთა ჯგუფი. ისინიც დამხვდურებს შეუერთდნენ, რასაც მათი ურთიერთგაცნობა მოჰყვა. წარჩინებული წოდების ბიზანტიელები მოწინააღმდეგეების უცნაურმა სახელებმა განაცვიფრა.

– იმის მიუხედავად, რომ თქვენი ამხანაგები უკვე წარმოგვიდგინეთ, ჩვენ მაინც არ ვიცით, ვინ ბრძანდებით. ჩვენ არ შეგვიძლია შევებრძო-



ლოთ ასეთი სახელების პატრონთ, – მიმართა იასონ გიაგუპულოსმა ქუჯის.

– მე მგონი ხედებით, ბატონო ჩემო, რომ ეს სახელები მხოლოდ შეკვეცილია, – თქვა ავთომ.

– მით უფრო გვსურს, გავიგოთ მონინალმდეგეთა ნამდვილი ვინაობა-წარმომავლობა, – უპასუხა იასონ გიაგუპულოსმა.

– ამას წინათ ცხენები რომ მოგვიგეთ, კარგად იკადრეთ ჩვენთან თამაში, – შენიშნა ავთომ.

– ეგ მართალია, მაგრამ იქ საქმე ფულს ეხებოდა, აქ კი განსაცდელში ვაყენებთ ჩვენს სიცოცხლეს.

– მართალია! – თქვა ავთომ და ხელი მოჰკიდა იმ უცხოელს, რომელსაც თვითონ უნდა შებრძოლებოდა, გვერდზე გაიყვანა და ჩუმად თავისი წარმომავლობა უთხრა. ასევე მოიქცნენ ტარო და ამო.

– დაკმაყოფილდით?! – მიმართა თავის მონინალმდეგეს ავთომ, – საკმარისად დიდებულად მცნობთ, რომ პატივი დამდოთ და ხმალი გადამიჯვარედინოთ?

– დიახ! – მიუგო უცხოელმა და თავი დაუკრა.

– ძალიან კარგი! ერთ რამეს კიდევ მოგახსენებთ. კარგს იზამდით, არ დაინტერესებულებოდათ ჩემი წარმომავლობით. ყველას მკვდარი ვგონივარ და არ მინდა იცოდნენ ჩემი არსებობა. ამიტომ იძულებული ვიქნები, აღარ დაგინდოთ. არ მინდა, ქვეყანას მოეფინოს ჩემი საიდუმლოება.

უცხოელი ავთოს დააცქერდა, ეგონა, მეხუმრებაო, მაგრამ ხუმრობის გუნებაზე არ გახლდათ მონასპელი.

– აბა, ბატონებო, მზად ვართ თუ არა? – მიმართა ავთომ მოქიშპეებს.

– დიახ, დავინყოთ! – უპასუხა ყველამ, – მზის სხივებში იმ წუთშივე შეითამაშა რვა ხმაღმა და საშინელი მძვინვარებით დაიწყო ბრძოლა სრულიად უცნობ ადამიანებს შორის. ავთო ისე დინჯად და წესების ზუსტი დაცვით იბრძოდა, თითქოს საფარიკაო, სასწავლო არენაზე ყოფილიყო. ტაროსათვის, ეტყობოდა, კარგი ვაკვეთილი მიეცა მცხეთაში მიღებულ ჭრილობებს, ამიტომ მეტად ფრთხილად და მოხერხებულად ათამაშებდა ხმაღს. ამოს, რომელსაც დასამთავრებელი ჰქონდა თავისი პოემის მეორე თავი, ცდილობდა, მალე მოეღო ბოლო ამ შერკინებისათვის. პირველად ავთომ მოკლა უცხოელი, მხოლოდ ერთხელ ჩაჰკრა, მაგრამ, როგორც თვითონ დაემუქრა, სასიკვდილოდ გაუგმირა გული. მეორემ, ტარომ დასცა თავისი მონინალმდეგე, რომელმაც ბარძაყში

მიღებული ჭრილობის გამო წინააღმდეგობის განწევა ვეღარ შეძლო და დანებდა. ტარომ უცხოელს ჭრილობა შეუხვია და თავის ცხენამდე მიაცილა. ამომ ისე მაგრად შეუტია მოპირდაპირეს, რომ უკან დახვევის შემდეგ, მან მთელი სისწრაფით მოკურცხლა. ქუჯიმ კი უბრალო თამაშად გადააქცია ეს შერკინება, ხოლო, როდესაც შეატყო, რომ მოპირდაპირე მოიქანცა, ენერგიული დარტყმით ხმალი ხელიდან გააგდებინა. უხმლოდ დარჩენილმა იასონმა სამი ნაბიჯით უკან დაინია, მაგრამ უცებ ფეხი ქვას წამოსდო და მიწაზე გაიშხლართა. ქუჯიმ სწრაფად ხმალი ყელზე მიაჭირა.

– ჩემს ხელთა ხართ, შემძლია აქვე გაგათავოთ, მაგრამ თქვენი ახლობელი ქალის პატივისცემის გამო თქვენთვის სიცოცხლე მიჩუქება.

ქუჯის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. მის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმა ხორციელდებოდა. ასეთი ზრდილი და კეთილშობილი მტრით აღტაცებულმა ტრაპიზონელმა ბიზანტიელმა ქუჯის დიდი მადლობა გადაუხადა. რაკი ტაროს მიერ ფეხში დაჭრილი უკვე ცხენზე იჯდა, ხოლო ამოს სამარცხვინოდ გაქცეულ მოპირდაპირეს გზა აემტვერებინა, ყველას ყურადღება მოკლულმა მიიქცია. ტარო და ამო ტანისამოსს ხდიდნენ უბედურს, იმედი ჰქონდათ, იქნება სასიკვდილო არ გამომდგარიყო ჭრილობა. გარდაცვლილს ქამარზე დამაგრებული ქისა გადმოუვარდა. ქუჯიმ ქისა აიღო და იასონ გიაგუპულოსს მიანოდა.

– მე რატომ მანვდით მაგ ქისას? – გაიკვირვა მან.

– ამ დაღუპულის ცოლ-შვილს მიეცით! – უპასუხა ქუჯიმ.

– მისი ცოლ-შვილისათვის ეს უმნიშვნელო ფულია. იგი ფრიად მდიდარი ადამიანი იყო. ამიტომ ჯობია ეს ფული თქვენს მსახურებს უბოძოთ. ახლა კი, ჩემო მეგობარო, ვიმედოვნებ, უფლებას მომცემთ, ასე მოგმართოთ, დღეს საღამოთი წარგადგენთ ჩემს ახლობელ ბანოვან ბორენა გიაგუპულოსთან. იგი საკმაოდ გავლენიანი პიროვნებაა და შეიძლება მისი ნაცნობობა თქვენთვის მომავალში სასარგებლო გახდეს.

ქუჯი სიამოვნებისაგან გაიბადრა და წამოწითლდა.

გამოთხოვებისას იასონმა თავისი ახლობელი ქალის მისამართი გადასცა ქუჯის. იგი ზემომეტყვის უბანში ვერცხლის ქუჩაზე ცხოვრობდა. ქუჯიმ მასთან შეხვედრის ადგილად ავთოს სახლი მიუთითა, სადაც იასონ გიაგუპულოსი საღამოს უნდა მისულიყო. ქუჯი წინასწარ ღელავდა, აგონდებოდა, როგორი უცნაური შემთხვევითობით იჭრებოდა ეს ქალი მის ცხოვრებაში. დარწმუნებული იყო, რომ ბორენა დავით ვე-

ზირს ემსახურებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, რაღაც დაუოკებელი ძალა მისკენ იზიდავდა. ეშინოდა ქუჯის, ბორენამ არ გაიხსენოს მცხეთაში მომხდარი ამბავი. ამით ქუჯი ამ თამაშში უპირატესობას კარგავდა. რაც შეეხება ბორენას მიერ ერისთავ ბოცო ახალციხელისადმი არშეიყობის დაწყებას, ამას ყურადღებას არ აქცევდა ქუჯი. თუმცა იგი კარგად ხედავდა, რომ ერისთავი წარჩინებული გვარის, მდიდარი და წარმოსადეგი კაცი იყო, რომელსაც წყალობის თვალთ უყურებდა დავით დიდვეზირი.

ქუჯი ჯერ შინ მივიდა, რათა ტანისამოსი გამოეცვალა. მერე ავთოსთან გაიარა და ყველაფერი უამბო. ავთომ ჭმუნვით მოუსმინა და ურჩია, ფრთხილად ემოქმედა.

– როგორ! – მიმართა გაკვირვებულმა ავთომ, – შენ ეს არის დაჰკარგე ქალი, რომელიც სატროფოდ მიგაჩნდა და ახლა უკვე მეორეს დასდევ?...

ქუჯიმ ანაზღად იგრძნო ამ საყვედურის სიმართლე.

– შუშანა გულით მიყვარდა, ბორენა კი თავით მიყვარს. მისი გაცნობა იმიტომ მინდა, რომ გავიგო, რა როლი აქვს მას დავით ვეზირის კარზე.

– რა როლი აქვს? განა ძნელია მაგის გამორკვევა იმ ცნობებიდან, რომელიც მიაბზე? ჩვენი დიდვეზირის მონა-მორჩილია, მისი ჯაშუშია. ჩემო ქუჯი, იცოდე ეს ქალი მახეში გაგაბამს.

– ჰოჰ, ავთო! ყველაფერი მეტად შავად გერჩვენება.

– ძვირფასო, რას იზამ, ქალებს ვერ ვენდობი. მეტადრე მომწვანო ფერის თვალებიანებს, ბორენაც ეგეთია, არა? მგონია, ასე მითხარი.

– საუცხოო, მომწვანო თვალები აქვს.

– ოჰ, ჩემო საბრალო ქუჯი! – ამოიოხრა ავთომ.

– ავთო, მომისმინე, მინდა გამოვარკვიო, რაც მანუხებს, გავიგებ და აღარ გავეკარები.

– გამოარკვიე... – უპასუხა დაღონებულმა ავთომ.

დანიშნულ დროს იასონ გიაგუპულოსი მოვიდა. ავთო მაშინვე მეორე ოთახში გავიდა. იასონს მარტო ქუჯი დაუხვდა. ისინი ცხენებზე შესხდნენ და მალევე ბორენას სახლთან ვერცხლის ქუჩაზე იყვნენ. ბორენას სახლი მეტად მდიდრულად იყო მორთული.

– თქვენ წინაშე გახლავთ ქუჯი-გიორგი აზნაურ შელიების საგვარეულოდან, – მიმართა ბორენას იასონმა ქუჯის წარდგენისას, – კეთილშობილი ყმანვილი, რომლის ხელთ იყო ჩემი სიცოცხლე, მაგრამ მან არ ისურვა უპირატესობით სარგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ მტრობა ჰქონდა ჩემთან.

ბორენა გიაგუშულოსმა ცივად მიიღო ქუჯი-გიორგი. ქალმა წარბი ოდნავ შეიჭმუნა, თითქმის შეუმჩნეველმა ღრუბელმა გაურბინა შუბლზე და მის ბაგეზე ისეთი უცნაური ღიმილი გამოჩნდა, რომ ყმანვილი კაცი, რომელსაც არ გამოჰპარვია მისი გამომეტყველების ცვალებადობა, თრთოლამ აიტანა.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო, დღეიდან თქვენ საუკუნოდ მოიპოვეთ ჩემი გულითადი მადლობა, – მიმართა ქალმა ალერსიანი, შემპარავი ხმით.

იასონ გიაგუშულოსმა ბორენას დანვრილებით უამბო ლურჯ მონასტერთან მომხდარი ამბავი. ბორენა ყურადღებით უსმენდა, მაგრამ ჩანდა, რომ მას სრულებითაც არ სიამოვნებდა ყოველივე, თუმცა ცდილობდა, არ გამოემყლავნებინა თავისი განწყობა. იასონმა მოყოლა რომ დაამთავრა, მაგიდასთან მივიდა, რომელზედაც საფერავით სავსე ღვინის სურა და ჭიქები იდგა. მან ორი სასმისი ღვინით შეავსო და ქუჯისაც გადააწოდა. ქუჯიმ ძალიან კარგად იცოდა სუფრის წესები, ამიტომ მან სასმისი მიიღო. იგი თან თვალს არ აშორებდა ბორენას, რომელსაც ეგონა, აღარავინ მიყურებსო და მძვინვარე სახე მიეღო. ამ დროს ოთახში ის ახალგაზრდა კოხტა მოახლე შემოვიდა, რომელიც კარგად დამახსოვრებოდა ქუჯის. მან ბერძნულად რამდენიმე სიტყვა მოახსენა იასონს.

– ბატონო ქუჯი, ბოდიში, რომ სასწრაფო საქმის გამო იძულებული გავხდი დაგტოვოთ. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ბორენა გამოისყიდის ჩემს დანაშაულს.

ქუჯიმ ხელი ჩამოართვა იასონს და ისევ ბორენასთან მივიდა. ქალმა გასაკვირი სისწრაფით გამოიცვალა წელანდელი მძვინვარე გამომეტყველება და მასპინძლის ტკბილი სახით დაუხვდა სტუმარს. ბორენა საფერავის ღვინომ კარგ გუნებაზე დააყენა და გამოაცოცხლა. მან ქუჯის უამბო, რომ იასონი მისი მავალი იყო. ქმარი, იასონის ძმა ახალგაზრდა გარდაცვლილიყო და ბორენა ქვრივად დაუტოვებია. იგი თურმე ერთადერთი მემკვიდრე იყო იასონის, თუკი ის ცოლს არ შეერთავდა. ქუჯი გრძნობდა, რომ რაღაც საიდუმლოებით მოცული ფარდა იყო ჩამოფარებული მათ შორის, მაგრამ რა იმალებოდა ამ ფარდის უკან, იგი ჯერ ვერ მიმხვდარიყო.

ქუჯი ქათინაურებით თავის ერთგულებას უმტკიცებდა ბორენას. ქალი კი ისმენდა ყმანვილი კაცის ლაყბობას და გულკეთილად იღიმებოდა. შემდეგ ქუჯი ბედნიერი სახით გამოეთხოვა მასპინძელს და ჭიშ-

კრისაკენ ნავიდა. მას, დარბაზიდან გამოსულს, კიბეზე ბორენას კოხტა მოახლე შეხვდა, რომელმაც გვერდით გაუარა, ოდნავ გაეხახუნა და ყურებად განითლდა. ქუჯი მეორე დღესაც მივიდა ბორენას სანახავად. ამჯერად უფრო უკეთ მიიღეს. ეტყობოდა, ქალს აინტერესებდა ქუჯი-გიორგის ვინაობა და ჰკითხა, სადაური ბრძანდებოდა, ვინ იყვნენ მისი მეგობრები, უფიქრია თუ არა დავით ვეზირთან შესულიყო სამსახურში. მაგრამ ქუჯი მეტად ფრთხილობდა. ბორენამ საუბრის საგანი შეცვალა და სხვათა შორის იკითხა: ტრაპიზონში ხომ არ ყოფილხართ როდისმეო? ქუჯიმ უპასუხა, იქ ბატონმა ვაჩე ჩიქვანმა გამაგზავნა ცხენების შესაძენად და ოთხი საგანგებო ცხენი გადმოვიყვანეო.

ამ საუბრის დროს ბორენა გრძნობდა, რომ საქმე ეშმაკ ოდიშელთან ჰქონდა, რომელიც მეტად მოხერხებული ბრძანდებოდა. ქუჯი ახლაც სწორედ იმ დროს გამოეთხოვა ბორენას, როგორც წინა ღამეს. დერეფანში მას კვლავ დაუხვდა ის ღამაზი მხევალი ქეთევანი. იგი ისეთი ალერსიანი თვალებით შეჰყურებდა ყმანვილკაცს, რომ, ეჭვი არ იყო, მას შესტროფოდა. მაგრამ მისი ქალბატონით გატაცებული ქუჯი სხვას ვერავის ამჩნევდა.

ქუჯი ყოველ საღამოს დადიოდა ბორენას სანახავად. მასპინძელი დღითიდღე უფრო უკეთესად ხვდებოდა. ყოველ საღამოს, იქნებოდა ეს კიბეზე, დერეფანში თუ დარბაზის მოსაცდელ ოთახში, ცუგრუმელა ქეთი უნდა დახვედროდა ქუჯის. მაგრამ ზვიადი ქუჯი ამ გოგოს ალერსიან თვალებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.



## – თაპი 16 –

ტაროს მომრიგებელ-მოსამართლის ცოლთან სადილი ჰქონდა და-ნიშნული. ამიტომ ბოჩიას წინასწარ ჯაგრისით გააპრიალეზინა წაღები. შემდეგ ტარო რიყის უბანში, მრეცხავთა ქუჩისკენ, ბედნიერი კაცის ნაბიჯით გაემართა. მას გული გამალებით უცემდა, მაგრამ ეს არ ჰგავდა ჭაბუკურ, მოუთმენელ სიყვარულს. იგი უფრო ნივთიერი გამორჩენით გახლდათ განპირობებული. ტაროს ძლივს უნდა ღირსებოდა იმ ზღურბლის გადაბიჯება და კიბის ავლა, რომელზედაც ცალობით მიისწრაფოდნენ ბატონი ანანიას ოქროს ფულები. ახლა უკვე ნახავდა

იმ ფულით საცხე სკივრს, რომელიც ხშირად ესიზმრებოდა. რამდენჯერ სმენია მას ქალბატონი მინადორასგან ამ სკივრზე საუბარი. გარდა ამისა, სხვა ნეტარებაც მოელოდა თავმოყვარე მონასპელს, რომელსაც არც ოჯახი ჰქონდა, არც ქონება. იგი მეომარი იყო და დუქნების მუდმივი მუშტარი, რომელიც შემთხვევითი სადილებით კმაყოფილდებოდა. ახლა კი ტარო შინაური სადილით უნდა დამტკბარიყო.

დეიდაშვილად გაცნობილ ტაროს საშუალება ეძლეოდა, ყოველდღე სწევოდა მომრიგებელ-მსაჯულს სადილად და გაემხიარულებინა მცხოვანი ანანია. მართალია, მონასპელის ყურამდეც მიდიოდა ხმები ძუნ მსაჯულზე, მაგრამ ტაროს იმედი ჰქონდა, რომ ანანიას ცოლი, რომელიც წოდების კვალობაზე საკმაოდ გულუხვი იყო, თავის ოჯახში ხელგაშლილად იცხოვრებდა. მაგრამ სახლს რომ მიადგა, ტაროს ეჭვი დაეზადა. შესასვლელი ჭუჭყიანი, დერეფანი ჩაბნელებული, დაბალი ჭერი, კარებზე და ფანჯრებზე ჩაჟანგული გისოსები იყო. ტაროს კაკუნზე გამხდარმა და გაბურძგნულმა მსახურმა გააღო კარი.

დათქმულ დროს მინადორა დიასახლისი ქუჩას თვალს არ აშორებდა. იგი სატროს ალგზნებული ელოდებოდა. ქალბატონი მინადორა თავისი ოთახიდან სწორედ იმ დროს გამოვიდა, როდესაც ტარო კიბეზე ამოდიოდა. მინადორას გამოჩენამ ღირსეული მონასპელი უხერხული მდგომარეობიდან გამოიყვანა.

– ეს ხომ ჩემი დეიდაშვილი ტაროა! მობრძანდი! – შეჰყვირა დიასახლისმა.

მომრიგებელი-მსაჯულის სამუშაო ოთახში მისვლამდე გაიარეს მოსაცდელი ოთახი, სადაც გადამწერ-მდივნები ისხდნენ. იქიდან რომ გამოვიდნენ, მარჯვნივ, მისაღებ დარბაზში შევიდნენ. კარები ყველგან ღია იყო, კაცს რომ ხმა ამოელო, ყველა ოთახში გაიგონებდნენ. ტაროს არ ეჭაშნიკა, რომ ვერ შენიშნა ის ფაციფუცი, რომელიც კარგი სადილის მოსამზადებლად მეფობს ჭამა-სმის მოყვარულთა საგამგებლოში. მომრიგებელი-მსაჯული ალბათ წინასწარ იყო გაფრთხილებული, რადგანაც ტაროს დანახვაზე ოდნავი განცვიფრებაც კი არ გამოუხატია. მონასპელი ზრდილობიანად მიესალმა.

– ბატონო ტარიელ, ჩანს, ჩვენ ნათესავეები ვყოფილვართ?! – უთხრა მსაჯულმა.

მოხუც ანანიას შავი სამოსი ეცვა და ისე იყო შეფუთნული, რომ თავისი სუსტი ტანით შიგ იკარგებოდა. ჩამომხმარს მომცრო თვალები საოცრად უბრწყინავდა და პირს კი შეუჩერებლივ აცმაცუნებდა. ანა-

ნია უკვე კარგა ხანი იყო, რაც ველარ დგებოდა სავარძლიდან. დაავადებულმა ფეხებმა უმტყუნეს. ამიტომ მორჩილად მიიღო ანანია თავისი ცოლის ნათესავი. ცხადია, ცოტა ჯანი რომ ჰქონოდა, მომრიგებელი-მსაჯული არც ტაროს გაცნობას ისურვებდა და არც მის ნათესაობას.

– დიახ, ბატონო, ნათესავები ვყოფილვართ, – მიუგო გულცივად ტარომ.

– ჰო... ნათესავები! – დამცინავად ჩაიქირქილა ანანია.

ბატონმა ანანიამ აღარ განაგრძო ნათესაობის გენეალოგიური კვლევა.

– იმედი მაქვს, ჩვენი დეიდაშვილი, საბრძოლველად ნაბრძანების წინ, პატივს გვცემს და ერთხელ მაინც დარჩება სადილად ჩვენთან! რას იტყვით, ქალბატონო მინადლორა?

– თუ ახლა ცუდად დავუხვდით, ჩემი დეიდაშვილი აღარ მოვა ჩვენთან, ხოლო თუ გულითადად ვუმასპინძლეთ, მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ მას ტფილისში დიდხანს აღარ მოუნევს ყოფნა, მაინც შეგვეძლება ვთხოვოთ, ჩვენ შემოგვწიროს საომრად გამგზავრებამდე დარჩენილი დრო.

მალე სადილობის დრომაც მოაწია და ყველანი პირქუშ სასადილო დარბაზში გავიდნენ. საჭმლის სურნელებით აღგზნებული, დამშეული მდივან-გადამწერები მოუთმენლად ელოდნენ მაგიდასთან შემოსხდომას. ამ დროს ანანიაც გამოჩნდა, მას მინადლორა მოაგორებდა ბორბლებიანი სავარძლით. სასადილო ოთახში შემოსვლისთანავე მსაჯულმა ანანიამ ხარბად შეიყნოსა ჰაერი.

– ოჰო! აი მადისამშლელი წვნიანის ოხშივარი, – წამოიძახა მან.

ნეტავი ამ წვნიანში რას ხედავს ასეთ არაჩვეულებრივსო გაიფიქრა ტარომ, წყალწყალა, მაგრამ უხვი წვნიანის დანახვაზე, რომელშიც ორცხობილის ნატეხები დაცურავდა. ქალბატონმა მინადლორამ გაიღიმა და მის ამ ნიშანზე ყველანი მაშინვე გაფაციცებით მიუსხდნენ სუფრას. ჯერ მოხუცებულს მიართვეს წვნიანი, შემდეგ ტაროს, მერე დიასახლისმა აივსო თავისი მოჭიქული მათლაფა. ბეჩავ მდივნებს მხოლოდ უპურო წვნიანი ერგოთ. წვნიანის შემდეგ მსახურმა ქალმა მოხარული ქათამი შემოიტანა, რომლის დანახვაზეც ყველას თვალები გადმოსცვივდა.

– ნათესავის სიყვარულიც ამას ჰქვია, ძვირფასო მინადლორა! – თქვა ანანიამ ნაძალადევი ღიმილით.

საწყალი ქათამი მეტად გამხდარი იყო და სქელი, ხორკლიანი ტყავი ჰქონდა. მასზე ხორცი ნაკლებად შეიმჩნეოდა. ტარომ თვალი გადაავლო მაგიდას იმაში დასარწმუნებლად, თუ რამდენად იზიარებდნენ სხვები

მის, ქათამთან დაკავშირებულ, მწუხარებას, მაგრამ იგი განცვიფრებული დარჩა. ყველა აღტაცებით შეჰხაროდა მოხარულ დედალს და თვალთ ჭამდნენ მის მიერ დაწუნებულ ძვალსა და ტყავს. დიასახლისმა ახლოს მიიდგა ლანგარი, მარჯვედ ჩამოჭრა დედალს ორივე მოლურჯო ფეხი და ქმრის და ტაროს თეფშზე დადო. მერე აიღო ლანგარი და მსახურს უკანვე გაატანა. მალე, დედლის ნაცვლად, თასით შილაფლავი შემოიტანეს, რომელშიც შიგადაშიგ ცხვრის ძვლები მოჩანდა. შეიძლება გეფიქრათ, ძვალზე ხორციც იქნებოდაო, მაგრამ მწარედ მოტყუვდებოდით. ქალბატონმა მინადორამ მათ ნამდვილი დიასახლისური მომჭირნეობით ჩამოურიგა შილაფლავი. ბატონმა ანანიამ მომცრო დოქიდან ღვინო სასმისებში ჩამოასხა. მერე დოქი ტაროსა და მინადორასაკენ გადადგა. მდივნებმა სასმისში წყალი ჩაამატეს, შემდეგ მოსვეს და კვლავ წყლით გაავსეს... ტარომ დიდი შიშით შეჭამა ქათმის ბარკალი და თრთოლა მოერია, როდესაც მაგიდის ქვეშ მუხლზე დიასახლისის ფეხის შეხება იგრძნო.

– ფლავს არ ინებებთ, დეიდაშვილო? – იკითხა დიასახლისმა.

„მაგას რა მაჭმევს“, გაიფიქრა ტარომ. სიჩუმე ჩამოვარდა, ტარომ აღარ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი.

– ქალბატონო მინადორა! მიიღეთ ჩემი ქება-დიდება, სწორედაც საზეიმო იყო ეს სადილი! აჰ, ამდენი არასოდეს არ მიჭამია, – აღნიშნა ანანიამ. მამასხარავებენ, იფიქრა ტარომ და ბრაზი მოერია. მაგრამ მინადორას მუხლი კვლავ ისე ნაზად შეეხო, თითქოს ურჩევდა, ცოტა ხანს კიდევ მოითმინეო.

– წადით, ყმაწვილებო, საქმეს შეუდექით, მუშაობაში მოინელეთ დღევანდელი სადილი, – უთხრა მდივნებს ანანიამ. ისინიც ზღაზვნით წამოდგნენ და გავიდნენ.

მდივნების გასვლისთანავე დიასახლისი წამოდგა, განჯინიდან გამოიღო ცხვრის ყველი, კომპის ჩირი და ნამცხვარი, რომელიც თვითონ მოემზადებინა თავლითა და ნიგვზით. შუბლი შეიკრა მსაჯულმა, რადგანაც მეტისმეტად ბევრ საქმელს ხედავდა. ტაროსაც არ ეპაა ამ ნამცხვრის დანახვა, იგრძნო, რომ უსადილოდ დარჩა. მან სუფრას გადახედა, იქნება ის ფლავი მაინც გადავიღოო, მაგრამ შილაფლავი მაგიდაზე უკვე აღარ ჩანდა.

– ნამდვილი საზეიმო სადილია! – შეჰყვირა ანანიამ და ცმუკვა დაიწყო.

ტარომ ახლომდგომ დოქს შეხედა, იმედი მიეცა, ღვინით, პურით და ყველით ვისადილებ როგორმეო, მაგრამ დოქი ცარიელი გამოდგა.



ტარო გამწარებული სახით ნამცხვარს დასწვდა, მაგრამ ლამის კბილებში ჩაწევა მინადორას ნახელავი.

სადილის შემდეგ მსაჯულმა დასვენება მოისურვა, რაც ტაროს ეამა, ეგონა, აქვე დარჩებაო, მაგრამ ამის გაგონებაც კი არ უნდოდა შეჩვენებულ ბებერს. ამიტომ იძულებულნი გახდნენ, ისევ თავის ოთახში, საგანძურთან გაეყვანათ. ამ დროს კი დიასახლისმა ტარო მეზობელ ოთახში შეიტყუა და შერიგების პირობებზე დაუწყო საუბარი.

– შვიდ დღეში ერთხელ შეგიძლიათ სადილად მოზრძანდეთ, – უთხრა მინადორამ.

– გმადლობთ, არ მინდა თქვენი შეწუხება. გარდა ამისა, ჩემს ალჭურვილობაზედაც უნდა ვიზრუნო, – მიუგო ტარომ.

– ჰო, მართლა, ეგ ალჭურვილობა! – ამოიკენესა მინადორამ, – ერთი მითხარი, ტარიელ, რისგან შედგება ეგ შენი ალჭურვილობა?

– უჰ, მრავალი რამ არის საჭირო, – დაიწყო ტარომ, – მონასპელები, როგორც თქვენც იცით, რჩეული, პირველხარისხოვანი ჯარისკაცები არიან და ბევრი რამ სჭირდებათ ისეთი, რომელიც სრულებითაც არ მოეპოვებათ ჩრდილოეთიდან გადმოყვანილ დაქირავებულ რაზმელებს.

– კარგით, მაგრამ მაინც დამისახელეთ.

– რალა დაგისახელოთ? სულ რომ ვიანგარიშოთ, – უთხრა ტარომ, რადგან საგნების ჩამოთვლას ფულის ანგარიშს ამჯობინებდა, – სულ რომ ვიანგარიშოთ...

– რამდენი იქნება? – იკითხა გულის კანკალით მინადორამ.

– ჰო, სულ რომ ვიანგარიშოთ, ორი ათას ხუთას სოლიდს არ აღემატება, ხოლო ყაირათიანად რომ მოვიქცე, იქნება ორი ათასითაც იოლად გამოვიდე, – თქვა ტარომ.

– ღმერთო, შენ მიშველე! ორი ათასი! ეს ხომ მთელი სიმდიდრეა! – შეჰყვირა შეშინებულმა ქალბატონმა, – დანვრილებით იმიტომ მინდა თქვენი ალჭურვილობის დასახელება, რომ სავაჭრო საქმეში დიდი გამოცდილება მაქვს და დარწმუნებული ვარ, ორჯერ უფრო იაფად შემიძლია შევიძინო ყველაფერი, ვიდრე თქვენ.

– აჰ, აი, თურმე რატომ მეკითხებოდით?!

– დიახ, ჩემო ძვირფასო ტარო, პირველ რიგში, ალბათ ცხენი დაგჭირდებათ?

– დიახ, ცხენი.

– კარგით, ცხენის საქმე უკვე მოგვარებულია.

– ქალბატონო, – წამოიძახა გაბრწყინებულმა ტარომ, – მაშინ მე დამჭირდება მისი მთლიანი ალკაზმულობა, რომლის ყიდვა მხოლოდ მონას-პელს შეუძლია და მისი ფასი არ აღემატება სამასს.

– სამასი! დაე, იყოს სამასი, – დაეთანხმა ქალბატონი მინადორა.

ტაროს გაელიმა, რადგან ახსოვდა, რომ მას ჰქონდა ცხენის ალკაზმულობა გელასი კომინისაგან და ამიტომ ამ ფულის ჯიბეში ჩაჩხრია-ლებას ფიქრობდა.

– გარდა ამისა, – განაგრძობდა ტარო, – მე მჭირდება ცხენი და ჩანთა ჩემი მსახურისათვის. იარაღზე ნუ შენუხდებით, მაქვს.

– ცხენი მსახურისათვის? – ჰკითხა გაუბედავად მინადორამ, – ეს კი მეტისმეტი ფუფუნებაა, ჩემო მეგობარო.

– ხომ არ გგონიათ, ქალბატონო, რომ მე ვილაც მათხოვარი ვარ? – ჰკითხა ამაყად ტარომ.

– რასა ბრძანებთ! მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ლამაზ ჯორს ზოგჯერ ცხენზე ნაკლები შესახედაობა არა აქვს, და კარგ ჯორს რომ ვუშოვიდეთ ბოჩიას...

– კეთილი, თანახმა ვარ, იყოს ჯორი! მართალი ხართ, მე მინახავს დიდებული სპარსელი მებატონეები, რომლებსაც მთელი ამაღა ჯორებით მისდევდა. ოღონდ ეს ჯორი მართლაც მშენიერი უნდა იყოს, ვერცხლის ეჟენებით მორთული, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ქალბატონო.

– დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

– მაშ, ჩემი ჩანთაღა რჩება.

– ოჰ, მაგისტვის თავს ნუ იწუხებთ! – შეჰყვირა მინადორამ, – ჩემს ქმარს ხუთი თუ ექვსი ჩანთა აქვს, თქვენ თვითონ ამოირჩიეთ საუკეთესო. ერთი მათგანი მაინც განსაკუთრებით კარგია, სულ თან დაჰქონდა, შორს რომ მიემგზავრებოდა ხოლმე.

– ვაჰ, მაშ, ეგ ჩანთა ცარიელია? – ჰკითხა გულუბრყვილოდ ტარომ.

– რა თქმა უნდა, ცარიელია! – გულუბრყვილოდვე მიუგო ქალმა.

– ეჰ, მე კი კარგად გატენილი ჩანთა მესაჭიროება, ჩემო საყვარელო.

ამაზე ერთხელ კიდევ ამოიოხრა მინადორამ. კიდევ დიდხანს იკამათეს ტარომ და მისმა სატრფომ. ბოლოს მაინც შეთანხმდნენ. მშიერი ტარო შინ დაძმარებული დაბრუნდა.

ქუჯის, ამასობაში, თავისი სინდისის ქენჯნისა და ავთოს რჩევა-გაფრთხილების მიუხედავად, უფრო და უფრო ერეოდა ბორენასადმი სასიყვარული ვნება. ამიტომ იგი ისე არ დაიღამებდა, რომ თავის სატრფოს სანახავად არ წასულიყო და მასთან არ ეარშიყა. ქუჯის იმედი

ჰქონდა, რომ ადრე იქნებოდა თუ გვიან, ბორენა სიყვარულითვე უპასუხებდა. ერთ საღამოს, როდესაც ქუჯი ასე დაიმედებული მოდიოდა ქალთან, იქვე, შესავალ კართან, ბორენას მოახლე შეხვდა. მაგრამ ამ საღამოს ოდნავი შეხებით როდი დაკმაყოფილდა კოხტა ქეთი, მან ხელი ნაზად მოუჭირა. ეს კი კარგ ნიშნად ეჩვენა ქუჯის. იფიქრა, ალბათ ქალბატონმა დაავალა ჩემთვის რაიმეს გადმოცემაო.

– ბატონო მხედარო, მინდა, ერთი-ორი სიტყვა მოგახსენოთ, – ენა ებმოდა გოგოს.

– მითხარი, აი, გისმენ, – გაამხნევა ქუჯიმ.

– აქ არა... ჩემი სათქმელი დროს მოითხოვს და თანაც საიდუმლოა. იქნება თან გამომყვით?.. – სთხოვა ქეთიმ.

– საცა გინდოდეს, ჩემო ლამაზო ქეთუშ.

– მაშ, წამოზრძანდით!

ქეთიმ, რომელსაც ჯერ არ გაეშვა ქუჯის ხელი, ერთ ბნელ, ვიწრო კიბეზე აატარა და შემდეგ პატარა ოთახში შეიყვანა.

– ლამაზო, ეს ოთახი ვისია? – იკითხა ქუჯიმ.

– ჩემი ოთახია ბატონო მხედარო, ქალბატონის ოთახისაგან ეს კედელი ყოფს. ქუჯიმ თვალი შეავლო იქაურობას. იგი მონუსხულივით, თავისდა უნებურად თვალს ვერ აშორებდა იმ კარს, რომელიც, ქეთის თქმით, ბორენას ოთახში გადიოდა.

– ჩემი ქალბატონი ძალიან გიყვართ? – იკითხა ქეთიმ გაუბედავად.

– ოჰ, მიზიდავს მისი სიყვარული, ჩემო ქეთუშ.

– ეჰ, ბატონო, ჩემ ქალბატონს თქვენ სრულებითაც არ უყვარხართ. გადავწყვიტე ეს მეცნობებინა. აი, ეს წერილიც ამის საბუთია, – თქვა ქეთიმ და ბარათი გაუნოდა, – ბოცო ახალციხელისადმი არის მიწერილი.

თავდაჯერებულმა ქუჯიმ სწრაფად გადაიკითხა ბოცო ახალციხელისადმი მიწერილი ეს სამიჯნურო ბარათი. მას სახე ეცვალა, რადგან თავმოყვარეობა შეელახა. ქეთიმ თანაგრძნობით და ალერსიანად ყმანვილ კაცს ხელი მოუჭირა.

– ამ თანაგრძნობას და სიბრალულს ის ემჯობინება, მიშველო, რომ შენს ქალბატონზე ჯავრი ამოვიყარო.

– მერე როგორ გინდათ ჯავრის ამოყრა?

– ჯავრს მაშინ ამოვიყრი, როდესაც გავიმარჯვებ შენს ქალბატონზე, როდესაც მე დავიჭერ ჩემი მოქიშპის ადგილს.

– მე მაგაში არ დაგეხმარებით! – უთხრა დაბეჯითებით ქეთიმ.

– რატომ არ დამეხმარები? – ჰკითხა ქუჯიმ.

- იმიტომ, რომ ორი რამ მიშლის ხელს.
- მაინც რა?
- პირველი ის, რომ ჩემი ქალბატონი თქვენ არასოდეს შეგიყვარებთ.
- შენ საიდან იცი?
- მე ვიცი, რომ თქვენ მისი თავმოყვარეობა შელახეთ.
- მე როგორ? რანაირად? მას შემდეგ, რაც გავიცანი, მონასავით ვგდევარ მის ფეხქვეშ და წყალობას ვევედრები! განა რა დავაშავე? გთხოვ მითხრა!
- მე ამას ვერავის ვეტყვი... ან თუ ვეტყვი, მარტო იმ კაცს, ვინც ჩემი გულის საიდუმლოებას ნაიკითხავს.
- მეორედ დააცქერდა ქუჯი. ისეთი მშვენიერი, ისეთი ნორჩი და მიმზიდველი იყო ყმანვილი გოგო, რომ ბევრი ბრწყინვალე ქალბატონი საკმაო ქონებასაც კი არ დაიშურებდა, რომ მისი მშვენიერება შეეძინა.
- ქეთუშ, მე ჩავნვდები შენი გულის სიღრმეს, როდესაც შენ ამას მოინდომებ, მანამდე კი... – უთხრა ქუჯიმ, – მოეხვია და აკოცა.
- უი, არა! თქვენ მე არ გიყვარვართ! ეს არის ახლახან მითხარით, რომ ჩემი ქალბატონი გიყვართ! – შეჰყვირა ქეთიმ.
- მაგიტომ არ მეუბნები მეორე მიზეზს?
- მეორე მიზეზი კიდეც ის არის, რომ სიყვარულში ყველა თავისთვის ცდილობს, – თქვა ქუჯის კოცნით გამხნეებულმა ქეთიმ.
- ქუჯის ახლა მოაგონდა ქეთის მზერა, მისი შეხვედრები მოსაცდელ ოთახში, მისი ხელების შეხება და ჩუმი ოხვრა. მაგრამ, ქალბატონის სიყვარულით გატაცებული, ყურადღებას არ აქცევდა მოახლეს. ქუჯიმ თვალის დახამხამების უმაღლ ნარმოიდგინა, როგორ შეიძლებოდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ქეთის მიერ ასე გულუბრყვილოდ გამოცხადებული სიყვარული. შეიძლებოდა, რა დროსაც კი მოისურვებდა, ხელთ ეგდო ბოცო ახალციხელისადმი მიწერილი წერილები.
- ქეთუშ! გინდა იმ სიყვარულის დამამტკიცებელი საბუთი მოგცე, რომელსაც შენ ასე ეჭვის თვალთ უყურებ? – მიმართა მან საწყალ გოგოს ალერსით.
- რა სიყვარულის? – შეეკითხა ქეთი.
- იმ სიყვარულისა, რომელიც მე, შენი სიყვარულით დამტკპარს, გულს დამიამებს.
- რა საბუთია ასეთი დამამტკიცებელი?
- ამ საღამოს შენთან დავრჩები და არ წავალ ქალბატონთან.
- ოჰ, ნეტავი! – შეჰყვირა გოგომ და გახარებულმა ტაში შემოჰკრა.

– აქ მოდი, ჩემთან, ჩემო საყვარელო ცუგრუმელა, აქ მოდი, უნდა გითხრა, რომ არასოდეს არსად მინახავს შენისთანა ლამაზი გოგო, – უთხრა ქუჯიმ და მოხდენილად გადაწვა ტახტზე. თან ისე ტკბილად და ისეთი ალერსით უთხრა ეს და სხვა მრავალი ასეთი ქათინაური, რომ სანყალმა გოგომ დაიჯერა.

გარკვეული ხნის შემდეგ ბორენას ხმა გაისმა.

– ქალბატონი მეძახის! წადით, ჩქარა წადი!

ქუჯი წამოდგა, მაგრამ იმის მაგივრად, რომ კიბეზე ჩასასვლელი კარი გაეღო, სწრაფად კარადის კარი გამოაღო, შიგ შეძვრა და ბორენას კაბებში ჩაიმალა.

– რას სჩადიხართ? – შეჰყვირა გოგომ.

– დაგეძინა თუ რა დაგემართა? რატომ არ მოდიხარ? – ყვიროდა ბორენა.

– ახლავე გეახლებით, ქალბატონო!

ორივენი სანოლ ოთახში გავიდნენ და რადგან კარი ღია დარჩა, ქუჯის ესმოდა, როგორ უჯავრდებოდა ქალბატონი თავის მოახლეს. მერე ბორენამ საუბარი ქუჯიზე ჩამოაგდო. ქეთი ამ დროს თავის ქალბატონს დასაძინებლად ტანისამოსს ხდიდა.

– ნეტავ რა დაემართა ჩვენს ქუჯის, რომ ამ საღამოს აღარ მოვიდა?

– როგორ, ქალბატონო, – გაიკვირვა ქეთიმ, – ნუთუ არ მოსულა?

– უჰ, არა! ალბათ ბატონმა ვაჩემ დაავალა რაიმე. ამაში კი ვერავეინ მავლობებს, ისე მყავს გამოჭერილი, რომ...

– მერე, რას უპირებთ, ქალბატონო?

– რას ვუპირებ? ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო და მაგ კაცის დამოკიდებულებაში ერთი ისეთი რამეა, რომ მას წარმოდგენაც არა აქვს... კინაღამ გამაბიაბრუა დავით დიდვეზირის თვალში... ოჰ, მე ვიცი, როგორ ამოვიყრი ჯავრს!

– მე კი მეგონა, ქალბატონო, რომ გიყვარდათ.

– მიყვარსო?! მეზიზღება, სულელი! მის წინ დამარცხებული ეგდო იასონ გიაგუპულოსი და არ მოკლა! რომ მოეკლა, მემკვიდრეობა მე დამრჩებოდა, დიდძალი მამულეებით.

ჟრუანტილმა დაუარა ქუჯის, როდესაც გაიგონა, როგორ ლანძღავდა ეს მომხიბლავი მშვენიერება უხეში ხმით, რომელსაც გაჭირვებით მალავდა სხვასთან საუბარში, ლანძღავდა იმიტომ, რომ არ მოკლა მისი მამული. „ეს მდედრი ნამდვილი ურჩხული ყოფილა“, გაიფიქრა ქუჯიმ.

– მე აქამდისაც ავისრულებდი გულის წადილს, ჩემებურად ამოვიყრიდი ჯავრს, მაგრამ დავით დიდვეზირმა მიბრძანა, არაფერი დაუშავო მაგ ოდიშური წარმომავლობისასო, თუმცა არ ვიცი, რატომ.

– დიახ, ქალბატონო! მაგრამ თქვენ ხომ ჯავრი მის საყვარელ ქალზე ამოიყარეთ.

– ოჰ, მეწვრილმანე ვაჭრის ცოლი, სატივეს ქუჩაზე რომ ცხოვრობს? მგონი, აღარც კი ახსოვს იმ უბედურის არსებობა, არა, ეს რა ჯავრის ამოყრაა! მე ჯავრს ჩემებურად ამოვიყრი...

ქუჯიმი გაიგონა, როგორ მოიხურა კარი, როგორ დაუშვა ქალბატონმა ერთი ურდული, რომ კარგად ჩაკეტილ ოთახში შეძლებოდა მოსვენება. თავის მხარეს ქეთიმაც დიდი სიფრთხილით გადაკეტა კარი. ბოლოს ქუჯიმაც გამოალო დიდი კარადის კარი.

– ოჰ! ჩუმა! წადით! – ეხვეწებოდა ქეთი, – ჩემსა და მის ოთახს შუა მხოლოდ სიფრიფანა კედელია, რასაც აქ ვიტყვით, იქ ყველაფერი ისმის.

– ჰო, აქედან აღარ წავალ, ან თუ წავალ... მერე. – ამის თქმაზე ხელი მოხვია ქეთის, თავისკენ მიიზიდა, შეუძლებელი იყო წინააღმდეგობის განწევა... ქეთის ხმაურისა შეეშინდა და ნაზად დანებდა.

მეორე დღეს ქუჯი მაინც მივიდა ბორენას სანახავად. მასპინძელი ცუდ გუნებაზე ბრძანდებოდა. ქუჯი მაშინვე მიხვდა, რომ ბორენა ბატონი ბოცოსაგან თავისი წერილის პასუხს ელოდა. ამ დროს დარბაზში შემოვიდა გოგოს, რომელიც ბორენამ ძალიან უკმეხად გაისტუმრა. საწყალმა გოგომ ქუჯის გადახედა და მიანიშნა, ხედავთ, როგორ ვიტანჯები თქვენი გულისთვისო. მოახლოვდა ქუჯის წასვლის დროც. ბორენას ოთახიდან გამოსული ქუჯი თავის გონებაში ერთგვარი გეგმის დამუშავებას ცდილობდა. კარებთან ქეთი დახვდა და ნუხანდელივით მასთან ავიდა. საწყალ გოგოს მეტად გასჯავრებოდა ქალბატონი, დაუდევრობას აბრალებდა, ბორენას ვერასგზით ვერ გაეგო ერისთავ ბოცოს სიჩუმის მიზეზი და ამიტომ ქეთის უბრძანა, მასთან დილით მისულიყო და ერისთავისათვის მესამე წერილი მიერთმია.

ქუჯიმი ქეთის პირობა დაადებინა, რომ ხვალ დილით მასთან მივიდოდა და ბოცო ერისთავისადმი განკუთვნილ წერილს მას მისცემდა. საწყალი გოგო შეჰპირდა აესრულებინა ყველაფერი, რასაც კი მოსთხოვდა საყვარელი. იგი ისე იყო გაგიჟებული სიყვარულით, რომ უარს ვერაფერზე ეუბნებოდა. იმ ღამესაც ყველაფერი ნუხანდელივით განმეორდა. მეორე დღეს ქეთი მასთან სახლში მივიდა. ხელში თავისი

ქალბატონის ახალი წერილი ეჭირა. სანყალმა გოგომ ამჯერად ხმის ამოღებაც ველარ გაუბედა ქუჯის და წერილი გადასცა. ქეთევანი სულთ ხორცამდე დამონებოდა თავის საყვარელს.

ამ დროს ქუჯიმ, ბოცო ახალციხელის მაგივრად, საპასუხო ბარათის წერა დაიწყო. ამ წერილში, სასიყვარულო ქათინაურების გარდა, ბორენას პირდაპირ დაუნიშნა შეხვედრა და დაჰპირდა, რომ სალამოს მასთან სახლში გამოცხადდებოდა. ქუჯის ბორენასადმი უკვე აღარავითარი პატივისცემა აღარ ჰქონდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გრძნობდა, რომ რალაც დაუმორჩილებელი ძალა, შეუცნობადი ვნება, რომელშიც ზიზლიც კი იყო გარეული, მაინც ამ ქალისაკენ იზიდავდა და მისი დამორჩილების ჟინით სულთ ხორცამდე იწვოდა. ქუჯის განზრახული ჰქონდა, ქეთის ოთახიდან შესულიყო ბორენას სანოლ ოთახში და .... შეიძლებოდა ვერც კი აესრულებინა ეს გეგმა, მაგრამ... ცდა ბედის მონახევრეა.

– აჰა, მთავარი შენს ქალბატონს და უთხარი, რომ ბოცოსაგან არის.  
– მიმართა ქუჯიმ ქეთის და ბარათი მისცა, – ყური მიგდე, ჩემო, შენ თვითონაც გრძნობ, რომ, ბოლოს და ბოლოს, რითიმე უნდა გავათავოთ ყოველივე ეს...

– ვაიმე! მერე, ვისთვის გავწირე თავი? – დაიკვნესა ქეთიმ.

– ჩემთვის, ჩემო მშვენიერო! ეგ მეც კარგად ვიცი, გეფიცები, ძალიან დავალებული ვარ შენგან, – უპასუხა ქუჯიმ.

– ოჰ, თქვენ არ გიყვარვართ! ვაი, რა უბედური ვარ! – შეჰყვირა ქალმა.

ამ საყვედურის საპასუხოდ, ყველა კაცს ყოველთვის ერთი და იგივე საშუალება აქვს, რომლითაც მუდამ ტყუვდება ქალი. ქუჯიმაც ეს საშუალება მგზნებარედ გამოიყენა და დააშოშმინა ალგზნებული გოგო...



## – თაზი 17 –

იმ დღიდან, რაც ოთხმა ამხანაგმა თავიანთი აღჭურვილობის შონისათვის დაიწყო ზრუნვა, ისინი წინანდებურად ერთად ხშირად ველარ იკრიბებოდნენ. ამის გამო მეგობრები შეთანხმდნენ, რომ ხუთ დღეში ერთხელ მაინც სალამოს ავთოსთან მოეყარათ თავი. ძმაკაცები სწორედ იმ დღეს უნდა შეკრებილიყვნენ, როდესაც ქეთი ქუჯისთან

სხვისი წერილით მივიდა. ქუჯიმ როგორც კი ქეთი გაუშვა, მაშინვე ავ-  
თოსაკენ გაეშურა. ავთოს და ამოს მან ადამიანის ყოფიერების არსის  
შესახებ საუბარზე მიუსწრო. ამოს კვლავ აშლოდა სასულიერო პირად  
შედგომის სურვილი. ავთო უსმენდა, ჩვეულებისამებრ, არც უშლიდა  
და არც უწონებდა ბერად აღკვეცას. მისი შეხედულებით, ყველას უნდა  
ჰქონოდა მოქმედების თავისუფლება. იგი, რჩევას, ჩვეულებრივ, არა-  
ვის აძლევდა. თუ ვინმე დაჟინებით სთხოვდა, მხოლოდ მაშინ ურჩევდა  
ხოლმე რაიმეს.

– ჩემი გამოცდილებით, ხშირად, რჩევას იმიტომ გთხოვენ, რომ ისე არ  
მოიქცნენ, როგორც ურჩიე. მაგრამ, თუ ვინმე მიჰყვა შენს რჩევას, ეგ  
მარტო იმიტომ, რომ შემდეგ შენვე გისაყვედუროს... – ამბობდა ავთო.

ქუჯის შემდეგ, მალე ტაროც მოვიდა და ოთხივენი უკვე ერთად  
იყვნენ შეკრებილები. ქუჯის იმედიანობა, ამოს სინანული, ტაროს  
სიმშვიდე, ხოლო ავთოს უზრუნველობა ეტყობოდა სახეზე. ტარომ  
მეგობრებს გადაკვრით აუნყა, რომ ერთმა შეძლებულმა ქალბატონმა  
იკისრა მისი მეურვეობა. უცბად კარი გაიღო და ღვთისომ შემოყო თავი.  
– რა გინდა? – ჰკითხა ამომ ისეთი საამო-ნაამები ხმით, თითქოს უკვე  
სასულიერო პირი ყოფილიყოს.

– ბატონო, სახლში ვილაც კაცი გელოდებათ, – უპასუხა ღვთისომ.

– ვინ არი, რა უნდა?

– თქვენი ნახვა უნდა, ბატონო. ამბობს, უჯარმიდან მოვდივარო.

– უჯარმიდან?! – შეჰყვირა ამომ, – უნდა წავიდე. ამო წამოდგა და ღვ-  
თისოს გაჰყვა.

ამ დროს, ახლა ბოჩიამ შემოყო თავი კარში.

– შინ წამობრძანდით, ბატონო, ძალიან საყურადღებო საქმეა...

ტარო წამოდგა და ბოჩიას გაჰყვა. ოთახში ავთო და ქუჯი დარჩნენ  
მარტო.

– მგონია, ამათ უკვე მოაკვარახჭინეს თავიანთი საქმეები, ჰა... ქუჯი!

– ტაროს საქმე რომ კარგად აქვს, ვხვდები! რაც შეეხება ამოს, ეგეც  
ალბათ რამეს ილონებს.

– მაგას თავი დავანებოთ და შენზე ვილაპარაკოთ, გუშინ ბატონმა ვა-  
ჩემ, რომელმაც პატივი მცა და ჩემს სანახავად შემოიარა, მითხრა, რომ  
თითქოს შენ იმ საეჭვო უცხოელს ხშირად ნახულობ.

– ერთ ბიზანტიელ ქალთან დავდივარ მე მხოლოდ. ჰო, იმ ქალთან, რო-  
მელზედაც შენ უკვე გელაპარაკე...



– აჰ, დიახ, მომწვანო თვალებიანი ქალი, რომლის შესახებაც რჩევა მოგეცი. თუმცა, შენ, რა თქმა უნდა, ჩემს ნათქვამს ყურადღება არ მიაქციე.

– ამაზე ჩემი მოსაზრება მოგახსენე მე.

– დიახ, როგორც მითხარი, ვგონებ, შენც აღჭურვილობას მოელი.

– არა! ვფიქრობ, რომ ეგ ქალი ურევია შუშანას მოტაცებაში.

– ჰო... გასაგებია, ჩემო, ერთი ქალის მოძებნის მიზნით მეორეს ეარშიყები, ჰო, ეს გზა გრძელია, მაგრამ საამო გახლავს.

ქუჯის სურდა, ყველაფერი ეამბნა ძმაკაცისთვის, მაგრამ თავი მოთოკა. მან იცოდა, რომ ავთო გადამეტებულად მკაცრი იყო პატიოსნების საკითხში და ამიტომ იყურა.

ამ დროს ამო თავის სახლში, კალოუზნის ნიაღვრის ქუჩიდან სიონის ეკლესიის მოპირდაპირე ქუჩაზე უსწრაფესად მივიდა. მართლაც, შინ ერთი კაცი დაუხვდა, რომელსაც შელახული ტანსაცმელი ეცვა.

– ჩემ სანახავად თქვენ მოხვედით? – იკითხა ამომ.

– დიახ! მხოლოდ ამოქარგულ ნიშნიანი ხელსახოცი მიჩვენეთ!

– ახლავე, აი, შეხედეთ, – უთხრა ამომ და ხელსახოცი გაუწოდა.

– კარგით! მარტონი დავრჩეთ! – უთხრა უცნობმა.

ღვთისო ცნობისმოყვარეობით აღივსო, მაგრამ ამომ ანიშნა გასულიყო. ღვთისოს გასვლისთანავე უცნობმა სწრაფად შეავლო იქაურობას თვალი. შემდეგ მან უბიდან წერილი გამოაძვრინა. მიჯნურის წერილის დანახვაზე ამოს აღტაცების შეძახილი აღმოხდა. ვიდრე ამო გულისვარდის წერილს სასოებით ეცნობოდა, უცნობმა სქელი ქამრიდან ათას ხუთასი ოქროს დრაჰკანი გამოიღო და მაგიდაზე დააწყო. შემდეგ კარი გააღო და სახლიდან უჩუმრად გაუჩინარდა. ამო სასიამოვნოდ განცვიფრებული დარჩა. „ჩემი ტურფა საყვარელი! ჩემი მფარველი ანგელოზი! ნათელა!.. ოქროს სიზმარი!“ ფიქრობდა აღტაცებული და ბედნიერი ამო. იგი ვნებიანად კოცნიდა მიჯნურის ბარათს და თან გაკვირვებული შესცქეროდა მაგიდაზე მზრწყინავ ოქროს.

ღვთისომ ფრთხილად დააკაკუნა და პატრონს ქუჯის მისვლა მოახსენა. ქუჯიმ კარი შეაღო და ოთახში შევიდა.

– ვაჰ... ჯანდაბას ჩემი თავი, უფალი მოწყალეა! – შეჰყვირა გაოცებით ქუჯიმ, – ჩემო ძვირფასო, თუ უჯარმიდან ასეთ ძღვენს გიგზავნიან, მაშინ ჩემი პატივისცემაც გადაეცით!..

– ჩემო ქუჯი, ეგ საქმე ეგრე არ არის... ეს ფული ჩემი სასიყვარულო პოემის გასამრჯელოა, რომელიც ერთ უნიჭო დიდებულს მივყიდე თავისი სატრფოს გასართობად, – მიუგო გულჩათხრობილმა ამომ.

– ჰოჰ, მართლა! ის შენი დიდებული მეტად უხვი ყოფილა! – მიმართა სიცილით ქუჯიმ, – მაგრამ ეგ წერილი არ დაგეკარგოს, ჯიბის პირიდან რომ მოგიჩანს.

ამო წამოწითლდა, წერილი გულის ჯიბეში გადამალა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს არაფერი გაუგია.

– მოდი, თუ შენც დამეთანხმები, ჩემო ქუჯი, ნავიდეთ ჩვენ ძმაკაცებთან და რადგან ასე გავმდიდრდი, მოდი, ისევ ძველებურად, ერთად ვიპურმარილოთ.

– მომწონს ეგ ნათქვამი! კარგა ხანია ჩვენებურად, ბარაქიანად არ გვიქეიფია.

– კარგი დაშხოშიანი ქეიფი იყოს! წინააღმდეგი არა ვარ, – თქვა ამომ.

ამომ სახარჯო ფული ჯიბეში ჩაიღო, დანარჩენი კი ზარდახში შეინახა. ქუჯი და ამო ისევ ავთოს სახლისაკენ წავიდნენ. სახლიდან გაუსვლელი ფიცის ერთგულმა ავთომ პურ-მარილი სახლში მიატანინა. მან უზადოდ იცოდა დიდებული სუფრის გასაშლელი ყველანაირი წერილმანი. ამიტომ ამომ და ქუჯიმ მას მიანდეს ეს ფრიად მნიშვნელოვანი საზრუნავი, თვითონ კი ტაროსაკენ გასწიეს. მათ გზაში მეტეხის უბნის, ღვინის აღმართის ქუჩის კუთხესთან ბოჩია დაინახეს. იგი დამწუხრებული სახით ცხენსა და ჯორს მოერეკებოდა.

– ჰოჰ... ვაი! ჩემი ცხენი, ერთი ამ ცხენს შეხედე, ამო! – წამოიძახა ქუჯიმ.

– ოჰ, ნეტა ვის რად უნდა ეს უცნაურფერიანი ჯაგლაგი?

– ჩემო ამო, პირველად სწორედ ამ ცხენით შემოვედი ტფილისში მე.

– როგორ? შენ გეცნობა ეს მშვენიერება? მე ამგვარი ცხენი არასოდეს მინახავს.

– ვერც ნახავდი! ბოჩია, ეს ბედაური როგორ ჩაგივარდა ხელში?

– ოჰ, ბატონო! ჩვენი დიდებული ქალბატონის ვერაგი ქმრის ოინია ეს! – ამოიხრა ტაროს მსახურმა, – დიახ, სწორედ მან გვისახსოვრა ახალთექური მერანი და ანატოლიური ჯორი. მაგრამ ქმარს გაუგია და შეუცვლია ამ საზიზლარი ცხოველებით. ახლა უკან მივერეკები. ჩემს ბატონს არ შეუძლია დაპირებულის მაგივრად ამ ჯაგლაგების მიღება.

ბოჩიამ გზა განაგრძო. ჩვენი მეგობრები კი გაშმაგებულ ტაროსთან მივიდნენ. ბოჩიამ ახალი ხიდი გადაიარა, რიყის უბანში მრეცხავთა ქუჩაზე, ტაროს ბრძანების მიხედვით, მომრიგებელ-მსაჯულის სახლის ალაყაფის კარის სახელურზე გამოაბა ცხენიცა და ჯორიც. შემდეგ მიბრუნდა შინ და ტაროს მოახსენა, რომ პირნათლად შეასრულა მისი ბრძანება. ქალბატონმა მინადორამ მაშინვე იცნო მის მიერ გაგზავნი-

ლი საჩუქრები. ტაროს მისვლამ კი ყველაფერი გაურკვია. გაშმაგებული მონასპელის დანახვამ შიში მოჰგვარა სიყვარულით აღგზნებულ ქალს. ქალბატონი მინადორა და მისი საყვარელი შეთანხმდნენ, რომ ანჩისხატის ეკლესიასთან შეხვდებოდნენ ერთმანეთს და ტარო მაშინვე გამოეთხოვა. მსაჯულმა, როდესაც დაინახა, ტარო მიდისო, სთხოვა, სადილად დარჩენილიყო, მაგრამ მონასპელმა დიდებულის ღირსებით უარი უთხრა. მინადორა გულის კანკალით მიდიოდა ანჩისხატის ეკლესიისაკენ. მან იცოდა, ტარო როგორი საყვედურით დახვდებოდა. ტარომაც პირში მიახალა თავდალუნულ მინადორას ყველა ის გესლიანი საყვედური, რომელიც კი შეეძლო გადმოენთხია საყვარლისაგან შეურაცხყოფილ კაცს.

– უი, უი, მეგონა, რომ საქმე იფაად, კარგად გაეჩარხე. ცხენების ვაჭარს ჩემი ქმრის ვალი ჰქონდა, ხოდა, მე ამ ვალში ცხენი და ჯორი გამოვართვი. შევცდი, მაპატიე, მომატყუეს!

– სიიფეს ვინც ეძებს, ასე ტყუფდება! – ტარო შეტრიალდა და გაბუტულმა წასვლა დააპირა. ამ დროს სიყვარულით გაგიჟებულ ქალბატონ მინადორას თვალწინ წარმოუდგა ერისთავების ცოლებით გარშემოხვეული ტარო.

– ოჰ, უფალო... დამიფარე! ნუ ნახვალ, ნუ, ჩემო სიყვარულო, ტარო... მოვილაპარაკოთ! – შეჰყვირა იმედმიხდილმა მინადორამ და მკლავზე ჩამოეკიდა თავის საყვარელს, – შევცდი და მევე გამოვასწორებ ამ შეცდომას. ამ საღამოს ჩემი ქმარი ქალაქის დიდმოურავ იონა აბულეთისძესთან არის დაბარებული და იქ მიდის... შენ ჩემთან ამოდი სახლში და ყველაფერი ვიანგარიშოთ...

– ჩემო საყვარელო, ეს უკვე სხვა საქმეა... მაშ, საღამომდე! – უპასუხა დიდებული იერით ტარომ და თან გაიფიქრა, ჯანდაბა, მგონია, ბატონი მსაჯულის საგანძურს ახლა მაინც მივუახლოვდით. შემდეგ შეყვარებულები ერთმანეთს მგზნებარე კოცნით გამოეთხოვნენ და მალევე დასცილდნენ.

ტარო და ქუჯი საღამოს მოუთმენლად ელოდნენ. ქუჯი, ჩვეულებრივ, ბორენას სანახავად მივიდა. მოახლე შემოვიდა და მათ შარბათი მიაართვა. მალე გარეთ ჩამობნელდა. ბორენა შეიპყრო მოუსვენრობამ და ფორიაქმა. ქუჯი ქალის მღელვარების მიზეზს მიხვდა. ამიტომ წამოდგა და ქუდი აიღო წასასვლელად. ალბათ ბოცო ერისთავს ელოდებო, გაიფიქრა ქუჯიმ და გამოთხოვების შემდეგ დარბაზიდან გავიდა.

ქუჯი ქეთის პატარა ოთახისაკენ წავიდა. გოგო იჯდა, სახეზე ხელე-ბი აეფარებინა და ტიროდა. ქუჯი მას მიუახლოვდა, თავზე აკოცა და მიეფერა. ქალმა ალერსზე, სახეზე აფარებული ხელეები ჩამოუშვა და შეძრწუნებული პირსახე გამოუჩნდა. ამ უსიტყვო ტანჯვამ ქუჯიზედაც იმოქმედა, მაგრამ უკვე ველარაფერს შეცვლიდა ბორენას წინააღმდეგ მოფიქრებულ გეგმაში. ცდილობდა, ქეთევანისათვის შთაეგონებინა, რომ მხოლოდ ბორენასადმი შურისძიება ამოქმედებდა. შურისძიების სისრულეში მოყვანას კი ქუჯის თვით ბორენა უადვილებდა. ბორენამ თავის შეყვარებულთან იდუმალი, გამომწვევ-მგრძნობიარე გარემოს შექმნისათვის მოახლეს უბრძანა, მთელ სახლში ჩაექრო სანთლები. ერისთავი ბოცო ახალციხელი გათენებამდე უნდა წასულიყო.

მალე ბორენა თავის სანოლ ოთახში შევიდა და მოახლე დახმარებისათვის იხმო. კარი კი დარჩა ღია. სანოლი ოთახიდან თითქმის ყველაფერი იხმოდა, რასაც ქალბატონი და მისი მოახლე საუბრობდნენ. ბორენა სიყვარულის სურვილით ალგზნებული ჩანდა. მან ქეთის თავიდან აამბობინა, თუ როგორ გადასცა წერილი ერისთავ ბოცოს; ჰგავდა თუ არა იგი სიყვარულით გატაცებულს.

ბოლოს ბორენამ სინათლე მთელ ბინაში ჩააქრობინა. ახალგაზრდა ერისთავის მოსვლის დროც მოახლოვდა. ბორენამ უბრძანა, როგორც კი ბოცო ერისთავი მოვიდოდა, მასთან ოთახში მიეყვანა. ქუჯიმ შეამჩნია თუ არა, როგორ ჩამობნელდა იქაურობა, ბორენას სანოლი ოთახის კარი გამოაღო და შიგ შევიდა.

– ძვირფასო... ბოცო ახალციხელი ვარ! – თქვა ჩუმი, შემპარავი ხმით ქუჯიმ.

– შემოდით, ბოცო ერისთავო, რა ხანია მე თქვენ გელით! – გაისმა ბორენას ვნებით ათრთოლებული ხმა.

ამის გაგონებაზე ქუჯის გაბედულება მოემატა და სულ მთლად ბოცო ერისთავად წარმოიდგინა თავი.

– ერისთავო ბოცო! ბედნიერი ვარ იმ სიყვარულით, რომელსაც თქვენს სიტყვებში ვპოვებდი ყოველთვის, როცა კი ერთმანეთს შევხვედრებართ. მიყვარხართ და მინდა რაიმე ნივთი გაჩუქოთ ამ ღამის სამახსოვროდ, რომელიც ჩემს თავს შეგახსენებთ ხოლმე... – ეუბნებოდა ბორენა მეტისმეტად ტკბილი, ნაზი ხმით და თან სხეულით მამაკაცისაკენ მიიწევდა. ბორენამ საფირონის ბეჭედი ქუჯის თითზე სწრაფად წამოაცვა. – ოჰ... ეს ბეჭედი ჩემი სიყვარულის ნიშნად გქონდეს.

„ეს ქალი აღსავსეა საიდუმლოებებით, ამიტომ თავის გამომჟღავნება ნაადრევია“, ფიქრობდა ქუჯი. ბორენა, თავისი მომხიბვლელით, ქუჯიზე მომნუსხველ ზეგავლენას ახდენდა. იგი თან სძულდა ქუჯის, თან კიდევ, მისი გარეგნობით მონუსხული გახლდათ. მასში ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო გრძნობა ბობოქრობდა.

ბორენას საწოლ ოთახში ვნებიანი სიამტკობილობის შემდეგ, განშორების ჟამი დადგა. ქუჯის არ უნდოდა წასვლა, ენანებოდა ქალის დათმობა, ვნებით აღსავსე ალერსით მოზღვავებული გრძნობები ძლივს დაიოკა. ისინი მომავალ შეხვედრაზეც შეთანხმდნენ.

მეორე დღეს, დილით, ქუჯიმ ავტოსთან შეიარა და ყველაფერი მოუყვა.

– ეგ ქალი ძალიან საშიში და ვერაგია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც არ გეკადრება მისი ასე მოტყუება. ამ ქმედებით, ალბათ, დაუძინებელი მტერი შეიძინე, – უთხრა ავტომ წარბების შეჭმუხვით. ბაასის დროს ავტო თვალს არ აშორებდა საფირონის ბეჭედს.

– ჰა, როგორია ეს მშვენიერი ბეჭედი? ბორენას საჩუქარი... – ნაიტრახაბა ქუჯიმ.

– ერთ ჩემს საგვარეულო ბეჭედს მაგონებს. აბა, მაჩვენე! – ავტომ ბეჭედი გასინჯა და სახეზე გაბრაზება დაეცყო ერთობ მშვიდ მეგობარს. – ჩემო ქუჯი! ეგ ბეჭედი მოიხსენი, ან თვალი ამოაბრუნე, თორემ ის ძალიან ცუდ ამბავს მახსენებს. მაგ ბეჭედს ნაკანრი ხომ არა აქვს?

– უი? ნახე, აი, გაფხაჭნილია!

– როგორც გითხარი, საგვარეულო, ძველი ბეჭედი იყო. მე სულელმა კი საყვარელ ქალს მივუძღვენი.

ქუჯიმ ბეჭედი თითზე აღარ წამოიცივა და ჩუმად ჯიბეში ჩაიდო.

– ქუჯი, ჩვენს ძმობას გაფიცებ! დაანებე თავი მაგ დედაკაცს. წინათგრძნობა მიმანიშნებს, რომ უზნეო და ავბედითი ქალია.

– ჩემო ავტო, მართალი ხარ, უნდა დავცილდე.

– კარგი, სწორია...! ნეტა, ამ ქალმა ცხოვრება არ წაგისდინოს...

ავტოს რჩევას ქუჯიზე დიდი გავლენა ჰქონდა. ამიტომ ამჯერად ქუჯიმ მეგობარს დაუჯერა და გადაწყვეტილება მიიღო ბორენას აღარ გაკარებოდა. მან ბორენას სახლში სტუმრობა შეწყვიტა. მაგრამ ჩანს, ბორენას ის უფრო ანუხებდა, რომ ბოცო ერისთავისაგან ანუ ქუჯისგან, იმ ღამის მერე, შეხვედრის სურვილის შესახებ აღარაფერი სმენია. ეს კი ბორენას თავმოყვარეობას ულახავდა. „შეუძლებელია! ზრდილი დიდებული არასოდეს არ იკადრებს ქალისადმი ამისთანა უკმეხ ქცე-

ვას“. ფიქრობდა ბორენა და თან ბოცოსადმი შურისძიების გრძნობით ივსებოდა.

იმ საღამოს ქუჯი ბორენასთან არ მისულა. იგი არც შემდეგ დღეებში გამოჩენილა. ბორენა მოუთმენლად ელოდა ქუჯის გამოჩენას, მაგრამ ამაოდ. შემდეგ ბორენამ ქუჯის ბარათი გაუგზავნა. სადაც სთხოვდა, რომ ქუჯი მასთან მისულიყო. მართლაც, ღამის პირს ქუჯი მეტეხის მოედანთან ვერცხლის ქუჩაზე ბორენას სახლთან იყო.

ქუჯიმ ბორენას ცნობისმოყვარე თვალთ გადახედა. ქალი ვერ ახერხებდა იმ სულიერი ტანჯვის კვალის დამალვას, რომელიც ამ დღეების განმავლობაში, ბოცო ერისთავის გამო, სულს უწამლავდა. ქუჯი ჩვეული, ხაზგასმული პატივისცემით ეახლა ბორენას. ქალმა ნაძალადევი მომხიბვლელობით გაუღიმა.

– ქალბატონო, როგორ ბრძანდებით?

– ძალიან ცუდად, ჩემო ქუჯი!

ბორენამ, რამდენადაც კი შეძლო, მოსიყვარულე გამომეტყველება მიიღო და ქუჯი გაახვია სასიყვარულო ბადეში. ბორენასადმი სასიყვარულო ლტოლვამ უცბად გამოიღვიძა. თავბრუდახვეულმა ქუჯიმ მხოლოდ ერთი წამით იგრძნო სინდისის ქენჯნა. ქალი ვაჟს ნაზად უღიმოდა. ბორენას სახეზე გამარჯვების ღიმილი მოეფინა და იკითხა:

– მე განა გიყვარვართ? ნამდვილი სიყვარულით!..

– ჰოჰ! ნუთუ ამას მტკიცება უნდა კიდევ?

– სიყვარულს დამტკიცება უნდა! შენ რას ჩაიდენ სიყვარულის გულისათვის? – მიმართა ქალმა.

– ყველაფერს! ბრძანეთ, მზად ვარ! – თქვა ქუჯიმ და ქალისაკენ სკამი მისწია.

– მოსისხლე მტერი მყავს, რომელმაც შეურაცხყოფა მომაცენა! დამეხმარებით მის მოშორებაში?

– ოჰ! ნუთუ შესაძლებელია თქვენისთანა ღამაზე ქალს მტერი ჰყავდეს? თქვენი გულისთვის სისხლს დავღვრი მე!

– მე სამაგიერო როგორღა გადაგიხადო? – მიმართა ბორენამ.

– იცით თქვენ ის ერთადერთი სამაგიერო, რომელიც მენატრება მე, – მიუგო ქუჯიმ და თან ქალი ალერსით თავისკენ მიიზიდა. ამ ქალს ვაჟისათვის ვნების ცეცხლი წაეკიდებინა. – ჰოჰ! დამისახელე ის თავზედი, რომელმაც თქვენი შეურაცხყოფა გაბედა! – შეჰყვირა ქუჯიმ.

ქუჯიმ ხელები მოხვია, ქალი წინააღმდეგობას არ უწევდა. ბორენას ბაგე გაყინული ჰქონდა, კაცს მოეჩვენა, თითქოს ცოცხალ ქალს არა კოცნიდა. მაგრამ, აღგზნებული ქუჯისათვის სულერთი იყო.

– ის უნამუსო ბოცო ერისთავი გახლავს! – მიანიშნა ბორენამ.

– თქვენი მტრის ჯავრს ამოგყრით მე ხვალ.

„შენ ამ ბოცოს ჯავრი ამომაყრევი, მერე მე ვიცი, როგორ მოგიშორებ თავიდან, ჩემო შურისძიების იარაღო“, ფიქრობდა ბორენა. „შენი სურვილით დამნებდი, შე პირფერო გველაძუა. ჰო, დამნებდი და მერე მე ვიცი, როგორ ვიციხნებ იმასთან ერთად, ვისაც ჩემი ხელით უპირებ მოკვლას. ეს ქალი ბოროტების განსახიერებაა“, გაიფიქრა ქუჯიმ. მას სურდა, ქალი თვითონ დაემორჩილებინა და ამ მოძალეხული გრძნობის უარყოფას ვერ ახერხებდა.

ბოლოს, ქუჯიმ და ბორენამ სანოლ ოთახში გადაინაცვლეს. ისე სწრაფად და ურცხვად მოხდა ყველაფერი ეს, რომ ქუჯი გაოგნებული დარჩა. თავი სიზმარში ეგონა. მას განზრახვა უსრულდებოდა. იგი ამჯერად ბოცოს სახელით კი არა, არამედ თვით ქუჯის სახელით მოქმედებდა. ქუჯი სულით ხორცამდე დანებდა სიყვარულით აღგზნებულ გრძნობას. ბორენა მისთვის უკვე აღარ იყო ის ავბედითი ქალი, თავისი ბოროტებით რომ აშინებდა. მის წინ იდგა ვნებითა და სიყვარულით გახელეხული საყვარელი, რომელიც თვითონვე დიდი ნეტარებით მიისწრაფოდა ახალგაზრდა კაცისკენ. ასე გავიდა დრო...

პირველად ბორენა გამოერკვა ამ თავდავინყებისაგან. იკითხა, კარგად მოიფიქრა თუ არა საბაბი, რომელიც ბოცოს ხმალში გამონვევის მიზეზი უნდა გამხდარიყო. მაგრამ ქუჯის ფიქრები სხვაგან დაფრინავდა.

– ძვირფასო ქუჯი, ჩემო მამაცო საყვარელო! როგორც მე დაგიმტკიცე ჩემი სიყვარული, შენც ასევე დამიმტკიცე. ჯერი შენზეა. ხომ არ ყოყმანობ.

– არ ვყოყმანობ მე, მაგრამ უნდა გითხრა, რომ მეტრალეხა ის სანყალი ბოცო. ეჰ, პატიოსანი კაცი ვარ. ამიტომ ერთი რამ მინდა ვაღიარო...

– ქუჯი შეეცადა ტკბილი ღიმილით მიახლოებოდა ბორენას ბაგეს, მაგრამ ქალმა სახე აარიდა. – თქვენი იმლამინდელი ერისთავი ბოცოც და ამაღამინდელი ქუჯიც ერთი და იგივე პიროვნება გახლავს.

ქუჯის ეგონა, ქალი გაოცდებოდა, მცირედ აღშფოთდებოდა და ამით ყველაფერი ამოიწურებოდა. მაგრამ შეცდა. გააფთრებული ბორენა წამოვარდა და ქუჯის ხელი ჰკრა. ქალი ქუჯის ხელიდან გაუსხლტა. თხელი ხალათი შემოეხა და სხეული გაუშიშვლდა. მხართან ქუჯიმ დაინახა სამეძავო სახლის სიძვის სვირინგი – ნიჟარა, წაუშლელი დამლა, რომელსაც კონსტანტინოპოლის სამეძავო სახლების მომსახურეთ ესვათ ხოლმე. ამ მოულოდნელობით განცვიფრებული ჭაბუკი შიშმა შეიპყრო.

ბორენა მიხვდა, რომ მისი საიდუმლოება გამჟღავნდა. იგი მივარდა კარადას, გამოალო და იქიდან ბასრი ხანჯალი გამოიღო. შიშველი ქალი მარდად ეცა ქუჯის. ცდილობდა ყმანვილი კაცისათვის ხანჯალი დაეკრა. ქუჯი ამ გადარეულ და გაალქაჯებულ ქმნილებას გულგახეთქილი შესცქეროდა. უკან დაიხია და ხმლით დაიწყო ბორენას მოგერიება. იგი ხმლის წვერს ხან სახესთან უჩერებდა, ხანაც მკერდზე აბჯენდა. ამასობაში ქეთის ოთახისაკენ დაიხია. ბორენა კი თავისას არ იშლიდა და გამმაგებული უტევდა. ქუჯი სწრაფი ნახტომით ქალბატონის სანოლი ოთახიდან მოახლის ოთახში გაჩნდა, კარი მიხურა და ურდულით გადაკეტა. ბორენა უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა.

ტიტველმა ქუჯიმ უცბად გადაიცვა ქეთის კაბა, თავზე თავსაფარი შემოიხვია, გაეხვია ხალათში, ქოშებში წაყო ფეხები, კიბეზე დაეშვა და ქუჩაში გავარდა. გამძვინვარებული ბორენა ფანჯრიდან იგინებოდა და იმუქრებოდა.

ქუჯიმ სწრაფად გაირბინა მთელი გზა და მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა შვებით, როდესაც ავთოს სახლს მიუახლოვდა. გონება ჰქონდა არეული. მან გადასერა ეზო და ავთოს კარზე დააბრაზუნა. ნასყიდამ კარი გაუღო. ქუჯი ოთახში სწრაფად შევარდა და თავსაბური მოიხსნა. ავთომ თავისი მეგობარი იცნო და გულიანად გადაიხარხარა. ქუჯის ტაკიმასხარული მორთულობა მართლაც ფრიად სასაცილო იყო.

– ჩემი ძმა, შენი ჭირიმე, ნუ დამცინი! სასაცილო აქ არაფერია! – ქუჯიმ ისეთი შთაგონებით წარმოთქვა ეს სიტყვა, ისეთი თავზარდაცემულის შიშით, რომ ავთო აღელვებული მაშინვე მივარდა.

– ფერი არ გადევს, მეგობარო, დაჭრილი ხომ არა ხარ?! თქვი, რა მოგივიდა, თორემ მე ჩემი დამემართა.

– დაჭრილი არა! მაგრამ საშინელი ამბავი გადამხდა თავს. ავთო, მოემზადე, დაუჯერებელი ამბავი უნდა გიამბო. იცი?.. ბორენას მხართან სიძვის სვირინგი, ნიჟარა აქვს გამოხატული.

– ვაჰ! – შეჰყვირა გულში ისარნაკრავივით ავთომ და ახლა ის გაფითრდა.

– ავთო, დარწმუნებული ხარ, რომ ის ქალი, საცოლე... მართლა მკვდარია? რომლის შესახებაც სურამში ყოფნისას მიაბზე. ეს ქალი ოცდაექვსი-ოცდარვა წლისა იქნება. შავი თმა, ელვარე მომწვანო თვალები, შავი წარბ-წამწამი, მოსხლეტილი, კოხტა ტანისა, ერთი კბილი აკლია მარცხენა მხარეს. ჰო, ნიჟარის გამოსახულება, მოლურჯო ფერისა, ოდნავ გაბაცებული სხვადასხვაგვარი წამლების მეშვეობით. დიახ, ბორენა გიაგუპულოსია. იასონ გიაგუპულოსი კი მისი მამლია და არა ძმა.



– ქუჯი, უნდა ვნახო!

– ჰოჰ! მეშინია, ძვირფასო, ჩვენზე შურის საძიებლად არავითარ სისაძაგლეს არ მოერიდება, – ქუჯიმ ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

– ჩვენდა საბედნიეროდ, ზეგ გავემგზავრებით ტფილისიდან, ციხე-ქალაქ განძისკენ მივიღვართ. ისე, არ გენყინოს, ჩემო ქუჯი, და შენზეა გამოთქმული: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. აბა რა გეგონა ერთდროულად სამ ქალბატონს რომ დასდევ?

– ეჰ, ჩემო ავთო, შენ ხუმრობ და თუ იმ ქალმა გიცნო, გამოგედევნება, სამარის კარამდე მოგყვება. რალაც საზარელი საიდუმლოებაა ამ ქალში დაფარული! დარწმუნებული ვარ, იგი დავით დიდვეზირის მსტოვარი უნდა იყოს.

– აგრე თუ არის, მეტი სიფრთხილეა საჭირო. შენი ტრაპიზონს მგზავრობა იცის დიდვეზირმა. იგი გაბრაზებული იქნება. ფრთხილად იყავი, მარტო არსად იარო. როცა საქმელს მიირთმევ, კარგად გასინჯე, სანამლავი არ ჩაგიყარონ. დღეიდან ყველგან შენ გვერდით მიგულე! სახლში, სატივეს ქუჩაზე მიდიხარ? მეც მოვიღვარ! ეს კარგი, ჩემო ქუჯი, მაგრამ ჩვენი აღჭურვილობის საკითხი მაინც ვერ გადავწყვიტეთ. ბედი, რომ ის ძვირფასი ბეჭედი მაინც შემოგრჩა.

– ჩემო, ეს ბეჭედი შენია, ის თქვენი ოჯახის საგვარეულო ნივთი ყოფილა.

– დიახ! საგვარეულო ნივთია. დედაჩემისაგან მერგო და მე კიდევ, სულელურად, იმ უნამუსო ქალს ვაჩუქე. მე მაგ ნაბილწულ ბეჭედს ხელს ვერ მოვკიდებ! მაგას ვერ ვიზამ...

– გაყიდე და ამ ფულით საჭირო აღჭურვილობა შეიძინე.

– კარგი, ძვირფასო მეგობარო. შენ სულ მხიარულ გუნებაზე ხარ, რითაც მამხნევებ და სევდას მიფანტავ. ჰოდა, კარგი, ეგ ბეჭედი გავყიდოთ, ოღონდ ფული შუაზე გავიყოთ. რასაც მოგვცემენ, იმის ნახევარს შენ აიღებ, თუ არა და მტკვარში გადავყრი.

– კარგი, შევეთანხმდით!

ამ დროს ნასყიდად და ბუჭუკამ ტანისამოსი მოიტანეს. ქუჯი სახლიდან მოტანილ სამოსში გამოეწყო. შემდეგ ავთო და ქუჯი სატივეს ქუჩისკენ წავიდნენ. სახლთან მათ ვარდან ბოზარჯიანი შეეფეთათ.

– ლამაზი გოგო გელოდება, ჩემო მდგმურო...

ქუჯიმ სწრაფად გაიარა ხეივანი. მისი ბინის კართან სანყალი ქეთევანი ატუზულიყო.

– თქვენ მე ქალბატონის რისხვისაგან მფარველობას დამპირდით, რადგან დამლუპეთ, ახლა უნდა მიშველოთ, ტფილისიდან გამიყვანეთ!

– ჩემო ძვირფასო, დამშვიდდი! ამ საქმეს მოვაგვარებთ. ბუჭუკ, ჩქარა! ამო მოძებნე და სთხოვე, ჩემთან მოვიდეს ახლავე.

მალე ამოც მოვიდა, მასაც გააცნეს საქმის ვითარება, სთხოვეს, თავის ნაცნობ მაღალი წოდების ქალბატონებში აღმოეჩინა ქეთისათვის მოახლის ადგილი, აუხსნეს, როგორ საჩქარო იყო საწყალი გოგოს სადმე ქალაქგარეთ გადაძალვა. ამო ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

– ამ წინებზე ქალბატონმა შორენა ბოლნელმა მთხოვა ერთი თავისი მეგობარი ქალისთვის, რომელიც სხვა ქალაქში ცხოვრობს, სანდო მოახლე. ჩემო ქუჯი, თუ ეს გოგო ნდობის ღირსია...

– ბატონო, რას ამბობთ, გეფიცებით, უერთგულესი ვიქნები იმ პიროვნების, ვინც ტფილისს გამარიდებს! – შეჰყვირა ქეთომ.

ამო მაგიდას მიუჯდა, პატარა ბარათი დაწერა, თავისი ბეჭდით დაბეჭდა და ქეთის მისცა.

– ჩემო ქეთუმ, ახლა კი თავი მოვარიდოთ აქაურობას, ხომ იცი, რომ აქ დარჩენა საშიშია. ქუჯიმ ქალი კიბეებამდე მიაცილა და დააკვალინა.

მალევე მეგობრებიც ერთმანეთს გამოეთხოვნენ და შეთანხმდნენ, რომ შუადღისას ყველანი ავთოსთან ყოფილიყვნენ. სახლში მარტო ბუჭუკა დატოვეს. ამო შინ წავიდა, ხოლო ავთო და ქუჯი ბეჭდის გასაყიდად. მათ ურიათუბანში ბეჭდის გაყიდვა სრულებით არ გასძნელებიათ.

ავთომ და ქუჯიმ მეომრული სისწრაფისა და თავიანთი საქმის უზადლო ცოდნის წყალობით, მცირე დრო მოანდომეს საჭირო მხედრული აღჭურვილობის შეძენას. ავთო ჭეშმარიტი დიდებულებით იქცეოდა, მოეწონებოდა თუ არა ნივთი, მაშინვე აძლევდა, რასაც სთხოვდნენ. მას ღირსების დამცირებად მიაჩნდა შევაჭრება.



## – თაზი 18 –

მეგობრები ავთოს სახლში შეიკრიბნენ. მათ უკვე დაამთავრეს საომარ აღჭურვილობაზე ზრუნვა. უცბად ბუჭუკამ შემოაღო კარი და ქუჯის ორი ბარათი გადასცა. ერთი მცირე ბარათი იყო, ხოლო მეორე მოზრდილი გრაგნილი, რომელსაც ერისთავთ-ერისთავის, დიდგვზირის დავითის შეკიდული ბეჭედი ამშვენებდა. ქუჯის გული აუჩქროლდა პატარა ბარათის დანახვაზე, თითქოს იცნო შუშანას ხელწერა. ბარათში ამოიკითხა, რომ შემოღამებისას, კახეთისაკენ მიმავალ გზაზე ჩამო-

ვლილ ეტლში თავის მიჯნურს დაინახავდა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეემჩნია და არ უნდა გაემჟღავნებინა თავი... ჩანს შუშანას, ერთი წამით მაინც უნდოდა დაენახა სატროფო. ბარათი ხელმოუწერელი იყო.

– ქუჯი, არ წახვიდე, მახეა! მაგ დროს კახეთის გზაზე ადამიანს ვერ დაინახავ, – თქვა ავთომ.

– არ წავიდე? თქვენც რომ გამომყვეთ? ოთხივეს ხომ ვერ დაგვეჯაბნიან, ამას ემატება ოთხი შეიარაღებული მსახური კიდეც.

– ჰო, მაგრამ გაქანებული ეტლიდანაც შეიძლება კარგად ისრის სროლა.

– თუ მუხანათურად გვესვრიან, დავენით და დავხოცოთ!

– ქუჯი, მართალია, ალბათ შებრძოლება გველის, ძალიანაც კარგი, ახალ საჭურველსაც გამოვცდით.

– ჰოჰ, უნდა ვიჩქაროთ, თორემ ვერ მოვასწრებთ კახეთისაკენ მიმავალ გზაზე საღამომდე გასვლას, – თქვა ქუჯიმ.

– თუ ძალიან გვიან გავედით, – დაუმატა ტარომ, – დაბინდება და ველარავინ დაგვინახავს, რაც ძალიან საწყენად დამრჩება. მაშ, მოდით, მოვემზადდეთ.

– მეორე უსტარი ნეტა ვისია? – იკითხა ავთომ.

ქუჯიმ ახლა მეორე წერილი წაიკითხა: „ბატონ ქუჯი-გიორგის, ავავ არტანუჯელის რაზმიდან, დღეს საღამოს ელოდებიან ერისთავთ-ერისთავის, პირველი ვეზირის დავითის შურისციხის ციხე-დარბაზში. ტფილის-ქალაქის მოურავი იონა აბულეთისძე“.

– კიდეც ერთი, უფრო საშიში შეხვედრა.

– თუ ყოჩაღად მოვიქცევით, ორივეს მოვასწრებთ!

– მე შენს ადგილზე არ წავიდოდი, – თქვა ამომ.

– კაცნო! ადრეც მივიღე ამგვარი მონვევა. მაშინ არ წავედი და მერე უბედურება დამემართა, ჩემი შუშანა მოიტაცეს. ახლა კი, აუცილებლად უნდა წავიდე, – მიუგო ქუჯიმ.

– მე გეგმა მაქვს, – თქვა ავთომ, – სულ ერთად უნდა ვიყოთ. ქუჯი შურის ციხე-დარბაზში რომ წავა, ჩვენც გავყვით, ჩვენი მონასპელების თანხლებით. ამ ციხე-დარბაზის ყველა შესასვლელთან ჩავსაფრდეთ და დაველოდოთ. თუ კი რამე საეჭვო დავინახეთ, გავჩხრიკოთ. კარგა ხანია, დიდმოურავის რაზმელებთან საქმე აღარა გვექონია და ბატონმა ვაჩემ ალბათ უკვე მკვდრებში მიგვათვალა.

– უნდა ვალიარო, ავთო, რომ მართლაც გენიალური ტაქტიკოსი ხარ! – აღნიშნა ამომ.

- დიდებული გეგმა! – შესძახეს ერთხმად შეფიცულმა მეგობრებმა.
- თუ კი ამაზე ყაბულსა ხართ, მაშინ ნავალ და ჩვენს მონასპელებს შევატყობინებ, რომ მოემზადონ. შურის ციხე-დარბაზის მოედანთან შევხვდებით ერთმანეთს.
- ეჰ, ცხენი რომ არა მყავს მე? – თქვა სინანულით ქუჯი.
- მე სამი მყავს და ერთი შეგიძლია წაიყვანო, – შესთავაზა ამომ.
- ძვირფასო ამირან, შენზე შეძლებული მგოსანი ჩვენს ქვეყანას არა ჰყავს. – იოხუნჯა ავთომ, – მითხარი ერთი, სამი ცხენი რა ჯანდაბად გინდოდა?
- მე ორი შევიძინე, ხოლო მესამე გუშინ საღამოს მომგვარეს...
- მომყვანმა მითხრა: ქალბატონმა მიბრძანა, თქვენს თავლაში დავაბა ეს ცხენიო, ხოლო ვისგან არის, ამაზე კრინტი არ დაძრაო... – აღნიშნა აღელვებულმა ამომ.
- ეჰ... მხოლოდ მგოსნებს უღიმის ასე კეთილად წუთისოფელი, – თქვა და ჩაიღიმა ავთომ.
- კარგით, ახლა, მეგობრებო, უნდა ავჩქარდეთ!  
ამო და ტარო სახლისკენ წავიდნენ მოსამზადებლად.
- მაღლე ქუჩის ბოლოში მშვენიერ რაშზე ამხედრებული ამაყი ტარო გამოჩნდა, უკან მოსდევდა ბოჩია პატარა, მაგრამ წელმაგარი ცხენით. იმავე დროს ქუჩის მეორე ბოლოში ამო გამოჩნდა საუცხოო არაბულ ბე-დაურზე მჯდარი, უკან კი ღვთისო მოსდევდა და აღვირით კიდევ ერთი კავკასიური მერანი მოჰყავდა ქუჯისათვის.
- ბუჭუკა და ნასყიდაც გამოჩნდნენ, მათ თავიანთი ბატონებისათვის შეკაზმული ცხენები მოჰყავდათ. ქუჯი და ავთო სახლიდან გამოვიდნენ, ცხენებს მოახტნენ და ოთხივე მეგობარი გზას გაუდგა. დიღმის კართან შეფიცული მეგობრები ისინი სასახლიდან მომავალმა ვაჩე ჩიქვანმა შეაყენა. მონასპელთა მეთაურს მათი აღჭურვილობა მოეწონა და გამოცდილი თვალთ შეაფასა. ქუჯიმ ამ შემთხვევით ისარგებლა და ბატონ ვაჩეს მოახსენა, რომ წერილი მიიღო დავით დიდვეზირისაგან. ვაჩემ მოუწონა მათ გეგმა და საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერა აღუთქვა. მერე მეგობრები ისევ თავიანთ გზას დაადგნენ. ისინი კახეთისაკენ მიმავალ გზაზე ჭენებით გავიდნენ.
- ქუჯი, რომელსაც ერთგულ მცველებად თავისი მეგობრები ჰყავდა, დაწინაურდა. როდესაც კარგად შებინდდა, კახეთისაკენ მიმავალ გზაზე, დაწინაურდულ ადგილთან, გამოჩნდა სწრაფად მომავალი ეტლი. რაღაც წინასწარმა გრძნობამ ქუჯის მიანიშნა, რომ სწორედ მასში

უნდა მჯდარიყო შუშანა. ეტლი ქუჯის გაუსწორდა თუ არა, ფარდაგის იქით ქალი გამოჩნდა, რომელმაც პირზე თითი მიიღო, რითაც გაჩუმება ითხოვა. მის დანახვაზე ქუჯი სიხარულისგან გაშემდა. ეს ქალი ქალბატონი შუშანა იყო. გაფრთხილების მიუხედავად, ქუჯიმ უნებურად მათრახი გადაჰკრა ცხენს და ეტლს გამოუდგა. მაგრამ გვიანლა იყო, ეტლმა ჩაუქროლა და შუშანაც აღარსად ჩანდა. უცბად ქუჯის გაფრთხილება მოაგონდა, რომ არ უნდა ეაქტიურა, და ცხენი შეაჩერა. სწრაფად მიმავალი ეტლი მალე მიიმალა გზაზე. შეცბუნებული ქუჯი კი ისევ გაოგნებული იყო და არ იცოდა, რა ეფიქრა.

– სანყალი ქალი, ალბათ, ერთი სატუსალოდან მეორეში გადაჰყავთ, ნეტავი მისი ნახვა კიდევ მელირსება? – ჩაიჩურჩულა დაღონებულმა ქუჯიმ.

– ჩემო ქუჯი, თუ შენი მიჯნური მკვდარი არ არის, ადრე თუ გვიან, მაინც შეხვდებით სადმე ერთმანეთს... – უთხრა ავთომ ჩაფიქრებული სახით და ნაღვლიანი ხმით.

ამ დროს მეგობრებმა ქუჯის მოაგონეს, რომ ახლა დავით დიდგეზირთან უნდა მისულიყო შურის ციხე-დარბაზში. ცხენოსნები ქალაქში შემობრუნდნენ. მხედრებმა ბეთლემის უბანი გაიარეს და შურის ციხე-დარბაზის მოედანთან დახვდნენ დაბარებული მონასპელები, რომლებსაც მხოლოდ აქ აუხსნეს მეგობრებმა, რისთვის დასჭირდათ მათი დახმარება. ქუჯის მეფის მონასპელთა რაზმში კარგად იცნობდნენ. მათ იცოდნენ, რომ მალე ისიც მონასპელებში ჩაირიცხებოდა. ამიტომ ყველანი ამხანაგურად ექცეოდნენ. მონასპელებმა ავთოს წინადადება სიამოვნებით მიიღეს. მათთვის ნათელი იყო, რომ ქალაქის დიდმოურავის ერთგულ რაზმელებს რაღაც გამაღიზიანებელ ოინს უმზადებდნენ. ასეთი განზრახვის ასასრულებლად კი კეთილშობილი აზნაურიშვილები მონასპელთა რაზმიდან ყოველთვის მზად იყვნენ.

ტაქტიკოსმა ავთომ ისინი სამ ჯგუფად გაანაწილა, ერთის მეთაურობა თვითონ იკისრა, მეორე ამოს ჩააბარა და მესამე კი ტაროს. ეს ჯგუფები შურის ციხე-დარბაზის გამოსასვლელი სხვადასხვა კარიბჭის წინ ჩასაფრდნენ.

ქუჯი ციხე-დარბაზის მთავარი კარიდან შევიდა. მას მშველელად თავისი ძალოვანი მეგობრები ეგულებოდა. იგი დინჯი ნაბიჯით თლილი ქვის კიბეზე ადიოდა და თან სხვადასხვა ფიქრი უტრიალებდა თავში. ფიქრობდა, რომ რაღაც ურთიერთობა უნდა ჰქონოდა ბორენას დიდგეზირთან. გარდა ამისა, ერისთავი ბოცო ახალციხელი დავით ვეზირის

ერთგული იყო, ხოლო ქუჯიმ კარგად იცოდა, რომ მტრების მიმართ დაუნდობელი ვეზირი გადამეტებით მფარველობდა თავის ქვეშევრდომ-მეგობრებს. იგი აგრეთვე ფიქრობდა, კიდე კარგი, რომ აქვე არიან ჩემი ძმაკაცები და ჩემს თავს არავის დააჩაგვრინებენ. თუმცა მარტო მონასპელები ხომ ვერ დაუნყებენ ომს მთელ სამეფოში გავლენიან ვეზირსო...

ქუჯი ასეთი ფიქრებით გაჯერებული შევიდა მოსაცდელ ოთახში და მორიგე მოხელეს გადასცა დაბარების წერილი. მოხელე-მანდატურმა იგი მისაღებ ოთახში დატოვა, სადაც მან მედიდური სახით დაიწყო ლოდინი. დიდმოურავის სამი რაზმელიც ამ მისაღებ ოთახში იცდიდა. მათ იცნეს ქუჯი და რადგან იცოდნენ, რომ მან დაჭრა სეხნია ძამელი, ამიტომ იქედნური სახით უმზერდნენ. არ ესიამოვნა ქუჯის მათი გამომწვევი მზერა. მაგრამ ადვილი არ იყო ოდიშელი ქუჯის დაჯაბვნა, ისევე, როგორც ყველა მისი კუთხის შვილს, მასაც საკმაოდ დაჰყოლოდა სიამაყე. იგი ისე ადვილად არ დაანახვებდა ვინმეს თავის შინაგან, სულიერ მდგომარეობას. მალე მსახური შემოვიდა და ქუჯის ანიშნა, უკან გაჰყოლოდა. იგი მორიგე-მსახურს გაჰყვა, გაიარეს დერეფანი, შემდეგ დიდი დარბაზი და ბიბლიოთეკაში შევიდნენ. აქ ქუჯი საწერ მაგიდასთან მჯდომი ვილაც კაცის წინაშე აღმოჩნდა, რომელიც თავჩალუნული რალაცას წერდა. ქუჯიმ გაიფიქრა, რომ ეს კაცი ვილაც ბიბლიოთეკის გადამწერი იყო. ცოტა ხანში კაცმა გადადო ხელნაწერი და თავი ასწია. ქუჯიმ დავით ბატონიშვილი იცნო.

დავით მანდატურთუხუცესი მოჩუქურთმებულ მუხის მაგიდას იდაყვით დაეყრდნო და ყმანვილკაცს გამგმირავი მზერა სტყორცნა. ქუჯის ტანში ჟრუანტელმა დაუარა, მაგრამ თავი მაინც თავმდაბლად და ღირსეულად ეჭირა.

- აზნაურო, თქვენ ოდიშიდან ხართ?! – იკითხა ვეზირმა.
- დიახ, დიდებულო ბატონიშვილო, – მიუგო ყმანვილმა კაცმა.
- თქვენ გვარისშვილებს ოდიშიდან რამდენიმე განშტოება აქვთ, თქვენ რომელს ეკუთვინით?
- მე შვილი გახლავართ იმ აზნაური შელიასი, რომელიც 1121 წელს, დიდგორის ომის დროს თან ახლდა დიდებულ მეფე დავითს და მამათქვენს.
- ჰო, თქვენ მშობლიური ოდიშიდან ტფილისში ჩამოხვედით წარმატების მოსაპოვებლად.
- დიახ, დიდებულო ბატონიშვილო.

- მცხეთაში რალაც უსიამოვნება მოგივიდა.
- დიახ, მცხეთის სასტუმროში რომ გავჩერდი...
- ჰო, გასაგებია, ბატონ ვაჩესთან მოდიოდი მამის ნერილით, – გააჩუმა დიდვეზირმა ლიმილით, რაც იმას მოწმობდა, რომ დავითმ კარგად იცოდა ეს ამბავი.
- დიახ, დიდბატონო, მაგრამ სწორედ იმ უხერხული შემთხვევის გამო, მცხეთაში რომ გადამხდა...
- ვაჩესთვის გადასაცემი წერილი დაკარგე. ჰო, ეგეც ვიცი. ვაჩემ ავაგ არტანუჯელის რაზმში ჩაგრიცხა და თან დაგაიმედა, რომ მალე მონასპელებში დაგანაწილებდა.
- ქვეყნიერებაზე თქვენს მახვილ თვალს არაფერი გამოეპარება, დიდბატონო დავით.
- კიდევ ბევრი რამ გადაგხდათ თავს, ჩემო... ერთხელ სიონის ეკლესიის მოპირდაპირე ქუჩაზე ბრძანდებოდი, კარგი კი იქნებოდა, რომ იქ არ ყოფილიყავი. მერე თქვენს მეგობრებთან ერთად საირმის წყლებისკენ წახვედით... ისინი გზაში ჩამოგრჩნენ, შენ კი გზა განაგრძე და ტრაპიზონში ამოყავი თავი!
- დიდებულო ბატონო! მე მივემგზავრებოდი... – მიმართა სახტად დარჩენილმა ქუჯიმ.
- საქეიფოდ ან სანადიროდ ტრაპიზონის სანახებში. ეს პირადი საქმეა, მე იმიტომ ვიცი ეს, რომ ჩემი თანამდებობა ასეთია – მანდატურთუხუცესი, ყველაფერი უნდა ვიცოდე. იქიდან მობრუნებული... მერე ბოცო არჯევანი გამოგზავნე თქვენთან, რომელმაც შურის ციხე-ქდარბაზში, ჩემთან მოგიწვიათ. თქვენ უპატივცემულობა გამოიჩინეთ და არ მოხვედით.
- შეეშინდი, დიდო ბატონო, მეგონა, გამირისხდებოდით.
- რატომ უნდა გაგრისხებოდით?! განა იმიტომ, რომ მამაცად და ჭკვიანურად შეასრულეთ თქვენი უფროსების ბრძანება! მე მხოლოდ იმათ ვსჯი, ვინც ბრძანებას არ ასრულებს! ჰო, თან გაიხსენეთ, რა მოხდა იმ დღეს, როდესაც მოგიწვიეთ... თქვენ თვითონაც შენიშნავდით, რომ ყველა სახიფათო შემთხვევაში უვნებლად გადარჩით. ჰო, თქვენთვის გეგმა შევადგინე. მე ეს გეგმა მინდოდა იმ დღეს გამეცნო თქვენთვის, როდესაც ჩემგან პირველი მოწვევა მიიღეთ, მაგრამ არ მოხვედით. არა უშავს, აი, ახლა მოისმენთ ჩემ მოსაზრებას. დაჯექით, ბატონო ქუჯი-გიორგი შელია. თქვენ საკმაოდ ცნობილი, დიდებული გვარიშვილი ხართ და შეგიძლიათ ფეხზე დგომით არ ისმენდეთ ჩემს სიტყვას.

ქუჯი მანდატურთუხუცესს გაკვირვებული შეჰყურებდა. იგი ისე იყო განცვიფრებული ყოველივე იმით, რაც მის გარშემო ხდებოდა, რომ სანამ მეორედ არ მიუთითა დავითმა, მან ვერ მოახერხა სკამზე დაჯდომა.

– ქუჯი ბატონო, თქვენ გონიერი, წინდახედული და მამაცი ხართ. ჩვენ ძალიან გვიყვარს ასეთი, ქვეყნისთვის თავდადებული ვაჟკაცები. თქვენ, მეფის კარზე ახლად ფეხადგმულმა, გავლენიანი და ძლიერი მტრები გაიჩინეთ... ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ.

– დიახ, ბატონო... მე კი მფარველი არა მყავს... – მიუგო ყმანვილმა კაცმა დაბნეულად.

– ჩვენი აზრით, შენ აუცილებლად ხელმძღვანელი გესაჭიროება იმ სახიფათო ბილიკზე, რომელიც ცხოვრებაში აგირჩევია. შენ ხომ დიდების მოსახვეჭად და მეფის კარზე დასაწინაურებლად ჩამოხვედი სატახტო ქალაქში. ერთი მითხარი, რას იტყვი, ათისთავობა რომ შემოგთავაზო ჩემს განსაკუთრებულ რაზმში?! თანახმა ხარ?

– აჰ, დიდებულო ბატონიშვილო, ჩვენი მეფის წარჩინებულ რაზმში გახლავართ და არავითარი საბუთი არა მაქვს, ვემდურებოდე, – დაიწყო ქუჯიმ შეწუხებული სახით.

– უარს ამბობთ? მგონი, ჩემი გვარდიაც ჩვენი მეფის ერთ-ერთი რაზმია, და საქართველოს რომელ რაზმშიც უნდა იყოთ, სულ ერთია, მირონცხებულ მეფეს ემსახურებით! – თქვა ვეზირმა.

– ბოდიშს ვიხდი, დიდბატონო, მე არ მინდოდა მაგისი თქმა...

– თქვენ ძლიერი მფარველი გესაჭიროებათ, რადგან იცოდეთ, ბატონო ქუჯი, ძალიან ბევრი საჩივარი მივიღე თქვენზე. ვიცი, რომ მთელ დღეებსა და ღამეებს მეფის სამსახურს არ ანდომებთ. სხვათა შორის, თქვენ შესახებ ჩვენ აქ მთელი საქმე გვაქვს, – თქვა პირველმა ვეზირმა და ხელი გაიშვირა კარადისაკენ, – მაგრამ მინდოდა, ჯერ თქვენ მოგლაპარაკებოდით, ვიცი, რომ მტკიცე ხასიათის კაცი ხართ და თქვენი სამსახური, თუ მას კარგად წარმართავენ, გაჭირვების მაგივრად დიდ კეთილდღეობას შეგძენთ. მაშ, დაფიქრდი და გადაწყვიტე.

ქუჯი აინურა და წამოწითლდა.

– თქვენი სიკეთე, დიდო ბატონო, უსაზღვროა, ვხედავ, რომ დიდსულოვნებითა და ლმობიერებით აღსავსე ხართ. თქვენ გნებავეთ, სწორ და ჭეშმარიტების გზაზე დამაყენოთ მე, მდაბალი კაცი, მაგრამ რაკი ნებას მაძლევთ, რომ გულწრფელად მოგახსენოთ... ჩემი მეგობრები ყველანი მეფის მონასპელებში არიან, ხოლო ჩემი მტრები კი, რალაც სამწუხარო ავბედითობით, თქვენს რაზმში გახლავან. ასე რომ, თუ თქვენი წინადა-



დება მივიღე, თქვენები ცუდად მიმიღებენ და ჩვენებიც კარგი თვალით არ შეხედავენ ჩემს საქციელს.

– ვითომ... იქნებ შენი ღირსების შესაფერი ადგილი ვერ შემოგთავაზე, რომ შენი პატივმოყვარეობა დამეკმაყოფილებინა?! – იკითხა დიდვეზირმა იქედნური დაცინვით.

– რას ბრძანებთ, ბატონო, პირიქით, თქვენ გაცილებით მეტად მაფასებთ, ვიდრე ამის ღირსი ვარ. აი, სადაცაა ციხექალაქ განძის გარემოცვა დაიწყება, მე თქვენ თვალწინ მომიწევს სამსახური და თუ ამ ბრძოლებში ვენიე ბედნიერებას, მივიქციო თქვენი ყურადღება, აი, მაშინ, ყოველ შემთხვევაში, უფლება მექნება, ჩემი თავი იმ მფარველობისა და წყალობის ღირსად ვცნო, რომელსაც თქვენ მთავაზობთ.

– თქვენ მოქნილად და მოხერხებულად უარყოფთ! ჩემთან გადმოსვლა არა გნებავთ! მაშ, კარგი, დარჩით თავისუფლად და თქვენვე გაუძეოთ მეგობრებსაც და მტრებსაც... – თქვა დიდვეზირმა უკმაყოფილოდ.

– ჰოჰ, ბატონო...

– საკმარისია! საწყენი აქ არაფერია! თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მხოლოდ მეგობრებს უნევნ ღირსეულ მფარველობას, მტრებისაგან კი არაფრით არიან დავალებულნი... მიუხედავად ამისა, გირჩევთ: ბატონო ქუჯი-გიორგი, ფრთხილად იყავით, იცოდეთ, იმ წუთიდანვე, როგორც კი მოგაკლდებათ მზრუნველობა, თქვენი სიცოცხლე ჩალის ფასადაც არ ეღირება. თუ მომავალში რაიმე უბედურება გენიათ, – უთხრა ვეზირმა ორაზროვნად, – ნუ დაივიწყებთ, რომ მე მოგმართეთ წინადადებით და რაც კი შემეძლო, ყოველი ღონე ვიხმარე, რათა მათ უბედურებას ამეცდინეთ.

ქუჯიმ გულზე ხელი დაიდო, თავი მდაბლად, მოწინებით დაუკრა.

– დიდო ბატონო, რაც უნდა უბედურებაში ჩავვარდე, არასოდეს არ დავივიწყებ დღევანდელ დღეს და მუდამ თქვენი მადლიერი ვიქნები, – მიუგო ოდიშელმა ამაყი დამაჯერებლობით.

– ბატონო ქუჯი, მაშ, როგორც თქვენვე თქვით, ომის შემდეგ ვნახავთ ერთმანეთს. მეც იქ ვიქნები და თვალი მეჭირება თქვენზე. დიახ, ომის შემდეგ გადავწყვიტოთ... – უთხრა დავით ვეზირმა.

– დიდო ბატონო, გევედრებით, თუკი დარწმუნდებით, რომ თავი ღირსეულად მიჭირავს, ნულარ შემრისხავთ.

– ჰო... ერთხელ კიდევ თუ მექნა შესაძლებლობა, გაგმიეგონო ის, რაც დღეს შეგთავაზე, – წარმოთქვა გამგმირავად ვეზირმა.

ვეზირის ამ ნათქვამმა ქუჯი შეაძრწუნა. მას რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ დიდვეზირმა მედიდურად ხელით ანიშნა, თქვენთან შეხვედრა დამთავრებულიაო. ქუჯი ჩაფიქრებული გამოვიდა. მას დავით ვეზირის წინადადება რომ მიეღო, განუდგებოდნენ მეგობრები, ავთო ხელს აღარ ჩამოართმევდა. კართან ქუჯის მონასპელები დახვდნენ. ისინი მეგობრის დაგვიანების გამო წუხდნენ. მონასპელები ქუჯიმ დაამშვიდა. ბუჭუკა შესატყობინებლად ამოსა და ტაროსაკენ გაიქცა, რომ საჭირო აღარ იყო დარაჯობა, რადგანაც მისი ბატონი უკვე გამოვიდა ციხე-დარბაზიდან. მერე მეგობრებმა ავთოსთან მოიყარეს თავი საქეიფოდ და თან ქუჯის ვეზირთან შეხვედრის ამბავს აყოლინებდნენ.

მეორე დღეს მეგობრები საბრძოლველად წასვლის სამზადისს მოუწოდნენ. ქუჯი გამოსათხოვებლად ბატონ ვაჩესთან წავიდა. მათ სჯეროდათ, რომ ხანმოკლე იქნებოდა ავაგ არტანუჯელის რაზმელებისა და მონასპელების განშორება. რადგან მეფე ამ დღევსე აპირებდა დიდებულთა სააჯო კარის მონვევას და მერე ბრძოლის ველისკენ გამგზავრებას. მონასპელები კი მეფეს თან უნდა გაჰყოლოდნენ. სალამოს ავაგ არტანუჯელის რაზმელები და ვაჩე ჩიქვანის მონასპელები ერთად შეიყარნენ საქეიფოდ, სალაშქროდ წასვლის აღსანიშნავად. ავაგ არტანუჯელის რაზმელები ახლავე საომრად მიდიოდნენ, მონასპელები მეფეს უნდა ხლებოდნენ, ამიტომაც ერთმანეთს ეთხოვებოდნენ. ის ღამე დიდი ღვინ-ქეიფით, მხიარულად გაატარეს. მეორე დღეს, ბუკნალარის პირველი ხმისთანავე, მეგობრები ერთმანეთს გამოეთხოვნენ. მონასპელები ვაჩეს სასახლისკენ წავიდნენ, სხვა რაზმელები კი ავაგ არტანუჯელისაკენ. ათასისთავებმა რაზმეები მაშინვე სიონის წინა მოედნისაკენ წაიყვანეს, სადაც მეფეს თავისი ჯარების დათვალიერება-აღლუმი უნდა ჩაეტარებინა. მეფე დაღონებული იყო და ავადმყოფს ჰგავდა, რაც ცოტათი მაინც აღმობიერებდა მის მობერებულ, მედიდურ სახეს. მართლაც, გუშინ სააჯო კარის შეკრების დროს, როდესაც იგი სამეფო ტახტზე იჯდა და მიმართავდა დიდებულებს, უეცარმა ციებ-ციხელებამ აიტანა. მეფეს გადანყვეტილი ჰქონდა, ამ სალამოსვე წასულიყო ბრძოლის ველისაკენ. იგი მრავალი თხოვნის მიუხედავად, მაინც არ იშლიდა ჯარების აღლუმის ჩატარებას. მას იმედი ჰქონდა, რომ ავადმყოფობას მალე დაძლევადა. აღლუმის დამთავრების შემდეგ ჯარი გზას გაუდგა. ქუჯიც თავის რაზმთან ერთად ბრძოლის ველისაკენ მიდიოდა. იგი ორთაჭალის უბანში შესვლისას მობრუნდა, რომ დიდებული შურის ციხე-დარბაზისათვის შეეხედა. ქუჯი უყურებდა ციხე-დარბაზს და ვერ

შეამჩნია ცხენზე მჯდარი ბორენა, რომელიც ბოროტი სახის მქონე ორ კაცს ქუჯიზე ანიშნებდა. მალე ისინიც რაზმელებს შეერივნენ.



## – თაზი 19 –

1138 წელს განძის ანუ იქაურად, განჯის გარემოცვა დემეტრეს მეფობაში დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა და დავით ვეზირის ერთ-ერთი დიდი სამხედრო ღონისძიება იყო. ციხე-ქალაქ განძის გარემოცვით ბაგრატიონთა დინასტია დიდ სამხედრო-პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა. ჯერ კიდევ დიდი დავითის მიერ შემოერთებულ მრავალ ქალაქთაგან ერთ-ერთი გაურჩეული ქალაქი განძა იყო. ეს იყო ურჯულთა დასაყრდენი, უკანასკნელი ციხესიმაგრე. ამიტომაც საჭირო იყო ამ საყრდენის მოშლა-მოსპობა, რადგან სწორედ აქ და ანისში ღვივდებოდა შინაგანი ომების და ტომთა დაპირისპირების მავნე თესლი. საქართველოს სამეფოს მომდურავი სელჩუკები, არაბები, რანელები, შარვანელები, ნოღაელები, შემახელები და ავანტიურით გატაცებული ყველა სხვა ტომის შვილები, ხმლითა და ნადავლით მცხოვრები ჯარისკაცები პირველივე დაძახილზე იკრიბებოდნენ საქართველოს სამეფოს მოწინააღმდეგეთა დროშის ქვეშ და ქმნიდნენ ფართო ერთსულოვან გაერთიანებას, რომლის შტოები თავისუფლად ვრცელდებოდა მთელი საქართველოს გარშემო.

განძას უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა მას შემდეგ, რაც ქართველთა მოწინააღმდეგეებს ხელიდან გამოაცალეს ქალაქები – ანისი, ყარსი, დვინი, ყაბალა და სხვ. ამგვარად, განძა უთანხმოებისა და პატივმოყვარული ზრახვების კერა გახდა. უფრო მეტიც: განძა „აბრეშუმის“ დიდი სავაჭრო, სატრანზიტო გზის კარი იყო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ტფილისისაკენ მომავალ გზაზე. ამ გაურჩეული ქალაქის ხელმეორედ შემოერთებით განმტკიცდებოდა და დაგვირგვინდებოდა დიდი დავითის მიერ დაწყებული მამულიშვილური საქმე.

მაგრამ, პოლიტიკურ განზრახვებთან ერთად, რომელიც დიდი დავითის შვილიშვილს გზას უხსნიდა მეფის ტახტის ფლობისაკენ და აბსოლუტური ძალაუფლებისაკენ; არსებობდა პირადი ინტერესიც. იგი მოქიშპე ძმის და თვით მამა მეფის მოწინააღმდეგეც იყო. ამგვარად,

ბატონიშვილ დავითს, მანდატურთუხუცესს, პირველ დიდგეზირს და დემეტრე მეფის უფროს ვაჟს პირველი ქორწინებიდან, სწყუროდა არა მარტო საქართველოს მტრების დათრგუნვა, არამედ თავის მეტოქე უმცროს ძმაზე ჯავრის ამოყრაც. ამასთან, მართლაც დიდი უნდა ყოფილიყო ეს შურისძიება, ბრწყინვალე, და ყველაფრით ღირსი ადამიანისა, რომელსაც ხელში საბრძოლო ხმლად, თითქმის მთელი სამეფოს ძალები ეჭირა. დიდი დავითის მოსახელე შვილიშვილისათვის მთავარი იყო არა მარტო საქართველოს მტრის დამარცხება, არამედ მეტოქე ძმაზე, უმცროს უფლისწულ გიორგიზე, შურისძიებაც. მან კარგად იცოდა, რომ ქალაქ განძისათვის ბრძოლა იყო სამეფო ტახტისათვის ბრძოლა, რომ განძის ალებით ის ქვეყნის შიდა პოლიტიკურ სარბიელზე მიაღწევდა უფრო მეტ წარმატებას.

მეფის ჯარი სრულიად მოულოდნელად მიადგა ციხე-ქალაქ განძას დაახლოებით ათი ათასი კაცით. მათ მოუშზადებელი დახვდა მოლაღატე ათაბაგი ყარა-სუნღური, რომელიც შაჰ არმენის მხარეს გადავიდა. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ მეფის ჯარმა ქალაქ განძის მონინავე თავდაცვის ზღუდეები დაიკავა. ათაბაგმა ყარა-სუნღურმა თავის მეომრებთან ერთად თავი განძის დედაციხეს შეაფარა და ხანგრძლივი ალყისათვის დაიწყო მზადება. მონინავე თავდაცვის ზღუდეების ალებამ დააჩქარა დავით მანდატურთუხუცესის გადამწყვეტილება, რომ ვიდრე მეფე ჩამოვიდოდა ბრძოლის ველზე, ქალაქი განძა მთლიანად მოექცია ალყაში. ამიტომ მან ბრძანა, ბრძოლის ველზე სრულად გაეყვანათ მის განკარგულებაში მყოფი ჯარი. სწორედ ამ მენინავე ჯარის ერთ-ერთ რაზმში ერია ოდიშელი აზნაური ქუჯი-გიორგი.

მეფე, როგორც ცნობილია, დიდებულ-მრჩეველთა საგანგებო კრების ანუ *სააჯო დარბაზის*, *სავაზიროს* ჩატარების შემდეგ თვითონაც უნდა გაჰყოლოდა ჯარს. მაგრამ, კრების დამთავრებისთანავე, ისევ ციხე-ცხელეებამ შეუტია. იგი მაინც არ იშლიდა თავისას, მაგრამ უფრო უარესად შეიქნა და ბოლოს იძულებული გახდა, ხუნანის ციხე-დარბაზში გაჩერებულიყო. სადაც მეფე გაჩერდებოდა, უნდა შეჩერებულიყო მონასპელთა რაზმიც, ამიტომ მოხდა, რომ ავაგ არტანუჯელის რაზმში მყოფი ქუჯი დროებით მაინც ჩამოშორდა თავის მეგობრებს – ავთოს, ამოსა და ტაროს. ეს განშორება ქუჯის სანყენ გარემოებად მიაჩნდა.

ქუჯი 1138 წელს, ხარების დღესასწაულიდან მეხუთე დღეს, ყოველგვარი ხიფათის გარეშე, მშვიდობიანად მივიდა განძასთან, სადაც ძირითადი ჯარი იყო დაზანაკებული. ჯერჯერობით ყველაფერი ისევ

ისე იყო. მოწინავე თავდაცვის ზღუდეები აღებული, ათაბაგი ყარასუნლური თავის მეომრებთან ერთად განაგრძობდა ბრძოლას ალყაში, ხოლო მეფის ჯარი უტევედა დედაციხეს, მაგრამ ვერას ხდებოდა. ერისთავ ავაგ არტანუჯელის რაზმს მდინარე მტკვარსა და განძას შორის მდებარე დაბაში ჰქონდა ბინა დადებული.

ქუჯი-გიორგი ქედმალობდა და ავაგ არტანუჯელის რაზმელებთან მაინცდამაინც არ მეგობრობდა. იგი ფიქრობდა მონასპელებში მალე გადასვლაზე. ამიტომ ხშირად მარტოდმარტო, თავის ფიქრებში ჩაფლული იყო. საფიქრალი კი ბლომად ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ტფილისში ჩამოვიდა, სამეფო კარის საქმეებში მეტისმეტად გაითქვიფა. თავისი კერძო საქმეები კი ჯერჯერობით ვერ მოაგვარა. კერძოდ, მას არც დიდება-დანინაურების, არც სიმდიდრის მოპოვების და არც სიყვარულის მხრივ არ უმართლებდა. ქუჯის სიყვარული, ქალბატონი შუშანა გააქრეს, მისი კვალიც დაიკარგა. ფულიც ვერ იშოვა. რაც შეეხება დიდებას, მან ის არა თუ მოიპოვა, არამედ პირიქით, უბრალო რაზმელი პირველ ვეზირს მტრად გაუხდა. ეს იმ კაცს, რომლის წინაშეც შიშით თრთოლდნენ სამეფოს უდიდებულესი წარჩინებულნი და თვით მამა მეფეც... დავით მანდატურთუხუცესს ქუჯის მწერივით გაქრობა შეეძლო, მაგრამ ჯერხანად დაინდო. ამის გარდა, ქუჯიმ ბორენაც მოსისხლე მტრად გადაიკიდა. სამაგიეროდ, ქუჯი დედოფლის კეთილგანწყობით სარგებლობდა. მაგრამ ეს კეთილმოსურნეობა შეიძლებოდა დევნის და დალუპვის საბაბიც გამხდარიყო. ერთადერთი, რაც ამდენი დავიდარაბის შემდეგ შეიძინა, ეს დედოფალის ნაჩუქარი ბეჭედი იყო. ქუჯი ამ ამბებზე ფიქრობდა, როდესაც მარტო საცალფეხო გზაზე მისეირნობდა. ეს გზა სამხედრო ბანაკიდან სოფელ არღუნამდე მიდიოდა.

უკვე ბინდებოდა, როდესაც უეცრად ქუჯიმ ჩამავალი მზის სხივზე ღობესთან მუზარადს მოჰკრა თვალი. მას მაშინვე გაუელვა ფიქრმა, რომ ღობე-ყორეს იქით ვინმე უცნობი კეთილი განზრახვით არ იქნებოდა ჩასაფრებული. გადანყვიტა გაქცეულიყო, მაგრამ გზის მეორე მხარესაც კონდახიანი მშვილდ-ისრით ვიღაც იყო ჩასაფრებული. იგი დააკვირდა კონდახიან მშვილდს, რომელიც პირდაპირ მისი მიმართულებით იხრებოდა. ქუჯი სწრაფად მიწაზე განვა. ნასროლმა ისარმა ზუზუნით ზემოდან გადაუფრინა და ასცდა. ცხადი გახდა, რომ მას უპირებდნენ მოკვლას. ქუჯი სწრაფად წამოხტა და მოკურცხლა. მეორე მხრიდან ნასროლი ისარ სწორედ იქ დაერჭო, სადაც ქუჯი წამოხტო-მამდე იწვა. იგი ბანაკისკენ ჩვეული სისწრაფით მიქროდა.

ბანაკში მირბენილ ქუჯის სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. მან არავის არაფერი უთხრა, დაქანცული სკამზე ჩამოჯდა და თავის მძიმე მდგომარეობას ჩაუფიქრდა. კერძოდ, შეიძლება ეს თავდასხმა, ქალაქ განძის დამცველებს მოეწყობოთ; ეს საქმე შეიძლებოდა დიდვეზირის მონყობილიც ყოფილიყო; ან იქნებ ეს ბორენას შურისძიება იყო. ქუჯი ცდილობდა, ჩასაფრებულების სახე ან ჩაცმულობა აღედგინა, მაგრამ ამაოდ. მართლაც, ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ვერაფერი ვერ გაიხსენა. იგი განიცდიდა, რომ თავისი ერთგული მეგობრები ახლა, ამ გასაჭირში, გვერდით არა ჰყავდა.

ქუჯიმ ღამე მოუსვენრად გაატარა. რამდენჯერმე გამოეღვიძა. მას ესიზმრებოდა კაცი, რომელიც უპირებდა შუბის გულში გარჭობას. ქუჯი ხვდებოდა, რომ მტერი შემდეგისათვის გადაიტანდა ამ ბოროტი განზრახვის ასრულებას. მეორე დღეს დილით ქუჯის ფეხი არსად გაუდგამს. შუა დღისას კი ბუკ-საყვირის ხმა გაისმა. დიდვეზირმა, მანდატურთუხუცესმა დავითმა, საგუშაგოების საჯაროდ დათვალიერება და მეომრების საბრძოლო მზადყოფნის შემოწმება განიზრახა. მეომრები იარაღის ასაღებად გარბოდნენ. ქუჯიც თავის რაზმელებთან ერთად მწყობრში ჩადგა. დიდვეზირმა გამწკრივებული რაზმები ცხენზე ამხედრებულმა ჩამოიარა. ამის შემდეგ მას მაღალი ნოდების ყველა მეთაური გარს შემოეხვია, რომ უფროსისათვის თავი მოენონებინათ. მეთაურთა ამ სახელდახელო თათბირში მონაწილეობას ერისთავი ავგა არტანუჯელიც იღებდა. ცოტა ხნის შემდეგ ქუჯიმ დაინახა, რომ რაზმის მეთაურმა, ავგა არტანუჯელმა ანიშნა, მასთან მისულიყო. ქუჯი მწყობრიდან მაშინვე გამოვიდა და თავისი უფროსისკენ წავიდა ბრძანების მისაღებად.

– მანდატურთუხუცეს დავითს საგანგებო დავალების შესასრულებლად რამდენიმე გულადი და მოხერხებული მეომარი სჭირდება. ვინც ამ საქმეს მოაგვარებს, იგი მის კეთილგანწყობას დაიმსახურებს. ჰოდა, იმისთვის გიხმე, რომ მზად იყო! თქვენ თავის გამოჩენის საშუალება მოგეცემათ!

– მაღლობა ამ ნდობისათვის, ჩემო მეთაურო! – მიუგო ქუჯიმ და გაიჯგინა. იგი ხომ სულ იმას ნატრობდა, რომ საშუალება მისცემოდა, გამორჩეული და სასახელო რამ ჩაედინა.

ორი დღის წინ განძელები ქალაქის დედაციხიდან გამოსულიყვნენ და ბრძოლით აეღოთ წინა ხაზის ერთი კოშკი, რომელიც ადრე მეფის ჯარს ეჭირა. იმის გასაგებად, თუ რა ძალით იცავდნენ განძელები ამ

კომკს, მამაცი და მოხერხებული მზვერავების გაგზავნა იყო საჭირო. ავაგ არტანუჯელმა ქუჯი ცოტა ხანში ისევ გამოიძახა და დავალების არსი განუმარტა. თავის მხრივ, ქუჯიმაც მიმართა იქ მდგომ მეომრებს: – მჭირდება ოთხი გულადი მებრძოლი! ვინც ჩემთან ერთად სიკვდილს არ მოერიდება!! – შესძახა ქუჯიმ და მაღლა შეათამამა ხმალი.

მაღევე მამაცი მეომრებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ქუჯის დაუდგნენ გვერდით. ქუჯის მეთაურობით მეომრები სადაზვერვო დავალების შესასრულებლად დაიძრნენ. მზვერავი მებრძოლები თხრილ-სანგრებს გაფაციცებულები მიჰყვებოდნენ. ორი ქუჯისთან ერთად წინ მიისწრაფოდა, ხოლო ორიც უკან მისდევდათ. ამგვარად, თხრილს მოფარებულები კომკს მიუახლოვდნენ. როდესაც ქუჯიმ უკან მიიხედა, ორი მებრძოლი ველარ დაინახა. ალბათ ჩამორჩნენო, იფიქრა და განაგრძო მოძრაობა. ორმოცდაათი ნაბიჯილა რჩებოდა ოთხკუთხა კომკამდე და ჯერ თითქოს არავინ ჩანდა. იქ ჩამიჩუმი არ ისმოდა; მიტოვებული გეგონებოდათ. მეომრები შეჩერდნენ და გამართეს ბჭობა, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. ამ დროს კომკიდან ისრების წვიმა წამოვიდა. ამით მეფის ჯარისკაცებმა გაიგეს, რომ სიმაგრეს განძელები იცავდნენ. აქ, ისრების წვიმაში დაყოვნება სრულიად უსარგებლო გამბედაობა იქნებოდა. ქუჯიმ და მისმა ორმა მებრძოლმა პირი უკან იბრუნეს და სწრაფად მოსცილდნენ იქაურობას. მათ მოგრძო ბორცვისაკენ დაიხიეს, რომელიც საფარად უნდოდათ გამოეყენებინათ. ამ დროს ერთ-ერთ რაზმელს ისარი მოხვდა და მიწაზე უსულოდ დაეცა. უვნებლად გადარჩენილი მეორე მებრძოლი კი ბანაკისაკენ სწრაფად, უკანმოუხედავად გაიქცა.

ქუჯის თანამებრძოლის მიტოვება არ უნდოდა. ამიტომ მის სანახავად დაიხარა. უცბად ისარმა გაიზუზუნა, ქუჯის ასცდა და ისევ დაღუპულ მეომარს ჩაერჭო. ქუჯი უკან სწრაფად მობრუნდა. კომკიდან წამოსული ისრები ბორცვის მეორე მხარეს ვერ მოსწვდებოდნენ. ქუჯის ახლალა გაახსენდა ის ორი ჯარისკაცი, რომლებიც წელან ჩამორჩნენ. მას გუშინდელი თავდასხმაც მოაგონდა. ქუჯიმ გაიფიქრა და გადანყვიტა, რომ ახლა მაინც გაეგო, ვინ ერჩოდა ასე გამეტებით. ამიტომ თვალთმაქცურად მკვდარივით დაემხო გარდაცვლილ რაზმელს. უცბად თორმეტიოდე ნაბიჯით დაცილებული საფარიდან ორი კაცი გამოჩნდა. ესენი სწორედ ის მზვერავები იყვნენ, რომლებიც ადრე ჩამოშორდნენ ქუჯის რაზმს. ეს ორი კაცი ქუჯის მხოლოდ იმის გამო გამოჰყვა, რომ მოეკლათ და მერე გადაებრალეებინათ განძელებისთვის.

კაცისმკვლელები სწრაფად წამოვიდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ ქუჯის სიკვდილში. მოახლოებისთანავე ქუჯი მკვირცხლად წამოხტა და ხმალამოღებულმა შეუტია მოლაღატე მკვლელებს. კაცისმკვლელები ხვდებოდნენ, რომ ქუჯის ცოცხლად დატოვება მათ დალუპვას ნიშნავდა. ერთმა მათგანმა შუბი მთელი ძალით მოუქნია. ქუჯი გვერდზე გახტა და შუბი აიციდინა. ამ გადახტომით მეორე მკვლელს გზა გაეხსნა, იგი სწრაფად გაექანა განძელების კოშკისაკენ. მაგრამ მეციხოვნეებმა არ იცოდნენ, თუ რა განზრახვით გარბოდა იგი ციხისკენ. ამიტომ კოშკიდან ისრები დააყარეს. მოლაღატეს რამდენიმე ისარი მოხვდა და უსულოდ დაეცა მიწაზე. ქუჯი იმნამსვე მეორე მონინაალმდეგეს მივარდა, რომელიც შუბით იგერიებდა შეტევას. მალე ხმალი შუბის ტარზე ჩაცურდა და ქუჯის მოპირდაპირეს ფერდში შეერჭო. შეშინებული დაჭრილი იმ წუთშივე ძირს გაიშხლართა.

- მეთაურო, შემობრალეთ, არ მომკლათ, ყველაფერს გაგიმხელთ!
- ვიგინდარავ, მითხარი, ვინ დაგავალა ჩემი მოკვლა?!
- ქალმა, სახელად ბორენამ, მაგრამ მე მას არ ვიცნობ. ჩემი მოკლული ამფსონი იცნობდა. ამ ქალმა ეს საქმე მას შეუკვეთა. მასვე ჯიბეში იმ ქალის მნიშვნელოვანი წერილი აქვს. ჰო... გასამრჯელო, ასი დრაჰკანი, შუაზე უნდა გაგვეყო.
- ჰოჰ... კარგად დავუფასებოვარ! გაპატიებ, ოღონდ უნდა მიხვიდე შენს მკვდარ ამფსონთან და ჯიბეში რომ წერილი უდევს, აქ მომიტანო.
- ეჰ, უფროსო, იქამდე როგორ უნდა მივიდე, როდესაც კოშკიდან ისრები სეტყვასავით მოფრინავს.
- ვაჰ, მიდიხარ თუ სული გაგაცხებინო?!
- მაპატიეთ, შემინყალეთ, უფროსო! ჰო, კარგი, მივდივარ!

ქუჯიმ მკვლელი წინ გაიგდო. მოსალოდნელი სიკვდილის შიშით მკვლელს მკვდრისფერი დასდებოდა. იგი ცდილობდა, ამფსონის გვამამდე ისე მისულიყო, რომ კოშკიდან ნასროლი ისრები აეცდინა. ქუჯი მის ოფლიან, შეშინებულ სახეს ზიზლით დააცქერდა და უბრძანა, რომ შეჩერებულიყო. შემდეგ სწრაფად გაემართა, თან ფრთხილად ადევნებდა თვალს მტრის მოძრაობას. იგი საფრად მოხერხებულად იყენებდა ყველაფერს, რაც კი გზად ხვდებოდა. ქუჯიმ გადაწყვიტა, გარდაცვლილი თან წამოედო და თანაც ფარადაც გამოეყენებინა.

როცა ქუჯი ბორცვს მოეფარა და თავი უსაფრთხოდ იგრძნო, მაშინვე შეუდგა მკვლელის ჩხრეკას. მან ქისა დაჭრილს გადაუგდო, ხოლო ბართი უცბად გადაიკითხა. წერილში საუბარი იყო ქალზე, ალბათ შუშანაზე,



რომლისთვისაც ჯერ ვერ მიუგნიათ. ეს ქალი კი თურმე სხვებს ერთ-ერთ მონასტერში გადაუმალავთ. შემდეგ ბორენა იმუქრებოდა, რომ კაცი მაინც ცოცხალი არ დაგისხლტეთ ხელიდანო; თორემ, ხომ იცით, გრძელი ხელი მაქვს და ძვირად დაგისვამთ იმ ფულს, რომელიც ჩემგან მიიღეთო. ქუჯიმ დაჭრილს დაუნყო გამოკითხვა. შეშინებული მკვლეელი გამოტყდა, რომ იგი თავის ამფსონთან ერთად დაიქირავეს ერთი ახალგაზრდა ქალის მოსატაცებლად. ის ქალი ტფილისიდან განძის კარით მოჰყავდათ. მაგრამ ამფსონებმა ეს დაკვეთა ვერ შეასრულეს. ეს ქალი მერე ვერცხლის ქუჩაზე ბორენასთან უნდა მიეყვანათ. ქუჯიმ ნათლად შეიგრძნო, თუ შურისძიების როგორი დაუოკებელი ნყურვილი ამოძრავებდა ბორენას. ამ ქალბატონს უეჭველად დავით ვეზირის საახლობლოდან ჰქონდა მიღებული საჭირო ცნობები. მაგრამ დედოფალ ანოს მიუგნია იმ საპატიმროსათვის, სადაც მისი ერთგულებისათვის თავგანწირული საწყალი შუშანა იტანჯებოდა და იგი უხსნია. ახლა ქუჯისათვის უკვე გასაგები შეიქნა ამას წინათ შუშანასაგან მიღებული წერილი და კახეთ-სიღნაღის გზაზე ეტლით მისი ჩაქროლება.

ქუჯი დაჭრილისაკენ მიბრუნდა. დაჭრილმა წამოინია და ხელზე აკოცა ქუჯის. შემდეგ ქუჯი დაჭრილს დიდსულოვნად მიეხმარა და ორივენი სამხედრო ბანაკისაკენ დაიძრნენ. მზვერავი მეომარი, რომელმაც კოშკიდან ისრების პირველი დაშენისთანავე გამოიქცა, უკვე ბანაკში მისულიყო. იგი მოჰყვა, რომ მტერმა სხვა მზვერავები დახოცაო. ამიტომ მეომრები მეტად გაოცებულები იყვნენ, როდესაც ცოცხალი ქუჯი დაინახეს. ქუჯიმ მათ ამ დაზვერვის დროს განცდილ საფრთხეებზე უამბო. ეს საბრძოლო ამბავი ქუჯისთვის ნამდვილ წარმატებულ ზეიმად იქცა. ამის მეტი, მთელ ჯარს და ბანაკს, სალაპარაკო არაფერი ჰქონდა. მხედრობის სპასპეტმა და რაზმის მეთაურმა, ქუჯი დავალების წარმატებით შესრულებისათვის საჯაროდ შეაქცეს.

ქუჯი ჯერ კიდევ არ იცნობდა ცხოვრებას. ამიტომ მიამიტურად ფიქრობდა, რომ ახლა შეიძლება მშვიდად ვიყოო. რადგან ჩემს მოსაკლავად გამოგზავნილთაგან ერთი მკვდარია, ხოლო მეორე მე მემორჩილებაო.

მეფის ავადმყოფობის შესახებ თითქმის უიმედო ამბები მოდიოდა. მაგრამ მალე ბანაკში ერთბაშად ხმა დაირხა, რომ იგი უკეთ გახლდათ. მეფეს სურდა, რომ მალე მისულიყო ბრძოლის ველთან და მონაწილეობა მიეღო ქალაქის გარემოცვის საქმეში. ამბობდნენ, როგორც კი ცხენზე შეჯდომას შეძლებს, მაშინვე გზას გაუდგებაო. დავით დიდვე-

ზირმა იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ შეცვლიდნენ და მთავარსარდლობას იკისრებდა თვით მეფე. ამიტომ იგი ამ ხნის განმავლობაში ენერგიულად მოქმედებდა მტერთან შეტაკებების დროს. მისი მხრიდან სერიოზული საბრძოლო ოპერაცია იყო ქალაქის გამაგრების პირველი ხაზის აღება, რის შემდეგაც მტერი დედაციხეში შეიკეტა. სწორედ აქედან დაიწყო ქალაქ განძის სრული ალყა.

ქუჯიმ გარკვეული სულიერი სიმშვიდე მოიპოვა. ეს კი იმ ადამიანებს ემართებათ ხოლმე, რომლებიც განსაცდელს გადარჩებიან და ის უკვე განვლილად ეჩვენებათ. ქუჯის ახლა მხოლოდ თავისი ძმაცაცების ამბავი ანუხებდა, რადგან მათ შესახებ არაფერი იცოდა. მაგრამ ერთ დილას დაბა ხუნანიდან გამოგზავნილი თავისი მეგობრების წერილი მიიღო. სადაც ხუნანში მდებარე დუქნის მეპატრონე წერდა, რომ ავთომ, ტარომ და ამომ ძალიან მოილხინეს ჩემს დუქანშიო. მე მათ დამავალეს, თქვენ ტიკით რქანითელი გამოგიგზავნოთო. ძმაცაცების გამოგზავნილმა ამ ძღვენმა ქუჯი ძალიან გაახარა. მან გადანყვიტა, რომ ეს ღვინო სიამოვნებით შეესვა ნაცნობებთან ერთად. მალე ქეიფისათვის დანიშნული დღეც დადგა. ქუჯიმ ბუჭუკას დილიდანვე დაავალა ყველაფრის მომზადება. რაზმელები იქვე, სოფლის დუქანში, შუადღისათვის იყვნენ მონვეულები. ბუჭუკამ ქეიფის სამზადისისათვის ის ჯარისკაციც მოიშველია, რომელსაც ადრე ქუჯის მოკვლა უნდოდა. სადილის დრო მოახლოვდა და სტუმრებიც მოვიდნენ. ისინი მაგიდას მიუსხდნენ. საქეიფო სუფრაზე ბარაქიანად გამწკრივებულყო სხვადასხვა საჭმელი. სტუმრებს ბუჭუკა ემსახურებოდა. ქუჯის მიერ შეწყალებული ჯარისკაცი ღვინის ტიკიდან მცირე დოქებში ჩამოსხმით იყო დაკავებული. შეწყალებულმა ჯარისკაცმა მღვრიე ძირაღვინო ჯამში ჩაასხა, დაილოცა და შესვა.

სტუმრები გემრიელად შეუდგნენ ქეიფს და ღვინოც დაისხეს. ის იყო, პირველი სადღეგრძელო, უფალი უნდა ეხსენებინათ და ყანწი ტურებთან მიეტანათ, რომ უცბად ბუკ-ნაღარის ხმა გაისმა და ხმაური ატყდა. სტუმარ-მეომრები მაშინვე წამოცვივდნენ და სწრაფად ხმლებზე იტაცეს ხელი. მათ იფიქრეს, ალბათ მტრის თავდასხმააო და გარეთ გაცვივდნენ. მაგრამ მალე ნათელი გახდა ბუკ-ნაღარის მიზეზი. ყველგან ისმოდა მეფის სადიდებელი აღტაცებული შეძახილები – დიდება და გამარჯვება ჩვენს მეფეს!! ჩვენს ქვეყანას გაუმარჯოს!!

მეფე დემეტრე მოუთმენლად მოიჩქაროდა ბრძოლის ველისკენ. როგორც ამბობდნენ, მას ერთ დღეში გამოველო ორი დღის სავალი და

მოსულიყო კიდევ თავისი ამალით და თან ახალი მხედრობაც მოეყვანა. მას თავისი, პირადი მცველი მონასპელებიც თანა ჰყავდა, ნაწილი წინ მიუძღოდა მეფეს და ნაწილი უკან მისდევდა. მეფემ ჯარის რაზმების მწყობრი ჩამოიარა, რომელშიც ქუჯიც იდგა. მან დაინახა თავისი მონასპელი მეგობრები. ქუჯი მონინებით მიესალმა აგრეთვე ბატონ ვაჩე ჩიქვანსაც. როგორც კი დამთავრდა მეფის მობრძანებისადმი მიძღვნილი აღტაცება-ზეიმი, მეგობრები მაშინვე ერთმანეთს გადაეხვივნენ.

– მეგობრებო, დიდებულ დროს ჩამოხვედით სწორედ... ახლალა ვინყებდით ქეიფს და მოლხენას, – შესძახა ქუჯიმ და სტუმრებს გააცნო მეგობრები.

– ერთი მითხარი, კაი დასალევი ღვინო თუ მოიპოვება აქ, ამ არემარეში? – წამოიძახა ტარომ.

– ჰო, განა აქ არა გვაქვს თქვენი გამოგზავნილი ღვინო!

– ღვინო განა ჩვენ გამოგიგზავნეთ? – გაიკვირვა ავთომ.

– ჰო, რა მოხდა, თქვენი დავალებით გამოგზავნილი ღვინო მაქვს.

– ჩვენი დავალებით? – შესძახეს ერთხმად მონასპელებმა.

– მოსაწონი ღვინო იყოს, თორემ საიდანაც და ვისგანაც გინდა იყოს გამოგზავნილი. გამომგზავნი ვადღეგრძელოთ! – შეუძახა ტარომ.

– მაშ, მედუქნე ჭოლასათვის თქვენგანს არავის უბრძანებია ჩემთვის ღვინის გამოგზავნა? – თქვა ქუჯიმ, – აი, მისი წერილიც.

– წერილი ყალბია! – აღნიშნა ავთომ და გადახედა შეცბუნებულ, შელონებულ ქუჯის.

– საზარელი ეჭვი გონებას მიღრღნის, აქაც იმ ქალის ბოროტი ხელი ხომ არ ურევია? ჩქარა წავიდეთ! – შეჰყვირა ქუჯიმ.

მეგობრები და სტუმრები დუქნისაკენ სწრაფად გაექანნენ. შეცვივდნენ თუ არა სასადილო დარბაზში, მაშინვე თვალში ეცათ მიწაზე მწოლიარე, შეწყალებული ჯარისკაცი, რომელიც ტკივილისაგან იკლაკნებოდა. შეშინებული ბუჭუკა ცდილობდა, უბედურისათვის ეშველა, მაგრამ ყოველგვარი ცდა უკვე ამას იყო. ქუჯის მიერ შეწყალებულ ჯარისკაცს პირიდან მომწვანო დუჟი გადმოსდიოდა.

– ვაი! ჯავრი ამოიყარეთ? საშინელებაა... თქვენი არა მჯერა! – დაიყვირა უბედურმა ცოდვილმა და სული დალია.

– მდაა... ვერ არი კარგი ამბავი... – ნაიჩურჩულა ავთომ. ამ დროს ტარო ღვინის ტიკს ხანჯლით კეპავდა, ხოლო ამო ზიარებისათვის მღვდლის დაძახებას აპირებდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

– ბატონებო, სიკვდილს გადავრჩით! ამ ამბავს ნუ გაახმაურებთ გათხოვთ... – სტუმარ რაზმელებს მიმართა ქუჯიმი.

– ვაჰ, ბიჭოს, რას გადავრჩი... მეფის სადღეგრძელო მინდოდა შემესვა... მაგრამ დამიძახეს და ველარ მოვასნარი, – თქვა გაფითრებულმა ბუჭუკამ.

პურის ქამა და ქეიფი ჩაიშალა, რადგან მხიარულების გუნებაზე აღარავინ იყო. ქუჯიმ თავის სტუმარ რაზმელებს მოუბოდიშა და გაისტუმრა. მარტო დარჩენილმა ქუჯიმ და სამმა მონასპელმა ერთმანეთს თანაგრძნობის თვალთ გადახედეს. მეგობრები ოთახიდან გავიდნენ, ბუჭუკას მიანდეს მიცვალებული ჯარისკაცის მოვლა-პატრონობა. დუქნის მეპატრონემ სხვა ოთახში შეიყვანა მეგობრები და იქვე მიათრევს მწვადი და შემწვარი ვარიკები ნიორწყლით. ქუჯიმ ამოსა და ტაროს მოკლედ აუხსნა საქმის ვითარება.

– ხომ დარწმუნდით, სასიკვდილოდ რომ ვარ გადადებულნი!

– დარწმუნებული ხარ, რომ ეს უბედურებაც მისი ვერაგობაა? მაინც მეეჭვება... მხარზე ის სვირინგი? – თავი გააქნია ავთომ.

– გეუბნები, შენი ყოფილი საცოლელა, ავთო!

– იგი მე მკვდარი მგონია... ჰო, ძნელია მუდმივად საფრთხის მოლოდინში ყოფნა. კაცი გადაირევა. რაიმეს მოფიქრებაა საჭირო, – ამოთქვა ავთომ, – მაგრამ დრო დაგვეხმარება, დროს მოჰყვება შემთხვევა. თუ ლოდინი შეგიძლია. არ გაგიგია „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სიმშვიდე ან სასუფეველი შენი“. აქამდე გვიფარავდა უფალი, ალბათ კიდევაც გადაგვაფარებს კალთას.

– კი, ჩვენი დანიშნულება ბრძოლა, ხიფათი და თავდადებაა... მაგრამ იმან რა დააშავა, იმ ბედკრულმა შუშანამ? – თქვა ჩუმი ხმით ქუჯიმი.

– ჰო... ეგეც მართალია! დამავინწყდა, რომ ის ქალი გიყვარს, – დაეთანხმა ავთო, მაგრამ იმ დაქირავებული მკვლელის ჯიბიდან ამოცლილ წერილში ხომ წერია, რომ შუშანა მონასტერშია. ამ გარემოცვას როგორც კი მოვრჩებით, წავიდეთ და გამოვიხსნათ.

– მერე, რომელ მონასტერშია?

– მე მგონი, ჩემო ქუჯი, დედოფალმა უნდა იცოდეს, რომელ მონასტერშია მიმალული.

– კარგით, მე ვიკისრებ ამ ამბის გაგებას, – თქვა მომღიმარმა ამომდარცხვენით.

– ამო, მერე, როგორ გაიგებ? – შეჰყვირეს დანარჩენებმა.

- ანო დედოფლის მოძღვრის საშუალებით, რომელსაც ახლოს ვიცნობ,
- თქვა ამომ, უხერხულად შეიშმუნა და წამოწილდა.

მეგობრებმა ეს ლაპარაკი და პურის ჭამა ამოს ამ დაპირებით მოათავეს. ისინი შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს საღამოთი ნახავდნენ.



## - თაპი 20 -

დემეტრე I-ის დროს ჯვაროსანთა შეტევებმა სელჩუკთა ერთიანი სახელმწიფო დაასუსტა და დაშალა. შემდეგ აქ მცირე საათაბაგოები წარმოიქმნა, რომლებიც თანდათან გაძლიერდა და საქართველოს შეუქმნა საფრთხე.

დემეტრესა და მისი მემკვიდრეების დროს დიდებულები თავიანთი ნოდებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად, ცდილობდნენ სამეფო კარზე დიდების, მაღალი თანამდებობებისა და მეფეზე გავლენის მოპოვებას. სამეფო ტახტისათვის ბრძოლამ ფარული და მწვავე ხასიათი დემეტრესა და მის უფროს ვაჟს, დავითს შორის მიიღო. უკმაყოფილო ფეოდალები ტახტის კანონიერი მემკვიდრის, დავითის გარშემო დაჯგუფდნენ. ამ დროს სამეფოში როგორც საშინაო, აგრეთვე საგარეო პოლიტიკის საკითხებში სადავო ბევრი იყო. ამ საკითხებში დემეტრეს პოლიტიკური ხაზის ფარული მონინააღმდეგე და მოთავე დავით ბატონიშვილი გახლდათ.

მეფეს დავით ვეზირზე მეტი საფუძველი ჰქონდა, სძულებოდა განძის მოღალატე ათაბაგი ყარა-სუნღური. ამიტომ ჩამოსვლისთანავე გადანყვიტა, დაჩქარებული ზომები განეხორციელებინა, რათა განედევნა იგი და დაეჩქარებინა განძის ალება. მტერზე შეტევის დაწყების ასეთი დიდი სურვილის მიუხედავად, მეფემ ვერა გაანყო რა, გარკვეული შიდა, დიდებულთა უთანხმოების გამო, რაც აფერხებდა მისი გეგმის სისრულეში მოყვანას. სპასპეტები მოითხოვდნენ თავიანთ უფლებებს ჯარის დანაყოფების უფროსობაზე, ისე, რომ მეფე ყოფილიყო მათი უშუალო მბრძანებელი და არა ბატონიშვილი დავითი.

ალყაშემორტყმული განძელები ძალიან ცუდად იკვებებოდნენ, თანაც ბევრი დაჭრილი და ავადმყოფი ჰყავდათ. მათ საზრდოს მხოლოდ გამხმარი პური და დამარილებულ-დაობებული ხორცი შეადგენდა. გან-

ძელებს საქმე ცუდად ჰქონდათ და მეფის ჯარი გულხელდაკრეფილიც რომ დარჩენილიყო, მაინც იძულებული გახდებოდნენ, დაეტოვებინა მეორე ხაზის გამაგრება. მაგრამ, როდესაც დაზვერვამ ამბავი მოიტანა, რომ მტრის ბანაკში ახალი შემოტევისათვის მზადება წარმოებდა, მეფემ გადანწყვიტა დაესწრო და სპასპეტებს ბრძანება მისცა, დაენწყით გადამწყვეტი მოქმედება.

სამწუხაროდ, ქალაქ განძისათვის ბრძოლის ყველა წვრილმანი მემკვიდრეებისთვისაც უცნობია. ამიტომ ისტორიკოსები მოკლედ გადმოგვცემენ, რომ ეს ბრძოლა მეფის ჯარის გამარჯვებით დამთავრდა. მეფის მეომრები მტერს ფეხდაფეხ მისდევდნენ და ამარცხებდნენ ყველგან, სადაც კი შეტაკება მოუხდებოდათ. განძელებმა უამრავი მებრძოლი დაკარგეს. სამეფო ჯარს ახლა უკვე თავისუფლად შეეძლო ემოქმედა განძის დედაციხის ასაღებად. მეფის ჯარის მზვერავებმა ტყვედ ჩაიგდეს ათაბაგ ყარა-სუნღურის მიერ გამოგზავნილი მსტოვარი მეკავშირე. მას თან აღმოაჩნდა საიდუმლო წერილები, საიდანაც გაირკვა ანისის, ყარსის და შარვან-რანის ათაბაგების მიერ განძის ათაბაგისადმი აღთქმული დახმარების პირობის შესახებ. ეს ეფემერული გაერთიანება საქართველოს სამეფოსთან საბრძოლველად უნდა შემდგარიყო. თუ ეს, საქართველოს მონინალმდეგეთა გაერთიანება გაიმარჯვებდა, მაშინ დავით ვეზირი მეფის კარზე გავლენას დაკარგავდა. დავითი ამას გრძნობდა და ცდილობდა ეს განსაცდელი აეცილებინა. ამიტომ იყო, რომ აქტიურობა დღითი დღე უფრო და უფრო იზრდებოდა. შიკრიკების და ჯაშუშმსტოვრების რაოდენობაც მომრავლდა. ისინი გარს დასტრიალებდნენ სამხედრო ბანაკის განაპირას მდგარ პატარა სახლს, სადაც დიდევზირის საველე რეზიდენცია იყო განლაგებული.

რამდენჯერმე ხმა გავარდა, რომ დიდევზირს მიუხტნენ მოსაკლავადო. თუმცა, ამბობდნენ იმასაც, რომ თვითონ ვეზირი აწყობდა ამ თავდასხმებს, რათა მიზეზი ჰქონოდა მკაცრი დასჯების გამოყენებისთვის. დიდევზირის მოსისხლე მტრებიც კი თავის დღეში არ იკადრებდნენ უარეყოთ მისი პიროვნული გულადობა. დავით ვეზირი, მისი მოკვლის მცდელობების მიუხედავად, ღამითაც არ იშლიდა და საქმის გამო დადიოდა იმისათვის, რომ სპასპეტებისთვის ბრძანება გადაეცა და მეფესთან შეეთახებინა რაიმე საკითხი, ან კიდევ საიდუმლოდ მოლაპარაკებოდა იმ ადამიანებს, რომელთა მოსვლა არავის არ უნდა სცოდნოდა.

მონასპელები განძის დედაციხის გარემოცვაში უშუალო მონაწილეობას არ იღებდნენ, რადგან ძირითადად მეფის და მისი გარე-

მოცვის დაცვით იყვნენ დაკავებულები. მონასპელები, როცა მცველ-გუშაგის მოვალეობით არ იყვნენ დაკავებულები, ბატონი ვაჩესგან საველე ბანაკიდან გასვლის ნებართვას იღებდნენ და გვერდითა სოფლის დუქანში მიდიოდნენ დროსტარებისათვის. ერთ საღამოს ქუჯის წინა ხაზზე, თხრილში მოუწია გუშაგად ყოფნა და თავის მეგობრებს ვერ გაჰყვა. ამიტომ ცხენებზე ამხედრებული ამო, ავთო და ტარო ბანაკიდან, ქუჯის გარეშე, სოფლის დუქნისაკენ მიემართებოდნენ. მათ მოულოდნელად ჩასაფრებული მტრის საფრთხის გამო ყურადღება ათმაგად გამახვილებული ჰქონდათ. სოფლის ეს საქეიფო სასტუმრო-დუქანი ხუთი დღის წინ ავთოს აღმოეჩინა და ორ დღეში ერთხელ პირის გასასვლელად მეგობრები იქ დადიოდნენ. მონასპელები დიდი სიფრთხილით მიდიოდნენ, როცა შუა გზაზე მათკენ მომავალი ცხენების თქარუნი მოესმათ. ტარო, ავთო და ამო მაშინვე შეჩერდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მთვარის შუქზე მონასპელებმა მხედრებს თვალი მოჰკრეს, რომლებიც მათ დანახვაზე მაშინვე შედგნენ. ამ გარემოებამ მონასპელებს ეჭვი აღუძრა. – ვინა ხართ? გვიპასუხეთ, თორემ დაგატყვევებთ! – გასძახა ავთომ.

– თვითონ ვინ ბრძანდებით? მიპასუხეთ, თორემ ძვირად დაგიჯდებათ ეგ ურჩობა!! – იკითხა ერთმა მხედარმა მკვეთრი, მბრძანებლობას დაჩვეული ხმით.

– მეფის მონასპელები გახლავართ ვაჩე ჩიქვანის რაზმიდან!

– მომახსენეთ, აქ ამ დროს რადა ხართ?

ცხენოსნები ერთმანეთს მიუახლოვდნენ. მონასპელები დარწმუნდნენ, რომ უცნობი უფრო გავლენიანი პირი იყო, ვიდრე თვითონ ისინი და გაჩუმებულნი დადგნენ. მბრძანებლურად მოლაპარაკე უცნობ მხედარს, რომელმაც სახიდან წამოსასხამი მოიცილა. ავთო მიუახლოვდა.

– ბატონი დიდვეზირი!! – შეჰყვირა განცვიფრებულმა ავთომ, – ბოდიშს ვიხდით, მაგრამ ამ სიბნელეში გვეპატიება, რადგან არ ვიცოდით... ვისთანა გვექონდა საქმე.

დავით ვეზირმა თავის თანამგზავრს ხელით ანიშნა და მიუთითა:

– ეს მონასპელები ჩვენ გამოგვეყვებიან! არ მინდა გაიგონ, რომ სამხედრო ბანაკიდან გამოვედი. ბატონებო, იცოდეთ, უნდობლობის გამო კი არ გთხოვთ ჩვენთან წამოსვლას, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მე უსაფრთხოდ ვიყო!

მონასპელებმა დავით ვეზირს პატივისცემის ნიშნად, თავი მდაბლად დაუკრეს.

– გიცნობთ და მსმენია თქვენ შესახებ, ბატონებო! – განაგრძო ვეზირმა, – ვიცი, ჩემი მეგობრების რიცხვს არ ეკუთვნით, მაგრამ ისიც ვიცი, რომ გულადი და სანდო პიროვნებები ხართ.

– გეფიცებით, მართალი ბრძანდებით, რომ ჩვენც თან გვიახლებთ. რადგან სოფლის დუქანში ფრიად საეჭვო პირებთან მოგვივიდა ჩხუბი, – მოახსენა ავთომ.

– არ მიყვარს ჩხუბი! მიზეზი რა იყო? – ბრძანა ვეზირმა.

– იქ რაც შეგვემთხვა, ახლავე მოგახსენებთ. მერე ჩვენ რომ არ ჩაგვთვალთ დამნაშავედ. ჩვენ ვიცით, მეფის ქვეშევრდომთა შორის ორთაბრძოლები აკრძალულია, მაგრამ ის არამზადა შექეიფიანებულები ცდილობდნენ ერთი ქალისთვის ოთახის კარი შეეღვენათ და შეურაცხყოფა მიეყენებინათ...

– ყოჩად, ქალის პატიოსნება რომ არ შეაბღალინეთ! ახლა სწორედ იმ სასტუმროსკენ მივიღვართ და სიმართლეს გავიგებ.

ვეზირმა ყაბალახის ბოლო სახეზე აიფარა და ცხენს მათრახი გადაჰკრა. მას უკან მცირე რაზმი მიჰყვა. მალე სასტუმროსთან მივიდნენ, სადაც მყუდრო სიცარიელე სუფევდა. დუქან-სასტუმროს მეპატრონემ ალბათ იცოდა, რომ დიდებული სტუმარი უნდა სწვეოდა, ამიტომ თავიდან ყველა სხვა სტუმარი მოეშორებინა. სასტუმროს კართან წამოსასხამში მოფუთნული კაცი რამდენიმე სიტყვით გამოელაპარაკა ვეზირს. იგი შემდეგ ცხენს მოახტა და ტფილისის მიმართულებით გააჭენა. მხედრები ჩამოქვეითდნენ. კარში მასპინძელი იდგა. მისთვის დავით ვეზირი მხოლოდ ლამაზი ქალის სანახავად მისული მხედართმეთაური იყო.

– ამ ბატონებმა უნდა მომიცადონ! ამიტომ ერთი ოთახი გვჭირდება! – მიმართა მეპატრონეს დიდვეზირმა. მერე მან სწრაფად აიარა კიბე და მეორე სართულზე, მესამე ოთახში შევიდა. მასპინძელმა კი ქვედა სართულის იმ ოთახის კარი გააღო, სადაც ფართე ბუხარში ცეცხლი კარგა გიზგიზებდა და მონასპელები შეიპატიჟა. ტარომ დუქნის პატრონს კამათლების მოტანა სთხოვა. ამო და ტარო მაგიდას მიუსხდნენ და თამაში დაიწყეს. ჩაფიქრებული ავთო კი დარბაზში ბოლთასა სცემდა. მისი ყურადღება გაუქმებულმა საკვამლე ღიობმა მიიპყრო, რომლის ნაწილიც მეორე სართულის ოთახში ადიოდა. ამ საკვამურთან გავლისას რაღაც ჩურჩული მოისმოდა. როცა იგი ამ ღიობთან ახლოს მივიდა, ლაპარაკი უფრო გარკვევით შემოესმა. მან ყური საკვამურის ხერვლს მიუმარჯვა.



– ბორენა! შენთან მნიშვნელოვანი საქმე მაქვს!.. – თქვა დავით ბატონიშვილმა.

– გაფაციცებული ყურადღებით გისმენთ, დიდო ბატონო! – გაისმა ქალის ხმა. ამ ხმის გაგონებამ შეაძრწუნა ავთო.

– მცირე კარჭაპი გელით მდინარე რიონის ზღვასთან შესართავში, ფაზისის ციხესიმაგრესთან. ჩემი ხალხი აქედან ზღვამდე გაგყვება.

– კეთილი, ბატონო! ახლა იმ დავალებას დავუბრუნდეთ, რომელსაც მე მანდობთ. მე მინდა, თქვენი ნდობა მუდმივად მქონდეს, ამიტომ გთხოვთ, ზუსტად განმიმარტოთ ჩემი მოვალეობა, რომ შეცდომა არ დავუშვა! – ბორენა მთელ თავის მსტოვრულ გონებრივ ძალას იკრებდა. მოსაუბრეებს შორის ნუთიერი დუმილი ჩამოვარდა. ავთომ ამ დროით ისარგებლა და ამხანაგებს კარი შიგნიდან ჩააკეტინა. შემდეგ მათ ანიშნა, რომ მასთან მისულიყვნენ და მოესმინათ ეს საიდუმლო საუბარი.

– ტრაპიზონს უნდა ნახვიდე და იქ პრინცი გელასი კომნინი უნდა ნახო. შენ ამჯერად მასთან მოსალაპარაკებლად მისული შუამავალი იქნები. გელასის ეტყვი, რომ ჩემგან ხარ გაგზავნილი და აცნობებ, რომ დანვრილებით ვიცი, როგორ ემზადება იგი ჩვენს ქვეყანაზე შეტევისათვის. რადგან ბიზანტიელები თვლიან, რომ ახლა, როცა განძაში ვლაშქრობთ, ორი მიმართულებით ბრძოლა გაგვიჭირდება. მაგრამ იცოდნენ, როგორც კი გაბედავენ იარაღის აღმართვას, საბოლოოდ დავლუპავ დედოფალ ანოს! დიახ, უთხარი, რომ მე სამეფო კარისთვის საჯაროს გავხდი მისი ნათესავი ანა კომნენის შესახებ შემარცხვენელ მასალებს. იმ შეხვედრასაც გაუხსენებ, რომელიც მასსა და ჩვენს დედოფალს ჰქონდათ სპასპეტ-სარდლის მეუღლესთან იმის გასაგებად, თუ როდის ვაპირებდით განძა-შარვანისაკენ გალაშქრებას. ეს კი სამეფო საიდუმლოება იყო! უთხარი, რომ დანვრილებით ვიცი სხვა ამბებიც... ისიც უთხარი, რომ საპყრობილეში მყავს გამომწყვდეული მისი მსტოვარი და წამებას შეუძლია ათქმევინოს ის, რაც იცის და ისიც, რაც არ იცის! ამას ისიც დაუმატე, რომ მას ტფილისიდან გაქცევის დროს, ერთ-ერთ ბინაში წერილი დარჩენია. ამ წერილით მტკიცდება არა მარტო ის, რომ დედოფალს უყვარს მეფის მტრები, არამედ ისიც, რომ ის მონაწილეობას იღებს ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულებაში! ჰო, კარგა დაიმახსოვრე, რაც გითხარი!!

– დიდბატონო! პრინცი გელასი მე უნდობლად მექცევა, მაგრამ ვეცდები, ზუსტად შევასრულო თქვენი სურვილი. მაგრამ რომ არ გვისმინოს

და განაგრძოს მუქარა და ომისათვის მზადება? – მიმართა ბორენამ დაჟინებით.

– რომ გაჯიუტდეს და არ დაგვიჯეროს?! ოჰ, არა მგონია! მაშინ რა გაენყობა! მე ისეთი მოვლენის იმედი მექნება, რომელიც უცბად ცვლის სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულებას...

– დიდმა ბატონმა იქნებ ინებოს და ისტორიიდან მომავლის ამგვარი მოვლენის რაიმე მნიშვნელოვანი მაგალითი, – თქვა ბორენამ.

– აჰა, მაგალითიც! კეისრისა და ბრუტუსის ამბავი... განა მაშინ არ მოხდა ისეთი მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც შეცვალა ისტორია?! რატომ არ შეიძლება ისევე შეენიოს ყოვლისშემძლე უფალი ჩვენს სამეფოს, როგორც მაშინ შეენია სენატსა და რომს?

– ოჰ, ხანჯლით მომხდარი მკვლელობის ისტორია?.. ახლა ვინმე გაბედავს ამის მიბაძვას, როდესაც ყველამ იცის, საწყალი ბრუტუსის შემდგომი, იმნამინდელი ბედი.

– ყოველთვის და ყველა ქვეყანაში არიან შეურაცხადი ფანატიკოსები, რომლებიც სულის ცხოვნებისათვის ნატრობენ ენამონ. ჰო, სწორედ კარგ დროს მომავლენა, ჯვაროსანი რაიდების საიდუმლო ორდენები, რომლებიც ბიზანტიელებთან არიან დაპირისპირებულნი... ისინი აღშფოთებულნი არიან პრინცი გელასის მოღვაწეობით და მას ანტიქრისტიედ იხსენიებენ. მაგალითად, ახლანდელ მდგომარეობაში იკმარებდა აღმოჩენა ერთი ყოჩალი, რელიგიური ფანატიკოსის ან ახალგაზრდა ქალისა, რომელიც პრინცზე შურისძიების გრძნობით არის აღვსილი. ძნელი არ უნდა იყოს ასეთი ქალის პოვნა. გელასიმ მრავალი ქალის გული აღაგზნო მისდამი ტრფობით. მაშ, მას მრავალი ქალის სიძულვილიც უნდა მოეპოვებინა...

– რა თქმა უნდა, ძნელი არ არის მაგისტანა ადამიანის აღმოჩენა... მაგრამ მე მინდა თქვენი ბრძანება მქონდეს, რომელიც წინმსწრებად განამტკიცებს ყოველ ჩემ მიერ ხმარებულ საშუალებას თქვენი დავალების ასასრულებლად. მართალი ბრძანდებით, – მოახსენა ბორენამ, – მინდა ვაღიარო, რომ შევცდი, როდესაც თქვენ მიერ მოცემულ დავალებაში, თქვენი ნამდვილი ბრძანების გარდა, მე კიდევ სხვა რაღაც წარმოვისახე. ესე იგი, თქვენი ბრძანება მდგომარეობს შემდეგში: უნდა განვუცხადო პრინც გელასის, რომ თქვენ კარგად იცით, როგორ მოახერხა დედოფალ ანოსთან მისვლა სპასპეტის მეუღლესთან გამართულ ზეიმზე, რომ თქვენ გაქვთ დამამტკიცებელი საბუთები, თუ როგორ შევიდა სასახლეში დედოფალთან დერვიშის ტანისამო-

სით, რომ ციხეში არის მისი მსტოვარი და შეიძლება წამებამ ათქმე-  
ვინოს, რაც ახსოვს და, აგრეთვე, ისიც, რაც შეიძლება დავინწყებული  
ჰქონდეს. დაბოლოს, რომ თქვენა გაქვთ წერილი, ერთ-ერთ ბინაში აღ-  
მოჩენილი, რომელიც თავსა სჭრის არა მარტო იმას, ვინც იმ წერილსა  
წერს, არამედ იმასაც, ვისი სახელითაც არის დანერილი ის წერილი...  
და თუ, მიუხედავად ყოველივე ამისა, პრინციმა თავისი არ მოიშალა...  
ისლა დამრჩება, რომ ყოვლისშემძლე უფალს შევევედრო, გვინყალო-  
ბოს სასწაული.

- ჰო, დიახ, სწორედ მაგას გავალებ! – უპასუხა ამრეზით დიდვეზირმა.
- კარგით, რაკი ბრძანება უკვე მივიღე თქვენი და ქვეყნის მტრების შე-  
სახებ, ნება მომეცით, ჩემს მტრებს თქვენთან ვუჩივლო.
- განა მტრებიც ცყავთ? – იკითხა ვეზირმა ეშმაკური ღიმილით.
- მტრები მყავს და თქვენს დახმარებას ვითხოვ, რადგან ისინი თქვენი  
ერთგული სამსახურის შედეგად გავიჩინე.
- ვინ არიან ეგ თქვენი მტრები?
- ერთ-ერთი შუშანაა, რომელზედაც დედოფალმა ბრძანება გამოს-  
ტყუა მეფეს და იმ ბრძანების მიხედვით სატუსალოდან ერთ მონასტერ-  
ში გადაიყვანა.
- იცი, რომელ მონასტერში?
- არ ვიცი, მაგას საიდუმლოდ ინახავენ.
- არა უშავს, გავიგებ და გაცნობებ! – მიუგო ვეზირმა.
- მეორე მტერი ამ ქალის საყვარელია.
- ვინაა?
- ბატონო... მას თქვენც იცნობთ. იგი ჩვენი საერთო მტერია. ეს ის  
გახლავთ, რომელიც თქვენი რაზმელების და მონასპელების ჩხუბში  
ჩაერია და მეფის მონასპელებს გამარჯვება მოაპოვებინა. მან ყელსა-  
ბამის საქმე ჩაგვიშალა. მას ვერ მოუნელებია ჩემ მიერ მისი საყვარლის  
მოტაცება და ამიტომ მოკვლით მემუქრება! – შეჰყვირა ცოფმორეულ-  
მა ბორენამ, – ეს ის არამზადა აზნაური ქუჯი-გიორგი გახლავთ!
- ჰო, ყოჩალი ახალგაზრდაა... – წამოიძახა ვეზირმა.
- ყოჩალი რომ არის, იმიტომაცაა საშიში.
- საბაბია საჭირო მისი გელასი კომნინთან მოლაღატეობრივი ურთიერ-  
თობის შესახებ!
- მაგ საბუთ-საბაბს მე ბლომად გიშოვით... –წამოიყვირა ბორენამ.
- ჰო, შენ საბაბი მოიფიქრე, მე კი მაშინვე საპყრობილეში მივაბრძანებ.

– ბატონო, კაცი კაცში გავცვალეთ. თქვენ ის ამისრულებთ, რასაც გთხოვთ, ხოლო მე კი გელასის მოჭრილ თავს მოგართმევთ სამაგიეროდ!

– გაუგებარია, რას მთხოვ! და არც მსურს მაგის გაგება. მაგრამ ერთგული სამსახურისთვის რამეთი მინდა დაგაკმაყოფილო. ამიტომ ამჯერად დაგეთანხმები, რომ ერთი თავხედი და მოღალატე აზნაური დაისაჯოს. კარგი... სანერ-კალამი მომეცით, – მოითხოვა ვეზირმა.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დავით ვეზირი განკარგულებას წერდა. ავთომ, რომელმაც ვეზირისა და ბორენას საიდუმლო საუბარი მთლიანად მოისმინა, თავის მეგობრებს ჩუმად მიმართა:

– უკვე გავიგეთ, რაც საჭირო იყო, თქვენ მოსმენა გააგრძელეთ, მე კი წავალ... ერთ საქმეს მოვაგვარებ...

– რა საქმეს ნეტა... ვეზირმა რომ გიკითხოს, რა ვუპასუხოთ? – ჰკითხა ტარომ.

– ვეზირს მოახსენეთ, რომ გზის დასაზვერად წავედი, გადაეცით, მაინც საომარი მოქმედებების არეში ვართ და სიფრთხილეს თავი არ სტკივაო...

– ავთო, ფრთხილად იყავი!

ავთო სახლიდან გავიდა და ცხენისკენ გაემართა. მან ვეზირის მხლებლებს განუმარტა, რომ გზის წინასწარ დასაზვერად მიდიოდა და სამხედრო ბანაკისაკენ ჭენებით წავიდა. ავთოს ვარაუდი სწორი აღმოჩნდა, მართლაც, მალე დავით ვეზირი დაბლა ჩამოვიდა. მან დარბაზის კარი შეაღო, სადაც სამი მონასპელი ეგულებოდა და მათ კამათლებით აზარტულ თამაშზე მიუსწრო.

– ავთო სადაა? – იკითხა ეჭვიანად ვეზირმა.

– გზის შესამონმებლად და დასაზვერად გეახლათ! ჩვენ კი თქვენს ბრძანებას ველით, დიდო ბატონო!

– უკვე გვიანია, ამიტომ შევსხდეთ ცხენებზე და ბანაკისკენ წავიდეთ!!

დიდვეზირის სხვა თანმხლებნი კართან იცდიდნენ. იქვე, ბნელში, ცოტა მოშორებით, შეკაზმული ცხენები და ორი მხედარი ჩანდა. მათ უნდა მიეყვანათ ბორენა ფაზისის ციხესთან და ტრაპიზონისკენ მიმავალ გემში ჩაესვათ. საიდუმლო მოლაპარაკებით კმაყოფილი დავით ვეზირის მცირე რაზმი სამხედრო ბანაკისკენ დაიძრა.

ავთომ მოსახვევში გზიდან გადაუხვია და დაბურულ ქალაში მიიმალა. იგი დაელოდა ბანაკში თანმხლებლებით მიმავალი ვეზირის გავლას.

მან ისინი შორიდანვე იცნო. მოიცადა, სანამ ეს მხედრები მოსახვევში ჩაუხვევდნენ და თვალს მიეფარებოდნენ. შემდეგ, იგი ჭენებით ისევ სასტუმროში დაბრუნდა, სადაც მეპატრონემ იცნო და კარი სწრაფად გაუღო.

– ჩემს მეთაურს ერთი მნიშვნელოვანი რამ გაახსენდა და მე გამომგზავნა, რომ იმ ქალს გადავცე!

ავთომ კიბე მარდად აირბინა. ბორენას ოთახში შევიდა და კარი ურდულით გადაკეტა. ბორენამ ხმაურზე მოიხედა და წამოსასხამში გახვეული, ყაბალახიანი, პირქუში კაცი დაინახა.

– ვინა ხარ? – შეჰყვირა ბორენამ.

ავთომ ყაბალახი მოიხსნა და ბორენასაკენ მიიწია.

– გახსოვარ... მიცანი?!

ბორენა შეძრწუნებული და დაზაფრული უკან იხევდა და ჩუმად, ხმის კანკალით წარმოთქვამდა:

– ერისთავი ავთანდილ თმოგველი!..

– დიახ, მე გახლავართ, რომელიც საიქიოდან გამოგეცხადეთ. მაშ, მოვილაპარაკოთ, როგორც დიდი ვეზირი დავითი ბრძანებს!.. – თავზარდაცემული ქალი ტახტზე ხმის ამოუღებლად ძალმიხდელი მიესვენა.

– ბოროტების განსახიერება და გარყვნილი ავი სული ხარ! ვიცი, გავლენიანი მფარველები გყავს. მე მაშინ მეგონა, რომ საბოლოოდ მოვაშორე ქვეყნიერებას სათნოების ბოროტი მტერი! მაგრამ ეტყობა, ვცდებოდი! ჰო, ეშმამ ჯოჯოხეთიდან თავისი სული ჩავიდგა, გაგამდიდრა, მოგანიჭა ახალი სახელი... მაგრამ მან ვერ ჩამორეცხა სიბინძურე შენს სულს, ხოლო სვირინგი სხეულს. მკვდარი გეგონე? ისევე, როგორც მეც მეგონა, რომ ჩემი ცხოვრებიდან გაქრით! სახელმა ავთომ გადაფარა ერისთავი ავთანდილ თმოგველი, ისევე, როგორც ბორენა გაიფუჭულოსმა ჩაანაცვლა სახელი თამთა მელასინა! შენი სახელი ხომ ეგ იყო, როდესაც ნიშნობაზე კურთხევა მოგვცა შენმა ვითომ ძმამ და ფარულმა საყვარელმა. დღევანდლამდე მართო იმიტომ ვიყავით ცოცხალნი შენც და მეც, რომ ერთმანეთი უკვე მიცვალეებულად გვეგულეებოდა!

– რას მერჩი, ჩემგან რა გინდა? – ყრუ ხმით წამოიყვირა ბორენამ და გველნაკბენივით წამოვარდა.

– ბოროტო ქალო, მომისმინე! ეს შენ გქონდა მცდელობა გელასი კომნინისტვის მოგეპარა დედოფლის ნაჩუქარი ყელსაბამი. შენ მოატაცებინე შუშანა. ბოცო ახალციხელისადმი ჟინით გატაცებულმა შენი საწოლის კარი გაუღე და ერისთავის მაგივრად ქუჯი ჩაიწვინე ლოგინში და მას

ერისთავ ბოცოს მოკვლას სთხოვდი. მაგრამ როდესაც ერისთავ ბოცოს მეტოქემ წინ გადაგიშალა შენი სამარცხვინო საქციელის საიდუმლოება, მაშინ მისი მოკვლა მოინდომე და ამის ასასრულებლად ორი არამზადა დაადევნე საბრძოლველად მიმავალს. როდესაც ამითაც მიზანს ვერ მიაღწიე, მონამლული ღვინო გაუგზავნე. ამ ოთახში, სწორედ აქ, ახლა იკისრე დავალება, ვინმეს პრინცი გელასი კომნინი, ბიზანტიელთა ერთ-ერთი სპასპეტი და ტრაპიზონის სანახების მფლობელი მოაკვლევინო. სამაგიეროდ, ვეზირს გამოსტყუეთ უფლება, მოაკვლევინო აზნაური ქუჯი. იცი რა, მოაკვლევინე პრინცი გელასი, არ მადარდებს! მაგრამ ხელი არ ახლო ჩემს ერთგულ მეგობარ ქუჯის!! თორემ, გეფიცები... – ქუჯიმ შეურაცხყოფა მომაცენა, ამიტომ იგი და მისი საყვარელიც უნდა დაისაჯონ... – თქვა ზიზღნარევი ხმით ბორენამ.

ავთო გაოგნებული უცქერდა ამ უზნეო და ფლიდ ქალს. მას გულსაკლავი წარსული აგონდებოდა. ავთოს გონებას, ახლაც ამ ქალის მოკვლის დაუცხრომელი სურვილი მოედო. მან სწრაფად ხანჯალი იძრო. მკვდარივით გაფითრებულ ბორენას უნდოდა საშველად დაეძახა, მაგრამ მხოლოდ რაღაც ხრინჩიანი ხმა აღმოხდა. ის თმბაშლილი და გახელებული იდგა. ავთომ ხანჯლის წვერი ბორენას ყელზე მიაბჯინა და საზარელი შეუვალი ხმით მოუნოდა:

– ქალო! ის ბარათი ახლავე მომეცი, რომელიც დიდვეზირმა გადმოგცა, თორემ ყელს გამოგლადრავ.

ავთოს მოლუშულმა სახემ ბორენა დაარწმუნა, რომ იგი ნათქვამს სისრულეში მოიყვანდა. ამიტომ გულისპირიდან ბარათი სწრაფად ამოიღო და ავთოს მისცა. მონასპელმა ის ჩამოართვა და სანათთან მივიდა დასარწმუნებლად, რომ ნამდვილად ეს ბარათი ჰქონდა ხელთ. შემდეგ ავთო ისე გავიდა ოთახიდან, რომ უკან არ მოუხედავს. ჭიშკართან ორი კაცი იდგა, შეკაზმული ცხენებით.

– ბატონებო, თქვენ იცით დიდვეზირის ბრძანება, რომ ეს ქალი დაუყოვნებლივ უნდა ჩაიყვანოთ ზღვამდე, რიონის შესართავამდე და თავი არ დაანებოთ, მანამ გემში არ ჩასვამთ! – ეს ნათქვამი ამ ორი კაცის მიერ ადრე მიღებულ ბრძანებას იმეორებდა.

ავთო სწრაფად მოახტა ცხენს და გააჭენა, ოღონდ იმის მაგივრად, რომ გზას გაჰყოლოდა, მინდორში გადავიდა და მათრახის ცემით ატარა ცხენი. ხანდახან შეაჩერებდა, რომ ყური მიეგდო. ერთ-ერთი ასეთი შეჩერების დროს გზიდან რამდენიმე ცხენის ფეხის ხმა შემოესმა. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს ვეზირი და მისი ამაღლა იყო. ავთომ მა-

შინვე ისევ წინ გააჭენა ცხენი. ხეების ფოთლებით გაუმშრალა ოფლი თავის რაშს და ბანაკიდან დაახლოებით ორასი ნაბიჯის დაცილებით შეტრიალდა, რომ გზაზე დახვედროდა მომავალთ.

– მგონი ჩვენი მონასპელი უნდა იყოს! – თქვა დავითმა.

– დიახ, ავთო გახლავთ, დიდო ბატონო, – მოახსენა ტარომ.

– ბატონო ავთო, მიიღეთ ჩემი მადლობა, რომ შენუხდით და შესაძლებელი ხიფათისაგან დაგვიფარეთ. ბატონებო, მადლობა სამსახურისათვის! ამ სიტყვების შემდეგ ვეზირმა თავი დაუკრა სამ მონასპელს და მარჯვნივ წავიდა.

– იცი, ავთო, ვეზირმა ბორენას თხოვნა დააკმაყოფილა! – წამოიძახეს ერთხმად ამომ და ტარომ, როდესაც დაინახეს, რომ არავის აღარ შეეძლო მათი ნათქვამის მოსმენა.

– ვიცი! რადგან ის ბარათი მე მაქვს.

მეგობრები თავიანთ სადგომამდე ისე მივიდნენ, რომ ამის მეტად აღარ დალაპარაკებინან ერთმანეთს. მონასპელებმა სადგომში მისვლისთანავე ბოჩია გაგზავნეს ბუჭუკასთან და დააბარეს, რომ მორიგეობის დამთავრებისთანავე ქუჯი საჩქაროდ მათთან მოსულიყო.

ბორენა კი ხმისამოუღებლად გაჰყვა ორ კაცს, რომლებიც ვეზირის დავალებით ჭიშკართან ელოდნენ. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ავთო ფიქრობდა, თუმცა ბორენას ერთი წუთით მაინც გაუელვა ფიქრმა, ჯერ ვეზირისთვის ეცნობებინა ყველაფერი, მაგრამ გრძნობდა, რომ მის დაბეზლებას ავთოც დაბეზლებითვე უპასუხებდა. ავთო მის არცთუ საამაყო წარსულს გაუხსენებდა. იტყოდა, რომ ბორენა ქურდი და მეძავი იყო და ამას სვირინგით დაადასტურებდა. ამიტომ სიჩუმე ამჯობინა, გადანყვიტა, ამჯერად წასულიყო და ჩვეული მოხერხებით აესრულებინა მეტად ძნელი დავალება, რომელიც დიდვეზირმა დააკისრა. შემდეგ კი, როდესაც ყოველივეს მოაგვარებდა, მას გასამრჯელოდ სთხოვდა ავთოზე ჯავრის ამოყრას. შვიდი დღის მგზავრობის შემდეგ ბორენა დილით ფაზისის ციხესიმაგრეში იყო. იგი მალევე გემზე ავიდა. გემმა, რომელიც ცხუმისაკენ უნდა წასულიყო, ვეზირის ბრძანების თანახმად, ლუზა ამოიღო და საწინააღმდეგო მხარეს, ტრაპიზონისაკენ აიღო გეზი.



საბრძოლო დავალებიდან დაბრუნებულ ქუჯის სამივე მონასპელი ძმაკაცი შინაგანად აფორიაქებული და შეშფოთებული დახვდა. გარეგნულად ჩაფიქრებული ავთო ღვინოს წრუპავდა, ტარო უღვაშს იგრეხდა და სამოსს ისწორებდა, ხოლო ამო ლოცვანს კითხულობდა.

– ძვირფასებო, ალბათ მნიშვნელოვანი ამბავი უნდა მაცნობოთ, თორემ არ გაპატიებთ ჩემს აქ მოყვანას... მთელი დღე-ღამე წინა ხაზის სიმაგრის ალებისთვის ბრძოლაში გავატარე. ამიტომ ძალიან გადაღლილი ვარ და კაი გამოძინება არ მანყენდა! – მიმართა მეგობრებს ქუჯიმ.

– ამბავი მართლაც დიდმნიშვნელოვანია ჩემო ქუჯი... – ტარომ დააპირა წინა ღამის ამბის მოყოლა, მაგრამ ავთომ შეაჩერა.

– ჰოჰ, ყურადსაღები ამბავი იცით, ეტყობა! – თქვა ქუჯიმ, რომელიც მაშინვე მიხვდა ავთოს მიერ ტაროს გაჩუმების მიზეზს.

– ამო, ამ სამი დღის წინ, თუ გახსოვს, მეზობელი სოფლის ახლად გახსნილ მყუდრო დუქანში ვიქეიფეთ! მგონი მაშინ რაღაც უკმაყოფილო დარჩი, – მიმართა ავთომ.

– ჰო, მთლად კმაყოფილი არ ვიყავი, რადგან მდინარე მტკვრის თევზი აკლდა სუფრას! – მიუგო ამომ და ისევ ლოცვანის კითხვას მიუბრუნდა.

– ისე, ცუდი პურმარილი არ იყო. თან ცალკე, მყუდროდ ვისხედით, არავის შეევუნებებივართ. იმ ამბისთვის, რომლის განხილვასაც ვაპირებთ, სოფლის ეს დუქანი ზედგამოჭრილია! – თქვა ისევ ავთომ.

– ჰოდა, მაგ დუქანში წავიდეთ საქეიფოდ, თორემ აქ ყველას გრძელი ყურები აქვს!

ქუჯიმ ავთოს ხასიათი კარგად იცოდა. ავთოს მიერ ნათქვამი ერთი სიტყვა, ხელის მოძრაობა ან სახის გამომეტყველება საკმარისი იყო გაეგო, თუ მას რისი თქმა უნდოდა. ქუჯი მიხვდა საქმის სერიოზულობას. მონასპელები და ქუჯი მეორე სოფლის დუქანსაკენ გაემართნენ. გზაში ხმა არ ამოუღიათ, უჩუმრად იყვნენ. როდესაც სოფლის დუქანში მივიდნენ, ის იყო, თენდებოდა. მეგობრებმა ერთი ოთახი დაიკავეს და საუზმე შეუკვეთეს. მაგრამ, სამწუხაროდ, საიდუმლო საუბრისთვის დრო სწორად ვერ შეირჩა. ის იყო, სუფრას შემოუხსდნენ, რომ ბანაკიდან დილის ბუკ-საყვირის ხმა გაისმა. დილის ძილის ბურანიდან გამოსვლისა და დილის სუსხის აცილების მიზნით, ყველა დუქნებისაკენ მიისწრაფოდა, რათა ჩურჩხელით და ჭაჭის არყით შეხურებულიყვნენ. სხვადასხვა რაზმელი, მხედარი, მონასპელი, ვინც კი საბრძოლო წინა



ხაზზე არ იდგა, ყველა მიისწრაფოდა დილის საუზმისაკენ. მაგრამ ეს მათი სწრაფვა გამოკვებისაკენ ოთხ მეგობარს ხელს უშლიდა. ამიტომ ისინი ნაცნობებს უგერგილოდ პასუხობდნენ სალამზე და უკბილო ხუმრობაზე.

– ვატყობ, ჩვენ აქ შეიძლება ვისთანმე ჩხუბი მოგვივიდეს! ჩვენი მხრიდან ამაზე ახლა მოცდენა კი უაზრობა იქნება. კარგი, ქუჯი, შენი ნუხანდელი საბრძოლო ამბავი მოყევი... მერე ჩვენ ჩვენსას გიამბობთ... – თქვა ავთომ.

– ბატონო ქუჯი, ნუხელ რაზმელები თხრილ-სანგრებში ბრძანდებოდით და მაგარი ბრძოლა გაგიმართავთ განძელებისთვის?! – ჩაერია საუბარში ერთი მხედარი, რომელსაც ხელში ჭაჭის არაყით სავსე მცირე ყანნი ეჭრა და აქეთ-იქეთ დადიოდა. ქუჯიმ ავთოს გადახედა, უნდოდა გაეგო, გაეცა პასუხი ამ მეტიჩარა, არამკითხე მოამბისთვის თუ თავი შეეკავებინა.

– ქუჯი! რაზმელი ბაჩას კითხვა გაიგონე? მართლაც, გვიამბე, როგორ ჩაიარა ნუხანდელმა ბრძოლამ! – მიმართა ავთომ.

– ჰო, როგორ იყო საქმე, უკან დაახევიანეთ? რაიმე სიმაგრე ხომ არ წაართვით? – ლაპარაკში კიდევ ერთი რაზმელიც ჩაერთო, რომელიც მოზრდილი სასმისით ჭაჭის არაყს სვამდა.

– კი, პირველი ხაზის სიმაგრის ერთი კოშკი მამაცური იერიშით ავიღეთ. ჰო, ამას თქვენც გაიგებდით. – უპასუხა ქუჯიმ.

– მაშ, კოშკი აიღეთ?! – იკითხა ერთმა რაზმელმა, რომელსაც შამფურზე მწყრები აეგო და ბუხართან შესანვავად მიდიოდა.

– დიახ, განძელების მეწინავე, ცალკე მდგომი კოშკი ავიღეთ! შვიდი მეზრდილი ჩვენ დავკარგეთ, ხოლო ცხრა მათ, – მიუგო ქუჯიმ.

– მედგარი შეტაკება გქონიათ! მაგრამ ხომ შეიძლება, განძელებმა ამ დილითვე გამოგზავნონ ჯარისკაცები და კვლავ დაიკავონ მოწინავე კოშკი? – თქვა რაზმელმა.

– ბატონებო! ერთ დიდებულ სანაძლეოს გთავაზობთ!! – წინადადებით შემოვიდა ავთომ.

– ნიძლავი? კარგია! – დაეთანხმა რაზმელი და თან ბუხარში დადებულ ქვებზე შამფური ჩამოდო, რომელზეც მწყრები წამოეგო, – ესეც ასე... ახლა გისმენთ, ბატონო ავთო, აბა, რა ნიძლავზეა საუბარი? – განაგრძო მოხერხებულმა ჯარისკაცმა.

– ჰო... ბატონებო! თქვენთან სანაძლეოს ვდებ, რომ მე, ტარო, ამო და ქუჯი საპურმარილოდ წავალთ იმ ახლახან აღებულ კოშკში და იქ მზის

შუბის ტარზე დადგომამდე ვიქნებით. თან მომხდურ მტერსაც გავუმკლავდებით. – ამომ, ტარომ და ქუჯიმ ერთმანეთს გადახედეს. რადგან ჯერ ვერ მიმხვდარიყვნენ ავთოს განზრახვას.

– გინდა ოთხივე ერთად დაგვხოცონ? – ნასჩურჩულა ყურში ავთოს ტარომ.

– თუ იქ არ წავალთ, აქ გადაგვრევენ და უფრო მალე დავიხოცებით... – მიუგო დინჯად ჩუმათვე ავთომ.

– მდა..., მისალები სანაძლეოა! ვიღებთ...! რაზე დავნაძლევედით? – თქვა ერთმა რაზმელმა.

– კარგი! ვინც წააგებს, ერთი შესაფერი პურმარილი იკისროს, თავისი ყველაფრით... – უპასუხა ავთომ.

– დიდებულია, შევთანხმდით! – დაემოწმა ნაყივიჩაღარი ჯარისკაციც.

ყველანი თანახმა იყვნენ სანაძლეოზე. მალე მედუქნის მიერ გამზადებული პურმარილიც მოიტანეს. ავთომ ნასყიდას ანიშნა მთელი პურმარილი კალათში ჩაელაგებინა. ნასყიდამ ხორცთან ერთად ღვინით სავსე დოქიც ჩადგა კალათში და ის მხარზე შეიგდო. ავთომ მედუქნეს მედიდურად მაგიდაზე ფული დაუდო.

– ბატონო მხედარო, ხურდა მოგართვათ? – იკითხა მედუქნემ.

– ხურდა დაიტოვე!.. და ერთი პატარა დოქი წინანდალიც წაუმატე.

მედუქნეს ამ ღვინის დამატებით იმდენი მოგება აღარა რჩებოდა, რამდენიც უნდოდა. ამიტომ მან ნაღდი წინანდალის მაგივრად ნასყიდას წყალნარევი ღვინო შეაპარა. მეგობრები გუშინ ღამით აღებული კოშკისაკენ გაუდგნენ გზას. მათ უკან სანოვაგით დატვირთული ნასყიდა მისდევდათ. სანამ სამხედრო ბანაკის საზღვრებში იყვნენ, მეგობრებს ხმა არ ამოუღიათ. მათ მრავალი ცნობისმოყვარე მისდევდა უკან, რომლებსაც გაეგოთ დადებული სანაძლეოს შესახებ. მეგობრებმა ბანაკი რომ უკან მოიტოვეს, მაშინ დაიწყეს ავთოს გამოკითხვა. მათ ავთოს მიერ ამ სანაძლეოს დადების მიზეზი ნათლად არ ესმოდათ.

– ჩემო ავთო, სად მივდივართ, ნათლად გაგაგებებინე!

– ვაჰ... ვერა ხედავთ, რომ წინა ხაზის, სიმაგრის კოშკისაკენ სასაუზმოდ მივდივართ? – უპასუხა ავთომ.

– დუქანში რატო არ ვისაუზმეთ?

– ხომ იცით, თუ რა მნიშვნელოვანი საქმე გვაქვს განსასჯელი... იქ რომ დავრჩენილიყავით, მარტონი ვერ ვიქნებოდით. იქ ხალხი გვესალმებოდა, გველაპარაკებოდა. აქ კი, კოშკში, მარტონი ვიქნებით. ჩვენს

საუბარში ვერავინ ჩაერევა. ჰო, დიდგვიზის მისი ჯაშუშები ამბავს მიუტანდნენ, რომ რალაცაზე ვბჭობდით.

– ავთო მართალია! – თქვა ამომ.

– აბა, სად მოგვეძებნა ისეთი ადგილი, სადაც დავით ვეზირის ჯაშუშები არ იქნებიან? ამიტომ ვიაროთ, თორემ თუ უკან დავიხიეთ, შევრცხვებით. სანაძლეოს მოსაგებად მივდივართ. ამის ნამდვილ მიზეზს კი ვერ მიხვდებიან. შუადღემდე კოშკში დავყოთ. მოსალაპარაკებლად დრო საკმარისი გვექნება და ჩვენს საუბარსაც ვერავინ მოისმენს. თუ მტერი შემოგვიტყვეს, პასუხს გავცემთ. ამასთან, მტერს თუ გავუმკლავდებით, სახელსაც გავითქვამთ!..

– გეთანხმები, მაგრამ აქ სასიკვდილო ისარიც შეიძლება მოგვენიოს...

– მე მგონი, რაკი ასეთი გასეირნება დავაპირეთ, კონდახიანი მშვილდეები მაინც უნდა წამოგველო, – მიმართა ტარომ ავთოს.

– ჩემო ტარო, ნეტავ რად გვინდა უსარგებლო ტვირთის თრევა?

– მტერთან საბრძოლველად რომ მივდივარ, მე უსარგებლოდ არ მიმაჩნია კარგი იარაღი და თუნდაც ბერძნული ასაფეთქებელი მაშხალები.

– კაცო, ვერ გაიგონე, რა თქვა ქუჯიმ?

– რაო? – იკითხა გაკვირვებულმა ტარომ.

– ქუჯიმ გვითხრა, რომ ნუხანდელ ბრძოლაში ჩვენიანები და იმათიანებიც დაილუპნენ.

– რა მერე?..

– ჰოდა, ჯერ ხომ ვერ მოასწრებდნენ უკან მობრუნებას? ალყაში ამაზე მეტად საჩქარო საქმე სხვაც ბევრი ექნებოდათ. თანაც გარემოცვის გამო მარაგებიც ელევათ.

– მერე რა?..

– მერე ის, რომ მივალთ, ავიღებთ მათ მშვილდ-ისრებს, მათ „ბერძნულ ასაფეთქებელ“ და ჩინურ „პინინ-დენტს“. რამდენადაც ჩვენი მზვერავებისაგან ვიცი, ამ კოშკის სარდაფში ჩინური და ბერძნული ასაფეთქებელის მარაგი ინახება.

– ოჰ, ავთო! მართლაც, დიდებული მეომარი ხარ! – შეჰყვირა აღფრთოვანებით ამომ. ტარომ კი თავი დალუნა სრული თანხმობის ნიშნად. მარტო ქუჯიმ არ ჩათვალა ეს საკმარის საბუთად სიმაგრისაკენ წამოსასვლელად. მალე მეგობრები კოშკში ავიდნენ და უკან მიიხედეს. ბანაკის გამოსასვლელთან ჯარისკაცები შეგროვილიყვნენ. მათ შორის სანაძლეოს დამდებლები გამოირჩეოდნენ. ავთომ ქუდი ხმლის წვერზე წამოსდო და მალლა შეათამაშა. ბანაკიდანაც მაცურებლებმა ვაშა-ყიყი-

ნა დასცხეს. შემდეგ ოთხივე ავიდა სიმაგრის ფართო კედელზე, სადაც ნასყიდას უკვე მოესწრო ასვლა. ავთოს ვარაუდი გამართლდა. სიმაგრეში, დახოცილი მეფის ჯარისკაცებისა და ქალაქ განძის დამცველების გარდა, არავინ იყო.

– ნასყიდა ვიდრე სუფრას გაგვიშლიდეს, ბატონებო, მოდით მშვილდისრები და შუბები მოვაგროვოთ, თან ლაპარაკსაც თავისუფლად შევძლებთ, – თქვა ავთომ, რომელმაც იკისრა ამ ხიფათიანი ნიძლავის მეთავეობა.

– იარაღი მოვაგროვოთ! – თქვა ტარომ.

– ჰო, ეს მკვდრებიც გამოგვადგებიან... ნუ განსჯით აჩქარებით, ბრძანებს სახარება! ისარი რამდენია? რამდენი სროლა გვაქვს? – დაიძახა ავთომ.

– ასამდე იქნება...

– ჰო... იმდენია, რომ უნდა გვეყოს. ახლა სარდაფში ასაფეთქებელით სავსე კასრები უნდა მოვძებნოთ, – მოუწოდა ავთომ.

ოთხი მეგობარი ასაფეთქებელიანი კასრების ძებნას შეუდგა. მართლაც მალევე, კოშკის სარდაფში მიაკვლიეს ჩინური პინინ-დენტის და ბერძნული ასაფეთქებელის მცირე კასრებს. ავთომ ნასყიდას უბრძანა, რომ როცა სუფრის გაშლას მორჩებოდა, შემდეგ ორი კასრი აელო და სიმაგრის მორყეული კედლის ქვეშ შეედო. მესამე კასრი კი გაეხვრიტა და მოეპნია ჯერ იმ ორ ჩადებულ კასრზე და მერე ასე მოპნევი-მოპნევით ოცდაათი ნაბიჯით უკან დაეხია და კედელს ამოფარებულები კვესაბედით მომარჯვებულნი.

ცოტა ხანში ნასყიდამ ანიშნა, რომ სუფრა გაშლილი იყო. ავთომ ხელით სიმაგრის კედლის კუთხეში გამოჭრილ დოლაბზე ანიშნა. ნასყიდა მიხვდა, რომ იქ, კედლის ქონგურთან ახლო უნდა მისულიყო და დარაჯობა დაეწყო. ნასყიდას რომ არ მოსწყენოდა, ავთომ თან გაატანა პური, ერთი ასხმა ღორის ხორცის მწვადი და მწვანილი.

– აბა დავსხდეთ! – ავთომ მეგობრებს მოუხმო.

ყველანი გაშლილ პურმარილიან სუფრას შემოუსხდნენ და ფეხები აღმოსავლურად მოიკეცეს.

– მე მგონი, ყურს ვერავინ დაგვიგდებს ახლა და ჩვენს საიდუმლოსაც ვერავინ გაიგებს, – აღნიშნა ქუჯიმ.

– მეგობრებო, იმედი მაქვს, რომ ჩვენ აქ ერთდროულად ვისიამოვნებთ კიდევ, სახელსაც მოვიხვეჭთ და საიდუმლო საქმეზედაც მოვისაუბრებთ. გარდა ამისა, ჩვენ წინ გემრიელი პურმარილი და ინტერესიან

მაყურებელთა მთელი ჯარია. ბანაკში შეკრებილ ამ ხალხთაგან ჩვენ ზოგს ალბათ შეშლილად, ხოლო ზოგს გმირად მივაჩნევართ. თუმც, ორივე სისულელეა. ჰო... საიდუმლოება კი ის გახლავთ, რომ ნუხელ ბორენა ვნახე, – დაიწყო ავთომ. ქუჯის ღვინით სავსე ყანნი ხელში გაუშეშდა და გაფითრდა.

– დიახ, აქედან ახლოს, სოფლის სასტუმროში, ნუხელ ბორენა ვნახე.

– აუჰ, ცუდი ამბავია! – ამოიკვნესა ქუჯიმ.

– კაცო, ერთი გვითხარი, ბოლოს და ბოლოს, ვინაა... ეგ ბორენა?

– მომხიბლავი, ლამაზი ქალია! – თქვა ავთომ ეშმაკური ღიმილით და თან ღვინოს გემო გაუსინჯა. – ვაჰ! მოგვატყუა იმ მედუქნემ, ატენური ცქრიალას მაგივრად წყალნარევი ნაჟური შემოგვაპარა. დიახ, მშვენიერი ქალია, რომელიც ჩვენს ქუჯის მდედრის გულლიობით მოეპყრო. ამან კი ამ ქალის ნაზი გრძნობა შეურაცხყო და გააბრაზა. სამაგიეროს გადახდის მიზნით, ქალმა ჯერ მკვლელები მიუგზავნა. მერე მონამლული ღვინო უნდოდა შეეპარებინა, ხოლო ნუხელ დიდვეზირს მისი მოკვლის ნებართვა გამოსტყუა.

– ჰო... ჭეშმარიტად... მეც ჩემი ყურით მოვისმინე! – თქვა ტარომ.

– მართალია, ეგ მეც გავიგონე! – დაუმატა ამომ.

– ეჰ... ალბათ, ამ ქალთან ბრძოლა ამოდ ჩამივლის მე. არ მომეშვება! ჯობია ისევ ჩემი ნებით მტკვარში დავიხრჩო თავი და ამით გავათავო ყველაფერი, – თქვა სასონარკვეთილმა ქუჯიმ და თვალები ზეცას ალაპყრო.

– ჰოო... ეგ ბოლო სისულელეა, რომელსაც ადამიანმა შეიძლება მიმართოს! – თქვა ავთომ და ღვინო გადაჰკრა.

– ასეთ ძლიერ მტრებს მაინც ვერ გავუმკლავდები. ეს მცხეთელი უცნობი, მერე ბორენა და ბოლოს დავით ვეზირი, რომელსაც რამდენიმე საქმე ჩავუშალე.

– უჰ, სულ სამი გავლენიანი მტერი გყოლია. ჩვენ კი ოთხნი ვართ! ერთი ნასყიდას შეხედეთ, თუ მას დავუჯერებთ, აქ მგონი, უფრო მრავალრიცხოვან მტერთან მოგვიხდება ბრძოლა. ჰა, რა მოხდა, ნასყიდე? გვითხარი მანდედან რას ხედავ? – ჰკითხა თავის მსახურს ავთომ.

– მთელ რაზმს!

– რამდენი იქნებიან?

– ოცამდე დავითვალე! რვა შეიარაღებული ჯარისკაცია, ხოლო დანარჩენები ხელოსან-მუშები არიან.

– რა მანძილზე არიან?

- დაახლოებით სამას ნაბიჯზე.
- ხომ ხედავთ, დრო ჯერ გვაქვს, რომ ეს ცივად მოხარშული დედალი შევჭამოთ და ჩვენი ქუჯის სადღეგრძელოც გადავკრათ.
- შენი დღეგრძელობა იყოს, ძმაკაცო! – მიმართეს ერთხმად ქუჯის მეგობრებმა.
- ჰოჰ... გაგიმარჯოთ, ძმებო! ჩემთან ერთად... წმინდა გიორგის მაღლი გვფარავდეს ყველას! – აიტაცა სადღეგრძელო ქუჯიმ.
- ავთომ ყანნი გამოცალა და წინ სუფრაზე დადო, თვითონ მხნედ წამოდგა, ხელი ერთ-ერთ კონდახიან მშვილდ-ისარს წამოავლო და კედლის ქონგურებთან მივიდა. ტარომ, ამომ და ქუჯიმ მის მაგალითს მიბაძეს. რაც შეეხება ნასყიდას, მან ბრძანება მიიღო, უკან დამდგარიყო და ისრები მოეწოდებინა. მალე მათკენ მომავალი რაზმი მოუახლოვდათ. ისინი თხრილს მოჰყვებოდნენ, რომელიც ქალაქის დედა ციხესა და პირველი სიმაგრის კოშკს შორის იყო.
- ნასყიდ! თავი შეგირცხვა! – შესძახა ავთომ, – ამისთვის როგორ მოგვწყვიტე პურმარილს? ოცამდე მუშა-კაცი მოდის წერაქვებით, თოხებით და ნიჩბებით აღჭურვილი! ნასყიდას რომ შეეძახა, თავიდან მოგვცილდებოდნენ. ვფიქრობ, ჩვენც აღარ შეგვანუხებდნენ...
- არა მგონია, ასე მომხდარიყო, შეხედეთ, როგორ გაბედულად მოდიან, მარტო სამარქაფო მუშები კი არ არიან! რვა შეიარაღებული ჯარისკაციც მოჰყვებათ! – უთხრა ქუჯიმ.
- ეს იმიტომ, რომ ჯერ არ შევუმჩნევივართ! – მიუგო ავთომ.
- იცით, ჩემი მხრივ, მე ამ უიარალო განძელებს ისარს ვერ ვესვრი, – შენიშნა ამომ.
- მართალი ხარ, უნდა გავაფრთხილოთ... იქნებ უკან გაბრუნდნენ. – თქვა შეზარხოშებულმა ავთომ.
- ავთო, რას შვრები, მოგკლან გინდა?! – შეჰყვირა ქუჯიმ, – მაგრამ ავთომ ყურადღება არ მიაქცია ქუჯის სიტყვებს, სწრაფად აძვრა კედლის ქონგურებზე და მომავალ რაზმს მიმართა. მათ კი ისე გაუკვირდათ მისი დანახვა, რომ ორმოც ნაბიჯზე მაშინვე გაჩერდნენ.
- ბატონებო! მე და ჩემი მეგობრები საუზმეს გეახლებით ამ სიმაგრეში და თქვენც იცით, არაფერი არ არის ისე სანყენი, როგორც პურის ჭამის დროს კაცის შეწუხება. ამიტომ, გთხოვთ, თუ მართლა გასაკეთებელი გაქვთ რაიმე ამ სიმაგრეში, დაგვიცადოთ, ვიდრე საუზმეს დავასრულებთ, ანდა დროებით დავივინყოთ მტრობა და ჩვენთან ერთად ინებეთ მეფისა და ჩვენი დიდებული ქვეყნის სადღეგრძელოს დალევა.

– ფრთხილად, ავთო! მშვილდი მოზიდეს და გიმიზნებენ, – დაუყვირა ქუჯიმ.

– ჰო, ვხედავ! ესენი მშვილდ-ისარს ძალიან ცუდად ისვრიან... ვერ მონარტყამენ! – მართლაც, მალე ავთოს ირგვლივ ისრებმა გაიზუზუნეს, მაგრამ ერთიც არ შეხებია. სიმაგრიდანაც თითქმის იმ წუთშივე გასცეს პასუხი ისრებით. როგორც ჩანდა, აქედან უკეთ დაუმიზნეს, რადგანაც სამი ჯარისკაცი ძირს დაეცა. მეგობრებმა ხელახლა მოზიდეს მშვილდები და კიდევ ორი ჯარისკაცი გაისტუმრეს იმ ქვეყნად. დანარჩენებმა თავს გაქცევით უშველეს. ოთხი მეგობარი სიმაგრიდან ერთად გაცვივდა ბრძოლის ველზე. იქ კი ჯარისკაცების მშვილდები, კაპარჭები და შუბები სწრაფად აიტაცეს და ისევ სიმაგრეში შევიდნენ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გაქცეულები დედაციხემდე აღარ შეჩერდებოდნენ.

– ნასყიდ! ყურადღებით იყავი, არ გამოგეპაროს მტრის გადაადგილება! ჩვენ კი სუფრას დავუბრუნდეთ და განვაგრძოთ საუბარი.

– ავთო! შენა თქვი, რომ ჩემი მოკვლის ნებართვა სთხოვა ბორენამ ვეზირს და საქართველოდან სადღაც გაემგზავრა.

– ტრაპიზონში მიდის... – განმარტა ავთომ.

– რა მიზნით?

– რათა მოკლას ან მოაკვლევინოს პრინცი გელასი კომნინი.

– ეს ხომ სულმდაბლობაა! – აღმოხდა ქუჯის.

– რას იზამ! ჰო, პრინცი გელასის მოკვლა, მართალი გითხრათ, არ მანუხებს, რადგან იგი ჩემი ქვეყნისადმი მტრულად არის განწყობილი... ნასყიდა, მზად ხარ, მუგუზალი გინთია...?! ახლა აიღე შუბი, ზედ ეს შინდისფერი ბაირალი მიაბი და ამ კოშკის თავზე ააფრიალე. მეფის მოღალატე განძელებმა დაინახონ, რომ აქ გულადი და მეფის ერთგული მხედრები ვართ.

ნასყიდამ ავთოს ბრძანება ხმის ამოუღებლად აასრულა. კოშკის თავზე, ჯვრებიანი ბაირალი ააფრიალდა. უცბად ბანაკიდან ქექა-ქუხილივით ვაშას ძახილი გაისმა. თითქმის მთელი საომარი ბანაკი მიწაყრილის ზღუდეზე ასულიყო და შეფიცულ გმირებს აღრფთოვანებით უცქერდა.

– ესე იგი, შენ არ განუხებს, გელასის მოკლავენ თუ მოაკვლევინებენ? დაგავინყდა რომ მას ჩვენ ვიცნობთ?! – აღელდა ქუჯი.

– პრინცი გელასი კომნინი ბიზანტიელია. მათ კი ახლა ამ ომის დროს ზურგი გვაქციეს! უნდათ, რომ ჩვენი ძალები დაქსაქსონ. იცი... რაც უნდათ, ის უყონ საქართველოს მტერს. მე იგი ისე დამენანება, როგორც

ცარიელი დოქი, – ესა თქვა ავთომ და შორს გადატყორცნა ცარიელი დოქი, რომელიც ისე გამოწრუპა თავისი ყანნის ღვინით ავსებით, რომ წვეთი არ გააყოლა.

– ასე ნუ გავწირავთ პრინც გელასის, უფალი გვასწავლის შენაწებას და არა სიკვდილს ცოდვილისას, მით უმეტეს, ამგვარი მუხთალი ქმედებით, – შენიშნა ამომ.

– კარგით, ამ საკითხს შემდგომ დავუბრუნდეთ. მე ახლა სულ სხვა წუხილი მაქვს. კერძოდ, იმ ქალბატონისათვის დიდვეზირისაგან მიღებული წერილობითი განკარგულება. რომლის დახმარებითაც ბორენას დაუსჯელად შეეძლო საიქიოსკენ გაეგზავნა ჩვენი ქუჯი, – თქვა ავთომ. – ვინაა, კაცო, ეს ქალი? ადამიანია თუ სატანა ის თქვენი ბორენა? – თქვა ტარომ და თიხის ჯამი მიუშვირა ამოს, რომელიც მრგვალად მოხარშულ დედალსა ჭრიდა.

– ავთო, გამოართვი თუ არა ეგ ჯანდაბა ნებართვის ბარათი? – იკითხა ქუჯიმ.

– ჰო, ეგ წერილობითი განკარგულება დიდი ძალისხმევით წავართვი!

– ოჰ, ჩემო ავთო, კიდევ ერთხელ გიხსნივარ განსაცდელისაგან. აბა, ესე იგი, შენ გაქვს ის ბარათი?

ავთომ ვეზირის გაცემული ბარათ-საბუთი ჯიბიდან ამოიღო და ქუჯის გაუწოდა. მან ის ხმამაღლა წაიკითხა. იგი უცბათ გაფითრდა და სასონარკვეთილი, მწუხარე სახე მიიღო.

– წესისამებრ არის შედგენილი, – თქვა ამომ.

– დავხიოთ რა ეს ბარათი! – თქვა ქუჯიმ, რომელსაც ბარათი სასიკვდილო განაჩენად მოეჩვენა.

– მე მგონია, პირიქით, უნდა გავუფრთხილდეთ ამ ბარათს! მერე გამოგვადგება! – მიუგო ავთომ.

– საინტერესოა, ბორენა ამ ბარათის ჩამორთმევის მერე რას იზამს? – იკითხა ტარომ.

– მე მგონია, დიდვეზირს მისწერს, რომ ერთმა თავხედმა მონასპელმა ძალდატანებით წაართვა მის მიერ მკვლევლობაზე გაცემული ნებართვა და იმავე წერილში შეაპარებს რჩევას, რომ კარგი იქნება, ავთოს და მისი მეგობრების, ტაროსა და ამოს, საიქიოს გასტუმრებაც. დიდვეზირსაც გაახსენდება, რომ ესენი სწორედ ის მონასპელები არიან, რომლებიც ყოველთვის მას გზაზე ელობებიან. შემდეგ იგი განრისხდება, ერთ მშვენიერ დილას დააჭერინებს ქუჯის და მან რომ არ მოიწყინოს მარტო, ჩვენც მასთან ერთად ჩაგვყრის სამეფოს მთავარ დილეგში...



– ავთო, ვატყობ, ხუმრობის გუნებაზე ბრძანდები, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის! იცი, ჩემო, ჩვენ რომ კისერი მოვუგრებოთ იმ ბორენას, ნაკლებად შევცოდავთ უფალს, ვიდრე ამ მოღალატე განძელების ხოც-ვითა ვცოდავთ, – უთხრა ტარომ.

– ვეთანხმები ტაროს!

– მეც! – დაიძახა ქუჯიმ.

– თუ ხელი მიგინვდებოდა, რატომ არ მიახრჩვე ეგ ბორენა?

– მგონი, რალაც მოვიფიქრე! – თქვა ქუჯიმ.

– მერე, თქვი! – ნამოიძახეს მონასპელებმა.

– არიქა! ჩქარა, მოდიან! – დაიყვირა უცბად ნასყიდამ.

სუფრასთან ფეხმორთხმით მსხდომნი უმალ წამოიშალნენ. ოც-დახუთი მეომრისაგან შემდგარი რაზმი სიმაგრისაკენ მოემართებოდა, მაგრამ ამჯერად კედლის შესაკეთებლად კი არა, არამედ საბრძოლველად მოდიოდნენ განძის ათაბაგი ყარა-სუნღურის მეომრები.

– ოო! ჯობია გავეცალოთ, ბევრნი არიან, ამათ ჩვენ ვერ გავუმკლავდებით... – თქვა ტარომ.

– ჩემო ტარო, ჩვენი დაბრუნება ჯერ შეუძლებელია! ერთი, საუზმე ჯერ არ დაგვიმთავრებია. მეორე, ფრიად მნიშვნელოვანი მოსალაპარაკებელი კიდეც დაგვრჩა... შესამე, ნიძლავის დრო ჯერ არ არის გასული.

– უპასუხა ავთომ.

– მაშინ, საბრძოლო მოქმედების გეგმა დავსახოთ! – აღნიშნა ამომ.

– გეგმა? მარტივია! მოგვიახლოვებიან თუ არა ისრის ტყორცნის მანძილზე, მაშინვე დავუშენთ ისრებს. თუ მაინც წინ წამოინიეს, სროლას გავაგრძელებთ. ჩვენს ისრებს ვინც გადაურჩება და გაბედავს იერიშით კედელთან მოსვლას, მოვუშვათ... როდესაც კედლის ძირთან მოვლენ, კედელი ავაფეთქოთ. ეს კედელი ისედაც ყანყალებს და აფეთქებით თავზე დაემხობათ!

– ვაა! ყოჩაღ, ავთო! შენ, ძმაო, სპასპეტად ხარ გაჩენილი. დავით ვეზირი, რომელსაც დიდ მხედართმთავრად მიაჩნია თავი, შენთან შედარებით არარაა! – შესძახა აღფრთოვანებულმა ტარომ.

– ძმებო! ყურადღებით იყავით, ერთი და იგივე მტერი ორმა არ ამოიღოთ მიზანში, – მოუწოდა ავთომ.

– მე ერთს უკვე დავუმიზნე!

– მეც დავუმიზნე!

– ჰო, მეც მიზანში ამოვიღე! – თქვა ამომ.

ერთხმად გაისისინა ოთხმა ისარმა და განძელების რაზმიდან ოთხი მებრძოლი მიწაზე დაეცა. განძელები შეტევაზე გადმოვიდნენ და წინ მოინევენ. მათ თითქოს იცოდნენ, რომ მოწინააღმდეგე მცირერიცხოვანი იყო. სამი მომხდური კიდევ შეენირა ისრებმა. მაგრამ არც ამან შეანელა მოიერიშეთა ჯიქური სვლა. ისინი სიმაგრის მოყანყალე-ბულ კედელს მოუახლოვდნენ და კედელში ნაპრალით აპირებდნენ სიმაგრეში შეღწევას. ამ დროს ავთომ ნასყიდას მუგუზალი გამოართვა და კედლის ძირამდე დაყრილ ჩინურ დენტს დაადო, რომელიც შხუილით დაინვა და ნაპერწკლების ყრით ასაფეთქებელი კასრებისაკენ წავიდა. საშინელი გრუხუნის და აფეთქების ხმა გაისმა. უცებ კედლი გადაიზნიქა და საშინელი გრგვინით ჩამოიშალა. ამით განძელების შეტევა დამთავრდა.

– უჰ! სულ დაიხოცნენ?!

– მგონი არა, აგერ, ოთხი ან ხუთიოდე განძელი მირბის! – მართლაც, რამდენიმე გადარჩენილი, ამოსვრილი, დასისხლიანებული ჯარისკაცი დაფეთქებული გარბოდა ქალაქის დედაციხისაკენ.

– ბატონებო! მზე უკვე შუბის ტარზეა, მაშასადამე სანაძლეო მოგებუ-ლი გვაქვს. მაგრამ მოდით, ქუჯის შეწყვეტილი რალაც აზრი მოვისმინოთ!

– ვფიქრობ, ჩემი აზრით, ნავიდე ტრაპიზონში და პრინცი გელასი გავაფრთხილო.

– მაგას შენ არ ჩაიდენ! – უთხრა მკაცრად ავთომ.

– უკვე, ხომ ვიყავი ერთხელ ტრაპიზონში?!

– ჰო, იყავი, მაგრამ მაშინ ბიზანტიელები ომით არ გვემუქრებოდნენ. იმ დროს გელასი კომნინი ჩვენი ქვეყნის მტერი არ იყო. ახლა კი ეს ღალატად ჩაითვლება!

ქუჯი მიხვდა თავის შეცდომას და გაისუსა.

– ერთი მოსაზრება მეცა მაქვს. ეს ბორენა არ მიცნობს, ჰოდა, მე დავუახლოვდები, ისე, რომ ეჭვს ვერ მიიტანს ჩემზე და მოხერხებულ დროს დავახრჩობ! – თქვა ტარომ და უღვაში შეისწორა.

– მე თუ მკითხავთ, არცთუ ცუდი წინადადებაა, – თქვა ავთომ.

– არა გრცხვენიათ, ხალხო! ქალი უნდა მოკლათ? აი, ჩემი მოსაზრებაც! მე მგონია დედოფალს უნდა გავაგებინოთ.

– მერედა, როგორ შევატყობინოთ? მოვახერხებთ განა, ისე გავგზავნოთ ტფილისში კაცი, რომ მაშინვე არ გაიგონ დავით ვეზირის მსტოვრებმა? ჰო, მერე საპატიმროში ჩაგვყრიან... – თქვა ავთომ.

- კარგით, დედოფლისადმი საიდუმლოდ წერილის გადაცემას მე ვიკისრებ. უფარმაში ერთ მეტად მოხერხებულ ქალბატონს ვიცნობ... - თქვა ამომ მორიდებით.
- ჰოჰ! კარგი წინადადებაა, ასე მგონია მე!
- სრულ სიმართლეს ამბობს ტარო, - მიმართა ქუჯიმ.
- ამ დროს განძის შიდაციხეში ბუკ-ნალარა დაჰკრეს და განგაჰის ხმა გაისმა.
- მდა!.. ახლა ალბათ დიდ რაზმს გამოგზავნიან ჩვენთან საბრძოლველად. არა უშავს! მაგათაც გავუმკლავდებით! - თქვა ტარომ მედიდურად და უღვაში გადაიგრიხა.
- კი, როგორ არა! რაზმს კი არა, მთელ ჯარს შევებრძოლებოდით, უფრო წინდახედულები რომ ვყოფილიყავით და წამოგველო უფრო მეტი ღვინო! - თქვა ავთომ. ნალარის ხმა თანდათან ახლოვდებოდა.
- ძმებო! ჯერ საკმაო დრო გვაქვს ჩვენი გეგმის მოსახაზავად. აქედან რომ წავიდეთ, ვერსად ვერ ვიპოვით ასეთ შესაფერ ადგილს... მოიცათ, თავში ერთმა აზრმა გამიელვა! ნასყიდ! - უბრძანა ავთომ და იქვე, სიმაგრეში ჩაყრილი მკვდრები დაანახვა, - აიყვანე ესენი, მიიყვანე კედელთან, კარგა მაგრად დააყენე, ჩაფხუტი დაახურე და ყველას ხელში შუბი დაუმაგრე.
- ჰოჰ, დიდებული კაცი ხარ მართლა, ავთო! - შეჰყვირა ქუჯიმ.
- ჯერ სხვა არაფერია საჭირო. ისევ ჩვენს საკითხს დავუბრუნდეთ... - თქვა ავთომ, - იმ ავსულ ბორენას მაზლი უნდა ჰყავდეს მგონი, ქუჯი, შენგან ვიცი.
- ჰო, კარგად ვიცნობ მის მაზლს. მგონი, რომ მათ ერთმანეთი მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ.
- მაშ, იმ მაზლის დახმარებით ადვილად მოახერხებ...
- რა ჰქვია იმ მაზლს?
- იასონ გიაგუჰულოსი.
- სად არის ახლა, თუ იცი?
- ტრაპიზონში დაბრუნდა, როგორც კი ხმა გავარდა, ომი იწყებო.
- ჰოდა, სწორედ ეგ კაცი გვჭირდება, ჩვენც მაგას უნდა შევატყობინოთ, რომ მისი რძალი ტრაპიზონს მიდის ვილაცის მოსაკლავად და თვალი ადევნოს, - თქვა ავთომ.
- ჰო, მეც მაგ აზრისა ვარ, - თქვა ამომ, - ამაზე უკეთესს ვერას მოვიფიქრებთ, ერთსა და იმავე დროს გავაფრთხილებთ დედოფალსაც და ბორენას მაზლსაც. ძალიან კარგი, ახლა მოვიფიქროთ, თუ ვის გავატა-

ნოთ უჯარმაში და ტრაპიზონში ჩვენი წერილები? მე ვთავდებობ ღვთისოს.

– ბუჭუკას გაგზავნაზე თავდები მე ვარ! – თქვა ქუჯიმი.

– მართლაცდა, ჩვენ თუ ამ ბანაკიდან ვერსად გავალთ, მსახურებს ხომ შეუძლიათ აქედან წასვლა? – თქვა ტარომ.

– წერილები დღესვე დავენროთ, ფული მივცეთ და გავისტუმროთ.

– ფული რომ არა გვაქვს! – იუცხოვა ავთომ. მეგობრებმა თანაგრძნობით ერთმანეთს გადახედეს.

– არიქა, მტერი მოდის! რაზმი კი არა, მთელი ლაშქარი მოდის! – შეჰყვირა ქუჯიმი.

– უჰ, მართლაც, მთელი ლაშქარია! აი, შეარცხვინოთ ღმერთმა. ჰა, ნასყიდ, შეასრულე ჩემი ბრძანება?! – ნასყიდამ ხელით ანიშნა თორმეტ მკვდარზე, რომლებიც ძალიან მოხერხებულად აეყუდებინა კედელზე. ზოგს შუბი ჰქონდა ხელში, ხოლო ზოგს ხმალი. – ყოჩაღ, ბიჭო! – მოუნონა ავთომ.

– მართლაც, მთელი ლაშქარი მოდის და ის ემჯობინება, რაც შეიძლება მალე გავიდეთ აქედან, – აღნიშნა ქუჯიმი.

– მეც არ ვარ წასვლის წინააღმდეგი, ჩვენ სანაძლეო უკვე მოვიგეთ! წავიდეთ! – დაეთანხმა ავთო. ნასყიდამ კალათა აიღო და ბანაკისაკენ გასწია. ოთხი მეგობარიც გამოვიდა სიმაგრიდან და ნასყიდას უკან მიჰყვა.

– ვაჰ, მე! როგორ შევცოდეთ! – დაიძახა ავთომ.

– რა იყო, რა მოხდა, დაგავინცდა რამე? – ჰკითხა ამომ.

– ვაჰ, ჩვენი ბაირალი დაგვავინცდა! მტერს ხომ არ ჩავუგდებთ ხელში?! თუნდ სულ უბრალო ნაჭერი იყოს!

ავთო კედელზე აძვრა, ისევ კოშკში შევარდა და ჩამოიღო ბაირალი. განძელები იმდენად ახლოს იყვნენ სიმაგრესთან, რომ ისრები ადვილად მიაღწევდა ავთომდე. სეტყვასავით წამოვიდა ისრები მონასპელისაკენ, ავთოს კი, თითქოს სიამოვნებასა გრძნობსო, მკერდი მტრისათვის მიეშვირა, მაგრამ გადარჩა. მის გარშემო ყოველმხრივ ისრები ზუზუნებდა, სწორედ საკვირველება იყო, რომ ერთიც არ მოხვდა. ავთომ აიტაცა ალაში და ბანაკს მიესალმა მისი ქნევით. ბანაკიდან აღტაცებული გაშა გაისმა.

– ახლა უნდა ვიქაროთ! რადგან სისულელე იქნება, ამათ რომ თავი შევაკლათ. მეგობრები ბანაკისკენ სწრაფი სვლით გაემართნენ. ცოტა ხნის შემდეგ გაისმა გაცხარებული ყიჟინა და იერიშის ბუკ-ნალარა.

– ვახ... გახელდნენ ეს უბედურები? იერიში ვისზე მიიტანეს? იქ ხომ აღარავინაა! – წამოიძახა ტარომ.

– მკვდრები! ეგენი იფიქრებენ, რომ მტერია ჩასაფრებული და შეყოვნდებიან... როდესაც ნახავენ, თუ როგორ გავაბრიყვეთ ჩვენი ოინით, შეტევაზე გადმოვლენ, მაგრამ ჩვენ უკვე სამშვიდობოს ვიქნებით გასული, – უთხრა ავთომ.

– ჰოო... ახლა კი მივხვდი! – თქვა აღტაცებულმა ტარომ.

მთელი ბანაკი მათკენ მიმავალ ოთხ მეგობარს ვაშას შეძახილებით ესალმებოდა. ბოლოს მიტოვებული კოშკის მხრიდან ერთხელ კიდევ გაისმა ყიჟინის ხმა. ჩანს, განძელებს მკვდრებისათვის ეჯობნათ და ეს მიტოვებული ციხე-კოშკი აელოთ.

– რამდენი მებრძოლი მოგვკალით? – თქვა ავთომ.

– თხუთმეტამდე!

– აფეთქებულმა კედელმა კიდევ რამდენი დაიტანა?! სამაგიეროდ, გაკანრულიც კი არაფერი გვაქვს. ჰო, მარტო ფულის საკითხილა დაგვრჩა გადასანყვეტი... – თქვა ავთომ და მზერა ქუჯის შუათითზე წამოცმულ დედოფლის ნაჩუქარ ბეჭედზე შეაჩერა, – ეს ბეჭედი გავყიდოთ და ფული გვექნება.

– არ დაგავინყდეთ, რომ დედოფლის ნაჩუქარია! – დაღონდა ქუჯი.

– სწორედაც! დედოფლის ნათესავი გელასი კომნინის განსაცდელიდან დასახსნელად გამართლებული იქნება ამ ბეჭდის გაყიდვა... – ჩაერია ამო.

– ჰოო? – წამოიძახა ჭმუნვით ქუჯიმ, – გავყიდოთ ჩემი ბეჭედი და ამით გავათავოთ ამაზე ბაასი.

– ახლა ეს, ბოლო საკითხიც გადავწყვიტეთ! აგერ, ბანაკსაც მივუახლოვდით. მაშ, ამით მოვრჩეთ, სიტყვა აღარა თქვათ ამ საქმის შესახებ. ხედავთ, სულ ჩვენ შემოგვცქერიან და გვეგებებიან. მთელი ბანაკი აღტაცებული იყო ოთხი შეფიცული მეგობრის გმირობით. ყველგან ისმოდა შეძახილები:

– ვაშა, მონასპელებს! გაუმარჯოს მეფის მეომრებს! – მეგობრებს წინ ნიძლავში წაგებულები გამოეგებნენ. მათ ხელი ჩამოართვეს სანაძლეოში გამარჯვებულებს და მიულოცეს. ბოლო აღარ უჩანდა ქებას, მილოცვასა და ხელის ჩამორთმევას. დიდგვიზრმა დავითმაც კი გაიგო ბანაკის ხმაურის მიზეზი.

– სამ მონასპელსა და ერთ რაზმელს სანაძლეო დაუდვიათ, რომ გუშინ აღებულ მიტოვებულ სიმაგრეში სასაუზმოდ მივიდოდნენ. ისინი კაი

ხანი ბრძოლით გამაგრებულან იქ და უვნებლად დაბრუნებულან უკან, – მოახსენა საჭურველმტვირთველმა, – ამ გულადების სახელებია, ავთო, ტარო და ამო, ხოლო მეოთხე აზნაური ქუჯი-გიორგია, ბატონიშვილო! – ჰო, ესენი ჩემკენ უნდა გადმოვიბირო! – ჩაიჩურჩულა თავისთვის დავით ვეზირმა.

იმ საღამოსვე დავით ვეზირმა ვაჩე ჩიქვანს წინა ხაზის კოშკთან გამარჯვების ამბავზე დაუწყო ბაასი. ვაჩემ დანვრილებით უამბო ყველაფერი პირველ ვეზირს და შინდისფერი ბაირალიც არ დაივიწყა.

– ბატონო ვაჩე, ის ნაჭერ-ბაირალი მომიტანეთ. მე მასზე ოქროს ძაფებით ჯვარსა და ბრონეულის ყვავილს ამოვაქარგვინებ და თქვენს რაზმს ვუბოძებ ჯილდოდ.

– ბატონიშვილო, უსამართლობა გამოგვივა ავგ არტანუჯელის რაზმის მიმართ, რადგან ქუჯი-გიორგი იმ დანაყოფშია.

– მერე ადექით და ეგ ახალგაზრდა თქვენს რაზმში გადაიყვანეთ! მე მგონია უსამართლობაა, რომ მეფისადმი ასეთი თავდადებული მეგობრები სხვადასხვა რაზმში იყვნენ.

ვაჩე ჩიქვანმა მაშინვე აცნობა სამ მონასპელს და მათ მეგობარს ვეზირის ეს განკარგულება. უსაზღვრო იყო ქუჯის სიხარული. მისი მთავარი ოცნება ხომ მონასპელთა რაზმში ჩარიცხვა გახლდათ.

– უფლის მადლით, მართლაც კარგი ნიძლავი იყო და დიდებულადაც აგვასრულებინე. სახელიც მოვიხვეჭეთ და თავისუფლადაც მოვილაპარაკეთ. – უთხრა აღტაცებულმა ქუჯიმ ავთოს.

ქუჯი საღამოთი თავისი რაზმის მეთაურ ავგ არტანუჯელთან გამოცხადდა და მონასპელებში ჩარიცხვის შესახებ მოახსენა.



## – თაზი 22 –

მეორე დღეს ქუჯი უკვე მონასპელებში იყო ჩარიცხული და სიხარულისაგან ამაყად იჯგიმებოდა. ოდიშელი აზნაურიშვილი ქუჯი-გიორგის ოცნება ასრულდა. იგი ბედნიერი გახლდათ, მაგრამ შიგადაშიგ, უცბად ბორენა ახსენდებოდა და გუნება უფუჭდებოდა.

მეგობრები წინასწარ შეთანხმდნენ, რომ საღამოთი ავთოსთან შეკრებილიყვნენ და აქ მოეთავებინათ სიმაგრეში განმარტოების

დროს შეთანხმებული საქმე. მეგობრები დანიშნულ დროს ავთოსთან შეიკრიბნენ. მათ სულ სამი საკითხი ჰქონდათ მოსაგვარებელი: ბორენას მაზლთან მისანერი უსტარი; უჯარმაში, მოხერხებულ პიროვნებასთან მისანერი წერილი და მსახურთაგან ვის გაატანდნენ ამ წერილებს. ყველა თავის მსახურს აქებდა და სთავაზობდა ამ საიდუმლო საქმის შესასრულებლად.

– ვაჰ, ხალხო, ის კი არ არის მთავარი, რომ ჩვენს მსახურთაგან უფრო მოხერხებული, უფრო ღონიერი და უფრო გულადი რომელია, არამედ ის, თუ ვის უფრო მეტად უყვარს ფული! – მიმართა ამომ მეგობრებს.

– ამო სწორს ამბობს, თუ ამ საქმის მოგვარება გვნადია, მაშინ სწორედ ადამიანის ნაკლოვანებით უნდა ვიხელმძღვანელოთ და არა მისი ღირსებებით. რას ვიზამთ, უზნეობაა, მაგრამ ამ საქმისათვის ასე ჯობია... – თქვა ავთომ.

– სწორედაც საქმე ისე უნდა მოვანყოთ, რომ ჩვენი განზრახვის ასასრულებლად მარცხი არ მოგვივიდეს... თორემ, ჩვენი თავები გაგორდება მიწაზე!

– ცოტა, ხმადაბლა! – მიუთითა ავთომ დაბალ ხმაზე.

– მართალია! ეჰ, მაინც მოტყუებულნი დავრჩებით, რას არ დაგპირდებათ კაცი ფულისათვის და მერე კი ისეთი შიში მოერევა გზაში, რომ ხელს ვეღარ გაანძრევს... დაიჭერენ, წამებას დაუნყებენ და ყველაფერს ათქმევინებენ. ტრაპიზონში მისასვლელად კაცმა მთელი საქართველო უნდა გადაიაროს, რომელიც საგსეა დავით ვეზირის მსტოვარ-ჯაშუშებით. უჰ, ძალიან ძნელი საქმეა.

– რა ვიცი... არა მგონია, პირიქით, ადვილად მეჩვენება მე. წერილი ისე უნდა შევადგინოთ, რომ დაეჭვების საბაზს არ უნდა იძლეოდეს. თორემ ჩვენ რომ იასონ გაიგუპულოსს ვეზირის საშინელი საქმეები მივწეროთ, ინტრიგები და სახელმწიფოს საიდუმლოებანი, ცხადია, ყველას გაგვსვამენ ძელზე. მაგრამ ჩვენ ხომ მას ვწერთ ოჯახური საქმეების გამო... კერძოდ, ის, რომ ისე დააბინაოს ტრაპიზონში ჩასული ბორენა, რომ ვერავის ვნება ვეღარ შეძლოს. თუ დამეთანხმებით, დაახლოებით ამ შინაარსის წერილს მივწერთ... – განაგრძო ქუჯი ხმადაბლა.

– ჩემო ქუჯი, წერილების წერა შენი ძლიერი მხარე არ არის... შენ, მეგობარო, ხმალი და შუბი მოიხმარე, რაშიც შეუდარებლად მარჯვე ხარ, სანერ-კალამი კი ძვირფას მოძღვარ ამოს დაუთმე, იგი მას უკეთ გამოიყენებს.

– მართლა! ამოს მიეცით კალამი, რომელიც ბერძნულადაც კი წერს თავის თხზულებებს. ეს წერილები შენ შეგვიდგინე, მაგრამ გაფიცებ, მოკლედ ... – დაიძახა ტარომ.

შექებით შეგულიანებული ამო გულუბრყვილო თვითდაჯერებით წერილების თხზვას შეუდგა. ამომ კალამი აიღო, ჩაფიქრდა და შვიდი სტრიქონი ბერძნულად დაწერა, შემდეგ კი ამ გამაფრთხილებელი, ნაწერის თარგმანი მეგობრებს მოახსენა. მას ყოველი სიტყვის მნიშვნელობა ზედმინევნით ჰქონდა ანონილი. ბორენას ავქალობა და ვერაგული განზრახვა ზედმინევნით იყო წერილში გადმოცემული.

– დიდებულია! სწორედ სამეფო მდივნის კალამი გაქვს, ჩემო ამო. თვით უწმინდეს ჭყონდიდელსაც კი გაუჭირდებოდა ამგვარი წერილის შედგენა. იასონ გიაგუპულოსი ახლა კი მართლაც კარგად უდარაჯებს რძალს, თუ ამ გაფრთხილებამ დროზე ჩაუსწრო. ეს წერილი ვეზირის ჯაშუშებსაც რომ ჩაუვარდეს ხელში, მემგონი, ჩვენ ვერაფერს დაგვნამებენ. მაგრამ შესაძლებელია ჩვენ მიერ გაგზავნილი კაცი ყულევში გაჩერდეს და ჩვენ კი გვეფიცებოდეს, ტრაპიზონში ვიყავიო. ამიტომ ჯერ ფულის ნახევარი მივცეთ, ხოლო რომ მობრუნდება, დანარჩენი მერე გადავცეთ, – თქვა ავთომ.

– ჰო, ჩემი ბეჭედი უკვე გავყიდე, – აღნიშნა ქუჯიმ და ფულით სავსე ქისა მაგიდაზე დააგდო.

– უჰ, ამდენი ღირდა ის გონჯი ბეჭედი? – შეჰყვირა ტარომ.

– ალბათ! არა მგონია, ქუჯის სხვა ფულიც დაემატებინოს, – უპასუხა ავთომ.

– ჰოო, ბატონებო, ახლა ბარემ მეორე ბარათიც შევადგინოთ, იმ მოხერხებული პიროვნებისთვის, რომელიც უჯარმაში ცხოვრობს! – მიმართა ქუჯიმ.

ამომ ისევ კალამი აიღო, ხელახლა ჩაფიქრდა და დაწერა შემდეგი, რაც მაშინვე თავის მეგობრებს წარუდგინა შესათანხმებლად. „ჩემო საყვარელო დაო! დავით დიდგებური, ღმერთმა აცოცხლოს და განაძლიეროს ჩვენი მეფის და ქვეყნის საკეთილდღეოდ და მტერთა ჩვენთა დასათრგუნავად, სადაცაა ბოლოს მოუღებს განძელ მოღალატეებს, რომლებიც ჩვენი მეფის და ჭეშმარიტი სარწმუნოების მტრები არიან. ადვილი შესაძლებელია, დასავლეთით მათ მხარი აუბან ბიზანტიელეზმა ჩვენი დედოფლის სამშობლოდან. მეტსაც გავბედავ და დარწმუნებით ვიტყვი, რომ რაიმე დიდი მოვლენის გამო შეიძლება შეფერხებულ იქნეს ეს ამბავი. შეატყობინეთ თქვენს დას, ჩემო საყვარელო, რომ



ის შეჩვენებული, ჩვენი დედოფლის ნათესავი, რომელიც გავლენიან სამხედრო პირად მოიაზრება იმ ქვეყანაში, სიზმარში მკვდარი ვნახე. მხოლოდ აღარ მახსოვს, იარაღით იყო მოკლული თუ სანამლაკით...”

– ყოჩაღ! ძვირფასო ამო, შენ ჭეშმარიტად მგოსნების მეფე ხარ – მოუნონა ავთომ.

– ჰო, ამ წერილის მიტანა უჯარმის ციხე-ქალაქში მარტო ჩემს ღვთისოს შეუძლია. ღვთისოს მეტს არავის იცნობს ჩემი დეიდაშვილი და მხოლოდ მას ენდობა. ამასთან ერთად, ისიც უნდა იცოდეთ, რომ ღვთისოს მეტად განვითარებული კაცია. მან ისტორიიდან კარგად იცის, რომ კათალიკოს-პატრიარქი საბა II, სანამ დიდი ჭყონდიდელი გახდებოდა, ცხვრებს მწყემსავდა. ამიტომ მას გადანყვებილი აქვს, ჩემთან ერთად შევიდეს ეკლესიის სამსახურში და რადგან იმ იმედით სულდგმულობს, რომ შეიძლება მასაც ელირსოს მეუფეობა, თქვენც დამეთანხმებით, ასეთ დიდებულ მომავალზე მეოცნებე არც ისე ადვილად ჩაუვარდება ხელში ჯაშუშებს და არაფერს იტყვის, თუ დაიჭირეს.

– მაშ, შევთანხმდით, უჯარმაში ღვთისო წავა, ხოლო ტრაპიზონში ბუჭუკა. ნახევარი ფული ახლა მივცეთ და მეორე ნახევარი დაბრუნების შემდეგ ჩავუთვალოთ, ასევე მოვექცეთ ღვთისოს, – მიუგო ქუჯიმ.

– გადაწყდა!! – განაგრძო ავთომ.

მეგობრებმა ღვთისო მოიხმეს, აუხსნეს დავალება და მისცეს საჭირო დარიგება. ასევე დამოძღვრეს ბუჭუკაც და თან მოსალოდნელი საშიშროებებიც აუხსნეს.

– აჰ, ბატონებო! მე პირნათლად შევასრულებ თქვენს ბრძანებას, რომ მანამონ, მაინც ვერაფერს მათქმევინებენ, – დაიფიცა ბუჭუკამ.

მეორე დღეს, დილით, ღვთისო დავალების ასასრულებლად უჯარმისკენ წავიდა, ხოლო ბუჭუკა ტრაპიზონისკენ. მეგობრებმა გაისტუმრეს მსახურები და მათი დაბრუნების მოლოდინში მოსვენება დაკარგეს. ისინი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ. მეხუთე დღეს, დილით, ჩვეულებისამებრ მშვიდმა ღვთისომ სოფლის დუქნის კარი შეაღო, რადგან მონასპელი მეგობრები იქ საუზმობდნენ და მოკლედ მოახსენა:

– აი, პასუხი, ბატონო ამო.

მონასპელებმა ერთმანეთს სიხარულით გადახედეს. საქმის ნახევარი დამთავრდა. მართალია, ეს შედარებით ადვილი და ხანმოკლე დავალება იყო, მაგრამ ცოტა მაინც თავისუფლად ამოისუნთქეს.

– ავთო, ერთი ნახე, რასა მწერს!

ავთომ თვალი გადაავლო წერილს და სახეზე კმაყოფილება გამოეხატა. შემდეგ, მან ბარათი ალექვებულ ამოს მიაწოდა.

ამ დროს ქუჯიმ დაინახა, რომ ავთო წასვლას აპირებდა, თვითონაც ადგა და თან გაჰყვა. ღვთისომ კი ერთი კონა ჩალა იპოვა და ზედ დაწვა დასაძინებლად, რადგან იგი მეოცნებე იყო, დაესიზმრა, რომ მეუფედ ნაკურთხი ამო მას მღვდლობას უპირებდა. ღვთისოს მიერ დავალების შესრულებამ მარტო ნაწილობრივ შეამსუბუქა დარდი, რომელიც გულს უღრღნიდა შეფიცულ მეგობრებს.

ლოდინი მეტად დამღლელია, დრო ნელა მიიზღაზნება. ქუჯის ავიწყებოდა, თუ რა დიდი დრო სჭირდებოდა ზღვით მოგზაურობას და თან, ბორენას ყოვლისშემძლეობას მეტად აზვიადებდა. მის ფიქრებში ეს ქალი აღქაჯი იყო, რომელსაც ზებუნებრივი ძალები ეხმარებოდნენ. ქაჯად გარდაქმნილი ედგა თვალწინ ეს ქალი. ქუჯი რაღაც მცირე ხმაურზეც წარმოიდგენდა, თითქოს მის დასატუსაღებლად მოდიოდნენ. მათ თან ბუჭუკა მოჰყავდათ, რომ პირისპირ დაეყენებინათ მისთვის. ქუჯის ეს სულიერი მოუსვენრობა იმდენად გაიზარდა, რომ ტაროსა და ამოსაც გადაედოთ. მარტო ავთო რჩებოდა გარეგნულად გულგრილი და ამბობდა:

– ალბათ ბუჭუკას შეაგვიანდება. ხდება ხოლმე... ცხოვრება პატარა უბედურებების კრიალოსანია, როგორც ფილოსოფოსები ამბობენ. ჰოდა, თქვენც ფილოსოფიურად მიუდექით...! ახლა კი შემოეუსხდეთ სუფრას და დავლიოთ! ვერაფერი დაგანახვებთ ცხოვრებას ისე კარგად და ტკბილად, როგორც თავკვერი, წითელი ღვინო!

– ეჰ, რა ვქნა, გადავიღალე. ღვინო ვერ დამიღვია იმის შიშით, რომ ბორენას მარნიდან არ იყოს... – უპასუხა ქუჯიმ.

ავთომ ნერვიულად შუბლზე ხელი მოისვა. დუქანი ხალხით გაივსო. საღამო ხანი დადგა. მეგობრები ჩვეულებისამებრ ისხდნენ და კამათელს ათამაშებდნენ. გარედან ჯარისკაცების ფეხის ხმა მოისმა, რომლებიც საგუშაგოების გასაძლიერებლად მიდიოდნენ. დღე, როგორც იყო, მიიღია და დაბინდა. ბანაკის ბუკის ხმაც გაისმა. უკვე ძილის დრო დადგა. შემდეგ ავთომ დატოვა სასადილო, ქუჯიც მას გამოჰყვა, უკან ამო და ტარო მოსდევდნენ. უცბად ღამის სიბნელეში ცხენოსანი კაცის აჩრდილი გამოჩნდა და ქუჯისათვის ნაცნობი ბუჭუკას ხმა გაისმა.

– მოვედი, ბატონო!

– ბუჭუკ! – შეჰყვირეს ერთად მეგობრებმა.

– ყოჩაღ, ბუჭუკა! სიტყვის კაცი ყოფილხარ.

ქუჯის ძალიან უნდოდა გულში ჩაეკრა ბუჭუკა, მაგრამ თავი შეიკავა, მოერიდა, შუა ქუჩაში მსახურისადმი ამგვარი გრძნობის გამოჩენა.  
– ბუჭუკა! ახლა შეგიძლია შენი გასამრჯელოს მეორე ნახევარიც მიიღო. თან მოდი, გვიამბე შენი თავგადასავალი, – უთხრა ქუჯიმ.  
– ოჰ, დილამდე ვერ გავათავებ, ბატონო.  
– მართალია! – უთხრა ავთომ.  
– ჰო, ჯობია დავნვეთ და დავიძინოთ! ამ დღეების განმავლობაში არც ერთს ჯერ დამშვიდებით არ გვიძინია!



### – თაზი 23 –

ბორენას ქუჯისგან მიყენებული შეურაცხყოფა და ავთოს მუქარა ჯერ ვერ მოენღვებინა. ცხელ გულზე ერთი კი გაიფიქრა, დავბრუნდები და ამ თავგედებს ვეზირთან ვუჩივლებო. მაგრამ მერე გადაიფიქრა, რადგან, დავალების შეუსრულებლობის გამო, დავითის რისხვის შეეშინდა. ამიტომ გზა განაგრძო.

დავით ვეზირის მსტოვარი ქალბატონის გემი ტრაპიზონის ნავსადგურში ორი დღის დაგვიანებით შევიდა. ზღვის ლელვაში მოყოლის გამო, ხომალდის მესაჭე იძულებული გახდა, ნაპირისგან მოშორებით ეცურა. საქართველოდან ჩამოსული გემი ნავსაყუდელს შუადღისას მიადგა. ქალაქ ტრაპიზონის ქათქათა ნაგებობების, ციხე-კოშკებისა და ტაძრების გუმბათები კამკაშა მზის სხივებში ელვარებდნენ. თითქოს ცისა და ზღვის უსაზღვრო სივრცე გაერთიანებულიყო. ქალაქი მღელვარებას მოეცვა. ნავსადგურში მდგარ სამხედრო გემთან პრინცი გელასი კომინი მოჩანდა. მას გარს მეომართა ამაღა ეხვია. ბორენა გაჰყურებდა ნავსადგურს და თვალს არ აშორებდა ბიზანტიელთა ლაშქრის საომარ სამზადისს.

ბორენას გემს, ის იყო, ლუზა უნდა ჩაეშვა, რომ მას შეიარაღებული მეომრებით სავე ნავი მიუახლოვდა. ნავიდან გემზე მარტო ჯარისკაცთა ათისთავი ავიდა. იგი გემის მეთაურს კარგა ხანს ელაპარაკებოდა. კერძოდ, გემი საიდან ჩამოვიდა, რა მოჰქონდა, ვინ იყვნენ მგზავრები... შემდეგ ათისთავმა გემი ყურადღებით დაათვალიერა. ბოლოს, მზერა

ბორენაზე შეაჩერა. თვითონ ბორენამაც ახალგაზრდა კაცს კეკლუცად თვალი თვალში გაუყარა.

ათისთავი, რომელიც ასე დაკვირვებით სწავლობდა ბორენას, ოცდახუთი წლისა იქნებოდა, თეთრი სახე, ოდნავ ჩაცვენილი თვალები, წერილი, სწორად გამოყვანილი ტუჩები და წინ გამოშვერილი ორად გაყოფილი ნიკაპი ჰქონდა, რაც მისი ნებისყოფის სიმტკიცეს აღნიშნავდა. მის უგრძნობ სახეს მოკლე თმა და მუქი წვერი ფარავდა. ათისთავის ბრძანების თანახმად გემი ნაპირს მიადგა. ათისთავმა ბორენას ხელი გაუწოდა საშველად და ნაპირზე გადაიყვანა. ბორენა დაჟინებით დააცქერდა მკაცრ ათისთავს, რომელსაც იქვე ეტლი ელოდებოდა.

– გამაგებინეთ, ვინ ხართ? და რა უფლებით მექცევით ასე?

– ბიზანტიის ფლოტის ათისთავი გახლავართ! დიახ... ასე ვიქცევით სიფრთხილის გამო. ომიანობის დროს უცხოელები ხელისუფლების შედამხედველობის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ! – ათისთავმა ეს სიტყვები უაღრესი დამაჯერებლობით და ზრდოლობიანად წარმოთქვა, მაგრამ ამ პასუხმა ქალბატონი გიაგუპულოსი ვერ დაამშვიდა.

– მე უცხოელი არა ვარ! მე ბორენა გიაგუპულოსი ვარ! – უთხრა წმინდა ბერძნულით.

– მაშ, ნავიდეთ! – თქვა ბორენამ და ეტლში გაბედულად ჩაჯდა. ათისთავიც მიუჯდა. ეტლი ბრძანების გარეშე დაიძრა და ცოტა ხანში ქალაქის ქუჩებში ცხენების ჭენებით გაქროლდა. ბორენამ შენიშნა, რომ ახალგაზრდა ათისთავს არავითარი სურვილი არ ემჩნეოდა საუბრის გაგრძელებისა. ბორენამ ეტლის ფანჯრიდან გადაიხედა, რომ დაენახა, სად იყო. სახლები აღარ ჩანდა, უკვე შარაგზაზე გასულიყვნენ. გზის გასწვრივ, წყვდიადში ხეები იდუმალ აჩრდილებად მოჩანდა. თავზეხელაღებული ბორენა შეცბა და აკანკალებული ჩაფიქრდა. გაქვავებული ათისთავი კი ხმას არ იღებდა.

– ოჰ, ვაი! მიშველეთ! – შეჰკვივლა ბორენამ. მის კივილს არავინ გამოეხმაურა. ეტლი ისევ ისე მიქროდა. ბორენას კარის გაღება და გადახტომა უნდოდა.

– ქალბატონო, ფრთხილად! ცოცხალი ვერ გადარჩებით, თუ გადახტებით! – თქვა გულგრილად ათისთავმა.

ათისთავი განცვიფრდა, რადგან ბორენას სახე, რომელიც ადრე ასე ლამაზი ჩანდა, ახლა სიბრაზისაგან საშინლად დაღრუჯილიყო. ცბიერმა ქალმა მაშინვე იფიქრა, რომ დაილუპებოდა, თუ ვინმეს თავის ბოროტ

სახეს დაანახვებდა. ამიტომ მან სახის გამომეტყველება უცხად შეიცვალა.

ბოლოს, ეტლი ალყაფის კარით ციხე-დარბაზში შევიდა, რომელიც ზღვის პირას, პირქუშ და განმარტოებულ ადგილას მდებარეობდა. ეტლმა თალისქვეშ გაიარა და შიდა ეზოში გაჩერდა. ბორენა ათისთავის ხელს დაეყრდნო და ეტლიდან ჩამოვიდა. მან მახვილი თვალი მოავლო იქაურობას.

– ცხადია, დატუსაღებული ვარ, მაგრამ, რატომ?!

ათისთავმა პასუხი არ გასცა. მან კისერზე ჩამოკიდებული სასტვენის მოიმარჯვა და ჩაჰბერა. სასტვენის ხმაზე უცხად რამდენიმე ხელქვეითი გამოვარდა. ახალგაზრდა ათისთავმა ბორენა ზრდილობიანად შენობაში შეიპატიჟა. მათ გაიარეს ფართე დერეფანი და ვინრო, დახვეული ქვის კიბით ავიდნენ ზედა სართულზე. აქაც დერეფანში განაგრძეს სვლა და ერთ მომცრო კართან გაჩერდნენ. ათისთავმა ურდული გადასწია და კარი გააღო. ბორენა მისთვის განკუთვნილ ოთახში შევიდა, სადაც ფანჯრებზე რკინის გისოსები იყო აკრული, ხოლო შეჭედილი კარის რკინის ურდულზე მძიმე ბოქლომი ეკიდა. განსაცდელებში გამობრძმედილი ბორენა შემცბარი და გადაღლილი სავარძელზე დაეშვა. ორმა მსახურმა ბარგი უჩუმრად შემოიტანა. ათისთავი ყოველივე ამას მშვიდად და ენერგიულად განაგებდა. ბორენამ დუმილი დაარღვია და ისევ სცადა, რომ გაერკვია არსებული ვითარება. ბოლოს მან მცირე პასუხი მიიღო:

– ქალბატონო! მე ბრძანება მივიღე, რომ გემიდან ჩამომეყვანეთ და ამ ციხე-დარბაზში მომიყვანეთ, მე ეს ბრძანება თავაზიანად და ზედმინუნით შევასრულე! დანარჩენი მე არ ვიცი...

დერეფნიდან ამ დროს ფეხის ხმა გაისმა. მალე კარი გაიღო და ზღურბლზე კაცი გამოჩნდა, რომელიც ბორენას ბინდში ნაცნობად მოეჩვენა. უცნობს ლამპრის სინათლე სახეზე მოხვდა. შეცბუნებულმა ბორენამ უნებურად უკან დაიწია.

– როგორ? ეს თქვენა ხართ, ჩემო მაზლო?

– დიახ, ჩემო ცელქო და მაცდურო ქალბატონო! – უპასუხა იასონ გიგუშულოსმა და თავი დამცინავად დაუკრა.

– მაშ, მე თქვენი ტუსაღი ვარ? ეს ხომ ძალმომრეობაა!

– შენი ჭირიმე, თავი დაანებე მაღალფარდოვან სიტყვებს და კლდემა-მოსილი ქალის თამაშს. ახლა დავსხდეთ და მშვიდობიანად მოვილაპარაკოთ, როგორც რძალ-მაზლს შეჰფერის. – მერე კარისკენ მიბრუნდა

და ათისთავს მიმართა: – ჩემო თეოგენ, მადლობა... ახლა კი მარტონი დაგვტოვე.

სანამ იასონ გიაგუშულოსი სარკმელთან იდგა და ჩაფიქრებული ზღვას გასცქეროდა, ბორენა გასუსული იჯდა. მას თავისი მაზლი ქარაფშუტა ადამიანად მიაჩნდა და ფარული ხრიკების ხლართვის თავიცი მაინცდამაინც არ უნდა ჰქონოდა. აბა, საიდან გაიგო ბორენას ჩამოსვლა? მართალია, იგი ხვდებოდა, რომ ვილაცამ მოისმინა მისი და დავით ვეზირის საიდუმლო საუბარი. მაგრამ ვერ წარმოედგინა, თუ მონინალმდეგე ასე სწრაფად და მოხერხებულად იმოქმედებდა.

– კარგი, მოვილაპარაკოთ, ჩემო ძვირფასო მაზლო! – მიმართა ბორენამ, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ იასონს გამოსცყუებდა და გაიგებდა თავისი დაპატიმრების ნამდვილ მიზეზს. ფიქრობდა, რომ ეს სამომავლოდ გამოადგებოდა და ამის მიხედვით თავს უკეთ დაიძვრენდა.

– ვაჰ, გაბედე და ისევ ტრაპიზონში მოგვევლინე?! იმის მიუხედავად, რომ დაიფიცე, ბიზანტიის მიწაზე ფეხს აღარ დავდგამო.

– ჯერ მიპასუხე, საიდან გაიგე ჩემი აქ ჩამოსვლის შესახებ?

– ჯერ თქვენ თვითონ გამაგებინეთ, ჩემო საყვარელო რძალო, რა საქმეზე ჩამოსულხართ?

– ჩემო ძვირფასო მაზლო, თქვენს სანახავად ჩამოვედი, – მიუგო ბორენამ მომხიბლავი ღიმილით და ამით უფრო გააძლიერა ეჭვი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა იასონს ქუჯის შეტყობინების მერე.

– უჰ, ჩემს მოსანახულებლად შენუხდი?! – ითვალთმაცქა იასონმა.

– დიახ, მაზლის სანახავად ჩამოვედი. სხვა არაფერი... ეჭვი გეპარებათ?!

– ვაჰ, ჩემი გულისთვის ზღვა გადმოლახეთ? ძალიან გყვარებივარ, ჩემო რძალო!

– განა მე თქვენი უახლოესი ნათესავი არა ვარ?.. – იფარისევლა ბორენამ.

– ჰო, კიდევ ჩემი ერთადერთი მემკვიდრე, არა?!

ბორენა მოზღვავებულ გრძნობას გაჭირვებით იმორჩილებდა. მართლაც, იასონის ამ ნათქვამმა მიზანს მიაღწია. ბორენას უცბად მოაგონდა, თუ როგორ დატუქსა ქუჯი იმის გამო, რომ მისი მაზლი დაინდო და ორთაბრძოლაში არ მოკლა.

– მაგით რისი თქმა გნებავთ?

– ჰო და იმას ვამბობდი, მეც ეგ ვიგულისხმე... ჩემი ნახვა მოგსურვებიათ და ტრაპიზონს მობრძანებულხართ. მე კი ეს ვიგრძენი და თქვენს

დასახვედრად ეტლით ათისთავი თეოგენი გამოგზავნე. ეს ციხე-დარბაზი ჩემია. ეს ოთახი კი, კეთილო რძალო, თქვენთვის მოვამზადებინე. მითხარი ერთი, ამაში რა არის იმგვარი უცნაური, რომელიც შენი ნათქვამის უცნაურობას აღემატება!

– მე უცნაურად ის მომეჩვენა, რომ წინასწარ შეიტყვე ჩემი ჩამოსვლის შესახებ.

– ჩემო საყვარელო რძალო, ამაშიც არაფერია უცნაური. გემის უფროსმა, ნავსადგურთან მოახლოებისას, წინ პატარა ნავი გამოგზავნა ნავსადგურში შემოსვლის სათხოვნელად და გგზავრთა სიაც წარმოადგინა. მე სწორედ აქედან გავიგე შენი ჩამოსვლის შესახებ და წინ ჩემი ათისთავი შეგაგებე...

ბორენა მიხვდა, რომ იასონ გიაგუპულოსი ცრუობდა და უფრო მეტად მოეძალა შიში.

– ჰო! ნავსაყუდელში როცა თქვენი გემი შემოვიდა, გელასი კომნინი იქ იყო. ვიცი, მისი დანახვა აღგამოთებდა! – განაგრძო ეშმაკურად, მიამიტური სახით იასონმა, – საიდანაც ჩამოხვედით, იმ ქვეყანაში, მგონი, სულ პრინცი გელასის ხსენებაში არიან და თქვენს მეგობარ დავით ბატონიშვილსაც მეტისმეტად უნდა აწუხებდეს მისი საომარი მუქარა.

– ჩემს მეგობარ დავით ვეზირს?! – შეჰყვირა ბორენამ.

– როგორ? განა თქვენი მეგობარი არ არის? მე კი ასე მეგონა... ჰო, აქ, ჩემს ციხე-დარბაზში თქვენი სურვილისამებრ გექნებათ ყველაფერი...

– ასე ჩაკეტილი უნდა ვიყო? – შეშინდა ბორენა.

– განა ცუდადა ხარ მონყობილი, ჩემო რძალო? თქვი, კიდევ რა გნებავს. მითხარი, თუ როგორ მოაწყო თქვენი სახლი შენმა პირველმა ქმარმა და მეც ისევე მოგინყობ...

– პირველმა ქმარმა?! – იკივლა ბორენამ, დააშტერდა იასონს და შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

– ჰო, რა იყო... როგორ მოაწყო შენმა პირველმა ქმარმა? ჩემს ძმაზე კი არ გეკითხები! კარგი, კარგი, ჯერ ცოცხალია და მას ვკითხავ...

– თქვენ მე შეურაცხყოფას მაყენებთ!

– ნეტა კიდევ რითი შეიძლება შენი შეურაცხყოფა?!

– არამზადავ, თავხედო! – შეჰყვირა ბორენამ და მაზლს ჯიქურ ეცა.

– ჰო! ვიცი, ვიცი, კაცის კვლა ჩვეულებადა გაქვს...

გაბოროტებული ბორენა გაბმით ხაოდა და გაშეშებულ იასონს გარს უვლიდა, რომ მოხერხებულად თავს დასხმოდა. იასონმა გულის სიღრმეში შიში იგრძნო.

– იხავლე, რამდენიც გინდა! მაგრამ კბენა კი არ გაბედო. თქვენ მკაცრად დასასჯელი ხართ, უნამუსო დედაკაცო! თქვენ ცოლად შეეპარეთ და შემდეგ მონამლეთ ჩემი უბედური ძმა, რადგან მის მემკვიდრეობას დაპატრონებოდით. ჰო, შეიძლება მომკლა ან მოაკვლევინო ჩემი თავი, მაგრამ ჩემი ქონების ერთი ნუმიაც კი არ დაგრჩება მემკვიდრეობად... სამი კვირის შემდეგ თქვენ გაგამგზავრებენ გემით კონსტანტინეპოლის მთავარ საპყრობილეში. დროებით კი, აქ, ჩემს ციხე-დარბაზში დარჩები. ამ ციხე-დარბაზს სქელი კედლები და მაგარი კარები აქვს. თქვენ ჩემი ერთგული ხელქვეითები გყარაულობენ. ბრძანება მაქვს გაცემული, რომ გაპარვის მომასწავებელ ქმედებაზე მაშინვე მოგკლან! ათისთავი, რომელიც ჩემს აქ არყოფნაში განაგებს ამ ციხე-დარბაზს, შენთვის უკვე ცნობილია. მგონი, შენც დარწმუნდი, რომ იგი ბრძანების ზედმინევენით ამსრულებელია. შენ ბევრ კაცზე გამოსცადე ძალა შენი მაცოცხლებელი სილამაზისა და უმეტესად იმარჯვებდი. ახლა ამ ათისთავზე სცადე. საინტერესოა, რა გამოგივა... – იასონმა კარი გამოაღო და მოიხმო ათისთავი თეოგენი.

რძალი და მაზლი ერთმანეთს გამომწვევად შესცქეროდნენ. მალე ბნელ დერეფანში ნაცნობი ათისთავი ახალი ბრძანების მისაღებად გამოჩნდა.

– ჩემო თეოგენ, მოდი და კარგად დააკვირდი ამ დედაკაცს! – უბრძანა იასონმა, – იგი მომხიბლველი სილამაზისა არის და მიწიერი ყოველგვარი ცოუნებითაა შემკული. ამ ახალგაზრდა მაცდურ დედაკაცს ბევრი ბოროტება აქვს ჩადენილი. იგი თქვენს მოხიბვლასაც ეცდება. მე, ჩემო თეოგენ, ღვიძლი შვილივით გექცეოდი, დაგეხმარე და ათისთავობა მოგაპოვებინე. მე ვარ შენი არა მარტო კეთილისმყოფელი, არამედ მამაც! ეს სიძვის დედაკაცი ტრაპიზონში იმ მიზნით ჩამოეხეტა, რომ ბოლო მომიღოს! შვილო ჩემო, თეოგენ, შემომფიცე... დამიცავი ამ ავსულისაგან! თეოგენ, მე შენ გენდობი!!

– ჩემო მამავ-ბატონო! გეფიცებით, რომ ყოველი თქვენი ბრძანება ზედმინევენით შესრულდება! – ახალგაზრდის წმინდა თვალბში ბორენასადმი ზიზღი აღიბეჭდა. ბორენამ თავი მძიმედ დახარა. იასონი ოთახიდან გავიდა და ათისთავიც უკან გაჰყვა. იმავე დროს დერეფანში შუბით შეიარაღებული კაცის ფეხის ხმა გაისმა, რომელიც ბორენას ოთახის სადარაჯოდ მოდიოდა. ოთახში დარჩენილ ბორენას სახეზე მრისხანების და ბოლმის აღმური ასდიოდა. ავბედით ფიქრებში წასულს აქედან თავის დახსნის იმედი თანდათან უქრებოდა. იგი შიშს აეტანა



და ფიქრობდა, რომ იღბალმა ზურგი შეაქცია. ამ ხეპრე ქუჯიმ დავით ვეზირის მიერ პრინცი გელასისადმი დაგებული მახე გააუვნებელყო. ბორენას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყველა მის ახლანდელ უბედურებაში ქუჯის ხელი ერია. მხოლოდ მას შეეძლო იასონ გიაგუჭულოსისათვის ყველა ის საიდუმლო ეცნობებინა... ბორენას სიძულვილით და ბოლმით უდუღდა სული. მას შუშანას, პრინცი გელასის და გამორჩევით კი, ქუჯისადმი შურისძიების გრძნობით ჰქონდა გული აღვსილი.

ბორენას შურის საძიებლად თავისუფლება სჭირდებოდა. ის კი ოთხ კედელში იყო გამოკეტილი. გახლებული ბორენა პატიმრობის დანყებიდანვე კრუნჩხვებისაგან თავს ძლივს იკავებდა. მერე ნელა-ნელა თავი დაიმორჩილა და თავის მდგომარეობაზე ფიქრს მიეცა. ჰო, საჭირო არ არის მძვინვარება. ის სისუსტის ნიშანია. ჩემი ძალა კი ჩემს ქალურ სისუსტეშია...

შემდეგ ბორენამ თავის გალამაზებას მიჰყო ხელი. მან ალერსიანი, სიყვარულით აღსავსე, ტკბილი და გულისწარმტაცი მოლიმარი სახე მიიღო. შეისწორა თმა, რომ მიმზიდველი სახის სილამაზეს თმის მშვენიერებაც დახმარებოდა. იგი თავისი გარეგნობით კმაყოფილი დარჩა. „მდა... – იმედინანად გაიფიქრა მან: – ვნახოთ! ჯერ ისევ ლამაზი და მიმზიდველი ვარ!“

მალე ფეხის ხმა გაისმა და კარი გაიღო. ბორენა სწრაფად ტახტზე დაეშვა, გულისპირი ოდნავ გაიღელა, თმა გაიშალა და თავი მოხდენილად უკან გადააგდო.

– საკვებიანი სინი ტახტზე დადეთ! სანთლებიანი შანდლები შემოიტანეთ! მერე გუშაგები გამოცვალეთ! – ამ ხმაზე ბორენამ ათისთავი თეოგენი იცნო. სწრაფად და უხმოდ სრულდებოდა თეოგენის ბრძანებები. იგი კარგა ხანს ტრიალებდა ოთახში, მაგრამ ბორენას ყურადღებას არ აქცევდა.

– ბატონო ათისთავო, ამ ქალს არ სძინავს. მე მგონია, გულწასული უნდა იყოს, – მოახსენა მსახურმა თეოგენს.

– მართალი ხარ, ფერმიხდილია, თან არც ინძრევა. წადი, ბატონ იასონს მოახსენე, რომ მისი პატიმარი ცუდად არის!

თეოგენმა ლოდინი დაიწყო. ბორენა კი უძრავად, თავგადაგდებული იწვა. მან შეამჩნია, რომ თეოგენი გულგრილად იქცეოდა და გულწასულ ბორენას სულაც არ უყურებდა. ბორენა მიხვდა, რომ ამაოდ ჩაუარა ამ პირველმა, შეცოდების ცდამ. ამჯერად, თეოგენს გული ვერ აუჩუყა. ბორენამ თვალი გაახილა და გულამოსკვნით ამოიოხრა.

– გამოიღვიძეთ, ქალბატონო?! მაშ, მე წავალ!

– ვაი, როგორ ვიტანჯები!

თეოგენი კარისკენ წავიდა. ის იყო, უნდა გადაეეცო ზღურბლი, რომ იასონიც გამოჩნდა დერეფანში, თან გუშაგიც მოსდევდა.

– რა ხდება? ასე უმალ მიმკვდარებული როგორ აღსდგა? ახლა ხომ დარწმუნდი, ჩემო თეოგენ, რომ გამოუცდელ ადამიანად მიაჩნის ამ ქალბატონს და პირველი შეტევა განახორციელა. ჰო, ამ თამაშის განვითარებას უნდა ველოდეთ მალე! – შესძახა დაცინვით იასონმა, მოსულიერებული რძლისა და თეოგენის დანახვაზე.

– მეც ეგრე ვიფიქრე! – თეოგენის ამ მკვახე ნათქვამზე ბორენას გააფრჟოლა.

– აჰა... თეოგენ! ამ კოხტა სხეულს, მიბნედილ თვალებს და მოხდენილად გაშლილ თმას ჯერ არ მოუხიბლიხარ? – ჩაიციხა იასონმა.

– არა, ბატონო! – უპასუხა გულგრილად ახალგაზრდა კაცმა.

– კარგი! ჩემო თეოგენ, თავი დავანებოთ ამ დედაკაცს და წავიდეთ! ფიქრი ნუ გაქვს, ქალბატონს ძალიან ნაყოფიერი მოფიქრების უნარი აქვს და მალე სხვა რამეს ჩაიდენს, – ეს თქვა თუ არა იასონმა, თეოგენთან ერთად სიცილით ოთახიდან გავიდა.

– ჰო, მართლა, ბორენა! – კარის ზღურბლზე შეჩერებულმა იასონმა წამოიძახა, – ეს პატარა მარცხი მადას ნუ წავიხდენს. ნახე ერთი, რა მშვენიერია ეს ცივად მოხარშული დედალი და ეს წინწკლებიანი კალმახი. გეფიცები, მონამლული არ არის! ღამე მშვიდობისა, ჩემო კეკლუცო რძალო... უახლოეს გულის წასვლამდე!

„თეოგენ, მაცადე! შენს დასამორჩილებლად რაიმეს გავახერხებ, შე უბედურო ქალთმოძულე საჭურისო, ანაფორად რომ გადაგიგეცევი ან ეგ მხედრული სამოსი“, ფიქრობდა გამეხებული ბორენა. კარი მოიხურა და ბორენა ოთახში მარტო დარჩა. მან მოტანილ საუზმეს გადახედა, დაინახა დანა, მივარდა, ხელში აიღო... უცბად კარის იქიდან მძაფრი სიცილი შემოესმა.

– ვაჰ, ჩემო თეოგენ, ხომ ხედავ, რომ მართალი ვიყავი, რო გეუბნებოდი! ამ დანით, ბლაგვი რომ არ იყოს, მოგკლავდა. ამ დედაკაცის თვისებაა, რომ ვერ მოისვენებს, სანამ არ მოკლავს თავის შემანუხებელს. მან დანის ხმარება კარგად იცის.

– თქვენ მართალი ბრძანდებით! – უთხრა თეოგენმა ზიზღიანი ხმით.

ბორენა საუზმეს შეექცა, ცოტა ანატოლიური ღვინოც მოსვა და იგრძნო, რომ განუახლდა ძალა განზრახვათა განსახორციელებლად.

დაკვირვებით უფიქრდებოდა, სინჯავდა, სწავლობდა თავისი თანამოსაუბრეების ყოველ სიტყვას, მოძრაობას. მან ამ დაკვირვებულ ანალიზიდან ის დასკვნა გამოიტანა, რომ თეოგენის დაყოლიება და მორჯულება უფრო ადვილი იყო, ვიდრე იასონის. „თეოგენს, როგორც ჩანს, სუსტი ნებისყოფა აქვს და ბრმადმორწმუნე უნდა იყოს. ამ ყმანვილს ჩემდამი თუ სიბრალულის მცირე ნაპერწკალი მაინც აქვს, მე მას გიზგიზა ცეცხლად ვუქცევ. რაც შეეხება იასონს, იგი კარგად მიცნობს და ჩემი ემინია კიდეც. ახლა მისი დამორჩილების ცდა ამაოდ ჩამივლის. მაგრამ სულ სხვაა თეოგენი, მიამიტი, უმნიკვლო, ფანატიკური, ბრმადმორწმუნე, გამოუცდელი ახალგაზრდა...“ – ფიქრობდა იმედიანად ბორენა. ასეთი დასკვნის გამოტანის შემდეგ მას ტკბილად ჩაეძინა.

მძინარე ბორენას სახეზე ნეტარების ღიმილი დასთამაშებდა. მას ქუჯის სიკვდილით დასჯა ესიზმრა. მის მოსისხლე მტერს ჯალათის ხმლის დაკვრისაგან სისხლი თქრიალით მოსდიოდა. დილით, როდესაც ბორენას ოთახის კარი შეაღეს, იგი ჯერ ისევ ლოგინში იწვა. თეოგენი დერეფანში იდგა. მას მოახლე ქალი მოეყვანა, რომელიც ბორენასთან შევიდა და თავისი სამსახური შესთავაზა.

– ავადა ვარ, ნუხელ ღამით არ მძინებია. ოჰ, ძალიან ვიტანჯები! – მიმართა მოახლეს ბორენამ.

– ქალბატონო, გნებავთ, დოსტაქარს შევატყობინებ?

ბორენამ გამოცდილებით იცოდა, რომ რაც შეიძლება, ბევრი ხალხისთვის უნდა შეეცოდებინა თავი.

– დოსტაქარი მე ვერ მიშველის!

– მაშინ ბატონ იასონს დავუძახებთ! – თქვა თეოგენ ათისთავმა.

– აჰ, არა, ოღონდ იმას ნუ დაუძახებთ... მე არაფერი მიჭირს! – თქვა ცრემლმორეულმა ბორენამ და ქვითინი დაიწყო.

– დაძახებით... არ დავუძახებ! მაგრამ მე მგონია... ჯობია, მკურნალს მოუხმოთ! – შენუხდა თეოგენი და ოთახიდან მორიდებულად გავიდა. მალე იგი წიგნით ხელში უკან მობრუნდა. ბორენა ბუხართან მდგარ ტახტზე სასონარკვეთილი და უცოდველი ქალწულის სახით წამონოლილი დახვდა. თეოგენი სწრაფად მიუახლოვდა ქალს და წიგნი გაუნოდა.

– ქალბატონო! ბატონი იასონი და თქვენ ერთ რწმენაზე დგახართ. იგი ამიტომ ფიქრობს, რომ ალბათ ძალიან განუხებთ თქვენი სარწმუნოების ლოცვანის უქონლობა და აი, გიგზავნით... ილოცეთ და დაიკმაყოფილეთ თქვენი სარწმუნოებრივი რწმენა... – თეოგენმა ისეთი სახით

დადო ეს ლოცვანი ბორენას ახლოს ტახტზე, ისე წარმოთქვა ეს სიტყვები და თან ისეთი ზიზლით სავსე სახით, რომ ბორენას ეჭვი შეუჩნდა, მის წინ ერთი იმ ნესტორიანელთაგანი ხომ არ იდგა, რომლებსაც ისე ხშირად ხვდებოდა, როგორც ბიზანტიაში, ისე საქართველოს მეფის სასახლეში, ტფილისში. მიუხედავად 451 წლის ქალკედონის კრების დადგენილებით ნესტორის მიმდევრების განკვეთისა და მწვალებლებად გამოცხადებისა, დევნილი ნესტორიანელები ზოგჯერ მეფის სასახლეშიც კი პოულობდნენ თავშესაფარს.

უეცრად ბორენას გონებას ერთგვარი ზეშთაგონება მოედო, ისე, როგორც ეს ადამიანებს რაიმე განსაცდელის დროს ან იმ უკიდურეს წამში, როდესაც უნდა გადაწყვიტოს მათი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. თეოგენის სახის გამომეტყველებამ ბორენას ჩააგონა, თუ რა დიდმნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მის მიერ გაცემული პასუხი, რომლის შედეგადაც თავისი სწრაფი მოსაზრებულობის წყალობით უკვე მოესწრო.

– ამ ლოცვანს მე მიგზავნის?! – შეჰყვირა ბორენამ ისეთივე ზიზლიანი ტონით, რომელიც უწინ ათისთავის ხმაში შეიცნო, – მე მიგზავნის ჩემი სარწმუნოების მოვალეობის ასასრულებლად? ძალიან კარგად იცის იასონმა, ამ გახრწნილმა ვითომ მორწმუნემ, რომ მე მისი მრწამსისა არა ვარ! იგი ჩემს შეურაცხყოფას ცდილობს!

– ქალბატონო აბა, რა სარწმუნოებისა ბრძანდებით? – იკითხა განცვიფრებულმა თეოგენმა.

– ამას მაშინ ვიტყვი, როდესაც დავიღუპები ჩემი მრწამსის სადიდებლად, – შეჰყვირა თვალთმაქცური აღტიკინებით და აღტაცებულ-ფანატიკური ტონით ბორენამ, – ღმერთმა უკეთ უწყის: ან მიხსნის მე ცოდვილს, ან წამებული ვიქნები ღვთის განგებით. აი, ბატონო, ეს არის ჩემი პასუხი და იასონსაც ეს მოახსენეთ. რაც შეეხება ამ ლოცვანს, შეგიძლიათ, უკან წაიღოთ და თვითონვე გამოიყენოთ.

თეოგენმა არაფერი უპასუხა, ლოცვანი აიღო იმავე ზიზლით, რომლითაც წელან მაგიდაზე დაუდო და ოთახიდან ჩაფიქრებული გავიდა. ბორენა მთელი დღე თავისი მოქმედების ახალ გეგმაზე ფიქრობდა. ლამის პირს იასონი მოვიდა.

– ძვირფასო რძალო, მაშ, ახლა ჩვენს სარწმუნოებას განუდექი? ვაჰ, მას აქეთ, რაც ბოლოს გნახე, სარწმუნოებაც კი შეგიცვლია. შემთხვევით მესამე ქმარს, ნესტორიანელს, ხომ არ გაჰყვლიხარ? შენისთანა ავქაღს ხომ არავითარი სარწმუნეობა არ გააჩნია! – მიმართა აგდებით იასონმა ბორენას და გინებ-გინებით გავიდა ოთახიდან.

მალე ბორენას ვახშამი მოუტანეს და ნახეს, რომ იგი ხმამაღლა ლოცულობდა იმ ლოცვებს, რომელიც ზერელებს ესწავლა თავისი მეორე ქმრის ერთ-ერთი მსახურისაგან, ჭეშმარიტი ნესტორიანელი-საგან. ბორენა ლოცვით გატაცებულს ჰგავდა და ვითომ ყურადღებას არ აქცევდა, თუ რა ხდებოდა მის გარშემო. მიამიტმა თეოგენმა ანიშნა მსახურებს, საზრდოს გამო არ შეაწუხოთო და იგი ჩუმად, ჭმუნვა-სევდიანი სახით გავიდა ოთახიდან.

ბორენა გრძნობდა, რომ მას უთვალთვალებდნენ. ამიტომ განაგრძო ლოცვა. მან ლოცვა მოათავა, სუფრასთან მივიდა და ცოტა წაიხემსა. სმით კი მხოლოდ წყალი შესვა.

მთელ ციხე-დარბაზში ჩამიჩუმი არ ისმოდა. მარტო ღრუბლიანი ცის და მუქი ზღვის ტალღების მუდმივი, მონოტონური შხუილი ავსებდა არემარეს. ამ სევდიან, მყუდრო გარემოში კი ბორენამ თავისი გულში ჩამწვდომი ხმით ნესტორიანული ფსალმუნი შემოსძახა. იგი ზედმიწევნით მრგვობიარედ გალობდა, თან კი ყური კარისაკენ ეჭირა. კარს იქით მდგომი გუშაგი შეღონდა ამ გულის გამანვრილებელი გალობით და ბორენას მისი შეწყვეტა მოსთხოვა. ბორენას დერეფანში მყოფი თეოგენი გამოესარჩლა და გუშაგი დატუქსა – შენი საქმე ეგ არ არისო!

ეს გამოსარჩლება ბორენასთვის უკვე გარკვეული წარმატება იყო. მან თეოგენის გული ოდნავ გააღწია. ბორენამ გალობა განაგრძო უფრო მეტი სიმძაფრით. მან ახლა სიმღერაში ჩააქსოვა მთელი თავისი მომხიბვლელობა და მაცდურობა, რაც კი მისთვის ბოროტ სულს მიენიჭებინა. ეს ვნებით აღვსილი ხმა საკვირველ მომხიბლავ ძალას და შინაარსს მატებდა ამ ლოცვას. თეოგენი უსმენდა ბორენას და ეგონა, რომ თვით ანგელოზი გალობდა. ამან საბოლოოდ შეარყია ფანატიკური ახალგაზრდა ათისთავის სული. მან უცბად შეაღო კარი და ბორენას წინაშე ფერმიხდილი, თვალეზღვიანი და გადარეული ადამიანი აღიმართა.

– ოჰ, ეს უმანკო ხმა!..

– ვაი, მომიტევეთ, ბატონო ათისთავო, იქნება შეურაცხყოფა მივაყენე თქვენს რწმენას, მაგრამ მე ეს სრულიადაც არ მინდოდა, უნებლიეთ მომივიდა...

ბორენა იმ წამს ისეთი კლდემამოსილი იყო, ისეთ წმინდა გამომეტყველებას აძლევდა მის პირისახეს სარწმუნოებრივი ალტკინება, რომ თეოგენმა ირწმუნა, მის წინ სწორედ ის ანგელოზი, იყო რომლისაც

აქამდე მხოლოდ კარს იქითა გალობა ესმოდა. საბრალო გონიხდილი თეოგენი ველარ ამჩნევდა, თუ მისი ქცევა რამდენად უთავბოლო იყო.

– ოჰ, ბატონო, გავჩუმდები... – თქვა თვალდახრილმა ბორენამ მოტკბო ხმით და სახეზე სრული მორჩილება გამოიხატა. ამ ნათქვამზე თეოგენი სწრაფად გავარდა ოთახიდან.

თეოგენი ნებდებოდა, მაგრამ ჯერ მთლად არა, საჭირო იყო მისი ჩაჭერა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, საჭირო იყო მასთან მარტო დარჩენა და ბორენამ ჯერ არ იცოდა, რა საშუალებისთვის მიემართა, რომ ეს წადილი აესრულებინა. უფრო მეტიც, საჭირო იყო თეოგენის ალაპარაკება. ბორენამ კარგად იცოდა თავისი მომხიბლავი ხმის უალრესად მაცთუნებელი ძალა. მარტო დარჩენილი ბორენა მოქმედების მომავალ გეგმას დაუფიქრდა. მან დაიწყო თავისი ყოველი სიტყვის, თვალის უბრალო მოძრაობის, ტანის მიმოხრის და სუნთქვის შესწავლაც კი. ბოლოს შეისწავლა ყოველივე ეს, როგორც ხელოვანმა მსახიობმა, რომელსაც ახალი როლი მიანდეს შესასრულებლად. იასონის მიმართ კი საჭირო არ იყო ამდენი ფიქრი და მზადება. ბორენამ წინაღამითვე საბოლოოდ გადაწყვიტა ეს კითხვა – იასონთან ჩუმად უნდა ყოფილიყო, მაგრამ ღირსეულად დაეჭირა თავი, ხანდახან გაებრაზებინა მოჩვენებითი არადღამედები უყურადღებობით და შეურაცხყოფელი სიტყვებით ეიდულებინა დამუქრებოდა, თვითონ კი ამ დროს მორჩილი სახე ჰქონოდა. ბერძენ თეოგენს უნდა დაენახა ყოველივე ეს, შეიძლება მას თქმით არაფერი ეთქვა, მაგრამ ხომ დაინახავდა. ასეთი იყო მისი გეგმა.

თეოგენი ჩვეულებისამებრ დილით მოვიდა, მაგრამ ბორენამ ხმა არ გასცა. ბორენას ერთ წამს იმედი აღეძრა და ეგონა, თეოგენი თვითონ დაუნყებდა ლაპარაკს. იასონი შუადღისას მოვიდა. ბორენა ფანჯარაში იყურებოდა და ისე იდგა, თითქოს ვერც კი გაიგონა კარის გაღება. იგი უცბად შემოტრიალდა და თავისი ლამაზი თვალები ზეცისკენ ალაპყრო: – ყოვლისშემძლე უფალო...! შეუნდე და აპატიე ამ კაცს, როგორც მე შევუნდე მას!

– ევედრე, ევედრე, მალე გაგამწესებ მთავარ საპყრობილეში! – მიაძახა იასონმა და სწრაფი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა. ღია კარში ბორენამ თეოგენს მოჰკრა თვალი. მის დანახვაზე ქალმა მაშინვე მუხლი მოიყარა და ლოცვას შეუდგა.

– უფალო ძღვევამოსილო! თქვენ უწყით, თუ რა მიზეზის გამო ვარ წამებული! მომანიჭეთ ძალა, რათა ღირსეულად ავიტანო ეს ტანჯვა-წამე-

ბა! ღმერთო, ღმობიერო! ნუთუ აასრულებინებ ამ კაცს თავის ცოდვილ განზრახვას?

ამ დროს კარი ფრთხილად გაიღო და თეოგენი შემოვიდა. ბორენამ თითქოს იგი ვერ შეამჩნია და ნაღვლიანი ხმით განაგრძო გოდება. შემდეგ ელვის სისწრაფით წამოვარდა და წამონითლდა, თითქოს შერცხვა, რომ მუხლმოყრილს შეასწრო თვალი ახალგაზრდა კაცმა.

– ლოცვის დროს ადამიანი არ უნდა შეანუხო! ნუ შეწყვეტ! – უთხრა მტკიცე ხმით თეოგენმა.

– ბატონო! თქვენ ცდებით, მე არ ვლოცულობდი.

– ქალბატონო! თქვენ რა... გგონიათ, რომ მე შემძლია ღვთის შვილს ლოცვა აფუკრძალო? ღმერთმა დამიფაროს! დამნაშავე ხართ თუ წამებული, სულ ერთია, უნდა იცოდეთ, მე თვითონ დაგეხმარებით და შეგავედრებთ ღმერთს.

– ოჰ... მაშ, თქვენ სამართლიანი ყოფილხართ! რა ვქნა, რომ მეშინია. ვაითუ სწორედ მაშინ მომერიოს სისუსტე, როდესაც ჩემი რწმენის აღიარება დამჭირდება. მაშ, მოისმინე სასონარკვეთილი ქალის ვედრება. თქვენი ერთგულებით ბოროტად სარგებლობენ. მხოლოდ ერთადერთ წყალობასა გთხოვ და თუ ამისრულებ ამ ვედრებას, დალოცვილი მეყოლები სააქაოსაც და საიქიოსაც! – შეჰყვირა ბორენამ და ფეხქვეშ ჩაუვარდა.

– ბატონ იასონს მიმართეთ, ქალბატონო, – მიუგო თეოგენმა, – ის არის აქ ბატონ-პატრონი. მე უფლება არა მაქვს არც რაიმე წყალობისა და არც სასჯელის...

– თქვენა გაქვთ ეს უფლება! მომისმინეთ, თუ არ გინდათ, რომ დახმარება გაუწიოთ ჩემს დაღუპვას და შერცხვენას.

– თუ დაიმსახურეთ ეგ დასჯა? კიდევაც უნდა დაემორჩილოთ და ღმერთს შეევედროთ!

– მე რომ შერცხვენაზე ვლაპარაკობ, თქვენ გგონიათ, რაიმე სასჯელის აცდენას ვგულისხმობ? ნეტამც კი აგრე მოხდეს!

– მე თქვენი უკვე აღარაფერი მესმის... – უთხრა თეოგენმა.

– როგორ? მაშ, თქვენ არ იცით, რას მიპირებს იასონი?

– არა, არ ვიცი. ჩემს სიცოცხლეში არ მითქვამს ტყუილი!

– ოჰ, ჩემი მაზლი იასონი სრულებით არ ფიქრობს მის დამალვას, ასე რომ, ადვილია მიხვედ.

– მე, ქალბატონო, არა ვცდილობ ვიეჭვო და მოვიგონო ის, რაც ჩემთვის არ უთქვამთ. ველოდები, რომ თვითონ გამანდონ საიდუმლოება, ბა-

ტონს კი ჩემთვის არაფერი გაუნდვია, გარდა იმისა, რაც თქვენთან ერთად მითხრა.

– მაშ თქვენ, მისი თანამზრახველი არა ხართ?.. მაშ, არ იცით, რა საშინელ შერცხვენას მიპირებს?– ნამოიყვირა ბორენამ სასონარკვეთილი ხმით.

– მე გგონია ცდებით, ქალბატონო, ჩემი ბატონი ავკაცი არ არის!

– თვითონ იასონი არა, მაგრამ ის სხვა... მისი მეგობარი, ჩემი შემარცხვენელი... იგი ყველაფრის მკადრებელია!

– ეგ შემარცხვენელი ავკაცი ვილაა? – იკითხა თეოგენმა.

– ნუთუ გგონია, ერთის გარდა, სხვაც მოიპოვება ამ ქალაქში, რომელსაც მოუხდება ეს სახელი?

– პრინცი გელასი კომინი გყავთ მხედველობაში?! – მიმართა თეოგენმა ანთებული თვალებით.

– ოჰ, ღმერთო, რას წარმოვიდგენდი, მთელს აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ერთი კაცი მანც თუ აღმოჩნდებოდა, რომელსაც ასეთი გრძელი განმარტება დასჭირდებოდა იმის გასაგებად, თუ ვისზე ვლაპარაკობდი.

– ყოვლადძლიერი უფლის ხელი შეეხება მალე ცოდვილს და ველარ გადაურჩება თავის ავკაცობით, გარყვნილებით და მექრთამეობით დამსახურებულ სასჯელს! – ამ სიტყვებით თეოგენმა მხოლოდ ის ზიზღი გამოხატა პრინცისადმი, რასაც მთელი ბიზანტია ჭორად გაიძახოდა მასზე.

– ოჰ, უფალო ჩემო! გვედრები, მოუვლინო ამ ავკაცს სასჯელი, კარგად უწყი, რომ ჩემი ჯავრის ამოყრას კი არა გთხოვ, არამედ მთელი ხალხის ხსნასა და შეწყალებას გვედრები! – შეჰლაღადა ზეცას სიხარულით აღტაცებულმა ბორენამ, რომელიც ფიქრობდა, რომ წარმატება უკვე მის მხარეს იყო. მან, ვითომდა მეტისმეტად შეწუხებულმა ხელების მტრევეა დაიწყო. თეოგენმა უხერხულად იგრძნო თავი და კარისკენ დაიხია. მას უცბად მორჩილი სახით ბორენა გადაუდგა წინ, რომელსაც თეოგენის გაშვება არ უნდოდა და განაგრძობდა მასზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას.

– ეჰ, ვიცნობ, ჩემდა საუბედუროდ მაგ გარყვნილ კაცს! მომისმინეთ, ბატონო! გაიხსენეთ ლმობიერება, სიბრალული, მოისმინეთ ჩემი ვედრება: მომეცით დანა! ოჰ... მათქმევინეთ... ერთნამს მათხოვეთ დანა! აი, მუხლებზე გეხვევით. თქვენ არ გემდურით... ერთადერთ მართალ და კეთილ ადამიანს ამდენ ხალხში! თქვენ შეიძლება ჩემი მხსნელი იყოთ...



ოჰ... მათხოვეთ დანა და ახლავე დაგიბრუნებთ, ბატონო თეოგენ, რომ ამ დანით ავიცილო სამუდამო შერცხვენა.

– დანა თავის მოსაკლავად გინდათ? – შეჰყვირა შეძრწუნებულმა თეოგენმა და დაავინყდა პატიმრისაგან გაეთავისუფლებინა სხეული.

– თქვენ უკვე გაიგეთ ჩემი საიდუმლო... ვილუპები! – ცრულ არაქათგამოლეული ბორენა იატაკზე განერთხა. შეძრწუნებული თეოგენი ქალს გაუბედავად უყურებდა. მგონი საკმაოდ დამაჯერებლად ვერ ვეჩვენეო, გაიფიქრა ბორენამ და თვალები მინაბა. ამ დროს დერეფანში ფეხის ხმა გაისმა და თეოგენმა კარისკენ წაინია.

– ოჰ, ღვთის გულისათვის, იასონს არაფერი უთხრათ, თორემ დავიღუპები და თქვენ იქნებით ამის მიზეზი... – წასჩურჩულა ბორენამ და მასზე დახრილ თეოგენს ლამაზი თითები ტუჩზე ნაზად მიაღო. ყმანვილმა კაცმა მორიდებულად მოიშორა პატიმარი და სწრაფად გაიმართა წელში. იასონმა კარს ისე ჩაუარა, რომ არც კი შეჩერებულა. თეოგენი ჩუმად, მკვდარივით ფერმიხდილი იდგა. მერე მან თავისუფლად ამოისუნთქა და სწრაფად ოთახიდან გავიდა.

– ძლივს! ახლა თითქმის უკვე ჩემს ხელთა ხარ!.. – ჩაიჩურჩულა ბორენამ სიამაყით. შემდეგ ვერცხლის ხელსარკეში ჩაიხედა და თავის თავს დაჟინებით დააცქერდა. იგი არასოდეს არ ყოფილა ასეთი მომხიბლავი. სალამოს, როდესაც ვახშამი მოართვეს, იასონიც თან შემოჰყვა.

– თქვენი ხშირი სტუმრობა, ნუთუ ჩემი პატიმრობის აუცილებელი თანამდებია? ნუთუ არ შეიძლება, რომ ეს სიამოვნება ამაცილოთ... და ამით გამოწვეული ჩემი ტანჯვა შემიმსუბუქოთ?

– რას ამბობთ, ძვირფასო რძალო? თქვენ არ იყავით, რომ მონინებით მახარეთ, ტრაპიზონში ჩამოხვედით მხოლოდ იმისათვის, რათა მე მოგენახულებინეთ?! ჰოდა, აი, აქ გახლავარ, ასრულებულია თქვენი სურვილი... მაგრამ დღეს ჩემს მოსვლას თავისი საბაბიცა აქვს. აი, მინდოდა, ეს ნაწერი წაგიკითხოთ, რომელიც მე შევადგინე. ის ერთგვარ საბუთად გამოგადგება იმ სიცოცხლისათვის, რომელსაც მე განიჭებთ თქვენ, ჩემს რძალს, კანონის ძალით. აღლევებულ ბორენას იასონის ნაკითხულიდან მხოლოდ ნაწყვეტები ესმოდა: ბორენად ... ნოდებულის, მართლმსაჯულების მიერ რამდენჯერმე მსჯავრდებულის, მაგრამ შემდეგ შეწყალებულის, კონსტანტინეპოლის საპყრობილეში მიყვანისა და შემდგომ აფრიკისკენ გადაყვანისა, სადაც იგი დარჩება სამუდამოდ... თუ გაბედა და გაპარვა სცადა, სიკვდილით იქნება დასჯილი!

– ეგ ბრძანება მე არ მეხება!..

– ცდებით, ქალბატონო! სწორედ თქვენ გეხებათ, რომელმაც ჩემი ძმა მონამლეთ, რათა მისი მემკვიდრეობა მიგეღოთ! ჰო, თქვენი პირველი ქმარი დღესაც ცოცხალია, ალბათ, გადავირჩათ! ხმას არ იღებთ?..

ბორენა ტახტზე გასუსული და გაოგნებული იჯდა. მან უცბად წარმოიდგინა, რომ ამ წუთშივე ასრულდებოდა ეს ბრძანება, რადგან მის მაზლს წასვლა ერქარებოდა. ბორენამ, თავის გასახარად, უცბად შეამჩნია, რომ ეს ბრძანება ჯერ ხელმოუწერელი იყო.

– დიახ, ეს ბრძანება ხელმოუწერელია და დაუმთავრებელი ჯერ. ხვალ კი ამ ბრძანებას გავუგზავნი ხელის მოსაწერად პრინც გელასის და მერე ძალაში შევა. ახლა კი მარტო დაგტოვებთ, მე მხოლოდ ამის შეტყობინება მინდოდა... ჩემო რძალო, იქნება ის გირჩევნიათ, რომ ჩამოგახრჩონ? ხომ იცით, აქაური კანონები შეუწყალებლად სჯის ქორწინების შემბღილწველთ... თუმცა, მაინც ჩემი რძალი ხართ და არ მემეტებით!

ქალმა პასუხი არ გასცა, მაგრამ მკვდარივით გაფითრდა.

– ოჰ, ქალბატონო, ვხედავ, შორეული აფრიკისკენ გამგზავრება გირჩევნიათ. ერთი ძველებური ანდაზა ამბობს, მოგზაურობა განათლებას მატებს ახალგაზრდებსო. თქვენც მართალი ხართ, ბოლოს და ბოლოს, კარგი რამ არის ჩვენი სიცოცხლე. ამიტომ არის, რომ ასე ვზრუნავ და არ მინდა, ამ წუთისოფელს გამოგასაღმოთ! ფული რომ გქონდეთ, სულ გარყვნით და მოისყიდით დარაჯებს... თუმცა არც უფულობა დამიფარავს. თქვენი სილამაზე გექნებათ დარაჯების საცთუნებლად. ჰოდა, ახლა იქ გამოიყენეთ ეს იარაღი, თუ თეოგენის დასაყოლიებლად თქვენმა ამაოდ ჩავლილმა ცდამ არ შეგაზიზღათ მაგისი ხმარება.

იასონი წამოდგა, დაცინვით თავი დაუკრა და ოთახიდან გავიდა. ბორენამ ოდნავ თავისუფლად ამოისუნთქა. მას ცოტა დრო რჩებოდა თეოგენის საცთუნებლად. იგი ხელიდან არ უნდა დასხლტომოდა. ათისთავზე გასამარჯვებლად კი შეუწყვეტელი ცთუნება იყო საჭირო. ბორენამ, ვახშმის შემდეგ, როგორც წინა საღამოს, დაიჩოქა და ხმამაღლა გაიმეორა თავისი ლოცვები. ჰარმონიულად და გულსაამებლად ისმოდა მისი ტკბილი, ათრთოლებული ხმა. ბორენამ მალულად შეხედა კარის მცირე სარკმელს და ახალგაზრდა კაცის აღზნებული თვალები დაინახა. ამჯერად, თეოგენი ბორენასთან არ შესულა და მხოლოდ კარს იქით სინანულით ოხრავდა.



მეორე დღეს, როდესაც თეოგენი ბორენასთან მივიდა, ქალი სკამზე იდგა და ხელში ტილოს ნახევებისაგან დაწნული თოკი ეჭირა. თეოგენის დანახვაზე იგი ძირს ჩამოხტა და ზურგს უკან დამალა თოკი. ახალგაზრდა კაცი ნელა მიუახლოვდა ბორენას, რომელიც უკვე ტახტზე ჩამომჯდარიყო. თეოგენმა ბორენას თავის ჩამოსახრჩობად დაგრეხილი თოკი გამოსტაცა.

– ქალბატონო, რას აპირებდით?!

– არაფერს... ნუ ჩამაცვივდებით! კარგად იცით, რომ ჩვენ, ნესტორის მიმდევრებს, ჭეშმარიტ ქრისტიანებს, სიცრუის თქმა არ გვეკადრება, – უპასუხა მორიდებული და მწუხარე გამომეტყველებით ბორენამ.

– კარგით, მე გეტყვით თქვენ გინდოდათ, შეგესრულებინათ საბედისწერო განზრახვა...! მართალია, ტყუილის ლაპარაკი გვეკრძალება. მაგრამ ისიც გაიხსენეთ, რომ ღმერთი თვითმკვლევობასაც გმობს.

– დიახ... მაგრამ... როდესაც ღმერთი ხედავს, რომ მის მიერ გაჩენილი არსება უსამართლოდაა დევნილი და სიკვდილის ან შერცხვენის არჩევანშია... ალბათ უფალი შეუნდობს ამ შეცოდებას. რადგან, ამ შემთხვევაში, თავის მოკვლა მარტვილობაა!

– თქვენ მე საქმის ვითარებას ბოლომდე არ მიხსნით.

– რა აგიხსნათ? ჩემი უბედურება გიამბოთ? მერე დაიჯერებთ? თქვენ რაში გუნაღვლებათ ერთი უბედური, განწირული ქალის სიკვდილი? თქვენ მხოლოდ მოვალეობა შეასრულოთ პატრონის წინაშე და დანარჩენი... თავი დამანებეთ, ნუ მიშლით, რაც მსურს, ის გავაკეთო!

– ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ მე ვიკადრებ თქვენი სიცოცხლის ხელყოფას? თქვენს სიტყვებს არ უფიქრდებით! ნეტავი ასეთი რა დაგიშავეთ.

– თქვენ, ღვთისმოსავ, მართალ ქრისტიანს, ერთადერთი რამ განუხებთ, რომ ჩემი სიკვდილის გამო არავითარი უსიამოვნება არ გენიოთ?! თქვენ გესმით კი, რა ვალდებულებას ასრულებთ?! მართლაც რომ დამნაშავე ვიყო, მაშინაც კი მეტისმეტად მკაცრია თქვენი საქციელი, მაგრამ თუ დამნაშავე არა ვარ, მაშინ რას უწოდებდით მაგ მოქმედებას?

– ქალბატონო, მე ჯარისკაცი ვარ და იმას ვასრულებ, რასაც მიბრძანებენ.

– ნუთუ გგონიათ, რომ განკითხვის დღეს ღმერთი განაცალკევებს ბრმა ჯალათებს და უსამართლო მსაჯულებს? თქვენ არ გინდათ თავი მო-

ვიკლა და იმის იარაღად კი ხდებით, ვინც ჩემი სულის წაწყმედას ცდილობს!

– გიმეორებთ, თქვენ საშიში არა მოგელით რა არც თქვენი მაზლი იასონისაგან, არც ჩემგან!

– თქვენ სხვის მაგივრად იღებთ პასუხისმგებლობას?! – შეჰყვირა ბორენამ, – საბრალო ადამიანი, რომელიც ბედავს და სხვის მაგივრად მაძლევს პასუხს. შეშლილი, რომელიც უფრო ღონიერთა და ბედნიერთა მხარეზეა, რათა დატანჯოს უფრო სუსტი და უბედური!

– შეუძლებელია, ქალბატონო, მე ხელს ვერ შეგიწყობთ, რომ სიცოცხლე მოისპოთ! – ჩურჩულებდა თეოგენი.

– დიახ, მაგრამ თქვენ მაკარგვინებთ პატიოსნებას, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიღირს. ღვთის წინაშე მარტო თქვენ დაგეკისრებათ პასუხისმგებლობა ჩემი ამდენი ტანჯვისა და შეურაცხყოფისათვის.

თეოგენს ამჯერად ძალამ უმტყუნა, ვერ შეძლო მედგრად შებრძოლებოდა ქალის საიდუმლო, ქვეცნობიერ გავლენას. იგი უყურებდა მშვენიერ უნმინდეს ქალს და ხედავდა მას ხან მტირალს, ხან კი მრისხანეს. თეოგენი განიცდიდა ერთსა და იმავე დროს მისი მწუხარებისა და სილამაზის გავლენას. ყოველივე ეს მეტისმეტი იყო სარწმუნოებრივი რწმენით აღვსილი ფანატიკური გონებისათვის.

ბორენამ შეამჩნია ყმანვილი კაცის შეძრწუნება, იგრძნო მის გულში ალგზნებული, ერთმანეთის მოწინააღმდეგე ვნებათა ალი, რომელიც ცეცხლს უკიდებდა ახალგაზრდა კაცს. იგი წამოდგა და ახალგაზრდა კაცისაკენ ხელგანწვდილი წავიდა. თმაგაშლილი, გულმკერდგადაღელი ბორენა ნელ-ნელა მიიწევდა თეოგენისაკენ, თან ცალი ხელით მორცხვად იფარავდა გულმკერდს. მისი ლამაზი თვალები ცეცხლს აფრქევდა, იმ ცეცხლს, რომელმაც ამდენი არეულობა შეიტანა საწყალი ნესტორიანელის გულში და გონებაში, ქრისტიანი ქალწულივით ზემთაგონებული ბორენა ახალგაზრდა ათისთავს მიუახლოვდა და თავისი ტკბილი ხმით ღვთის სადიდებელი საგალობელი დასძახა. თეოგენი განაცვიფრა ამ საგალობელმა, იგი ქალს გაქვავებულივით შეჰყურებდა.

– ვინა ხართ... ღვთისაგანა ხართ მოვლინებული თუ ქაჯი ხართ?... – შეჰყვირა საწყალმა.

– თეოგენ, ვერ მიცანი? არც ანგელოზი ვარ და არც ქაჯი! ქალი ვარ, ადამიანი ამა ქვეყნისა, ერთგული შენი მრწამსისა! – მონუსხა ბორენამ.

– დიახ... მეექვსეობდა... მაგრამ ახლა მწამს! – შესძახა სრულიად მონუსხულმა თეოგენმა.

– გნამს და მიუხედავად ამისა, თანამოზიარე ხარ შენი ბატონისა? გნამს, და მიუხედავად ამისა, მტრების ხელში გულგრილად მტოვებ? ჩვენი ღვთის მტრების ხელში? გნამს, და მიუხედავად ამისა, გულგრილად აძლევ შენს დას იმ ბოროტს, რომელიც ავსებს და ბილწავს ქვეყანას თავისი უღმერთობით და გარყვნილებით? იმ ავსულს, რომელსაც უგუნურები პრინც გელასად ადიდებენ და ღვთის თაყვანისმცემელნი კი ანტიქრისტიედ?

– პრინც გელასის ვაძლევ მე ჩემს სულიერ დას?! რას ამბობთ, რას! მართალია, მე იმ ხმას ვცნობ, სიზმარშიც რომ მებაასება... დიახ, ვცნობ სახელს იმ ანგელოზისას, ყოველდამე რომ მეჩვენება და მიმართავს ჩემს სულს: იხსენი თავი შენი და ღმერთს მიუძღვენი! ახლა კი მესმის თქვენი... – შეჰყვირა თეოგენმა და ოფლიან შუბლზე ხელი ანაზღად მოისვა.

წამიერად ბორენას თვალებში გამარჯვების უსაზღვრო სიხარულმა გაირბინა. თეოგენი თრთოლამ აიტანა, თავი დაღუნა, მაგრამ მოჯადოებული და მონუსხული იყო ამ უცნაური არსებით და თვალს ვერ აშორებდა. ბორენა ისეთი ქალი არ გახლდათ, რომ ვერ მიმხვდარიყო ამ ყოყმანის მიზეზს. იგი მოჩვენებითი მღელვარების მიუხედავად, ერთ წამს არ კარგავდა და ისევე იხმარა ქალური ფანდი.

– ოჰ, გამიშვით, სიკვდილით ავიცდინო შეურაცხყოფა! გევედრებით, თავი დამანებეთ, სიკვდილს ნუ მიშლით და გეფიცები, უკანასკნელი ჩემი თხოვნა იქნება კურთხევა ჩემი მხსნელისა! – თეოგენმა ვედარ გაუძლო ამ მოტკბო, მუდართ სავესე მწუხარე ხმას.

– თუ დამიმტკიცებთ, რომ მართლა წამებული ხართ და უდანაშაულო! მაგრამ საშინელი ბრალდება აქვს ბატონ იასონს თქვენ წინააღმდეგ! თქვენ ჩემი რწმენისა ხართ, ვგრძნობ, თქვენკენ მოინევეს ჩემი სული. მაგრამ თქვენ, ქალბატონო, უმანკო, ხორცშესხმულ მშვენიერებას ჰგავხართ... ოჰ, გამაგებინეთ! მითხარით მიზეზი!

– თქვენ გაგანდოთ ჩემი სირცხვილი?! თქვენ, ვაჟკაცს, მე, ქალმა? ოჰ... არა! მე მაგას ვერ ვიზამ! – შესძახა ბორენამ და მორცხვად ხელი თვალებზე აიფარა.

– მენდეთ თქვენ სულიერ ძმას?!

– გავბედავ და ჩემს სულიერ ძმას გაგანდობთ...

ამ დროს დერეფნიდან ფეხის ხმა მოისმა. ბორენას მაზღმა კარი გააღლო და პატიმრი რძლის სანახავად ოთახში შევიდა. თეოგენი სწრაფად

მოშორდა ბორენას. იასონი რძალს და მერე ახალგაზრდა ათისთავს გამომცდელი თვალით დააშტერდა.

– თეოგენ, დიდი ხანია, რაც აქ ხართ. ამ ქალმა თავისი შეცოდებანი გაიმბოთ?

თეოგენი შეიჭმუნხა და ბორენამაც იგრძნო, რომ წასული იყო მისი საქმე, თუ არ მიეშველებოდა აბნეულ ახალგაზრდას.

– შიშობთ, პატიმარი არ გაგექცეთ? ჰკითხეთ, რას ვეხვეწებოდი! – მიმართა ბორენამ იასონს.

– დიახ, დანას მთხოვდა...

– ვაჰ, ნეტავ ეს ტურფა ქალბატონი ვის უპირებს ყელის გამოჭრას? – წარმოთქვა იასონმა დამცინავად.

– მე ვაპირებ... – მიუგო ბორენამ.

– თეოგენ, არ დაიჯერო, ეგ ფლიდი არსება თავს არ მოიკლავს! ისევე ცრუობს! მალე გადავრჩებით, რადგან იმისთანა მხარესა ვგზავნი ამ ქალს, რომ იქიდან ვედარაფერს გვავენებს, – ამ სიტყვებზე იასონი ოთახიდან გავიდა და მას თეოგენიც მორჩილად გაჰყვა.

ჩაფიქრებული ბორენა მარტო დარჩა: „მდა... როგორც მეგონა, გამარჯვებული ჯერ კიდევ არა ვარ. თავისი ჩვეული სიბრიყვის მაგივრად, იასონს, სამწუხაროდ, ჩემთვის უცნობი გონიერება შეუძენია. თეოგენს რაც შეეხება, უბედური, გაუბედავია. ჰო, ისეთი ვაჟკაცი არ არის, როგორიც ის შეჩვენებული ქუჯი-გიორგი. თეოგენისნაირი ფანატისიკოსი თუ შეიყვარებს, ალბათ, მხოლოდ ქალწულს, და ისიც მარტო სალოცავად...“

საღამოთი ბორენა მოუთმენლად ელოდა თეოგენის გამოჩენას. მალე ის მოვიდა და აღელვებული სწრაფი ნაბიჯით შევიდა ოთახში. მას აღზნებული სახე ჰქონდა.

– მისმინეთ, დარაჯები ცოტა ხნით მოვიშორე... მარტო, ერთიერთზე მსურს გელაპარაკოთ და გავერკვე... საშინელი ამბავი მიამბო ბატონმა, აქედან გამომდინარე, ან თქვენა ხართ ალქაჯი, ან ჩემი კეთილისმყოფელი იასონია სატანა, ეშმა! ცხადია, რომ ვყოყმანობ, ვერ გადამინყვეტია, ვის მივუდგე, თქვენ თუ იმას! მინდა კი, სამართლიანად მოვიქცე! ამიტომ ამაღამ მოვალ თქვენს სანახავად და მაშინ დამარწმუნეთ თქვენს სიმართლეში.

– ჩემო სულიერო ძმაო, თეოგენ! თქვენი მსხვერპლი მეტად დიდი იქნება და ძვირად დაგიჯდებათ. არამც და არამც! მე უკვე დაღუპული ვარ

და თქვენც ნუ დაიღუპავთ თავს. ჩემი სიკვდილი უფრო მეტის მოქმე-  
ლია, ვიდრე სიცოცხლე.

– ჩუმად, ქალბატონო! მე იმისათვის მოვედი, რომ შემომფიცოთ, რაც  
უნნინდესად სწამს ჩვენს სულს, რომ აღარ ეცდებით თავის მოკვლას და  
ჩემს მობრუნებამდე არაფერს ჩაიდენთ.

– კარგით, რადგან თქვენ მთხოვთ... გადავდებ... ჩვენს ღმერთსა ვფი-  
ცავ!

– მაშ, ამაღამემდე! – თეოგენი ოთახიდან გავარდა და კარი მჭიდროდ  
მოკეტა.

ბორენა ტახტზე ჩამოჯდა და ზიზლის ღიმილმა გაირბინა მის სახეზე.  
უფალი, რომელსაც ბორენა ხშირად იფიცებდა ხოლმე, მაგრამ ფიქრა-  
დაც არ მოსდიოდა მისი მცნებების ჭეშმარიტი შესრულება. „თეოგენი  
გამოშტერებული შეურაცხად-ფანატიკოსია! ღმერთი კი თვით ჩემშია,  
მე და კიდევ ვინც დამეხმარება შურისძიებაში!“ ფიქრობდა ბორენა.

ბორენას თავისი განზრახვა ნახევრად ასრულებულად ეჩვენებოდა  
და ეს გამარჯვება ძალას უორკეცებდა. აქამდე გამარჯვებული რჩებო-  
და ყოველთვის, რადგან ისეთ კაცებთან ჰქონდა ხოლმე საქმე, რომლე-  
ბიც ადვილად ებმებოდნენ მისი მაცდურობის ხლართებში. იგი მეტად  
ლამაზი ქალი იყო და ავხორციელი ვნების დასატკობად არ უძნელ-  
დებოდა მამაკაცების მორჩილებაში მოდრეკა. ამასთან ერთად, მეტად  
მოხერხებულად იცილებდა გზიდან ყოველგვარ დაბრკოლებას. მაგრამ  
ამ შემთხვევაში ბორენა ველური ბუნების კაცს ებრძოდა, ღრმად ჩა-  
ფიქრებულს და უგრძნობელს, თავისი მკაცრი სარწმუნოებრივი ფანა-  
ტიზმის გამო. სარწმუნოებას ისე გარდაექმნა თეოგენი, რომ მიწიერ  
ცთუნებათათვის მიუწვდომელ კაცად გაეხადა. ისეთი გრანდიოზული  
გეგმები უტრიალებდა თეოგენს ალგზნებულ თავში, ისეთი განზრახვე-  
ბით იყო მოცული მისი გონება, რომ ალაგი აღარსად რჩებოდა არავი-  
თარი მიწიერი სიყვარულისათვის და იმ გრძნობისათვის, რომელიც  
იკვებება მოცლილობით და იზრდება გარყვნილებით.

ბორენამ თეოგენის აზროვნებაში ყალბი სათნოებით ბზარი გააჩი-  
ნა. მან თავისი სილამაზით მორწმუნე, უბინო კაცის გული დაიმორჩი-  
ლა. ამის მიუხედავად, ხშირად მოერეოდა ხოლმე სასონარკვეთილება.  
თეოგენის დასახვედრად კარგად მოემზადა. მას სულში მძვინვარე გრი-  
გალი უორკეცებდა ფიზიკურ ძალას.

ბორენას კიდევ ერთი გარემოება არ აძლევდა მოსვენებას. ეს და-  
ვით ვეზირი იყო. იგი, ბორენას დუმილით განცვიფრებული, მასზე რას

იფიქრებდა? ამაზე ბორენა ძლიერ წუხდა. ვეზირი იყო მისი ერთადერთი მფარველი და შემწე. აგრეთვე, ერთადერთი იარაღი ბორენას მომავალი შურისძიებისა. მას რაც უნდა გაეზვიადებინა საპატიმროში გადატანილი ტანჯვა, ვეზირი მაინც მის უპასუხისმგებლობაზე გადაიტანდა მახვილს. ქალი ძალ-ღონეს იკრებდა და გონებაში თეოგენის სახელი უტრიალებდა. თეოგენი იყო ერთადერთი ნათელი სხივი სინათლისა, რომლის იმედიც ჰქონდა ბორენას, თავისი მზაკვრული გეგმის განსახორციელებლად. წინასწარ განსაზღვრავდა იმ ფანდებს, რომელშიც გაახვევდა თეოგენს. დრო კი ნელა მიედინებოდა.

ბორენამ ადვილად იცნო თეოგენის ფეხის ხმა. შუალამის დათქმული დრო ჯერ არ დამდგარიყო. პატიმარი თავის მხსნელს მოუთმენლად ელოდა. მალე თეოგენიც გამოჩნდა და ბორენას ოთახში შევიდა.

– მოხვედით?..

– მე, სიტყვის კაცი ვარ!

– თქვენ დანის მოტანას დამპირდით!

– ეჰ, რა გამოუვალ მდგომარეობაშიც უნდა იყოს ღვთისგან გაჩენილი არსება, მას მაინც არ აქვს უფლება, ცოდვა ჩაიდინოს და თავი მოიკლას.

– მე თქვენ არაფერს გეტყვით...

– კარგით, აი, დანაც! – თქვა თეოგენმა და უბიდან იარაღი ამოიღო, რომლის მოტანასაც შეჰპირდა.

– მაჩვენეთ! გეფიცებით! უმალ უკანვე დაგიბრუნებთ, მანდ დადეთ ეგ ბასრი დანა. გმადლობთ, თქვენ ერთგული მეგობარი ხართ, – უთხრა ბორენამ თეოგენს და დანა მერხზე ჩამოდო მწუხარე სახით, – თეოგენ! მაშ, მისმინე... მაშინ სულ ახალგაზრდა და ლამაზიც ვიყავი, როდესაც მახე დამიგეს და ჩემი შეცდენა გადაწყვიტეს. არ დავნებდი, დამიწყეს წამება, ძალდატანება, გავუძალიანდი, შეურაცხყვეს ჩემი რწმენა-სარწმუნოება. მაშინ, რაკი სულიერად ვერ დამღუპეს, ჩემი შერცხვენა და ხორციელი გახრწნა განიზრახეს...

– მერე, მერე... მაგ უღმერთობმა რა ჩაიდინეს? – იკითხა გაოგნებულმა თეოგენმა.

– ბოლოს... დატყვევებულს, ერთ საღამოს წყალში დამაძინებელი ბანგი შემირიეს. მე მაშინ რალაც უცნაური გაბრუება ვიგრძენი და ძილი მომერია. წამოვდექი, მინდოდა, მიშველეთ-მეთქი, დამეყვირა, მაგრამ სხეული აღარ მემორჩილებოდა. ვგრძნობდი, რომ ვიქცეოდი, ლოცვა მინდოდა, მაგრამ ველარ ვახერხებდი. მალე ძილი მომერია. ჩემი ძილის დროს რა მოხდა, აღარ მახსოვს. მხოლოდ ერთი რამ მახსენდება.



კერძოდ, როდესაც გამეღვიძა, მდიდრულად მორთულ ოთახში ვიწეკი. დიდხანს ვიყავი გაბრუებული. ჩემი გონება უსარგებლოდ იბრძოდა. კარგა ხანს ვიყავი ფიქრით მოცული, სიზმარი და ცხადი ერთმანეთში ამერია. მე ბარბაცით წამოვდექი, იქვე სკამზე ელაგა ჩემი სამოსი, მე კი სამოსის გახდა არ მახსოვდა. ნელ-ნელა წარმომიდგა შემადრწუნებელი სინამდვილე. კიდევ კარგი, ეს ოთახი სწორედ ქალისათვის იყო მოწყობილი და როგორი კეკლუციც უნდა ყოფილიყო ქალი, ვერას ინატრებდა ისეთს, რომ აქვე არ ეპოვა, ამ საპატიმროში. ალბათ მე არ ვიყავი ამ საგანგებო საპატიმროს პირველი ტუსალი... დიახ, საპყრობილე იყო, რადგან ამოდ ჩამიარა ცდამ, კარი მეპოვა და გარეთ გავსულიყავი. ბოლოს შიშით ქანცგანყვეტილი ტახტზე დავეშვი. არავითარი ხმაური არ ისმოდა გარედან. უცბად ჭრიალი შემომესმა, ჭერიდან მძაფრი სინათლე გამოჩნდა და ოთახი გაანათა. ორი კაცისათვის მომზადებული ვახშმით გაშლილი ტაბლა ოთახის შუაგულში თითქოს რალაც ზებუნებრივ ძალას შემოეტანა. უცბად ის კაცი ვიცანი, რომელიც მოჩვენებასავით გამომეცხადა, ეს ის იყო... ვინც დიდი ხანია ყველგან მდევდა. ეს ის კაცი იყო, რომელსაც დაეფიცა, სახელი გაეტეხა ჩემთვის. მან როგორც კი დამიწყო ლაპარაკი, მაშინვე მაგრძნობინა, რომ წინაღამეს უკვე აესრულებინა თავისი ავი... სიძვის განზრახვა!..

– საზიზლარი!! – წამოიძახა თეოგენმა.

– ოჰ, დიახ, საზიზლარი! მას ეგონა, რაკი მძინარე დამიმორჩილა, ახლა წინააღმდეგობას აღარ გამიწევსო, რადგან უკვე შერცხვენილი და ნამუსახდილი ვიყავი. იგი ჩემკენ წამოვიდა, მე სუფრიდან დანა ავიღე და გულმკერდზე მივიდე, რითაც მივანიშნე, რომ თავს მოვიკლავდი, თუ მომეკარებოდა. შენი სიკვდილი მე რად მინდა ლამაზო, როდესაც მხოლოდ ერთხელ მერგო ნეტარება შენით ტკობისა? არა, ჯერ დავიცდიო, მომიგო მან, საძულველმა და ოთახიდან გავიდა. ისევ მარტო დავრჩი. იმ კაცის ხელში ვიყავი, რომელმაც ჩემზე იძალადა და რომელიც ყველაფერს იკადრებდა, რომ მე კიდევ დამუფლებოდა. შიშისაგან აკანკალებულმა მთელი ღამე თეთრად გავათენე. ძალიან დაქანცული ვიყავი. ცოტა პური შევჭამე და ყურძენი მივაყოლე. შემეშინდა, ისევ დამაძინებელი წამალი არ შემოეპარებინათ. გადაწყვეტილი მქონდა, პირში არ ჩამედო არაფერი, რასაც შეიძლებოდა საძინებელი ბანგი ჰქონოდა. მაგრამ მაინც შემაცდინეს, რადგან წყალი ძალიან მწყუროდა. დავლიე და მაშინვე დავეჭვდი, შევჩერდი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მალე მონამვლის იგივე ნიშნები ვიგრძენი, მაგრამ გრძნობა არ მეკარგებოდა და

ვხედავდი, რა ხდებოდა ჩემ ირგვლივ, თუმცა იმდენად ვიყავი მისუსტებული, რომ წინააღმდეგობის გაწევა არ შემიძლო... მივხვდი, რომ ვიღუპებოდი... დიახ, საშინელება, რომ სული ფხიზლობდა, როდესაც უძლური ვიყავი ხორციელად. ჩემი ავხორცი მტარვალი კი ჩემი სხეულით ტკებოდა...

– მითხარით! მერე ვინ იყო ის უნამუსო კაცი? – საშინლად აღვზნებულ თეოგენს ცივი ოფლი ასხამდა და კანკალებდა.

ბორენამ შეამჩნია, თუ რა თანაგრძნობით და ტანჯვით უსმენდა თეოგენი მის ნაამბობს. ამიტომ თხრობა უფრო გაამძაფრა. იგი ფიქრობდა, რომ ჯერ ნაადრევი იქნებოდა იმ კაცის სახელის გამჟღავნება და განაგრძო:

– იმ შერცხვენილ კაცს უსულო არსებასავით მიძინებულ ქალთან ჰქონდა საქმე. ძალიან სუსტად ვიყავი, გარკვეულ წინააღმდეგობას მაინც ვუწევდი. მისი ხმა გარკვევით ჩამესმა: „ეს უბედური მორწმუნე!“ მან მაინც, ისევ აისრულა თავისი ავხორცული წადილი.

თეოგენი გაფაციცებული ყურადღებით უსმენდა და ძლივს იმაგრებდა აღშფოთებას. მას შუბლიდან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, მკერდზე მჯიღს იცემდა და თან პირჯვარს იწერდა.

– ჩემო თეოგენ, ჭეშმარიტად მორწმუნე ძმაო, როცა გატრიზავებული გონს მოვეგე, უცბად თავში ბოროტმა ფიქრმა გამიელვა და დავიფიცე....

– ფიქრმა გაგიელვა, რომ იმ კაცის ჯავრი ამოგეყარა, არა? – შეჰყვირა თეოგენმა.

– ოჰ, ეს ფიქრი ჭეშმარიტ ქრისტიანს არ შეეფერებოდა, მაგრამ რა მექნა? სამაგიეროს გადახდის სურვილი მუდმივად გულს მიჭამდა... ეჰ, სწორედ ამ ფიქრისათვის, კაცის მოკვლის განზრახვის გამო მხედავ მე აქ დღეს დასასჯელად მოყვანილს! მეორე ღამეს, როცა იგივე უნდა განმეორებულიყო... მაშინ მოვიკრიბე ძალ-ღონე და როდესაც ის არაკაცი მომიახლოვდა, გულში დანა ვაძგერე. მაგრამ ამ არამზადას სამოსის შიგნით ჯაჭვის პერანგი სცმია. მე მას უთხარი, რომ მის ბოროტ და ძალმომრე საქციელს მთელ ქვეყანას მოვდებდი. იგი განრისხდა და ჩემით ტკბობის სურვილი გაუწელდა. შემდეგ ოთახიდან მალულად გაიძურნა. მწუხარების და სირცხვილის უფსკრულში ვიყავი გადავარდნილი, რომ ჯავრი ვერ ამოვიყარე. გულმხურვალე ლოცვაში ვატარებდი დროს. იგი ღამით ისევ გამომეცხადა და მიბრძანა დამეფიცა, რომ ეს ამბავი არსად არ მეთქვა. მე მას მივმართე: იცოდეთ, ვერ გამაჩუმებს ვერც თქვენი

დაპირება, ვერც თქვენი მუქარა, ვერც თქვენი წამება! ვფიცავ, მაინც ყველგან დაგაბეზღებ, როგორც კაცისმკვლელ უნამუსოს და ქალზე ლაჩარ მოძალადეს-მეთქი. მან თვალეში ჩამხედა და დამემუქრა, რომ ჩემს შერცხვენას და საქვეყნოდ სახელის გატეხას შეეცდებოდა...

სულიერად მოტეხილი თეოგენი, აფორიაქებული და გაფითრებული, სავარძელს დაყრდნობოდა, ბორენა კი ავი სულივით ხარობდა და ხედავდა, რომ მისი მსხვერპლი უკვე ყველაფერზე წამსვლელი იყო...

– აღარ მახსოვს, რამდენი დღე-ღამე, უჭმელ-უსმელი ვიტანჯებოდი. ისე მივსუსტდი, რომ სულ გულწასული ვეგდე. ერთხელაც ჩემი გამაუპატიურებელი ისევ მოვიდა და თან ვილაც ნიღბიანი კაცი მოიყვანა. მან მომმართა: აბა, თანახმა ხარ, შემომფიცო, რომ იყურებ და არას გათქვამო? მე მას უთხარი: აკი ჩემი, ნესტორიანული სიტყვა უკვე მოისმინეთ! აქ, თქვენი მხილება ადამიანებთან, ხოლო საიქიოში კი უფლის წინაშე-მეთქი! ეგ შენი ბოლო სიტყვაა? შე როსკიპო დედაკაცო! – დამიყვირა მან საზარლად. – ჰოდა, როსკიპის სვირინგსაც მიიღებ დამლად! შერცხვენილი და კრული იქნები იმ ადამინთა წინაშე, რომლებთანაც საჩივლელად მიბრძანდები და მაშინ სცადე დაუმტკიცო ქვეყანას, რომ არც დამნაშავე ხარ და არც სიძვის როსკიპიო! მერე იგი იმ კაცს მიუბრუნდა, თან რომ მოიყვანა და მიმართა – აბა, ახლა შენ იცი, დაასვირინგო!..

– ბევრი ვიტირ-ვიყვირე და გული მიწუხდებოდა, მაგრამ რას გავხდებოდი ერთი მიუსაფარი, მისუსტებული ქალი? ხელი მტაცეს და მერხზე მიმაბეს. მოყვანილმა ნიღბიანმა სიძვის, ბოზ ქალთა სვირინგი, ნიჟარა გამომისახა მხარზე! სამეძავო სახლების დამლა. აი, ნახეთ, თეოგენ, როგორ მანამეს და დამდალეს სულიერად უმნიკვლო ქალი.

ბორენამ სამოსი, რომელიც სხეულზე გულმკერდს უფარავდა სწრაფად შემოიხია და მორცხვად, თვალთმაქცური სიშმაგით ყმანვილ კაცს სიძვის სვირინგი აჩვენა. ეს უკვე მეტისმეტი იყო მიამიტი, ღრმადმორწმუნე ახალგაზრდა კაცისთვის. გაფითრებული თეოგენი აღშფოთებული ისმენდა ამ საშინელ ამბავს და თანაც თვალს ქალის მომხიბვლელი მშვენიერება სჭრიდა. მან ეშმაკეულ ცთუნებას ველარ გაუძლო და ბორენას მომხიბლავ მკერდში ჩარგო თავი. იგი ხარბად დაენაფა ქალის სვირინგიან მხარს... ბორენამ მის ქცევაში გაცხოველებული ხორციელი სიყვარული ამოიკითხა.

– ოჰ, მითხარით, ვინ არის ის უსინდისო! მაპატიე, რომ მეც თქვენს მტანჯველებს ვეხმარებოდი...

ბორენამ თეოგენს გამარჯვებული თვალით გადახედა. იგი უკვე დამონებული ჰყავდა და მისი გული განგმირული იყო მიწიერი სიყვარულით. თეოგენი ამ ქალს უკვე აღმერთებდა და თაყვანსა სცემდა.

– მხოლოდ ერთადერთი თხოვნა მაქვს! მითხარით, ვინ არის თქვენი მწამებელი!

– ნუთუ ვერ მიხვდით? – გაიკვირვა ბორენამ.

– ისევ ის? ყოველთვის ის? მაშ, ის არის დამნაშავე!

– დიახ, დამნაშავე, ავკაცი, მართლმორწმუნე ნესტორიანელების მღვინელი, შემრცხვენი მრავალი ქალის სახელისა, სწორედ ის. იგი, ვინც დღეს შემწეობას იჩენს ურჯულოების მიმართ და ხვალ კი დალუპავს...

– პრინცი გელასი კომნინი! მაშ, იგი! – შეჰყვირა გამძვინვარებულმა თეოგენმა, – ღმერთო, როგორ არ განგმირე უზნეო გელასი! რატომ გააჩინე იგი ჩვენდა დასალუპად? – მას ის სასჯელი უნდა მიეზღოს, რასაც იმსახურებს.

– უფალი არ ეხმარება მას, ვინც თავისთავზე არ ზრუნავს! – თქვა ბორენამ და იგრძნო, როგორი სიხარულის ჯოჯოხეთურ მორევში ტრიალებდა სული მისი.

– ერთი ვერ გამიგია, როგორ ჩაერია ამაში ჩემი მფარველი, მამა-ბატონი იასონი?

– ჩემო თეოგენ, ქვეყნიერებაზე ავბოროტი და მხდალი ადამიანების გვერდით, ყოველთვის არიან კეთილი და პატიოსანი კაცები. მე მყავდა საქმრო, რომელსაც ვუყვარდი. მას შენნაირი გული ჰქონდა! მე მას ჩემი უბედურების შესახებ ვუამბე... მან ხმალი შემოირტყა და გელასი კომნინის ციხე-დარბაზისაკენ წავიდა შურის საძიებლად...

– ოჰ, ასეც უნდა ყოფილიყო! თუმცა კომნინისნაირ უღირს არსებასთან ხმლით კი არა, ხანჯლით უნდა მივიდეს კაცი!

– მალევე ჩემი დანიშნული მობრუნდა. გელასი წინადლით სპარსეთში დესპანად გამგზავრებულიყო. მისმინე, მითხრა მან: გელასი წასულა და ამჟამად შურისძიებას გადარჩა, მაგრამ ხომ დაბრუნდება, მანამდე კი ჩვენ შევუღლდეთ და მე, გიაგუპულოსს, მომანდე შენი სახელის, ჩემი მეუღლის პატიოსნების დაცვაო...

– ბატონი იასონის ძმას? – შეჰყვირა თეოგენმა.

– დიახ, იასონის ძმას... ახლა, მგონი, ადვილად მიხვდები ყველაფერს. მერე იასონის ძმა უეცრად გარდაიცვალა და მე დამტოვა თავის მემკვიდრედ. რა დაემართა მას? რამ მოულო ბოლო ისე მოულოდნელად? ყოველივე ეს იცის ღმერთმა, მე კი არავის ვაბრალებ...

– ოჰ, ბოროტების რა საშინელი ჯაჭვია, – ამოიკვნესა თეოგენმა.  
– სანყალმა ისე განუტევა სული, რომ თავის ძმას ვერაფერი უთხრა. ეს საიდუმლოება დამალული უნდა ყოფილიყო ყველასათვის, ვიდრე ის მეხივით არ დაატყდებოდა დამნაშავეს. თქვენმა მამობილმა ძალიან იწყინა თავისი უფროსი ძმის უმზითვო ქალზე დაქორწინება. ვგრძნობდი, რომ არავითარი იმედი არ უნდა მქონოდა იმ კაცის დახმარებისა, ვისაც მემკვიდრეობის იმედი გაუცრუვდა. მე საქართველოში გადავსახლდი. გადანყვეტილი მქონდა, იქ გამეტარებინა ჩემი დარჩენილი სიცოცხლე, მაგრამ მთელი ჩემი ქონება აქ არის. საომარი მოქმედებების გამო განძაში, ანისსა და რამდენადმე ტრაპიზონშიც მიმოსვლა-ვაჭრობა შეწყვეტილია. ამ მდგომარეობამ წამართვა საარსებო საშუალება და იძულებული გავხდი ტრაპიზონში დავბრუნებულიყავი. ჰოდა, ალბათ პრინციმა გელასიმ გაიგო ჩემი ჩამოსვლა და მოელაპარაკა ჩემ შესახებ თქვენს მამა-ბატონ იასონს, რომელიც წინათაც ავი თვალთ მიყურებდა. უთხრა, რომ უნამუსო ქალი იყო მისი რძალი, შერცხვენილი, ქურდი. ჩემი სანყალი ქმრის სახელი ველარ დამეხმარებოდა. მაზლმა კი ჭეშმარიტებად მიიღო მისი ნათქვამი, მით უფრო, რომ მისთვის სასარგებლო იყო ამ ამბის დაჯერება. მან ბრძანება გასცა დავეპატიმრებინე. შენ კი ჩემი სატუსალოს მცველად გაგამნესეს. მალე, როგორც ბოროტმოქმედს, გადასახლებას მიპირებს. ოჰ, ახლა ხომ ხედავ, თეოგენ, რომ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია, შემიბრაღე და დანა მომეცი...

ამ სიტყვებს ქალმა თითქოს მთელი თავისი ძალა თან ამოაყოლა. იგი გრძნობამიხდლივით ახალგაზრდა ათისთავის გულმკერდზე მიეშვა. სიყვარულით გაგიჟებულმა, ჯერ განუცდელი ვნებით აღგზნებულმა და ბრანით აღშფოთებულმა თეოგენმა ქალს აღტაცებით მოხვია ხელი და გულში ჩაიკრა. მშვენიერი ბაგის სუნთქვამ და ქალის ათროლებული გულმკერდის შეხებამ ახალგაზრდა ააკანკალა.

– ოჰ, სირცხვილს სიკვდილი მირჩევნია... დანა, თეოგენ!

– არა, შენ უნდა იცოცხლო! მე კი შენი მტრის ჯავრს ამოვიყრი!

– თეოგენ! ნუ მიშლი სიკვდილს, თავი დამანებ!

– მაშ, ერთად დავიხოცოთ! – უპასუხა ყმანვილმა კაცმა და ქალის ბაგეს დაეკონა. მათი სიამტკბილობა ერთიანი სიმხურვალით სანოლში გაგრძელდა...

გათენდა... ბორენა უკვე აღარ ეჭვობდა, რომ თეოგენი მის მიერ მონუსხული და მორჯულებული იყო. მაშ, ასე, ამიერიდან თეოგენი მისი იმედი და ერთადერთი იარაღი იყო თავისუფლების მოსაპოვებლად.

მაგრამ, ხომ შეიძლებოდა, მის მაზლს თვითონ თეოგენის ნდობაც დაჰკარგოდა. ბორენამ მოახლე დაითხოვა იმ საბაბით, რომ ახლა ეულად მოსვენება სურდა. მას იმედი ჰქონდა, რომ თეოგენი მალე მოვიდოდა. მაგრამ ახალგაზრდა ათისთავი არ ჩანდა.

შუადღისას ბორენას მაზლი, იასონი ეწვია. ეს კაცი აქამდე საკმაოდ მიამიტად მიაჩნდა ბორენას, ახლა კი საპატიმროს საუცხოო მეთვალყურე გამხდარიყო.

– მაშ, სანყალი ბიჭის ცთუნება დაიწყე, ჩემი თეოგენის გაბრეცება? მაგრამ მე ამას არ დავუშვებ! შენ მას ველარ ნახავ! ხვალ გელასი ხელს მოაწერს შენი გადასახლების განკარგულებას! – იასონი ოთახიდან გავიდა და კარი მოიჯახუნა.

ბორენა გრძნობდა, რომ ძალ-ღონის მოსაკრებად აუცილებლად უნდა ეჭამა. ვინ იცის, ეს ღამე რას მოუტანდა. შუალამისას გაავდრდა და ქარიშხალი ამოვარდა. უცბად გარეფანჯრიდან შემოესმა კაკუნი. ამ დროს იელვა და ამ ნათებაზე ფანჯრის გისოსებს იქით ადამიანის სახე გამოჩნდა.

– თეოგენ?! – შეჰყვირა სიხარულით ბორენამ.

– ჩუმიად... ალბათ კარგა ხანს მოვუნდები ამ გისოსის მოქლიბვას. ფარდა ჩამოაფარეთ, რომ არ დაგვინახონ! მოემზადე, მერე დაგიკაკუნებ!

– ოჰ... ჩვენთან არს ღმერთი!

ბორენამ სანთელი ჩააქრო და ლოდინი დაიწყო. მას შიშით გული უსკდებოდა. კარგა ხნის შემდეგ, როგორც იქნა, თეოგენმა ხელმეორედ დააკაკუნა. თეოგენს რკინის გისოსები ისე გადაეჭრა, რომ შიგ ადამიანი უკვე გაეტეოდა.

– მზად ხარ? – იკითხა თეოგენმა.

– დიახ! მზად ვარ! – ბორენამ მაჯებზე თოკი მაგრად გადაიხვია, გადაჭრილ გისოსებში გაძვრა და თეოგენს მხრებზე მკლავებით დაეკიდა.

– მომენდე, ნუ შიშობ! – თეოგენმა თოკის კიბეზე ნელა და ფრთხილად ჩასვლა დაიწყო. ქარი კიბეს საკმაოდ არხევდა და ორივენი ცდილობდნენ კედელს მიკვროდნენ.

როგორც იქნა, დაკიდული თოკის კიბე ჩათავდა და ორივენი მიწაზე დაეშვნენ. თეოგენმა ბორენა ხელში აიყვანა და ჩქარი ნაბიჯით კლდის ძირას, ზღვის პირთან მივიდა. მალე ქარი ჩადგა და ტალღებში ნავი გამოჩნდა. მაგრამ ზღვა ჯერ მაინც ბორგავდა. ისინი ნავში ჩასხდნენ და მეზღვაურებმა ნიჩბები მარდად მოუსვეს. ნავმა გეზი გემისაკენ აიღო, რომელიც გაშლილ ზღვაში მოჩანდა. ნავი კლდეზე გადმოკიდებულ

ციხე-დარბაზს ნელი სვლით შორდებოდა. მალე ნავს ნაპირიდან ველარ შეამჩნევდნენ, რადგან ზღვის ტალღებში იმალებოდა.

– გადავრჩით, თავისუფლები ვართ!

– გადავრჩით?! აჰ! გმადლობ, თეოგენ! – შეჰყვირა ბორენამ და ქალი ახლგაზრდა კაცს ვნებით ჩაეხუტა. ნავი უკვე უახლოვდებოდა გემს.

– ეს გემი შენთვის დავიქირავე! სადაც ისურვებ, იქ წაგიყვანს... მე კი უსათუოდ ტრაპიზონში უნდა მივბრუნდე, საქმე მაქვს დასამთავრებელი... ბატონი იასონის ბრძანება უნდა შევასრულო... – თქვა დაღვრემილმა თეოგენმა, – იასონმა მე მიმავლინა პრინცთან, რომ ხელი მოვანერინო შენი განდევნის განკარგულებაზე.

– მაშ, უნდა წახვიდე?..

– ჰო, უნდა ვიქარო, თორემ ხვალ პრინცი მიდის...

– ხვალ მიდის?.. საით მიდის?

– აღმოსავლეთისაკენ!

– არ უნდა წავიდე!! – წამოსცდა ბორენას და დიდვეზირის ბრძანება გაახსენდა. აქ მას თავისმა ჩვეულმა სიფრთხილემ უღალატა.

– ვერსადაც ვერ წაბრძანდება! უფლის წყალობით!..

– თეოგენ! ღვთისაგან განდიდებული იქნებით! მაგრამ იცოდე, თუ ღმერთი განყრა და თავი შეაკალი, მეც შენთან ერთად მოვკვდები... – უთხრა აღტაცებით ბორენამ.

მალე ნავი გემს მიადგა. თეოგენი კიბეზე ავიდა, ბორენას ხელი გაუწოდა და შეეშველა გემბანზე ასვლაში.

– უფროსო! აი, ის ქალბატონი, რომლის შესახებაც მოგელაპარაკეთ. სრულიად უვნებლად უნდა გადაიყვანოთ საქართველოში, ყულევში.

გემის მეთაურმა საჭირო ბრძანებების გაცემა დაიწყო. თეოგენის თხოვნით გემი ერთი დღით ტრაპიზონთან მდებარე პატარა ყურეში უნდა გაჩერებულიყო.

ბორენა ეცადა წახეხალისებინა თეოგენის განზრახვა. მაგრამ იგრძნო, რომ ნაქეზება კი არა, ზომიერება ესაჭიროებოდა მრწამსის ამ ყმანვილ ფანატიკოსს. შემდეგ შეთანხმდნენ, რომ ბორენა მოუცდიდა თეოგენს და გზას მხოლოდ მაშინ გაუდგებოდა, თუ თეოგენი დათქმულ დროს არ მოვიდოდა. თუკი თეოგენი განსაცდელს ასცდებოდა, მაშინ იგი საქართველოში, სიღნაღთან, ბოდბის დედათა მონასტერში გადავიდოდა ბორენას სანახავად.

თეოგენი ბორენას მხურვალე კოცნით გამოეთხოვა. თეოგენს სახე გაფითრებოდა და თვალები უელავდა. მას ბნელი ფიქრები უტრიალებდა

გონებაში. ნავით უკან მიმავალი თეოგენი თვალს არ აშორებდა გემბანზე მდგომ ბორენას. მალე იგი ნაპირზე გადავიდა, აიარა პატარა ბორცვი და ქალაქისაკენ სწრაფად გაეშურა. თეოგენს თავში უტრიალებდა ის ნამდვილი თუ უსაფუძვლო ბრალდებანი, რომლებსაც დიდხანს, ნესტორიანელებთან ცხოვრების დროს, იგროვებდა გულში ბიზანტიის კეისრის მფარველობაში მყოფი გელასი კომნინის წინააღმდეგ. როდესაც პრინციის მიერ ჩადენილ სხვადასხვა დანაშაულს ადარებდა იმ ცილისწამებას, რომლითაც გელასი სახელს უტეხდა და თავს ჭრიდა ბორენას, თეოგენს დასკვნა გამოჰქონდა, რომ გელასი კომნინში ბოროტი ავსული ჩაბუდებულიყო. ახალგაზრდა კაცი სიყვარულით იყო აღგზნებული და გაგიჟებული. ამის გამო სწრაფი სიარული კიდევ უფრო უდუღებდა სისხლს. იმის გაფიქრებაზე, რომ მარტოდმარტო დატოვა სათაყვანებელი ქალი, ჯავრის ამოსაყრელად არავითარ ბოროტებას არ იუკადრისებდა.

ისევ დილა იყო, როდესაც გაოფლიანებული და მტვერში ამოსვრილი თეოგენი ტრაპიზონის ნავსადგურთან მივიდა. ამ დროს ქალაქის ქუჩებში ნაღარის ხმა გაისმა, ნავსადგურის მოედნისაკენ მოინეგდნენ კეისრის გამარჯვებებისადმი მიძღვნილ ალღუმში მონაწილე მეომრები. თეოგენი იქვე, პრინცი გელასის ციხე-დარბაზისაკენ გაეშურა. იქ მან საგუშაგოს უფროსს იასონის წერილი აჩვენა.

– სასწრაფო დავალება მაქვს ბატონი იასონ გიაგუპულოსისაგან.

საგუშაგოს უფროსმა ბრძანა, რომ თეოგენი გაეტარებინათ. იგი სასახლეში შევიდა და დარბაზის წინა ოთახის კარში მასავით მტვერში ამოგანგლულ და მეტად დაქანცულ კაცს შეეჯახა... მსახურთუფროსმა თეოგენი დიდ დარბაზში გაატარა, სადაც გელასის ქალაქ განძის მმართველ ათაბაგ ყარა-სუნღურის დესპანები უცდიდნენ და შეიყვანა ოთახში, რომელშიც გელასი იმყოფებოდა.

– ათისთავი თეოგენი გახლავთ, ბატონი იასონის დავალებით, – მოახსენა მსახურთუფროსმა.

– იასონის დავალებით? შემოვიდეს!

– ამას წინათ წერილი მოგწერათ ბატონმა იასონმა და გთხოვათ, ხელი მოგწერათ ერთი ქალის გადასახლების საბუთზე.

– მომეცით!

– უკაცრავად, პრინცი, მაშ, იმ ქალის ნამდვილი სახელიც გეცოდინებათ. ვერ წარმომიდგენია, ამ საბუთზე ხელს აწერდეთ, თუ იცით, რომ ბორენა გიაგუპულოსს შეეხება ეს ბრძანება... – თქვა თეოგენმა ათროლოებული ხმით.



– კარგადაც ვიცი! ბორენას მრავალი დანაშაული აქვს ჩადენილი!  
– თქვენ ხელი არ უნდა მოაწეროთ მაგ ბრძანებას. რადგან ეს უსამართ-  
ლობა იქნება. მე მის განთავისუფლებას გთხოვთ! – თქვა თეოგენმა და  
გელასისაკენ წაიწია.

– თქვენ ხომ არ გაგიჟდით? როგორ მელაპარაკებით? მუქარასაც მიბე-  
დავთ! აქედან მიბრძანდით! – შეჰყვირა გელასიმ.

– მომისმინეთ! თქვენ სანყალ ქალს ნამუსი ახადეთ! ახლა გამოასწო-  
რეთ თქვენი მისდამი დანაშაული... გაუშვით, ნავიდეს, სადაც ნებავდეს,  
სხვას მე არაფერს გთხოვთ... ბატონო, დაიქანცა ქვეყანა თქვენი უსა-  
მართლობით! თქვენ ავად გამოიყენეთ კეისრის უფლება, რომელიც  
ვერაგობით გამოსცინცლეთ მას! თქვენ ადამიანისთვის საშიში აკვაცი  
ხართ. ღმერთი დაგსჯით, ახლა კი მე მინდა თქვენი დასჯა!

გელასიმ კარისაკენ წაიწია. მას წინ თეოგენი გადაუდგა.

– მომეხმარეთ! – შეჰყვირა გელასიმ და გადახტა, რომ ხმალი აეღო.  
მაგრამ ხმლის ამოღება ვერ მოასწრო. თეოგენს უბემი დანა ჰქონდა  
ჩამალული, რომელიც იძრო და გელასის მივარდა. თეოგენმა გელასის  
მკერდში დანა ტარამდე ჩასცა. ამ დროს დარბაზში მსახურთუფროსი  
შემოვარდა ყვირილით: ბატონო, წერილი ტფილისიდან!

– ტფილისიდან?... აჰ, მოლალატე! ხომ მომკალ.... – შეჰყვირა გელასიმ.

– გვიშველეთ! – ყვიროდა მსახურთუფროსი.

თეოგენმა გაქცევა განიზრახა, ირგვლივ მიმოიხედა და ღია კარის  
დანახვაზე სირბილით გასწია იმ დიდი დარბაზისაკენ, სადაც დესპანები  
იცდიდნენ, კიბეს ეცა, მაგრამ კიბის თავშივე იასონს შეეჩეხა. თეოგენის  
ფერმიხდილი, გადარეული სახისა და სისხლიანი ხელების დანახვაზე  
მიხვდა იასონი, რაც მომხდარიყო და ყელში სწვდა ყვირილით:

– ვიცოდი! მივხვდი! ერთი წუთით დამაგვიანდა! რა უბედურებაა!

თეოგენს არავითარი წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, იასონმა გუ-  
შაგებს გადასცა ყმანვილი კაცი და თვითონ გელასის ოთახში შევარდა.  
გელასი ტახტზე იწვა და მოკრუნჩხულ ხელს ჭრილობაზე იჭერდა. გე-  
ლასის გული წაუვიდა. ოთახში კი უკვე იასონი და გელასის სასახლის  
დიდებულები შესულიყვნენ. აქვე იყო ტფილისიდან ანო დედოფლის  
გამოგზავნილი ოტია ოდილაურიც. თავი ყველას დაჭრილთან მოეყა-  
რა. ციხე-დარბაზში მოთქმის ზარი გაისმა. პრინცი გელასი კომინის  
დაჭრის სამწუხარო ამბავი მალე მთელ ქალაქს მოედო. პრინცი გელასი  
გარდაიცვალა.

– ერთი წუთით დავიგვიანე! სულ ერთი წუთით! ოჰ, რა უბედურებაა!  
– მოსთქვამდა იასონი. მართლაც, თურმე დილით შეატყობინეს, რომ სასახლის ერთ გისოსებიან ფანჯარაზე თოკის კიბე ეკიდა. იგი მაშინვე გაიქცა ბორენას ოთახისაკენ, მაგრამ იქ აღარავინ იყო. მას მაშინვე მოაგონდა ქუჯისაგან მიღებული სიტყვიერი გაფრთხილება, რომელიც ბუჭუკამ მოახსენა. იასონს შეეშინდა, რომ გელასის სიცოცხლე საფრთხის წინაშე არ ყოფილიყო. სწრაფად შევარდა თავლაში, არც კი შეაკაზმვინა ცხენი, რომ დრო არ დაჰკარგოდა, მოახტა და ჭენებით შევიდა გელასის ციხე-დარბაზის ეზოში. ჩამოხტა ცხენიდან, სირბილით ავარდა კიბეზე და კიბის თავში, სისხლით მოსვრილი თეოგენი შეეჩება. იასონი როგორც კი დარწმუნდა, რომ პრინცი გარდაიცვალა, მაშინვე დატუსაღებულ თეოგენს მივარდა, რომელიც ჯერაც სასახლის ტერასზე ჰყავდათ გუშაგებს.

– არამზადავ, ეს რა ქენი, რა?! – შეჰყვირა მან ახალგაზრდა ათისთავს, რომელსაც გელასის სიკვდილის შემდეგ კვლავ ჩვეული სიმშვიდე დაბრუნებოდა.

– ჯავრი ამოვიყარე! – უპასუხა თეოგენმა.

– შენი ჯავრი? ის არ ჯობია, გულწრფელად თქვა, რომ იმ დანყევლილმა ქალმა თავის იარაღად გამოგიყენა?

– არ ვიცი, რისი თქმა გნებავს, ბატონო! მე მოვკალი გელასი იმიტომ, რომ ორჯერ გითხრათ უარი პირადად თქვენ და არ მაღირსა ასისთავად დანინაურება. მე დავსაჯე იგი უსამართლობის გამო.

განცვიფრებით შეჰყურებდა იასონი, თუ როგორ უკრავდა ჯარისკაცი ხელებს თეოგენს და ვერ მიმხვდარიყო, რით აეხსნა მისი ასეთი უგრძობელობა. მხოლოდ ერთი რამ აფენდა თეოგენის შუბლს ღრუბელს: სულ მცირე ხმაურის გაგონებაზედაც კი მიამიტი ფანატიკოსი წარმოიდგენდა, თითქოს ბორენა მოეშურებოდა მისკენ, მოვიდოდა, გულში ჩაიკრავდა თავის თეოგენს და გამოაცხადებდა, მეც დამნაშავე ვარ ამასთან ერთად. უცბად ყმანვილი შეკრთა, ზღვაში ერთ წერტილს თვალი მიაშტერა. მეზღვაურის მახვილი თვალით სადღაც შორს შეამჩნია იალქანი გემის, რომელიც გაშლილ ზღვაში მიაპობდა ტალღებს. ახალგაზრდა კაცს ეჭვი გაუჩნდა, რომ იგი გაასულელეს და უღალატეს. თეოგენმა უტიფარ-გაუტეხლად თავი ჩალუნა და ხმა აღარ ამოუღია. ბორენას კი დაეჩქარებინა საქართველოსკენ წასვლა.



დავით დიდვეზირი მოუთმენლად ელოდა დასავლეთიდან, ბიზანტიიდან ცნობებს, მაგრამ არაფერი ჩანდა საიმედო. იქიდან მხოლოდ ჯერ იმუქრობდნენ. აღმოსავლეთით კი მოღალატე ათაბაგ ყარა-სუნლურის ციხე-ქალაქი განძა მტკიცედ იყო გარემოცული. ამ სააღყო ღონისძიებათა შედეგად, თითქოს უკვე ახლო იყო გამარჯვება. განსაკუთრებით იმ შეტევის შემდეგ, რომელმაც პირველი ხაზის სიმაგრე დააძლევინა და დედაციხისაკენ მიმავალი გზები შეკრა. გარემოცული ქალაქის ძირითად ციხესიმაგრეში სურსათი ველარ შედიოდა. მაგრამ განძელები მაინც არ ნებდებოდნენ და შესაძლებელი იყო კიდევ კარგა ხანს გაეძლოთ. ეს კი დიდვეზირის ნუხილის საგანი იყო: შერცხვებოდა მეფის ლაშქარი და თვით ამ ალყის ხელმძღვანელი დიდვეზირიც. დავით უფლისწულს ამხანად აღარა ჰქონდა რა, ამ ალყის მეტი საზრუნავი. მამა, მეფე დემეტრე და დედინაცვალი, დედოფალი ანო კომნენი ერთმანეთს წააჩხუბა და ეს საქმე, მისი აზრით, უკვე მოგვარებული ჰქონდა.

ზოგჯერ მეფის მხედარ-მზვერავები ხელთ იგდებდნენ განძის მმართველის ათაბაგ ყარა-სუნლურის მიერ ანისის ათაბაგთან და ტრაპიზონის მმართველთან პრინც გელასი კომნინთან გაგზავნილ კაცებს და იმით მიერ გამოგზავნილ მსტოვარ-ჯაშუშებს. ამ შემთხვევაში, ომის სარდალი, დიდვეზირი დავითი, წამოიძახებდა ხოლმე მხოლოდ ერთ სიტყვას – ჩამოახრჩვეთ! ხალხი კი ჩამოხრჩობის ამ საშინელ სანახაობას უყურებდა და ერთობოდა. ასე რომ, დიდვეზირს თუ ჩამოსახრჩობი მსტოვრები შემოაკლდებოდა, მაშინ ხალხს ველარ ართობდა და მხედრობა-ჯამაათში არასასურველი მონყენილობა მატულობდა. ასე გადიოდა დრო, ათაბაგ ყარა-სუნლურის განძელები კი არ ნებდებოდნენ. უკანასკნელ ჯაშუშს, რომელიც ვეზირის მზვერავებმა დაიჭირეს, ანისის ათაბაგთან მიჰქონდა წერილი. ათაბაგს განძელები თავისი აუტანელი გაჭირვების შესახებ ატყობინებდნენ და სასწრაფო დახმარებას სთხოვდნენ. მალე ყველანი შიმშილით ამოვწყდებითო. მამ, ანისის ათაბაგის მხედრობა და ბიზანტიელთა მუქარა-შეშფოთებანი იყო განძელების ერთადერთი იმედი, და თუკი ერთ დღეს ისინი დანამდვილებით დარწმუნდებოდნენ, რომ ისინი მათ ველარას უშველიდენ, ყოველგვარი იმედი დაეკარგებოდათ. ამიტომ დიდვეზირი მოუთმენლად ელოდა ცნობას იმის შესახებ, რომ ანისელები ველარ წამოვიდოდნენ განძელების

დასახმარებლად და აღარც ტრაპიზონელი გელასი კომნინის იმედი არ უნდა ჰქონოდათ.

სამხედრო საბჭოში, სპასპეტებთან, ხშირად ისმებოდა ქალაქ განძის დედაციხის იერიშით ალების საკითხი. მაგრამ მას ყოველთვის უარყოფდნენ: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ძნელად ასალებ სიმაგრედ მიაჩნდათ; მეორე, დავით ვეზირმა იცოდა, რომ ბევრი სისხლი დაიქცეოდა ამ შეტაკებაში. სპასპეტები ფიქრობდნენ, რომ ქალაქის დედაციხის ალება მხოლოდ მისი დამშვევით შეიძლებოდა. სარდალ-ვეზირს ვერ მოეშორებინა ის ეჭვი, რომელიც გულში ალუძრა მის მიერ ტრაპიზონში გაგზავნილმა ბორენამ. თუმცა ბორენას ერთგულებაში თითქოს დარწმუნებული იყო.

ვეზირმა კვლავ განაგრძო ალყა, რომ საბოლოოდ დაემშია განძის ათაბაგ ყარა-სუნღურის მომხრეები. დავითის ბრძანებით, ავრცელებდნენ ხმებს, რომ ათაბაგ ყარა-სუნღურის მეთაურებს მომარაგებული ჰქონდათ ხორბალი, დამშეულებს კი ლუკმაპურს არ აძლევდნენ. ანდა, მეთაურები არაფრად აგდებდნენ ბავშვებისა და ქალების ამოხოცვას, ოღონდ თვითონ განძის დამცველები ყოფილიყვნენ ჯანმრთელად. განძელი მეომრები ქალაქის დედაციხეს თავდადებით იცავდნენ, მაგრამ ამ ჭორების ხმებმა მებრძოლ ვაჟკაცებს მოაგონა მათი შვილები, ცოლები და მშობლები, რომლებსაც ეს ალყა შიმშილით ამოწყვეტას უქადადა. ამიტომ განძელ მოქალაქეთა ნაწილმა მოითხოვა მეფის ჯართან მოლაპარაკების დაწყება.

მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც დავით სარდალი ფრიად კმაყოფილი გახლდათ ამ ჭორების გავრცელების შედეგით, ანისიდან დაბრუნებულმა ერთმა განძელმა მოახერხა შეუმჩნევლად გასძრომოდა მეფის ჯარს და გარემოცულ სიმაგრეში შესულიყო. მან ათაბაგ ყარა-სუნღურს შეატყობინა, რომ საკუთარი თვალით ნახა ანისელი მეომრები, რომელნიც რამდენიმე დღეში დაიძვრებოდნენ; ამის გარდა, მანვე ანისის ათაბაგის წამქეზებლური წერილიც ჩამოიტანა. ამ მოკლე წერილით იგი აცნობებდა, რომ ამ ცოტა ხანში გამოცხადებული იქნებოდა საქართველოს წინააღმდეგ შემდგარი ერთობა – ანისის, შარვანის და არანის მეთაურობით. ეს წერილი სახალხოდ წაუკითხეს განძის დამცველებს. ამ ამბავმა იმ ადამიანებსაც კი, რომლებსაც მეფის ჯართან მოლაპარაკების დაწყება სურდათ, გადაანწყვტინა კიდეც მოეთმინათ. ამ მოულოდნელმა გარემოებამ დიდვეზირს განუახლა წინანდელი შიში და აიძულა, მისდაუნებურად, ისევ ბიზანტიისათვის მიეპყრო თვალი.

დავით დიდვეზირის, ნამდვილი მთავარსარდლის, ამ შიშის შესახებ არა იცოდა რა მეფის ჯარმა და ამიტომ მხიარულად ატარებდა დროს. მათ საქმელ-სასმელი ბევრი ჰქონდათ, არც ფული აკლდათ და რაზემე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ვაჟკაცობაა და ქიეფ-მხიარულებაში. კერძოდ, ჯაშუშ-მსტოვრების დაჭერა, სახიფათო გასვლა მტრის სიმაგრისაკენ, მარულა, სამხედრო ვარჯიშები და სხვ.

დავით სარდალი რიგითი მხედარივით ცხენით ჩამოუვლიდა ხოლმე საგუშაგოებს და დაფიქრებით შესცქეროდა მტრის ციხესიმაგრეს. დრო კი ნელა გადიოდა. ერთხელ მეტისმეტად დაღონებულმა ვეზირმა, რომელსაც ათაბაგ ყარა-სუნღურთან მოლაპარაკების იმედი აღარ ჰქონდა და ბორენას ამბავიც აღარ იცოდა, გადანყვიტა საგუშაგოები მოულოდნელად შეემონებინა. მან თან მხოლოდ ორი მცველი გაიყოლა. დავით ვეზირს მდინარის ნაპირზე ცხენი ნელა მიჰყავდა და თან თავის ფიქრებში იყო გართული. უცბად თვალი მოჰკრა იქვე, ახლოს, შვიდ კაცს, რომლებიც ბალახზე ფეხმორთხმით ისხდნენ და იქვე ღვინოს და მცირე საგზალს შეექცეოდნენ. ამათგან ოთხი მონასპელი გახლდათ, რომლებიც რალაც წერილზე ბჭობდნენ. იქვე მსხდომი დანარჩენები კი ამ მონასპელების მსახურები იყვნენ.

დავით ვეზირი შემადონებელ ფიქრებში იყო წასული. ამისთანა განცდის წუთებში კი მას ფრიად აღიზიანებდა სხვისი მხიარულება. თანაც იგი ზედმეტად ეჭვიანი გახლდათ და ჭეშმარიტად სწამდა, რომ მისი შემანუხებელი მიზეზი სხვებს ახარებდა. დავითმა მცველი მსლებლები ჩამოიტოვა, ცხენიდან ჩამოხტა და მისი აზრით საეჭვო მონასპელებისაკენ ფარულად გაემართა. იგი მათ იმ იმედით მიუახლოვდა, რომ შეიძლებოდა გაეგონა რაიმე მათი ბაასისა. უკვე ცოტალა ჰქონდა დარჩენილი მცირე ბორცვის ბოლომდე, როდესაც ეჭვი გაეფანტა. რადგან განუყრელი შეფიცულები – ქუჯი, ავთო, ამო და ტარო შერჩა ხელში. ვეზირს მათი საუბრის მოსმენის სურვილი კიდევ უფრო გაუმძაფრდა, როდესაც მონასპელების ეს განმარტოებულები ჯგუფი შენიშნა. დავითი უეცრად შეამჩნიეს. ისინი სწრაფად წამოკვიდნენ და პატივისცემით მიესალმნენ დავით ვეზირს, რომელსაც შეეტყო, რომ ეს გამოამჟღავნება არ ესიამოვნა.

– ჩანს, განძელების უეცარი შემოპარვის გეშინიათ! – იქედნურად მიმართა დავითმა მონასპელებს.

– დიდო ბატონო! მოგეხსენებათ, როდესაც მონასპელები სამსახურიდან თავისუფლები არიან, ღვინოს სმითა და კამათლის თამაშით ირ-

თობენ თავს. დიდად გიმადლით, რომ თქვენი წყალობით გახლავართ ოთხივე ერთად, რადგან ქუჯი ჩვენთან, მონასპის რაზმში გადმოიყვანეთ... სულ ახლახან ქუჯი წუხდა, რომ სად და როგორ ენახეთ თქვენ მადლობის მოსახსენებლად. აი, ილბალიც... დიდვეზირი აქ გამოგვეცხადა... – ავთომ ეს სიტყვები სიმშვიდითა და გადაჭარბებული ზრდილობით წარმოთქვა. ამ დროს ქუჯიც მივიდა დიდვეზირთან და რამდენიმე სიტყვით, მოწინებით, მოკრძალებული მადლობა მოახსენა.

– ბატონებო! სულ ერთია, დისციპლინა ერთი და იგივეა ყველასთვის... ჰოდა, ყველასათვის სავალდებულო! – თქვა ვეზირმა. ეტყობოდა, გაბრაზება ვერ გაუნელა ვერც ავთოს მოსწრებულმა პასუხმა და ვერც ქუჯის მოწინებულმა მადლობამ. ავთომ, თანხმობის ნიშნად, თავი დაუკრა.

– არაფერი ჩვენ არ დაგვირღვევია! რადგან ჩვენი მოვალეობა უკვე მოვიხადეთ და რადგან თავისუფლები ვიყავით, ვიფიქრეთ, სურვილისამებრ გაგვეტარებინა დრო. თუ თქვენ რაიმეს დავალება გნებავთ?.. გვიბრძანეთ... და მზად გახლავართ შევასრულოთ! ჩვენ მუდამ შეიარაღებულნი მზად ვართ მტრის დასახვედრად.

– გვერწმუნეთ, ბატონიშვილო! წინ შეგვეგებოდით ბრძანების მისაღებად, რომ შეგვძლებოდა იმისი წარმოდგენა, რომ თქვენ ასეთი მცირერიცხოვანი ამალით მობრძანდებოდით, – დაუმატა ავთოს ნათქვამს ქუჯიმ.

– ჰო, შორიდან ნამდვილ შეთქმულებს ჰგავხართ! – იეჭვა დავითმა.

– ოჰ, მართალია... ჩვენ შეთქმულებას ვანყობთ, მაგრამ მხოლოდ განძელი ათაბაგ ყარა-სუნღურის დასამარცხებლად, – მიუგო ავთომ.

– ეჰ, ბატონებო! ალბათ, რამდენ გაურკვეველ საკითხს მოეფინებოდა ნათელი, რომ იმ წერილის ნაკითხვა შეიძლებოდა, რომელიც ჩემი მოახლოებისას დამალეთ! – თქვა ვეზირმა ქმუნვით.

– ბატონიშვილო! ისე გველაპარაკებით, თითქოს ჩვენ რაიმე დავაშავეთ... და ეჭვი გაქვთ... მაშინ გვიბრძანეთ, თუ რაში გვდებთ ბრალს, რომ ჩვენც გიპასუხოთ!

– ჰმ, დაკითხვისასაც ბევრს უპასუხია... ჰო, ბატონო ამო, რა წერილია ასეთი, რომ კითხულობდით და ჩემ დანახვაზე შეინახეს?!

– ახლობელი ქალბატონის წერილია...

– გასაგებია! ოჰ, სხვამ არავინ უნდა წაიკითხოთ ეს წერილი... მაგრამ მგონია, სამეფოს სარდალ-ვეზირს კი შეიძლება აჩვენოთ, რადგან მას ამის უფლება აქვს მინიჭებული! – თქვა დავითმა მკაცრად.

– დიდო ბატონო! ქალის წერილი გახლავთ, მაგრამ ხელს მარიაში არ აწერს! – უპასუხა ავთომ ლირსების გრძნობით და მშვიდად.

დავით ვეზირი ბრაზისაგან გაფითრდა და თვალებიდან ნაპერწკლები დააფრქვია. იგი უკან მიბრუნდა და თითქოს ბრძანება უნდა მიეცა მცველებისთვის. ავთოს ეს მოძრაობა არ გამოპარვია და თვითონაც შუბისკენ წაიწია. ავთოს მეგობრებიც შუბებს შესცქეროდნენ გაბრაზებული თვალით და ცხადად ეტყობოდათ, რომ ისე ადვილად არ დანებდებოდნენ დაპატიმრებას. ვეზირს სულ ორი კაცი ახლდა. მონასპელები კი მეტნი იყვნენ. ვეზირი მიხვდა, რომ ვერ იძალავებდა. მით უფრო, რომ ორთაბრძოლებში გამოცდილ ვაჟკაცებთან ჰქონდა საქმე. ამიტომ ის ფანდი იხმარა, რომელიც ყოველთვის სამარქაფოდ მზადა ჰქონდა. მან ამ შემთხვევაში მოტკბო, დამყალი სიცილით გამოხატა მთელი თავისი რისხვა.

– ჰო, კარგით! ყოჩაღი ბიჭები ხართ! სულით ამაყები და ჩვენთვის ერთგულნი. მე ვერაფერს ვხედავ იმაში საძრახისს, რომ ასე კარგად იცავთ თავს... მე არ დამვიწყნია ის ღამე, სოფლის სასტუმროში რომ მიმაცილეთ. ახლაც საშიშ გზაზე რომ მივდიოდე, უსათუოდ გამოყოლას გთხოვდით. მაგრამ მსგავსი არაფერია და ამიტომ დარჩით.! ჰო... გამოცალეთ თქვენი ღვინო, მოათავეთ კამათლის თამაში და წერილის კითხვა... მშვიდობით, ბატონებო!

დავით ბატონიშვილი ცხენს მოახტა, რომელიც დაცვამ მოჰგვარა, დამშვიდობების ნიშნად მეგობრებს ხელი დაუქნია და წავიდა. ოთხი ახალგაზრდა კაცი ადგილზე გაშეშებული იდგა. მათ მიმავალს თვალი გააყოლეს და ხმა არ ამოუღიათ, სანამ სულ მთლად თვალს არ მიეფარა. ოთხივენი შეძრწუნებულნი იყვნენ, რადგან, მიუხედავად მეგობრული გამოთხოვებისა, კარგად იცოდნენ, რომ ცბიერი დიდგვირი განრისხებული წავიდა. პირველმა ტარომ დაარღვია დუმილი.

– ამო, ნუთუ მაგ წერილს მისცემდი?

– უჰ, გადანყვეტილი მქონდა ერთი ხელით წერილი მიმეცა, ხოლო მეორეთი ხმალი მეძგერებინა.

– ეჰ, მეც მაგას მოველოდი... და ამიტომ შუაში ჩაგიდექი. ისე ჩვენნაირ კაცებს ასე უკმეხად არ უნდა ელაპარაკებოდნენ!

– ჩემო ავთო, მე თაყვანსა ვცემ შენს სიბრძნეს, მაგრამ... არც ჩვენ ვიყავით სულ მთლად მართალნი... – მიმართა ქუჯიმ.

– მართლები არ ვიყავითო? რატომ? ვის ეკუთვნის ეს ჰაერი, ჩვენ რომ ვსუნთქავთ? ვის ეკუთვნის ეს წერილი? განა დავით ვეზირს?!

თქვენც ისე თავზარდაცემულნი შესცქეროდით მას, თითქოს უკვე საპყრობილეში ეყარეთ. არა, მაშ, შეთქმულებას ამზადებთ? ეჰ, ესეც თამაშია, როგორც კამათლის თამაში, ოღონდ აქ დიდვეზირს ვეთამაშებით!

ამომ ჯიბიდან უჯარმიდან გამოგზავნილი წერილი ამოიღო და კითხვა ისევ თავიდან დაიწყო. „ჩემო საყვარელო დეიდაშვილო! მე სიღნაღში წასვლა გადავწყვიტე, რადგან ჩემმა დამ იქ, ბოდბეს წმინდა ნინოს დედათა მონასტერში მიაღებინა ჩვენი საბრალო მოახლე. მას დიდი განსაცდელი ელოდა... ჩვენი ოჯახის საქმეები თუ კარგად წარიმართა, მე მგონია სულიერ ნეტარებას მივიღებთ... დიდ მადლობას გიძღვნი ჩემი და, ასე კარგად მოგონებისთვის. იგი ერთხანს წუხდა, მაგრამ მას მერე, რაც თავისი მსახური გაგზავნა იქ, ცოტათი დამშვიდდა... ნახვამდის, ძვირფასო! ნათელა“.

– ოჰ, რა სიკეთე დამდე, ამო! საწყალი შუშანა! მაშ, მისი ამბავიც მომივიდა! ცოცხალი არის, დედათა მონასტერშია, ბოდბეში, ავთო, სად არის ბოდბე? – შეჰყვირა ქუჯიმ.

– კახეთში, სიღნაღთან ახლოს. განძის გარემოცვას რომ მოვრჩებით, მერე იქით ჩავისეირნოთ...

– იმედია, დიდი დრო აღარ დასჭირდება განძის აღებას. ერთი მსტოვარი ჩამოახრჩვეს დილით და იმას უთქვამს, რომ განძელებს თავიანთი წაღების ტყავის მეტი საჭმელი აღარა აქვთო... – თქვა ტარომ.

– რა ბრიყვეები არიან ეს უბედურები!

– ამო! ახლა დავწვავთ ეგ წერილი. თუმც, შესაძლოა, ვეზირს რაიმე საშუალება ჰქონდეს და ფერფლიდანაც გაარჩიოს ნაწერი!

– კი ექნება! – თქვა ავთომ და მოინაფა ერთი ფიალა შესანიშნავი ატენური ღვინო და ნასყიდას უხმო.

– ნასყიდა, მოდი აქ!

ნასყიდა უმალ გამოეჭიმა.

– აბა, ჩემო ნასყიდე! ეს ბარათი კარგად დალექე და გადაყლაპე, ზედ კი ეს დალოცვილი ღვინო მიაყოლე.

ნასყიდას ჩაეცინა და სწრაფად გადაყლაპა წერილი; ზედ სიამოვნებით, მოზრდილი ფიალით ატენურიც მიაყოლა.

– ყოჩაღ, ნასყიდა! მე მგონია, ახლა შეგვიძლია სრულიად მშვიდად ვიყოთ, მართალია, თუ ბატონ ვეზირს რაიმე მზაკვრული აზრი არ მოუვიდა თავში და საწყალ ნასყიდას მუცელი არ გამოფატრა... – ჩაიცინა ავთომ.



კარგა ხნის განმავლობაში ახალი არაფერი მომხდარა განძასთან დაბანაკებულ სამეფო ჯარში. მხოლოდ ესაა, რომ მეფემ, რომელიც, ჩვეულებრივად, მუდამ მოწყენილი ბრძანდებოდა, კიდევ უფრო მოიწყინა, მან გადაწყვიტა, ჩუმიად ნასულიყო ტფილისში და წმინდა გიორგობის უქმეები იქ გაეტარებინა. მეფემ სარდალ დავით დიდვეზირს დაავალა, ოცი ცხენოსანი მონასპელი გაეყოლებინა. დიდვეზირმა, რომელსაც ხშირად გადაედებოდა ხოლმე მეფის მოწყენილობა, სიამოვნებით შეასრულა მამა-მეფის სურვილი, რომელმაც აღუთქვა, ათ დღეში ისევ ბანაკში დავბრუნდებო. დავით ვეზირმა ვაჩე ჩიქვანს აცნობა მეფის სურვილი. ვაჩეც მაშინვე შეუდგა მონასპელების შერჩევას. მან იცოდა, როგორ ენატრებოდათ მის მეგობრებს ტფილისში დაბრუნება, გრძნობდა, რომ რალაც უხილავი გარემოება მოითხოვდა მათ იქ ყოფნას და ისინი დანიშნა მეფის ამაღლაში გამყოლებად. მალევე ოთხ ყმანვილ კაცს ეს ამბავი თვითონ ბატონმა ვაჩემ აცნობა.

ქუჯიმი განსაკუთრებით ახლა დააფასა დავით დიდვეზირის წყალობა. მას რომ მონასპელებში არ გადაეყვანა, ქუჯი იძულებული იქნებოდა, ბანაკში დარჩენილიყო იმ დროს, როდესაც მისი მეგობრები ტფილისისაკენ წავიდოდნენ. ტფილისში დაბრუნების სურვილს მათ ის უფრო უცხოველებდათ, რომ ეშინოდათ, საწყალი შუშანასთვის ბოდბის მონასტერში მტრებს არ მიეგნოთ. ამის გამო, ამომ წერილი მისწერა იმ უჯარმელ დეიდაშვილს, რომელსაც წარჩინებული ნაცნობები ჰყავდა, და სთხოვა როგორმე მოეხერხებინა ქალბატონ შუშანასთვის დედოფლის ნებართვა გამოეთხოვა მონასტრიდან გამოსვლისა და სხვაგან ცხოვრების შესახებ. თანხმობის პასუხმაც დიდხანს არ დაიგვიანა. ამ წერილობით პასუხს თან ანო-დედოფლის წერილ-მიმართვაც ახლდა ბოდბის მონასტრის წინამძღვარ-ილუმენიასადმი.

ეს წერილი დამცინავ ხუმრობას აღძრავდა მეგობრებში. კერძოდ, ამოს ეს ვითომ ნათესაური ურთიერთობანი ქალთან, რომელიც თავის თავს დედოფლის დას ეძახდა. ამო ბოლოს განაწყენდა და მეგობრებს გაბრაზებულმა განუცხადა, რომ თუ კიდევ ვინმე კრინტს დაძრავდა ამაზე, აღარ შეაწუხებდა თავის დეიდაშვილს და არ იშუამავლებდა ამ საქმის მოსაგვარებლად. ამიტომ შემდგომ, მეგობრებმა ამ თემაზე იყუჩეს. მით უფრო, რომ უკვე ბოდბის დედათა მონასტრიდან შუშანას გამოყვანის დასტური თვით დედოფლისაგან ჰქონდათ მიღებული.

მოულოდნელად ვაჩე ჩიქვანმა მეგობრებს აცნობა, რომ მეფე ტფილისს მიბრძანდებოდა ოცი რჩეული მონასპელის თანხლებით და ისი-

ნიც ამ ამაღლაში იყვნენ ჩარიცხულები. მეორე დილას მეფესთან ერთად ტფილისისაკენ მონასპელებიც დაიძრნენ. დავით დიდვეზირმა მეფე-ბატონი შამქორამდე გამოაცილა. აქ მეფე და მისი პირველი ვეზირი ერთმანეთს ძალიან მეგობრულად და მამაშვილურად გამოეთხოვნენ. მოწყენილი მეფე, რომელსაც დროსტარება ენატრებოდა, დიდი სისწრაფით მიაჭენებდა ცხენს. მას უნდოდა, გიორგობას უკვე ტფილისში ყოფილიყო, თუმცა ხანდახან ჩერდებოდა და ნადირობით ერთობოდა, ეს მისი საყვარელი გასართობი იყო.

ბოლოს, ღამით, მეფე სატახტი ქალაქ ტფილისში შევიდა. მან მადლობა გადაუხადა ვაჩე ჩიქვანს და ნება დართო, ხუთი დღით დაესვენებინა მონასპელები. ოღონდ იმ პირობით, რომ არავის გაებედა მეფის კარზე, საზოგადოებაში გამოჩენა.

– ჰოჰ, ღმერთო! მე მგონი, მეტად ვართულებთ სულ უბრალო საქმეს. მე ბოდბეში ჩავიდოდი, ანო-დედოფლის წერილს მივართმევედი მონასტრის წინამძღვარ-ილუმენიას და წამოვიყვანდი ჩემს საყვარელს ტფილისში, სადაც უფრო კარგად იქნება დამალული, მეტადრე, სანამ დიდვეზირი განძასთან ბრძანდება. მერე, რაკი ეს ომიანობა გათავდებოდა და მეც დავბრუნდებოდი, ცოტას ამოს დეიდაშვილი შემენეოდა, ცოტას კიდევ დედოფლის წინაშე ჩემი პირადი დამსახურება და.... – იძახდა ქუჯი.

– ჩემო ქუჯი! ნუ გავიწყდება, რომ ბოდბე სიღნაღთანაა, სადაც ვეზირმა შეხვედრა დაუნიშნა ქალს, რომელიც ყველასთვის უბედურების მომტანია, მცირე ქალაქია სიღნაღი, შენ მხოლოდ შეიარაღებულ კაცებთან რომ გქონდეს საქმე, ქუჯი, მარტოს გაგიშვებდით. მაგრამ ვაი, რომ საქმე გაქნილ და გაქსუებულ დედაკაცთანა გაქვს! მაშ, მოდი, ერთად წავიდეთ, ღმერთმა ინებოს, ოთხივე ყოველგვარ მოულოდნელობას გავუმკლავდეთ.

– ჰოჰ, მიხეთქავ გულს, ავთო! ნეტა ვიცოდე, ასე რა გაშინებს! – მიუგო ქუჯიმ.

– ყველაფერი!

ქუჯიმ ამოსა და ტაროს სახეზეც რაღაც შიშმორეულ ფიქრიანი ნუხილი შენიშნა.

მეორე დღეს მეგობრები მონასტრისკენ ცხენების ჩქარი ჩორთით გაუდგნენ გზას. გზაში კი ხმას არავინ იღებდა. ღამით სოფელ ნუკრიანის შესასვლელთან მეგობრები ცხენებიდან ჩამოხტნენ და სოფლის დუქანში შევიდნენ, რომ წაეხემსათ და პირი ღვინით გაესველებინათ.

სწორედ ამ დროს დუქნის ეზოდან ვილაც მხედარი სწრაფად გამოვიდა. როდესაც ამ მხედარმა ალაყაფის კარებიდან ქუჩაში გამოაჭენა ცხენი, ქარისაგან ქუდი მოეხადა და მიწაზე დაუვარდა. უცნობი მაინც არ გაჩერდა და ცხენის ჭენებით წავიდა. ქუჯი ამ კაცს უნებურად და უმიზნოდ თვალს არ აშორებდა. უცებ იგი მარდად წამოხტა და უცნობი მხედრის დასანევად გაიქცა. მეგობრები წამოცვივდნენ და თავისი ცხენისაკენ სირბილით მიმავალი ქუჯი დაინახეს, რომელსაც ჭიშკართან დაეწინე და შეაყენეს.

– რა მოხდა? სად მირბიხარ?

– ის არის! გამიშვით, დავენო! ჩემი თანმდევი ბოროტი სული, რომელიც გამომეცხადება ხოლმე, როცა რაიმე ცუდი უნდა გადამხდეს. ის კაცი, რომელიც თან ახლდა იმ ავსულ დედაკაც ბორენას, პირველად რომ შევხვდი. ეს ის კაცია მცხეთის სასტუმროში რომ მამაჩემის ვაჩე ჩიქვანისადმი მიწერილი წერილი მომპარა. ეს შუშანას მომტაცებელია! დავინახე! სწორედ ის იყო!

– ქუჯი, ხომ ხედავ, რომ მას დასვენებული ცხენი ჰყავს, ჩვენ კი დაქანცულები, მაშასადამე, ვერ დავენევით! – უთხრა ამომ. ამიტომ მონასპელებმა დუქანში ისაუბმეს, ცხენებიც დაასვენეს და მერე ბოდბის მონასტრისკენ აიღეს გეზი.

ბოროტ ადამიანებს ზოგჯერ ისეთი ბედი სდევთ თან, რომლის გამოც ისინი ყოველგვარი განსაცდელიდან უვნებელი გამოდიან. ბორენამ სწორედ ამგვარი ბედისწერით მოახერხა ტრაპიზონში გამომძვრალიყო უიმედო სიტუაციიდან და ტფილისში სრულიად მშვიდობიანად ჩასულიყო. ბორენამ გზად, ქუთაისში ცხენიანი მალემსრბოლი იქირავა და დავით ვეზირს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „*სამხედრო ბანაკი განძასთან* – დიდო ბატონო, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, თქვენი განკარგულება შესრულებულია. ბიზანტიელები გელასის მეთაურობით ზურგიდან კარგა ხანს ველარ შემოგვიტყვენ... თქვენი სურვილისამებრ, სიღნაღთან, ბოდბის დედათა მონასტერში გაახლებით. იქ დაველოდები თქვენს ბრძანებას – თქვენი პატივისმცემელი – *ბორენა*“.

ბორენა ტფილისში ჩასვლიდან მეორე დღესვე ბოდბისკენ გაემგზავრა, სადაც დავით ვეზირის წარმომადგენელს უნდა შეხვედროდა. ეს წარმომადგენელი კი სწორედ ის უცნობი მხედარი იყო, რომელიც ქუჯის ნუკრიანის დუქანთან შეეფეთა.

ბოდბის მონასტერში მისულ ბორენას წინ მონასტრის წინამძღვარი გამოეგება. ბორენამ მას დავით ვეზირის ბრძანება გადასცა. ბორენას წინამძღვრის განკარგულებით, ცალკე ოთახი გამოუყვეს. მან ხომ დავით ვეზირის საზარელი დავალება მშვენივრად დაავიროვინა. ამიტომ ბატონიშვილისგან ჯილდოს ელოდა.

საუზმის შემდეგ ბორენას სანახავად წინამძღვარ-ილუმენი მივიდა. ყურადღებიან და გულკეთილ წინამძღვარს ეჩქარებოდა, მალე გაეცნო მონასტრის ახალი სტუმარი. ბორენასაც ძლიერ უნდოდა, მასპინძელს მოსწონებოდა, რაც რთული არ იყო ამ მოხერხებული ქალისთვის. იგი შეეცადა მასპინძელთან მომხიბლავი და საინტერესო საუბარი ეწარმოებინა, რომ თავისი სიტყვით ხანშიშესული მონაზონი ალტაცებაში მოეყვანა.

დიდებულთა გვარის ქალი იყო წინამძღვარი და ძალიან უყვარდა სასახლის ახალი ამბების მოსმენა. ბორენამ კი სწორედაც დანვრილებით იცოდა დიდებულთა წოდების ყოველი მითქმა-მოთქმა; რადგან თვითონაც ხშირად ამ წარჩინებულთა წრეში ტრიალებდა. იგი გულკეთილ წინამძღვარს მეფის კარის დიდებულების და მათი ზნე-ჩვეულებების შესახებ დანვრილებით მოუთხრობდა. წინამძღვარი ღიმილით, სიამოვნებით ისმენდა მონაყოლს, მაგრამ თქმით კი არას ამბობდა. ბორენა განაგრძობდა წინამძღვრის გართობას. თან ნელა დავით ვეზირის შესახებ ამბებიც შეაპარა. მაგრამ აქ კი გაუძნელდა ბაასი. რადგან ვისკენ იყო წინამძღვარი, არ იცოდა – მეფისაკენ თუ გავლენიანი დიდგვარიისაკენ. ისევ სიფრთხილე არჩია. წინამძღვარიც, თავის მხრივ, უფრო მეტად ფრთხილობდა, ხმის ამოუღებელიც ისმენდა ბორენას ნათქვამს და ღრმა პატივისცემით აკანტურებდა თავს, როდესაც ბორენა დიდგვარის ახსენებდა. ბორენა გრძნობდა, რომ მისთვის ძალიან მოსაწყენი იქნებოდა მონასტერში ცხოვრება და გადანყვიტა, ახლავე გამოეცადა წინამძღვარი, რომ სცოდნოდა, შემდეგში როგორ მოქცეულიყო. უნდოდა შეემონებინა, რამდენად თავდაჭერილი იყო ეს ტკბილი წინამძღვარი, ამიტომ დაიწყო დავით ვეზირის გაჭორვა და მისი რამდენიმე საყვარელი ანაზღად დაასახელა. წინამძღვარი უფრო მეტი ყურადღებით უსმენდა. შემდეგ ბორენამ დაუმატა, თუ როგორ სასტიკად სდევნიდა და სჯიდა იგი თავის მტრებს. მონაზონი პირჯვარს ინერდა. ბორენამ იფიქრა, რომ წინამძღვარი უფრო მეფის, ვიდრე ვეზირის მომხრე უნდა ყოფილიყო.

– მე მაგ მიწიერი ამბების არაფერი გამეგება. მაგრამ მაინც ცუდია ასეთი დაპირისპირება მეფის კარზე! ჩვენც აქ ერთი უბედური გვყავს, ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ტანჯვა განუცდია სანყალს შურისძიების გამო დევნით... – გაამხილა წინამძღვარმა.

– ოჰ, ღმერთო! ნუთუ აქაც გყავთ უბედური, საბრალო ქალი?

– მართლაც საბრალოა, დატუსალება, ავადმოპყრობა, ყველაფერი აუტანია სანყალს. ალბათ დიდვეზირს ასეთი მკაცრი მოქცევისათვის საფუძვლიანი საბაზი ჰქონდა...

– ჩვენი დიდვეზირი განა მართო დამნაშავეებს სდევნის?

– განცვიფრებული ვარ თქვენი პირდაპირი ნათქვამით... – უთხრა მია-მიტმა წინამძღვარმა.

– რატომ განცვიფრდით?

– თქვენ ახლობელი უნდა ბრძანდებოდეთ დავით ვეზირისა, რადგან თქვენ მისი თხოვნითა ხართ აქ...

– ეჰ, რა ვქნა, რომ ახლობელი კი არა, სინამდვილეში მისი ტუსადი ვარ...

– იცრუა ბორენამ ოხვრით.

– მერე, რატომ არ გაიქცევით?

– სად ჯანდაბაში დავემალეები? განა არის სადმე ამ ქვეყანაზე ისეთი ადგილი, რომ პირველი ვეზირი ვერ მისწვდეს? მე რომ კაცი ვყოფილიყავი, არ გამიჭირდებოდა, გავბედავდი, მაგრამ რას გახდება დიდვეზირ დავითთან ერთი ჩემსავით სუსტი ქალი? განა აქ რომ დევნილი ახალგაზრდა ქალი გყავთ, მან კი სცადა გაქცევა? ჰო, რა ჰქვია იმ უბედურს?

– ერთმა მეტად წარჩინებულმა პირმა გამომიგზავნა და ქეთო ჰქვიაო, შემომითვალა, მეც აღარ ჩავძიებვიარ, რომ მისი ნამდვილი სახელი გამეგო.

– ქეთო?! – შეჰყვირა ბორენამ.

– დიახ, იქნებ იცნობთ კიდევ?

ბორენას უცბად გაუელვა ფიქრმა, რომ შეიძლება ეს ქალი მისი ყოფილი მოახლე ყოფილიყო. ამ გოგოს გახსენებას თან მოჰყვა მისთვის ცუდი ამბის გახსენება, რამაც ჯავრის ამოყრის მძლავრი სურვილი შეახსენა.

– როდის შეიძლება მაგ საბრალო ქალის ნახვა? ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა მისი გაცნობა! – იკითხა ბორენამ.

– კარგით, სადილობისას გაგაცნობთ!

ამ დაპირებით შემდეგ მონაზონი გამოეთხოვა და ეკლესიისკენ წავიდა სალოცავად. ბორენა კი მონასტრის ბაღში გავიდა და იქ მერხზე ჩამომჯდარი თავის ფიქრებს მიეცა. მას ახალი აღმოჩენის იმედი ჰქონდა და ეს უმაგრებდა ბოროტი თავგადასავლებით გაუმძღარ გულს. ბორენას თან დიდვეზირის მტკიცე დაპირება აგონდებოდა, შეუზღუდავი და თავისუფალი მოქმედების შესახებ, თუკი ბორენა მის დავალებას ხორცს შეასხამდა! ასე და ამგვარად ქუჯი უკვე მის ხელთ იყო! მხოლოდ ერთი რამ აღონებდა – ეს იყო თავისი პირველი საქმროს, ერისთავ ავთანდილ თმოგველის გახსენება, რომელიც კარგა ხნის მკვდარი ეგონა. იგი კი ავთოდ იქცა და ქუჯის ძმაკაცი გამხდარა. მაგრამ, თუ მართლაც ქუჯის საუკეთესო მეგობარი იყო, მაშ, მასაც ხომ უნდა მიელო მონაწილეობა მთელ იმ ამბავში, როდესაც ანო-დედოფალმა ასე კობტად გააცურა თავისი გერი, დავით ვეზირი? მაშ, ავთოც დიდვეზირის მტერი ყოფილა! „ჰოდა, ახლა შურისძიების სუდარას ერთიანად შემოვახვევ ყველა ჩემს მტერს“. ბორენასათვის ეს ფიქრი მეტად ტკბილი იყო.

სადილობის წინ მონასტრის წინამძღვარმა ბორენას ახალგაზრდა ქალი გააცნო. ბორენასათვის ეს ქალი სრულიად უცნობი იყო. ორივენი ერთმანეთს ყურადღებით ათვალიერებდნენ. ახალგაზრდა ქალს უშნოდ შეეკერილი, მონაზვნის შავი კაბა ეცვა. ბორენას სახეზე დიდებული იერი და თვითკმაყოფილების ღიმილი ეფინა. მონაზონმა ქალები ერთმანეთს გააცნო, დაეთხოვა მათ და მარტო დატოვა.

– მე თქვენი დიდი იმედი მაქვს, სანამ ამ მონასტერში ვარ...

– ქალბატონო, ალბათ დაღლილი ხართ და დასვენება გჭირდებათ! თქვენი შენუხება არ მინდოდა.

– არა პირიქით, ძალიან მონყენილი ვარ! მოდით, ვისაუბროთ... ცოტას მაინც გავერთობით!

– ღმერთო, რა უბედური ვარ! აი, უკვე თვეებია, რაც აქა ვარ და ჩემთვისაც არავითარი გართობა არ არსებობს. ახლა თქვენ მოხვედით, მაგრამ, ალბათ მე თვითონ ძალიან ცოტა ხანს დავრჩები ამ მონასტერში, – თქვა მორჩილმა.

– განა ასე მალე მიბრძანდებით აქედან?

– იმედი მაქვს...

– ჰო, ყური მოგკარი, თურმე აუტანელი ტანჯვა გადაგიტანიათ დავით ვეზირისაგან. თუ ეს მართალია, მაშინ კიდევ უფრო გულითადი იქნება ჩვენი მეგობრობა.

– მაშ, ჩვენმა კეთილმა წინამძღვარმა მართალი მითხრა? თქვენც განვალათ იმ ბოროტმა?

– ჩუმად! აქაც კი ავს ნურას ვიტყვით მის შესახებ! რომ იცოდეთ, რამდენი ვაი-ვაგლახი გადამხდა მარტო იმიტომ, რომ მეც თქვენსავით სწორედ ეგ სიტყვები წამომცდა ერთ ქალთან, რომელიც მეგობრად მიმაჩნდა და იმ მეგობარმა კი დამაბეზლა!

– მეც აქ არც მეგობრები მყავს, არც ფული მაქვს! გადმოკარგული ვარ კახეთის იმ ნაწილში, სადაც ჩემს დღეში არ ვყოფილვარ, აქაურობას სრულებით არ ვიცნობ. თავის გასამაგრებლად აღამიანს ყოველთვის განგების იმედი უნდა ჰქონდეს, ერთხელაც იქნება, დადგება დღე, როდესაც თქვენ მიერ დათესილი სიკეთე ხმას ამოიღებს ღვთის წინაშე თქვენს სასარგებლოდ. იცოდეთ, თუ როგორმე გავედი აქედან, მეგობრებს დავიხმარ და, როგორც ჩემს განთავისუფლებას აპირებენ, არც თქვენს შევლას დაიზარებენ.

– მარტოდმარტო ვარ-მეთქი, რომ ვთქვი, იმას კი არ ვგულისხმობდი, თითქოს არავინ მყავდეს, კარგი ნაცნობები მყავს, ძალიან წარჩინებულნი, მაგრამ რას გაანწყობენ, ისინი თვითონვე კანკალებენ დავით ვეზირის შიშით! თვითონ დედოფალსაც ვერ გაუბედავს დავით ბატონიშვილის წინააღმდეგობა. დანამდვილებით ვიცი, რომ მეფე-მამა-ბატონი, მიუხედავად მისი გულკეთილობისა, არაერთხელ გახდა იძულებული, დავითის მძვინვარებისათვის დაეთმო. ანო დედოფალი მეტად გულკეთილია, – თქვა ბორენამ.

– ოჰ, მაშ, ჩვენს დიდსულოვან დედოფალს იცნობთ?

– პირადად არ ვიცნობ, მაგრამ კარგად ვიცნობ მის ბევრ საუკეთესო მეგობარს... მაგალითად, ბატონ ვაჩე ჩიქვანს.

– ბატონ ვაჩეს იცნობთ? მაშ, მისი მონასპელებიც იცით...

– დიახ, რომლებიც ვაჩეს სახლში ხშირად დაიარებიან. რომელი ერთი დაგისახელოთ? – უპასუხა ყოყმანით ბორენამ.

– ავთოს იცნობთ? – ავთოს ხსენებაზე ბორენამ თავი ვერ შეიკავა, შეჰკვივლა და უნებურად ხელი სტაცა თავის თანამოსაუბრეს.

– ვაიმე, ღმერთო! რა დაგემართათ?

– არა... ეგ სახელი უცნაურად მეჩვენა... ოჰ, გამახსენდა, მე მის მეგობრებსაც კარგად ვიცნობ: ტაროს, ამოსა და ქუჯის!

– მაშ, ქუჯი-გიორგისაც იცნობთ? – შეჰყვირა მორჩილმა.

– თქვენ ახლა კი გიცანით, თქვენ შუშანა ხართ?

განცვიფრებულმა და შეშინებულმა ახალგაზრდა ქალმა უკან დაიხია. მაგრამ, სამაგიეროდ, ბორენა არ დაიბნა და უცბად შუშანა გულში ჩაიკრა.

– ოჰ, ჩემო მშვენიერო გოგონავ! ოჰ, რა ბედნიერი ვარ, რომ შენი ნახვა სრულიად მოულოდნელად მეღირსა! – ალერსით ამბობდა ბორენა და მომნუსხველი მზერით ნთქავდა თავის მომავალ მსხვერპლს, – თქვენ სწორედ ისეთი ხართ, როგორიც ქუჯიმ ამინერა.

რას წარმოიდგენდა სანყალი შუშანა, თუ რა საშინელი ფიქრი უტრიალებდა ბორენას თავში, როდესაც მისი თვალები მისდამი მხოლოდ თანაგრძნობას გამოხატავდნენ.

– მაშ, თქვენ იცით, თუ რა ტანჯვა გადავიტანე. მაგრამ ჩემს ტანჯვას მალე ბოლო მოელება. – ხვალ, ან იქნება ამ საღამოსაც, ვნახავ ჩემს საყვარელ ქუჯის...

– ეგ შეუძლებელია! ქუჯი განძას არის, ჯარში და იქიდან ვერ დაბრუნდება, სანამ იმ ქალაქს არ აიღებენ.

– თქვენ ასე გგონიათ, მაგრამ ჩემი ქუჯისთვის განა არის რამე შეუძლებელი? აი, მისი ბარათიცა მაქვს... სადაც მპირდება, რომ მალე მომაკითხავს.

– ჰო, გადაჭრით გპირდებით, – მოუწონა ბორენამ.

ამ დროს ჭენებით მომავალი ცხენის თქარათქური გაისმა.

– ოჰ, ნუთუ ის არის? ქუჯი! – შეჰკვივლა შუშანამ და აივნის მოაჯირიდან გადახედვა სცადა. ამ მოულოდნელმა გარემოებამ ბორენა გააშეშა და ფიქრის უნარი დროებით წაართვა. ამ მცირე დროის განმავლობაში იმდენი რამე მოხდა, რომ თავის სიცოცხლეში პირველად აებნა გონება.

– ვაი, ის არ არის? დიდვეზირის მეშინია! აქეთ მოდიან!

მართლაც, კარი გაიღო და წინამძღვარი შემოვიდა, რომელმაც ბორენას შეატყობინა, რომ ვილაც ახლად მოსულ კაცს მისი ნახვა სურდა. ამბობს, ვეზირისაგან ვარ გამოგზავნილიო.

– მე წავალ, მარტო დაგტოვებთ იმ უცხო კაცთან, მაგრამ როგორც კი წავა, მაშინვე თქვენთან დავბრუნდები.

წინამძღვარი და შუშანა გავიდნენ, ბორენა მარტო დარჩა და უცხოო მოლოდინში კარს მიაცქერდა. მალე კარი შემოაღეს და ოთახში ერისთავი შადიმა ხუნანელი, დავითის ხელქვეითი შემოვიდა.

– აჰ! თქვენა ხართ? – შეჰყვირა ბორენამ.

– დიახ, მე გახლავარ!

– საიდან მოდიხარ?



- განძის გარემოცვიდან! თქვენ?
- ტრაპიზონიდან!
- გელასი კომნინი?
- მკვდარია ან მძიმედ დაჭრილი, რადგან ერთი ისეთი მორწმუნე ფანატიკოსი მივუგზავნე, რომ უსათუოდ გამოასალმებდა სიცოცხლეს.
- აჰ! აი, ბედნიერი შემთხვევა, დიდვეზირი ძალიან დაგიმადლებთ. შეატყობინეთ?
- ჯერ კიდევ ქუთაისიდან მივწერე, თქვენ აქ როგორ გაჩნდით?
- ამბის უცოდინარობას ნუხდა დიდვეზირი და მე გამომგზავნა თქვენს საძებნელად.
- ჰმ, ვის შევხვდი აქ, იცი? აბა გამოიცანი!
- არ ვიცი, როგორ უნდა გამოვიცნო?
- იმ ახალგაზრდა ქალ შუშანას, საპატიმროდან რომ დაიხსნა დედოფალმა.
- ქუჯის საყვარელს?
- დიახ, შუშანას. ბატონმა ვეზირმა რომ ვერსად იპოვა.
- ძალიან კარგი! ესეც მეორე ბედნიერი შემთხვევა, მართლაც რომ ილბლიანია ჩვენი ვეზირი, – ეამა შადიმას.
- მაგრამ მალე დედოფლის ბრძანებას მოიტანენ იმ ქალის წასაყვანად.
- კარგით, ერთი! ვინ მოიტანს?
- ქუჯი და მისი მეგობრები!
- იმდენს იზამენ ეგ უბედურები, რომ იძულებულები გავხდებით ყველანი ციხეში გამოვკეტოთ. მაგრამ რას იზამ? ვეზირს ეგენი ძალიან მოსწონს. მე კი ვერ გამიგია, რა აქვთ მოსაწონი ამ თავხედებს?
- შადიმა! უთხარით დიდვეზირს, რომ განძასთან პატარა სოფლის სასტუმროში ყოფნის დროს იმ მონასპელებმა თავიდან ბოლომდე მოისმინეს ჩვენი ბაასიო. უთხარით, რომ მისი წასვლის შემდეგ ჩემთან შემოვარდა ერთი მათგანი და ხელიდან გამომგლიჯა დიდვეზირის მიერ მოცემული ნებართვა. უთხარით, რომ მათ აცნობეს იასონ გიაგუჟულოსს ჩემი ტრაპიზონს წასვლა და კინაღამ ჩამიშალეს დავით ვეზირის დავალების შესრულება, როგორც ამასწინათ ჩამიშალეს სხვა საქმე. უთხარით, რომ ოთხში მარტო ორია საშიში: ქუჯი და ავთო. უთხარით, რომ მესამე, ამო, საყვარელია ქალბატონ ნათელა უჯარმელისა... რაც შეეხება მეოთხეს, ტაროს, უმნიშვნელო სულელი და თავმომწონე ქარაფშუტაა.

– კი მაგრამ, ისინი ამჟამად ხომ განძაში უნდა იყვნენ და აქ როგორ მოვლენ?

– მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ შუშანას წერილი მოსვლია ნათელა უჯარმელისაგან და ის უბედური იმდენად გაუფრთხილებელია, რომ მაჩვენა ბარათი, ამიტომ ვამბობ, რომ ოთხივე აქეთ მობრძანდება იმ ქალბატონის წასაყვანად.

– ვაი, გამინყრა ღმერთი, ახლა რა ვქნათ?

– რა გითხრა ვეზირმა ჩემ შესახებ?

– შენგან სიტყვიერი ცნობები მივიღო და მერე მასთან გავემგზავრო...

– შენ გავინყდება, რაც წელან გითხარი, აქ შეიძლება ჩემი მტრები მოვიდნენ.

– ეგეც მართალია! შემიძლია ვეზირს იმ ქალის შესახებ მოვახსენო?

– მოახსენე, რომ... დამშვიდებული ბრძანდებოდეს, ყველაფერს მოვაგვარებ! ეს გადაეცი და დანარჩენს თვითონ მიხვდება. ჰო, არ დაგავინყდეს, მონასტრის წინამძღვართან მკაცრად მაძაგე.

– ეგ რისთვის?

– მე დევნილი ვარ, დავით ვეზირისაგან წამებული, ამით მინდა მოვიპოვო სრული ნდობა იმ სულელი შუშანასი. ჰო, მერე სიღნაღში დაველოდები ვეზირის ახალ განკარგულებას. მაშ, აბა, ვიმეორებ: გელასი მოკლული ან სასიკვდილოდ დაჭრილია; ჩემი და ვეზირის ბაასი მონასპელების მიერ მოსმენილია; იასონ გააგუპულოსს წინასწარ აცნობეს ბიზანტიაში, ტრაპიზონს მისვლა. ქუჯის და ავთოს – ციხე-საპყრობილე; ამო – ქალბატონ ნათელა უჯარმელის საყვარელი; მონასტერში ანო დედოფლის შუშანას აღმოჩენა. ძალიან კარგი! მაშ, ნახვამდის, რაინდო შადიმა!

– ნახვამდის, ქალბატონო ბორენა!

ის იყო, შადიმა ხუნანელი ოთახიდან გავიდა, რომ მეორე კარი შუშანამ შეაღო, რომელსაც ბორენა მოცინარი სახით დაუხვდა.

– მაშ, თქვენი შიში ასრულდა? ვეზირის ხალხი წაგიყვანს? – იკითხა შუშანამ.

ბორენა წამოდგა, კართან მივიდა, გამოაღო, დერეფანში გაიხედა და მერე ისევ გვერდით მიუჯდა შუშანას.

– ის კაცი, ჩემო, ჩემი ძმია! – უთხრა ბორენამ.

– თქვენი ძმა? – შეჰყვირა შუშანამ.

– ჩემი ძმა წამოსულა იმ განზრახვით, რომ თუ გაჭირდებოდა, ძალით გავეტაცე.

- ვაი! – წამოიძახა შუშანამ და შიშმა აიტანა.
- გატყუებენ, ჩემო შუშანა! ქუჯიცა და მისი ამხანაგებიც განძასთან არიან და იქ იქნებიან, სანამ ქალაქს არ აიღებენ.
- მერე, ეს თქვენ საიდან იცით?
- ჩემს ძმას შეხვედრიან ვითომ მონასპელი, სინამდვილეში კი ვეზირის კაცები... დაგიძახებენ, კართან მიგიტყუებენ და ტფილისში ჩაგიყვანენ.
- ოჰ, ღმერთო! ველარა გამიგია რა ამდენ ბოროტების ქაოსში! რა ვქნა? რას მირჩევ, მითხარი, უფრო მეტი გამოცდილება გაქვს, ვიდრე მე.
- უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ამბავიც, რომ შეიძლება ვცდებოდე, ქუჯი და მისი მეგობრები შეიძლება მართლაც მოვიდნენ წასაყვანად.
- ოჰ, ნეტამც! – შეჰყვირა შუშანამ.
- შენი ხსნა მაშინ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვინ უფრო ადრე მოვა წასაყვანად. თუ შენმე მეგობრებმა აჯობეს, საბოლოოდ თავისუფალი იქნები, მაგრამ თუ დავით ვეზირის მოხელეებმა დაასწრეს, მაშინ კი აღარაფერი გეშველება. უნდა დავიმალოთ და წინასწარ გავიგოთ, ვინ არის მოსული შენს წასაყვანად.
- მერე, სად დავიმალო?
- ბალის კართან ჩემი ეტლი დგას და შეგვიძლია ერთად გავიქცეთ სილნალისკენ!
- მერე, ქუჯი რომ მოვიდეს?
- მაშ, შევთანხმდით?! ბალში...

ქალებმა გაუღიმეს ერთმანეთს და განშორდნენ. ბორენას, თავი მართლაც გაბრუნებული ჰქონდა. საჭირო იყო მარტო დარჩენა, რომ თავისი ფიქრები ცოტათი მაინც დაეღაგებინა. საჭირო იყო მოქმედების გეგმა საბოლოოდ შეემუშავებინა. შუშანას გატაცება და მიუგნებელ ადგილას დამალვა იყო ყველაზე საჩქარო საქმე. ბორენასათვის მთავარი ის იყო, ხელში ჰყოლოდა შუშანა. ეს ახალგაზრდა ქალი ქუჯის მთელ სიცოცხლედ უღირდა. ამიტომ ბორენას თუ ბედი გაუღიმებდა, ხელში მძევალი ეყოლებოდა. მაშინ მოსალაპარაკებლად ძალიან ხელსაყრელ პირობებს მოსთხოვდა მონინალმდეგეს. ბორენას ეს საკითხი გადანყვეტილი ჰქონდა, თან უნდა წაეყვანა შუშანა, და რაკი მასთან ერთად მიიმალებოდა სილნალში, ადვილად დაარწმუნებდა ქალს, რომ ქუჯი არ მოსულა ბოდბეში... შადიმა ალბათ ერთი კვირის შემდეგ უკან დაბრუნდებოდა. ამ დროის განმავლობაში იგი დაუფიქრდებოდა მდგო-

მარეობას და შეადგენდა მტრებზე შურისძიების მოხერხებულ გეგმას. მალე ბორენამ მისკენ მომავალი შუშანა შენიშნა.

– ჩემო შუშანა! შენს ოთახში ადი და მოემზადე წასასვლელად! – უთხრა ბორენამ, – საჩქაროდ უნდა ვივახშმოთ, იქნება დიდხანს მოგვიხდეს ღამით მგზავრობა და დავნაყრდეთ, ძალა მოვიკრიბოთ.

– ღმერთო! გული მიმდის, ფეხზე ველარა ვდგავარ, – ამოიკვნესა შუშანამ და ხელი გულთან მიიღო.

– გამაგრდი! მალე თავისუფალი იქნები! ნუ დაივინცებ, რომ ყველაფერს ქუჯისათვის აკეთებ.

– ოჰ, მართალს ამბობ! მისთვის რას არ ავიტან!

ბორენა საჩქაროდ ავიდა თავის ოთახში. იქ კი მეეტლე დახვდა, რომელიც დაარიგა: თუ შემთხვევით მონასპელები გამოჩნდებოდნენ, მონასტრის გალავნისთვის უნდა შემოეველო და ბორენას მოსვლამდე გაჩერებულიყო პატარა სოფელში. თუ მონასპელები არ მოვიდოდნენ, მაშინ ყველაფერი ისევ ადრევე გათვალისწინებული შეთანხმების მიხედვით მოხდებოდა...

მალე შუშანაც მოვიდა. ბორენამ ხელით ანიშნა, მის გვერდით დამჯდარიყო, პატარა სასმისში დაუსხა ღვინო და მრგვალად მოხარული დედლის ბარკალი მიანოდა.

– ხედავ? ყველაფერი მზად არის! – მიმართა ბორენამ.

– ჰო, მალე წავიდეთ!

– მალე მივალთ ჩვენს ახალ თავშესაფარში, სიღნაღში და იქ დავიმალებით!

უცბად შარაგზიდან ცხენების თქარათქური გაისმა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა. ბორენა აღელვებული გავარდა აივანზე, რომ გადაეხედა. შუშანა შეშინებული კანკალებდა და ტახტის მოაჯირს ეყრდნობოდა, რომ არ ნაქცეულიყო. ისევ ისმოდა თქარათქური, ეტყობოდა, მონასტერს უახლოვდებოდნენ.

– ღმერთო... ნეტავი ვინ უნდა იყვნენ? – ამოღერღა შუშანამ.

– ჩვენი კეთილისმსურველი, ან მტრები! მე გაცნობებ, ვინც იქნებიან!

– უპასუხა გულცივად ბორენამ.

შუშანა იქვე ტახტზე მისვენებული და გაფითრებული დარჩა. ბორენა გზას მოუთმენლად გადასცქეროდა. უცბად, გზის მოსახვევში, ცხენის მოსართავმა გაიელვა. მალე მხედრების წინ მომავალი ქუჯი იცნო და ყრუდ ამოიკვნესა.

– ოჰ, დიდგვზირის რაზმელები არიან! გავიქცეთ, თორემ დავიღუპებით! წამოდი! ბაღში ჩავიდეთ და უკანა კარიდან გავიპაროთ, ავჩქარდეთ! – შეჰყვირა ბორენამ და ხელი წაავლო მისუსტებულ შუშანას, რომ თან წაეყვანა. შუშანამ სცადა გააპყლოდა, მაგრამ ფეხები მოეკვეტა და იქვე ჩაიკეცა.

– ოჰ, ღმერთო! ხომ ხედავ, ფეხები აღარ მემორჩილება. მე თავი დამანებე, თავს უშველე!

– მარტო წავიდე? შენ ვერ მიგატოვებ! – ბორენა ღელვისაგან თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, რადგან მსხვერპლი ხელიდან უსხლტებოდა. იგი უცბად სუფრას ეცა, სწრაფად გახსნა თითზე წამოცმული ბეჭდის ზედა მხარე და შუშანას წყლიან სასმისში მომწვანო ელფერის თეთრი ფხვნილი ჩაუშვა. შემდეგ ეს სასმისი მშვიდად აიღო, საწყალ შუშანასთან მივიდა...

– მოსვი, სულს მოითქვამ! – ბორენამ შუშანას სასმისი პირთან მიუტანა და შეასმევინა ჯოჯოხეთის მოციქულის სახით. ამის შემდეგ იგი ოთახიდან სწრაფად გავარდა. შუშანასაც უნდოდა გაქცევა, მაგრამ სიარული აღარ შეეძლო. ამ დროს, კართან რაღაც აღელვებული ხმები გაისმა. შუშანამ მათში ქუჯის ხმა გაიგონა და მაშინვე იცნო.

– ქუჯი... აქეთ!..

– შუშანა... სადა ხარ?..

რამდენიმე კაცი ერთდროულად ოთახში შევარდა. შუშანა ტახტზე მისვენებულიყო და ველარ მოძრაობდა. ქუჯიმ, იქვე, სატრფოს წინაშე მუხლი მოიყარა და ხელი დაუჭირა.

– ოჰ, ჩემო საყვარელო ქუჯი, მოხვედი? არ მიმატოვე...

– ჰო, ახლა ერთად ვართ, ჩემო შუშანა...

– ის ქალი სულ იმას ამბობდა, შენი ქუჯი არ მოვაო... მე კი გაქცევა არ მინდოდა. კარგი ვქენი, რომ არ გავყევი...

– ის ქალიო! – აღელდა ავთო.

– ვინ ქალი? მისი სახელი? – შეჰყვირა ქუჯიმ.

– ჩემი ახალი გულშემატკივარი მეგობარი... გიაგუპულოსის ქვრივი! იმ ქალის ეტლი ბაღის კართან იდგა. ის ამბობდა, ქუჯის ახლი მეგობარი ვარო... რა ვქნა, რა მემართება? ღმერთო! გონება მერევა, ველარას ვხედავ, გული მიმდის...

– მიშველეთ, მეგობრებო! – დაიყვირა ქუჯიმ.

ამ დროს თვალებგაყინული ავთო სუფრასთან იდგა, დაშტერებოდა ერთ სასმისს და ეტყობოდა, საშინელი ეჭვი უღრღნიდა გონებას:

„ნუთუ სანყალი გოგო იმ ალქაჯმა მონამლა“, ფიქრობდა ავთო. სანყალ შუშანას სახე მთლად გაუყვითლდა, მწვავე ტკივილმა ძალა გამოაცალა, ძლივსლა სუნთქავდა.

– ნუთუ მონამლა?.. – თქვა ქუჯიმ და ხმა ჩაუნყდა.

– იმ დედაკაცისგან ყველაფერი მოსალოდნელია! – უპასუხა ავთომ მღელვარედ.

როცა ქუჯიმ იგრძნო, რომ შუშანა ხელში ჩააკვდა, მან დაიყვირა და გულშეღონებული იატაკზე დაეშვა. ამ დროს ოთახში შემოვიდა კაცი, რომელიც ისეთივე ფერმიხდილი იყო, როგორიც მონასპელი მეგობრები იყვნენ. მან იქაურობას თვალი გადაავლო, უცბად დაინახა გარდაცვლილი შუშანა და გულშეღონებული ქუჯი.

– მაშ, არ შევმცდარვარ, აი, ქუჯი და მისი მეგობრები: ავთო, ტარო და ამო. ბატონებო! თქვენც, როგორც მე, დაექებთ ერთ ქალს, რომელიც, ვხედავ, აქ ყოფილა, რადგან მკვდარია ამ ოთახში. მე იასონ გიაგუშულოსი გახლავართ, მაზლი იმ ქალისა, რომელმაც ეს ბოროტება ჩაიდინა.

სამივენი ამ კაცს გაკვირვებულები მუნჯად შეჰყურებდნენ.

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, პატივცემულო იასონ! ერთად ვიმოქმედოთ ამ ავსულის წინააღმდეგ! – უთხრა ავთომ.

ამ დროს ქუჯი გონზე მოვიდა და თავისი შეყვარებულის ცხედრისაკენ გაიწია. ავთო ქუჯისთან მივიდა, მხარზე მოეხვია და შთამაგონებელი ხმით მიმართა.

– ქალი დაიტირებს მოკლულს, ვაჟკაცი კი მტრის ჯავრს ამოიყრის! აბა, მეგობარო, ვაჟკაცურად...!

– მართალი ხარ! – თქვა ქუჯიმ.

ავთომ ტაროსა და ამოს ანიშნა, რომ წინამძღვარი მოეყვანათ. მათ დერეფანში აქეთ მომავალი მონასტრის წინამძღვარი შეხვდათ, რომელსაც თან რამდენიმე მონაზონი წამოეყვანა. ავთომ წინამძღვარილუმენიას მიმართა:

– თქვენი კეთილმზრუნველობისათვის მიგვიწვია ამ უბედური ქალის ცხედარი. უმორჩილესად გთხოვთ ისე მოუაროთ, როგორც თქვენს ერთ-ერთ დათავანს. მერე ჩვენც გეახლებით, რომ მუხლი მოვიდრიკოთ მის საფლავზე და მხსნელი მაცხოვარი ვახსენოთ.

შემდეგ ავთომ ქუჯი გარეთ გაიყვანა. იგი ანუგეშებდა, როგორც მამა და მფარველობას უწევდა, როგორც უფროსი, მრავალი უბედურების მნახველი ადამიანი. მალე მეგობრები მონასტრიდან გავიდნენ და

სიღნაღისაკენ გაემართნენ. ეს პატარა ქალაქი იქვე ახლოს იყო. ქალაქში მონასპელებმა სასტუმრო მოძებნეს და იქ შეაფარეს თავი.

– იმ ბოროტ და ავქალს რატომ არ ვეძებთ? არ გაგვექცეს... ავთო, თუ გაგვექცა, შენი ბრალი იქნება, იცოდე!

– დაიცადეთ, ჯერ წინასწარი ზომები უნდა მივიღოთ! მე მიგულეთ თავდებად! ვერ გაგვექცევა! – თქვა დინჯად ავთომ.

თავისი მეგობრის კაცური სიტყვის ქუჯის ისე ღრმად სწამდა, რომ თავი დალუნა და სასტუმროს მისთვის განკუთვნილ ოთახში ხმაამოუღებელიე შევიდა. ტარომ და ამომ ერთმანეთს გადახედეს. ისინი ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რისი იმედი ჰქონდა ავთოს. იასონ გიაგუპულოსს კი ეგონა, რომ ავთომ ასეთი პასუხი მხოლოდ ქუჯის და მათ დასამშვიდებად თქვა.

– მეგობრებო! ახლა ჩვენ ჩვენს ოთახებში შევიდეთ მოსასვენებლად, ქუჯისათვის აუცილებელია მარტოობა, რათა სატროფო დაიტეროს... თქვენ კი დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მე ვკისრულობ ყველაფერს. თანაც მე ვალდებულიც ვარ, რადგან იგი ჩემი ნაცოლარია, – თქვა ავთომ დამაჯერებლად.

– მე მგონია, თუ კი რაიმე ღონისძიება არის ჩასატარებელი ამ დედაკაცის მიმართ, ეს ჩემი ვალდებულებაა არის, რადგან იგი ჩემი ყოფილი რძალია! – უთხრა იასონ გიაგუპულოსმა.

ავთოს გაუათმაგდა პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც კიდევ უფრო ამახვილებდა ამ ღირსეული კაცის გონებას. მეგობრებთან და იასონთან ნაკისრი ვალდებულების გრძნობით შეპყრობილი ავთო თავის ოთახში ყველაზე ბოლოს შევიდა. იგი ტახტზე წამოწვა და ახალ გეგმაზე დაიწყო ფიქრი. შემდეგ მან სასტუმროს მეპატრონე გამოკითხა და გაარკვია, რომ ბოდბის მონასტრიდან სიღნაღამდე ქედის გასწვრივ ტყე-ტყე მხოლოდ ერთი გზა მიდიოდა. ავთომ თავისი და მეგობრების მსახურები გამოიძახა და მათ, თითოეულს, ზუსტი განკარგულებები დაუსახა. ოთხივე ხვალ, გათენებისას, ბუჭუკას მეთაურობით უნდა წასულიყო სიღნაღში. იქ კი იმ გზით უნდა ევლოთ, რომლითაც ბორენასათვის გამოგზავნილი ეტლი წავიდა. ავთომ თავისი გეგმის ასასრულებლად მსახურები გამოიყენა. ეს იმიტომ, რომ კარგა ხანი იყო, მას და მის მეგობრებს ემსახურებოდნენ ეს ბიჭები და ყველას იცნობდა, იცოდა ოთხივეს ნიჭისა და მოხერხების ამბავი. გარდა ამისა, მსახურები გამვლელ-გამომვლელეებში უფრო ადვილად გამოიკითხავდნენ ამა თუ იმ პიროვნების ვინაობას და საცხოვრებელ ადგილს. თანაც, ბორენა

ბატონებს იცნობდა, მსახურებს კი არა, ხოლო მსახურები იცნობდნენ ბორენას. შემდეგ მსახურებს, თუ ბორენას სამყოფელს მიაგნებდნენ, ერთად უნდა ეთვალთვალათ მისთვის. სამი სათვალთვალოდ იქვე დარჩებოდა, ხოლო მეოთხეს კი ავთოსათვის უნდა შეეტყობინებინა ყველაფერი. მსახურები ბრძანების ასასრულებლად გაემართნენ. ავთომ კი წამოსასხამი მოისხა და ქუჩაში გავიდა. ამ დროს, ღამით, ქუჩები მიყრუებული იყო და კანტიკუნტად თუ შეხვდებოდი გამვლელებს. ავთომ კითხვა-კითხვით ძლივს სასურველი გეზი-მიმართულება აიღო. გამოკითხულებს შემცბარი და შეშინებული სახეები ჰქონდათ. ბოლოს ავთო ქალაქის იმ გარეუბანში მოხვდა, საიდანაც ისა და მისი მეგობრები შევიდნენ სიღნაღში. ამ უბნის ბოლოში, დაფერდებაზე ერთი პატარა, განცალკევებული სახლი იდგა.

ავთო სუროთი მოსილ კედლებიანი სახლის ეზოში შევიდა. აქ სინათლე არ ჩანდა და ჩამიჩუმიც არ ისმოდა. იდუმალი მარადისობა გამეფებულიყო, როგორც სასაფლაოზე. ავთომ კარზე რამდენჯერმე დააკაკუნა. ცოტა ხანში კარი ვილაცამ ოდნავ შეაღო და ზღურბლზე ახოვანი, შავთმანვერიანი კაცი გამოჩნდა. ამ კაცმა და ავთომ ჩუმად რამდენიმე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს. შემდეგ დამხვდურმა ავთო შინ შეიწვია. ავთო ბევრს ეწვალა, სანამ მიაგნებდა ამ კაცის სახლს და ახლა უკვე მის ოთახში იყო. აქ, კუთხეში, ადამიანის მთელი ჩონჩხი იდგა, მას მხოლოდ თავისქალა აკლდა, რომელიც იქვე, მაგიდაზე იდო. ოთახის დანარჩენი მორთულობაც იმას ამტკიცებდა, რომ ამ სახლის პატრონი ბუნებისმეტყველებით უნდა ყოფილიყო გატაცებული. იქვე, ქილებში დასპირტული გველები და მორიელები ენყო. ჭერზე კი კონებად შეკრული სურნელოვანი გამხმარი ბალახი ეკიდა, რომელთა საიდუმლო თვისებაც, ალბათ, მხოლოდ მეპატრონემ იცოდა. ამ ადამიანს ეტყობოდა, რომ იგი მარტოდმარტო ცხოვრობდა.

ავთომ უხალისოდ, ცივად გადაავლო თვალი იქაურობას და მერხზე ჩამოჯდა. მასპინძელი ავთოს გამომცდელი მზერით შესცქეროდა და ხმას არ იღებდა. ავთომ ასე გვიან მოსვლის მიზეზი მოკლედ აუხსნა. მაგრამ როგორც კი გაიგო მასპინძელმა ავთოს მისვლის მიზანი, ალელვებულმა უკან დაინია და იუარა. მაშინ ავთომ ბარათი აჩვენა, რომელსაც კაცმა თვალი გადაავლო და ნახა ხელის მონერა. მაშინ მან თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. ამით დაკმაყოფილებული ავთო წამოდგა, გამოემშვიდობა დამხვდურს და ქუჩაში გავიდა. იგი სასტუმროში იმავე, ნაცნობი გზით დაბრუნდა, თავის ოთახში შევიდა და კარი ჩაკეტა.



როგორც კი ინათა, ქუჯი მაშინვე შევიდა ავთოსთან და ჰკითხა: – აბა, რას ვაპირებთ?

– ლოდინს! – უპასუხა ავთომ მოკლედ.

ცოტა ხნის შემდეგ მონასტრის წინამძღვარმა აცნობა მონასპელებს, რომ მიცვალებულს შუადღისას ასაფლავებდნენ, რაც შეეხება უბედურის მომწამვლელს, მის შესახებ არაფერი იცოდნენ. როგორც ეტყობოდა, იგი ბალიდან უნდა გაქცეულიყო, რადგან ბალის ხეივნის ქვიშაზე მისი ნაფეხურები ნახეს.

დანიშნულ დროს იასონ გიაგუპულოსი და ოთხი მონასპელი მონასტერში იყვნენ. გლოვის ზარი ისმოდა, ეკლესია ღია იყო, შუაში დაესვენებინათ სანყალი შუშანა. მიცვალებულს მონაზონის ტანისამოსი ეცვა. მიცვალებულის ორივე მხარეს მგლოვიარე მონაზვნები მოგროვილიყვნენ. ეკლესიის კართან დაღონებული ქუჯი იდგა. იგი რალაცის სათქმელად მიუბრუნდა ავთოს, მაგრამ მისი მეგობარი წასულიყო. ავთოს თავისი დაპირების მეტი, სამაგიეროს გადახდის შესახებ, აღარაფერი ახსოვდა.

მონასტრის ბალისა და მიმდებარე ტყის კვლევამ ავთოს ვარაუდი სავსებით გაამართლა. იგი დაუყოვნებლივ დაბრუნდა სასტუმროში, სადაც ბუჭუკა დახვდა. ყველაფერი ისე მომხდარიყო, როგორც ავთო ფიქრობდა. ბუჭუკა გაჰყოლოდა დანიშნულ გზას, მასაც ავთოსავით დაენახა სისხლის გუბე, მიეგნო იმ ადგილისათვის, სადაც ცხენები დაეყენებინათ, მაგრამ ბუჭუკას უფრო წინ წაენია კვლევა, ვიდრე ავთოს. სოფელში შესულიყო ერთ დუქანში პირის გასასველებლად და კითხვა არც კი დასჭირვებოდა, ისე გაეგონა ლაპარაკი, რომ ნუხელ ერთი ქალი და მისი მზღებელი, რომლებიც ეტლით მიემგზავრებოდნენ, იძულებულნი გახდნენ, აქ გაჩერებულიყვნენ, რადგან ორივე ცუდად გრძნობდა თავს. ამას მობაასენი ყაჩაღებს აბრალებდნენ, რომლებიც ტყეში თავს დასხმოდნენ ეტლს, კაცი იქვე, სოფელში დარჩენილიყო, ქალს კი გამოეცვლევივნებინა ცხენები და ისევ თავის გზას გასდგომოდა. მაშინ ბუჭუკამ დაიწყო ძებნა მსახურისა, რომელმაც ეტლით წაიყვანა ბორენა. იპოვა კიდეც იგი და მისგან გაიგო, რომ მას სოფლამდე მიეყვანა ქალი, რომელიც იქიდან სიღნაღში გამგზავრებულიყო. ბუჭუკაც მაშინვე ამ მიმართულებით გაემურა. სიღნაღში ერთადერთი სასტუმრო იყო და ბუჭუკაც შიგ შევიდა, ითხოვა, მსახური ვარ, უალაგოდ დავრჩი, იქნება მიმილოთო. მალე სასტუმროს მსახურებთან ლაპარაკში უკვე გაეგო, რომ ღამით ერთი ქალი მისულიყო მარტოდმარტო, ოთახი

აელო, დაებარებინა სასტუმროს პატრონი და ეთქვა, რომ ცოტა ხნით სილნალის მიდამოებში აპირებდა დარჩენას. ამაზე მეტი აღარა უნდოდა რა ბუჭუკას. გაიქცა, იპოვა თავისი ამხანაგები, სამივე თავ-თავის სათვალთვალზე დააყენა და თვითონ ავთოსაკენ გამოიქცა. ავთო ბუჭუკასთან ლაპარაკს ამთავრებდა, როდესაც მეგობრებმა კარი შემოაღეს. სამგლოვიარო, მწუხარე და მოლუშული სახე ჰქონდა ყველას.

– ჰა, რას ვაპირებთ? – იკითხა ქუჯიმი.

– ლოდინს! – მიუგო ისევ ავთომ.

ყველანი ისევ თავ-თავის ოთახებში შევიდნენ. სალამო ხანს კი ავთომ ცხენები შეაკაზმვინა და იასონსა და თავის მეგობრებს აცნობა, რომ წასასვლელად მომზადებულიყვნენ. მალევე ყველანი მზად იყვნენ. ბოლოს თვითონ ავთოც მოვიდა, ამ დროს ქუჯი უკვე ცხენზე შემოჯდარიყო, რადგან მას ძალიან ეჩქარებოდა.

– მოითმინეთ! ერთი კაცი გვაკლია, – სთხოვა ავთომ.

გაკვირვებული მონასპელები და იასონი აქეთ-იქით იცქირებოდნენ, რომ გაეგოთ, ვინ აკლდათ. ამასობაში ბუჭუკამ ავთოსაც მოჰგვარა ცხენი. ისიც ცხენს მარდად მოახტა და ამხანაგებს სთხოვა, ცოტა ხანს დამიცადეთ, ახლავე მოვალო. იგი, მართლაც, მალე დაბრუნდა და თან ვილაც ნიღბიანი კაცი მოიყვანა, რომელიც შავ წამოსასხამში იყო გახვეული. იასონი და სამი მონასპელი თვალებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ უპასუხოდ რჩებოდა ეს ჩუმი კითხვა, რადგან არავინ იცოდა, ეს კაცი ვინ იყო.

მალევე მეგობრები დაიძრნენ. მათ ბუჭუკა ჰყავდათ მეგზურად. პირ-ქუში და ნალვლიანი სანახავი იყო ეს მსვლელობა. ისინი ჩაფიქრებულნი და მოლუშულნი ჩუმად მიდიოდნენ. ბნელი ღამე ქარიანი იყო. შავი ღრუბელი ზეცას მოჰფენოდა და ვარსკვლავებს ფარავდა. ხანდახან, ელვის სინათლეზე, წყვილიადმი დაცარიელებული გზა გამოჩნდებოდა. მალე ტყის პირი გაიარეს და შემდეგ, როდესაც სილნალში ჩავიდნენ, ბუჭუკას მითითების თანახმად, მარცხნივ შეუხვიეს. რამდენჯერმე სცადეს ხან იასონმა, ხან ტარომ და ამომ, ლაპარაკი დაენწყით შავწამოსასხამიან კაცთან, მაგრამ ის პასუხს არ იძლეოდა და ხმის ამოუღებლად უქნევდა თავს. მაშინ მეგზურები მიხვდნენ, რომ უცნობი რაღაც მიზეზის გამო ხმას არ იღებდა და თავი დაანებეს.

ქარი უფრო და უფრო მეტად მატულობდა. ელვა-ქუხილიც არ ცხრებოდა. ცხენოსნები წამოსასხამებში გაეხვივნენ და უფრო აჩქარდნენ. ქუჯი სიამოვნებით უშვერდა მწუხარებით გახურებულ შუბლს წვიმის

შხეფებს. მოსახვევთან კი ვილაცა კაცი, რომელიც დასველების შიშით ლეღვის ხის ქვეშ შეფარებულიყო, გზაზე გამოვიდა. ავთომ ნასყიდა იცნო.

– რა მოხდა? ნუთუ სიღნაღიდანაც გაგვექცა? – იკითხა ქუჯიმ კბილების კრაჭუნით. ნასყიდამ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია.

– ნასყიდ! საით წავიდა? – იკითხა ავთომ. ნასყიდამ ხელი გაიშვირა ქვემოთ, მდინარე ალაზნისკენ.

– ის აღქაჯი მდინარის პირას ყოფილა! აბა, ნასყიდა, წინ გაგვიძეხი!

ნასყიდა ფერდობზე დაეშვა და ახლა ის გახდა გეზის მიმცემი. ცხენოსნები კარგა ხნის ჭენების შემდეგ მდინარე ალაზანს მიადგნენ. ამ დროს გაიელვა და მგზავრებმა დაინახეს პატარა სოფელი. კიდეც გაიელვა. ნასყიდამ ხელი გაიშვირა და ეღვის ნათებაზე, მდინარის პირას, ბორნის ახლოს, განცალკევებული სახლი დაინახეს, რომელშიდაც მბჟუტავი სინათლე მოჩანდა.

– მოვედით! – თქვა ავთომ. ამ დროს თხრილიდან მოთვალთვალე ბოჩია წამოიმართა და სახლისაკენ ხელი გაიშვირა.

– იქ გახლავთ, – მოახსენა მან.

– მოხერხებული და ყოჩალი ბიჭები ყოფილხართ! – შეაქო ავთომ.

ავთო ცხენიდან ჩამოხტა, დანარჩენებს ანიშნა, კარებთან მისულიყვნენ, თვითონ კი სახლის გარშემო შემოვლისათვის გაემართა. სახლს გარშემო დაბალი ღობე-ყორე ეკრა. ავთო სარკმელთან მივიდა და ოთახში შეიხედა. ოთახში ლამპარი ენთო, ბუხრის მიმქრალ ცეცხლთან სავარძელში წამოსასხამით მოფუთული ქალი იჯდა. სახე ქალს არ უჩანდა, მაგრამ ავთომ მაშინვე იცნო, მის მიერ ძებნილი ბორენა. ამ დროს ცხენმა დაიჭიხვინა და ბორენა შეცბა. მან ავთოს სახე დაინახა და შეშინებულმა შეჰკივლა. ავთო მიხვდა, რომ მისმა ნაცოლარმა იცნო და სწრაფად შევარდა ოთახში. ბორენა მეორე კარს ეცა, იქ კი გამაგებული ქუჯი დახვდა. ბორენამ ამოიხავლა და უკან დაიხია. ქუჯის მოეჩვენა, რომ კიდეც რალაც გასაქცევი გზა აქვსო და ამიტომ შეშინდა, ხელიდან ისევ არ გასხლტომოდათ და ხანჯალი იძრო.

– ქუჯი, ეგ ხანჯალი შეინახე! ჩვენ აქ ამ დედაკაცის განსასჯელად მოვედით და არა მოსაკლავად! – უთხრა ავთომ, – აი, შენც დარწმუნდები, მოითმინე!

ქუჯი დაემორჩილა ავთოს, რომელსაც თვით ღვთისაგან მოვლენილი მსაჯულის ხმა ჰქონდა. ქუჯის თან შემოჰყვნენ ტარო, ამო, იასონი და შავწამოსასხამიანი კაცი. გარეთ ოთხი მსახური სახლს დარაჯობდა.

ბორენას ხელები აღეპყრო და შიშით შესცქეროდა ოთახში შემოსულებს. მაზლის დანახვაზე კი მას კივილი აღმოხდა.

– რა გინდათ, რას მერჩით?!

– ჩვენ გვინდა ქალბატონი ბორენა ვნახოთ, რომელიც ჯერ ერისთავ ავთანდილ თმოგველის მეუღლედ იწოდებოდა, შემდეგ კი ბიზანტიელ დიდებულ გიაგუპულოსის ცოლად, – მიუგო ავთომ.

– მე ვარ, მე! რა გინდათ ჩემგან? – ნაილულულა თავზარდაცემულმა.

– უნდა გაგასამართლოთ თქვენ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებების გამო, თქვენ თავის დაცვის უფლება გეძლევათ. აზნაურო ქუჯი-გიორგი, თქვენ მოგვახსენეთ, თუ რა ბრალსა სდებთ ამ ქალს? – თქვა ავთომ.

– ღვთისა და ადამიანების წინაშე ვამტკიცებ, რომ ამ ქალმა სანამლავი დააღვეინა და სიცოცხლეს გამოასალმა ქალბატონი შუშანა.

– მართალია, ჩვენ ვართ მაგის მოწმეები! – თქვეს ერთხმად მონასპელებმა და იასონმა. ქუჯიმ განაგრძო:

– ბრალსა ვდებ ჩემი მოწამელის ცდისთვის ამ ქალს მე. მან მონამლული ღვინო გამომიგზავნა და ყალბი წერილი. მე კი გადავრჩი, მაგრამ ჩემ მაგივრად სხვა მოკვდა.

– ჩვენ ვადასტურებთ ამ ამბავს! – თქვეს ერთხმად ტარომ და ამომ.

– ახლა თქვენ ბრძანეთ! – მიმართა ავთომ იასონ გიაგუპულოსს.

– ღვთისა და ადამიანთა წინაშე ვამტკიცებ, რომ ამ ქალმა მოაკვლევინა პრინცი გელასი კომნინი. დიახ, მე მივიღე თქვენი წერილი, თანახმად თქვენი გაფრთხილებისა, დავაჭერინე ეს ბოროტი სული და ერთ მეტად პატიოსან, ერთგულ მოსამსახურეს მივანდე მისი დარაჯობა. ამან გააბრიყვა, გარყვნა, ხანჯალი მისცა ხელში და მოაკვლევინა გელასი. ჯერ არ დამიმთავრებია. ჩემმა ძმამ თავის მემკვიდრედ ეს ქალბატონი დაამტკიცა და ამის შემდეგ გარდაიცვალა რაღაც უცნაური ავადმყოფობით, რომელიც მოლურჯო ფერის ლაქებს ტოვებს მიცვალებულის ტანზე. ჩემო რძალო! რამ მოკლა ასე უცბად ჩემი ძმა და თქვენი სანყალი ქმარი? ჩემი ძმის მკვლელი, გელასის მკვლელი! მე სამართალს ვითხოვ, ან მე ჩემებურად გავასამართლებ და დავსჯი!

– ახლა მამ, მეც მოგახსენებთ, – დაიწყო ავთომ, – ჯერ სულ ახალგაზრდა იყო ეს ავქალი, როდესაც ცოლად შევირთე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქორწინების წინააღმდეგი იყო მთელი ჩემი ოჯახი და საგვარეულო. მე ამ ქალს მივეცი ყელაფერი, რაც კი გამაჩნდა! ერთ მშვენიერ დღეს კი შევამჩნიე მის მხარზე სიძვის სვირინგი, აი, ისეთი, როგორიც ბიზანტიაში სამეძავო სახლების მრუმ ქალებსა აქვთ.

– ოჰ, აბა, დამისახელეთ ნამდვილი სასამართლო, რომელმაც განსაზღვრა ჩემი დასჯა... – შეჰყვირა ბორენამ და წამოვარდა.

– ჩუმად! ამის პასუხს მე მოგცემთ, – გაისმა უცნობის ხმა და შავნამოსასხამიანი კაცი წინ წარმოსდგა.

– ეს კაცი ვინ არის? – შეჰყვირა თრთოლვით ბორენამ.

ყველა ამ კაცს შეჰყურებდა. მას, ავთოს გარდა, არავინ იცნობდა. შავნამოსასხამიანი ნელი ნაბიჯით ბორენასთან მივიდა და ნილაბი ჩამოიხსნა. ბორენა შავნვერიან სახეს დააცქერდა, რომელზედაც გაქვავებული უგრძნობლობის მეტს ვერაფერს ამოიკითხავდით და საზარლად აყვირდა: – ოჰ, არა, არა! – ბორენა უკან-უკან წავიდა და კედელს ზურგით აეკრა. შემდგ მიბრუნდა, თითქოს უნდოდა, კედელი გაერღვია და გაქცეულიყო.

– არა, ეს სამარის მოჩვენებაა, ეს ის არ არის!.. მიშველეთ! – გაჰკიოდა ბორენა ხრინწიანი ხმით.

– აა... მიცანი! ხედავთ, მიცნო!

– დმანისელი ჯალათი! ოო, შემიბრალეთ! – შეჰყვირა შიშით გაგიჟებულმა ბორენამ და მუხლებზე დაემხო.

– დიახ, მე ქალაქ დმანისის ჯალათი ვარ და, აი, ახლა ჩემი უბედურება მოისმინეთ: ეს ლამაზი ქალი დირბის ღმრთისშობლის მიძინების სახელობის დედათა მონასტერში იყო მონაზვნად. მონასტრის მღვდელი ერთი გულუბრყვილო და ღვთისმოსავი ახალგაზრდა კაცი იყო. ამ ქალმა განიზრახა მისი ცთუნება და აისრულა კიდეც წადილი... მაგრამ დიდხანს ვერ დარჩებოდა შეუმჩნეველად მათი კავშირი და ორივე დაილუპებოდა, თუ გამოაშკარავდებოდა ეს საიდუმლოება. ამ ქალმა დაითანხმა მღვდელი და გადაწყვიტა, სადღაც შორს გადაკარგულიყვნენ. ამისათვის კი საჭირო იყო ფული. მღვდელმა მონასტრიდან მოიპარა ვერცხლის მოოქროვილი, წმინდა ბარძიმი და სხვა ჭურჭელი, გაყიდა ისინი, მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც გასაქცევად გაემზადნენ, ორივე დაიჭირეს. შვიდ დღეში საპყრობილის გამგებლის თექვსმეტი წლის ვაჟი აცთუნა ამ ქალმა და მღვდელთან ერთად გაიქცა. ორივე ისევ დაიჭირეს. უბედურ მღვდელს პატიმრობა არ აკმარეს და გაროზგვაც მიუმატეს. მაშინ მე ვიყავი ქალაქ დმანისის ჯალათი. იძულებული ვიყავი, რკინის ეკლიანი მათრახის ასი დარტყმით დამესაჯა დამნაშავე... ეს დამნაშავე კი ჩემი ღვიძლი ძმა იყო! მაშინ ჩავუთქვი ალთქმა, რომ ეს დედაკაცი, ჩემი ძმის დამლუპავი, რომლის ზეგავლენითაც იყო ის ქურდობა ჩადენილი – დამესაჯა. მერე გავიგე, რომ ჩემი

ძმა და ეს ქალი ისევ გაპარულიყვნენ საპყრობილედან. დამიჭირეს, მათი თანამოაზრეობა დამწამეს და მათ მაგივრად პატიმრობა მომი-საჯეს. ჩემი უბედური ძმა და ეს ქალი ერთად გადაკარგულიყვნენ ჯა-ვახეთში, ციხე-ქალაქ თმოგვთან, მდინარე მტკვრის ნაპირას, პატარა სოფელში. იქ ჩემს ძმას პატარა სამწყსო მიეღო და თავისი საყვარელი დად გამოეცხადებინა. ჩემი ძმის სამწყსო ერთი დიდი მეზატონის, ერისთავის, მამულეებში იდგა. დაინახა მეზატონის ვაჟმა მღვდლის და, მოეწონა და იმდენად შეუყვარდა, რომ მეუღლედ შეყვანა აღუთქვა თავის ოჯახში. იმ ქალმაც თავი მიანება თავის მიერ დაღუპულ ჩემს ძმას და გაუმიჯნურდა იმას, ვისაც მომავალში დაღუპავდა. იგი ერის-თავ ავთანდილ თმოგველის მეუღლე გახდა... – ყველამ ავთოს შეხედა. ავთომ თავი დააქნია იმის მტკიცებულებად, რომ ჯალათი მართალს ამბობდა. – შემდეგ სასონარკვეთილი ჩემი უბედური ძმა უკან, დმა-ნისში დაბრუნდა და როდესაც გაიგო, რომ მის მაგივრად მე ვიყავი დაპატიმრებული, გამოცხადდა... იმ ღამესვე საცოდავმა საკნის სარკმლის გისოსზე თავი ჩამოიხრჩო... აი, რას ვუჩივი მე ამ თახსირ და სულმდაბალ ქალს!

– აზნაურო ქუჯი! რა სასჯელს მოითხოვთ თქვენ ამ ქალის დასასჯე-ლად? – მიმართა ავთომ.

– სიკვდილით დასჯას!

– იასონ გიაგუპულოს! თქვენ რა სასჯელს მოითხოვთ?

– სიკვდილით დასჯას!

– ბატონო ამირან და ბატონო ტარიელ, თქვენ უფრო მიუყერძობლები ხართ! აბა, რას მიუხჯით ამ ქალს?

– სიკვდილით დასჯას!

ბორენამ საზარლად დაიკვილა და გაგულისებულმა რამდენიმე ნა-ბიჯი წინ გადადგა. იგი ავთომ ხელით გააჩერა და მიმართა:

– ბორენა! მეუღლევ ერისთავ ავთანდილ თმოგველისა, ბორენა გია-გუპულოს, თქვენმა ავქალობამ და ბოროტებამ ადამიანები გადალალა. თუ იცით რაიმე ლოცვა, ილოცეთ, რადგან მსჯავრდადებული ხართ და მოკვდებით!

ამ სიტყვების გაგონებაზე, რომლებიც მას აღარაფრის იმედს არ აძლევდა, ბორენა წამოვარდა და ავთოს ყმუილით, გამხეცებული ეცა. ამ დროს, დმანისელი ჯალათის მძლავრმა ხელმა შებოჭა ბორენა და იგი დაუნდობლად დაიმორჩილა. ყველანი, იასონი, ქუჯი, ავთო, ამო და ტარო უხმოდ გარეთ გავიდნენ.

შუალამე იდგა და ნახევარმთვარე მკრთალად ღრუბლებში მიმალულიყო. ქარი ოდნავ ჩამდგარიყო; ხანგამოშვებით იელვებდა ხოლმე შორს, კავკასიონის ქედზე. გარემოში სამარისებური დუმილი იდგა. წინ შებოჭილი ბორენა მსახურებს მიჰყავდათ. მათ უკან ჯალათი მისდევდათ. ბოლოს კი ქუჯი, ავთო, ამო, ტარო და ბიზანტიელი იასონი მოდიოდნენ. ეს მსვლელობა იქვე, მდინარე ალაზნისკენ მიემართებოდა. ბორენას ენა ჩავარდნოდა... როდესაც მდინარის ნაპირს მიუახლოვდნენ, ჯალათმა ხელ-ფეხზე ბორკილ-ხუნდები დაადო, ხოლო ფეხებზე დამატებით მძიმე ქვა მიაბა.

– ოჰ, თქვე ლაჩრებო, ამდენი კაცი იმისთვის შეერთდით, რომ ერთი ქალი მოკლათ... ფრთხილად! თუ ახლა ვერ მიშველიან, ჩემს ჯავრს მერე მაინც ამოიყრიან! შურს იძიებენ!

– თქვენ ადამიანი არა ხართ. თქვენ ავსული ხართ. თქვენ ბოროტი ქაჯი ხართ და ამიტომ საქაჯეთში მიგაბრუნებთ! – მიუგო ცივად ავთომ, – თანაც როცა ჯალათი კლავს მისჯილს, იგი კაცისმკვლელად არ ჩაითვლება.

– თუ დანაშაული მაქვს, რასაც მაბრალებთ, წამიყვანეთ სამეფო სამართალში, თქვენ ხომ მსაჯულები არა ხართ! – ნიოდა გამწარებული ბორენა.

– აკი შემოგთავაზეთ გასამართლება და გადასახლება. მაგრამ თქვენ არ ინებეთ! – უთხრა იასონმა.

– იმიტომ, რომ სიკვდილი არ მინდოდა! – შეჰყვირა ბორენამ და თან ცდილობდა, ხელიდან გასხლტომოდა ჯალათს, რომელიც მას ნავში სვამდა.

– იმ ქალსაც უნდოდა სიცოცხლე, მაგრამ თქვენ არ დაინდეთ. მონამლეთ და მოკალით.

– ოჰ, ღმერთო!.. ნუთუ დახრჩობას მიპირებთ? – ხელფეხშეკრული ბორენა ჯალათმა ნავში ჩასვა. მის კივილს რაღაც ისეთი გულისმომკვლელი ძალა ჰქონდა, რომ ქუჯიმ ველარ გაუძლო. იგი იქვე ჯირკზე ჩამოჯდა, თავი ჩალუნა და ყურები ხელებით დაიხშო.

– აღარ შემიძლია ამ საშინელების ატანა მე! ასე ნუ ვტანჯავთ!..

ბორენას ეს სიტყვები შემოესმა და მცირე იმედი ჩაესახა.

– ქუჯი! გაიხსენე... მე შენ მიყვარდი.

ქუჯი წამოდგა და ბორენასაკენ წაიწია. მას კი წინ ხმალამოღებული ავთო გადაუდგა.

– ქუჯი! ერთი ნაბიჯიც და ჩვენი ხმლები ერთმანეთს შეებმებთან. –  
უთხრა ავთომ ცივი მრისხანებით. ქუჯი შედგა, ცალ ფეხზე დაიჩოქა და  
ლოცვას შეუდგა.

– ჰა, ჯალათო! აასრულე შენი მოვალეობა, – დაუძახა ავთომ.

ნავი დაიძრა, შეცურდა ალაზანში და თან განკიცხულიცა და მისი  
დამსჯელიც წაიყვანა. დანარჩენები მდინარის ნაპირზე დარჩნენ.  
მდორე წყალზე ნავი ნელა მიცურავდა. როცა ნავმა მდინარის შუაგულს  
მიალნია, ჯალათმა ფეხებზე მძიმე ქვა გამობმული ბორენა წყალში გა-  
დააგდო.



### – თაჰი 26 –

შეფიცული მეგობრები სამი დღის შემდეგ უკვე ტფილისში იყვნენ.  
იმ საღამოსვე, ჩვეულებისამებრ, ბატონ ვაჩე ჩიქვანის სანახავად წავი-  
დნენ.

– ჰა, დრო როგორ გაატარეთ? – იკითხა მონასპელთა მეთაურმა.

– დიდებულად, საუკეთესოდ! – უპასუხა თავისი ამხანაგების მაგივრად  
ავთომ.

მომდევნო თვის მეშვიდე დღეს მეფე ისევ ქალაქ განძისკენ დაიძრა,  
რათა აესრულებინა დიდვეზირისადმი მიცემული სიტყვა და დანიშნულ  
დროზე დაბრუნებულიყო. დემეტრე მეფე ჯერ კიდევ გაბრუებული იყო  
პრინცი გელასი კომნინის სიკვდილის ამბის გაგებით. ანო-დედოფა-  
ლი გაფრთხილებული იყო, რომ პრინცს განსაცდელი ელოდა, მაგრამ  
როდესაც უთხრეს გელასის მოკვლის ამბავი, არ უნდოდა დაეჯერე-  
ბინა. მეფე კი გახარებული იყო. მაგრამ მას დიდხანს არ გაჰყოლია ეს  
სიხარული. მალე მოიღუშა და შეუძლოდ გახდა, გრძნობდა, რომ საჭი-  
რო იყო სამხედრო ბანაკში დაბრუნება. მისთვის სამხედრო ბანაკში  
დაბრუნება მონობის განახლება იქნებოდა... მაგრამ თავი აიძულა და  
მაინც დაიძრა განძისაკენ. დიდვეზირი, უფლისწული დავითი, ხანში  
შესულ მეფეზე მომნუსხველ ზეგავლენას ახდენდა. თვითონ მეფეს კი  
ამისგან თავის დაღწევა უჭირდა. ამიტომ მეფე ქალაქ განძისკენ ღრმად  
დამნუსხრებული მიბრძანდებოდა.



მონასპელებს შორის ოთხი მეგობრის გამორჩევით დინჯი ქცევა გარკვეულ გაკვირვებას იწვევდა. ისინი დამწუხრებული სახით ერთმეორის გვერდით მიდიოდნენ და ხმას არ იღებდნენ, რადგან მწარე ფიქრები აწუხებდათ. როგორც კი მეფის ამაღლა შევიდოდა სადმე, დაბაში და მეფეს დააბინავებდნენ, მეგობრები გამოძებნიდნენ მიყრუებულ დუქანს და ღვინის სმით იკლავდნენ დარდებს.

ერთ დღეს მეფე გზაში სანადიროდ გაჩერდა. მეგობრები, ჩვეულებისამებრ, დუქანში შევიდნენ და ღვინო მოითხოვეს. ამ დროს დუქნის კართან განძიდან მომავალი ერთი მხედარი ჩამოხტა. მან სწორედ იმ ოთახში შეიხედა, სადაც ავთო, ქუჯი, ტარო და ამო ისხდნენ.

– ოჰო, ბატონო ქუჯი-გიორგი! თქვენ ქეიფობთ მანდ? – შესძახა ახალმოსულმა მხედარმა. ქუჯიმ შეხედა და გაოცდა: ეს მისი შეურაცხყოფელი, უცნობი მცხეთელი იყო, რომელიც ხშირად აჩრდილივით დასდევდა უკან. ქუჯიმ ხმალი იძრო, მაგრამ უცნობი ამჯერად გაქცევის მაგივრად მისკენ გამოემართა.

– ჰოო, ახლა კი ველარსად წამიხვალ!

– ამჟამად ეგ არცა მაქვს განზრახული. მე თვითონ გეძებდით. მეფის ბრძანებით თქვენ დაპატიმრებული ხართ. გთხოვთ, ხმალი ჩამაბაროთ და წინააღმდეგობა არ განიოთ!

– კარგი... მაგრამ ვინ ბრძანდებით? – იკითხა ქუჯიმ და ხმალი ძირს დაუშვა.

– მე გახლავართ ერისთავი შადიმა ხუნანელი, მესაჭურვლე დავით ვეზირისა და ბრძანება მაქვს, ჩემს ბატონთან მიგიყვანოთ!

– ჩვენც სწორედ იქით მივდივართ, ბატონო მხედარო, იმედი მაქვს, ენდობით აზნაურ ქუჯი-გიორგის სიტყვას, რომ განძის ბანაკში მიდის, – უთხრა ავთომ და წინ წამოდგა, – ჩვენი პატიოსანი სიტყვა... მე მგონი საკმარისია! ბატონ ქუჯის ჩვენ არ მოვშორდებით...

შადიმამ დუქნის კარში დაინახა ამო და ტარო, მიხვდა, რომ ოთხი მონასპელი გაგლიჯავდა.

– ბატონებო, თუ ბატონი ქუჯი სიტყვას მომცემს, ჩემთვის საკმარისი იქნება თქვენი დაპირება, რომ მას დიდვეზირთან მიიყვანთ განძის ბანაკში.

– კეთილშობილი მონასპელის სიტყვას გაძლევთ!

– ჰო, ასე აჯობებს! მაშ, დავით ბატონიშვილთან შეხვედრამდე! – შადიმა ცხენს მოახტა და გაქუსლა ბანაკისაკენ.

ნაშუადღევს ამაღლა უკვე შამქორში იყო, პირველი ვეზირი სწორედ იქ ელოდა მეფე დემეტრეს. მეტად ალერსიანად შეხვდნენ ერთმანეთს

მამა-შვილი და ერთმანეთს მიულოცეს ბედნიერი შემთხვევა, რომლის წყალობითაც კიდევ ერთი მტრისაგან, ბიზანტიელი გელასისაგან განთავისუფლდნენ, რომელიც მახვილის ზურგში ჩაცემას ლამობდა.

შადიმას ვეზირისთვის მოეხსენებინა ქუჯის დაპატიმრება. დიდვეზირს ძალიან ეჩქარებოდა მონასპელების ნახვა, ამიტომ იგი გამოეთხოვა მეფეს და მეორე დღისათვის მიიწვია ნადიმზე. სალამოთი, როდესაც ვეზირი თავის დროებით სადგომში ბრუნდებოდა, კართან ქუჯი დაინახა. იქვე ახლოს სამი შეიარაღებული მონასპელი იდგა. ვეზირმა მრისხანედ გადახედა ქუჯის და ანიშნა, უკან გაჰყოლოდა. ქუჯი უსიტყვოდ დაემორჩილა.

– ქუჯი, აქ გელით! – დაუძახა ავთომ, ვეზირის გასაგონად.

ამაზე დავით ვეზირი უცბად შედგა და წარბები შეკრა, მაგრამ მერე კარისკენ ისე წავიდა, ხმა აღარ ამოუღია. ქუჯი უკან გაჰყვა. დიდვეზირი თავის სამუშაო ოთახში შევიდა და ქუჯი პირისპირ დარჩა ბატონიშვილთან. იგი მეორედ ხვდებოდა მას და როგორც მერე აღიარა, დარწმუნებული იყო, რომ ეს უკანასკნელი შეხვედრა იქნებოდა.

– იცით, რომ თქვენ ჩემი ბრძანებით დაგაპატიმრეს!

– მითხრეს, პატივცემულო, დიდო ბატონო.

– იცით, რისთვის?

– არა, რადგან ერთადერთი საქმე, რომლის გამოც შეიძლებოდა ჩემი დაჭერა, ჯერ არ იცით.

დავითმა ქუჯის თვალი თვალში გაუყარა.

– მაგით რის თქმა გნებავს?

– თუ კეთილს ინებებთ და მიბრძანებთ, რას მაბრალებენ, მეც მოგახსენებთ, რაც ჩავიდინე.

– თქვენ ისეთ ბრალს გდებენ, რამაც ბევრს გააგდებინა თავი!

– სახელდობრ რას მაბრალებენ?

– თქვენ გაბრალებენ სამეფოს მტრებთან მიმონერას. გაბრალებენ, რომ იცოდით სამეფოს საიდუმლოებანი და სცადეთ მთავარსარდალსპასუხის გეგმის ჩაშლა.

– მერე, ვინ მაბრალებს მაგას? – იკითხა ქუჯიმ, რადგან იეჭვა, რომ ბორენა უნდა ყოფილიყო მისი ცილისმნამებელი. – ვილაც დედაკაცი? მეფის სასამართლოს მიერ მსჯავრდებული! უნამუსო, რომელიც ერთ ქმარს აქ გაჰყვა და მეორეს ტრაპიზონში! ავსული, რომელმაც სანამლავი დააღევიანა და მოკლა თავისი მეორე ქმარი და სცადა ჩემი მონამვლაც?

- რას ამბობ? ვისზე ლაპარაკობთ ასე?
- ბორენა გიაგუშულოსზე! დარწმუნებული გახლავართ, თქვენ არაფერი იცოდით მისი ავქალობის შესახებ და ამიტომ თქვენი ნდობით სარგებლობდა.
- თუ ბორენა გიაგუშულოსმა მართლა ჩაიდინა ის, რასაც თქვენ აბრალებთ, სათანადოდ დაისჯება!
- უკვე დასჯილი გახლავთ, დიდო ბატონო!
- განა ვინ დასაჯა?..
- მე, ბატონო, და ცოცხალი აღარ არის!
- მკვდარი არისო! – შეჰყვირა ვეზირმა.
- დიას! რამდენჯერმე სცადა ჩემი მოკვლა და ვაპატიე... მერე ქალი მოკლა, რომელიც მე მიყვარდა! მაშინ კი ველარ მოვუთმინე და სათანადოდ დავსაჯე!
- ქუჯიმ დავით ვეზირს დანვრილებით უამბო შუშანას მონამვლის შესახებ, ბოდბის დედათა მონასტერში. გაბრაზდა ვეზირი ამ თავხედური ურჩობის და თვითმოქმედების გამო. მაგრამ უცბად, თითქოს რალაცა გაურკვეველი ფიქრის გავლენას განიცდიდა, ვეზირის აქამდე მოღუშულ სახეს ნელ-ნელა სიამოვნების სხივი მოეფინა და ბოლოს სულაც განათდა.
- მაშ, თქვენ მსაჯულობა გაბედეთ? – უთხრა ვეზირმა მკაცრი ხმით. – ის, ვინც უფლების გარეშე ასამართლებს, კაცისმკვლელია!
- გეფიცებით, ბატონო, ფიქრადაც არ გამივლია, რომ გადავრჩენოდი თქვენს მსჯავრს. აქ გახლავარ და მივიღებ იმ სასჯელს, რასაც თქვენ დამადებთ. სიცოცხლე არც ისე ტკბილი გახლავთ, რომ სიკვდილისა ეშინოდეს კაცს! ასე ვფიქრობ მე...
- ვიცი, ვიცი, ყოჩალი ბიჭი ხარ. ჰოდა, მაშ, ახლავე გეტყვი, რომ მართლმსაჯულება განიხილავს ამ საქმეს და იქნება დაისაჯოთ კიდევ!
- ჩემს ადგილზე, სხვა გიპასუხებდათ, რომ ჯიბეში უდევს თქვენი ხელმოწერილი გასამართლებელი საბუთი, მაგრამ სასჯელის მისაღებად მზად გახლავართ მე...
- ჩემ მიერ ხელმოწერილი საბუთი? – იკითხა გაკვირვებით ვეზირმა.
- იმედი მაქვს, დიდი ბატონი იცნობს თავის ხელმონაწერს. ქუჯიმ ჯიბიდან ამოიღო, გაშალა და დავითს წარუდგინა ის წერილი, რომელიც ავთომ ბორენას წაართვა და მერე ქუჯის გადასცა. ვეზირმა გამოართვა ბარათი და ნელა, სიტყვების გაგრძელებით, წაიკითხა: *„ჩემი ბრძანებითა და სამეფოს კეთილდღეობისათვის, შეასრულა ამისმა წარმომდგენმა ეს საქმე. – დავით ბატონიშვილი“*.

დავით ვეზირმა წაიკითხა და ღრმად ჩაფიქრდა... ქუჯიმ კი გაიფიქრა: „ეს კაცი ახლა ალბათ იმას ფიქრობს, რომ კარგად დამსაჯოს და ჩემი ჯავრი ამოიყაროს. მე მას ვაჩვენებ, თუ როგორ კვდება პატიოსანი კაცი, ოდიშელი აზნაური!“

დავითი კი ჯერ კიდევ თავის ფიქრებში იყო წასული. მან ბოლოს თავი მაღლა ასწია, ქორის თვალთ დააშტერდა ქუჯის და მასში ის დიდი მწუხარება ამოიკითხა, რომელიც სანყალ ბიჭს თავს ახლახან გადახდა. დიდვეზირმა უცბად წარმოიდგინა, რა დიდი მომავალი ჰქონდა ამ აზნაურს და რა სასარგებლო იქნებოდა იგი თავისი მოხერხებით და მამაცობით გონიერი მბრძანებლის ხელში. ბორენას ავქალობას და მზაკვრობას არაერთხელ აღუშფოთებია დავით ვეზირიც. იგი რაღაც ქვეცნობიერ სიხარულსაც კი განიცდიდა იმის გაფიქრებაზე, რომ თავისი საშიში თანამოაზრე და მესაიდუმლე მოაცილეს. დავითმა ბარათი ნაკუნ-ნაკუნ დახია. „ახლა კი დავიღუპე“, გაიფიქრა ქუჯიმ და თავი ჩალუნა... ამ დროს დავით ვეზირი მაგიდასთან მივიდა, რამდენიმე სტრიქონი დაწერა და ხელი მოაწერა.

– ინებე, ერთი ნებართვა წაგართვი, სამაგიეროდ, მეორეს გაძლევ...

ქუჯიმ საბუთი გაუბედავად ჩამოართვა და თვალი გადაავლო. დიდვეზირი მონასპელების ასისთავობას ანიჭებდა.

– თქვენთვის მომიძღვნია ჩემი სიცოცხლე, დიდო ბატონო, მიმსახურეთ, როგორც გნებავთ, მხოლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ღირსი არ გახლავართ ამ წყალობისა, სამი მეგობარი მყავს, ჩემზე მეტად დამსახურებული და მეტად ღირსი.

– ყოჩალი ხარ, აზნაურო ქუჯი-გიორგი! – შეანყვეტინა დავითმა და მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი. იგი აღტაცებული იყო, რომ ბოლოს მაინც დაიმორჩილა ეს ურჩი ბუნების კაცი.

– დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო, არასოდეს არ დამავინყდება! – დავითი კარისაკენ შებრუნდა და გასძახა.

– შადიმა!..

ეტყობოდა, შადიმა იქვე იდგა და ვეზირს სწრაფად გამოეჭიმა.

– შადიმა! აი, ბატონი ქუჯი, ჩემს მეგობართა წრეში ჩავრიცხე, მაშასადამე, გადაეხვიეთ ერთმანეთს და ცუდი არაფერი გავიგო!

ბატონის თვალწინ შადიმა და ქუჯი ერთმანეთს გადაეხვივნენ... მერე ისინი ვეზირის ოთახიდან ერთად გავიდნენ.

– კიდევ ხომ ვნახავთ ერთმანეთს? – უთხრა ქუჯიმ.

– შემთხვევა დაგვეხმარება! – მიუგო შადიმამ.

- კინალამ მოთმინება დავკარგეთ! – უთხრა ავთომ ქუჯის.
- ძმებო, აქა ვარ! თავისუფალიც და ღირსეულად მიღებულიც! – შეს-  
ძახა ქუჯიმ.
- ხომ გვიამბობ?
- სალამოთი, სუფრაზე!..

მართლაც, სალამოს ქუჯი ავთოსთან ამოსა და ტაროზე ადრე მივი-  
და. ავთოს, ჩვეულებისამებრ, წინ ერთი დოქი თავკვერის ღვინო ედგა  
და ნელა დაგემოვნებით მიირთმევდა. ქუჯიმ უამბო, როგორ მიიღო  
ვეზირმა და რა საუბარი ჰქონდათ.

ქუჯი ავთოსგან ტაროსთან მივიდა. ძვირფასად ნაქარგი და მოო-  
ქროვილ აბზინდებიან საგანგებო სამოსით მოსილი ტარიელი, სარკის  
წინ კობტაობდა.

- აჰ, შენა ხარ, ჩემო ძმობილო? ჰა, როგორ მიხდება ეს ახალი სამოსი?
- უჰ, ძალიან გიხდება.
- ჰო, ჩვენ რომ განძაში ვიყავით, იმ დროს ჩემი სატრფოს ხანშიშესუ-  
ლი მეუღლე მიიცვალა. ისე რომ, მისი, მომრიგებელ-მსაჯული ანანიას  
მდიდარი მემკვიდრეობა თვალს მჭრის... ჰოდა, მეც მის ქვრივს, ქალბა-  
ტონ მინადორას ვირთავ.

შემდეგ ქუჯი ამოსთან მივიდა, რომელიც მუხლმოყრილი ლოცვანს  
კითხულობდა. მან ამასაც უამბო ყველაფერი.

- ჩემო კარგო ქუჯი! ჩვენმა ბოლო თავგადასავალმა სამუდამოდ შემა-  
ჯავრა ხმალ-იარაღით ცხოვრება. ამჟამად საბოლოოდ მაქვს გადაწყ-  
ვეტილი, გათავდება თუ არა ეს ომი, მე დედა ეკლესიას უნდა დავუ-  
ბრუნდე. ეჭვი არ მეპარება, რომ შენ სახელოვანი, გონიერი და მამაცი  
ასისტავი იქნები.

ქუჯის ავთოსთან უკან, დაღონებული დაბრუნდა. ავთო კი ისევ ისე  
ღვინის დოქს მისჯდომოდა და ლამპრის შუქზე თავკვერის ღვინის უკა-  
ნასკნელ ფიალას ეწაფებოდა.

- ჩემო ქუჯი, არავის დაუმსახურებია ეგ ასისტავობა ისე, როგორც შენ!
- მაშ, მეგობრები აღარ მეყოლება მე! ვაი, რაღა დამრჩება მე... მოგონე-  
ბების გარდა! – თავჩაქინდრული და ჩაფიქრებული ქუჯი მაგიდასთან  
იჯდა.
- ჩემო ქუჯი, ჯერ ყმანვილი ხარ და წინ მთელი სიცოცხლე გაქვს. საკ-  
მარისი დრო გექნება, რომ უფრო მეტ წარმატებას მიაღწიო, – უთხრა  
ავთომ და ბოლო თავკვერიანი სასმისიც გადაჰკრა.

ალარც ანისელები მოეშველნენ ქალაქ განძას და მათ ალარც ბიზანტიელების იმედი უნდა ჰქონოდათ. კარგა ხნის გარემოცვის შემდეგ, 1138 წლის ბოლოს, განძელები დანებდნენ. მალევე მეფე ტფილისში დაბრუნდა და თან სიმბოლურად, დამარცხებული, მოღალატე ქალაქ განძის კარი ჩამოიტანა, რომელიც შემდეგ ქუთაისს, გელათის მონასტერში დიდი დავითის განსასვენებელთან დააუნჯეს. ტფილისში კი ტრიუმფალური დიდი გამარჯვების ზეიმი გაიმართა.

დემეტრეს შეფარული წინააღმდეგობრივი ურთიერთობა უფროს ვაჟ დავითთან კიდევ უფრო დაეძაბა და გაურთულდა. დემეტრემ თავის ორ ვაჟთაგან ტახტის მემკვიდრეობაში გიორგის მიანიჭა უპირატესობა, რითაც უფროსი შვილი დავითი გაანაწყენა. ამით დავითს უბიძგა, რომ მამის წინააღმდეგ უკვე ღია გამოსვლებაში ჩაბმულიყო. მან შემოიკრიბა განაწყენებული დიდებულები და მეფის წინააღმდეგ ძლიერი დაჯგუფება შექმნა, რომლის ერთ-ერთი მეთაურიც აბულეთისძეების დიდებულთა გვარისშვილი გახლდათ. 1155 წელს დიდგვირმა დავითმა მამა ტახტიდან ჩამოაგდო და აიძულა, რომ დამიანეს სახელით ბერად შემდგარიყო უდაბნოს გარეჯის მონასტერში. გამეფებიდან ნახევარ წელიწადში მეფე დავითი V საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. მამადიმიტრიმ სამეფო ტახტი დაიბრუნა და უმცროსი ვაჟი გიორგი, მემკვიდრედ გამოაცხადა.

ქუჯიმ ასისტავობა მიიღო, ტარო გავიდა სამსახურიდან და შეერთო ქალბატონი მინადორა. იმ მოზრდილ და სანუკვარ სკივრში დიდძალი ქონება აღმოჩნდა.

ამო გურიამი გაემგზავრა. იგი უცბად გაქრა და თავის მეგობრებს ალარ სწერდა წერილებს. მერე გაიგეს, რომ იგი ქალბატონ ნათელა უჯარმელის წყალობით, შემოქმედში ბერად აღკვეცილიყო.

ავთო ქუჯის ასეულში მონასპელად დარჩა. შემდეგ წელს კი სამოგზაუროდ წავიდა ტაო-კლარჯეთში და სამსახურიდან გავიდა, რადგან ჯავახეთში მცირე მემკვიდრეობა მიიღო. ქუჯის სამჯერ მოუხდა შადიმასთან ხმლით შერკინება და სამჯერვე მსუბუქად დაჭრა.

– მეოთხედ კი ალბათ შემომაკვდები! – უთხრა ქუჯიმ შადიმას მესამე შებრძოლების დროს და წამოსაყენებლად ხელი გაუნოდა.

– ასეთ შემთხვევაში ორივესთვის უკეთესია ამაზე შეეჩერდე! გეფიცები! არ დაიჯერებ, მაგრამ უნდა გითხრა, მე უფრო მეტი კეთილი განწყობა მაქვს შენდამი, ვიდრე შენ გგონია! რადგან ჯერ კიდევ ჩვენს

პირველივე შეხვედრაზე, მცხეთაში, ერთი სიტყვაც რომ მეთქვა დიდვე-  
ზირისთვის, უსათუოდ თავს გაგაგდებინებდნენ! – უპასუხა დაჭრილმა.

შადიმა და ქუჯი ერთხელ კიდევ მოეხვივნენ ერთმანეთს მხარზე,  
მაგრამ ახლა ეს მოხვევნა გულწრფელი იყო. მის უკან არავითარი შეფა-  
რული აზრი არ იმალებოდა.



## პოლოტიკა

კაი ხანი მძინებია... ძლივს გამოვფხიზლდი, გრძელი სიზმარი ვნახე. გუშინ ნამეტანი მომივიდა გემრიელი, თავანკარა ოჯალემის სმა და ახლაც გაბრუებული ვარ. არადა მალე გონელიმ უნდა გამომიაროს, ხაშზე და მეგრულ კუპატზე ვარ გადაპატიჟებული ბოდოკიას სასაუზმეში.

უჰ... თითქმის გადამავინწყდა თბილისიდან რა საქმეზე ვარ ჩამოსული. ჰო... არა, მახსოვს, დადიანების სასახლის ბიბლიოთეკაში პატენ ალეს, ანუ გამოჩენილი მწერლის ალექსანდრე დიუმას კავკასიაში და კერძოდ, სამეგრელოში 1858 წელს მოგზაურობის შესახებ მასალებს ვეძებ. პატენ ალე, ღმერთმა აცხონოს ეს დიდებული მწერალი, ჭამასმის დიდი მოყვარულიც ყოფილა. ამიტომ იგი თავის ნაწერებში საქმის ცოდნით და გემოვნებთანად მსჯელობს აქაური პურმარლის, კერძისა და ღვინის ღირსებაზე.

მალე გარეთ, სუფთა ჰაერზე გამოვედი და ბაღში გრძელ სკამზე ჩამოვჯექი. უეცრად ჩემ წინ ათიოდე წლის ხუჭუჭა ბიჭი აიტუზა და სწრაფად რალაცა მითხრა, თან ჩემი სკამისკენ გაიშვირა ხელი. ჰო, ეხლალა შევამჩნიე, რომ სკამი ახალი შეღებილი იყო და საღებავი ჯერ კიდევ არ შემორობდა. იმნამს წამოვხტი, მაგრამ უკვე აზრი აღარ ჰქონდა, საფუძვლიანად ვიყავი დასვრილი მომწვანო საღებავით. ეჰ, ეტყობა, გუშინდელი ლოთობისთვის დავისაჯე.

– უკვე დავისვარე, ბიჭუნა! – მოვუქციე მე რაჭულად, – ყოჩაღ, მაინც გამადლობ, რომ გამაფრთხილე... შენი სახელი?..

– ზუგდიდელი ქუჯი ვარ მე! – თქვა მან ამაყად და ღიმილ-ღიღინით გზა განაგრძო...

**2016 წ. თებერვალი. 04.**  
**თბილისი**



რედაქტორი  
ირმა ჩინჩალაძე

საგამომცემლო ჯგუფი  
ვლადიმერ პერანიძე  
ალექსანდრე ჯიქურიძე

ბარეკანის დიზაინი  
ილია ხელაიასი



თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 577 33 38 55

stamba.damani@gmail.com

📘 სტამბა დამანი / Print House Damani